ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ

შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ,
ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ

ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით

თბილისი
2018

წინამდებარე გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგრანტო პროექტის – „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ - ქართულ და ინგლისურენოვანი მონოგრაფია“ (HE 15-008) ფარგლებში.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნესტან ჩხიკვაძე
პროექტის კოორდინატორი: ზურაბ სამარღანიშვილი
მონაწილეები: მაია კარანაძე, ვლადიმერ კეკელია, ლელა შათირიშვილი
მთარგმნელი: ლადო მირიანაშვილი

პროექტი თანამშრომლობისათვის მადლობას უცხადებს ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკას, გრაცის უნივერსიტეტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს, ინდიანას უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკას, ბერლინის სახელმწიფო, გეტინგენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს, ბრიტანეთის ბიბლიოთეკას, ბირმინგემის, კემბრიჯის, ოქსფორდისა და პრინსტონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს, საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკას, რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკას (პეტერბურგი), ასევე ქალბატონებს: ჯილიან ევისონს (ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლური სექციის ხელმძღვანელი), ოლგა ვასილევას (რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთკის აღმოსავლურ ხელნაწერთა კოლექციის კურატორი) და მელინ ფელივანიას (ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის აღმოსავლური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე).
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილის გამოყენება და გადაწერა ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებითა თუ მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, დაუშვებელია საავტორო უფლებების მფლობელისგან წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.
წიგნში გამოყენებული ფოტომასალის ამ გამოცემაში გამოქვეყნების უფლება შეთანხმებულია ქართული ხელნაწერი წიგნის მფლობელ საზღვარგარეთის სამეცნიერო-საბიბლიოთეკო ცენტრებთან. ყველა უფლება დაცულია.

@ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
@ მაია კარანაძე, ვლადიმერ კეკელია, ზურაბ სამარღანიშვილი, ლელა შათირიშვილი, ნესტან ჩხიკვაძე

ISBN 978-9941-9564-8-5

სარჩევი

წინასიტყვაობა
ილუსტრაციების ჩამონათვალი
ავსტრიის რესპუბლიკა 13
ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკა 14
გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 17
მხითარისტების ეკლესია ვენაში 23
ამერიკის შეერთებულ შტატები 24
ჰოუტონის ბიბლიოთეკა 24
პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 26
დუმბარტონ ოუქსის ბიზანტინისტიკის ცენტრი 27
უოლტერსის ხელოვნების მუზეუმი 28
ჰილის მუზეუმი და ხელნაწერთა ბიბლიოთკა 29
ლილის ბიბლიოთკა 30
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 31
ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა 33
ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 36
გეტინგენის სახელმწიფო ბიბლიოთეკა 40
ჰალეს აღმოსავლური საზოგადოების ბიბლითეკა 41
გაერთიანებული სამეფო. დიდი ბრიტანეთი 42
ბრიტანეთის ბიბლიოთეკა 42
კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 48
ბირმინგემის ინივერსიტეტის ბიბლიოთეკა 52
ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკა 58
ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა 68
სინის მთის ქართული ხელნაწერები 68
ბიბლიური წიგნები 71
კრებულები 76
ლიტურგიკული კრებულები 87
ჰიმნოგრაფიული კრებულები 95
ვატიკანის ქალაქი-სახელმწიფო 108
იტალიის რესპუბლიკა 111

ისრაელის სახელმწიფო ... 113
იერუსალიმის ქართული ხელნაწერები ... 113
ბიბლიური წიგნები ... 115
კრებულები ... 118
ლიტურგიკული ხელნაწერები ... 130
ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები ... 135
პოლონეთის რესპუბლიკა ... 142
რუსეთის ფედერაცია ... 143
რუსეთის სახელმწიფო-ისტორიული მუზეუმი (მოსკოვი) ... 143
რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი) ... 144
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი ... 149
სასულიერო შინაარსის ხელნაწერები ... 150
საერო შინარსის ხელნაწერები: ისტორია/გეოგრაფია ... 158
სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები ... 164
საბერძნეთის რესპუბლიკა ... 178
ივირონის კოლექციის მნიშვნელობისათვის ... 178
ბიბლიური წიგნები ... 180
ადრებიზანტიური რედაქციის კრებულები ... 182
ეფთვიმე ათონელის თარგმანთა შემცველი კრებულები ... 185
გიორგი ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის
თარგმანთა შემცველი კრებულები ... 191
გიორგი ათონელის რედაქციის ლიტურგიკული/ჰიმნოგრაფიული კრებულები ... 193
ელინოფილურ თარგმანები, ეფრემ მცირე ... 200
საფრანგეთის რესპუბლიკა ... 202
სომხეთის რესპუბლიკა ... 214
შოენის კოლექცია ... 220
დანართი ... 221
ილუსტრაციები ... 227
ზოგადი ბიბლიოგრაფია ... 305
საძიებელი ... 337

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2015 წელს დაფინანსებული პროექტის „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ – ქართული და ინგლისურენოვანი მონოგრაფია“ ფარგლებში. მონოგრაფიაში ქვეყნდება მსოფლიოს 21 ქვეყნის უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული 1532 ქართული ხელნაწერი წიგნისა და ფრაგმენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დღემდე გაბნეული იყო სხვადასხვა გამოცემაში. ამ ხელნაწერ წიგნთა ნაწილი არ არის შესწავლილი და გააზრებული როგორც ქართული, ასევე ზოგადად შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ისტორიის ერთიან კონტექსტში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საზღვარგარეთის წიგნსაცავებში არსებული ქართული ნუსხების შესახებ არსებობს უცხოელ თუ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები, ამ ლიტერატურის მოძიება არ არის იოლი. სწორედ ამ მიზნით მონოგრაფია თავს უყრის დღეისათვის ცნობილ ინფორმაციას როგორც ხელნაწერი წიგნების, ასევე მათი კვლევის შედეგების შესახებ. ამასთანავე პროექტს ქართული ხელნაწერი წიგნის უახლესი კომპლექსური კვლევების შედეგების საფუძველზე შეაქვს გარკვეული დაზუსტებები ადრე გამოქვეყნებული კატალოგებისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემებში.

საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო და საბიბლიოთეკო სივრცეებში არსებული ქართული ხელნაწერების მნიშვნელობას, გარდა მათი კულტურულ-ისტორიული ღირებულებისა, განაპირობებს თვით უცხოეთის ბიზანტინისტებისა და ორიენტალისტების მიერ გაშლილი კვლევები. უცხოელ მკვლევართა სწორედ ამგვარ სამეცნიერო ინტერესს უნდა ვუმადლოდეთ თუნდაც იმ ფაქტს, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავებში დაცული უძველესი ქართული ხელნაწერების მიკროფირები, რომლებიც აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის წყალობით გადმოეცა კ. კეკელიძის სახელობის იმჟამინდელ ხელნაწერთა ინსტიტუტს (ახლა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი) XX ს-ის 50-იან წლებში. პროექტი ხელნაწერთა ანოტაციას ურთავს საზღვარგარეთის თითოეული ცენტრის შესახებ მოკლე ინფორმაციას, ამასთანავე საგანგებო პატივს მიაგებს უცხოეთში მოღვაწე იმ მკვლევრებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კერძო პირთა ხელში არსებული ერთეულების საბიბლიოთეკო-სამეცნიერო სივრცეში შეტანას, ქართველ მეცნიერთათვის ხელმიუწვდომელი საზღვარგარეთ არსებული ქართული ხელნაწერი წიგნების აღნუსხვას, კვლევას, ქართული ხელნაწერი წიგნის მნიშვნელობის განსაზღვრა-პოპულარიზაციას.

ხელნაწერი წიგნის მნიშვნელობის გააზრებისა და მისი ისტორიის შესწავლის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ინფორმაცია მისი შედგენილობის, გადაწერის ადგილის, საწერი მასალის, ანბანის, წიგნის შექმნაში მონაწილე პირების შესახებ. ამ სახის ინფორმაციის მოძიება იმ პირობებში, რომელთა დროსაც, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება თითოეულ ცენტრში არსებული ხელნაწერი წიგნების ადგილზე აღწერა და მონაცემთა დაზუსტება, შესაძლებელია

მხოლოდ სამეცნიერო მიმოქცევაში უკვე არსებული პუბლიკაციების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას ჩვენ ვეყრდნობით ბეჭდურ აღწერილობებს, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ვებგვერდებზე ატვირთულ კატალოგებს. ჩვენ ვიხელმძღვანელეთ შემდეგი პრინციპით - მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის ძირითადი შეჯამებული მონაცემები ყოველ წარმოდგენილ ხელნაწერზე. გამოცემაში არაა მითითებული ხელის თავისებურებისა თუ თხზულებებისა და ანდერძების გვერდობრივი განაწილების შესახებ ის დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც საგანგებოდაა შეტანილი სამეცნიერო აღწერილობებში. საჭიროების შემთხვევაში ანდერძები მოხმობილია კუპიურებით. ყველა აღწერილობა, რომლითაც დაინტერესებული პირი ისარგებლებს, მითითებულია მონოგრაფიის თითოეული თავის დასაწყისში და აღარ მეორდება ცალკეული ერთეულისათვის დართულ ბიბლიოგრაფიაში. რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას, იგი მოიცავს არა კრებულებში გაერთიანებული ყოველი თხზულების, არამედ ერთიანი კრებულის, რიგ შემთხვევებში კი მასში შემავალ თხზულებათა იდენტური რედაქციების კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას. საზღვარგარეთ დაცული დიდი კოლექციების (სინა, ივირონი, იერუსალიმი) ხელნაწერები გამოცემაში დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით. გამოცემას ერთვის დარგობრივი და საკუთარ სახელთა საძიებლები, ბიბლიოგრაფია.


ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე შრომა ეხება მხოლოდ ქართულ ხელნაწერს წიგნს და, შესაბამისად, მასში არ შედის ცალკეულ კოლექციებში (საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის, ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკის, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის და რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის) დაცული ისტორიული დოკუმენტები, ეპისტოლარული მასალა, ეპიგრაფიკულ ძეგლთა ასლები და უცხოენოვანი ხელნაწერი კატალოგები.

პროექტზე მუშაობის პროცესში ავტორთა ჯგუფი თვალს ადევნებდა ქართულ ხელნაწერ წიგნთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს, რომელიც გავრცელდა ელექტრონული მედიასაშუალებებით. სწორედ ამის საფუძველზე გამოცემაში შევიდა უახლესი ცნობები სოტბის აუქციონზე 2012 წელს გატანილი ქართული ხელნაწერი ფრაგმენტის შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამოცემა დახმარებას გაუწევს ქართული ხელნაწერი წიგნით დაინტერესებულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას.

ნესტან ჩხიკვაძე

ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ



გამოყენებული ილუსტრაციები

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

Graz. Geo. 2058/1 – 1; 2; 92; 93; 94; 95; 96; 97.

Graz Geo. 2058/3 – 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 98; 99; 100; 101; 102; 103.

Graz. Geo. 2058/4 – 10; 104; 105; 106; 107; 108.

Graz. Geo. 2058/A – 11; 109.

Graz.Geo.2058/B – 110; 111.

Graz.Geo.2058/C – 112; 113.

ჰოუტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდი

MS Georgian 1 – 12; 13; 114; 115; 116; 117; 118; 119; 120; 121.

პრინსტონის უნივერსიტეტი

Garrett MS. 24 – 14; 122; 123; 124.

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

Ms. or. fol. 573/ WdtB (ehem. PrSB) – 15.

Ms. or. oct.168 / WdtB (ehem PrSB) – 16.

Ms. or. minutoli.135a / UB, (ehem.PrSB) – 17; 125.

Ms. or. fol. 926/ UB (ehem. PrSB) – 18; 126; 127.

Ms. or. quart. 279/ UB, (ehem. PrSB) – 19.

ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

Cod. Ms. V 1094. UB – 20; 128.

Cod. Ms. V 1095. UB – 21; 129; 130; 131; 132; 133; 134; 135.

Cod. Ms. V 1096. UB – 22; 136; 137; 138; 139; 140; 141; 142.

Cod. Ms.V 1097. UB – 23; 143; 144; 145; 146.

გეტინგენის ბიბლიოთეკა

Cod. Ms. Syr. 22 – 24; 25.

Cod. Ms. Syr. 23 – 147; 148.

Cod. Ms. Syr. 17 – 149; 150.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკა

Add. Ms. 11281 – 26; 151.

Add. Ms. 11282 – 27; 152.

Or. 6581 – 28; 153.

Sloane 1338 – 29; 30; 31; 154.

Sloane 1350 – 32.

Harley MS 5623 – 33; 155; 156; 157.

Or 5315 – 34.

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

Georgian MS. 3/MS. add. 1890.1 – 35; 158.

Georgian MS. 4/MS. add. 1890.8 – 36; 159.

Georgian MS. 5/MS. add. 1890.3 – 37; 160.

Georgian MS.6/ MS. add. 1890.4 – 161; 162.

Georgian Ms.9 /MS. add. 1890.6 – 38.

Georgian Ms.7/MS. add. 1890. 5 – 163; 164; 165; 166.

Georgian Ms.8/MS. add. 1890. 7 – 167; 168; 169; 170.

Georgian Ms.9/MS. add. 1890. 6 – 171; 172.

ბირმინგემის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

Mingana. Geo. 1 – 39; 173.

Mingana.Geo. 2 – 40.

Mingana. Geo. 3 – 41; 42.

Mingana. Geo. 4 – 43; 174.

Mingana. Geo. 5 – 44.

Mingana. Geo. 6 – 45; 175.

Mingana. Geo. 7 – 46; 47.

Mingana. Geo. 8 – 48; 49.

ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკა

MS. Georg. c. I (P) – 50; 51.

MS. Georg. d. 2 – 52; 176; 177; 178; 179.

MS. Georg. d. 3 (P) – 53.

MS. Wardr. d. 14 – 54.

MS. Wardr. d. 17 – 55.

რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთკა (პეტერბურგი)

Груз. Н.С.10 – 81.

Собр. ц. Иоанна 249 – 82.

Собр. ц. Иоанна 313 – 83.

Собр. ц. Иоанна 212 – 84.

Сир. НС 16 – 85.

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთკა

Geo.3 – 87; 180; 181.

Geo.4 – 88; 182.

Geo.5 – 89; 90; 183; 184.

Geo.9 – 91; 185.

Geo.28 – 92; 186; 187; 188; 189.

კონგრესის ბიბლიოთეკის ციფრული კოლექცია

სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერები

Sin.Geo.O.15 – 56.
Sin.Geo.O.38 – 57.
Sin.Geo.O.32-57-33 – 58.
Sin.Geo.O.6 – 59.
Sin.Geo.O.11 – 60; 61.
Sin.Geo.O.34 – 62.
Sin.Geo.O.18 – 63.
Sin.Geo.O.66 – 64.

იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ქართული ხელნაწერები

Jer. Geo. 7 /Jer. Geo. 11 – 69.
Jer. Geo. 2 – 70; 71.
Jer. Geo. 96 – 72; 73.
Jer. Geo. 24 – 74.
Jer. Geo. 25 – 75.
Jer. Geo. 45 – 76; 77; 78.
Jer. Geo. 76 – 79.
Jer. Geo. 111 – 80.

ავსტრიის რესპუბლიკა

ავსტრიაში ქართული ხელნაწერი წიგნის არსებობას თითქმის საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს. ქართული წერილობითი კულტურის ეს ძეგლები ამჟამად ინახება სამ ცენტრში, რომელთაგან ორი ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო სივრცეა – გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკა (ვენა). გარდა ამისა, ქართული ხელნაწერები დაცულია ვენის მხითარისტების ეკლესიის წიგნსაცავშიც. ქართული ხელნაწერები ავსტრიაში მოხვდა აღმოსავლეთიდან, კერძოდ, ეგვიპტიდან, ვინაიდან მათი უმეტესი ნაწილი სინურ-პალესტინური კოლეციების კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ქართული საზოგადოებისთვის ამ წიგნების არსებობის ფაქტი ევროპელ მეცნიერთაგან გახდა ცნობილი. განსაკუთრებული წვლილი ამ მხრივ მიუძღვის ჰუგო შუხართს, რომელმაც XIX ს-ის დასასრულს ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა და ხელი შეუწყო ავსტრიაში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების კვლევას.

ჰუგო შუხართი (1842–1927)

გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, ვენის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი იყო ევროპის არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიების წევრი; XIX ს-ის 80-იან წლებში დაინტერესდა ქართულით, დაუკავშირდა ქართველ სწავლულებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ჰუგო შუხართს ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, პეტრე მელიქიშვილთან, ნიკო მართან, ალექსანდრე ცაგარელთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ფილიპე გოგიჩაიშვილთან, დავით კარიჭაშვილთან, ნოე ჟორდანიასთან, დავით სარაჯიშვილთან, ნიკო ღოღობერიძესთან და სხვ. ავსტრიელ მეცნიერს დაბეჭდილი აქვს 20-მდე გამოკვლევა ქართული ენისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. შუხართის არქივში ინახება მსოფლიოს სხვადასხვა (ოქსფორდის, ბერლინის, რომის) ბიბლიოთეკებიდან გამოგზავნილი პასუხები შეკითხვაზე, არის თუ არა მათს ფონდებში ქართული ხელნაწერები. ჯერ კიდევ 1896 წლის აპრილში მსგავსი შეკითხვით მას მიუმართავს ნეაპოლის მახლობლად Torre del Greco-ს მესვეურებისთვის. იგი იმდენად იყო დაინტერესებული ქართული კულტურული მემკვიდრეობით, რომ გადაწყვიტა სინური წარმომავლობის ხელნაწერი წიგნების შეძენა ვენელი მხატვრისაგან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შუხართის არქივში ინახება 13000 წერილი და პირველი ეკუთვნის ვენის უნივერსიტეტის პროფესორ ჰაინრიხ ცაისბერგს. სწორედ მან მიაწოდა შუხართს პირველი ცნობა ქართული ხელნაწერების შესახებ. ჰუგო შუხართი ინტენსიურად მუშაობდა მის ხელთ არსებულ ქართულ ხელნაწერებზე, რომლებიც მან 1897 წელს შეიძინა ავტრიელ მხატვარ ალფონს მილიხისგან. ამ წერილობით სიძველეთა შესახებ თავისი ვრცელი გამოუქვეყნებელი გამოკვლევა მეცნიერმა გადმოუგზავნა აკ. შანიძეს. ეს შრომა ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდში.

გრიგოლ ფერაძე (1899–1942)

მიიღო სასულიერო განათლება. 1921 წლის ნოემბრის დამდეგს გრ. ფერაძე არტურ ლაისტის დახმარებით ბერლინში გაემგზავრა. ბერლინის უნივერსიტეტში თეოლოგიას და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა, შემდეგ ბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე გადავიდა. მოკლე ხანში მან შეისწავლდა 16 ენა. 1931 წ. მეცნიერი ლონდონის წმ. სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარ-

ში ბერად აღიკვეცა. აქვე ეკურთხა დიაკვნად, ხოლო შემდეგ გაგზავნეს პარიზში მის მიერვე დაარსებულ წმ. ნინოს სახ. ქართულ ეკლესიაში. მისი ხელმძღვანელობით გამოიცემოდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. გრ.ფერაძე მოღვაწეობდა პოლონეთში, ვარშავაში, მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად. მან უდიდესი შრომა გასწია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების მოძიება–შესწავლის საქმეში; დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთში გატანილი ქართული განძის გადარჩენაშიც. არის ევროპულ ენებზე გამოქვეყნებული მრავალი ქართველოლოგიური შრომის ავტორი, ესენია: „ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემა“, „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისური თარგმანი კ. კეკელიძის გამოკვლევისა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. 1942 წლის 6 დეკემბერს მამა გრიგოლმა თავს იდო ერთი მრავალშვილიანი ებრაელის სასჯელი და მის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში. იგი წმინდანადაა შერაცხილი.

ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკა

ევროპის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნსაცავი მდებარეობს ვენაში, ხოფბურგის სასახლეში. ბიბლიოთეკის დაარსებას საფუძვლად უდევს ჰაბსბურგების დინასტიის მიერ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან შექმნილი კოლექციები, რომლებშიც გაერთიანებულია ინკუნაბულები, ანუ პირველნაბეჭდი წიგნები, პაპირუსები (ბერძნულ, კოპტურ, არაბულ ენებზე), რუკები, გლობუსები და კომპოზიტორთა პარტიტურები. ამავე დროს ბიბლიოთეკა ცნობილია ხელოვნურ ენათა შესახებ არსებული უმდიდრესი ლიტერატურით. ამჟამად ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ხელნაწერი წიგნის ხუთი მეტად მნიშვნელოვანი ერთეული, რომელთა შესწავლასაც ყურადღება დაუთმეს როგორც ევროპელმა, ასევე ქართველმა მეცნიერებმა. ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების პირველი სამეცნიერო აღწერილობა ეკუთვნის გრიგოლ ფერაძეს, რომელმაც ეს შრომა 1940 წელს გამოაქვეყნა (Peradze 1940). ნაშრომი 2004 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე (ფერაძე 2004). 2004-სა და 2008 წლებში ვ. იმნაიშვილმა გამოსცა საზღვარგარეთ არსებული ქართული ხელნაწერებისადმი მიძღვნილი ნაშრომები (იმნაიშვილი 2004; 2008). 2004წ. დაბეჭდილ მონოგრაფიაში ძირითადად განხილულია გრაცში დაცული X-XII სს. ქართული ხელნაწერები. წინამდებარე გამოცემაში ქართულ ხელნაწერთა შესახებ პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ინფორმაცია ეყრდნობა დასახელებულ პუბლიკაციებს, ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებსა და იმ სამეცნიერო შრომებს, რომლებიც ეხება კონკრეტულ ხელნაწერ წიგნსა და ხელნაწერების ციფრული ასლების შესწავლას.

Vien.Geo.1. ოთხთავი. XII, XIV სს. 257 ფ.; ეტრატი; 17×10,8 სმ.; ნუსხური; სათაურები და აბზაცთა დასაწყისები მთავრულით. ხელნაწერი ბიბლიოთეკის ფონდში შევიდა 1873 წელს. წიგნს მოგვიანებით გაუკეთეს ევროპული ყდა. ხელნაწერი აღწერეს გრ. ფერაძემ და თ. ჯოჯუამ. ამ უკანასკნელმა იგი წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა (Peradze 1940: 223; ფერაძე 2004: 161; ჯოჯუა 2005: 181-221). სახარების რედაქციული თავისებურება დაადგინა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1984: 52). ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისაა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ზემოთ დასახელებულ აღწერილობებში ნუსხის თარიღისთვის მითითებულ X ს-ს. წიგნი კონვოლუტია, შედგება ორი, სხვადასხვა დროს გადაწერილი ნაწილისგან: პირველი სახარებაა, მეორე – მთელი წლის სახარების საკითხავთა ზანდუკი. ხელნაწერის ციფრული ასლის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ წიგნის შემადგენელი ნაწილები არ შეიძლება ჩაითვალოს თანადროულ მონაკვეთებად. ნუსხის ძირითადი ტექსტი-ოთხთავი და თითოეული სახარების ბოლოს დართული

საკითხავთა სამიებელი გადაწერილია ყავისფერი მელნით, სადად, გაფორმების გარეშე. XI ს-ის ქართული ხელნაწერი სახარებების ნორმებს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ სახარების ტექსტი ამ ხელნაწერში დაუმუხლავია, ხოლო რვეულებრივი პაგინაცია გატანილია არშიების გარეთა კიდეებზე. მოგვიანებით ხელნაწერი შევსებული და ერთგვარად რედაქტირებულია: ტექსტი შავი მელთითა და გვიანდელი ნუსხურით დამუხლულია, სახარებაზე დართულია მთელი წლის საკითხავთა ზანდუკი, არშიებსა და ზოგან სტრიქონებს შორის შავი და მწვანე მელნებით დართულია კომენტარები ამა თუ იმ მუხლის ლიტურგიკული ფუნქციის მითითებისათვის. მაგ.: „ალილუია, ისმინე ასული“, „პავლესთჳს. პეტრესთჳს“, „დასდებელი“და სხვ. 49v-ზე გამცხოველებლისა და კომენტარების დამრთველის მიერვე შესრულებულ ბოლოსამკაულში ჩაწერილია, როგორც ჩანს, მისივე მოსახსენებელი მინაწერი: „უფალო, შეიწყალე სული მშობელთა გიორგისთაჲ, და შეუნდვენ ძმათა მისთა ცოდვანი, ამენ.“ მინაწერი არ შეესაბამება კლასიკური ხანის ქართული ენის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ 233v-ზე, რომელზე მკვლევარმა თ. ჯოჯუამ ამოიკითხა მინაწერი – „... წმიდაჲ ესე სახარებაჲ წერილ არს სტეფანესათჳს, ფებრონიაჲსთჳს და გურანდუხტისათჳს და კჳრიაკესათჳს, იოვანესათჳს და დავითისათჳს“- დღეს ციფრულ ფოტოზე არ იკითხება, თუმცა მასზე ჩანს კლასიკური ხანის წვრილი მწყობრი ნუსხურით გადაწერილი ტექსტის კვალი. იგი გადარეცხილია, მისი გაბმით წაკითხვა ჭირს ისევე, როგორც მასზე ზემოდან მსხვილი ნუსხურით გადაწერილი ტექსტისა. ხელნაწერთან დაკავშირებული კოდიკოლოგიურ მონაცემებს საფუძველზე ვენური ნუსხის ძირითადი ტექსტი უნდა დათარიღდეს XII ს-ით, ხოლო მისი შევსება- XIV სს-ით.

Vien.Geo.2. ფრაგმენტთა კრებული. VII-VIII, XIII-XIV სს. 140 ფ.; ეტრატი; პალიმფსესტი. თავდაპირველი ზომა 30,5x27 სმ. უნდა ყოფილიყო; ახლა მისი ზომაა 14,7x12,5 სმ. (ქაჯაია 1981: 44). ხელნაწერი ვენაში უნდა მოხვედრილიყო 1881-1902 წლებს შორის, ვინაიდან 1881 წელს ალ. ცაგარელმა აღწერა ამ კოდექსის მსგავსი ნუსხა, რომელიც აღარ უნახავს 1902 წელს იერუსალიმში მყოფ ნ. მარს. 1931 წელს წიგნი ახალ ყდაში ჩაუსვამთ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ნუსხა აღწერა გრ. ფერაძემ. იგი ხელნაწერის ზედა ფენას XII-XIII სს-ით ათარიღებს (Peradze 1940: 223-224; ფერაძე 2004:161-162). ხელნაწერმა თავისი სიძველითა და ტექსტების მრავალფეროვნებით მიიპყრო ევროპელ და ქართველ მეცნიერთა ყურადღება. კოდექსის ქვედა ფენა მთავრულია, ზედა – ნუსხური და წარმოადგენს XIII-XIV სს. მაისის თვენს. ქვედა ფენაზე ფიქსირებული ტექსტები ადრეული რედაქციების თხზულებათა თარგმანებია, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილ ფრაგმენტთა ნაკრებია. გაირჩევა 13 ხელი. დაცულია V-VIII სს-ის ხანმეტი ტექსტები. გამოცემულია ტექსტების ნაწილი: ოთხთავის ფრაგმენტები (ქაჯაია 1984), წმ. კვიპრიანესა და წმ. იუსტინას „წამებები“ (ქაჯაია 1981: 41-49; 2001:291-297). პალიმფსესტის ქვედა ფენის „იაკობის პირველსახარებისა“ და ძველი აღთქმის ფრაგმენტების (მეორე სჯულთა, მსაჯულთა, ეზრა) კვლევის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბრიტანელ თეოლოგს, პროფესორ ჯ. ბერძოლს, რომელმაც კვლევის შედეგები გამოაქვეყნა რამდენიმე სტატიის სახით (Birdzall 1969(a): 108-112; 1969(b): 103-105; 1970: 49-72; 1971:62-89; 1972: 97-105). ქვედა ფენაზე არსებულ ტექსტებში არახანმეტ ძველ რედაქციებს განეკუთვნება ნეშტთა, გამოსვლათა და ესაიას წიგნები, ისო ნავეს 19,15, იოანეს მესამე ეპისტოლის 7-8 მუხლები, ეპიფანე კვიპრელის „საზომთა და საფასეთა შესახებ“ ქართული თარგმანი (Esbroeck van 1984: 460-461). მოგვიანებით Vien.Geo.2 ხელნაწერის ქვედა ფენით დაინტერესდა გერმანელი მეცნიერი ი. გიპერტი (Gippert 2003: 31-46; გიპერტი 2004: 149-161). მისი რედაქტორობითა და ქართველ მეცნიერებთან (ზ. სარჯველაძე, ლ. ქაჯაია) თანამშრომლობით გამოიცა მონოგრაფია, რომელშიც შევიდა „ქრისტინას წამების“ ხანმეტი რედაქცია (ქაჯაია 2006; Gippert 2007). ხელნაწერ კრებულში შესული პალიმფსესტური ტექსტების ქრონოლოგიური ჩარჩო V-X სს. განისაზღვრება (ქაჯაია 2001: 291). ხელნაწერს ახ-

ლავს XIV ს-ის პირის, თევდა (თევდორე) დიღმელის მინაწერები. ეს პირი ხშირად იხსენიება იერუსალიმურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. ცაგარლის კატალოგში ანდერძი მოყვანილია კუპიურის სახით (Цагарели 1888: 164, №37): „სრულიად ცოდვილმან საპყარმან ბერმან მოძღვარმან თევდორაბემან დავდევ თთუ̈ ესე მაისი ქრისტეს საფლავსა შინა... და თუ რომ ქათუ̈ლნი აღარ იყვნენ აღდგომას, მერე მეტოქს [ჯვრის მონასტერს] დაიდვას...“. თევდას ვინაობის შესახებ უახლესი კვლევების თანახმად, მან საქართველოდან რამდენიმე ხელნაწერი წაიღო (კეკელია 2010/2011: 239-243). Vien.Geo.2. ხელნაწერიც მის მიერ ჯვრის მონასტერში საქართველოდან უნდა იყოს წაღებული. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უძველესი ხანმეტური ტექსტები საქართველოში გადაწერილი ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები უნდა იყოს. სხვა ამგვარი ფაქტი კი ჯერჯერობით არ დასტურდება.

Vien.Geo.3. თევნი. X-XI სს. 258 ფ.; ეტრატი+4 ქაღალდი; 24,9×18,9 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები, ხმათა დასახელება მთავრულითა და სინგურით; ახალი ევროპული ყდა. გადამწერი: იოვანე ხახულელი. ხელნაწერი გიორგი ათონელის თებერვლის თვენია. გადამწერი და, როგორც ჩანს, მომგებელიც, არის იოვანე ხახულელი: „მე გლახაკმან და უღირსმან იოვანე ხახულელმან დავწერე ...“ (258v). იოვანე ხახულელი XI ს-ის პირველ ნახევარში ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ნუსხა ავსტრიაში მოხვედრამდე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული კოლექციის ნაწილი იყო. იგი აღწერილი აქვთ ალ. ცაგარელს (Цагарели 1888: 164, №35), მოგვიანებით კი გრ. ფერაძეს (Peradze 1940: 225-226; ფერაძე 2004: 162-164). წიგნი შეძენილია 1931 წელს ალექსანდრიაში (სარჯველაძე 1984: 52; იმნაიშვილი 2008: 10). მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება „თვენის“ ქართული რედაქციის ისტორიის კვლევისათვის.


Vien.Geo.4. ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული. 1160 წ. 300 ფ.; ქაღალდი; ნუსხური; 30×24 სმ.; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკლული. ტყავის ყავისფერი გვინდელი სადა ყდა. გადამწერი: ნიკოლაოს ნიკრაი; გადაწერის ადგილი: გარეჯის მონასტერი; მეორედ მკაზმველი: მთავარეპისკოპოსი ვლასი (ურბნელი), წიგნის მესამედ მკინძველი: ბესარიონი (ქიოტიშვილი). კრებულში შესულია სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის 12 თხზულება (ასკეტიკა, აგიოგრაფია, ჰომილეტიკა, ბიბლიოლოგია). კრებული შედგენილი უნდა იყოს არა ლიტურგიკული, არამედ საგანმანათლებლო დანიშნულებით. ნუსხა დეკორირებულია, შემკულია თავსამკაულითა და ფერადოვანი საზედაო ასოებით, მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და სხვა გრაფიკული გამოსახულებებით არშიებზე. კრებულს წინ უძღვის ზანდუკი, რომელიც XVI ს-ში (1570 წ.), წიგნის მეორედ შეკაზმვის დროს, უნდა იყოს დართული. გრ. ფერაძემ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო Vien.Geo.4-თან დაკავშირებულ საკითხებს. მან ხელნაწერი შედარებით ვრცლად აღწერა. ძველი აღთქმის ქართულ თარგმანთა კრიტიკულ გამოცემაში ვენური ნუსხა დასახელებულია, როგორც ადრეული რედაქციის შემცველი ერთ-ერთი კრებული (წიგნნი 1989: 593). მკვლევართა საგანგებო ყურადღება მიიპყრო კრებულში შემავალ თხზულებათა ტექსტოლოგიურ-რედაქციულმა თავისებურებებმა. ცალ-ცალკე იყო შესწავლილი „ქება-ქებათას“, „ნისიმეს ცხოვრების“ (ასათიანი 2003: 53-59), დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულების „შეჩუ̈ნებაჲ მწვალებელთაჲ“ (ჯოჯუა 2003: 54-113) ტექსტები. ძალზე მნიშვნელობანი სურათი გამოვლინდა „ქება-ქებათას“ ქართული რედაქციის კვლევის პროცესში. დადგინდა, რომ ვენურ ხელნაწერში შესული ეს ქართული თარგმანი არ მისდევს ამ ბიბლიური წიგნის ცნობილ ქართულ და, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ბერძნულ რედაქციებს (სარჯველაძე 1983: 75-87). მთარგმნელი თხზულებას ღვთისმშობლის ხოტბად აღიქვამს (ქურციკიძე 2003: 613). ტექსტი უცნობი ჰიმნოგრაფის მიერ იამბიკოდაა გარდაქმნილი (ჩიტუნაშვილი 2010: 513-537). 2004 წელს გამოქვეყნებულ გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკურ-პანეგირიკულ თხზულებათა გამოცემას ძირითად ნუსხად დაედო სწორედ Vien.Geo.4-ში დაცული „თარგმანებაჲ მომიჯსენისას“ ტექსტი (ნოსელი 2004: 198-285). ყუ-

რადღებას იპყრობს ხელნაწერის როგორც თანადროული, ასევე გვიანდელი ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც დაცულია XI-XVIII სს-თა მწიგნობრებისა და ჯვრის წიგნსაცავისადმი ქართველთა დამოკიდებულის ამსახველი არაერთი ცნობა. ხელნაწერი ორგზის აიკინძა იერუსალიმში ყოფნის დროს: 1570 წელს ბარნაბა თბილელის ინიციატივით და 1813-1814 წლებში ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ. 1772 და 1778 წწ-ში იოანე მღვდელ-მონაზვნისა და არქიმანდრიტ ანტონის მიერ შესრულებული კოლოფონებიდან ირკვევა, რომ მე-18 ს-ში ჯერ კიდევ ზრუნავდნენ ჯვრის მონასტრის წიგნსაცავის შევსებაზე არა მხოლოდ ხელნაწერი, არამედ ქართულ სტამბაში პირველნაბეჭდი წიგნებითაც. ხელნაწერი წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ნაკვლევია (ქავთარია 2003; კლდიაშვილი 2005: 143-162; ჯოჯუა 2012).


Vien.Geo.5. ოთხთავი. XVI-XVII სს. 281 ფ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით. ზოგი საზედაო ასო დეკორირებულია. გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ყდა რესტავრირებულია; განახლებულ ყდაზე დაკრულია ძველი ყდის ფრაგმენტები; სახარება დევს ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით გაფორმებულ ვერცხლის ბუდეში. ზედა ფრთაზე გამოსახულია ჯვარცმა, კუთხეებში – ოთხი მახარებელი. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა. თითოეულ სახარებას უძღვის ზანდუკი. გადამწერი ოთხთავს ურთავს ბერძნულ წესზე გაწყობილსა და სვინაქსართან შეთანხმებულ სახარების საძიებელთა განგებას (251r-280r). ხელნაწერს ათარიღებენ XII-XIII სს-ით, მაგრამ მისი შედგენილობისა და პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით ოთხთავის თარიღი უნდა განისაზღვროს XVI-XVII სს-ით. Vien.Geo.5 ტექსტი გამოცემული არ არის. ოთხთავის 280r-ზე გვხვდება მხედრულით შესრულებული მინაწერი, რომელშიც იხსენიება XVII ს II ნახ-ის მოღვაწეე იაკობ სამებელი (დუმბაძე). როგორც ცნობილია იგი 1647-1658 წწ-ში იყო შემოქმედელი მიტროპოლიტი, 1687 რომში შეხვდა რომის პაპ ინოკენტი XI, 1696 წელს გაემგზავრა რუსეთში, დონის მონასტერში, 1713 წელს აღესრულა იერუსალიმში. 1938 წლის 15 ივლისს ბიბლიოთეკამ ვენაში იყიდა ეს ხელნაწერი. თუ ბიბლიოთეკის დავთარში ჩაწერილ ცნობას დავუჯერებთ, „ეს წიგნი ეკუთვნოდა საქართველოს უკანასკნელ მეფეს, პრინც ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელიც 1921 წელს დახვრიტეს. მისმა მეუღლემ ეს სახარება თბილისში გაყიდა 1929 წელს“ (იმნაიშვილი 2008: 12).

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა რიგით მესამეა ავსტრიის წიგნსაცავთა შორის. მისი დაფუძნების ისტორია XVI ს-მდე მივყავართ. 1573 წელს დაარსებული იეზუიტთა კოლეჯი იმავე საუკუნის 80-იან წლებში გარდაიქმნა უნივერსიტეტად, რომელიც თავდაპირველად ყურადღებას უთმობდა მხოლოდ თეოლოგიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მონასტერთა ხელშეწყობით იზრდებოდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდიც. 1773 წლიდან უნივერსიტეტი სახელმწიფო ინსტიტუციად ჩამოყალიბდა, 1781 წელს კი ბიბლიოთეკამ ოფიციალური ინაოგურაცია გაიარა. ამჟამად ბიბლიოთეკა ფლობს ინკუნაბულების, ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების მდიდარ კოლექციას. აღსანიშნავია პაპირუსზე გადაწერილი ეგვიპტური წარმომავლობის 42 ერთეული; ბიბლიოთეკის კოლექციის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს VII-XI ს-ების სინური წარმომავლობის 5 ქართული ხელნაწერი წიგნი და 2 ფრაგმენტი, რომელთა ბიბლიოთეკის ფონდში არსებობაც ჰუგო შუხართის სახელს უკავშირდება. გარდა ამ ხელნაწერებისა, შუხართმა ბიბლიოთეკას გადასცა რამდენიმე ასეული ქართული ნაბეჭდი წიგნი, დოკუმენტები და წერილები. 2001 წელს ვახტანგ იმნაიშვილმა გრაცში დაცულ ხელნაწერებს მიუძღვნა ნაშრომი: „სინის მთიდან გრაცამდის (გრაცის ქართულ ხელნაწერთა ისტორია)“. პუბლიკაცია ძირითადად ეხება



1. Graz. Geo. 2058/1. 1r



2. Graz. Geo. 2058/1. 1v

გრაცის უნივერსიტეტის კუთვნილ ქართულ ხელნაწერებს, უფრო ზუსტად კი, ამ ხელნაწერების სინას მთიდან გრაცში მოხვედრის თავგადასავლებია ასახული (იმნაიშვილი 2001).

Graz. Geo. 2058/1. ხანმეტი ლექციონარი. VII ს. 27 ფ.; ეტრატი; თავ-ბოლო ნაკლულია; ძლიერ დაზიანებული; 18,8×16,1 სმ.; მთავრული; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით. ზოგიერთ ფურცელზე პირველი სტრიქონი ნაწილობრივ წაჭრილია და ასოების მხოლოდ ქვედა ნაწილი ჩანს, რაც ხელნაწერების რამდენიმე გზის აკინძვაზე მეტყველებს. პირველი ფურცელი მოსეულია, დანარჩენი – შეკრული. ტექსტი თარიღდება პალეოფრაფიული და ენობრივი ნორმების, კერძოდ, ზმნის S2 და O3 პირების არქაული „ხან“ პრეფიქსის საფუძველზე. მართალია, გრაცის ფრაგმენტებზე ხანები ზოგან ამოფხეკილია, მაგრამ ისინი მაინც იკითხება ტექსტში („სეტყჳ“, „ხეშინოდა“, „სრქუა“, „ხუწყი“). გრაცის ლექციონარში ხანმეტი ფორმების პარალელურად ამოკითხულია ჰაემეტი ფორმებიც („ჰიტყეზდნენ“, შეჰიძრნენ“, „ჰიხილო“) (სარჯველაძე 1984: 34). შესაბამისად, ფრაგმენტები VII ს-ით თარიღდება. გარდა ენობრივი არქაიზმებისა, ლექციონარი ყურადღებას იპყრობს რედაქციული თვალსაზრისითაც. იგი ასახავს V-VII სს-ში იერუსალიმური ლექციონარის რედაქციულ ჩამოყალიბებაში მიმდინარე პროცესებს. მასში შესულია დიდი შაბათის მწუხრის, აღდგომის ცისკრისა და მწუხრის, აღვსების ზატიკის მწუხრის საკითხავები მხოლოდ ახალი აღთქმიდან, რაც ძეგლის არქაულობის ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენს (შანიძე 1929: 322; Tarchnisvili 1960: 261-280; იადგარი 1980: 670). ლექციონარის ხანმეტი ვერსიის წარმომავლობა პალესტინურ გარემოს უკავშირდება. ხელნაწერი ინახებოდა სინის მთაზე, ამიტომაც იგი №9-ით შევიდა ა. ცაგარლის აღწერილობაში, რომელშიც მკვლევარს აღნიშნული ერთეული აღწუსხული აქვს 28 ფურცელით და რაობა განსაზღვრული აქვს, როგორც იოვანეს სახარება (Цагарели 1888: 199-200, №9). ტექსტის დასაწყისი კი მათეს 28,4-5 და დასასრული ლუკა 12,33-34 მუხლებია. რაც მთავარია, მკვლევარს ამავე ხელნაწერის ნაწილად და ბოლო ფურცლად აღქმული აქვს იოვანე-ზოსიმეს 983 წლით დათარიღებული ანდერძი. აღნიშნული ფურცელი ამჟამად ინახება ბირმინგემში, მინგანას კოლექციაშისაფონდო ნომრით Mingana.Geo.7. 1960 წელს ჟ. გარიტმა მინგანას

კოლექციის სხვა ქართულ ფრაგმენტებთან ერთად აღწერა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ხანმეტი ლექციონარის ნაწილად ჩათვლილი ე.წ. 29-ე ფურცელი. გაირკვა, რომ იოვანე-ზოსიმეს ეს ანდერძი გადაწერილია განსხვავებული ზომის ეტრატზე (18,5×12,2 სმ.), პალიმფსესტურ ფურცელზე[1] (Garitte 1960: 249-251). ნათელი გახდა, რომ ხანმეტმა ლექციონარმა ჩვენამდე 28 (და არა აქამდე მითითებულ 29) ფურცლით მოაღწია, რომელთაგან 27 ინახება გრაცში, ხოლო 1 – საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საფონდო ნომრით Geo.30. გრაცში არსებული ფურცლების რაობა, თარიღი და მნიშვნელობა განსაზღვრა აკ. შანიძემ, რომელმაც აღნიშნული ძეგლი ორგზის გამოსცა (შანიძე 1929: 313-353; 1944) და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ლექციონარის უძველესი ქართული თარგმანი. ბოლო წლებში ხანმეტი ლექციონარით დაინტერესდა გერმანელი მეცნიერი ი. გიპერტი, რომელმაც ქართველ მეცნიერებთან, ზ. სარჯველაძესა და ვ. იმნაიშვილთან, თანამშრომლობის შედეგად გამოაქვეყნა ლექციონარის ახალი წაკითხვები[2]. გრაცის ხელნაწერსა და ზოგადად ლექციონარის ქართული რედაქციებს, გარდა დასახელებული სამეცნიერო პუბლიკაციებისა, არაერთი შრომა მიეძღვნა (Кекелидзе 1912 (a); დანელია 1987; 1997; Renoux 1971; Outtier 1972: 399-402; იადგარი 1980: 663-691; ჭელიძე 2005, 105-106, სქ.82; მელიქიშვილი 2012 (a): 69-77; სევსურიანი 2016: 13-23).

Graz Geo. 2058/2. ფსალმუნი. X ს-ის I ნახ. 282(+1)ფ.; ეტრატი; პალიმფსესტი; ქვედა ფენა სომხური, ზედა – ქართული; 13,8×11 სმ.; მთავრული; ყავისფერი მელანი; სათაურები, ფსალმუნის რიგითი ნომრები და მინაწერები სინგურით. გვიანდელი გვერდობლივ პაგინაციაში დაშვებულია შეცდომები; ყავისფერი ტვიფრული ტყავის ყდა. გადამწერი: სერაპიონი, მომგებელი: დავითი. გრაცის ფსალმუნი ადრებიზანტიური რედაქციისაა. იწყება ხელნაწერის 5r-დან. ნაწერი გადასულია, გაცხოველებულია X ს-ის ნუსხურით. ხელნაწერში შესულია ფსალმუნი და გალობანი. ტექსტი იწყდება გალ. 5,17-ზე. ფსალმუნში მუხლთა რაოდენობა აღნიშნული არაა. ამავე რედაქციის ფსალმუნის სხვა ხელნაწერებისგან განსხვავებით, გრაცის ნუსხაში ფსალმუნებს ხშირად ვრცელი სათაურები აქვს. ხელნაწერი შესწავლილია და გათვალისწინებულია ფსალმუნის ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში (შანიძე 1960 (b)). არსებობს ამავე ნუსხის მეორე გამოცემაც (იმნაიშვილი 2004: 78-220).

Graz Geo. 2058/3. სვიმეონ სალოსის ცხოვრება. X ს. [981 წ]; 164 (173) ფ.; ეტრატი; 11,5×10,3 სმ.; ნუსხური; მელანი მუქი ყავიფერი; სათაურები და მინაწერები სინგურით; აბზაცები გამოყოფილია მთავრულით. გადამწერი: თეოდორე წყუდიელი, მომგებელი: იოანე კუმურდოელი. ყდა 981 წლისა. ყდის ოსტატი: იოვანე-ზოსიმე. ხელნაწერი იწყება 2r-დან. გვიანდელ ფურცლობრივ პაგინაციაში დაშვებულია შეცდომა და ფურცელთა რაოდენობა განსაზღვრულია 173-ით. რეალური რაოდენობა დადგენილი აქვს ვ. იმნაიშვილს, რომელიც 164 ფურცელს აფიქსირებს. წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა იმნაიშვილისეულ პაგინაციას, ხელნაწერისეული სათვალავი მითითებული ფრჩხილებში. (იმნაიშვილი 2004: 227). „სვიმეონ სალოსის ცხოვრება“ აღწერილი აქვს ალ. ცაგარელს 1883 წელს სინის მთაზე ყოფნის დროს. მეცნიერი ხელნაწერს IX-X სს. ათარიღებს (Цагарели 1888: 226, № 69). ცაგარლის აღწერილი ხელნაწერისა და გრაცის კოდექსის იდენტურობა ჰ. შუხართის მიერაა დადგენილი. ხელნაწერის ბოლო გვერდზე 16(173*)r, რომელიც მცირე ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი, იკითხება დაქარაგმებული ოთხი ასო „ლცყთ“. სიტყვის „ლოცვა-ყავთ“ ოთხი ასოთი დაქრაგმება დამხასიათებელია იოვანე-ზოსიმეს ხელწერისათვის. გრაცის ხელნაწერში შესული ტექსტის რედაქციული თავისებურებები არაა შესწავლილი. ტექსტი გამოცემული აქვს ვ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 2004: 228-258), ხელნაწერის ყდისა და კინძვის ისტორია გამოკვლეულია (კარანაძე 2002: 9-16; 2007 (b): 346-351).

[1] დაწვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ბირმინგემის კოლექცია.

[2] http://titus.unifranffurt.de/texte/etcs/ageo/xanmeti/grlekt/grlek.htm


Graz Geo. 2058/3.



3. ყდის ზედა ფრთა



4. ყდის ქვედა ფრთა




5. გვერდითი ხედი



6. 172r



7. 172v




8. 7r



9. ყდის ზედა ფრთის შიდა მხარე

Graz Geo. 2058/4. იაკობის ჟამისწირვა. იაკობის პირველშეწირულის ლიტურგია. 985 წ., X ს. 110 ფ.; ეტრატი; 20×15 სმ.; მსხვილი მთავრული; შავი მელანი; უყდო; თავნაკლული. ტექსტში გამოყენებულია როგორც სინგური, ისე მარგინალური ნიშნები მცირე ზომის ფიგურული ჯვრების სახით. გადამწერი და რედაქტორია იოვანე-ზოსიმე (94v-95r, 110 v); მომგებელი – კვრიკე (110v). შედგება 2 ნაწილისგან: I. – იაკობ მოციქულის ჟამისწირვა (1r-94v); II. იაკობის პირველშეწირულის ლიტურგია (96r-110r). ტექსტი ნათარგმნია ბერძნული ხელნაწერიდან, რომელიც მეშვიდე მსოფლიო კრების წინ იყო შექმნილი. წიგნის შედგენა-გადაწერაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის იოვანე-ზოსიმეს ანდერძი, რომელიც მოგვაქვს ფრაგმენტულად: „... ამის ჟამის წირვისა დედასა მრავალი განგებაჲ და ლოცვები და სიტყვები აკლდა თავითგან ვიდრე დასლამდე, ვითა მე ვიცოდე მოძღუართაგან ... ხოლო ვინ მაწერიებდა, მეველრებოდა ფრიად, რაჲთა არაჲ მაგას შინა სწერია, იგიაჲ ოდენ დამიწერეო. აწ იგიაჲ ოდენ დამიჩხ(რე)კია... ოდეს ესე ჟამისწირვაჲ დაიწერა სინა წმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდილისა ზოსიმესითა... დასაბამითგანი წელნი იყუნეს ქართულად ხფჯთ და ქორონიკონი იყო სე. ...“ (95r). სინური წარმომავლობის ამ ხელნაწერის პირველი აღწერილობა გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა (Цагарели 1888: 210, №31). 1883 წლის შემდეგ ცაგარლის მიერ აღწერილი ხელნაწერის ერთი ნაწილი სტრაჰოვის მონასტრის კუთვნილება გახდა. პრაღაში მას მიაკვლია აკ. ბელიაშვილმა. ხოლო მეორე ნაწილი კი მხატვარ ალფონს მილეხისგან შეიძინა ჰ. შუხართმა (იმნაიშვილი 2004: 259). ნუსხა 1929 წელს ფოტოპირის საფუძველზე აღწერა ა. შანიძემ, ხოლო 1932 წელს დედანი –გ. ფერაძემ. Graz.Geo.2058/4 იაკობის ლიტურგიის უძველეს რედაქციას წარმოადგენს (შანიძე 1929: 345-348; Peradze 1932: 255-272; ფერაძე 1940: 220). ხელნაწერის მიხედვით „იაკობის ჟამისწირვის“ ტექსტი გამოცემულია ორჯერ მ. თარხნიშვილისა და ვ. იმნაიშვილის მიერ (Tarchnišvili 1950; იმნაიშვილი 2004: 265-294). 2007 წელს 10 უძველესი ნუსხის მიხედვით დაიბეჭდა იაკობის ლიტურგიკიის ძველი ქართული თარგმანი. გამოცემაში ერთ-ერთ ნუსხად გათვალისწინებულია Graz.Geo.2058/4 ხელნაწერიც (Liturgia 2007). აღსანიშნავია, რომ იაკობის პირველშეწირულის ლიტურგია ბერძნულად მხოლოდ ფრაგმენტული სახით, ძველქართულად კი სრულადაა შემონახული. ამდენად, ძველ ქართულ თარგმანს დედნის მნიშველობა ენიჭება (ხევსურიანი 2016: 15-16).




10. Graz. Geo. 2058/4. 95r

Graz Geo. 2058/5. იოვანე ოქროპირის ჟამისწირვა. X-XI სს. ეტრატი; გრაგნილი; 4 კეფი; I კეფის სიგრძე: 9,5 სმ.; II – 64 სმ.; III – 57,5 სმ.; IV – 62 სმ; სიგანე მერყეობს 23,5-24,2 სმ. შორის; დაწერილია როგორც recto, ისე verso; ტექსტი მეორე კეფიდან იწყება, პირველ კეფზე დახატულია წნული ორნამენტისაგან შედგენილი გეომეტრიული ფიგურა, რომლის დიდი ნაწილი დაზიანებული, მოხეული და დაკარგულია. კუთხოვანი ნუსხური, ყავისფერი მელანი, სათაური და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი და მომგებელი უცნობია. მოგვიანებით მსხვილი ნუსხურით, შავი მელნით რამდენიმე ადგილას გაუცხოველებიათ გადასული ადგილები. ხელნაწერს აქვს არაერთი მი-

ნაწერი. ხელნაწერი ზედაპირულად აღწერა ა. ცაგარელმა, რომელმაც ტექსტი XI-XII სს-ით დაათარიღას (Цагарели 1888: 209, №29). ა. შანიძე ხელნაწერის აღწერისას (შანიძე 1929: 348) დაეყრდნო ცაგარლისა და გ. ჩუბინაშვილის, რომელმაც ა. შანიძის თხოვნით 1928 წელს აღწერა ხელნაწერი, მონაცემებს. მ. თარხნისშვილი ხელნაწერს X-XI სს-ში გადაწერილად მიიჩნევს (Tarchnisvili 1938: 80-83). ხელნაწერი Graz.Geo.2058/5 შედარებით ვრცლად აღწერა ვ. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 2004: 295-299), რომელმაც თარხნიშვილის პუბლიკაციაზე დაყრდნობით გამოსცა ტექსტი (იმნაიშვილი 2004: 300-313).

ფრაგმენტები

Graz. Geo. 2058/A, B, C, D. გრაცის ფრაგმენტები, რომლებიც აღნიშნულია A, B და C ლიტერებით, შესწავლილი აქვს შუხართს. მისი აზრით, B და C ერთი ხელნაწერის ფრაგმენტებია და სინური წარმომავლობისაა. ბუნებრივია, მათ შესახებ პირველი ცნობები სწორედ ა. ცაგარლის აღწერილობაში იყო მოსაძიებელი. მაგრამ მეცნიერს არაფერი აქვს ნათქვამი ამ ფრაგმენტთა შესახებ, რაც იმას გულისხმობს, რომ 1883 წელს ისინი ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული შესაბამისი ხელნაწერებიდან. შუხართმა ცაგარლის აღწერილობის საფუძველზე შეძლო B და C ფრაგმენტების იდენტიფიკაცია. მისი აზრით, ისინი ცაგ. 80-ის ე.ი. ასკეტიკურ კრებულ Sin.Geo.O.35-ის ნაწილიებია (Schuchardt 1928: 371-376). ამ ხელნაწერის გადამწერი და შემმოსველია იოვანე-ზოსიმე. ა. შანიძემ კი A ფრაგმენტში სინური სახარების საკითხავთა კრებულის Sin.Geo.O. 63 (ცაგ.13) ამოიცნო (შანიძე 1929: 349). სინური ხელნაწერი აღწერილი და შესწავლილია (Цагарели 1888: 204,№13; Mapp 1940: №63; Garitte 1974: 70-85; აღწერილობა 1987: 67-70).



11. Graz.Geo.2058A. 1r

A. ნაწყვეტი იოვანეს სახარებიდან. 1 ფ; ეტრატი; 31,1×25 სმ.; მთავრული; მუქი ყავისფერი მელანი, შიგადაშიგ გაცხოველებული. ა. შანიძემ და 3. შუხართმა დაადგინეს, რომ A ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტს იოვანეს სახარებიდან, კერძოდ, იოვ.15, 8-9 მუხლებს. აკ. შანიძის ვარაუდით, ფრაგმენტი ლექციონარიდან, კერძოდ, ცაგ. №13-დან უნდა ყოფილიყო ამოღებული (შანიძე 1929: 349). ფრაგმენტი აღწერა და გამოსცა ვ. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 2004: 314-316).

B და C. ნაწყვეტები მრავალთავიდან. 2 ფ.; ეტრატი, B ფურცელი 33,8×27,4 სმ.; C ფურცლი 33,8×25 სმ.; ორივე ფრაგმენტი დაწერილია შავი მელნით, მწყობრი კუთხოვანი მთავრულით, ორ სვეტად; B ფურცლის verso-ზე ზემოთ რვეულებრივი პაგინაცია აღნუსხულია მთავრულითა და ბერძნულით, სათაური სინგურითა და მთავრული ასოებით. მომდევნო სტრიქონზე გვხვდება ბერძნულად შესრულებული განმარტებითი წარწერა. B ფურცელი შეიცავს ფრაგმენტს წმ. ანტონის წერილებიდან, რომლებიც შეტანილია Patrologia Graeka-ს

მე-40 ტომში. C ფრაგმენტზეც სათაური, ასევე, სინგურითაა გამოყოფილი. ჰ. შუხართი ვრცლად აღწერს B და C ფრაგმენტებს და მათ ცაგ. №80-ის ნაწილად მიიჩნევს (Schuchardt 1928: 371-376). ა. ცაგარელის კატალოგის მიხედვით, ნუსხა „მამათა სწავლანს“ წარმოადგენს და დათარიღებულია X-XI სს-ით (Цагарели 1888: 232-233, №80). ფრაგმენტები ჩვენთვის საყურადღებოა იმითაც, რომ ის ხელნაწერი (Sin.Geo.O. 35 იგივე ცაგ. №80), რომლის ნაწილსაც წარმოადგენს Graz.Geo.2058/ B და C ფრაგმენტები, 973 წელს შემოსა იოვანე-ზოსიმემ მაყვლოვანის მონასტერში. B და C ფრაგმენტები აკ. შანიძემ 1929 წელს უნივერსიტეტის მოამბის IX ტომში გამოაქვეყნა (შანიძე 1929: 353). Sin. Geo.O.35 1946 წელს ვრცლად და საფუძვიანად აღწერა ჟ. გარიტმა (Garitte 1956 (a): 97-122), თუმცა იგი არაფერს ამბობს ხელნაწერის მმოსველ იოვანე-ზოსიმეს შესახებ. ვფიქრობთ, ეს არც არის გასაკვირი, რადგან Sin.Geo.O.35-ის კუთვნილი იოვანე-ზოსიმეს 973 წლით დათარიღებული კოლოფონი XIII ს-ში გადაწერილი Sin.Geo.O.67-ის ყდის ქვედა ფრთის საცავ ფურცლად გამოუყენებიათ (დვალი 1978: 72-83; კარანაძე 2002: 19, შენ. 89; 33, შენ. 132). ფრაგმენტები 2004 წელს ვრცლად აღწერა და გამოსცა ვ. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 2004: 317-322).

D ფრაგმენტი. ჰიმნოგრაფიული კრებული. XII ს. 1ფ.; ეტრატი, ნუსხური, საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით. D ფრაგმენტი წარმოადგენს ყველასათვის უცნობი ხელნაწერის ფოტოპირს. თავად ხელნაწერი დაახლოებით ერთი საუკუნის წინ ინახებოდა ავსტრიაში ფრიდრიხ შიულერის კერძო კოლექციაში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ავსტრიელთაგან, ვინც დაინტერესდა ქართული ხელნაწერებით. შიულერის არქივი დაკარგულია, ამდენად, ხელნაწერთა შესახებ ცნობებიც გაურკვეველია. ხელნაწერის ფოტოს აქვს წარწერა, რომელიც ეკუთვნის ჰ. შუხართს: „ფრ. შიულერისაგან გამოგზავნილი ხელნაწერიდან“. ვ. იმნაიშვილის ვარაუდით, D ფრაგმენტი და Graz.Geo.2058/5 ერთი პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი. ფოტოპირი აღწერა და გამოაქვეყნა ვ. იმნაიშვილა (იმნაიშვილი 2004: 323-326).

მხითარისტების ეკლესია ვენაში

მხითარისტების კონგრეგაცია დაარსდა კათოლიციზმის მიმდევარ სომეხთა წრეში. მისი დამფუძნებელი იყო მხითარ სებასტიელი, რომელმაც კონგრეგაცია 1700 წელს, კონსტანტინეპოლში, ჩამოაყალიბა. 1712 წელს მხითარ სებასტიელი მიმდევრებითურთ გაერიდა თურქთა რბევას, რომის პაპის მფარველობა მიიღო და ჯერ ვენეციაში, წმ. ლაზარეს კუნძულზე, დააარსა მონასტერი, ხოლო მოგვიანებით – ვენაში. მხითარისტების კონგრეგაციის საქმიანობა ძირითადად მიმართულია საგანმანათლებლო-ლიტერატურული საქმიანობისკენ. ვენის მხითარისტების ეკლესიის ბიბლიოთეკა 170 000 წიგნსა და 28 000 ხელნაწერსა და ფრაგმენტს ფლობს.

ვენის მხითარისტების ეკლესიის წიგნსაცავში დაცულია 7 ერთეული ქართული ხელნაწერი წიგნი. ცნობები ამ ხელნაწერებზე ძალზე მწირია. ცნობილია მხოლოდ დასახელება ამ წიგნებისა: მოსეს გალობანი, ფსალმუნი, ანას ლოცვა, იონას გალობა და სხვ. ყველა ეს ხელნაწერი, არსებული ცნობების თანახმად, მე-18 საუკუნისაა. ჩვენი ვარაუდით, ეს არის კათოლიკური შინაარსის ხელნაწერი წიგნები. რა გზით აღმოჩნდა ეს ერთეულები ვენის მხითარისტთა ეკლესიაში, დღეისათვის ცნობილი არაა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ვარაუდი შემდგომია: XVII-XVIII სს. ქართული კათოლიკური წიგნები მრავლად შედგა და გადაიწერა, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთში, სადაც ქართველ კათოლიკებთან ერთად ამავე აღმსარებლობის სომხური დიასპორაც არსებობდა. გარდა ამისა, რომის პაპმა ქართული კათოლიკური ეკლესია სომხურ კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა. ამგვარი ფაქტები, რაღა თქმა უნდა, გააიოლებდა ქართული ხელნაწერი წიგნების მხითარისტთა წრეში მოხვედრას.

ამერიკის შეერთებულ შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო-საბიბლიოთეკო ცენტრებში ქართული ხელნაწერი წიგნის პირველი ეგზემპლარი 1940 წელს გამოჩნდა, ხოლო ბოლო – 2012 წელს. საქმე ეხება X-XI სს-ის მეტად მნიშვნელოვან სამ ხელნაწერს და ერთ ფრაგმენტს, ასევე XVII-XVIII სს. სამ ხელნაწერს, რომლებიც დაცულია ექვს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში: ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოუტონის ბიბლიოთეკაში, პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ვაშინგტონის დუმბარტონ ოუქსის ბიზანტინისტიკის კვლევის ცენტრში, მაუნტ ვერნონის უოლტერსის ხელოვნების მუზეუმში, ინდიანას უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკაში და ჰილის მუზეუმსა და ხელნაწერთა ბიბლიოთკაში. ის ფაქტი, რომ ჰილის მუზეუმში ქართული ხელნაწერი 2012 წელს შევიდა, იმედს გვიტოვებს, რომ ქართული ხელნაწერის წიგნის დღეისათვის დაკარგულმა არაერთმა ფურცელმა, შესაძლოა, კვლავ იჩინოს თავი და დაიდოს ბინა მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკასა თუ სიძველეთსაცავში.

აშშ-ში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შესახებ გამოცემაში მოწოდებული პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ცნობები ეყრდნობა ცალკეულ ერთეულთან დაკავშირებით უცხოეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებსა და ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგებს, რომლებიც მოწოდებულია ყოველი ერთეულისათვის დართულ ლიტერატურაში (Цагарели 1888: 239-240; Blake 1944: 226-285; 1945-1949: 97-104; ამირანაშვილი 1961: 212-213; კეკელიძე 1962: 5-36; Garitte 1964: 29-64; Fogg 1966; Шмерлинг 1979: 84-89; მენაბდე 1980; Raasted 1992: 219-232; Skemer 1996: 335-343; Jeffery 2003: 1-21; Kotzabassi 2010: XXIX, 304; Checklist 2013; Mc Collum 2015: 85-93; კლდიაშვილი 2018). ცალკეულ შემთხვევებში კორექტივების შეტანისას ავტორთა ჯგუფი ეყრდნობა ქართული ხელნაწერი წიგნის კვლევის არსებულ გამოცდილებას.

ჰოუტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდი

ჰოუტონის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდ წიგნთა და ხელნაწერთა უმთავრეს საცავს, რომელიც 1938 წელს ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკარისა და ჰარვარდის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორ კეის დევიტ მედკალფის წინადადებით ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საცავი. მისი შენობის მშენებლობა დასრულდა 1942 წელს, ძირითადი ფინანსური უზრუნველყოფა ეკუთვნოდა არტურ ჰოუტონ უმცროსს, რომლის სახელსაც ამჟამად ატარებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მდიდარი კოლექცია განაწილებულია ხუთ საკურატორო განყოფილებაში. ძველნაბეჭდ წიგნთა და ხელნაწერთა განყოფილება აერთიანებს შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ხელნაწერი წიგნებისა და 2500 ინკუნაბულის კოლექციას. ხელნაწერთა კოლექციაში წარმოდეგნილია როგორც უძველესი პაპირუსები, ასევე შუა საუკუნეების ლათინური, ბერძნული, არაბული, ინდური, სირიული, სლავური და ევროპის უმთავრეს ენებზე შექმნილი ხელნაწერები, რომელთა ქრონოლოგიური ზღვრებიც ძვ. წ. 3000-ახ.წ. 1600 წ-მდე პერიოდს მოიცავს[1]. ამ კოლექციაში 1940 წლიდან საფონდო ნომრით MS.Georgian1 დაცულია შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ილუსტრირებული ქართული ხელნაწერი წიგნი ბერთის ოთხთავი.


MS Georgian 1. ბერთის ოთხთავი. X ს. 257 ფ.; ეტრატი; მთავრული. ანდერძი ნუსხურად. 26,2×21,8 სმ.; მელანი ყავისფერი. შემკულია დეკორირებული კანონებითა და ფეხზე მდგომ მახარებელთა შეწყვილებული გამოსახულებებით. ბიბლიოთეკის საცავში მოხვედრისთანავე წიგნმა მიიპყრო

[1] ბიბლიოთეკის კოლექციების შესახებ იხ.: http://www.hcl.harvard.edu/libraries/houghton/collections/early.html.

ამერიკელ ორიენტალისტთა ყურადღება. პირველი ვრცელი და დაწვრილებითი კოდიკოლოგიური და ხელოვნებათმცოდნეობითი გამოკვლევა მას რ. ბლეიკმა და ს. დერ ნერსესიანმა მიუძღვნეს (Blake 1944: 226-285). როგორც გაირკვა, ხელნაწერი 1830 წელს ყარსში შეუძენიათ ამერიკელ მისიონერებს, რისი დამადასტურებელი მინაწერიც წიგნის 2v -ზე იკითხება: „This Georgian Gospels was found by Messrs. Smith and Dwight, American Missionaries, in the Armenian Church of Cars, Oune 28, 1830". ზემოთ დასახელებული გამოკვლევის საფუძველზე სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა წიგნის როგორც პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მონაცემები, ასევე კოლოფონები. ოთხთავის შავთეთრი ფოტოასლი ამჟამად კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება[1].

ხელნაწერისადმი ინტერესს ზრდის ის ფაქტი, რომ იგი შექმნილია ისტორიული საქართველოს, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვანს სამონასტრო ცენტრში. წიგნის გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ცნობებს, უპირველეს ყოვლისა, გვაწვდის ოთხთავის ბოლოს დართული კალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული გადამწერის ანდერძი, რომელში მოხსენიებული ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრების შესახებ არსებული ისტორიული ცნობების საფუძველზე ხელნაწერი თარიღდება X ს-ის დასასრულით: „... მე გლახაკი გაბრიელდა მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას,საყოფელსა წმიდისა ღმრთისშობელისასა, სალოცველად მეფეთა ჩუენთა: სუმბატ ერისთავთა ერისთავისათჳს და შვილთა მათთათჳს – დავითისთჳს და ბაგრატისთჳს...". ბერთის ოთხთავი დახვეწილი კალიგრაფიითა და ტექსტის ორგანიზებით, სახარების რედაქციული თავისებურებითა და მოხატულობის იკონოგრაფიული ტიპით სავსებით პასუხობს სწორედ ამ ეპოქის ქართული ტაოკლარჯული სკრიპტორიუმების სამწიგნობრო მოთხოვნებს. წიგნის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ ქართული წერილობითი კულტურის ფარგლებს, ვინაიდან მასში შემავალი ტექსტი წარმოადგენს ახალი აღთქმის ამ უმნიშვნელოვანესი წიგნის ადრებიზანტიური რედაქციის თარგმანს, რომელიც, ბლეიკის აზრით, 913 წლის ოპიზისა და 995 წლის ტბეთის პირველი სახარებების შუალედურ ვერსიას წარმოადგენს (Blake 1944:257). ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ IX-X სს-ის ქართულ ხელნაწერ სახარებებს, რომლებშიც არ გვხვდება რედაქციული ერთგვაროვნება, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადრებიზანტიური რედაქციის ტექსტის აღდგენის საქმეში. ამ მხრივ კი საგანგებო ყურადღებას იქცევენ სწორედ ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმებში გადაწერილი ოთხთავები, რომელთა არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა არსებობს (Адишское 1916; Blake 1928; 1950; შანიძე 1945; Briere 1955; Molitor 1965; ადიშის 2003). სწორედ მათ რიგში დგება ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერიც, რომლის მნიშვნელობის კვლევა ჯერ კიდევ სამომავლო საქმედ რჩება. ხელნაწერი საინტერესო მხატვრული თვალსაზრისითაც, რადგან იგი არის ერთ-ერთი იმ ოთხთავთაგანი, რომელთა დეკორირებული კამარებითა და მინიატურებით შემკობაც ისევ და ისევ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკრიპტორიუმებში დაიწყო. ხელნაწერის მხატვრული შემკულობაც განსხვავდება თანადროული ტაოკლარჯული მოხატული ხელნაწერებისგან (ადიშის, ჯრუჭის I, ტბეთის I ოთხთავებისგან). ბერთის ოთხთავის პირველ მკვლევართა, რ. ბლეიკისა და ს. დერ ნერსესიანის აზრით, ხელნაწერების შემკულობა სომხური ტრადიციის ანალოგს წარმოადგენს, თუმცა არ მიჰყვება მას აბსოლუტური სიზუსტით. ქართული წერილობითი კულტურის ზოგადბიზანტიურ კონტექსტში კვლევის გამოცდილებამ ნათლი გახადა, რომ IX-X სს-ის ქართული ხელნაწერი წიგნები ინარჩუნებენ აღმოსავლური ქრისტიანული კულტურის ადრეულ რედაქციებს, მათი უშუალო წყაროების ძიება უნდა ეყრდნობოდეს არა ცალკეული ერთეულის განყენებულ კვლევას, არამედ მის გააზრებას ერთან კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში. ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის სწორედ ამ

[1] 1959 წელს ხელნაწერის მიკროფილმი ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გაცვლის წესით მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (ლოლაშვილი 1959; შანიძე 1960 (a)).



12. MS Georgian 1. 237r




13. MS Georgian 1. 257v

მიმართულებით შესწავლამ მკვლევრები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ბერთის ოთხთავის მსატვრული სისტემა მიჰყვება ოთხთავის ილუსტრირების ადრებიზანტიურ ტრადიციას, რომელიც მხატვრულ ფორმათა ძიების მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ჯერ კიდევ არაა მოქცეული კონსტანტინეპოლური ეპოქის მკაცრად კანონიზირებულ ჩარჩოებში (ამირანაშვილი 1961: 204-205; Шмерлинг 1979: 84-89). ხელნაწერი გამოირჩევა სხვადასხვა პერიოდის მინაწერთა სიმრავლით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბერთის ოთხთავის ერთ-ერთმა მინაწერმა შემოინახა „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ადრეული ტაეპი იორდანეს მოსასსენებლითურთ: „მართლად იტყჳს მოციქული, შიში შეიქს სიყვარულსა“. “ცოდვილსაჲ ვისმე იორდანეს შეუწდვენ ღმერთმან“ (237r). ხელნაწერზე არსებული XV-XVI სს მხედრული და ნუსხური მინაწერები იძლევა მნიშვნელოვან მასალას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევისათვის (კლდიაშვილი 2018)

პრინსტონის უნივერსიტეტი

ნიუ ჯერსის შტატში მდებარე პრინსტონის უნივერსიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ 1746 წელს ნიუ ჯერსის კოლეჯის (College of New Jersey) სახით დაარსდა, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი უნივერსიტეტია. მის ბიბლიოთეკაში ინახება სხვადასხვა ენაზე შექმნილი ათასობით ხელნაწერი წიგნი.1924 წელს ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდის ხელნაწერ სიძველეთა მოყვარულმა და კოლექციონერმა რობერტ გარეტმა (1875-1961) 11000 ხელნაწერისაგან შემდგარი პირადი კოლექცია, მათ შორის „აქსუმის გრაგნილები“, პრინსტონის უნივერსიტეტს შესწირა. ჩვენთვის საინტერესო ქართული ხელნაწერი დაცულია ბიბლიოთეკის ხელნაწერების, ძველნაბეჭდი წიგნებისა და სპეციალური კოლექციის განყოფილებაში საფონდო შიფრით Garrett MS 24. ხელნაწერი რ. გარეტმა 1924 წელს ლაიფციგში წიგნით მოვაჭრისაგან შეიძინა (Skemer 1996: 335-336).

Garrett MS. 24. სირიულ-ბერძნულ-ქართული პალიმფსესტი, ალექსანდრე კჯპრელის ჯვრის პოვნის საკითხავი. 986 წ. 99 ფ.; ეტრატი, 15×12 სმ.; ნუსხური, გადამწერი იოვანე-ზოსიმე. ხელნაწერი სინური წარმომავლობისაა. იგი 1883 წელს ნახა და აღწერა ალ. ცაგარელმა, ხელნაწერი სინაზე აღარ უნა-



14. Garrett MS. 24. 64r

სავთ აღარც ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს. ცაგარელის აღწერილობით, ხელნაწერის ნომერია 93 (Цагарели 1888: 239-240). 1980 წელს, როდესაც ლ. მენაბდემ გამოსცა „ძველი ქართული მწერლობის კერების" მე-2 ნაწილი, ხელნაწერის იმჟამინდელი დაცულობის ადგილი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის (მენაბდე 1980: 62). მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჟ. გარიტის სტატია (Garitte 1967: 39-53), პრინსტონის უნივერსიტეტის ხელნაწერთა აღწერილობა და იორგენ რაასტედის სპეციალური წერილი (Raasted 1992: 219-232) აღნიშნულ ხელნაწერზე, ჩვენთვის სელმისაწვდომი გახდა ამ წიგნის შესახებ მეტ-ნაკლებად დაზუსტებული ინფორმაცია. ხელნაწერის წარმომავლობისა და მისი შემავსებელი ნუსხების გამოვლენა შესაძლებელი გახდა სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ახლადაღმოჩენილი ქართული ხელნაწერების კატალოგიზაციის შემდგომ (აღმოჩენები 2005: 266-267). გაირკვა, რომ პრინსტონის ხელნაწერი წარმოადგენს ალექსანდრე კვიპრელის ჯვრის პოვნის საკითხავს, გადაწერილს იოვანე-ზოსიმეს მიერ 986 წელს, რომელიც ალ. ცაგარელს №. 93-ით ჰქონდა აღწერილი (Цагарели 1888: 293). მისი 1 ფურცელი დაცულია კემბრიჯის უნივერსიტეტის მინგანას კოლექციაში საფონდო ნომრით Mingana. Geo. 4, დასაწყისი 23 ფურცელი – სინის მთის ახალ კოლექციაში Sin.Geo.N.20, ხოლო დასარული 30 ფურცელი, რომლებიც ცაგარლის კატალოგში n.92 აღწერილი, ამაჟამად გეტინგენის ბიბლიოთეკის ფონდის კუთვნილი Ms. Syr. 17,19,21,22,23,24,25. SuUB. ხელნაწერია. პალიმფსესტის ბერძნული ფენა შეისწავლა J. Raasted-მა. მკვლევარი კოდექსს იერუსალიმური ტრადიციის ირმოლოგიონს, ანუ ძლისპირთა კრებულს მიაკუთვნებს (Raasted 1992: 219-232). 2003 წე ლს P. Jeffery-მ გამოაქვეყნდა გამოკვლევა, რომელშიც მან ხელნაწერის საფუძველზე შუა საუკუნეების საგალობლების რეპერტუარის ჩამოყალიბება მიმოიხილა (Jeffery 2003: 1-21). ხელნაწერის ქართული ფენა იოვანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებაა. ამ ჟანრის თხზულებები ასკეტიკურ-ჰომილეტიკური შინაარსის კრებულებში – მრავალთავებსა და მათ მოდელზე შედგენილ კოდექსებში შედიოდა. ამდენად, ქართული ხელნაწერიც სწორედ ამ სახის კრებულს უნდა წარმოადგენდეს. ხელნაწერს ერთვის იოვანე-ზოსიმეს ანდერძი, რომელიც გვაწვდის ხელნაწერის გადაწერის ზუსტ თარიღს: „ოდეს ესე წიგნი დაიწერა და განსრულდა, და შეიმოსა ჴელითა იოანე ფრიად ცოდვილისათა, სინა წმიდასა, დასაბამითგან წელნი იყუნეს ქართულად ხფყ (986) და ქორონიკონი იყო სვ (986). და ბერძულად წელნი იყვნეს ხფთი ქორონიკონი ჟდ, ინდიქტიონი იყო იდ. ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, მიქაელ, კირილე, მიქაელ, იოანე, ბასილი და ყოველნი ქრისტიანენი, ამინ" (Цагарели 1888: 239-240).

დუმბარტონ ოუქსის ბიზანტინისტიკის ცენტრი. ვაშინგტონი

ვაშინგტონის განაპირას, ჯორჯთაუნში მდებარე დუმბარტონ ოუქსი (Dumbarton Oaks) ბიზანტინისტიკის დარგში მსოფლიო მნიშვნელობის კვლევითი ცენტრია. Dumbarton Oaks-ის კოლექცია,

რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ამერიკელი დიპლომატების წრიდან გამოსულმა ამ სასახლის მფლობელმა ბლისების ოჯახმა (ისინი სასახლეს 1920 წლიდან ფლობდნენ), ბიზანტიური ხელოვნებისა და კოლუმბამდელი პერიოდის ხელოვნების არაერთ მნიშვნელოვან ნიმუშს ითვლის. ამჟამად მას ჰარვარდის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო მართავს. ცენტრის ფონდებში დაცულია იერუსალიმური წარმომავლობის ერთი ქართული ხელნაწერი.

Dumbarton Oaks MS 2. თვენი. XI ს. შუა წლები. 377 ფ.; ეტრატი, 23,5×17 სმ.; ნუსხური. გადამწერი: იოვანე დვალი, შემმოსველი: ნისთერეონი. ხელნაწერი შინაარსით დეკემბერ-თებერვლის თვენია. ხელნაწერი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საკუთრება იყო. იქიდან კი იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მოხვდა, საიდანაც 1883 წლის შემდეგ დაიკარგა. ხელნაწერი თავდაპირველად აღწერა ალ. ცაგარელმა და მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა ჯვრის მონასტრის ხელნაწერების კატალოგში (Цагарели 1888: 164, №36). ჯვრის მონასტერში ხელნაწერი აღარ დახვედრიათ არც ნ. მარს და არც რ. ბლეიკს. მოგვიანებით კრებული ევროპაში ნახა ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1947). 40-იან წლებში თვენის ამ ხელნაწერის შესახებ ცნობები სამეცნიერო საზოგადოებას მიაწოდა რ. ბლეიკმა (Blake 1945-1949: 97-104). 60-იან წლებში კი გამოკვლევები გამოაქვეყნეს კ. კეკელიძემ და ცნობილმა ბელგიელმა ორიენტალისტმა ჟ. გარიტმა (კეკელიძე 1962: 5-36; Garitte 1964: 29-64). ხელნაწერის შავ-თეთრი ფოტოპირი ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. წიგნი გადაწერილია ჯვრის მონასტრის წიგნსაცავისთვის მისი წინამძღვრისა და ამგების გიორგი-პროხორეს დავალებით. ესაა თვენის მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელშიც წარმოადგენილია ამ საღვთისმსახურო კრებულის ადრეული რედაქცია, ანუ გარდამავალი ტექსტი IX-X სს-თა იადგარებიდან გიორგი ათონელის თვენისკენ. თვენის I რედაქცია შედგენილობით ქართული მოვლენაა, რომელშიც შეზავებულია ღვთისმსახურების ორი ტრადიცია – იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური (ჯღამაია 2016: 198). ამდენად ამ ხელნაწერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო კრებულების შესწავლაში. კრებულის გადამწერია ცნობილი კალიგრაფი, გიორგი პროხორეს მიერ შემოკრებილ მწიგნობართა ჯგუფის წევრი იოვანე დვალი: „სახელითა ღმრთისაჲთა, განსრულდა ესეცა წიგნი სამი თთუ%, დეკენბერი იანვარი და ფებერვალი, ბრძანებითა და მოღუაწებითა ღმერთშემოსილისა მამისა და მოძღურისა გიორგი პროხორესითა. ქრისტემან ამათ ყოველთა წმიდათა მისთა თანადიდებულ ყავნ სული მათი სასუფეველსა ცათასა, ამენ. ლოცვასა მომიჴსენეთ ცოდვილი უცბად მჩხრეკალი იოვანე დვალი, წმიდანო მამანო...(377r)“ . რაც შეეხება წიგნის შემმოსველ ნისთერეონს, იგი ფიგურირებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ 1049 წელს გოლგოთაზე იოვანე გოლგოთელის დაკვეთით გადაწერილი ივლის-აგვისტოს თვენისა (ხეც. H 2337) და 1052 წელს საბაწმიდის ქართველთა სავანისათვის გადაწერილი მარხვანის Sin. Geo.O. 5 შემოსვაში.

უოლტერსის ხელოვნების მუზეუმი. მაუნტ ვერნონი. ბალტიმორი

Ms. W. 549. ოთხთავი. XVII ს. 270 ფ.; ნუსხური; გადამწერი პაპუნა მწერალი. შემკულია მახარებელთა მინიატურებით: მათე (1v), მარკოზი (67v), ლუკა (114v), იოანე (190v). ტყავის ყდა შედარებით გვიანდელი, XVIII-XIX საუკუნისაა, რაზეც მიუთითებს მისი მოოქრული ტვიფრული შიდა მხარე. ყდის გარდა, ხელნაწერს ახლავს აღმოსავლურ სტილში გაფორმებული ოქროსა და მინანქარში შესრულებული ლუსკუმა. საყურადღებოა მისი მხატვრული გაფორმება – ზედა ფრთაზე გამოსახულია ჯვარცმა, ქვედა ფრთაზე – ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. ლუსკუმა დაკვეთილი და შესრულებულია სპარსეთში. შესაბამისად, ეს ქრისტიანული სიუჟეტები შესრულებულია აღმო-

სავლურ – სპარსულ სტილში. ლუსკუმას გასდევს ორ რიგად სევადით შესრულებული მხედრული თარიღიანი (1702 წ.) წარწერა:

„ქ: ნებითა და შეწევნითა მღრთისათა (sic), ჩვენ, ფრიად ცო|დვილმან, დიდისა და ზეშთა აღ|მატებულისა ქართლისა მეფეთ-მეფისა, სრულიად ერ|ანისა სპასალარისა, ყანდარის და ქირმან||ისა ბეგლარ-ბეგისა გიორგი, ცოთვილისა (sic) პ(ა)ტ(რ)ონისა [მსახურმან]| მონამან მდივანმა კვინიხიძემა | გიორგიმ მ(ო)ვაჭედინეთ პატიოსანი სახარება ეს | სულთა და ხორცთა საოხად ამინ. ქ(ორო-ნი)კ(ონ)ს(ა) ტჳ“ (1702)“.

როგორც მინაწერიდან ირკვევა, ხელნაწერი ქართლის მეფე გიორგი XI-ის (ქართლის მეფე 1676-1688, 1703-1709) მდივანს გიორგი კვინიხიძეს მოუჭედინებია. ხელნაწერის შესახებ ინფორმაცია დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის საარქივო ფონდში – აკად. გიორგი ჩუბინაშვილის პირად არქივში (ამჟამად მუშავდება). არქივში დაცულ ლუსკუმის ფოტოს ახლავს უოლტერსის მუზეუმის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ლუსკუმა 1687 წლით თარიღდება, რაც, ჩვენი აზრით, ქორონიკონის აღმნიშვნელი გრაფემების არასწორად წაკითხვით უნდა იყოს გაპირობებული. ქართლის მეფე გიორგი XI ირანის სპასალარის, ასევე ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარ-ბეგის სახელოს 1687 წელს არ ფლობდა. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული მინაწერის თანახმად გიორგი XI-ს ირანის შაჰმა ზემოთ ჩამოთვლილი სახელოები უბოძა 1702 წელს და არა 1703, როგორც ეს ისტორიოგრაფიაში აქამდე იყო ცნობილი. წიგნის პირველი აღწერილობა შეადგინა ე. თაყაიშვილმა. გამოქვეყნდა 1991 წელს (თაყაიშვილი 1991: 75-78).

ჰილის მუზეუმი და ხელნაწერთა ბიბლიოთკა

მუზეუმი და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა წმ. იოანეს სააბატოსა და კოლეგევილის უნივერსიტეტთან (მინესოტას შტატი) დაარსეს ბენედიქტელმა ბერებმა. ორგანიზაციის ამოცანაა საფრთხის ქვეშ მყოფი თემების კუთვნილი ხელნაწერების იდენტიფიცია, კატალოგიზაცია-დაარქივება და დიგიტალიზაცია. ქართული ხელნაწერის ფრაგმენტი აღნიშნული მუზეუმის ბიბლიოთეკამ 2012 წელს სოტბის აუქციონზე 4,375 გირვანქა სტერლინგად შეიძინა და დღეს მუზეუმში დაცულია Schøyen collection Ms. 1599 ნომრით.

Schøyen collection Ms. 1599. იოვანე ოქროპირი.„სოფლისა ამისთჳს წარმავალისა, სიკუდილისა-თჳს და საშჯელისა“. [X-XI სს.] 1ფ.; ეტრატი, 1r პალიმფსესტი, ქვედა ფენა მთავრული, განსაკუთრებით კარგად ჩანს ამიაზე; ზედა ფენა ნუსხური, ყავისფერი მელანი, r-ზე მთავრულით რვეულებრივი პაგინაცია: ნა (51-ე) რვეულის დასაწყისი .

ხელნაწერის რაობისა და მიახლოებითი დათარიღების საკითხებზე პირველადი კვლევა ეკუთვნის A. Carter Mc Collum, რომელმაც ფურცლის ფოტოპირიც გამოაქვეყნა (Mc Collum 2015: 85-93). მკვლევრის თანახმად, აღნიშნულ ფურცელზე ნუსხურით გადაწერილია ჰომილია „სოფლისა ამისთჳს წარმავალისა, სიკუდილისათჳს და საშჯელისა“, რომლის შესატყვისი ბერძნული დედანი CPG 4622 სხვადასხვა გამოცემაში მიეწერება როგორც იოვანე ოქროპირს, ასევე ეფრემ ასურს. ქართულ სამწერლობი ტრადიციაში ეს ჰომილია ცნობილია იოვანე ოქროპირის ავტოროობით. იგი დაცულია X ს-ის კლარჯულ-პალესტინური წარმომავლობის კრებულებში: Sin. Geo. O. 36, 28v-34v; Sin. Geo. O. 50, 156v-183v, Ivir.Geo.9, 66r-74v., S1139, 54r-70v. ჰილის ფრაგმენტი ვარიანტულ დონეზე სხვაობს ძველი ქართული თარგმანებისგან, შესაბამისად, ისიც ადრეული, პალესტინური რედაქციის ტექსტია. საინტერესოა ერთი გარემოემაც: ფრაგმენტი გადაწერილია ყავისფერი მელნით, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა X–XI სს-ში ტაო-კლარჯეთისა და საბაწმინდის სკრიპტორიუმებში გადაწერილ ხელნაწერებში.

ლილის ბიბლიოთეკა, ინდიანას უნივერსიტეტი

ინდიანას შტატის ქ. ბლომინგტონში მდებარე ინდიანას უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკაში დაცულია ბრიტანელი მეცნიერისა და პოლიტიკოსის უილიამ ედვარდ დევიდ ალენის (1901-1973) კოლექცია. კოლექცია მე-20 საუკუნის დოკუმენტების გარდა მოიცავს შუა საუკუნეების აღმოსავლურ ხელნაწერებსა და ახალი ეპოქის საისტორიო დოკუმენტებს. მათ შორის არის ორი ქართული ხელნაწერი:

Allen Mss: 19 . სამადლობელი. 1746 წ.; ქაღალდი, 55 ფ.; ხელნაწრში მოთავსებულია 8 (ოთხი დიდი და 4 მცირე ზომის) მინიატურა. ხელნაწერს ახლავს თეიმურაზ ბატონიშვილის 1815 წლით დათარიღბული მინაწერი, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრის, ბრიტანელი ლინგვისტისა და დიპლომატის, სერ გორ ოუსლის მიმართ.

Allen Mss: 22 . სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. 1724 წ. ქაღალდი, 323 ფ.; ნაწერია შავი და წითელი მელნით, გადამწერი იოანე ლარაძე, დამკვეთი მზეჭაბუკ ორბელიანი. ხელნაწერი შემკულია მოხატული საზედაო ასოებით. წიგნის მე-6 გვერდზე არის ხელნაწერის ძველი მფლობელის, გიორგი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის, მინაწერი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიაში ქართული ხელნაწერი წიგნის პირველი ცალები XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა, ხოლო ბოლო – XXI საუკუნეში. საქმე ეხება X-XIX სს-ით დათარიღებულ ფრაგმენტებსა თუ ხელნაწერებს. თავდაპირველად ცნობები ქართული ხელნაწერების შესახებ ლაიფციგის ბიბლიოთეკის კატალოგში შეუტანია K. Vollers-ს (Vollers 1906; Assfalg1963 (a): IX). ამ საქმეში მას კურირებას უწევდნენ ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომლები: H. Bojer-ი, O. Meier-ი და H. Striedl -ი. არსებობდა აგრეთვე რ. მეკელაინის მიერ შედგენილი ბერლინის, ყოფილი პრუსიის, სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების სია, მანქანაზე ნაბეჭდი ერთი გვერდი, შინაარსობრივად მწირი. მოგვიანებით W. Voigt-მა მარბურგიდან გაფანტულ ხელნაწერებს თავი მოუყარა და ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდს შეუერთა (Assfalg1963 (a): IX). ამავე ფონდს შეემატა ქართული ხელნაწერებიც ტუბინგენიდან. ასე რომ, ბერლინის ბიბლიოთეკაში თავი მოიყარა 8 ქართულმა ხელნაწერმა. ლაიპციგში ინახებოდა ხუთი ხელნაწერი და ფრაგმენტი, თითო-თითო კი – გოტინგენსა და ჰალეში. 1963 წელს იულიუს ასფალგმა გამოსცა გერმანიაში დაცული ხელნაწერების პირველი და დღემდე ერთადერთი კატალოგი. მკვლევარმა ეს შრომა უძღვნა ქართველი მეცნიერის, მიხეილ თარხნიშვილის, ხსოვნას (Assfalg 1963 (a): X).

კონსტანტინე ფონ ტიშენდორფი (1815–1874)

გერმანელი თეოლოგი, უძველესი ენებისა და ქრისტიანული მწერლობის ისტორიის მკვლევარი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ადრეული ქრისტიანული ძეგლებისა და ბიბლიის პალეოგრაფიის განვითარებაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ 1840 წელს ამოიკითხა საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული Codex Ephraemi rescriptus-ის სახელწოდებით ცნობილი პალიმფსესტური ხელნაწერი, რომლის ქვედა ფენაზე დაცულია V ს-ის ბერძნული ბიბლიის ტექსტი, ხოლო ზედა ფენაზე XII ს-ში გადაწერილია ეფრემ ასურის 38 ჰომილია. 1844 წლიდან იგი იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1859 წელს მას გაუხსნეს ბიბლიის პალეოგრაფიის კათედრა. ფონ ტიშენდორფმა ევროპის დიდი ბიბლიოთეკების შემდგომ მიმართა აღმოსავლეთის წიგნსაცავებსაც იქ დაცული მანუსკრიპტების შესწავლისა და გამოცემის მიზნით. იგი სამგზის იმყოფებოდა სინის მთაზე, სადაც აღმოაჩინა და შემდგომ შესწავლის მიზნით პეტერბურგში ჩაიტანა სინური კოდექსის სახელწოდებით ცნობილი ძველი და ახალი აღთქმის შემცველი ხელნაწერი წიგნი. დღეს სინური კოდექსი 4 მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრში ინახება (ბრიტანეთის ბიბლიოთეკა, ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სინას მთის წმ. ეკატერინეს წიგნსაცავი და რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკა პეტერბურგში.) ბიბლიური ტექსტების გარდა, ფონ ტიშენდორფმა შეისწავლა და გამოსცა ახალი აღთქმის არაერთი აპოკრიფული თხზულება. მან გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა, რომლებიც სპეციალისტთა წრეში დღესაც აქტუალურ პუბლიკაციებადაა აღიარებული. მან შექმნა ბერძნული, სირიული, არაბული, კოპტური და მათ შორის ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების მნიშვნელოვანი კოლექცია. ლაიფციგის ფრაგმენტი ფონ ტიშენდორფმა წამოიღო იერუსალიმიდან 1845 წელს მოგზაურობის დროს. თავის წიგნში „Reise in den Orient" („მოგზაურობა აღმოსავლეთში") იგი წერდა, რომ ჯვრის მონასტრიდან ბერძნული თუ ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების წამოღება შეთანხმებული ჰქონდა მონასტრის მაშინდელ მესვეურებთან. სავარაუდოდ, ასევე მოიპოვა მან წერილობითი სიძველეები სინის მთიდან, რომლებიც დღეს დაცულია პეტერბურგშიც, რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მიხეილ თარხნიშვილი (1897–1958)

მიხეილ თარხნიშვილის ღვაწლი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერებისა და ხელნაწერების გამოქვეყნება-შესწავლაში განუზომლად დიდია. მეცნიერმა შეისწავლა გრაცის უნივერსიტეტისა (ავსტრია) და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერები. გერმანულ ენაზე გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის" I ტომის საფუძველზე (Tarchnisvili 1955). ნაშრომს დამატების სახით დაურთო ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კიმენური რედაქციის ქართული თარგმანების სია და სახელთა საძიებელი. მ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის შემდეგი ძეგლები: ჟამისწირვის ძველი ქართული თარგმანები (Tarchnišvili 1950), პეტრიწონის ტიპიკონი (Tarchnišvili 1954), იერუსალიმის ლექციონარი (Tarchnišvili 1959); ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში (თარხნიშვილი 1953; Tarchnichvili 1962). მიხეილ თარხნიშვილის ნაშრომებს აქვეყნებდნენ: ქართველოლოგიური ჟურნალი "Bedi Kartlisa", "Byzantische Zeitschrift", "Le Museon", "Oriens Christianus" "Archiv für Liturgiewissenschaft" და სხვ. მკვლევარი ბეჭდავდა საქართველოს შესახებ ისეთ ენციკლოპედიაში, როგორიცაა: "Enciclopedia Cattolica". "Corpus Scriptorum Christianorum Orientalis"-ში გამოქვეყნდა: ძველი ქართული ლიტურგიები, გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი, ქართულილექციონარი.

იულიუს ასფალგი (1919–2001)

გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი; მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ქრისტიანული აღმოსავლური მწერლობის კორპუსის არაბული სექციის გამგე. მან მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გადამუშავა და გერმანულ ენაზე გამოსცა კ. კეკელიძის ,,ძველი ქართული მწერლობის" I ტომი (1956), ასევე ზემოხსენებული ნაშრომი-გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა (1963).

ი. ასფალგის ნაშრომში წარმოდგენილია გერმანიის სხვადასხვა ბიბლიოთეკასა და საზოგადოებაში დაცული ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების აღწერილობა, რომელთა 28 ერთეული თავმოყრილია 15 ნომერში; ერთი და იმავე დასახელების რამდენიმე კრებული (იხ. Ms. or. fol. 926.) ან სასულიერო მწერლობის ერთი და იმავე დარგის თხზულებათა რამდენიმე ფრაგმენტი გაერთიანებულია ერთ ნომრად(იხ. God.Ms.V 1096, რის გამოც ზოგჯერ ერთი საფონდო შიფრის ქვეშ 4-5 ერთეული გვხდება. კატალოგზე მუშაობისას ი. ასფალგს ცნობებს აწვდიდნენ ქართველი და ევროპელი მეცნიერები: აკ. შანიძე, ილ. აბულაძე, ჟ. გარიტი და ფ. ჰალკინი. (Assfalg 1963 (a): IX). დღესდღეობით ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკას კიდევ დაემატა სამი ხელნაწერი, რომელთაგან ერთი, სახარება (Hs.or.14561) რუსული ხელნაწერების ფონდიდან გადაუტანიათ ქართულ ხელნაწერებში, მეორე – ზღაპარი (Ms.or. Octav. 169) – სომხურ ხელნაწერთა ფონდიდან, კიდევ ერთი ხელნაწერის, კერძოდ, ფსალმუნის (Hs.or. 7931) ფონდში შესვლის ისტორია უცნობია.

წინამდებარე გამოცემა ხელნაწერთა შესახებ ჰალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური ინფორმაციისა და საფონდო შიფრებისათვის ეყრდნობა ი. ასფალგისეულ აღწერილობას, წილადის ნიშნის შემდგომ შენარჩუნებულია ი. ასფალგის აღწერილობაში წარმოდგენილი შიფრებიც. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა გამოცემის ავტორთა მიერ 2017 წელს ამ ცენტრებში ჩატარებულ სამუშაოს.

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა დაარსდა 1661 წელს. 1701 წელს ფრიდრიხ I-მა მას უწოდა ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკა. 1918 წლიდან უწოდებდნენ პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკისგან წარმოქმნა ორი დაწესებულება: გერმანიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა აღმოსავლეთ ბერლინში და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა დასავლეთ ბერლინში. 1992 წელს გერმანიის გაერთიანების შემდეგ ორ შენობაში განთავსებული საბიბლიოთეკო კოლექციები გადაეცა პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს, რომელსაც ეწოდა ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა-პრუსიის კულტურული მემკვიდრეობა.

ბერლინის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულიანუსხები გერმანულ ენაზე, ასევე, შუა საუკუნეების 41 600 აღმოსავლური და 18 000 ევროპული ხელნაწერი[1], მათ შორის 8 ქართული.


Ms. or. fol. 573/WdtB (ehem. PrSB). იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. XV-XVI სს. გრაგნილი; ეტრატი; 5 კეფი; 15×178 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი; ნაკლული; შემენილია ქაიროში. XI ს. გავრცელებული რედაქცია. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963 (a): 2-3).

Ms. or. oct. 283/WdtB. (PrSB). ჟამნი. 1728 წ. 240 ფ.; ქაღალდი; 10,5×15,5 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები წითლით; მუქი ყავისფერი ოქრიტვიფრული ტყავის ყდა. ყდის შიდა მხარეს იკითხება XVIII ს-ის მინაწერები. ხელნაწერი გადაწერილია ასტრახანში. გადამწერის ცნობით, დედნად გამოყენებულია ჟამნის ბეჭდური და ხელნაწერი კრებულები. ამ ხელნაწერის შექმნისას უკვე არსებობდა ,,ჟამნის" ტექსტის 1710, 1717, 1722 წლების გამოცემები (შარაშიძე 1959: 188, 189, 202, 207). ტექსტი შედგება 4 ნაწილისაგან: I. „აღვიარება", II.,,ჟამნი", რომელსაც მოჰყვება ლიტურგიკული წლის კალენდარი (1 სექტებერი-31აგვისტო) მარხვისადა ზატიკის პერიოდის მასალა, III. „ჟამნის" ზანდუკი, ანუ სარჩევი. IV კვინკლოსთა ცხრილი განმარტებებით,ნიკოლოზ ტფილელის „სარწმუნოები-




15. Ms.or.fol. 573/ WdtB (ehem. PrSB).

[1] როდესაც ასფალგი შეუდგა ქართულ ხელნაწერებზე მუშაობას, ისინი თავმოყრილი იყო უკვე ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. აღმწერელს დაუცავს ისტორიული მეხსიერება და მარბურგსა და ტუბინგენში ოდესღაც არსებული ხელნაწერები ამ უწინდელი ადგილმდებარეობის მითითებით გაუტანია თავის ნაშრომში.



16. Ms.or.oct.168 / WdtB (ehemPrSB).



17. Ms.or.minutoli.135a / UB, (ehem.PrSB). 1r

სათვის". წიგნს ახლავს სოლოღაშვილთა საგვარეულოს წევრების 1742-1755 წწ. ქრონიკალური ცნობები, ინფორმაცია რუსეთ-პრუსიის ბრძოლის შესახებ 1757 წლის 19 აგვისტოს. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963 (a):7-13).

Ms. or. oct. 168/WdtB (ehem PrSB). კათოლიკური კრებული. 1778 წ. 74 ფ.; ქაღალდი; 11x16 სმ.; მხედრული; XVIII საუკუნის ტვიფრული ტყავის ყდა. ტექსტი ნაკლულია. ხელნაწერი გაფორმებულია ტექსტის მელნით შესრულებული გაფერადებული ნახატებით, რომლებიც შეიცავს ეპიზოდებს იესოს ქრისტეს ცხოვრებიდან. მხოლოდ ერთ მინიატურას აქვს ქართულად განმარტებითი წარწერა. ქვემო ნაწილში 2-იარუსად გამოსახული არიან წმინდანები. კრებულში შესულია: „წმიდა წირვის მოსმენის საიდუმლოებანი"; „ლითანია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ". ლოცვები თარგმნილი უნდა იყოს ლათინურიდან და ლათინური მინაწერები მექანიკურად არის გადატანილი ტექსტში. მინაწერების უმეტესობა აღარ იკითხება. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963 (a): 13-16).

Ms. or. fol. 2096/WdtB (ehem. PrSB). ავგაროზი. XIX ს.; ქაღალდი; გრაგნილი; 3 კეფი: 8×50სმ.; 8×23,5სმ.; 8×20,5 სმ.; დაშლილი. მხედრული; გაფორმებულია: ჩვილედი ღვთისმშობელის, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების, ვედრების, წმინდა სამების, წმ. გიორგის, წმ. მარინეს, მახარებელთა და ქერუბიმის გამოსახულებებით. გრაგნილი არის XVIII-XIX სს-ის ტიპური ავგაროზი, ანუ თილისმა, რომელშიც შესულია კურნებასთან დაკავშირებული ლოცვები და სახარების ცალკეული მუხლები: მათე 1,1, 20-28; 8, 5-9; 8, 9-13, მარკოზი 1, 1-2; იოვანე 1,1,14-17. ამ პერიოდის ავგაროზები შესწავლილია (ჩხიკვაძე 2007: 154-162). ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963 (a):16-19).

Ms. or. minutoli. 135a/UB (ehem.PrSB). ოთხთავი (ფრაგმენტები). XII ს. 2 ფ.; ეტრატი; 19,5×23, 5


სმ.; ნუსხური, მელანი შავი, საზედაო ასოები სინგური. ფრაგმენტები შეიცავს: მარკოზის 14, 9—14, 31(1 r-v) ; იოვანეს 14,19-15,7 (2r-v). ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. რედაქცია გამოქვეყნებულია (იმნაიშვილი 1979: 133-243). ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა ტუბინგენში (Assfalg 1963 (a): 1-2).



18. Ms. or. fol. 926/ UB (ehem. PrSB).

Ms. or. fol. 926/UB (ehem. PrSB). იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. XV ს. ეტრატი; ნუსხური; 4 თავნაკლული გრაგნილი: **I.** სამი კეფი: 13×60 სმ.; 13×69 სმ.; 13×29 სმ.; საზედაო ასოები წითლით; კეფის წინა მხარე შემკულია ცხოველთა ფერადი გამოსასულებებით. გრაგნილს აქვს მინაწერები ორივე მხარეს; **II.** სამი კეფი, 23×21 სმ.; 23×76 სმ.; 23×54 სმ. კეფის ორივე მხარეს ერთვის გაუწაფავი ხელით შესრულებული მინაწერები. გვიანდელი რედაქცია; **III.** სამი კეფი, 22×34 სმ.; 22×17 სმ.; 22×94 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. ადგილ-ადგილ ასოები გამოტოვებულია და სტრიქონები ძნელად იკითხება. გრაგნილი დამაგრებულია კონდაკზე. ზურგის ნაწილი უკავია მინაწერებს; **IV.** ერთი ჟამისწირვის სხვადასხვა ფრაგმენტი სამ კეფად: 19×21,5 სმ.; 19×71 სმ.; 19×72 სმ. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. განთავსებულია მხოლოდ წინა მხარეს, recto-ზე; საზედაო ასოები და სათაურები სინგურით. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963 (a):3-7).

Ms. or. quart. 345/UB (ehem. PrSB) კრებული. 1838 წ. XIX ს. 85 ფ.; კონვოლუტი; 17,5×22 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; მესამე თავის სათაური წითლით; ტყავის ყდა. კრებულში შესულია: **I.** სოლომონ ლიონიძის „შემოკრებული ისტორია ქართლისა მეორე ირაკლისა მეფისა“ (1r-45v). თხზულებაში მიმოხილულია 1781 წლამდე სამეფოსა და აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. გადამწერი: სოლომონ კონსტანტინესძე (გვ. 170); **II.** ანდერძი იესუ ქრისტეს ჯვარცმისა, XIX ს. (47r-59v), გადამწერი: სტეფანე ლომოუვი (57r); **III.** ქადაგებანი, 15ფ. ტექსტი შეიცავს ანონიმი ავტორის ცხრა ქადაგებას(61r-77v); **IV.** სოლომონ ლიონისძის „ერეკლე II-ის დატირება“ (78r-85v), 1838 წ. გადამწერი: სოლომონ კონსტანტინისძე. ბოლო ტექსტს ერთვის გადამწერის ანდერძი, რომელის თანახმადაც I და IV ტექსტები გადაწერილია სოლომონ ლიონიძის თხზულების დედნიდან. II და III ნაწილები შემდგომ უნდა შესულიყო ხელნაწერში. კრებული შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა ტუბინგენში (Assfalg 1963 (a): 21-25).



19. Ms. or.quart.279/ UB, (ehem. PrSB).

Ms. or. quart. 279/UB (ehem. PrSB). სულხან -საბა ორბელიანი. „ლექსიკონი ქართული“. 1836 წ. 342 ფ.; ქაღალდი; 16×21 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები წითლით; XIX-ის I ნახევარის შავი ტყავის ტვიფრული ყდა, ტყავის ორი საკეტით; გადამწერი: დავით ბოდბელი ეპისკოპოსი. ხელნაწერში შედის ლექსიკონის ტრადიციული თავები და დანართები: ანბანი სასწავლო ყრმათათჳს; ანდერძნამაგი ამის მუშაკისა; ეკფონეტიკურ და ლექსიკონში გამოყენებულ ნიშანთა განმარტებანი; ლექსიკონი ქართული (6r-331r); იესო ქრისტეს 72 მოწაფის სახელთა ჩამონათვალი; ვახტანგ მეფისაგან თქმული, ქართული სამოხელეო სახელები; ქრონიკალური ცნობები (332r-336v). ბატონიშვილს უჩუქებია პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის შესაბამისი წარწერით (5Av). ხელნაწერს აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის შესრულებული მინაწერი (6r). ამ ცნობების გარდა, ხელნაწერის ზედა ყდის მხარეს იკითხება ბოდბელ მიტროპოლიტ დავითის 1728-1764 წწ. ბიოგრაფიული მონაცემები. თეიმურაზ ბატონიშვილის წარწერა გამოცემულია შესაბამის კომენტარითურთ (იორდანიშვილი 1948:76). ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა ტუბინგენში (შდრ.: Assfalg 1963 (a): 25-29).

Hs. or. 14561. ოთხთავი. 1729 წ. 325 ფ[1].; 4×4,9 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; ადგილ-ადგილ ნაწერია წითლით. ტექსტი გაფორმებულია XIX ს-ის ერთადერთი მინიატიურით, რომელზედაც ლუკა მახარებელია გამოსახული ხარის სიმბოლოთი. ყდა ვერცხლის, ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია მაცხოვარი, კუთხეებში – ოთხი მახარებელი. ქვედა ფრთაზე გვხვდება აღდგომის სიუჟეტი. ყუა რელიეფურია, მასიური, ქვედა ფრთაზე აქვს 4 ნახევარსფერო, რომლებსაც სადგამის დანიშნულება აქვთ. ეს დეტალი დამახასიათებელია რუსული წარმომავლობის ყდებისათვის. გადამწერი: დავით მღდელი. ტექსტი რედაქციულად არაა შესწავლილი. ხელნაწერს ერთვის გადამწერის არაერთი ანდერძ-მინაწერი.

Ms. or. oct. 169. ზღაპარი. XIX ს. 51 ფ.; ქაღალდი; 9×8,8 სმ.; ყავისფერი მელანი; XIX-XX სს-ის ყდა ყავისფერი ქაღალდგადაკრული მუყაოსი; გადამწერი: მელანია გედევანცის ასული: „ქ. დასრულდა ქალი და ვაჟის ბასი (!) ძალისა მღვთისათა. აღწერა მელანია გედევანცის ასულმან სრულებით“ (50v).

Hs. or. 7931. ფსალმუნი. 1795 წ. არ აქვს ფურცლობრივი სათვალავი; ქაღალდი; 16×11 სმ.; მხედრული; შავი მელანი, მუხლების პირველი ასოები წითლით. ხელნაწერი უყდოა, თხელ მუყაოზე დაკრულია ყდის საცავი ფურცლები; ყუაზე შემორჩენილია ტყავის მცირე ფრაგმენტი, რომელიც XIX ს.-ით თარიღდება. წიგნი პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი იყო. ხელნაწერი ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში შესულია ასფალგის აღწერილობის გამოსვლის შემდგომ.

ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა


ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაარსდა 1543 წელს. მასში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ იოაჰიმ ფელერი – ხელნაწერთა პირველი კატალოგის შემდგენელი, ქრისტიან გოტლიბ იოხერი, რომელმაც დანერგა ანბანური კატალოგიზაციის სისტემა, ერნსტ გოტგელფ ჰერდორფი, რომელმაც ჩაატარა ბიბლიოთეკის სამეცნიერო რეორგანიზაცია. ამჟამად ბიბლიოთეკა ფლობს 5 მლნ. ტომს, 8700 ხელნაწერ წიგნს, რომელთაგან 3200 აღმოსავლური კოლექციის კუთვნილებაა; 3700 ინკუნაბულას, 173 000 ავტოგრაფსა და მე-16 ს-ის ნაბეჭდ წიგნს.

Cod. Ms. V1094. UB. მრავალთავი. ფრაგმენტები. XI ს. 9 ფ.; ეტრატი; ფფ. 2-3 ორმაგია, ფფ. 8-9 – მხოლოდ ნახევარი. 29×39,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები სინგურით. სავარაუ-


[1] ხელნაწერი არ არის პაგინირებული, ამიტომ მოგვიხდა ფურცლების დათვლა. ვიყენებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. ეს სახარება ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდში შევიდა XX ს-ის 70-იან წლებში.

დო გადამწერი: გიორგი-პროხორე. აღნიშნული ქართული ფრაგმენტები ბიბლიოთეკაში შესულია ფონ ტიშენდორფის კოლექციიდან შიფრით Cod. Tisch. XL. ფრაგმენტების შედის ოქტომბრის თვის საკითხავი აგიოგრაფიული მასალა: იაკობ უფლის ძმის, წმ. არეთას, წმ. სერგიესა და ბაქოზის, წმ. გაიანესია და აგათანგელოზისადმი მიძღვნილი თხრობები. წმ. გაიანესა და აგათანგელოზის ტექსტი შემორჩენილია ფრაგმენტულად. სავარაუდოდ, მისი გაგრძელება უნდა იყოს კემბრიჯის Georgian Ms. 5/MS. add. 1890.3-ში დაცული „წმიდა არტემიუსის წამება". საინტერესოა, რომ ამ წმინდანთა მოხსენიება პალესტინური რედაქციის კალენდარშიც დასტურდება (Garritte 1958: 241, 242, 249, 250, 365, 467, 351, 414).


Cod. Ms. V 1095. UB. კრებული. XII ს. ხელნაწერი ინასება თანამედროვე საქაღალდით; შედგება სამი ფრაგმენტისგან: **I. ფრ. მარხვანი.** XII. 8 ფ.; (ფფ. 1- 6, 9, 11). ეტრატი; 17,5×23 სმ.; ნუსხური; სასედაო ასოები სინგურით. ამავე ხელწერით არის შესრულებული God.Ms.V1097-ის I და II ფფ.. ხელნაწერის ეს ნაწილი ლიტურგიკული კრებულის ფრაგმენტია. **II. ფრ. ზატიკი,** XII ს. 3 ფ.; ეტრატი; 15,5×18,5სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები სინგურით. **III. აღაპები იერუსალიმის ჯვრის მონატრის სვინაქსარიდან.** XII-XVII სს. 4 ფ.; (ფფ. 12, 13, 14, 15); ეტრატი; 22×31,5 სმ.; ნუსხური, სხვადასხვა ხელი. პირველი ცნობა აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესახებ გამოაქვეყნა გრიგოლ ფერაძემ (Peradze 1937: 181-246). მკვლევრის თვალსაზრისით, ლაიფციგის ფრაგმენტებში დაცული აღაპები უფრო ძველი ფენის ამსახველია, ვიდრე ნ. მარის გამოცემაში გამოყენებული ხელნაწერი (Mapp 1914: XXV-XXVIII). გრ. ფერაძის ცნობას პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება. ს. ჯანაშიას მუზეუმმა 1954 წელს საქართველოს საგარეო სამინისტროს მეშვეობით მიიღო ამ ხელნაწერის მიკროფირი. ტიშენდორფისეული ნუსხა შეიცავს 102 აღაპს და ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი მოიცავს 1r-2r-ს და დაწერილია ერთი ხელით, წარმოადგენს მარხვისა და ზატიკის კვირებზე განწესებულ აღაპთა ნუსხას.



20. Cod. Ms. V1094. UB. 1r



21. Cod. Ms. V 1095. UB.



22. Cod.Ms.V1096.UB.

II ნაწილი წარმოადგენს არა ნუსხას, არამედ თვით აღაპებსა და მოსასსენებელს, დაწერილს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ. მეორე ნაწილი პირველს არ უკავშირდება, აღაპთა უმრავლესობა XV ს-შია დაწერილი. ყველაზე გვიანდელია ნიკიფორე ჩოლოყაშილის მამობის დროს შედგენილი აღაპები. უკანასკნელი აღაპი 1620 წლით თარიღდება. ჯვრის მონასტრის აღაპები ყველა არსებიული ნუსხით შესწავლილი და გამოცემულია (Mapp 1914; მეტრეველი 1962: 72-78).


God. Ms. V 1096. UB. X-XI სს. ფრაგმენტები. თანამედროვე ყდაში. აღნიშნული ერთეული დღეს შედგება 4 ფრაგმენტისგან. ასფალგის მიერ აღწერილობის შედგენის დროს კი შეიცავდა 5 ფრაგმენტს: ამათგან ერთი ეთიოპურია (3 ფ), სოლო მეოთხე იყო სომხური (1 ფ), რომელიც ამჟამად ამ ფრაგმენტებთან ერთად აღარ არის დაცული. დანარჩენი ფრაგმენტები ქართულია: **II ფრ. დასდებელნი აღდგომისა და საშაბათონი.** X ს. 4 ფ. (4r-v, 5r-v, 6r-v, 7r-v)[1]; ეტრატი; პალიმფსესტი; 15,5×18 სმ.; ზედა ფენა ქართული; ნუსხური; მელანი შავი; სათაურები სინგურითა და ასომთავრულით. გადამწერი: იოანე- ზოსიმე. ფრაგმენტი არის Sin.Geo.O. 34-ის ნაწილი და შესწავლილია აღნიშნული კრებულთან ერთად. (ცევსურიანი 1978: 88-122). ქვედა ბერძნული ფენა არ არის იდენტიფიცირებული. **III ფრ. კითხვა-მიგება.** X-XI სს. 3 ფ.; (8r-v, 9r-v, 10r-v), 16,5× 21,5 სმ.; ეტრატი; ფრაგმენტი. ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ფურცლების ქვედა ნაწილში ტექსტის გარჩევა ვერ ხერხდება. უკანასკნელი ნაწყვეტი კითხვა-მიგებისა თანხვდება ანასტასი სინელის კითხვა-მიგების ტექსტს (PG 89,725). **V.ფრ. პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლე.** ფრაგმენტი. X ს. 1 ფ.; (12r-v); ეტრატი; 17,5×23 სმ.; ასომთავრული; შავი მელანი; სათაური სინგურით. ფრაგმენტი უცნობი ხელნაწერის 29-ე რვეულის პირველი ფურცელია. მოიცავს 1 პეტრე 1,11-22. ადრებიზანტიური ტრადიციის ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია (ლორთქიფანიძე 1956: 017-018).


God.Ms.V 1097. კრებული. XI-XIV სს. თანამედროვე ყდა. შედგება 4 ფრაგმენტისაგან: **I ფრ. მარხვანი.** XII ს. 2 ფ.; ეტრატი; 16,5×23 სმ.; ნუსხური; შავი მელანი, თავსამკაული და საზედაო ასოები სინგურით. შეიცავს ორი სხავადასხვა წიგნის ფრაგმენტს: I ფ. არის უცნობი კრებულის 28-ე რვეულის I ფურცელი; II ფ. იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც შესრულებულია Cod.Ms.V1095.UB-ს პირველი ნაწილი. ორივე ფურცელი არის მარხვანის ნაწყვეტები. ტექსტი შედგება ვნების კვირის მე-3 საგალობლისაგან. I ფურცლის VI საგალობელი ძირითადად ემთხვევა ბერძნულ ოდებს, მაგრამ ტროპარებით სხვაობს. ქართულ ტექსტის II ფ.-ზე გადაწერილია ვნების შაბათის ოთხი ფსალმუნი; აღდგომის კანონის დასასრული ერთვის ხელნაწერის Cod.Ms.V1098. XI ფურცელს. ამ ნაწილის რაობა განისაზღვრა მასში შემავალი მარხვისა და სააღდგომო საგალობლების მიხედვით. **II ფრ. ლიტურგიკული კრებული.** ფრაგმენტი. XII-XIII სს., 1 ორმაგი ფურცელი, (ფფ.3-4) ეტრატი, 18,5×23 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით. ფრაგმენტი მოიცავს

[1] ი. ასფალგს ქართული ფრაგმენტები ერთეულის საერთო სათვალავით აქვს აღწერილი. იხ.: Assfalg 1963(a):42-48.

7-9 სექტემბრისა და 3-14 ოქტომბრის საკითხავებს, ასევე ნაწყვეტებს მოციქულთა აქტებიდან. **III ფრ. ეპისტოლე რომაელთა მიმართ.** ფრაგმენტი. X-XI სს. 4 ფ. (ფფ. 5, 6, 7, 8); ეტრატი; 17×20 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. ტექსტი პალესტინური რედაქციისაა. შეიცავს რომაელთა მიმართ ეპისტოლის 2,4-5,13 მუხლებს. **IV. ფრ. ლიტურგიკული კრებული.** ფრაგმენტი. XI ს. 4 ფ. (ფფ. 9,10, 11, 12) მელანი; ეტრატი; 18,5×23 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები და სათაურები სინგურით. ამ ნაწილის პირველ ფურცელზე დაცულია 13 თებერვალს წმინდა თეოფანეს სსენება, ამავე დღეს კანონი წმიდა ანატოლიუსზე, 14 თებერვალს წმ. აქვსენტის ხსენება.

Cod. Ms. V 1098. თვენი. XII ს., 57 ფ.; ეტრატი (56 ფ.) და ქაღალდი (1 ფ.); 17×22 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; მუქი ყავისფერი ტყავის ყდა. ხელნაწერი ნაკლულია; საზედაო ასოები და სათაურები საწერია სინგურით. 57-ე ქაღალდის ფურცელი არაა აკინძული კრებულთან ერთად და არ უნდა იყოს მისი ნაწილი, თუმცა ისიც „თვენის" ფრაგმენტია. ეტრატზე გადაწერილი ტექსტი შეიცავს ივლისის თვის წმინდანთა – ანდრეას, სჯმეონ საკვრველმოქმედის დედა მართას, თეოდორე კვრისელისა და წმ. მართას, წმ. სისოს, წმ. თომას, წმ. პროკოპის, წმ. ბაგრატ ტავრომენიელის, 45 ნიკოპოლელი მოწამის, წმ. ეფემია ქალწულის, წმ. პროკლეს და ილარიონის, წმ. გაბრიელისა, წმ. კვირიკესა და ივლიტას, ქალკედონელ წმიდა მამათა, წმ. ათეანგელას, წმ. მარინეს, წმ. ემელიანეს, წმ. მაკრინას – ბასილის დისა და წმიდა დიოს, ელია წინასწარმეტყველის ხსენებებს. ხელნაწერის არშიაზე ადგილ-ადგილ მიწერილია წმინდანთა სახელები.





23. Cod.Ms.V1097.UB.

გეტინგენის ბიბლიოთეკა

გეტინგენის სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც ცნობილია Sub Göttingen-ის სახელწოდებით, დაარსდა 1734 წელს. არქივების რაციონალური ორგანიზაციის წყალობით იგი მალევე გადაიქცა გერმანიის აკადემიური ბიბლიოთეკების პროტოტიპად. იგი გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკათა რიცხვს განეკუთვნება. გეტინგენის ბიბლიოთეკაში დაცულია ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა, ყდების, რუკების კოლექციები, აზიური და აფრიკული ბიბლიოთეკა. ამჟამად მის მფლობელობაშია 4,5 მლნ. წიგნი, 2900 აღმოსავლური ხელნაწერი. გეტინგენის ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ფონდშია დაცული ქართული ხელნაწერი ფრაგმენტიც.

Ms. Syr. 17, 19, 21, 22, 23, 24, 25. SuUB. ალექსანდრე კჯპრელი.„ჯვრის პოვნის საკითხავი“. კირილე იერუსალიმელი. „გამოჩინებაი პატიოსნისა ჯუარისაი“. X ს. ეტრატი; პალიმფსესტი; 15×12 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ფრაგმენტი არის Sin.Geo.N. 20-ის ნაწილი. ფრაგმენტთა პირვანდელი ზომა აღდგენილია Sin.Geo.N. 20-ის მისედვით. გადამწერი იოვანე-ზოსიმე. ქვედა ფენა სირიულია. პალიმფსესტი, ი. ასფალგის თანასმად, დაცულია გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სირიულ ფონდში 84, 86, 88, 89, 90, 91 და 92 ნომრებით. ქართული ტექსტი ნაკლულია. ხელნაწერის ფრაგმენტები, გეტინგენის გარდა, არის დაცული ბირმინგემში (Garritte 1967: 557), პრონსტონსა და ახალ სინურ კოლექციაში Sin.Geo.N. 20. ეს ნაწყვეტები ერთმანეთს ავსებს (შანიძე, 1999: 113; აღმოჩენები 2005: 266-267).



24. Cod. Ms. Syr. 22.



25. Cod. Ms. Syr. 22.

ჰალე

ჰალეში ერთი ქართული ხელნაწერი დაცულია გერმანიის აზიის ბიბლიოთეკაში, რომელიც 1996 წლიდან იმართება გისენის უნივერსიტეტის ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ენებისა და კულტურის სემინარიის მიერ. ბიბლიოთეკა 150 წლის ისტორიას ითვლის. არსებობის 150-წლიანი ისტორიის განმავლობაში მისი ფონდები ივსებოდა ბერლინის, მიუნხენისა და სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიებთან, გეტინგენის მეცნიერებათა სამეფო საზოგადოებასა და სააზიო საზოგადოებებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. საზოგადოების ბიბლიოთეკა ფლობს დაახლოებით 66 745 დასახელებას (2012 წ.-ის მაისის მდგომარეობით).

Ms. Georg. 1. DMG. „ყარამანიანი“. XIX ს. 37 ფ.; ქაღალდი; 13×16 სმ.; მხედრული; ტექსტი თავბოლონაკლულია; მთარგმნელი: დავით ორბელიანი. წიგნი გაფორმებულია ორი ნახატით (35v, 36v).

გაერთიანებული სამეფო, დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში ქართული ხელნაწერები დაცულია ოთხ მნიშვნელოვან სიძველეთსაცავში: ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში, კემბრიჯის, ოქსფორდისა და ბირმინგემის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. ქართული ხელნაწერი წიგნი პირველად ამ სივრცეში მე-19 საუკუნეში მოხვდა. ეს ფაქტი განაპირობა აღნიშნულ ეპოქაში ბრიტანეთისა და, ზოგადად, ევროპის სამეცნიერო საზოგადოებაში არსებულმა დიდმა ინტერესმა აღმოსავლეთის წერილობითი კულტურისა და სიძველეებისადმი.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის ბიბლოთეკა წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს უმნიშვნელოვანეს წიგნსაცავს, რომელიც თავისი მოცულობითა და საქმიანობის მასშტაბით კონგრესის ბიბლიოთეკის შემდეგ მეორეა. 1973 წელს იგი გამოეყო ბრიტანეთის მუზეუმს, რომელიც 1753 წლიდან სერ ჰანს სლოანის მდიდარი კოლექციის საფუძველზე ჩამოყალიბდა როგორც კულტურისა და ისტორიის დაცვისა და კვლევის უმნიშვნელოვანესი სივრცე. სლოანის კოლექციაში თავმოყრილი იყო როგორც ძველნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები, ასევე ჰერბარიუმები, გრავიურები და ნახატები. ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ისტორიული ფონდი ძირითადად შექმნილია XVIII ს-ის შემოწირულობებისა და შესყიდვების საფუძველზე. ბიბლიოთეკამ გარდა სერ ჰანს სლოანის კოლექციისა, მუზეუმისგან მემკვიდრეობით მიიღო ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები სერ რობერტ კოტონის (1570-1631), რობერტ ჰარლის (1661-1721), მეფე გეორგ II-ისა და სამეფო ბიბლიოთეკის კოლექციებიდან. ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ფონდებში დღეს დაცულია ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, როგორებიცაა სინური კოდექსი, დონ ხუანის ხელნაწერები, ჰებრაისტული ტექსტები და სხვა.


სერ ჰანს სლოანი (1660–1753)

წარმოშობით ირლანდიელი, ცნობილი ბრიტანელი მედიკოსი, ნატურალისტი და კოლექციონერი. განათლება მიიღო ლონდონში, ახალგაზრდობის წლებში გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც მიიღო დოქტორის ხარისხი, 1687 წელს კი – კუნძულ იამაიკაზე ექიმად. იქ ყოფნის დროს აღწერა და შეისწავლა 800-მდე სახეობის მცენარე და გამოსცა დეტალური კატალოგი. ჰანს სლოანი იყო ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი, 1693 წლიდან კი – სამეფო სამეცნიერო საზოგადოების თავჯდომარე, 1727 წელს კი ამავე საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობაზე შეცვალა ისააკ ნიუტონი. სერ ჰანს სლოანმა შეაგროვა ანტიკვარული ნივთების მდიდარი და მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც მისივე ანდერძით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ საფუძველზე 1759 წელს დაარსდა ბრიტანეთის მუზეუმი.

ქართული ხელნაწერები ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ფონდებში XIX ს-ის დასაწყისში შევიდა. ესაა სასულიერო შინაარსის სამი კრებული და ორ ერთეულად გაერთიანებული ფრაგმენტები, რომლებიც აღმოსავლეთში არსებული სკრიპტორიუმებიდან უნდა იყოს გამოტანილი. მათი გადაწერის ქრონოლოგიური ზღვრები VII- XVII სს-ს მოიცავს. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ფონში Or 5315 შიფრით დაცულია მე-19 საუკუნის დასასრულის არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალ „მუშის“ ნომერი. დღეს ეს არის ჟურნალის ერთადერთი შემორჩენილი ეგზემპლარი. ბრიტანე-

თის ბიბლიოთეკაში დაცული ხუთი ქართული ხელნაწერის პირველი აღწერილობა, ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილი ალ. ხახანაშვილის მიერ, გამოქვეყნდა 1905 და 1913 წლებში (ხახანაშვილი 1905: 12-20; Хаханов 1913: 5-14). 1913 წელს ბრიტანეთის მუზეუმის სომხური ხელნაწერების კატალოში დაიბეჭდა ოლივერ უორდროპის მიერ მუზეუმის აღმოსავლურ და სლოანის ფონდებში დაცული 6 ქართული ხელნაწერის აღწერილობა ანდერძებითა და კომენტარებით, თუმცა ამ შრომაში არ შესულა ჰარლეის ფონდის ბერძნულ ხელნაწერში არსებული 3-ფურცლიანი ქართული ფრაგმენტები (Wardrop 1913: 397-409). წინამდებარე გამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ეყრდნობა ზემოთ დასახელებულ აღწერილობებს, ტექსტების პუბლიკაციებისა და, ზოგადად, კოლექციის ერთეულების ანალოგიური კრებულების კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს. Add. Ms. 11282 ხელნაწერის რაობა დაზუსტებულია წინამდებარე ნაშრომის ავტორთა მიერ ბრიტანეთის ბიბლიოთეკისმ ვებგვერდზე არსებული ციფრული ასლის საფუძველზე: (http://www.bl.uk/manuscripts/BriefDisplay.aspx).

Add.Ms.11281. აგიოგრაფიული კრებული. 1034-1042 წწ. 369ფ.; ეტრატი; 34,5×25,5 სმ.; ნუსხური. გადამწერი: იოანე შავი. ყდაზე არსებული მინაწერის თანახმად, წიგნი 1837 წელს ნაყიდია ალექსანდრიაში სომეხ მღვდელ კაზანჯისგან. კრებული შედგება კიმენური რედაქციის 14 აგიოგრაფიული ძეგლისგან. მასში შესულია: ანტონი თებაიდელის, საბა განწმენდილის, ხარიტონ აღმსარებლის, თევდოსი დიდის, ბარლაამ მოღუაწის, ეფრემ ასურის, იოვანე ურჰაელის, კჯრიაკოზ პალავრელის, სტეფანესა და ნიკონის, პავლე ეპისკოპოსისა და იოვანე ხუცის, იოვანე შეყენებულის, სვიმეონ მესუეტის (სალოსის), ჯერასიმეს ცხოვრებები. გადამწერის მინაწერის თანახმად, კრებული გადაწერილია ჯვრის მონასტრის წიგნსაცავისთვის გიორგი პროხორეს დავალებით: „ღირს ვიქმენ გლახაკი და ფრიად ცოდვილი...შავ იოვანე დაწერად წმიდასა ამას წიგნსა წმიდათა მამათასა ბრძანებითა და ლოცვითა წმიდისა მამისა სულიერისა, მოძღურისა პროხოლისითა თავისა სიგლახაკითა რომელ კურთხეულმან მიქაელ მეფემან ევლოგიაჲ გაყო და სადაჲცა ქრისტემან მოიღის, გავასრულე და შევმოსე და დავდევ წმიდასა ამას ადგილსა ჯუარისასა, რომლისა შენებასა თანა ეშავდებოდე ურჩი ესე და ...სალოცველად ღვთივშემკობილთა მოძღუართა ჩემთა იოვანეის და პროხოლისი მამისა“(369r-v). თხზულებები ადრეული, საბაწმინდური, რედაქციისაა. კრებული სამეცნიერო ლიტერატურაში „პალესტინური პატერიკის“ სახელითაა ცნობილი. კრებული მრავალი თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ინტერესის საგანს წარმოადგენს მასში შემავალ თხზულებათა რედაქციული თავისებურების საკითხი. საქმე ისაა, რომ პალესტინურ პატერიკში გაერთიანებულ თხზულებათა იდენტური ბერძნული თუ სხვაენოვანი დედნების მოძიება პრობლემად რჩება ისევე, როგორც ეს, ზოგადად, ეხება IX-X სს-ის ქართულ კლარჯულ-პალესტინურ ხელნაწერებში დაცულ თხზულებებს. არაა ერთგვაროვანი არც კრებულში შესული ტექსტების დედნის ენა და არც ქართული თარგმანის შესრულების თარიღი (იმნაიშვილი1975: 331; მენაბდე 1980: 87; გაბიძაშვილი 2014: 3-146). საბა განწმენდილის „ცხოვრების“ ტექტის გამოცემისას ძალზე საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამს კ. კეკელიძე. მკვლევრის თანახმად, პალესტინური პატერიკის ამ ტექსტის ბიბლიური ციტაცია არ ემთხვევა წმინდა წერილის ცნობილვერსიებს, რაც თარგმანის წარმოშობის ადრეულ პერიოზე მიგვითითებს, კონკრეტულად კი, იმ დროზე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ბიბლიის თარგმანების კანონიზაციის პროცესი (კეკელიძე 1946: 139-219). პალესტინური პატერიკის წარმოშობის არეალმა და ანდერძ-მინაწერების ცნობებმა თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. გამოიცა კრებულში შემავალი თხრობები: „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრება“ (ხახანაშვილი 1905: 2-9; Хаханов 1913: 5-9), „იოვანე შეყენებულის ცხოვრება“ (კეკელიძე 1918: 15-27; Garitte 1954: 79-80), “იოვანე ურჰაელისა ცხოვრება“ (კეკელიძე 1918: 139-219), „საბა განწმენდილისა ცხოვრება“ (კეკელიძე 1946: 139-219), „ეფრემ ასურის ცხოვრება“ (Garitte 1957: 78-117); „კჯრიაკოზ პალავრე-




26. Add.Ms.11281. 69r

ლის ცხოვრება“ (Garitte 1962: 408-440), „ანტონ თებაიდელის ცხოვრება“(იმნაიშვილი 1970), სრული ხელნაწერი სათანადო ვრცელი გამოკვლევით (იმნაიშვილი 1975). მკვლევართა განსხვავებული თვალსაზრისები წარმოშვა წიგნის გადაწერის ადგილის, თარგმანთა შესრულების თარიღისა და გადამწერის ვინაობის საკითხებმა (ხახანაშვილი 1905: 2, 6; კეკელიძე 1946: 120; Garitte 1957: IX; 1962: 399; გოგუაძე 1968: 250). გადამწერის ვინაობასთან დაკავშირებით ოლივერ უორდროპს გამოთქმული აქვს თვალსაზრისი, რომ წიგნი ცნობილი კალიგრაფ, გიორგი პროხორეს მიერ შეკრებილ მწიგნობართა გუნდის წევრ იოვანე დვალის მიერ უნდა იყოს გადაწერილი. მკვლევარი იოვანე დვალის შესახებ მსჯელობას საგანგებო ყურადღებას უთმობს (Wardrop 1913: 401). მაგრამ ანდერძების ჩვენება არ გვაძლევს ამ თვალსაზრისის გაზიარების საშუალებას. პალესტინური პატერიკის გადამწერ საბაწმინდელ კალიგრაფ იოვანე შავის იოვანე დვალთან გაიგივების თვალსაზრისი დღეს არაა გაზიარებული ქართული ხელნაწერი წიგნის მკვლევართა წრეში (მენაბდე 1980: 82,84,87). გადამწერის მიერ ანდერძში ჯვრის მონასტრის მშენებლობის პროცესისა და იმპერტორ მიხეილის (მიხეილ IV , 1034-1041 წწ. ან მიხეილ V,1041-1042 წწ.) მოხსენიებამ მკვლევრებს მისცათ საშუალება წიგნის გადაწერის თარიღი 1034-1042 წწ-ით შემოესაზღვრათ (კეკელიძე 1946: 120; მენაბდე 1980: 87). ხელნაწერს ახლავს ნუსხურითა და მსედრულით ქართველ სასულიერო პირთა და პილიგრიმთა მიერ შესრულებული არაერთი მინაწერი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდებაა როგორც წიგნზე მზრუნველობის, ასევე მისი შემდგომი გადანაცვლების ისტორიის აღდგენა.


Add.Ms.11282. პარაკლიტონი. XI ს. 221 ფ.; ეტრატი; 25×17,5 სმ.; ნუსხური; თავ-ბოლო ნაკლული; ხელნაწერის ანდერძი დაკარგულია. ყდაზე ინგლისურენოვანი წარწერა გვამცნობს, რომ წიგნი ნაყიდია ალექსანდრიაში სომეხ მღვდელ კაზანჯისგან 1837 წელს. კრებული იწყება VI რვეულიდან. იგი პარაკლიტონია. შედგენილობით ყველაზე ახლოს დგას ქართული სინური კოლექციის Sin.Geo.O.3 ხელნაწერთან – XI ს-ით დათარიღებულ პარაკლიტონთან (აღწერილობა 1979: 58-79), თუმცა არ მიჰყვება მას აბსოლუტური სიზუსტით. ხელნაწერი საგანგებოდაა გადაწერილი და კარგადაა ორგანიზებული. სათაურები, ოდები და გალობათა დასაწყისები ნაწერია სინგურით; კრებული მოგვიანებით ნასწორებია ზოგან შავი, ზოგან წითელი მელნითა და განსხვავებული კალიგრაფიით. მასში შესულია: ღვთისმშობლის სტიქარონები, თეოდორე სტუდიელის ტრიოდიონი, კონდაკნი აღდგომისანი, ათორმეტთა სახარებათა საცისკროთა გამოავლინენი; სახარებათა საცისკრონი. სტიქარონები ოთხივე ხმისა გაწყობილია კვირა-პარასკევის დღეებზე; ხმა ბ. აღდგომის დასდებლები, კვირას – ღვთისმშობლისანი, ორშაბათს– მთავარანგელოზთა, სინანულისა და წმიდათანი, ღვთისმშობლისანი, სამშაბათს– ნათლისმცემლისანი, სინანულისა და წმიდათანი, ღვთისმშობლისანი, ოთხშაბათს– ღვთისმშობლისანი და ჯუარისანი, ღვთისმ-

შობლისანი, სუთშაბათს – წმ. მოციქულთა, წმ. ნიკოლაოსასნი, ღვთისმშობლისანი, პარასკევს – ჯუარისა, ღვთისმშობლისანი; შაბათს – წმიდათა და სულთა, სულისა და წმიდათა, წმ. წინასწარმეტყველთა და მოწამეთა, ღვთისმშობლისანი. სმა გ. დ. ხმების ორშაბათის, სამშაბათის, ხუთშაბათის კანონები მიჰყვება ბ ხმისას, სხავობაა ოთხშაბათის კანონებში: გ ხმისა – ჯუარისა და ღვთისმშობლისა, ღვთისმშობლისა, დ ხმისა – ღვთისმშობლისა და ჯუარისა; ჯუარისა და წმიდათა, ღვთისმშობლისა; ასევე, პარასკევს: გ ხმისა – ჯუარისა, ღვთისმშობლისა, დ ხმისა – ჯუარისა და წმიდათა, გალობანი ღვთისმშობლისა ორნი, თეოფანესნი და მიტროფანესნი; შაბათს:გ. ხმისა – წმიდათა და სულთა, სულისა, წმ. წინასწარმეტყველთა და მოწამეთა, ღვთისმშობლისა, დ. სმისა – წმიდათა და სულისა, სინანულისა, წმ. წინასწარმეტყველთა, წმ. ღვთისმშობლისა. ხშირ შემთხვევაში თითოეული შესხმისთვის 2, ზოგან 3 განგებაა დადებული. ამ კანონებს მოსდევს მცირე თავსამკაულით გამოყოფილი გალობები: „გალობანი წმიდისა და ერთარსებისა სამებისანი ჯ ა“, „სხუანი გალობანი ბრძოლისანი ჯ˘ ბ გ˘ი“, „გალობანი უწჯმროებისანი ჯ˘ დ, გ˘ი, „გალობანისავედრებელნი ღმრთისა და წმიდისა ივლიანე მოწამისა მკალთათჯს ჯ˘ ბ გ˘ი“, „გალობანი სავედრებელნი და სამადლობელნი ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი ჯ˘ ბ გ˘ი“, „ გალობანი სატფურებისანი ჯ˘ ბ“, გალობები მოციქულთა, ღვთისმშობლისა, კვირიაკისა, სინანულისა, ჯუარისა, მოციქულთა, წმიდათა, სულისა, ღვთისმშობლისა. საინტერესოა, რომ ხელნაწერის აშიებზე, სხვადასხვა გვერდზე გადამწერისგან განსხვავებული ხელით გაკეთებულია ლიტურგიკული შენიშვნები, მაგ. “მასუუ ზედა“, „უგალობდითსა მწუხრი ღამისთევად“, „ღვთისმშობლისანი ოთხშაბათსა ჰპოვნე“ ანდა „წარდგომანი მოციქულთანი“, „წარდგომანი ღვთისმშობლისანი“ (7r-v, 8r, 21v, 24r... 198v, 200r, 201r და სხვ.). ამავე ხელით 206r-ზე მინაწერია: „გიორგის შეუნდოს ღმერთმან.“ აღნიშნული მარგინალური შენიშვნების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინამდებარე წიგნი გიორგი ათონელის პარაკლიტონის ერთ-ერთი ახლადშედგენილი ვერსიაა. საქმე ისაა, რომ ქართული სასულიერო მწერლობის სწორედ ამ დიდი რეფორმატორისთვის იყო დამახასიათებელი, არ დაეკონკრეტებინა ამა თუ იმ გალობის ლიტურგიკული ფუნქცია და ამიტომაც მისი რედაქციის ლიტურგიკულ წიგნებს ამ სახის განმარტებით შენიშვნეს ურთავდნენ ის პირები, რომლებიც ახალი რედაქციის პრაქტიკაში დანერგვის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ (ხევსურიანი 2016: 87-90). ჩვენი ხელნაწერის შემთხვევაში ზემოთ დასახელებული გიორგი უნდა იყოს სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი. წიგნის რედაქციული და ტიპოლოგიური თავისებურების საფუძველზე მისი გადაწერის თარიღი XI ს-ით უნდა განისაზღვროს.



27. Add.Ms.11282. 6r

Or. 6581. ქართულ-ებრაული პალიმფსესტი. VI-VIIსს. 3 მცირე ფრაგმენტი. ეტრატი; 4,5×5 სმ.; 5×5,5 სმ, 5×2,5 სმ.; პალესტინის სირიის წრიდან. ფრაგმენტების ქართული ფენა პალეოგრაფიული ნიშნებით თარიღდება VI ს-ით. ფრაგმენტები შეძენილია ეგვიპტეში, კაიროს გენიზაში, სხვა ებ-



Or. 6581

28. Or.6581. 1r

რაულ ხელნაწერებთან ერთად. პალიმფსესტზე იკითხება მხოლოდ რამდენიმე ასო და ორიოდე სიტყვა, მაგრამ იგი უნდა იყოს კემბრიჯისა და ოქსფორდის ქართულ-ებრაული პალიმფსესტების ნაწილი (დანელია 1997: 122). შესაბამისად, ფრაგმენტების თარიღი უნდა განისაზღვროს VI-VII სს-ით.

Sloane 1338. ღვთისმშობლის დაუჯდომელი. 1622 წ. 128 ფ.; უჭვირნიშნო ქაღალდი; 15×10,5 სმ.; ნუსხური, აბზაცების დასაწყისი – მთვარულით. ხშირია სინგურით ნაწერი გრაფემები. ხელნაწერი წარმოადგენს ღვთისმშობლის საგალობელთა კრებულს, ნუსხურით ნაწერი ტექსტი იწყება 3r-დან: „უფალო ღაღადყავი, დაუჯდომელთანი ჴმაჲ დ.“, 35v-ზე ორნამენტული თავსამკაულით გამოყოფილია: „იბაკონი ღმრთისმშობლისანი“; 112v-ზე „ლოცვაჲ ზიარებისა „თქუმული წმიდისა დიდისა ბასილისი“. სავარაუდოდ, წიგნი პირადი კოლექციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. წიგნის მომგებელი: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე, გადამწერი: ლაზარე: “გამოუთქუმელო და ყოვლითურთ გამოუკულეველო ძლიერებითა… შენ დაიცევენ ორთავე შინა ცხორებათა ყოვლისა საქართწლოსა (!) შენ მიერ კათოლიკოზი პატრიარქი, უფალი და მეუფჱ პატრონი ქრისტეფორე, რომლისა ბრძნებითაჲ აღიწერაჲ წმიდაჲ წიგნი ესე ხელითაჲ მონისა შენისა გარნა მონებაჲაჲ(!) შენდა უღირსისა ცოდვილისა და გლახაკისა ლაზარესითაჲ ქორონიკონსა ტი“ (1622 წ.) (124r-125r). წიგნის მფლობელი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ასტრახანში მყოფ ვახტანგ VI-ის ამალათან. 2r-ზე პრიმიტიული ლორანული ჯვრის გაყოლებაზე შავი მელნით მხედრულით შესრულებულია მინაწერი: „ქ. თუესა იუნისსა ოცდაორსა დღესა პარაზქეუსა (!) სა-


Sloane 1338.



29. Sloane 1338.2v



30. ყდის ზედა ფრთა




31. ყდის ქვედა ფრთა


დილობა იყო, ისრე მზე დაბნელდა ასტრახანს ჯავით ქვასა ტანად(?)." ხელნაწერს ერთვის მინაწერები, მხედრულით სავედრებელი ლოცვა, დასაბამითგანისა და ქრისტესით თარიღები, ათასეულების უშინაარსო სიტყვიერი ჩანაწერები, წითლით ანბანი. 1r-ზე იკითხება თომას სმიტის ხელმოწერა.

Sloane 1350. ფსალმუნი. XVI ს., 154+2 ფ.; ქაღალდი; 13×19 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და ფსალმუნთა დასაწყისები – წითლით. საცავ ფურცელზე იკითხება თომას სმიტის ინგლისურენოვანი მინაწერი, რომელიც განმარტავს, რომ ხელნაწერი ნაწერია ქართული ანბანით, ნუსხურით. საფიქრებელია, რომ ეს მცირე ზომის წიგნი პირადი ბიბლიოთეკის საკუთრება იყო, ვინაიდან ფურცელთა კიდეები დაფერილია ოქროთი. რესტავრირებულია; ჩასმულია ევროპულ ტიპის ყდაში; ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია მაცხოვარი ოთხ მახარებელთან ერთად, ახლავს ლათინური წარწერა: "St. Ioannes, St. Matteus, St. Marko, St. Lu..." ტექსტის დასაწყისში 1v-ზე აყვავებული ჯვრის პრიმიტიული გამოსახულებაა, რომელსაც გასდევს ტექსტის ხელით შესრულებული სავედრეელი მინაწერები. ტექსტი მიჰყვება ფსალმუნის ქართულ რედაქციათაგან ყველაზე გვიანდელ G -ს (შდრ. შანიძე 1960). ამ ნუსხის მიხედვით ტექსტი არაა გამოცემული და ნაკვლევი.

Harley MS 5623. ბერძნული ლიტურგიკული კრებული. XI ს. 254r-256v. შედის 2 სხვადასხვა ფრაგმენტი: 254r-255v – საწელიწდო სახარება, ეტრატი; 15×10 სმ.; ნუსხური, სათაურები სინგურით, მელანი ყავისფერი, X-XI სს-თა მიჯნა; 256r-v პარაკლიტონი, ეტრატი, 21,4×15 სმ.; ნუსხური, მელანი შავი, სათაურები სინგურით. ფრაგმენტების პირველი ნაწილი (254r-255v)– საწელიწდო სახარება უნდა იყოს ტაოკალრჯული წარმომავლობისა, რაზეც მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ. ტექსტი ოპიზისა დაა ადიშის რედაქციებს მიჰყვება (Blake 1950). პარაკლიტონი ათონური წარმომავლობის ხელნაწერის ფრაგმენტი, სავარაუდოდ, გიორგი ათონელის ავტოგრაფული ნუსხის ნაწილი უნდა იყოს (Khintibidze 1998: 404-411).



32. Sloane 1350. 94v



33. Harley MS 5623. 254v



34. Or 5315. 1r

Or. 5315. ჟურნალი „მუშა“. XIX ს., 138 ფ.; ქაღალდი, 23×19 სმ.; მხედრული; სტატიებისა და ლექსების ავტორები არიან: ტ. რუისელი (ტატო ქობულაშვილი), ვ. დორელი (ივანე(ვანო) დოლმაზაშვილი), ვ. ჭერეთხეველი (ვასო ყულიჯანაშვილის), ნორიელი სლესარი (გრიგოლ ბასილაშვილი), ს. ზ. (სოლომონ აზმაიფარაშვილის) და რედაქტორი მ. ხომიზურავი (მიხეილ სიდამონიძე).

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია სათავეს XIV ს-დან იღებს. XVI-XVII სს-დაბ ბიბლიოთეკის საცავები ივსება შეწირულობების გზით, არაბული, ებრაული და სხვაენოვანი ხელნაწერებით, წიგნადი კოლექციებით. XVII 60-70-იან წლებში ბიბლიოთეკა უკვე ფლობდა ძველნაბეჭდი წიგნების, ინკუნაბულებისა და ხელნაწერების მნიშვნელოვან კოლექციას. 1867-1886 წწ-ში ბიბლოთეკას მართავდა ცნობილი კოლექციონერი ჰენრი ბრედშოუ, რომელის დროსაც ჩამოყალიბებულმა ეფექტურმა სტრუქტურამ, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის სისტემამ ხელი შეუწყო ბიბლიოთეკის ახალი კოლექციებით შევსებას. XX ს-ში გაფართოვდა როგორც ბიბლიოთეკის ფონდები, ასევე მისი ნაგებობაც. XXI ს-დან ბიბლოთეკამ ყურადღება მიმართა ციფრული ფონდის შექმნისაკენ. 2010 წლიდან მოქმედებს კემბრიჯის ციფრული ბიბლიოთეკა. კემბრიჯის ბიბლიოთეკაში დაცულია 11 ქართული ხელნაწერი, ძირითადად ფრაგმენტები. ვინაიდან სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციაში ხელნაწერები შესაძლოა იყოს აღნიშნული სხვადასხვა შიფრით (Georgian Ms./ Taylor-Schechter Ms.), წინამდებარე გამოცემაში ვუთითებთ ორივეს. როგორც რ. ბლეიკის მიერ შედგენილი აღწერილობიდან (Blake 1932: 208-224) ირკვევა, კემბრიჯში დაცული ქართული ფრაგმენტების უმეტესი ნაწილი სინური წარმომავლობისაა. ორი ქართული ფრაგმენტი კემბრიჯის უნივერსტეტის Taylor-Schechter კოლექციის შემადგენელი ნაწილია. ებრაული ხელნაწერების ეს მდიდარი კოლექცია შედგა 1896-1897 წწ-ში კემბრიჯის დოქტორ სოლომონ შეჩერის ინიციატივითა და ჩარლს ტეილორის ფინანსური მხარდაჭერით. ფუსტატის, ძველი კაიროს, ბენ ეზრას უძველეს სინაგოგაში შეძენილი სხვადასხვა დროის ებრაული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების საფუძველზე კემბრიჯის ბიბლიოთეკაში შეიქმნა ტეილორ-შეჩერის გენიზას კოლექცია. კოლექცია აერთიანებს სხვადასხვა დროს ებრაულსა და, ასევე, სხვა ენებზე გადაწერილ მრავალფეროვანი შინაარსის (როგორც რელიგიური, ასევე საერო) 193 000 ერთეულს. სხვა ქართული ფრაგმენტები – 9 ერთეული, რომლებიც დაცულია ახლო და შუა აღმოსავლეთის კოლექციაში, ბიბლიოთეკამ შეიძინა ფონტიშერდორფისგან. ისინი იერუსალიმაური და სინური წარმომავლობის ქართული ხელნაწერი წიგნების ნაწილებს წარმოადგენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კემბრიჯის ქართულ ხელნაწერებში ირიცხებოდა კიდევ ერთი ხელნაწერი MS. add. 1890. 2 ორი ფურცელი, თუმცა, აღნიშნული ერთეული წარმოადგენს სომხური ხელნაწერის ფრაგმენტს. წინამდებარე გამოცემაში კემბრიჯის

ქართულ ხელნაწერთა შესახებ ინფორმაცია შედგენილია რ. ბლეიკის აღწერილობისა (Blake 1932: 207-224)და ცალკეული ერთეულებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე. კორექტივები შეტანილია ავტორთა ჯგუფის მიერ.

Georgian Ms. 1/Taylor-Schechter Ms. 12,183. იერემია 12, 10-16.VI-VII სს. 1 ფ.; ეტრატი; 24,3×18,4 სმ.; პალიმფსესტი; ქვედა ფენა მსხვილი მთავრული. აღნიშნული ფრაგმენტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენიჭებათ არა მხოლოდ ქართული ხელნაწერი ტრადიციის, არამედ, ზოგადად, ბიბლეისტიკის დარგში მიმდინარე კვლევების თვალსაზრისით. ეს ბილინგვური – ქართულ-ებრაული პალიმფსესტი XIX ს-ის დასასრულს ინახებოდა კაიროს გენიზაში. სწორედ აქ ფრაგმენტი ისევე, როგორც კებრიჯის კოლექციის შემდგომი ერთეული Georgian MS. 2/Taylor-Schechter. Ms. 12,741, ებრაული ტექსტების შესყიდვის დროს შეიძინა კემბრიჯის დოქტორმა სოლომონ შეჩერმა. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთში, ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლექციაში, MS. Georg. c. I(P) საფონდო შიფრით დაცული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის კიდევ ერთი ფურცელი წარმოადგენს კემბრიჯული პალიმფსესტების ნაწილს. პალიმფსესტის ქვედა ფანაზე დაგაწერილია ქართული, ხოლო ზედაზე ებრაული, იერუსალიმური თალმუდის, IX ს-ით დათარიღებული ტექსტები. ფრაგმენტებმა იმთავითვე მიიპყრო კემბრიჯელ მეცნიერთა ყურადღება. 1929 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ე.ჰ. მინსმა კემბრიჯული ფრაგმენტების ფოტოპირები გამოუგზავნა აკ. შანიძეს, რომელმაც აღნიშნული ტექსტი მხოლოდ 1937 წელს გამოაქვეყნა (შანიძე 1937: 29-42). 1932 წელს კი კემბრიჯში დაცული ფრაგმენტები აღწერა, შეიწავლა და ერთი ხელნაწერის ნაწილებად აღიარა ცნობილმა ორიენტალისტმა რ. ბლეიკმა, რომელმაც პალიმფსესტის ქვედა ფენაზე დაცული ქართული ტექსტი, სავარაუდოდ, VIII ს-ით დაათარიღა (Blake 1932 (b): 207-242). მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ როგორც კემბრიჯის, ასევე ოქსფორდის ფრაგმენტებზე დაცულია იერემია წინასწარმეტყველის ხანმეტი ტექსტი: Georgian Ms. 1/Taylor-Schechter Ms. 12,183 -ზე იერემია 12, 10-16, Georgian MS. 2/Taylor-Schechter Ms. 12,741 – იერემია 20, 9-16, ხოლო ოქსფორდის MS. Georg. c. I (P) – იერემია 17, 26-18,8. კემბრიჯის ფრაგმენტების კომპლექსურმა კვლევის, ენობრივ ფორმათა, კერძოდ, სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების ხ-/ვ- პრეფიქსების პარალელური გამოვლენის ანალიზისა და ოქსფორდის პელიმფსესტის პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე ფრაგმენტები VI-VII სს-ით დათარიღდა (შანიძე 1937: 29-42; ციხელაშვილი 2013; ჯავახიშვილი 1996: 264-272). შესაბამისად, წინამდებარე პუბლიკაციაში აღნიშნული ფრაგმენტების თარიღი VI-VII სს-ითაა განსაზღვრული. აღნიშნულმა ფრაგმენტებმა, როგორც „იერემიას წიგნის“ უძველესმა ქართულმა თარგმანებმა, მიიპყრო ბიბლიის თარგმანთა ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა – ჯ. ბლეიკისა და ჯ. მოლითორის – ყურადღება. ქართული ტექსტის დედნის ძიებაში მკვლევრები ცდილობდნენ მათი ვარაუდით ქართულისათვის დედნად გამოყენებული ჩვენამდე არმოღწეული სომხური რედაქციის აღდგენის გზით სირიულ არქეტიპამდე მისვლას (Blake 1932 (a): 25-42, Molitor 1963: 99-102). ბიბლეისტიკის დარგში უკანასკნელ წლებში ჩატარებული სკრუპულოზური კვლევების, ქართული ტექსტის დღეს არსებულ ბერძნულ, სირიულ, სომხურ ტექსტებთან შედარების შედეგად გაირკვა, რომ კემბრიჯისა და ოქსფორდის ფრაგმენტებზე შემონახული იერემიას ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ჰექსაპლური რედაქციის თარგმანს (Kharanauli 2001: 204-236; 2003: 181-216; ხარანაული 2004: 314-333; მელიქიშვილი 2012: 57-67).

Georgian MS. 2/Taylor-Schechter Ms. 12,741. იერემია 20, 9-16. VI-VII სს. 1ფ.; ეტრატი; პალიმფსესტი; 23×11,6 სმ.; მთავრული. ზედა ფენა ებრაული – Schechter Ms. 12,183. დასახელებული ფრაგმენტისგან ეს ფურცელი განსხვავდება ზომებით, რადგანაც მისი არშიები შემოჭრილია.

Georgian MS. 3/MS. add. 1890.1. იერუსალიმური ლექციონარი. ფრაგმენტი. I მეფეთა 24,5-7. X ს. 1ფ.; ეტრატი; დაზიანებული; 14,9×13,6 სმ.; ასომთავრული; შავი მელანი; იკითხება მხოლოდ 15



35. Georgian MS. 3/MS. add. 1890.1. 1r


სტრიქონი. ფურცლის ამიები მოჭრილია. Verso გადარეცხილია მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და გრაფემების ამოკითხვაა შესაძლებელი. ტექსტი წარმოადგენს I მეფეთა 24, 5-7 ფრაგმენტს. აღმწერლის თვალსაზრისით, ფრაგმენტის ნუსხური სინურ-პალესტინური წრის ხელნაწერთა კალიგრაფიას ჰგავს (Blake 1932: 213-216). ფრაგმენტის შემცველი ხელნაწერის რაობისა და წარმომავლობის საკითხებზე პასუხის გაცემისათვის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიპყრო ტექსტის ხელნაწერი წყაროს გამოვლენის საკითხმა. საინტერესო იყო დაგვედგინა ბიბლიის ქართული თარგმანის რომელ რედაქციას ეყრდნობოდნენ ფრაგმენტის შემცველი კრებულის რედაქტორი და გადამწერი. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ „მეფეთა წიგნების" სრული ვერსია ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში მხოლოდ ბიბლიურ წიგნთა ოთხ ნუსხაში დასტურდება. რაღა თქმა უნდა, საკითხავები ამ ბიბლიური წიგნიდან შეტანილია ლექციონარებშიც[1]. ბიბლიის ქართული რედაქციის ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მეფეთა I და II წიგნებმა ორი (A და B) რედაქციის სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ B რედაქცია გვიანდელ, ბაქარის ბეჭდურ ბიბლიაში დასტურდება მხოლოდ, ხოლო A შესულია „მეფეთა წიგნების" შემცველ დანარჩენ ნუსხებში (ასეთი სულ სამია) და თანაც აქაც არაერთგვაროვანი და ჭრელი სურათი იქმნება (ცინდელიანი 1971: 46-65; 1983: 50-74; 1986: 21-36; მელიქიშვილი 2012: 100-104). ფრაგმენტის სავარაუდო წყაროს, თარიღისა და შექმნის არეალის დადგენის მიზნით ბიბლიის ქართული რედაქციების აკადემიური გამოცემაში გამოქვეყნებულ ადრეული რედაქციების ტექსტებთან მისი შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ კემბრიჯული ფრაგმენტის წყაროდ ვერ დასახელდება მისი შექმნის დროს ბიბლიის კანონში შეტანილი „მეფეთა წიგნების" იმ ეპოქასა და არეალში მიღებული ქართული რედაქცია[2]. კემბრიჯულ ფრაგმენტზე გადაწერილი I მეფეთა 24,5-7-ის წყაროს ძიებისას ყურადღება მიიპყრო ადრეული იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველმა ქართულმა ლიტურგიკულმა კრებულებმა – იერუსალიმურმა ტიპოკონმა და ლექციონარებმა, მათმა მეტად მნიშვნელოვანმა სამეცნიერო პუბლიკაციებმა (Кекелидзе 1912; Tarchnischvili 1959). როგორც გაირკვა, კემბრიჯული ფრაგმენტი წარმოადგენს იერუსალიმური ტრადიციის ამ კრებულებში დიდმარხვის მეექვსე ხუთშაბათს დადებული I მეფეთა 24,5-7 იდენტურ ტექსტს (შდრ. Кекелидзе 1912 (a): 66; Tarchnischvili 1959: 96). შესაბამისად, იგი უნდა იყოს სინა-იერუსალიმის არეალში გადაწერილი ლექციონარის ფრაგმენტი.

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომბიბლიის ქართულ თარგმანთა ბიბლეისტიკის კონტექსტში კვლევა დღემდე მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ერთიანი ტექსტების შესწავლის მიმართულებით გაიშალა. ჯერჯერობით საგანგებო შესწავლის საგნად არ ქცეულა ლიტურგიკულ კრებულებში შესული ბიბლიური ტექსტები, რომლებიც, მათი ლიტურგიკული ფუნქციის გამო, გაცილებით ადრე უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე და, შესაბამისად, ბიბლიურ ტექსტთა უძველესი ფენის დამადასტურებელი უნდა იყოს.


[2] გამოცემაში გათვალისწინებულ ხელნაწერთაგან X ს-ით თარიღდება მხოლოდ ოშკის ბიბლიის სახელწოდებით ცნობილი ნუსხა Ivir.Geo.1, ხოლო პალესტინურ არეალში შექმნილი ორი ხელნაწერიდან პირველი Jer.Geo 7/11 თარიღდება XI ს-ით, ხოლო მეორე Jer.Geo.113 (Ja) – XIII-XIV სს-ით.

Georgian MS. 4/MS. add. 1890.8. ლიტურგიკული კრებული. ფრაგმენტი. X ს., 1 ფ.; ეტრატი; 18,2×11,2 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი, სათაური და მარგინალია სინგურით. ფრაგმენტი მეექვსე რვეულის დასაწყისია. გადაწერილია 2 ხელით: პირველი კალიგრაფიული ნუსხურია. იგი ძალიან ჰგავს Sin.Geo.O.34-ის I გადამწერის, სოლო მეორე – იოვანე-ზოსიმეს ხელწერას. შეიცავს ლოცვებს: „მგზავრთა ზედა“, „ულის-სიტყუათათჳს“, „მანასესი“, „ყოველსა ჟამსა თქუმული წმიდათა მოციქულთაჲ“. სწორედ ამ შედგენილობის გამო, აღმწერლის თვალსაზრისით, სელნაწერი კურთხევანის ან ლოცვანის ფრაგმენტი უნდა იყოს (Blake 1932 (b): 214). ნაწერის არქიტექტონიკა, მარგინალური ნიშნები, წითელი მელნის მკვეთრი შეფერილობა ძალზე ჰგავს Sin.Geo.O.34-ს და,სავარაუდოდ, X ს-ის სინის მთის ქართველ მწიგნობართა ერთი და იმავე ჯგუფის ნამუშევარს უნდა წარმოადგენდეს. (შდრ.: აღწერილობა 1978 (a): 94).



36. Georgian MS. 4/MS. add. 1890.8. 1r

Georgian MS. 5/MS. add. 1890.3. აგიოგრაფიული კრებული (ფრაგმენტი), XI ს. 3 ფ.; ეტრატი; 38,4×26,5 სმ.; ნუსხური, ორ სვეტად. ყავისფერი მელანი. ფურცლები დაზიანებულია, შემოჭრილია. ორი ფურცელი „არეთას წამებაა“, ხოლო მესამე – „წმ. რიფსიმეს ცხოვრება“. ხელი ჰგავს ოქსფორდია MS. Georg. b. I ხელნაწერის კალიგრაფიას, რომელიც, სავარაუდოდ, გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის, გიორგი-პროხორეს, მიერ.




37. Georgian MS. 5/MS. add. 1890.3.

Georgian MS.6/ MS. add. 1890.4. თვენი. XI-XII სს. ფრაგმენტი.2 ფ.; ეტრატი; 25×21,4 სმ.; ნუსხური, ათონური ხელი, ყავისფერი მელანი, სათაურები სინგურით. ორ სვეტად. შეიცავს აპრილის თვის მასალას. შეუსწავლელია.

Georgian Ms.7/MS. add. 1890.5. მარხვანი. XI-XIIსს. ფრაგმენტი, 2 ფ.; ეტრატი; 23,4 × 18,8სმ.; ნუსხური, ერთ სვეტად, ყავისფერი მელანი. სათაურებიო და საზედაო ასოები სინგურით. 2v ქვედა აშიაზე შავი მელნით მხედრული მინაწერი გაბმულად არ იკითხება. დაზიანებულია.

Georgian Ms.8 /MS. add. 1890.7. თვენი. XI-XII სს. ფრაგმენტი 2 ფ.; ეტრატი; 22×17,5 სმ.; ნუსხური, ერთ სვეტად, ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. 1r-ზე ტექსტი ალაგ-ალაგ გადარეცხილია. შეიცავს ივლისის თვის მასალას. შეუსწავლელია.

Georgian Ms.9 /MS. add. 1890.6. თვენი. XIV ს. ფრაგმენტი, 1ფ.; ეტრატი; 22,8×16,5 სმ.; ნუსხური, შავი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, შეიცავს სექტემბრის თვის მასალას. ფრაგმენტის სავარაუდო წარმომავლობისა და თარიღის განსაზღვრისათვის საყურადღებოა ნუსხუ-



38. Georgian Ms.9 /MS. add. 1890.6. 1r. თევდა (თევდორე) დიღმელის მინაწერი

რით შესრულებული მინაწერი: „სულსმაღლსა, სრულიად ცოდვილსა თევდორეს და მშობელთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმან..."ამავე შინაარსისა და ეპითეტის დართვით თევდორე/თევდას XIV ს-ის მინაწერთა სიუხვით გამოირჩევა იერუსალიმური კოლექციის ქართული ხელნაწერები. შესაბამისად, ფრაგმენტი იერუსალიმური ქართული კოლექციის ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს. პალეოგრაფიული ნიშნებისა და კოლოფონის საფუძველზე მისი თარიღი XIVს-ით უნდა განისაზღვროს. თევდორე/თევდას იდენტიფიკაციისათვის იხ.: კეკელია 2010: 696-706; 2010/2011: 239-243.

Georgian MS.10/MS. add. 1891.1. ნიკოდიმოსის სახარება. XII ს.ფრაგმენტი; 1 ფ.; აღმოსავლური ქაღალდი; 37,5×29 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დაზიანებული. კალიგრაფია ძალზე წააგავს გელათური სკოლის ხელნაწერების ნაწერს. ამავდროულად ტექსტს ერთვის სადეკლამაციო ნიშანთა სისტემა, რომელიც დამახასიათებელია სწორედ XII ს-ის გელათური სკოლის ხელნაწერებისთვის.

Georgian MS. 11 /MS. add. 1891.2. პირადი ხასიათის წერილი. 1800 წ. ქაღალდი; 1 ფ.; 20×18,8 სმ.; მხედრული, შავი მელანი.

ბირმინგემის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა


მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ორიენტალისტმა ალფონს მინგანამ საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლური წერილობითი სიძველეების დიდ კოლექციას. აღნიშნულ პერიოდში ბრიტანეთის სახელმწიფოსა და სამეცნიერო საუნივერსიტეტო წრეების ინტერესი მიმართული იყო აღმოსავლური წერილობითი კულტურის მნიშვნელოვანი კოლექციების შეგროვებისკენ. თუმცა ბრიტანეთში არსებული ეს ტენდენცია არ შემოიფარგლებიდა სიძველეების მხოლოდ როგორც ანტიკვარული ნიმუშების თავმოყრისკენ. პროცესი, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ამ რარიტეტის კვლევასა და კატალოგიზაცია-პუბლიკაციას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ აღმოსავლურ ხელნაწერთა კოლექციის შექმნას სათავეში ჩაუდგა ორიენტალისტი, თეოლოგი ალფონს მინგანა.

ალფონს მინგანა (1878–937)


ალფონს მინგანა დაიბადა ქ. ზახოში, ერაყში. დაწყებითი განათლება მიიღო ქ. მოსულში დომინიკელთა ორდენის მიერ დაარსებულ წმინდა იოანეს სემინარიაში; 1902-1910 წლებში იყო ამავე

სემინარიის სირიული და არაბული ენების პროფესორი. 1905 წლიდან ალფონს მინგანამ გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი სირიული წყარო (წარსაის ჰომილიები, არბელის ქრონიკა და სხვ.) 1913 წელს იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში წერილობით სიძველეთა კლევისა და შეგროვების მიზნით. 1915 წლიდან მოღვაწეობდა დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, მანჩესტერის ჯონ რილანდის ბიბლიოთეკაში, სადაც შეადგიან არაბულ ხელნაწერთა კატალოგი, მანჩესტერის უნივერსიტეტში, ასევე იყო აღმოსავლურ ენათა ექსპერტი. 1920 წელს მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა. ალფონს მინგანამ საფუძველი ჩაუყარა წერილობითი კულტურის კვლევისთვის მნიშვნელოვან სამეცნიერო სერიას: 1926-1934 წლებში მან გამოაქვეყნა შვიდი ტომი სერიისა Woodbrooke Studies. Christian documents in Syriac, Arabic and Garshuni, edited and translated, ხოლო 1935 წელს დაიწყო ცალკეული მნიშვნელოვანი ძეგლების პუბლიკაცია სერიით: Woodbrooke Scientific Publications. დღეისათვის მინგანას კოლექცია აერთიანებს სირიულ და გარშუნის დამწერლობით შესრულებულ 662 ქრისტიანულ ხელნაწერს, 270 ქრისტიანულ არაბულ და 2000 ისლამურ-არაბულ ხელნაწერ წიგნს, ასევე კოპტურ, სომხურ, ებრაულ, სპარსულ, სამარიტულ და სანსკრიტზე შესრულებულ წერილობით სიძველეებს. ამ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან კოლექციაში შესულია უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები, სულ 8 ერთეული. აღნიშნული კოლექცია თავდაპირველად დაცული იყო სელი ოუკის კოლეჯში (Selly Oak Colleges), ხოლო 1990 წლიდან კოლეჯის ბირნინგემის უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ კოლექცია გადაეცა აღნიშნული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

ბირმინგემში დაცული ქართული ხელნაწერები წარმოადგენს ალფონს მინგანას ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობის (1924-1925 სირია-ქურთისტანი და 1929 ეგვიპტე – სინის მთა) დროს შეძენილი აღმოსავლური ხელნაწერების ნაწილს. მინგანას კოლექციის ქრისტიანული არაბული და სირიული ხელნაწერების ნაწილს აქვს მინგანასეული მინაწერები, რომლებიც ცხადყოფს, რომ აღნიშნული ერთეულები სინური წარმომავლობისაა. არაბულმა ხელნაწერებმა წმ. ეკატერინეს მონასტერი 1893 წელზე ადრე დატოვეს (Garitte 1960: 240). რაც შეეხება ქართულ ფურცლებს, სავარაუდოდ, ისინი ალფონს მინგანას უნდა შეეძინა ალექსანდრიაში, რადგანაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ორ ერთეულზე სწორედ ამ შინაარსის შენიშვნაა დართული. როგორც ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში აღმოსავლური ხელნაწერი სიძველეების ერთ-ერთი უმთავრესი ბაზარი სწორედ ალექსანდრია იყო. მინგანას კოლექციის ქართული ხელნაწერი ფურცლები სინური წარმომავლობისაა, მათგან ერთი – Mingana.Geo.2 1883 წელს ჯერ კიდევ მონასტერში იყო, მაგრამ 1902 წელს იქ აღარ ინახებოდა. Mingana.Geo.1 და Mingana.Geo.3 წმ. ეკატერინეს მონასტრიდან 1883 წლამდე გამოიტანეს. თუ რა გზა გაიარა 8 ფრაგმენტმა მონასტრიდან გატანის შემდგომ მინგანას კოლექციაში მოხვედრამდე უცნობია. Selly Oac-ში ქართული ხელნაწერების არსებობა 1954 წლამდე უცნობი იყო. 1935 წელს ჟურნალ Georgica-ში გრ. ფერაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი ბრიტანეთში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე, რომელშიც აღნიშნა, რომ Selly Oak-ში სტუმრობისას მას ქართული ხელნაწერები არ უნახავს. 1954 წელს ლონდონის School of Oriental and African Studies-ს ბიბლიოთეკარმა ჯ. პირსონმა თავის წიგნში მიუთითა, რომ Selly Oak-ში ქართული ხელნაწერების 8 ფრაგმენტი იყო დაცული (Pearson 1954: 43). სწორედ ამ პუბლიკაციის შემდგომ ბირმინგემის ქართული ფრაგმენტებით დაინტერსდა ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი, ქართული მწერლობის უდიდესი მცოდნე ჟერარ გარიტი. მან 1960 წელს გამოაქვეყნა მინგანას კოლექციაში დაცული ამ ხელნაწერი ფურცლების აღწერილობა (Garitte 1960: 239-259). წინამდებარე გამოცემაში ბირმინგემის ხელნაწერთა შესახებ პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მონაცემები შედგენილია სწორედ დასახელებული აღწერილობისა საფუძველზე, შევსებულია არსებული და მიმდინარე კვლევების გათვალისწინებით (Garitte 1963: 1-21; გარიტი 1973: 170-183).



39. Mingana.Geo.1. 1v



40. Mingana.Geo.2. 1r

Mingana. Geo. 1. კურთხევანი. X ს. 1 ფ.; ეტრატი; 18×13 სმ.; ნუსხური, სათაურები სინგურით. კურთხევანის ერთ-ერთი ადრეული რედაქციის ფრაგმენტი. როგორც დაადგინა ჟ. გარიტმა, ფურცელი წარმოადგენს Sin.Geo.O.66-ის ნაწილს. მთლიანი ხელნაწერი აღწერა ა. ცაგარელმა №37 (Цагарели 1888: 212). წიგნი შედგებოდა 137 ფურცლისაგან. 1902 წელს ნ. მარმა 133 ფურცელი ნახა (Mapp1940: 152-162). ჟ. გარიტი ხელნაწერს უწოდებს ლოცვანს, მაგრამ Sin.Geo.O.66-ის პირველი ნაწილი, რომლის ფრაგმენტიცაა ბირმინგემის კოლექციის ეს ფურცელი, წარმოადგენს სინურ-პალესტინური წრიდან გამოსული კურთხევანის ერთ-ერთ ადრეულ რედაქციას, ნასწორებს იოვანე-ზოსიმეს მიერ. იგი განსხვავდება სინური კოლექციის ადრეული რედაქციის სხვა კურთხევანებისგან (კეკელიძე 1980: 584; აღწერილობა, 1987: 70-72; აღმოჩენები 2005: 286).


Mingana. Geo. 2. ეფრემ ასურის ჰომილია. IX-X სს. 1ფ.; ეტრატი; 24,5×19,8 სმ.; ასომთავრული. ფრაგმენტი არის Sin.Geo.O.97 ნაწილი. შესაბამისად, იგი არის ეფრემ ასურის ერთ-ერთი ადრეული ქართული თარგმანი. საბაწმინდური წარმომავლობის ამ ფრაგმენტსა და მის შემცველ ხელნაწერში შესული ეფრემ ასურის ჰომილიების იდენტური ბერძნული დედნები ამჟამად უცნობია, რაც ამ თარგმანებისა და მათი შესატყვისი ბერძნული რედაქციების არქაულობაზე მეტყველებს. 1883 წელს ხელნაწერი ნახა ა. ცაგარელმა (Цагарели 1888: 231,№78), მაგრამ 1902 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ ხელნაწერის აღწერის დროისათვის ფურცელი უკვე დაკარგული იყო (ჯავახიშვილი 1947: 137-138). Mingana. Geo. 2 მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შეიცავს Sin.Geo.O.97-ის ანდერძს, რომელიც გამოაქვეყნეს ჯერ ა. ცაგარელმა, შემდგომ ჟ. გარიტმა (Цагарели 1888: 231, №78; Garitte 1960: 245). ფრაგმენტის verso-ზე არის არაბული მინაწერი დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე. მოგვაქვს ანდერძის ფრაგმენტი: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და მეოჴებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსითა და ყოველთა წმიდათა მამათაჲთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ცოდვილი გიორგი ტყელელი, დაწერად წმიდასა ამას წიგნსა მამისა ჩუენისა ეფრემისსა ლავრასა შინა დიდსა მამისა ჩუენისა საბაჲსსა... „

Mingana. Geo. 3. მაკარი მეგვიპელი. პირველი ეპისტოლე. X ს. 1ფ.; ეტრატი; 14,5×11 სმ.; ნუსხური. ფრაგმენტი Sin. Geo.O.25-ის ნაწილია. აღნიშნული სინური ხელნაწერი დღეს 213 ფურცელს ითვლის, იმდენივეს, რამდენიც ა. ცაგარელმა ნახა 1883 წელს (ცაგარელი1888: 228, №74). მაშასადამე, Mingana. Geo. 3 სინური ხელნაწერიდან 1883 წლამდე უნდა იყოს ამოღებული. ვინაიდან Sin.Geo.O.25 თავნაკლული ხელნაწერია, ტექსტის იდენტიფიკაციის მიზნით ჟ. გარიტმა შეადარა მინგანას ფრაგმენტი მაკარი მეგვიპტელის პირველი ეპისტოლის შემცველი Sin.Geo.O.35-ის ტექსტს. ამგვარმა შედარებამ მკვლევარს მისცა საშუალება დაედგინა ზემოთ დასახელებულ 2 სინური ნუსხასთან მინგანას ფრაგმენტის კავშირი. გაირკვა, რომ Sin.Geo.O.25-ის საწყის ფურცელსა და Mingana. Geo. 3 შორის 9-ფურცლიანი შუალედია.მინგანას ფრაგმენტის ტექსტი ლათინური თარგმანის თანხლებით გამოქვეყნებულია(Garitte 1960: 247-249).მაკარი მეგვიპტელის თხზულებათა ქართული თარგმანების რედაქციული თავისებურებები Sin.Geo.O.25 -ის გათვალისწინებით შესწავლილი და გამოცემულია (ნინუა 1982).



41. Mingana. Geo. 3. 1r


Mingana. Geo. 4. ალექსანდრე კვიპრელი. ჯვრის პოვნის საკითხავი. 986 წ. 1ფ.; ეტრატი; 15,2×12 სმ.; ნუსხური. ბირმინგემის ქართული ხელნაწერების კატალოგის შედგენის დროს, მართალია, ჟ. გარიტმა ვერ დაადგინა ფრაგმენტის რაობა, მაგრამ აღნიშნა, რომ სინური წარმოშობის ეს ფურცელი დაკარგული ხელნაწერის ნაწილი უნდა ყოფილიყო და სრულად გამოაქვეყნა მისი ტექსტი, რამაც, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა ფრაგმენტის რაობის შემდეგდროინდელ დადგენაში (Garitte 1960: 249-250). ეს კი შესაძლებელი სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ე.წ. ახალი კოლექციის ქართული ხელნაწერების კატალოგიზაციის დროს. Sin.Geo.N.20-ის კვლევისა და აღწერისას მ. შანიძემ არა მხოლოდ დაადგინა აღსაწერი ხელნაწერის თარიღი და რაობა, არამედ გამოავლინა მსოფლიოში გაფანტული მისი ყველა ნაწილიც. სწორედ მის მიერ ზუსტად განისაზღვრა ბირმინგემის ამ ფრაგმენტის რაობა და ძირითადი ნუსხა, რომლის შემავსებელ ნაწილსაც წარმოადგენს Mingana. Geo. 4 (შანიძე 1999: 113-126; აღმოჩენები 2005: 266-267). გაირკვა, რომ ფურცელი ამჟამად პრინსტონში დაცული ხელნაწერის Garrett MS. 24-ის ნაწილია. ფრაგმენტი იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფია. მასზე გადაწერილია ალექსანდრე კვიპრელის ჯვრის პოვნის საკითხავი. დაწვრილებით ამ თხზულებისა და მისი შემავსებელი ხელნაწერების შესახებ იხ. პრინსტონის ხელნაწერები, Garrett MS. 24.




43. Mingana. Geo. 4. 1r



42. Mingana. Geo. 3. 1v



44. Mingana. Geo. 5. 1r



45. Mingana. Geo. 6. 1r

Mingana. Geo. 5. პასქალია. X ს. 1ფ.; ეტრატი; 19,2×15,5 სმ.; ნუსხური; 11 სტრიქონი + 3 სტრიქონი სხვა ხელით არის ნაწერი + 2 სტრიქონი არაბულად. 1-11 სტრიქონები არის X ს-ის იერუსალიმური ტრადიციის ლიტურგიკული კრებულის Sin.Geo.O.12 301v -ს გაგრძელება. მინგანას კოლექციის ამ ფურცლისა და სინური ხელნაწერის ზომები იდენტურია. ბირმინგემის პასქალიის ფრაგმენტზე იკითხება იოვანე-ზოსიმეს განმარტებითი მინაწერი. ტექსტი ნაწერია მხოლოდ Recto-ზე; დასაწყისია: „ნოემბერი ლ დღე, საძიებელი გ; დეკემბერი ლა დღის საძიებელი ე. თუ გინდეს ცნობაჲ დღისაჲ, იპყრენ დღენი თუისანი და დაორთე (!)“. ფრაგმენტის Verso დაუწერელია, რას ნიშნავს იმას, რომ ბირმინგემის ფრაგმენტი Sin.Geo.O.12-ის ბოლო ფურცელია, პასქალიის ტექსტი სინური ნუსხის მიხედვით გამოქვეყნებულია (ჯავახიშვილი 1947: 32). სინური კოლექციის არაერთ ხელნაწერს ახლავს პასქალური ცნობები, მაგრამ განსხვავებული რედაქციისა. მინგანას ფრაგმენტთან რედაქციულად ახლო მდგომი ტექსტი ფონ ტიშენდორფის მიერ რუსეთის საიმპერატორო, ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემული X ს-ის ქართული ფრაგმენტის მიხედვით გამოაქვეყნა მ. ბროსემ (Brosset 1868 (a): 1-20).

Mingana. Geo. 6. წმინდა კვირიაკეთა საცისკრო სახარება. 977 წ. 1 ფ.; ეტრატი; 14,5×12 სმ.; მხვილი მთავრული. მინგანას ეს ფრაგმენტი ნაწილია სინური კოლექციის კვირის საცისკრო სახარებათა საკითხავების კრებულ Sin.Geo.O.47-ისა, VII რვეულის მე-3 ფურცელია (Sin.Geo.O.47 ხელნაწერის 48 და 49 ფურცლებს შორის). მასზე გადაწერილია მარკოზის 16, 12-14 მუხლები. ძირითადი სინური ხელნაწერის გადამწერია იოვანე-ზოსიმე (აღწერილობა 1987: 47-55).


Mingana. Geo. 7. იოვანე-ზოსიმეს ანდერძი. ავტოგრაფი. 983 წ. პალიმფსესტი. 1 ფ.; ეტრატი; 18,5×12,2 სმ.; ნუსხური, recto-ს 10, 12-14 სტრიქონები ნაწერია მთავრულით. იოვანე-ზოსიმეს ანდერძი. ეს სინური წარმომავლობის ერთი ფურცელი ალ. ცაგარლის მიერ სინური ხელნაწერების აღწერის დროს აკინძული იყო ამჟამად გრაცის კოლექციაშია დაცული ხანმეტი ლექციონარის 27 ფურცელთან ერთად და მკვლევრის მიერ ერთი წიგნის შემადგენელ ნაწილებად იყო აღქმული. მკვლევარმა ანდრძის ფრაგმენტიც გამოაქვეყნა (Цагарели 1888: 199-200, №9). ბირმინგემის კოლექციაში შესული იოვანე-ზოსიმეს ანდერძი შეისწავლა და სრული სახით გამოაქვეყნა ჟ. გა-

რიტმა (Garitte 1960: 254-255). გაირკვა, რომ ანდერძი გადაწერილია პალიმფსესტურ ფურცელზე, რომლის ქვედა ფენაზე V-VI სს-ის ბერძნული მთავრულით გადაწერილია 1 იოვ. 3,23-4,1 და 1იოვ. 4,3-6 ეპისტოლეები. ამ ფურცელს არ აქვს კავშირი ხანმეტ ლეციონართან. როგორც ჩანს, ის მექანიკურად იყო ჩაკინძული ხანმეტი ლექციონარის 27 ფურცელში. ჩვენი ვარაუდით, ბირმინგემის ფრაგმენტი სინური კოლექციის რომელიღაც დღეისათვის დაკარგული ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს, ვინაიდან ცნობილი სინური არც ძველი და არც ახალი კოლექციების არც ერთი X ს-ის ხელნაწერის ზომები არ ემთხვევა იოვანე ზოსიმესეული ანდერძის ფურცლის ზომას. მოგვაქვს ანდერძის სრული ტექსტი: „კჳრიელეისონ. სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი სინა წმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისათა ბრძანებითა და მოღუაწეობითა მიქაელ პატიოსნისა მღვდლისა კათამონელისაჲთა დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებულობისა ჩუენისათა სალოცველად ჩუენდა დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფპზ-სა და ქორონიკონი იყო ქართულად სგ. აწ გევედრებით თქუენ ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მამათა და ძმათა ჩუენთა გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა ჩუენ, ცოდვილნი ესე, და || v მშობელნი და ძმანი ჩუენნი და ყოველნივე ჩუენეულნი ცოცხალნი და გარდაცვალებულნი სულიერნი და ჯორციელნი, რამეთუ ჩუენ ფრიად გურწამს თქუენი ლოცვაჲ და ყოველი დაკლებულებაჲ ჩუენი შეგჳდვეთ ღმრთისათჳს და თქუენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალენინ ყოველნი. ამენ."

Mingana. Geo. 8. იოანე-ზოსიმეს ანდერძი. ავტოგრაფი. პალიმფსესტი; X ს. 1ფ.; ეტრატი; 11×8,7 სმ.; ნუსხური. ხელნაწერი იოანე-ზოსიმეს ანდერძის დასასრულს წარმოადგენს. მართალია, ქართულ ანდერძში არ არის მოხსენიებული გადამწერის ვინაობა, მაგრამ ტექსტის ხელი ეჭვს არ ბადებს, რომ იგი ეკუთვნის იოვანე-ზოსიმეს. ანდერძის დასასრულს ახლავს ორი სტრიქონი არაბულად. ხელნაწერი პალიმფსესტია, რომლის ქვედა ფენაზე წვრილი ბერძნული მთავრულით გადაწერილი უნდა იყოს ლიტურგიკული ტექსტი. თუ რომელ ქართულ ხელნაწერს ეკუთვნოდა ეს ფურცელი, დღემდე დაუდგენელია. ანდერძი გამოქვეყნებულია (Garitte 1960: 258-259). მოგვაქვს სრული სახით: recto: „აწ გევედრებით თქუენ ყოველთა ღმრთის მოყუარეთა მამათა და ძმათა ჩუენთა გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა ჩუენ ცოდვილნი ესე და მშობელნი, და ძმანი ჩუენნი, და ყოველი ერი ჩუენი ცოცხალნი და გარდაცვალებულნი, სულიერნი და ჯორციელნი. რამეთუ ჩუენ ფრიად




46. Mingana.Geo.7. 1r



47. Mingana.Geo.7. 1v



48. Mingana.Geo.8. 1r



49. Mingana.Geo.8. 1v

გურწამს თქუენი ლოცვაჲ და ყოველი დაკლებულებაჲ შეგჳნდვეთ ღმრთისათჳს და თქუენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალენინ ყოველნი, ამენ. ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო, ლოცვა ყავთ, ამენ.“ verso: „შეიმოსა მეორედ წმიდაჲ ესე წიგნი სინა წმიდას ტყავითა ზროხისაჲთა ჯელითა ზროხაკაცისა ფრიად ცოდვილისაჲთა. ყოველი დაკლებულებაჲ ჩემი შემიდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ. ამენ.“

ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკა

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკა ევროპის წიგნსაცავთა შორის ერთ-ერთი უძველესია. იგი ატარებს ხელნაწერთა დიდი კოლექციის შემგროვებელ სერ ტომას ბოდლეს, ელისაბედ პირველის (1533-1603) კარის დიპლომატის, სახელს. სწორედ ამ მოღვაწემ 1602 წელს განაახლა ჯერ კიდევ 1410 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის განკარგულებაში გადასული წიგნსაცავი. ამდენად, ბოდლეს ბიბლიოთეკა ფლობს ერთ-ერთ უძველეს წიგნად ფონდს ევროპაში. დღეისათვის ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკა აერთიანებს რამდენიმე დიდ საცავს, 12 მლნ- ზე მეტ ერთეულს.

ოლივერ უორდროპი (1864–1948)

სერ ოლივერ უორდროპი, ბრიტანელი დიპლომატი, მთარგმნელი და მოგზაური, ქართველოლოგიური კვლევების ინიციატორი ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1887 წელს, საქართველოში პირველი მოგზაურობის შემდგომ, მან გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს სამეფო“, მოგვიანებით, დაეუფლა რა ქართულ ენას, ო. უორდროპმა თარგმნა და ბრიტანულ საზოგადოებას გააცნო სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ინგლისურ-სვანური ლექსიკონი (1911), საქართველოს მეფე გიორგი მეხუთის კანონები (1914); 1913 წელს კი მანვე გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ქართულ ხელნაწერთა პირველი კატალოგი (Wardrop 1913: 397-408). 1919-1920 წლებში იგი იყო ბრიტანეთის პირველი კომისარი კავკასიაში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შეწყვიტა ეს ურთიერთობა, თუმც კი უორდროპი ბრიტანეთში აგრძელებდა ზრუნვას ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციაზე. საინტერესოა, რომ მის ფონდში დაცულია დიდი რაოდენობით ფოლკლორული მასალა, რაც გულისხმობს, რომ ო. უორდროპის მიზანს წარმოადგენდა ქართული კულტურის საფუძვლიანი კვლევა არა მხოლოდ წერილობითი ძეგლების, არამედ ზეპირი მეხსიერების ამსახველი ტექსტების საფუძველზეც. ოლივერ უორდროპის ამ საქმიანობას მხარ უჭერდა და აქტიურად მისდევდა მისი და მარჯორი უორდროპი, რომელიც ასევე რამდენჯერმე ეწვია საქართველოს, დაინტერესდა ქართული ლიტერატურითა და ფოლკლორით, თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანი დაიბეჭდა მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შემდგომ სერ ჯ. ოლივერ უორდროპის ინიციატივით. უორდროპებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართულ საზოგადოებასთან – მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებსა და მეცნიერებთან. სწორედ ოლივერ უორდროპის დამსახურებით შესაძლებელი გახდა წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოჭრილი 9 მინიატურის ადგილსამყოფელის დადგენა,

რამაც ქართულ მხარეს მისცა საშუალება შეესყიდა და დაებრუნებინა ისინი საქართველოში. საინტერესოა ოლივერ უორდროპის დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება მისი და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერის ამსახველი საარქივო მასალა, რომლიდანაც ირკვევა, რომ სერ ჯ. ოლივერ უორდროპი ქართულ წერილობით კულტურას აფასებდა არა როგორც კოლექციონერი, არამედ როგორც მისი ჭეშმარიტი გულშევატკივარი, რომელიც ყოველ მხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციისთვის დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის უორდროპის ფონდში ინახება მარჯორი უორდროპის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილი საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი MS.Wardr. c. I (31). სწორედ ამგვარი ფაქტები უდავოდ ადასტურებენ უორდროპთა დიდ წვლილს ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ჯ. ოლივერ უორდროპის დამოკიდებულებას ნათლად ასახავს მის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისადმი 1911 წლის 13 დეკემბერს გამოგზავნილ წერილი, რომელშიც იგი აცნობებს ქართველ მეცნიერს, რომ აღარ აპირებს საქართველოში ხელნაწერთა შეძენას, რათა ხელი არ შეუწყოს ქართული კულტურის ნიმუშების გადინებას ქვეყნიდან. იგი აპირებს ევროპაში მოიძიოს ანტიკვარების ხელში არსებული ქართული წერილობითი სიძველეები. 1910 წელს ჯ. ოლივერ უორდროპი ოქსფორდის უნივერსიტეტში აარსებს მარჯორი უორდროპის ფონდს, რომლის მიზანიც იყო ქართველოლოგიური კვლევის ხელშეწყობა. საზოგადოება დღესაც ამ მიზნებს ემსახურება.


ქართული ხელნაწერი წიგნი დაცულია ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა დეპარტამენტის უორდროპის კოლექციაში, რომელმაც გააერთიანა როგორც ოლივერ უორდროპის მიერ შეძენილი, ასევე ბიბლიოთეკის ფონდში მანამდე და შემდგომაც შესული ქართული ხელნაწერი წიგნები. ჩვენ მიერ წარმოდგენილი კატალოგის პირველი 7 ერთეული განეკუთვნება ძველ კოლექციას, რომელშიც გაერთიანებულია ადრეული (VII-VIII სს-ებით დათარიღებული) ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფრაგმენტები, XI, XIV სს-ის ჯვრის მონასტერში გადაწერილი კოდექსები.

ოქსფორდის უორდროპის კოლექციის წერილობითი სიძველეები მოიცავს 210 ერთეულს, რომელთაგან მხოლოდ 75-ია ხელნაწერი წიგნი, ფრაგმენტი ან ფოტოასლი. უმეტესი ნაწილი ამ წიგნებისა თარიღდება XVIII-XIX სს-ით. ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ფონდი შედგენილობით მრავალფეროვანია: სასულიერო წიგნების პარალელურად მასში შესულია მდიდარი საერო რეპერტუარის კრებულები, „ვეფხისტყაოსნის“ ორი ილუსტრირებული ხელნაწერი წიგნი, ხელნაწერთა ფოტოპირები (MS. Wardr. e. 29; MS. Wardr. e. 34; MS. Wardr. e. 35-37) და დიდი რაოდენობით ეპისტოლარული მემკვიდრეობა, დოკუმენტები. ამასთანავე ფონდში ინახება ოლივერ და მარჯორი უორდროპების მიერ სხვადასხვა დროს ინგლისურ ენაზე შედგენილი ქართულ ხელნაწერთა და ნაბეჭდ წიგნთა კატალოგები.

საინტერესოა, რომ ფონდი აერთიანებს მასალას ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე. ამ უცხოენოვანი მასალის უდიდესი ნაწილი ქართული წიგნების თარგმანს წარმოადგენს. ისინი შესრულებულია მარჯორი და ოლივერ უორდროპის მიერ. ინგლისურენოვანი თარგმანები ძირითადად პოლიტიკური შინაარსისაა: მაგ.: MS. Wardr. c 1(9)-ქართული ეკლესიის პეტიცია კავკასიის მთავარმართებლისადმი, MS. Wardr. c. 1(12) -ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომი საქართველო--რუსეთის ხელშეკრულებების შესახებ, MS. Wardr. c. 1(13-15), MS. Wardr. c. 19 - საქართველოს მდგომარეობა 1921 წ. ბოლშევიკური წყობის ფონზე; MS. Wardr. c. 20; MS. Wardr. c 23; MS. Wardr. c. 23 (4-6); MS. Wardr. c.25 – საქართველოსთან დაკავშირებული სხვადასხვაენოვანი ქაღალდები, MS. Wardr. c 26 – საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული ნაწერები



50. MS. Georg.c.I (P). 1r



51. MS. Georg.c.I (P). 1v

და სხვ. კოლექციაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი საარქივო-ეპისტოლარული მასალა ეხება უორდროპების მიმოწერას როგორც ქართული საზოგადოების წარმომადგენლებსა და ოლღა გურამიშვილთან, ასევე ბრიტანელ და სხვა ევროპელ მოღვაწეებთან: MS. Wardr. c. 24; MS. Wardr. c. 27; MS. Wardr. d. 8; MS. Wardr. d. 20; MS. Wardr. d. 38/7 და სხვა. გარდა ხელნაწერი სიძველეებისა, ოქსპორდის უორდროპების ფონდში დაცულია სხვადასხვა ქართულენოვანი გამოცემა. ფონდი აღწერილი აქვს დევიდ ბარეტს (Barrett 1973). წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვეყრდნობით სწორედ ამ პუბლიკაციას და ამავე დროს ვითვალისწინებთ ოქსფორდის ქართული ხელნაწერების ადრე გამოქვეყნებულ აღწერილობებს(Peeters 1912: 25-32; Lang 1957 (a); Такаишвили 1961: 196—206). ინფორმაცია იმ ერთეულების შესახებ, რომლებიც ნაკვლევია ქართველი ან ევროპელი მეცნიერების მიერ, დაზუსტებული და შევსებულია მათი პუბლიკაციების საფუძველზე.

MS. Georg. b. I. აგიოგრაფიული კრებული. 1056-1065 წწ. 500 ფ.; ეტრატი; 39×25 სმ.; ნუსხური; გადაწერილს ადგილი: პალესტინა; გადამწერი: გიორგი-პროხორე. კრებული აღმწერელს 1038-1040 წწ-ით აქვს დათარიღებული (Barrett 1973: 305). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო პ. პეეტერსის მიერ გამოქვეყნებულმა ანდერძ-მინაწერებმა (Peeters1912: 302). მოვიხმობთ გიორგი-პროხორესეულ ანდერძს, რომლის მიხედვითაც თამამად მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ აღნიშნული წიგნი მონასტრის დასრულების შემდგომაა დადებული მის წაგნსაცავში: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი პროხორე, დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მოწამეთა წიგნისა და გავასრულე და შევმოსე და დავდევ ნებითა ღუთისაჲთა და შეწევნითა წმიდათაჲთა ჩემ მიერ აღშენებულსა ეკლესიასა წმიდისა ჯუარისასა... (312v)." მონასტრის საბოლოო დასრულების თარიღად დადგენილია 1056-1065 წლები (კეკელიძე 1980: 103, მენაბდე 1980: 84). საყურადღებოა კრებულის შედგენილობა. წიგნში შესულია მამათა და დედათა ცხოვრე-

ბა-მარტვილობის 45 ტექსტი, წმ. გიორგის შესხმა და „უწყებაჲ სარკჳველებათაჲ“, ანტიოქე სტრატიგის „იერუსალიმის წარტყვევნა“ და ალექსანდრე კვიპრელი ჯვრის პოვნის საკითხავი. ტექსტების ნაწილი კიმენური რედაქციისაა, გამოუცემელია, ზოგი შემორჩენილია მხოლოდ ქართული თარგმანით (გაბიძაშვილი 2014: 17, 25-26, 28-29, 32, 34, 39, 43, 49, 70-71). თუ დავაკვირდებით წიგნში გაერთიანებული მასალის კალენდარულ სისტემას, რომელიც მარტი-თებერვლის ხსენებათა შემდგომ კვლავ აპრილისა და ივნისის საკითხავებს უბრუნდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შედგა არა ერთი, არამედ რამდენიმე დედნიდან მასალის თანდათანობითი შეკრების საფუძველზე.

MS. Georg. c. I (P). იერემია წინასწარმეტყველი. VI-VII სს. ფრაგმენტი; 2 ფ.; ეტრატი; 23×11,6 სმ.; მთავრული; ქართულ-ებრაული პალიმფსესტი. 1894 წელს ნაყიდია რაბი ს. ვერტაიმერისგან იერუსალიმში, სადაც მოხვდა კაიროს გენიზადან. ესაა კებრიჯული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ნაწილი. ჰელიმფსესტის ზედა ფენა ნაწერია წვრილი ებრაულით, ხოლო ქვედა-მსხვილი ასომთავრულით. აღწერილია რ. ბლეიკის მიერ (Blake 1932: 207-242). ფრაგმენტის რაობასა და კვლევის ისტორიათან დაკავშირებით იხ. კემბრიჯის Georgian Ms. 1/Taylor-Schechter Ms. 12,183.


MS. Georg. d. I. ნიმუში ქართული წერისა. 1870 წ. 19 ფ.; 13 ფ. დაუწერელია; ქაღალდი; 17×13 სმ.; ნუსხური.

MS. Georg. d. 2. ჯვრის მონასტრის ტიპიკონი. XIV ს. 220 ფ.; ქაღალდი; 23×16 სმ.; ნუსხური; გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. კრებულის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად გამოაქვეყნა გრ. ფერაძემ (Peradze 1935 (a): 183-216). ტიპიკონი შესწავლილი არ არის. მაგრამ გადაწერის ადგილისა და თარიღის მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოადგენს სამონასტრო წესგანგების იმ ახალ საბაწმინდურ რედაქციას, რომელიც XII ს-დან კვლავ დამკვიდრდა ქართულ ტრადიციაში (კეკელიძე 1980: 567).

MS. Georg. d. 3 (P). წმ. ბაბილა მოწამის მოსახსენებელი. XI-XII სს. ფრაგმენტი. 2 ნახევარი ფუ-



52. MS. Georg.d.2. 218r



53. MS. Georg.d.3 (P). 3r

რცელი.; ეტრატი; ნუსხური; ფრაგმენტი ლიტურგიკული კრებულის ნაწილი უნდა იყოს. ჩაკერებული იყო ბოდლეანის სომხური ხელნაწერის MS. Arm. f. 7 თავსა და ბოლოში.

MS. Georg. d. 4. საწელიწდო სახარება. XIII ს.15 ფ.; ეტრატი; ნუსხური; 28×21 სმ.; ფრაგმენტზე შემორჩენილია 9 იანვრის საკითხავი მასალა – მათ. 4,14-17.

Ms. Georg. e. I. ანტონ კათალიკოსი. „წიგნი ღრამტიკაჲ ქართულისა ენისაჲ". 1784 წ. vi+378 გვ.; ქაღალდი; 22×17სმ.; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და ნუსხურით. ხელნაწერის გადამწერია მიხეილი. 347 გვ-ზე მხედრული მინაწერი- „ეს ღრამატიკა მეფის ძის ძის ლეონისა არის" – უნდა ეკუთვნოდეს არა ამ ხელნაწერს, არამედ მის დედანს, ვინაიდან ლევან ბატონიშვილი (1756-1781) წიგნის გადაწერის დროისთვის ცოცხალი აღარ იყო.

MS. Wardr. b. I. „სირინოზიანი". 1840 წ. II+203 ფ.; ქაღალდი; ზომა: 37×23 სმ.; მხედრული; ჭვირნიშანი 1838. ნაყიდია უორდროპის მიერ ირანელი გენერლისა და წარჩინებული პირის, მაჯდ-ო-ს-სალტანესგან 1910 წელს (წერილები 1961: 218, შენ. 9). დასაწყისი: სათაური: „კარი პირველი მაშრიყით ჴელმწიფის არდაპის და ძისა მისისა სირინოზისა ამბავი". კრებულის დასასრულს ანტონ კათალიკოსის ლექსებია დართული (თაყაიშვილი 1961: 203).

MS. Wordr. c. I(1). „მწევრის შვილი". 1894 წ. ქაღალდი; 21×15 სმ.; მხედრული. ფონდისთვის გადაცემულია ოლივერ უორდროპის მიერ 1910 წელს.

MS. Wardr. c. I(2). აკაკი წერეთლი. ლექსი. 1894 წ. ქაღალდი; მხედრული; 21×13 სმ.; დასაწყისი: „ჯვარით, წულდიდთ და მათრახით,/ლოცვით და ..."

MS. Wardr. c. I(3). აკაკი წერეთლის „ხანჯალს". 1894 წ. ქაღალდი; 21×13 სმ.; მხედრული. დასაწყისი: „შენი ჭირიმე, ხანჯალო..."

MS. Wardr. c. I(5). „საომარი" (მთიულური ლექსი XVIII ს-ისა). 1894 წ. საფოსტო ქაღალდი; 25×20 სმ. ახლავს ო. უორდროპის ინგლისური კომენტარები: „გადმოწერილია „შრომიდან", N.37 „22 სექტენბერი, 1882 წ. დაიბეჭდა ქუთაისში". და სხვ.

MS. Wardr. c. I(6). მამია გურიელი. „ალავერდი". 1894 წ. საფოსტო ქაღალდი; მხედრული; 21×13 სმ.; მინაწერი: „მამია გულიელი. 1880 წ."

MS. Ward. c. I(7). „საყვირები".1890 წ. 8 გვ.; საფოტო ქაღალდი; მხედრული, 21×13 სმ.; იმერული ფოლკლორი.

MS. Wardr. c. I(8). „ომაინ ჰაბუკი". 1893 წ. 9 ფ.; ქაღალდი; 25×19 სმ.; მხედრული; მინაწერი 1r-ზე ინგლისურ ენაზე: „ომაინ ჰაბუკის პირველი თავი გადმოწერილია საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან MS.9 მარჯორი უორდროპის მიერ 1893 წელს პარიზში ვიზიტის დროს".

MS. Wardr. c. I(10). ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. 1895 წ. 21 ფ.; ქაღალდი: 25×20 სმ.; დაწერილია მხოლოდ 10 ფურცელი. ლექსიკონი შედგენილია მარჯორი უორდროპის მიერ.

MS. Wardr. c. 3. „ისტორიაჲ ანუ მოთხრობა საბყარანა-ამარამზასი და ბაბა ამარასი." 1833 წ. iv+570 გვ.; ქაღალდი; 33×21 სმ.; წვრილი მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ყდა ტყავგადაკრული მუყაოსი. „ყარამანიანის" მსგავსი ეს ვრცელი თხზულება სპარსულიდან თარგმნა სოლომონ თარხანოვმა იმავე სოლომონ ზაალის ძე თარხან-მოურავმა (1762-1822), ქართველმა თავადმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ იყო საქართველოს უმაღლესი მმართველობის წევრი. დასარულს მთარგმნელის 7-სტროფიანი ლექსია დართული (თაყაიშვილი 1961: 200).

MS. Wardr. c. 4. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. 1819 წ. Viii+52 8გვ.; ქაღალდი; 32×20 სმ.; საზედაო ასოები და აბზაცების დასაწყისები წითლითა და ოქრომელნით; ყდა: ხის, ტყავგადაკრული. გადამწერი: ნიკოლოზ ბაგინოვი. ანდერძი 524 გვ-ზე. ნიკოლოზ ბაგინოვი საკუთარი პიროვნებისა და წიგნის გადაწერის შესახებ წინ ურთავს 6-სტროფიან ლექსს. ერთ-ერთი მინაწერის მიხედ-

ვით, 1876 წელს წიგნი შეუსყიდია თავად დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეს: „ეს წიგნი დაჰქონდა ერთ დალალს და მე ვიყიდე თვრამეტ მანეთათ თბილისში 1876 წელსა, მაისის 12 დღესა. თ˜ა დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე“ (თაყაიშვილი 1961: 198-199).

MS. Wardr. c. 5. ლუკა ისარლოვი. „ქართული ლექსიკონი შედგენილი ანბანისამებრ“. 1835 წ. 138 ფ.; ქაღალდი; 31×20 სმ.; მხედრული. 6r-47r-ლექსიკონია, 2, 130-133, 137 ფფ.- სხვადასხვა ლექსი. ლექსიკონი შედგენილია სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მიხედვით ლუკა ისარლოვის, იმავე ლუკა ისარლიშვილის (1817-1893) მიერ. იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებების თანახმად, იგი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი, ცენზორი. ხელნაწერი 1894 წელს ო. ოურდროპს უსახსოვრა ზაქარია ჭიჭინაძემ.

MS. Wardr. c. 6. „ბარამიანი“. 1821 წ. ფრაგმენტი. 33 ფ.; ლურჯი ქაღალდი; 34×22 სმ.; თარიღდება ჭვირნიშნის მიხედვით.

MS. Wardr. c. 7. „ყარამანიანი“. 1820 წ. 37 ფ.; ქაღალდი; 36×23 სმ.; მხედრული; დათარიღებულია ჭვირნიშნის მიხედვით.

MS. Wardr. c. 8. „ამბავი მანუჩარისა“. უთარიღო. 34 ფ.; ქაღალდი, 35×21 სმ.; მხედრული, ნაკლულია.

MS. Wardr. c. 9. „სირინოზიანი“. XIX ს. 67 ფ.; ქაღალდი; 35×21 სმ.; მხედრული.

MS. Wardr. c. 10. „ქუჩუკისა ამბავი“. XIX ს. 48 ფ.; ქაღალდი; 35×21 სმ.; მხედრული. „ქუჩუკ-ყარამანიანის“ ფრაგმენტი.

MS. Wardr. c. 11. პლატონ იოსელიანი. „ცხოვრება მეფისა გიორგი XIII-ისა“. XIX ს. 180 ფ.; ქაღალდი; 34×21 სმ.; მხედრული. სრული დასათაურება: „ცხოვრება მეფისა გიორგი XIII-ისა, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ. ტფილისი. 1867“.


MS. Wardr. c. 12. „არჩილიანი“. XIX ს. ფრაგმენტი. 34 ფ.; ქაღალდი, 34×21 სმ.; მხედრული.

MS. Wardr. c. 13. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1750-1800 წწ. 784 გვ.; ქაღალდი, 31×21 სმ.; რამდენიმე განსხვავებული ჭვირნიშანი, მათ შორის 1746 წლის აღნიშვნით. წიგნი შედგება ორი, სხდასხვა დროს გადაწერილი ნაწილისგან. პირველი ნაწერია თეთრ ქაღალდზე შავი მელნით, მსხვილი მხედრულით, თარიღდება 1750 წლით. „სამართლის წიგნი“ იწყება ანბანური საძიებლით, რომელიც შემდეგდროინდელი შევსება უნდა იყოს. გადაწერილია განსხვავებული ხელით. იგი შედგენილია თეიმურაზ II ბრძანებით მღვდელ ოსე დეკანოზიშვილის მიერ. მეორე ნაწილი არის გვიანდელი დამატება. შეიცავს გიორგი XII-ის ძე დავით ბატონიშვილის სამართალს, რომელიც ბატონიშვილს 1800 წელს შეუდგენია მამის დავალებით. „სამართალი დავითისა“ გადაწერილია ლურჯ ქაღალდზე. გადამწერია ანჩისხატის კანდელაკი, მღვდელი გაბრიელი. ე. თაყაიშვილის აზრით, აღნიშნული ხელნაწერი ვახტანგის სამართლის წიგნთა შორის გამორჩეულია ეგზემპლარია (თაყაიშვილი 1961: 196-198).


MS.Wardr.c.15. მარჯორი და ოლივერ უორდროპების ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა კატალოგი. 1895 წ. 129 ფ., ქაღალდი; 31x19 სმ.; შემდგენლები მ. და ო. უორდროპები.

MS. Wardr. c. 21. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XIX ს. 24 ფ.; ქაღალდი; 26×21 სმ.; მხედრული. ხელნაწერი წარმოადგენს MS. Wardr. c. 13-ის 739-762 გვ-ის ასლს. გადაწერილია ო. უორდროპის მიერ.

MS.Wardr.d.1. ჟამნი. XI-XII სს. 68 ფ.; ეტრატი; 25,7x17 სმ.; სათაურები მთავრულით, სინგურით. უორდროპმა აღნიშნული ხელნაწერი 1909 წელს შეიძინა ლაიფციგში, ვინმე ო. ჰარაშოვიჩისგან (Barrett 1973: 320). თუ ზოგადად გავიხსენებთ XIX-XX სს-თა მიჯნაზე ევროპისა თუ აშშ-ს წიგნსაცავებში არსებულ ეტრატზე გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს, მათი უმეტესი ნაწილი სინურ-პალესტინური წარმომავლობისაა. სავსებით შესაძლებელია უორდროპის კოლექციის



54. MS.Wardr. d. 14. 2r



55. MS.Wardr. d. 17. ყდის ზედა ფრთა

ამ ნუსხასაც მოეძებნოს შემავსებელი ნაწილი, რისთვისაც, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია თავად ხელნაწერის შესწავლა.

MS. Wardr. d. 12. კრებული. XIXს. 39 ფ.; ქაღალდი; 22×17 სმ. შესულია „ვეფხისტყაოსნის“, „ქალვაჟიანის“, „ალექსიანისა“ და სხვა პოპულარულ თხზულებათა ფრაგმენტები.

MS. Wardr. d. 13. სახარება. XIX ს. 1815 წლის ჰვირნიშანი. 47 ფ.; ქაღალდი; 22×18 სმ.; მსედრული, სათაურები, მუხლთა სათვალავი და საწყისი სიტყვები წითლით; ნაკლულია. ხელნაწერი შეიცავს მათე 9,27-იოვანე 7,53 მუხლებს.

MS. Wardr. d. 14. აპოკრიფული თხრობები. XIX ს. 48 ფ.; ქაღალდი; 22×17 სმ.; დასიანებული, ფურცელთა თანამიმდევრობა არეულია, მაგ. 15v უნდა მოჰყვებოდეს 34r. აღმწერელი ხელნაწერს უწოდებს სახარებისეულ არაიდენტიფიცირებულ თხრობებს, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ჩამოყალიბებულიყო ოთხთავისა და აპოკრიფების კომპილაციის შედეგად XII-XIII სს-ში სომხურიდან თარგმნის გზით (Barrett 1975: 321). თხრობის სომხურიდან თარგმნის ვარაუდი თავდაპირველად გამოთქვა გრ. ფერაძემ, რომელმაც გამოაქვეყნა აპოკრიფის პოლონური თარგმანი (Peradze 1935 (b)). დ. ბარეტის გარდა, იგივე თვალსაზრისი გაიმეორა დ. ყოლბაიამ, რომელმაც გამოსცა ქართული ტექსტი პოლონური თარგმანის თანხლებით (Kolbaia 2013: 43—85). ეს თვალსაზრისი ნაკლებ სავარაუდო ჩანს, ვინაიდან ზემოთ დასახელებულ საუკუნეებში ქართული ხელნაწერი ტრადიცია უპირობოდ ორიენტირებული იყო კონსტანტინეპოლური რედაქციის ბერძნული ტექსტების თარგმნაზე. თუ გავითვალისწინებთ ხელნაწერის გადაწერის თარიღს, გაცილებით მისაღები აღმოჩნდება მასში შემავალ თხზულებათა წყარო ვეძებოთ ევროპულ-სლავური გზით შემოსულ ტრადიციაში, რომელმაც სწორედ ამ ეპოქაში ძლიერ მოიკიდა ჩვენში ფეხი. ამდენად ტექსტის კრიტიკული შესწავლა არაა ინტერესს მოკლებული.

MS. Wardr. d. 15. კრებული. XIX ს. 92 ფ.; ქაღალდი; 22×17 სმ.; წიგნში შესულია: „ბეჟანიანი“, „ქალვაჟიანი“, „მელის წიგნი“, „ალექსიანი“, თეი-

მურაზ I-ის "ვარდბულბულიანი", არაიდენტიფიცირებული რელიგიური ტექსტები. „მელის წიგნი" აღწერილია (თაყაიშვილი 1899).

MS. Wardr. d. 17. „ვეფხიტყაოსანი". XVII ს. ii+237 გვ.; მოყვითალო ქაღალდი; 27×20 სმ.; 50 მოხატული გვერდი; ყდა ხის ტყავგადაკრული, ტვიფრული. წიგნი ეკუთვნოდა იმერეთის მეფე დავითის ასულ მზესათუნს. ბიბლიოთეკას წიგნი წარუდგინეს გიორგი და ვენერა წერეთლებმა 1911 წ. (ცაიშვილი 1970). მინიატურები გამოქვეყნებულია (რუსთაველი 2013).

MS. Wardr. d. 27. „ვეფხისტყაოსანი". XVII ს. 176 ფ.; აკლია ფ. 82 და ფ. 140; ქაღალდი; 24×17 სმ.; 18 მოხატული გვერდი; დაზიანებული. ფონდში წიგნი შესულია 1949 წელს. (Gray 1951; ცაიშვილი 1970: 79; რუსთაველი 2013).

MS. Wardr. e. 1. კრებული. XVIII ს. 15 ფ.; ქაღალდი, 1784 წლის ჭვირნიშნით; 21×15 სმ.; მხედრული; საზედაო ასოები ნუსხურითა და სინგურით; სათაურები სინგურით. გადამწერი: ზირაქი. ეს არის დაუდგენელი კრებულის ფრაგმენტი, რომელსაც დ. ბარეტი ასათაურებს „ნისიმეს ცხოვრებით", რადგანაც ეს თხზულება კრებულის ტექსტია. ფრაგმენტში გარდა „ნისიმეს ცხოვრებისა" შესულია: „ცხოვრება და მოქალაქეობა ევფიმიანესი და ძისა მისისა ალექსისა ღ˜ისა", ალექსის აკროსტიხი; „გალობა მოციქულისა", ანტონ კატალიკოსის წყობილსიტყვაობის ფრაგმენტი. ბარეტისეული რაობა გასწორებულია შედგენილობის საფუძველზე (თაყაიშვილი 1961: 203).

MS. Wardr. e. 2. აგიოგრაფიული კრებული. XVIII-XIX სს-ის მიჯნა. 105 ფ.; ლურჯი ქაღალდი; 21×16 სმ.; მსედრული; საზედაო ასოები და სტრიქონთა დასაწყისები ნუსხურით; სათაურები სინგურით; ყდა: ტყავგადაკრული მუყაოსი. გადამწერი ათანასე. კრებულში შედის: 15 აგვისტოს ბასილის კესარიელის „ღვთისმშობლის მიძინების" საკითხავი, „მოქცევაჲ მირიანის მეფისა", რომელი არის „ნინოს ცხოვრების" მეტაფრასული ტექსტი, „ევფემიას წამება"' „წმ. ეკატერინეს წამება", „ცხოვრება ქალწულისა კანონიკესი", „ათნი მცნებანი რომელნი მოეცნეს ღმრთისა მხილველსა მოსეს", „ნისიმეს ცხოვრება" (თაყაიშვილი 1961: 202). ო. უორდროპს ხელნაწერი 1911 წელს შეუსყიდია მაჯდ-ოს-სალტანესგან.

MS. Wardr. e. 3. ანტონ ბაგრატიონი. მხითარ სებასტიელის რიტორიკა. XIXს. 99 ფ.; ლურჯი ქაღალდი; 22×17 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და ნუსხურით.

MS. Wardr. e. 4. ქართული ზღაპრები. 1894 წ. ჩაწერილია გურიაში ანა ბეჟანის ასულ მგელაძისაგან. iii+120 ფ.; ქაღალდი, მხედრული; გადამწერი: ანა მგელაძე. ხელნაწერი ო. უორდროპს ქუთაისში გადასცა ანა მგელაძემ.

MS. Wardr. e.5 „ყარამანიანი". XIX ს. 694 გვ.; ქაღალდი; 20×16 სმ.; მხედრული. ტექსტის სრული დასათაურება ხელნაწერში ასე იკითხება: „ყარამანიანი, სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და სარდლის თავადი დავით ორბელიანისაგან".

MS. Wardr. e. 6. საპოლიტიკო თეატრონი. XIX ს. 273 ფ.; ქაღალდი; მხედრული; საზედაო ასოები და სათაურები ნუსხურით; წითლით; გადაწერის ადგილი: კიკოს მონასტერი კვიპროსზე; გადამწერი: მღვდელი სერაპიონ პისიდიელი. განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის ე. თაყაიშვილის აღწერილობა, რომლის მიხედვითაც გადამწერი, სავარაუდოდ, უნდა იყოს იოსებ გაბაშვილი, სქოლიოები დამატებული აქვს არქიმანდრიტ ზაქარიას (თაყაიშვილი 1961: 202).

MS. Wardr. e. 7. „იოსებ ზილიხანიანი". XIX ს. ix+73 გვ.; ქაღალდი; 21×16 სმ.; მხედრული; ერთი ფერადი მინიატურა. თეიმურაზ I-ის თარგმნილი "იოსებზილიხანიანის" გარდა 58 გვ-ზე ფრაგმენტი: „ბერი ვინმე მივიდა მკურნალისა მიმართ...", 60-64 გვ-ზე ლურჯ ქაღალდზე ერეკლე მეორისა და ქართველ მთავართა გვარების შესახებ.

MS. Wardr. e. 8. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1817 წ. vi+163 გვ.; ლურჯი ქაღალდი; 21×17 სმ.; სამართლის წიგნს ერთვის სამედიცინო ინფორმაცია ქალებისთვის, როგორც ჩანს, კარაბადინის ფრაგმენტი; გადამწერი: მოსე ყორღანოვი.

MS. Wardr. e. 9 „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს“. 1818 წ. vi +349 გვ.: ლურჯი ქაღალდი, 21×16 სმ.; საზედაო ასოები მთავრულით; გადამწერი: ბერი ილარიონი (თაყაიშვილი 1961: 204).

MS.Wardr.e.10. კარაბადინი (ვეტერინალური). 1817 წ. 22 ფ.; ლურჯი ქაღლდი, 21×17სმ.; 1813 წლის ჭვირნიშანი; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ნაკლულია.

MS. Wardr. e. 11. რუსულ-ქართული სიტყვანი. XIX ს. 155 ფ.; ქაღალდი, 21×1 6სმ.; 1813 წლის ჭვირნიშანი. შემდგენელი უცნობია.

MS. Wardr. e. 12. ვახტანგ მეექვსე. სამართლის წიგნი. 1840 წ. 63 ფ.; ქაღალდი, 21×16 სმ.; მხედრული.

MS. Wardr. e. 13. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. 1755 წ. 415ფ.; ქაღალდი, 21×17 სმ.; მხედრული, მელანი შავი, ყოველი პირველი სალექსიკონო სიტყვა დაწერილია სინგურით; ხის ტყავგადაკრული შავი ყდა, გადამწერი: ხუცესმონაზონი ეფრემი. ლექსიკონი იწყება ავტორის წინასიტყვაობით; ბოლოს ერთვის სულხან-საბას შესახებ ბიოგრაფიული ცნობები. გადამწერის ანდერძი ყურადღებას ამახვილებს წიგნის საჭიროებასა და არსებული ეგზემპლარების სიმცირეზე: „წელსა 1722, თვესა თეერვალსა 3. აღვსწერე მე, ყოვლად ცოდვილმან და უღირსმან ხუცესმონაზონმა ეფრემ...ამ ლექსიკონის დიდი სურვილი მქონდა და საქართველოს ქვეყანასა ცოტა იშოვებოდა. დედანიც ძვირად იშოვება. არც გასასყიდად მონდოდა, არც გასაცემათა. ვინც ჩემს შემდგომად იმსახუროთ, შენდობას ბრძანებდეთ“ (თაყაიშვილი 1961: 201).

MS.Wardr.e.14. სულხან-საბა ორბელიანი. „მოგზაურობა ევროპაში“. XIX ს. vi+154გვ.; ლურჯი ქაღალდი; 21×17სმ.; 1824 წლის ჭვირნიშანი; მხედრული, ალგ-ალაგ სინგურით. ხელნაწერი ბოლონაკლულია; გადამწერი უცნობია (თაყაიშვილი 1961: 205-206).

MS. Wardr. e. 15. „გვირგვინი“. 1864 წ. ii+88 გვ.; ქაღალდი; 21×16 სმ.; მხედრული. გადამწერი უცნობია. კრებული შედგება 2 ნაწილისგან: 1. „ღვთივ შვენიერი მოთხობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების „გვირგვინი“; 2. ნაწილი მეორე...სიბრძნე სიცრუვის წიგნი ნათარგმნი რუსულის ენითგან“. კრებულში შემავალ თხრობათა ნაწილი გამოქვეყნებულია: „ღუთივ განათლებული თხრობანი სულისა ნაყოფიერმყოფელნი, რომელსა ეწოდების „გვირგვინი“, გამოცემული ვ. კარბელაშვილის მიერ (კარბელაშვილი 1892).

MS. Wardr. e. 16. „ყარამანიანი“ / „ქუჩუკყარამანიანი“. 1806 წ. viii+412 გვ.; ქაღალდი; 21×16 სმ.; გადამწერი: ყორღანოვი.

MS. Wardr. e. 17. მანანა. 1825 წ. 61 ფ.; ქაღალდი; 20×16 სმ.; გვერდების დასაწყისები და საზედაო ასოები წუსხურით; ნაკლული.

MS. Wardr. e. 18. „ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონელისა“. XVIII-XIX სს. ii+223 გვ.; ქაღალდი, 19×16 სმ.; მხედრული, სათაურები სინგურით. გადამწერი უცნობია. თზხულება წარმოადგენს ფსევდო კალისთენეს ქართულ თარგმანს ხელნაწერი შემენილია ო. უორდროპის მიერ თბილისში მაჯდ-ოსლ-სულტანესგან (თაყაიშვილი 1961: 203-204).

MS. Wardr. e. 19. „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის“. 1817 წ. 152 ფ.; ქაღალდი; 19×16 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით. ხელნაწერი შეძენილია უორდროპის მიერ თბილისში მაჯდ-ოს-სულტანესგან (თაყაიშილი1961: 204).

MS. Wardr. e. 20. კატეხიზმო. XIXს. 93 ფ.; ქაღალდი; 18×11 სმ.; ნაკლული.

MS. Wardr. e. 21. „ქალვაჟიანი“. XIXს. 18 ფ.; ქაღალდი; 18×11 სმ.; ნაკლული.

MS. Wardr. e. 22. „მელის წიგნი“. 1846 წ. 59 ფ.; ქაღალდი; 17×11 სმ.; გადამწერი უცნობია. ხელნაწე-

რს ახლავს ცხრილები: ფფ.11-14, 18-21, 94-101, 106-108, 112-127, 132-146, 149, 150, 152, 157; ცხრილების ნაწილი: ფფ.: 7, 8, 10, 15, 93, 105, 109, 111, 128, 131, 147, 148, 151, 154, 155 (თაყაიშვილი 1899)

MS. Wardr. e. 23. „ბეჟანიანი“. XIX ს. 26 ფ.; ქაღალდი; 17×21 სმ.; მხედრული.

MS. Wardr. e. 24 (1-3). „მარინე“, „ორი ძმა“, „რაინელი“. XIX ს. 64, 30,30 გვ.; ქაღალდი.

MS. Wardr. e. 29. ქართულ არაიდენტიფიცირებულ ხელნაწერთა ნეგატივები. 45 ც. 16,5×11,5 სმ.;

MS. Wardr.e. 34. „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურათა ფოტოები.

MS. Wardr. e. 35-37. ქართულ ხელნაწერთა ნეგატივები და ფოტოები.

MS. Wardr. f. 2. „მოკლედ გამოჩინება გარემოს ქვეყნისა“.1775წ. i+ 82ფ.; ჭვირნიშნიანი ქაღალდი, 16×10 სმ.; მხედრული, შავი მელანი, სათაურები წითლით; ე. თაყაიშვილის აღწერილობით, მუყაოს ტყავგადაკრულ ყდა. წიგნის დასასრულ გადამწერი აღნიშნავს, რომ გეოგრაფია ლათინურიდან ითარგმნა რუსულად, ხოლო ქართული თარგმანი შესრულდა რუსულიდან. წიგნი ო. უორდრიპმა შეიძინა მაჯდ-ოს-სალტანესგან (თაყაიშვილი 1961: 204).

MS. Wardr. f. 3. „ცხოვრება მოდგმითი გონებაბახვილისა ეზოპესი“,"იგავნი ეზოპე ბრძნისანი“. XIX ს. 75 ფ.; ლურჯი, ჭვირნიშნიანი ქაღალდი; 16×10 სმ.; ჭვირნიშანი: 1802. ხელნაწერი ო. უორდროპს შეძენილი აქვს მაჯდ-ოს-სალტანესგან (თაყაიშვილი 1961: 204).

MS. Wardr. f. 4. ანტონ კათალიკოსი. რიტორიკა. 1804 წ. xx+362 გვ.; ლურჯი ქაღალდი, 16×10 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები ნუსხურით. გადამწერი: გერონტი, გარეჯელი მოღვაწე.

MS. Wardr. f. 5. „წიგნი საზღუვართა დავითისა უძლეველისა ფილოსოფოსისა.“ 1791 წ. 95 ფ.; ქაღალდი, 16×10 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები ნუსხურით; გადამწერი: ეგნატე იოსელიანი. სომეხ ფილოსოფოს დავით ანახტის ტრაქტატის ქართული თარგმანი.

MS. Wardr. f. 6. „ჯვარშემოსილი“. XVIII-XIX სს. ii+247 გვ.; ქაღალდი; ჭვირნიშანი: 1798; 16×10 სმ.; სათაურები, ქვესათაურები და საზედაო ასოები ნუსხურით; შემდგენელი: გაბრიელ გარეჯელი. გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის განგება, შედგენილი გაბრიელ მცირე გარეჯელის მიერ მე-18 ს-ში. ხელნაწერის სრული სათაურია: „ღვთივ სულიერი წიგნაკი, რომელსა ეწოდების ჯვარ-შემოსილი, აღწერილი უღირსის იერომონახის გაბრიელის მიერ, რომელი იყო უდაბნოსა გარეჯისა მონასტერსა ნათლისმცემლისასა.“ შედგენილობა: 1. „განმარტება ლიტურგიისა“; 2. „განმარტება მამაოჩვენოსა“; 3. „განმარტება მაზარის კურთხევისა“; 4. „თხრობა სულიერი მონათა“. ხელნაწერის გარკვეული მონაკვეთები გამოქვეყნებული აქვს 1934 წ. გრიგოლ ფერაძეს ჟურნალის „ჯვარი ვაზისას“ მე-4 ნომერში.

MS. Wardr. f. 7. „გვირგვინი“.XIXს. 168 ფ.; ქაღალდი, 16×10 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები ნუსხურით. ხელნაწერის მიხედვით ტექსტი 1892 წელს გამოსცა პოლიევქტოს კარბელაშვილმა (კარბელაშვილი 1892).

MS. Wardr. f. 10. არაიდენტიფიცირებულ ხელნაწერთა ფოტოები. ბრიტანელ ორიენტალისტ ფ. კონიბერის ფოტოები, 4 ნეგატივი.

MS. Wardr. g. 1. დაუჯდომელი, პარაკლისი.XIXს. 27 ფ.; ქაღალდი, 11×10 სმ.; დაზიანებული.

MS. Wardr. g. 2. „ქალვაჟიანი“. 1827წ. 55 ფ.; ქაღალდი; 10×8 სმ.; კრებულში, გარდა დაუჯდომლისა, შედის „ასოთ სამღერალი მართალი და ჭეშმარიტი დანიელისაგან და იმონისაგან და ალექსანდრესაგან.“

MS. Wardr. g. 3. დაუჯდომელი. XVIII-XIXსს. 53 ფ.; ქაღალდი; 10×8,2 სმ.; შედგება სხვადასხვა დროსა გადაწერილი მასალისგან.

MS. Wardr. g. 4. დაუჯდომელი. XIXს. 30 ფ.; ქაღალდი, 10×8 სმ.; ნაკლული; შავი და წითელი მელანი; წითელი გახუნებულია.

MS. Wardr. g. 5. დაუჯდომელი, პარაკლისი. XVIIIს. 55 ფ.; ქაღალდი, 9×8 სმ.; ძირითად ტექსტს ერთვის რუსულ-ქართული სიტყვანი და ლოცვები.

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა

სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერები

ქართული ხელნაწერი წიგნის საზღვარგარეთულ კოლექციათა შორის საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში დაცულ ქართულ მანუსკრიპტებს, როგორც ყველაზე ადრეულ და მრავალრიცხოვან კოლექციას, რომელიც აერთიანებს IX-XV სს-ში გადაწერილ სასულიერო შინაარსის 221 ხელნაწერ წიგნსა და ფრაგმენტს. ეს ვრცელი კოლექცია პირობითად 2 ნაწილად იყოფა. პირველს ეწოდება ძველი (Sin. Geo. O.), ვინაიდან სამეცნიერო საზოგადოებას ცნობები მის შესახებ უკვე XIX ს-ვე მიაწოდეს პ. უსპენსკიმ (Успенский 1856(a):211-213;1856(b):240) და კონსტანტინე ფონ ტიშენდორფმა, რომელთაც საგანგებოდ არ შეუსწავლიათ ქართული ხელნაწერი წიგნები, მაგრამ სწორედ მათი მეშვეობით ეს ქართული წერილობითი სიძველეები მოხვდა პეტერბურგისა და ევროპის წიგნსაცავებში. ოდნავ მოგვიანებით სინის მთას ეწვია და 92 ხელნაწერი წიგნის აღწერილობა შეადგინა ალ. ცაგარლმა (Цагарели 1988). 1902 წელს, როდესაც წმინდა ეკატერინეს მონასტერს ეწვივნენ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი, საცავში მხოლოდ 87 ხელნაწერი ინახებოდა. გარდა რაოდენობის კლებისა, 1902 წლის ექსპედიციამ ალ. ცაგარლისეულ კატალოგთან სხვა სახის შეუსაბამობაც გამოავლინა, კერძოდ, ნიკო მარის მიერ აღწერილი 44 ხელნაწერიდან (Марр 1903;1940) ალ. ცაგარლის კატალოგში შესატყვისი არ მოეძებნა 6 ხელნაწერს (მარ.№№ 41, 49, 53, 54, 92, 96), ხოლო ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილი 44 ხელნაწერიდან (ჯავახიშვილი 1947) ცაგარლის კატალოგში ანალოგი არ მოეძებნა 3 (ჯავ.№№2, 10, 21). 1927 წელს სინის მთაზე იმყოფებოდა ცნობილი ამერიკელი ბიზანტინისტი რობერტ პიერპონტ ბლეიკი. მისი ცნობებით, ალ. ცაგარლის კატალოგში არსებულ ხელნაწერთაგან 12 (ცაგ.№№ 1,2,9, 28, 29, 40, 65, 66, 69,81, 92, 93) აღარ იყო სინის მთაზე (Blake 1932(c):273-276). განსაკუთრებული წვლილი სინის ქართულ ხელნაწერთა კვლევასა და კატალოგიზაციაში შეიტანა ბელგიელმა ორიენტალისტმა ჟერარ გარიტმა. მასაც წიგნსაცავში დახვდა მხოლოდ 87 ქართული ხელნაწერი. ჟ. გარიტმა ალ. ცაგარლისეულ კატალოგთან შესატყვისობები მოუძებნა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ ხელნაწერებს და თავადაც შეადგინა 36 არალიტურგიკული ხელნაწერი წიგნის აღწერილობა (Garitte 1956(a). ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში გაირკვა, რომ ალ. ცაგარლის ყოფნის შემდგომ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავიდან გატანილი იყო 8 ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან 5 ამჟამად გრაცის ბიბლიოთეკაშია დაცული, 1 გეტინგენში, 1 პრინსტონში და ამავე ხელნაწერის 1 ფურცელი _ პარიზში, 1-ია (ცაგ.81) ნაწილი - პეტერბურგსა და ნაწილი-აშშ-ში, კერძო კოლექციაში. 7 ხელნაწერის (ცაგ.№№22, 34, 36, 40, 51, 62, 66) ბედი დღემდე უცნობია. არსებული აღწერილობებისა და XX ს-ის 50-იან წლებში კონგრესის ბიბლიოთეკის დახმარებით მიღებული ძველი კოლექციის ხელნაწერ წიგნთა მიკროფირების საფუძველზე ქართველ მეცნიერებს მიეცათ აღნიშნული წერილობითი ძეგლების კვლევისა და ვრცელი სამეცნიერო აღწერილობების შედგენის საშუალება. XX ს-ის 80-იან წლებში ე. მეტრეველის ხელმძღვანელობითა და რედაქციით კ.კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა (ე. მეტრეველი, ლ. ხევსურიანი, ც. ჭანკიევი, ლ. ჯღამაია) აღწერა და ვრცელი კომენტარების დართვით გამოსცა ძველი სინური კოლექციის ლიტურგიკული ხელნაწერები (აღწერილობა 1978(a); 1979; 1987). აღნიშნული აღწერილობების შედგენისა და ლიტურგიკულ ხელნაწერთა კვლევის პროცესში თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ სინის მთის ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერებთა უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ადრექრისტიანული ტრადიციის საღვთისმსახურო კრებულს. სინური ქართული კოლექციის ხელნაწერთა სიძველემ უცხოელ მკვლავერთა დიდი ყურადღება დაიმსახურა. ამ წიგნებმა შემოინახეს ზოგადად, აღმოსავლური ქრისტიანული მწერლობის ეტაპობრივი განვითარების სურათი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია X ს-ში სინის მთაზე მოღვაწე რედაქტორისა და გადამწერის, იოანე-ზოსიმეს, ხელიდან გამოსულმა ლი-

ტურგიკულმა კრებულმა Sin. Geo.O. 34, რომლის ტექსტები და კომენტირებული კალენდარი ბერძნულ წყაროთა მიხედვით გამოსცა ჟ. გარიტმა (Garitte 1958).

ახალი კოლეცია (Sin.Geo.N.) აღმოჩნდა 1975 წელს ეკატერინეს მონასტრის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის შემდგომ. 1981 წელს გერმანელი მეცნიერის ი. ასფალგის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აკაკი შანიძემ და მზექალა შანიძემ 1981 წელს გამოაქვეყნეს ზოგადი ხასიათის წერილები ახლადაღმოჩენილი ხელნაწერების შესახებ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ძალისხმევით 1990 წელს სინის მთაზე გაემგზავრა ქართველ მაცნიერთა (ზ. ალექსიძე და მ. ქავთარია) პირველი ექსპედიცია. 1994, 1996 წლებში წმ. ეკატერინეს მონასტერში მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა (ზ. ალექსიძე, მ. შანიძე, მ. ქავთარია, ლ. ხევსურიანი, ლ. ქუთათელაძე, ნ. თარგამაძე, დ. გოგაშვილი, ი. იაკობაშვილი, თ. მესხი) მეორე და მესამე ექსპედიციები, რომელთა შედეგად სინის ეპისკოპოსსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე 2005 წელს გამოქვეყნდა ახალი კოლექციის კატალოგი ბერძნულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. კატალოგში შესულია 99 ეტრატის, 33 ქაღალდის ხელნაწერისა და 10 გრანილის აღწერილობა (აღმოჩენები 2005). 2014 წელს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა კიდევ ერთი ექსპედიცია (ბ. კუდავა, მ. კარანაძე, ლ. შათირიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, დ. ჩიტუნაშვილი, გ. ჟღენტი, დ. გურგენიძე) 1 კვირის განმავლობაში მუშაობდა ძველი და ახალი კოლექციის ხელნაწერთა კოდიკოლოგიური მონაცემების დაზუსტებასა და ფოტოფიქსაციაზე. ახალი კოლექციის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სინის მთის ქართული ხელნაწერების, არამედ შუა საუკუნეების სამონასტრო კრებულების, ლიტურგიკული პრაქტიკისა და ზოგადბიზანტიური სამწერლობო ტრადიციების კვლევისა და მანამდე უცნობი ფაქტებისა თუ რედაქციების გამოვლენისთვის. სწორედ ახალი კოლექციის ხელნაწერთა საფუძველზე გახდა შესაძლებელი ქართული ფილოლოგიისა და ისტორიოგრაფიის, ზოგადკავკასიური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლა, ალბანური ანბანის კვლევა და პუბლიკაცია (Aleksidze 2000:175-180; ალექსიძე 2001: 3-24; 2003: 5-15; 2011: 7-12, 13-25, 26-33, 57-66, 67-82; 83-92, 112-119,156-174, 205-213). ხელნაწერ წიგნებში დაცული თხზულებების ტექსტოლოგიური კვლევის გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ნუსხებზე დართული ანდერძ-მინაწერების შესწავლას, იმ ისტორიული რეალიების გამოყოფას, რომელთა შესახებ გვაწვდიან ცნობებს ხელნაწერთა კოლოფონები. ნათელი ხდება, რომ სინის მთაზე ქართველ მოწესეთა ცხოვრებასა და საქმიანობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდა ინტენსიური ხასიათი (კლდიაშვილი1989: 117-135; 2008).

კოლექციის მრავალფეროვნების, სიძველისა და რედაქციული მნიშვნელობის გათვალიწინებით წინამდებარე გამოცემა სინურ ხელნაწერებს წარმოგიდგენთ წიგნების დარგობრივი დაჯგუფების მიხედვით, ქრონოლოგიის დაცვით. გამოცემაში ნუსხების კოდიკოლოგიური მონაცემები შემოტანილია არსებული აღწერილობებისა (Garitte 1956(a), აღწერილობა 1978(a), 1979, 1987; აღმოჩენები 2005) და ცალკეული მონოგრაფიული ნაშრომების საფუძველზე, რომლებიც მითითებულია შესაბამის ერთეულთან.

ალექსანდრე ცაგარელი (1844–1929)

ფილოლოგი, პედაგოგი. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული და სომხური ენების კათედრის პროვატ-დოცენტი, შემდგომ პროფესორი. მან პირველმა შეადგინა და გამოაქვეყნა სინისა და იერუსალიმის ქართული კოლექციების ხელნაწერები, საქართველოსთან დაკავშირებული XVIII ს-ის ისტორიული დოკუმენტები კავკასიის რუკის თანხლებით.

ნიკო მარი (1864–1934)

აღმოსავლეთმცოდნე, კავკასიოლოგი, შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის მკვლევრი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი, არქეოლოგი, 1912 წ-დან რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრი, შემდგომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი. მისი კვლევის საგანგებო საგანს წარმოადგენდა ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს ქართული და სომხური ლიტერატურების არაერთი ძეგლი, ეპიგრაფიკული წარწერა. დააარსა სერია *Тексты и розыскания по армано-грузинской фолологии*. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებს. მის მიერ მოპოვებული მასალები პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. არის იაფეტური თეორიის ავტორი. 1898 წელს მუშაობდა ათონის მთის ექსპედიციაში, რის შედეგები 1900 წელს გამოაქვეყნა ივირონის ქართული კოლექციის აგიოგრაფიულ ძეგლთა სრული აღწერილობა და დაიწყო მზადება ბიბლიის ქართული თარგმანის გამოცემისთვის. 1902 წ-ს ივანე ჯავახიშვილთან ერთად აღწერა სინის მთის ქართული ხელნაწერები, რომელთა აღწერილობაც გამოაქვეყნა 1940. მასვე ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობა. იერუსალიმურ კოლექციაზე მუშაობის შედეგად მან პირველმა შეისწავლა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „იერუსალიმის წარტყვევნის“ ტექსტები.

ჟერარ გარიტი (1914–1990)


ცნობილი ბელგიელი მეცნიერი, კლასიკური და აღმოსავლური, ისტორიულ- ფილოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ხელნაწერი ტრადიციის უდიდესი მკვლევარია. XX ს-ის 50-იანი წლებიდან იგი ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში ასწავლიდა ბერძნულ პალეოგრაფიას, ფილოსოფიასა და ბიზანტიის ისტორიას, თანამედროვე ბერძნულ, კოპტურ, არაბულ, სირიულ, ძველ ქართულ და კლასიკურ სომხურ ენებს. 1948 წლიდან ის სათავეში ედგა *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*-ის სომხურ სერიას. 1946-1947 წწ-ში იგი აქვეყნებს პირველ ქართველოლოგიურ შრომებს. 1950 წელს ჟ. გარიტი კითხულობდა ლექციების კურსს ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც დაარსა სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრა, ხოლო 1962 წელს – ლუვენის უნივერსიტეტში ქართული ენისა და მწერლობის კათედრა. 1950 წელს იგი იყო ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ იუნესკოს ხელშეკრულებით სინის მთასა და იერუსალიმში დაცული ხელნაწერების ფოტოასლების გადაღების ექსპედიციის მეცნიერი კონსულტანტი. სწორედ ჟერარ გარიტის დამსახურებაა სინის მთის იმ დროისათვის ცნობილი სრული ქართული კოლექციის ფოტოარქივის შექმნა და ამ ხელნაწერი წიგნების ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ჟერარ გარიტის მიერ შედგენილი სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა *Catalogue des manuscits georgiens litteraires du Mont Sinai* დღემდე რჩება წერილობითი ძეგლების სამეცნიერო კატალოგიზაციის სანიმუშო შრომად, ხოლო მის მერ გამოქვეყნებული პალესტინურ-ქართული კალენდარი *“Le calendrier palestino-georgien du Sinaiticus 34 (X siecles)“* ქრისტიანული მწერლობის ფუნდამენტური, ფართო ასპექტით შესწავლის ერთგვარ სახელმძღვანელოდ გვევლინება. ჟერარ გარიტის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ქართული წერილობითი ძეგლების, ხელნაწერი ტრადიციის ბერძნულ-პალესტინური მწერლობის კონტექსტში კვლევა, ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა წვლილის წარმოჩენა ბიზანტიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. მის სამეც-

ნიერო პუბლიკაციათა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, გავიხსენებთ მხოლოდ მეცნიერის მიერ შუა საუკუნეების მთარგმნელობითი ტენდენციებისა და ლინგვისტურ-კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილ ნაშრომს Traduttore traditiore, რომელშიც სრულად გამოვლინდა ჟ. გარიტის მიერ აღმოსავლურ ქრისტიანული წერილობითი კულტურის ისტორიის უზადო ცოდნა.

ბიბლიური წიგნები

Sin.Geo.O.15. ოთხთავი. 978 წ. 293 ფ.; ეტრატი; 19x14სმ.; ნუსხური; ღია ყავისფერი ტყავის ყდა; გადამწერი და შემმოსველი: იოვანე-ზოსიმე; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა. ოთხთავი ადრებიზანტიური რედაქციის ტექსტია. ფიქრობენ, რომ იგი კესარიული ოთხთავის თარგმანია (Blake 1928(a): 291, შენ.7; Lyonnet 1935: 376 n°7; ჯავახიშვილი 1947: 34-36; Vööbus 1954:185; მელიქიშვილი 2012(a): 161,169-170). ამონიოსის სექცია მარცხენა არშიაზეა აღნიშნული, ევსების კანონები-შიდაზე. ხელნაწერს ერთვის ანდერძი, რომელშიც მოხსენიებულნი არიან იოვანე-ზოსიმეს თანამედროვე სინელი მამები. წიგნი დათარიღებულია: „... ოდეს ესე დაიწერა სინა წმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა იოვანე ზოსიმისითა დ[...] წელნი იყვნეს ხფჯბ და ქორონიკონი იყო“ (292r). ხელნაწერის შესახებ ცნობები რამდენჯერმეა გამოქვეყნებული (Цагарели 1888:199 n°8; ჯავახიშვილი 1947:34-36).

Sin.Geo.O.38. ოთხთავი. 979 წ.144 ფ., ეტრატი; 26x20,5სმ.; მთავრული; ნაკლული; შემორჩენილია ტვიფრული ყდის ქვედა ფრთა. შემმოსველი და რედაქტორი: იოვანე-ზოსიმე; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა. სახარება იწყება ლუკა 13,2-დან. ხელნაწერში გადაწერილია ლუკასა და იოვანეს სახარებები. მოგვიანებით ჩაკერებულია მარკოზისა და მათე მახარებელთა გრაფიკული გამოსახულებები. იოვანე-ზოსიმემ დაურთო სახარებას განთესულნი, ქრონიკონი, ანუ აღდგომის გამოანგარიშების ცხრილები, მთვარისა და მზის ციკლების ამსახველი 2 წრიული სქემა _ პასქალიონები. წიგნის დასარულს გადაწერილია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ნუსხურით. აღდგომის ცხრილებს ახლავს იოვანე-ზოსიმესეული განმარტებითი მინაწერები. წიგნი თარიღდება ანდერ-



56. Sin.Geo.O.15. 41v-42r



57. Sin.Geo.O.38. 141v

ძის საფუძველზე: „...ოდეს ესე წიგნი დაიწერა და შეიმოსა და გასრულდა ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა სინაწმიდას, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ბერძულად ხჯოა და ქორონიკონი იყო პზ და ქართულად დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფჰგ და ქორონიკონი იყო რჟთ ...“ ხელნაწერს აქვს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. წიგნის საცავ ფურცელზე მიწერილი ერთ-ერთი მათგანი გვაწვდის ცნობას ლიპარიტ IV ბაღვაშის შესახებ: „...მას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თურქთა გაუშუეს. გევედრები არაღირსი, ლოცვა-ყავთ“ 143v (კარანაძე 2007(a): 317-318). ხელნაწერის შესახებ ცნობები რამდენჯერმეა გამოქვეყნებული (Цагарели 1888:201-204 n°12; Марр 1903 (a):32; ჯავახიშვილი 1947:101-105; Vööbus 1954: 185; მელიქიშვილი 2012(a): 161).

Sin.Geo.O.30. ოთხთავი. X ს. 161ფ.; ეტრატი; 25,5x20სმ.; მთავრული; გადამწერი: ეზრა ქობულიანისძე; რედაქტორი და შემმოსველი იოვანე-ზოსიმე: „და მჩხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ და ყოველი დაკლებულებაჲ შემინდვეთ“ (2r); შემორჩენილია ტყავგადაკრული ტვიფრული ყდის ზედა ფრთა, ესაა სინური კოლექციის პირველი სახარება, რომელიც იწყება ევსებიოსის კანონებით, ოღონდ დეკორირებულ კამარათა გარეშე. ყოველ სახარებას უძღვის მახარებლის გრაფიკული გამოსახულება. მთავრდება წიგნი ლუკას 10,29 მუხლზე და ტექსტი გრძელდება Sin.Geo.O.38-ში. სახარების თითოეული თავის დასასრულს ახლავს გადამწერის ანდერძი: „...დაიწერა წმიდაჲ სახარებაჲ წმიდისა მარკოზ მახარებელისაჲ თავი სლგ ჴელითა გლახაკის ეზრა ძისა ქობულეანისაჲთა...“ (121v). ხელნაწერის შესახებ ცნობები რამდენჯერმეა გამოქვეყნებული (Цагарели 1888:201 n°11; Lyonnet 1935: 376; ჯავახიშვილი 1947:51-53; Vööbus 1954: 185, not.3; მელიქიშვილი 2012(a): 161,169-170).

Sin.Geo.O.19. ოთხთავი. 1074 წ. 284 ფ.; ეტრატი; 20,5x14სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და განთესულნი სინგურით; გადამწერები: მიქაელი და მოსე; გადაწერის ადგილი: სინაწმიდა; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. ამონიოსის სექცია ერთვის მარცხენა აშიაზე მთავრულითა და სინგურით. ევსებიოსის კანონები არაა მითითებული ქვედა აშიაზე. ხელნაწერი შემკულია ჯვრებით. ოთხთავის თავებს არ უძღვის სასწაულთა საძიებლები, მაგრამ ერთვის „განგებაი სახარებისაჲ ბერძულსა წესსა ზედა, საძიებელი რიცხჳთ უცთომელი საწელიწდოჲ“. საკითხავები გაწერილია 1-ლი სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ისევე, როგორც Sin.Geo.O.16. წიგნს ასრულებს „პავლენი სამსგებსონი“ (278v-283r). ძირითადი ანდერძის თანახმად, სახარება გადაწერილია ახალთარგმნილი დედნიდან: „ახალ თარგმნილისაგან დაგჳწერია და დედად დიად მართალი არს... ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა სინას, საყოფელსა წმიდისა და ღმრთისმხილველისა მოსესსა ქორონიკონი იყო სჟდ (1074 წ.)...“ ამავე შინაარსის მინაწერები იკითხება თითოეული სახარების დასარულს. (Цагарели 1888: 200-201 n°10; Марр 1903:26-27; Harnack 1903:837; Lyonnet 1935:376c; ჯავახიშვილი 1947:41-42; Vööbus 1954:205).

Sin.Geo.N.12. ოთხთავი. 1075 წ. 196 ფ.; ეტრატი; 19,2×14სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით; ამონიოსის თავები, ევსების კანონები და საკითხავების სათვალავი

მთავრულით; წიგნი შემკულია ჯვრებით; გადამწერი: მიქაელი; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა; უყდო. თითოეულ თავს მოსდევს გადამწერის ანდერძი, რომელშიც დასახელებული არიან სინელი ქართველი მამები, მითითებულია თარიღი: „...ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა სინასა,.. მას ჟამსა ქრონიკონი იყო სჟე". ანდერძი საყურადღებო ცნობას გვაწვდის სამონასტრო წიგნებისა და, შესაბამისად, ლიტურგიკული პრაქტიკის თავისებურებათა შესახებ: „დედაჲ საუდაბნოდ დაწერილი იყო და ქუე გარესა კერძოსა რიცხუნი იგი შესაერთებელნი არა ეწერნეს". საფიქრებელია, რომ სახარების ტექსტის ლიტურგიკულ მონაკვეთებად დაყოფაც უპასუხებდა არა ზოგადად სამონასტრო, თუ სამრევლო მსახურების, არამედ ცალკეული ლავრის პრაქტიკაში დადგენილ წესსაც. შეიცავს სახარების საწელიწდო საკითხავთა განგებას. განგება ბოლონაკლულია, წყდება დიდმარხვის მეოთხე კვრიაკეზე. ანდერძებში დასახელებული ზოგიერთი პირი ნახსენებია Sin. Geo.O. 19 ხელნაწერშიც, რომელიც 1074 წელს გადაუწერია იმავე მიქაელს (Garitte1956(a):53–58). ანდერძის თანახმად, ოთხთავი კონსტანტინეპოლური რედაქციისაა და გადაწერილია გიორგი ათონელის ნარედაქციევი ტექსტიდან: „ახალ თარგმნილისაგან დაგჳწერია და დედაჲ ფრიად მართალ არს...ხოლო ესე ჭეშმარიტებით იცოდეთ...რამეთუ კონსტანტინეპოლეს შინა დამარხულ არს წმიდათა მახარებელთა ჴელითავე აღწერილი წმიდაჲ სახარებაჲ ძელისა ცხორებისასა თანა სამეფოსა საგანძურსა შინა და მისგან თარგმნილ არს." (188r).

Sin.Geo.O.16. ოთხთავი. XIს. 331ფ.; ეტრატი; 20x14,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები; საზედაოები; განთესულნი სინგურით; გადამწერი: გაბრიელი; მომგებელი: დანიელ ჯვრის დეკანოზი; გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი; ტყავგადაკტრული ტვიფრული ხის ყდა. ოთხთავი შემკულია ჯვრებით, ერთ-ერთი მათგანია ლორენული ანუ საპატრიარქო ჯვარი. ამ ტიპის ჯვრებით გაფორმებული ქართული ხელნაწერები ძირითადად XI ს-დან გვხვდება და კოსტანტინოპოლის ხელოვნებად მიიჩნევა (Шмерлинг 1967: 147-157; 1979: 149). სახარების ყოველ თავს უძღვის მახარებლის მიერ მის დაწერასთან დაკავშირებული ტრადიციული ეპილოგი, სასწაულთა ზანდუკი, ოთხთავს ერთვის საკითხავთა კონსტანტინეპოლურ ლიტურგიკულ კალენდარზე გაწყობილი წეს-განგება. წიგნის ამგვარი კომპოზიცია ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში გვხვდება XI ს-ის II ნახევრიდან. ყველა ნიშნის მიხედვით, ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისაა. მომგებლის ანდერძის მიხედვით, რომელიც ამჟამად დაკარგულია და ცნობილია მხოლოდ ცაგარლისეული პუბლიკაციით (Цагарели 1888: 198-199 n°7), ხელნაწერი 992 წლით თარიღდება: „დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი წმიდასა ქალაქსა იერუსალემს... ქორონიკონი იყი სიბ." ამავე ანდერძის საფუძველზე ჟ. გარიტი ოთხთავს X ს-ით ათარიღებს (Garitte 1956(a):49). როგორც ჩანს, ანდერძის ამოკითხვაში დაშვებულია უზუსტობა, ვინაიდან მომგებელი მოიხსენიებს გიორგი პროხორესა და ჯვრის მამა გიორგის, რომელიც ამ წოდებას 1061 წლიდან ატარებდა (მეტრეველი 1962: 36). ტექსტი შესწავლილია (Blake 1928(a): 291, შენ, n°8; Lyonnet 1935: 376 n°8; ჯავახიშვილი 1947:36-38; Vööbus 1954: 185; მელიქიშვილი 2012(a): 161,169).

Sin.Geo.O.81. ოთხთავი. XII-XIII სს.274 ფ.; ქაღალდი; 18x13სმ.; ნუსხური; შავი მელანი; მუქი ყავისფერი ტყავის ყდა. სახარების ყოველი თავის დასაწყისი და მარკოზის თავის დასასრული შემკულია ლორანული, ანუ საპატრიარქო ჯვრით. ოთხთავის თავსა და ბოლოში ჩაკინძულ ფურცელებზე იკითხება სახარების არაბული ტექსტი (Цагарели 1888:204-205 n°14). მახარებელთა თავებს ახლავს კონსტანტინეპოლური რედაქციისათვის დამახასიათებელი განმარტებითი მინაწერები. გადამწერის ანდერძის თანახმად, ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა: „ახალ თარგმნილისაგან დაგუწერია და დიდად მართალ არს, ხოლო ესე ჭეშმარიტებით იცოდეთ, რომელ მახარებელთა თქუმული ესთენ არს." (Mapp 1940:214-219; Vööbus 1954: 208, შენ. 5)

Sin.Geo.N.19p. ოთხთავი. XIII ს. 10ფ.; 17×12,5სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისი მთავრულითა და სინგურით. შემორჩენილია ლუკას სახარების 21,5–22,50. ტექსტი გიორგი ათო-

ნელის რედაქციისაა (იმნაიშვილი 1979). საკითხავთა ლიტურგიკული საძიებელი, ანუ წეს-განგება ნაკლულია, მოიცავს სექტემბერ-ოქტომბერს, დეკემბერ-იანვარს, ივლის-აგვისტოს. 8r-ზე მოცემულია აღდგომისა და ახალკვირის საკითხავების ცხრილი.

Sin.Geo.O.29. ფსალმუნი. X ს. 78 ფ., ეტრატი; 18x17სმ.; მთავრული ნაკლული; ტყავგადაკრული ხის ყდა. ასოებით კანონებისა და გალობების დანომვრა გვიანდელია და არ აქვს სისტემური ხასიათი. ამ ხელნაწერის მიხედვით ფსალმუნის ტექსტი გამოქვეყნებულია აკადემიურ გამოცემაში (შანიძე 1960(b). ფსალმუნი წინაათონური რედაქციისაა. გადამწერის მთავრულით შესრულებული ანდერძი ძირითადი ტექსტიდან გამოყოფილია სინგურითა და დეკორირებული ასოთი: „...მოიჯსენეთ, მე, იოვანე საწყალობელი მღდელი და მწარედ ცოდვილი, ლოცვასა თქუენსა ...ქრისტე, შეიწყალე იოვანე, კჳრიელ&sსონ..." (Цагарели 1888:197-198 n°4; ჯავახიშვილი 1947:50)

Sin.Geo.O.42. ფსალმუნი. X ს. 259 ფ.; ეტრატი; 15,5x13,5სმ.; მთავრული; სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; შემწირველი მიქაელი: „.... მე, გლახაკი მიქაელ, და მწარედ ცოდვილი, ღირს ვიქმენ შეწირვად მთასა სინას საგალობელი ესე წმიდისა დავითისი". (Цагарели1888: 197 n° 3; Mapp 1940:31-33; Kalligerou 2009:158-159).

Sin.Geo.N.15. ფსალმუნი. Xს. 115ფ.; ეტრატი; 17,5×15,5სმ.; ნაკლული; ნუსხური; სათაურები, საზედაოა სოები და ზოგიერთი სტრიქონი ტექსტში მთავრულით; გადამწერი: იოვანე ოშკელი; მომგებელი: მიქაელ დეკანოზი; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა; უყდო. ხელნაწერი იწყება 30,1 ფსალმუნიდან, არასრულია. მას მოჰყვება გალობები. ფსალმუნთა სათაურებში ზოგან შეტანილია ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები. ზოგიერთი ფსალმუნის შემდეგ აღნიშნულია მუხლთა რაოდენობა წინარეათონური რედაქციის სათვალავის მიხედვით (შანიძე 1979:40). ხელნაწერი ტექსტობრივად ახლოა ძველიკოლექციის ნუსხებსა (Sin.Geo.O. 22,29,42; შდრ. Garitte 1956(a):58, 66,156) და გრაცის ხელნაწერთან Graz.Geo. 2058/2 (შანიძე 1929:343; იმნაიშვილი 2004: 70-220).

Sin.Geo.N.21. ფსალმუნი. Xს. 113 ფ.; ეტრატი; 6,5x4,5სმ.; მთავრული; ნაკლული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; უყდო. ხელნაწერს ძველი წინაათონური რედაქციების ნიშნები აქვს. ზოგიერთი ფსალმუნის შემდეგ ნაჩვენებია მასში შემავალ მუხლთა რაოდენობა ძველი „ქართული" სათვალავის მიხედვით. იწყება მსჯელობით ფსალმუნის ხუთწიგნად დაყოფის შესახებ და დიაფსალმის განმარტებით. ფსალმუნი დანართებით მიჰყვება ძველი რედაქციის ე.წ. „მცხეთის ფსალმუნისა" (ხეც A-38) და იოვანე-ზოსიმეს შედგენილი ლიტურგიკული კრებულის Sin.Geo.O.34-ის იმ ფრაგმენტებს, რომლებიც ამჟამად რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (შანიძე 1960(b): 448-460, 470; აღწერილობა 1973: 117-119; 1978(a):138).

Sin.Geo.N.51. ფსალმუნი. X ს. 199ფ.; ეტრატი; 12×9,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, ფსალმუნთა სათვალავი არშიებზე, მუხლთა რაოდენობა თითოეულ ფსალმუნში, განსუენებისა დაკანონების აღნიშვნა მთავრულით და სინგურით; გადამწერი: გიორგი დიაკონი; ხის ტყავგადაკრული ყდა. ხელნაწერი შეიცავს 1-150 ფსალმუნსა და, 1-9 გალობას. ტექსტი წინარეათონური რედაქციისაა, მაგრამ არშიებზე გვიანდელი ხელით მითითებულია კანონთა დასაწყისები გიორგი ათონელისეული რედაქციებისათვის დამახასიათებელი სისტემით (აღმოჩენები 2005:284) ხელნაწერს 199r-ზე ერთვის გადამწერის ანდერძი.

Sin. Geo.O.22. ფსალმუნი. X-XI სს.276+1ფ.; ეტარტი; 19x14 სმ.; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით, გვხდება რამდენიმე ორნამენტული ასო. გადაწერის ადგილი სინაწმინდა. ნუსხა ნაკლულია, იწყება ფს.6,2, თავდება 147,8. მინაწერებში მოხსენიებული არიან სინელი მოღვაწეები: იოვანე, დავითი, ძმანი სინელნი (Цагарели 1888:198 n°5; ჯავახიშვილი 1947:44).

Sin.Geo.N.82. ფსალმუნი. XI-XIIსს. 18ფ.; ეტრატი; 10,5x6სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ტექსტის დასაწყისი: ფს.118,3. ფრაგმენტულია. ტექსტი წინარეათონური რედაქციისაა (აღმოჩენები 2005:302-303).

Sin.Geo.N.85. ფსალმუნი. XII-XIII სს. 3ფ.; ეტრატი; 18,5x13,5სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი.ტექსტი ძველი, წინარეათონური რედაქციისაა (აღმოჩენები 2005:303-304).

Sin.Geo.N.2p. ფსალმუნი. XII-XIIIსს. 135ფ.; ქაღალდი; 19x12სმ.; ნაკლული; შავი მელანი; სათაურები და ზოგიერთ მუხლთა დასაწყისი საზედაო ასოები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა; შემორჩენილია მსოლოდ ზედა ფრთა და ყუა. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა (შანიძე 1960(ბ); 1979; აღმოჩენები 2005:313-314).

Sin.Geo.N.18p. ფსალმუნი. XII-XIIIსს. 20ფ.; ქაღალდი; 15x11სმ.; ცალკეული დაშლილი ფურცლები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და მუხლთა დასაწყისი საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით. შემორჩენილია ფს.: 65,11-68,7; 70,11-73,15; 74,9-78,3; 95,10-98,4; 102,16-103,9. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა (აღმოჩენები 2005:321).

Sin.Geo.N.20p. ფსალმუნი. XIII ს. 2ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომისა: 17x12სმ. და 16X12სმ.; ნუსხური; ფრაგმენტი შეიცავს ფსალმუნის რამდენიმე მუხლს: 118,61-118,75. ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა (აღმოჩენები 2005: 321).

Sin.Geo.O.86. ფსალმუნი. XIV-XV სს. 364ფ.; ქაღლდი; 13x12სმ.; ახლავს ლიგატურები, საყურადღებოა მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები; ტყაგადაკრული ტვიფრული ხის გვიანდელი ყდა; ხელნაწერი შეიცავს 151 ფსალმუნსა და გალობებს. ცალკეული ფსალმუნის (ფს.: 6, 15, 32, 38, 39, 40, 41) გასწვრივ გვხვდება გვიანდელი ტრადიციისთვის დამახასიათებელი სამკურნალო-დაცვითი შინაარსის მინაწერები, მაგალითად: „წამალნი ფსალმუნისგან, უფალო, ნუ გულისწყრომითა. ესე ფსალმუნი ვისცა თუალი სტკიოდეს, სამჯერ წამალსა ზედა წარიკითხოს, სამსა დილასა თუალთა უწთევ“ (9v).(Цагарели 1888: 198 n°6; Марр 1940:247-248).

Sin.Geo.O.39. საქმე მოციქულთა. ეპისტოლეები. 974 წ.132 ფ.; ეტრატი; 24,8x20 სმ.; მთავრული; მელანი შავი; სათაურები, მუხლთა პაგინაცია სინგურით; თავნაკლული; გადამწერი: იოვანე; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა; ღია ყავისფერი ტვიფრული ყდა. ხელნაწერი შეიცავს „საქმე მოციქულთასა“ და მცირე ეპისტოლეებს. წიგნის დასასრულს გადაწერილია აღდგომიდან ამაღლებამდე საკითხავთა და ფსალმუნთა განგება. ხელნაწერის რამდენიმე ანდერძ-მინაწერში იხსენიება გადამწერი იოვანე: „...მომემადლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს დაწერად წმიდაჲ ესე წიგნი საქმჱ წმიდათა მოციქულთაჲ ჴელითა ჩემითა... ბრძანებითა პატიოსნისა მღდელისა მიქაელ დეკანოზისაჲთა... ქორონიკონი იყო რჟდ“ (132r). ხელნაწერის გადამწერი იოვანე არ არის X ს-ის ცნობილი გადამწერ-რედაქტორი იოვანე-ზოსიმე (Цагарели 1888: 206 n°17; Марр 1940:247-248; ჯავახიშვილი1947:106-107; ჭანკიევი 1973:45-51; კუტიბაშვილი 1980: 121-142; Kalligerou 2009: 163-164). საქმე მოციქულთასა და ეპისტოლეთა ქართული თარგმანები შესწავლილი და გამოცემულია (აბულაძე 1950; Vööbus 1954: 186, 388-389; Garitte 1955 (a): 11-12; ლორთქიფანიძე 1956; ძოწენიძე 1974; მელიქიშვილი 2012 (a):184-205).

Sin.Geo.O.58-31-60. პავლენი და „საქმე მოციქულთა“. 977წ. 178ფ.; ეტრატი; 26x20,5სმ.; მთავრული; შავი მელანი; სათაურები და საძიებლის საკითხავები სინგურით; არშიებზე გატანილი შენიშვნები, საკითხავ დღეთა მითითება იოვანე-ზოსიმეს ხელითაა შესრულებული; ესაა სამ ნაწილად დაშლილი ერთი ხელნაწერი; თავნაკლულია; გადამწერი წიგნისა არის კვირიკე სოხასტრელი; მომგებელი კჳრიკე მიძნაძორელი; ცაგარლის აღწერილობით, ხელნაწერი 186 ფურცელს შეიცავდა; ყდისაგან შემორჩენილია მხოლოდ ტვიფრული ტყავის ქვედა ფრთა. ხელნაწერი ნაკლულია (Цагарели 1888:205-206 n°16; Марр 1940:97-99; ჯავახიშვილი 1947:53-56; Garitte 1956(a): 189-197; მენაბდე 1980: 66; მელიქიშვილი2012(a):184-205); ნუსხის მიხედვით ტექსტი გამოცემულია (Garitte 1955(a); ძოწენიძე 1974).


Sin.Geo.N.8. სამოციქულო. 977წ. 13ფ.; ეტრატი; 26x20 სმ.; მთავრული; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულით; მომგებელი: კჳრიკე მიძნაძოროელი; გადამწერი: კჳრიკე სოხასტრელი; გადაწერის

ადგილი: სინაწმინდა. ფრაგმენტები შეიცავს: პავლეს ეპისტოლეებს, კათოლიკე ეპისტოლეებს (I პეტ. 1,22-3,1). ხელნაწერის 1-13 ფურცლები წარმოადგენს Sin.Geo.O.58-31-60 ნაწილებს. ხელნაწერის თარიღი, მომგებლისა და გადამწერის ვინაობა დადგენილია Sin. Geo.O.58-31-60-ის ანდერძების საფუძველზე. ანდერძების სრული ტექსტები გამოქვეყნებულია (Garitte 1956(a): 195-196).

Sin.Geo.N.9. საქმე მოციქულთა. XI ს.19 ფ.; ეტრატი; 28×21,5სმ.; შავი მელანი; საკითხავების დასაწყისი, საზედაო ასოები და საკითხავების სათვალავი მთავრულითა და სინგურით. ხელნაწერის ტექსტი ძირითადად მისდევს Sin.Geo.O.58-31-60 და Sin.Geo.O.39 ტექსტებს ზოგიერთი სხვაობით (შდრ.: აბულაძე 1949).

კრებულები

Sin.Geo.O.32-57-33. სინური მრავალთავი. 864 წ. 275 ფ.; ეტრატი; 24,5x13,5სმ.; მთავრული; ყავისფერი მელანი; გადამწერი: მაკარი ლეთეთელი; შემმოსველი: იოვანე-ზოსიმე; გადაწერის ადგილი: საბაწმიდის მონასტერი. ყდაში მესამედ ჩასმულია 981 წ. სინაწმინდაზე. იწყება ხარების საკითხავებით. შეტანილია დიდ საუფლო დღესასწაულებზე საკითხავი, ჰომილეტიკური და აგიოგრაფიულ-აპოკრიფული ტექსტები - სულ 50 თხრობა. ჰომილეტიკური ნაწილის ავტორები არიან: გრიგოლ ნოსელი, ანთიპატროს ბოსტრელი, ათანასე ალექსანდრიელი, პროკლე კონსტანტინეპოლელი, ეპიფანე კვიპრელი, ბასილი დიდი, იოვანე ოქროპირი, კირილე იერუსალიმელი, ტიმოთე იერუსალიმელი, მაკარი ანტიოქელი. აგიოგრაფიულ-აპოკრიფულ ნაწილში წარმოდგენილია სტეფანე პირველმოწამისა და სინა-რაითის მამათა მარტვილობის, ღვთისმშობლისა და მოციქულთა ციკლის, ასევე, ჯვრის გამოჩინების, სამსჭვალთა პოვნის, იოვანე ნათლისმცემლის თავის კვეთის თხრობები; დასასრულს იოვანე-ზოსიმეს მიერ დამატებული „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ადრებიზანტიური რედაქციის ამ ტექსტების მთარგმნელად ივარაუდება სეითი (კეკელიძე 1980:501). წიგნი დათარიღებულია ანდერძის საფუძველზე: „...დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგან ხჳმწ ქორონიკონი იყო პდ(864).„და მე გლახაკმან მაკარი შევწირე წმიდაჲ ესე მრავალთავი წმიდათ წმიდასა მთასა სინას...“ „...შეიმოსა მესამედ... დასაბამითგანთა წელთა ქართულთა ხფპე-სა და ქორონიკონსა სა...“ გამოცემულია როგორც მთლიანი კრებული (შანიძე 1959), ასევე მასში შესულ ცალკეულ თხზულებათა ქართული რედაქციები (კეკელიძე 1918:28-44; Марр 1926: 657-670; 715-733; 1940:5-6,16-17; 1946:98-100; შანიძე 1935: 36-54; იმნაიშვილი 1953:290-301; გვარამია 1973; ფუტკარაძე 2000). ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი (Цагарели 1888: 234-237 n°83,84; Марр 1903 (a):20, 50; 1940: 1-26, 93-97; კარანაძე 2002:9-16; Kalligerou 2009:171,172,174).



58. Sin.Geo.O.32-57-33. 273r

Sin.Geo.N.89. სინური მრავალთავი. ფრაგმენტი.864 წ., 2ფ.; ეტრატი; 24,5x21სმ.; მთავრული;

შავი მელანი. შეიცავს: კირილე იერუსალიმელის „ნათლისღებისათვის“ ბოლო ნაწილსა და ევსუქი იერუსალიმელის „მიგებებისათვის“. ევსუქი იერუსალიმელის ჰომილიის ავტორად ჟ.გარიტის აღწერილობაში ნავარაუდებია ტიმოთე იერუსალიმელი (Garitte 1956(a): 78). ჰომილიის ავტორის ვინაობა ადრეულ ქართულ მრავალთავებში ამ ორ სახელს შორის მერყეობს. ჟ.გარიტმა ოთხი მრავალთავისმიხედვით გამოაქვეყნა ჰომილიის ტექსტი და ავტორად დასახელებული ჰყავს ევსუქი იერუსალიმელი (Garitte 1971:361-372). ფრაგმენტს შემოუნახავს ნუსხურით შესრულებული ანდერძი, რომელშიც მაკარი ლეთეთელი გადამწერად მოიხსენიება: „ამის წიგნისა დამწერელსა ცოდვილსა მა[კა]რ[ი] [ლეთეთე]ლს მღდელ-მონ[აზონსა, შეუნდვენ ღმერთმან] ცოდვანი მისნი“.

Sin.Geo.O.97. ეფრემ ასურის ჰომილიები. IX-X სს. 272ფ.; ეტრატი; 25x20სმ.; მთავრული; სათაურები სინგურით; ბოლონაკლულია; გადამწერი: გიორგი ტყელელი; გადაწერის ადგილი: საბაწმინდა. კრებულში შედის ეფრემ ასურის 25 ჰომილიის ადრებიზანტიური თარგმანი, საბაწმინდური რედაქცია. ანდერძი ინახება მინგანას კოლექციაში Mingana. Geo.2. ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი და ანდერძები გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 231 n°78; ჯავახისვილი 1947: 137-138; Garitte 1956(a): 291-292; 1960:244-245; Kalligerou 2009: 170-171).

Sin.Geo.O.36. ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული. 925 წ. 253 ფ.; ეტრატი; 28,5x24 სმ.; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით; გადაწერის ადგილი: საბაწმინდა; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. კრებულში შედის იოვანე ოქროპირის, ბასილი დიდის, მარკოზ მონაზვნის, ეფრემ ასურის, ამონას, მაკარის, აბრაჰამ მონაზვნის ჰომილიები, იოვანე მოსხის „ლიმონარი“, მარკოზ განშორებულის თხრობა. ამავე ხელნაწერის ანალოგს წარმოადგენს ათონური კოლექციის ხელნაწერი Ivir.Geo.9 (ჩხიკვაძე 2002:172-182). ხელნაწერი გადაწერილია საბაწმიდის მონასტერში, გადამწერის ანდერძი ამჟამად არ იძებნება, ცნობილია ალ. ცაგარლისეული პუბლიკაციით: „... მე გლახაკმან სულითა და ჯორცითა ღირს ვიქმენ დაწერად წმ. ამის წიგნისა ჩემ მიერ ლავრასა შინა წმ. საბასასა, თანაშეწევნითა სულიერისა შჯლისა ჩემისა ტიმოთესაჲთა... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ჩემ მიერ პატრიარქობასა ლეონისასა და საბაწმიდას მამასახლისობასა იოანე რაკისასა, დასაბამითგან იყუნესა ხფკ, ქორონიკონი რმე..“(925წ.) (Цагарели 1888:233-234 n°82; ჯავახიშვილი 1947: 74-83). კრებული შეიცავს მამათა სწავლანისა და ლიმონარის ადრებიზანტიური რედაქციების თარგმანებს, რომელთა იდენტური დედნები ამჟამად არ იძებნება. კრიტიკული ტექსტები გამოცემულია (აბულაძე 1955 (a), 1960; შდრ.: გაბიძაშვილი 2009 (b): 274, №90).


Sin.Geo.O.35. ასკეტიკური კრებული.973წ. 320 ფ., ეტრატი; 34,5x27 სმ.; მთავრული; შავიმელანი; გადამწერი და შემმოსველი: იოვანე-ზოსიმე; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა. კრებულის ნაკლული ფურცლები (Graz.Geo.2058/BდაC) ინახება გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (იმნაიშვილი2004:314), ხოლო იოვანე-ზოსიმეს ანდერძი გამოყენებულია Sin.Geo.O.67 ყდის ქვედა ფრთის საცავ ფურცლად (დვალი 1978: 72-80; კარანაძე 2002: 19, შენ. 89; 33 შენ. 132; Kalligerou 2009:156). კრებულში შესულია ანტონი დიდის, დორეთეოზის, ევაგრე მონაზვნის, სევერიანე გაბალონელის, არსენის, ამონას, მარკოზ მონაზვნის, კასიანეს, მაკარის მეგვიპტელის, ისააკის, ესაიას, იოვანე კლემაქსის, ბარსანოფისა და ჲოვანეს , ბასილი დიდის სვიმეონ მესვეტე უმცროსის ჰომილიები და აპოთეგმები. ტექსტები ადრებიზანტიური რედაქციის თარგმანებია. ტექსტების ნაწილი გამოცემულია (აბულაძე 1955 (a); Garitte 1955(a): 1-47; 1955(b): 267-275, ჯავახიშვილი 1947, 59-74).ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი (Цагарели 1888: 232-233 n°80; Марр 1903(a): 32; Blake 1932 (c): 274-275; ჯავახიშვილი 1947: 59-74).

Sin.Geo.N.67. სინელ მამათა სწავლანი. 974 წლამდე. 101ფ.; ეტრატი; დაახლ. 8x7,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურითა და მთავრულით, ასევე მთავრულნარევი ნუსხურით; გადაწერილია 974 წლამდე, რასაც მოწმობს შემმოსელის, იოანე-ზოსიმეს ანდერძი (101r). ხელნაწერში შედის: არაიდენტიფიცირებული ლოცვა, სვიმეონ სალოსის ლოცვა და „მამათა სწავლანი“.

„სწავლანი“ აერთიანებს სინელ მამათა 15 სწავლებას (ჩიტუნაშვილი 1999: 111-115). აპოთეგმების ქართული თარგმანები გამოცემულია (დვალი 1974). ხელნწერს ერთვის იოვანე-ზოსიმეს ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი ჴელითა იოვანე ცოდვილისაჲთა დასაბამითგანთა წელთა ხფო[ϑ], ქრონიკონი იყო რჟდ“. ხელნაწერის ყდა აღწერილია (Kalligerou 2009: 155-156).

Sin.Geo.O.6. აგიოგრაფიული კრებული. 981,982,983 წწ. 225ფ.; ეტრატი; 27,5x20სმ.; ნუსხური; სათაურები მთავრულით, სინგურით; 3 გადამწერი, ერთ-ერთია იოვანე-ზოსიმე; დამკვეთი: მიქაელი; ყდა იოვანე-ზოსიმესი; გადაწერის ადგილი: სინაწმინდა. თხზულებებს უძღვის მთავრულით გადაწერილი ზანდუკი. კრებულში შესულია ადრეული, პალესტინური რედაქციის აგიოგრაფიული და აპოკრიფული თხზულებები: იაკობის პირველსახარება, სვიმეონ ჰალაფელის ცხოვრება, საბა ასურის ცხოვრება, ეპიფანეს ცხოვრება, იოვანე ხუცის ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება, პოლიბიოსის ეპიფანეს ცხოვრება, პოლიბიოსის წერილი საბინოსის მიმართ, შიშველ-მართალთა ისტორია, “წმ. ფებრონის წამება“, “ქრისტინეს წამება“, “ეკატერინეს წამება“, სტეფანე მძოვრის სწავლა, “ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. კრებულმა არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიპყო, სხვადასხვა დროს გამოიცა სხვადასხვა თხზულების ტექსტი და სამეცნიერო კომენტარები (Цагарели 1888: 229-230 n°76; ყუბანეიშვილი 1946: 416; ჯავახიშვილი 1947:184-193; Garitte 1954(b): 71-92, 1957: 233-265; კეკელიძე 1955: 183-196; ინგოროყვა 1965: 363,541-542; Birdsall 1970: 49-72; შანიძე 1977, 7-35; ფუტკარაძე 2000; გაბიძაშვილი 2004: n° 364, 1151). ხელნაწერი თარიღდება იოავანე-ზოსიმეს ანდერძის საფუძველზე.

Sin.Geo.O.52. აგიოგრაფიული კრებული. 983 წ. 99 ფ.; ეტრატი, 10,5x8,5 სმ.; ნუსხური; მომგებელი მიქაელი; გადამწერები: კჳრიკე და იოვანე-ზოსიმე, რომელიც შემმოსველია კრებულისა; ტიპური სინური ყდა. კრებულში შედის 2 აგიოგრაფიული თხზულება: წმ. მამაის წამება და წმ. ქსენეფორეს ცხოვრება. კრებული დათარიღებულია ანდერძის ჩვენებათა საფუძველზე: „... დასაბამითგან წელნი იყვნეს ქრთულად ხფპზ და ქორონიკონი იყო სგ. ქრისტე შეიწყალე იოვანე-ზოსიმე და მიქაელ და გიორგი...“ (99v) (Цагарели 1888:226-227 n° 70; Марр 1940:74-76).




59. Sin.Geo.O.6. 224r

Sin.Geo.N.20. ალექსანდრე კვიპრელი. ჯვრის პოვნის საკითხავი. 986წ. 23 ფ.; ეტრატი; 15x12სმ.; მთავრული და ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: იოანე-ზოსიმე;გადაწერის ადგილი: სინაწმინდა. ფრაგმენტები წარმოადგენს ალ. ცაგარლის მიერ 93-ე ნომრით აღწერილი სინური ხელნაწერის დასაწყისს. Sin.N.Geo.20-სა და ცაგარლის n°93-ს შორის 1 ფურცელი დაკარგულია, ხოლო მეორე არის ბირმინგემის Mingana. Geo. 4. ფრაგმენტი. ცაგარელის აღწერილი 93-ე ხელნაწერის 99ფ. ამჟამად ინახება პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. საფონდო ნომრით Garitt. 24. ალექსანდრე კვიპრელის ამ საკითხავის ბოლო 29ფ. ცაგარელს აღწერილი აქვს 92 ნომრით, რადგანაც იგი სხვა

ნუსხა ეგონა. ეს ფრაგმენტები დღეს დაცულია გერმანიაში, გეტინგენის ბიბლიოთეკის სირიულ ფონდში Ms.Syr. 17,19,21,22,23,24,25.SuUB. ამ ერთეულის 7 ფურცელი ცაგ. 93-ის შევსებაა, ხოლო 23-ცაგ. 92-ისა. დღემდე დაკარგულია იოვანე-ზოსიმეული ანდერძი, რომელიც ცნობილია ცაგარლის პუბლიკაციით (Цагарели 1988: 239-240 n°92). ე.ი. ალექსანდრე კვიპრელის 986 წელს გადაწერილი საკითხავი ამჟამად დაცულია 4 სხვადასხვა ცენტრში: სინის მთაზე, პრინსტონის უნივერსიტეტში, ბირმინგემსა და გეტინგენში. ამ ნაწილების მთლიანობა და თანამიმდევრობა დადგენილია მ. შანიძის მიერ (შანიძე 1999: 113-126; აღმოჩენები 2005:266-267). საკითხავის ნაწილები აღწერილია (Цагарели 1988:239-240 n° 92, n°93; Garitte 1960: 249-251, 1967: 557-558; Assfalg 1963(a); 1963(b); გაბიძაშვილი 2009(a):№1873). ალექსანდრე კვიპრელის ტექსტი გამოცემულია (მგალობლიშვილი 1978).

Sin.Geo.O.11. აგიოგრაფიული კრებული. X ს. 399ფ.; ეტრატი; 20,3x15,5სმ.; მთავრული; გადამწერები: დავითი და იოვანე; X ს-ის ტიპური სინური ყდა. კრებული შეიცავს სექტემბერ-იანვრისა და ივნის-ივლისის გამოკრებილ 28 კიმენურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას შესატყვისი კალენდარული დღის მითითებით. თვეთა თანამიმდევრობა დარღვეულია. ტექსტები წინაათონური თარგმანებია. მსოფლიო ეკლესიის წმინდათა შორის შეტანილია აბო თბილელის „მარტვილობა“. ხელნაწერს აქვს არაერთი ანდერძ-მინაწერი. საყურადღებოა კრებულში შესული თავნაკლული, არაიდენტიფიცირებული ტექსტის დასასრული, რომელშიც მითითებულია თხზულების მთარგმნელის ვინაობა და თარგმანის შესრულების ადგილი: „ითარგმნა იწრუსალემს ჴელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას ჴელითა პავლესითა“(240r). აღნიშნული მინაწერის საფუძველზე ჩანს, რომ კრებული აერთიანებს იერუსალიმური ტრადიციის ადრეულ თარგმანებს. თხზულებათა ნაწილი შესულია ოქსფორდის უორდროპის კოლექციის კრებულში MS.Georg.b.I (Peeters 1912(a): 3-1-818). ტექსტების ნაწილი გამოცემულია (Peetres 1912(b):277-313; კეკელიძე 1918:106-114; 1946:20-26, 62-63, 81-85;



60. Sin.Geo.O.11. 68r

61. Sin.Geo.O.11. 239r

შანიძე 1935:71-76; აბულაძე 1944:133-147; იმნაიშვილი 1953: 184-202; გაბიძაშვილი 2004: 178,184). ხელნაწერი რამდენჯერმე აღწერილია (Цагарели 1888:216-217 n° 50; ჯავახიშვილი 1947:23-31; Kalligerou 2009:166,169).

Sin.Geo.O.25. ასკეტიკურ-აგიოგრაფიული კრებული. X ს.213ფ.; ეტრატი; 16x11 სმ.; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერის ანდერძიდაკარგულია; უყდო. შეიცავს მაკარი მეგვიპტელის, ამონას, ანტონის, ამბა მოსეს, ეფრემ ასურის, არსენი დიდის ჰომილიებს, მამათა სწავლანს, ევსტათის მარტვილობას. თზხულებათა უმეტეს ნაწილს არ ეძებნება შესატყვისი ბერძნული დედანი. ჟ. გარიტი კრებულში შემავალი ზოგიერთი თხზულებისთვის უთითებს პარალელურ ლათინურსა და კოპტურ ტექსტებს. მამათა სწავლანის ტექსტები გათვალისწინებულია კრიტიკულ გამოცემაში (აბულაძე 1955 (a); Garitte 1956(a):60-66). ხელნაწერი რამდენჯერმე აღწერილია (Цагарели 1888: 228-229, n° 74; ჯავახიშვილი 1947:45-47).

Sin.Geo.O.43. კირილე სკვითეპოლელი. ეფთვიმეს ცხოვრება. X ს. 138 ფ.; ეტრატი; 16,5x12,5 სმ.; მთავრული; შავი მელანი; თავნაკლულია. დასასრულს იკითხება წიგნის სინაწმინდისთვის შემწირველ გიორგი მანაველის ნუსხურით შესრულებული ანდერძი, რომლის თანახმადაც, კრებული ჩამოტანილია პალესტინის სავანიდან: „...მეოხებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ხარიტონისითა და წმიდისა საბაჲსითა და ამათ ყოველთა წმიდათა მამათაჲთა... აწ წმიდანო მამანო, ოდეს ღირს ვიქმენ მაგას წმიდასა მთასა თაყუანისცემად... ნაწყუდი ესე წიგნისაჲ – „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ევთუმისი„ შემოვწირე წმიდასა მაგას მთას სინას მე, გიორგი მანაველმან...“ წიგნში შესულია ადრებიზანტიური რედაქციის თარგმანი. ხელნაწერი ხელახლა აიკინძა და ყდაში ჩაისვა XIV-XV სს-ში (კარანაძე 2002:34; იხ. ასევე: Цагарели 1988: 229, n°75; Марр 1940:33-36). ტექსტი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერ Add.Ms.11281-ის მიხედვით გამოცემულია (იმნაიშვილი 1975:143-183).

Sin.Geo.O.44. სახარების თარგმანება. X ს. 163 ფ.; ეტრატი; 14,5x12,2სმ.; მთავრული; მელანი შავი; სათაური სინგურით; ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. ხელნაწერი შეიცავს ეკლესიის მამათა მიერ შედგენილ მარხვის ციკლის ჰომილიებს _ ოთხთავის განმარტებებს შემდეგი თანამიმდევრობით: მათე, 6,1-33, ლუკა15,1-10, ლუკა15,11-32, ლუკა 18,1-8, ლუკა 10, 25-37, ლუკა 16, 19-31, იოანე 11,45-12,19. ტექსტი წინაათონური თარგმანია. XIX ს-ის დასასრულიდან ხელნაწერს დააკლდა 6 ფურცელი (Цагарели 1888: 231-232 n°79; Марр 1940: 37-44; გაბიძაშვილი 2009(b): 244, №125).

Sin.Geo.O.46. სვიმეონ მესვეტე უმცროსის ცხოვრება. X ს. 269 ფ.; ეტრატი; 17x15სმ.; მთავრული, ხელნაწერის ბოლოს რამდენიმე სტრიქონი დაწერილია ნუსხურით; შავიმელანი, სათაური 1v-ზე სინგურით;ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა;ხელნაწერი 978 ან 980 წელს მეორედ ჩაუსვამს ყდაში იოვანე-ზოსიმეს.“ცხოვრება“ კიმენური რედაქციისაა, მისი ბერძნული რედაქციის ავტორია კვიპროსის მთავარეპისკოპოსი არკადი (გაბიძაშვილი 2014:61). ხელნაწერს ახლავს სინაწმინდისთვის წიგნის შემწირველთა მინაწერი: „...მე, მიქაელ ღრდულელმან, შევწირენ ესე წმიდანი წიგნი ცხორებაჲ წმიდისა სუმეონ ანტიოქელისაჲ და მე, გაბრიელ სინელმან ორთავე შევწირენით.“269r-v; „შეიმოსა მეორედ დასაბამითგან წელთა ხფპბ (978 წ.) და ქრონიკონი იყო ს“ (980წ.) ტექსტი გამოცემულია (კეკელიძე 1918:215-140). აღწერილია რამდენჯერმე (Цагарели 1888: 228,n°73;Марр 1940:45-53; კარანაძე 2002: 12-13; Kalligerou 2009:158,162,173).

Sin.Geo.O.50. იოანე ოქროპირის სწავლანი. X ს. 183ფ.;ეტრატი; 17,7x14სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები სინგურით; ყდა ტვიფრული. კრებულში შედის იოანე ოქროპირის 9 ჰომილია. ადრებიზანტიური რედაქციის ეს ქართული თარგმანები ფიქსირდება ამავე ეპიქის ყველა ტაოკლარჯულსა და სინა-პალესტინურ ასკეტიკურ-ჰომილეტიკურ კრებულში. ანდერძი ამჟამად დაკარ-

გულია. გამოქვეყნებული აქვს ცაგარელს: „მე, კირილე, დავწერე ჴელითა ჩემითა და ფასი ორი დრაკანი იოსებ მომცა და მან შეწირნა სინას წმ. ეკლესიასა ქართუ8ლთასა წმ. იოვანესა... სალუცუ8ლთად(!)“ (Цагарели1888:235-236,№84; Марр 1940: 61-66). ტექსტები შესულია„მამათა სწავლანის“ აკადემიური ტექსტის გამოცემაში (აბულაძე 1955(a).

Sin.Geo.O. 62. აგიოგრაფიული კრებული. X ს. 143ფ.; ეტრატი;31,5x24სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით;ნაკლული;უყდო; დასაწყისში დაკარგულია 4 რვეული. კრებულში შედის იანვარ-აგვისტოს საკითხავი მასალა-მარტვილობები:ანტონისა, კვიროსისა და იოვანესი, აგათანგელოსისა, თევდორესი, ბიკტორისა, წმ. გიორგისა, ქრისტეფორესი, ლეონტისი(გაბიძაშვილი 2004: №709), ფებრონიასი, მძლეთა წმინდანთა, დომენტისა, ორმაცდახუთი მოწამისა, კვირიკესა და ივლიტასი, მარინასი, ათანასისა, კოზმან და დამიანესი, ქრისტინასი, შვიდთა ყრმათა მაკაბელთა, ფოკასი(გაბიძაშვილი 2004: №№11,28, 120,215, 227, 289, 477, 664, 684, 762, 1140). კრებულის რამდენიმე მინაწერში მოიხსენიება იოვანე. ჟ. გარიტი კრებულს ათარიღებს 983 წლის შემდგომი პერიოდით და მას იოანე-ზოსიმეს გადაწერილად მიიჩნევს (Garitte 1956 (a):209; ასევე: Цагарели1888: 217,n°52; Марр 1940: 112-132).

Sin.Geo.N.3. აგიოგრაფიული კრებული. XIს. 14ფ.; ეტრატი; 30×23სმ.; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ორი გადამწერი: იოვანე და ანონიმი; ნუსხური; ფრაგმენტულად შემორჩენილია: „აბოს წამება“, „ფილოთეოსის წამება“, „მამაჲს წამება“, ნეტარი პელაგიას ხსენება, „პეტრე ალექსანდრიელის წამება“. ეს თხრობა გამოცემულია Sin.Geo.O. 11-ის მიხედვით (Garitte 1956(a): 34). 14r-v ზანდუკი, ერთვის იესო ქრისტეს გამოსახულება.

Sin.Geo.N.4. ანბანური პატერიკი. X ს. 26 ფ.; ეტრატი; 26,5×19სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და ცალკეულ თხრობათა დასაწყისი ასოები მთავრულითა და სინგურით; გადამწერი: გრიგოლი. ფრაგმენტი დასაწყისი ნაწილია Sin.Geo.O.8-ისა. პალეოგრაფიული ნიშნებით ორივე ხელნაწერი (Sin.Geo.O.8 და Sin.Geo.N.4) X საუკუნით თარიღდება. გადამწერის ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე გრიგოლ“. 20v. მსგავსი ანდერძები აქვს Sin.Geo.O.8 ხელნაწერსაც (Garitte 1956(a): 29).

Sin.Geo.N.13. ასკეტურ-აგიოგრაფიული კრებული. X ს.107ფ.; ეტრატი; პალიმფსესტი; 23×15სმ.; ქვედა გადარეცხილი ტექსტის დიდი ნაწილი კავკასიური ალბანურია, არის სომხურიც; ზედა ნაწერი ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულით; გადამწერი: მიქაელი. შეიცავს: 1.ათანასი ალექსანდრიელის„ანტონი დიდის ცხოვრების“ კიმენურ რედაქციას. მოკლე და ვრცელი რედაქციები გამოცემული (იმნაიშვილი1970 ; 1975:7-53); 2. ანტონის დიდის I-VII ეპისტოლეებს. ტექსტი გამოქვეყნებულია ორი სინური ხელნაწერის მიხედვით (Garitte 1955(c)). გამოცემაში ეპისტ. I თავნაკლულია, Sin.Geo.N.13 ამ დანაკლისს ავსებს. ეპისტ. VII ცალკეა გამოცემული Sin.Geo.O.25-ის მიხედვით(ჯავახიშვილი 1947: 236-237); 3. მაკარი დიდის I ეპისტოლეს.ტექსტი შემონახულია Sin. Geo.O.; 35 და Sin.Geo.O.25 ხელნაწერებში, რომელთა მიხედვითაც გამოქვეყნებულია(ნინუა 1982: 106-136); 4. ამონას I-XVI ეპისტოლეების ტექსტი ნაკლულია. ამონას ეპისტოლეები შემონახულია Sin.Geo.O.35 და Sin.Geo.O.25 (Garitte 1956 (a): 62, 103), გამოქვეყნებულია Sin. Geo.O.35-ის მიხედვით (Garitte 1976:123-131), 5) იოანე ოქროპირის „სინანულისათვის, ქალწულებისა და მოთმინებისათვის“. ნაკლულია. სრული ტექსტი შემონახულია Sin. Geo.O.25 და Sin.Geo.O.78 (ჯავახიშვილი 1947: 47,129; Garitte 1956(a): 64,230); 6. აპოლოსათვის. ტექსტი განსხვავებულია თხრობათაგან, რომლებიც გვხვდება Sin. Geo.O.25 და Sin.Geo.O.35 (Garitte 1956(a): 64, 118).ხელნაწერის ქვედა, გადარეცხილი ტექსტის ერთი ნაწილი შესრულებულია კავკასიური ალბანური დამწერლობით. მისი ნიმუშები დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ მცირერიცხოვანი ეპიგრაფიკული მასალით, რომლის მთლიანი ამოკითხვა და გაშიფვრა ჯერჯეროზით არ ხერხდება. ალბანური დამწერლობით არის შესრულებული აგრეთვე Sin.Geo.N.55პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა ტექსტის

ერთი ნაწილი. პალიმფსესტის ტექსტი, რომელიც ამოიკითხა ზ. ალექსიძემ, შეიცავს ლექციონარის ფრაგმენტებს (Шанидзе 1938; 1960; Абуладзе 1976(a); 1976 (b); ალექსიძე 1998; 2001; Алексидзе 1999). Sin.Geo.N.13 და Sin.Geo.N55 ერთი პირის მიერაა გადაწერილი და არაა გამორიცხული, რომ პალიმფსესტები ერთი ძველი ხელნაწერის ნაწილები იყოს.

Sin.Geo.N.17 აგიოგრაფიული კრებული. X ს. 132 ფ.; ეტრატი; 18x14სმ.; ნუსხური შავიმელანი; დასაწყისი ასოები მთავრულით; სათაურები სინგურით; ნაკლულია; უყდრო. ხელნაწერი კრებული შეიცავს: „ხარიტონის ცხოვრებას“, „თეკლას წამებას“, „ბარბარეს წამებას“, კირილე სკვითოპოლელის „თევდოსი დიდის ცხოვრებას“, „ამბა პავლესა და ანტონის ცხოვრებას“, „ივლიტასა და კვირიკესა წამებას“,კირილე სკვითოპოლელის „იოანე შეყენებული სცხოვრებას“, არაიდენტიფიცირებულ ტექსტს. ტექსტები სხვადასხვა დროს შესწავლილი და გამოცემულია (კეკელიძე 1918: 15-27,1957(a):121; აბულაძე,1975:25-138; იმნაიშვილი 1975: 126-142, 184-197, 273-284).

Sin.Geo.N.32. ეფრემ ასური. სწავლანი. X ს.12 ფ.; ეტრატი; 21x14 სმ.; მთავრული; შავი მელანი, სათაურები სინგურით. ადრებიზანტიური თარგმანი. ტექსტი შეესაბამება 925 წლის ნუსხის Sin. Geo.O.36-ისა და უმნიშვნელო განსხვავებებით X ს-ის ნუსხების საფუძველზე ილ. აბულაძის მიერ გამოცემული ტექსტების ეფრემ ასურისეულ შეგონებებს (აბულაძე 1955(a): 241-248).

Sin.Geo.N.48. ქართლის მოქცევა. Xს.14ფ.; ეტრატი; 13,5×11,5სმ.; ნუსხური შიგადაშიგ მთავრულიც.საზედაო ასოები მთავრულით. ხელნაწერმა შემოინახა ნაწყვეტი „ქართლის მოქცევის „ქრონიკიდან“- წმ. ნინოს ქადაგება. ფრაგმენტი განსხვავდება „ქართლის მოქცევის“ დღემდე ცნობილი ორივე რედაქციისგან და მეტად მნიშვნელოვანია პროტორედაქციის აღსადგენად. ტექსტი შესწავლილი და გომეცემულია (Aleksidze 1995, 488-494; ალექსიძე 2003: 5-15; 2007).

Sin.Geo.N.50. ისტორიული და აგიოგრაფიული კრებული. X ს-ის I ნახ.105ფ.; ეტრატი; 13,7x12,6სმ.; ნუსხური; შავიმელანი;სათაურებიდარიცხვები დაწერილია მთავრულითა და სინგურით. კრებულში შედის: 1. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პირველი ნაწილი.ტექსტი რედაქციულად განსხვავდება დღემდე ცნობილი შატბერდული და ჭელიშური რედაქციებისაგან, 2. „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“. ტექსტი რედაქციულად განსხვავდება დღემდე ცნობილი სხვა ტექსტებისგან(კაკაბაძე 1928: 19-26; ყუბანეიშვილი 1946:157-169;აბულაძე 1955(b) 1-68; 1964: 191-217).ტექსტში ჩართულია ზედაზნის მამასახლისთა ქრონოლოგიური სია, ასევე ზედაზნის, ჯვრისა და დავით გარეჯის მონასტერთა საგანძურისა და ბიბლიოთეკების აღწერილობები; შეიცავს საყურადღებო ცნობებს IV-VII სს. ქართლის მეფეთა, ერისმთავართა და მათი ოჯახის წევრთა ეპიტაფიებისა და გენეალოგიის შესახებ; 3. „აბიბოს ნეკრესელის წამება“.ტექსტი წარმოადგენს „წამების“ ვრცელ რედაქციას (*Джанашвили* 1908: 25-29; კაკაბაძე1928:42–46; ყუბანეიშვილი 1946:167-169; აბულაძე 1955(b):1-68; აბულაძე 1964:167-217). გამოცემულია ზ. ალექსიძის მიერ (ალექსიძე 2007). ხელნაწერს ერთვის შემწირველის ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა ესე წიგნი ქართლის მოქცევისანი მე, არშუშა ყოფილმან იოვანე, შევწირენ წმიდასა მთასა სინას სალოცველად შვილთა ჩემთა: დემეტრე, ად[ა]რნესე და წერსე და საჴსენებელად სულისა ჩემისათჳს. ლოცვა-ყავთ, ამ[ე]ნ“.

Sin.Geo.N.55. ანბანური პატერიკი. X ს.; 59ფ.; ეტრატი; 7x14სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; პალიმფსესტი; გადამწერი: მიქაელი. ქვედა ფენაზე გვხვდება კავკასიის ალბანური, ასევე სომხურიც. ხელნაწერი გაქვავებული იყო, მისი ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ეტრატის დარბილების შემდეგ. გამოცემული ხელნაწერი ტექსტუალურად და შედგენილობით სხვაობს აპოთეგმების გამოცემული (დვალი 1974) ტექსტისაგან. გადამწერიიგივე მიქაელია, რომელმაც გადაწერა Sin.Geo.N.13. მკვლევართა ვარაუდით, Sin.Geo.N.55, შესაძლოა, წარმოადგენდეს Sin.Geo.N.13-ის მომდევნო ნაწილს (აღმოჩენები 2005:288).

Sin.Geo.N.75. შერეული კრებული. ფრაგმენტი. X ს. 17ფ.;ეტრატი; 22x15 სმ.; 18X11 სმ.; მთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით. შეიცავს აპოკრიფულ და ჰომილეტიკურ ტექსტებს: იოანე დამასკელის ღმრთისმშობლის შობის საკითხავის ფრაგმენტს, რომელიც მიჰყვება ეფთვიმე ათონელის თარგმანად მიჩნეულ ტექსტს (კეკელიძე 1980:206), იოანე მახარებელის ღვთისმშობლის მიძინების თავნაკლულ საკითხავს; „ფილიპე, თევდოსი ჰურიათა მთავრის აღსაარებას“. ტექსტი გამოცემულია (ყუბანეიშვილი 1946:24). ყველა ფრაგმენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.

Sin.Geo.N.94. კირილე სკვითოპოლელი. „წმ. ეფთვიმის ცხოვრება“. X ს. 2ფ.; ფრაგმენტი; ეტრატი; 12,5x16სმ.; მთავრული; შავი მელანი. ფრაგმენტები Sin.Geo.O.43-ის ნაწილია.

Sin. Geo.N.98. იოანე ოქროპირი. სწავლა ღმრთის შიშისა და სინანულისათვის. Xს. 10ფ.; ეტრატი; 17X14სმ.; მელანი შავი; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; ტექსტიმიჰყვება ხეც S-1139 (აღწერილობა1961: 32), რომლის მიხედვითაც ტექსტი გამოცემულია (აბულაძე1955(a) : 3-12).

Sin.Geo.N.84.მამათა სწავლანი. X-XIსს.7ფ.; ეტრატი; 15x10,5სმ.; პირველი ფურცელი პალიმფსესტია; ქვედა ფენა ნაწერია მთავრულით,ზედა – ნუსხურით; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით. სავარაუდოდ, Sin.Geo.N.90-ის ნაწილი. 3r-ზე იკითხება: „თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს“.

Sin.Geo.N.90. პატერიკი. X-XI სს. 38ფ.+2 მცირე ფრაგმენტი; ეტრატი; პალიმფსესტი; 15,5x12სმ.; ქვედა ტექსტი ნაწერია მთავრულით, ზედა – ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით. ხელნაწერში ამოკითხულია ანბანურ პატერიკის ფრაგმენტები. ანბანურიპატერიკების ქართული თარგმანები გამოქვეყნებულია სამი ხელნაწერის მიხედვით, მათ შორის ორი ძველი სინური კოლექციისაა: Sin.Geo.O.8, Sin.Geo.O.35 (Garitte1956(a):26,97;დვალი1974).Sin.Geo.N.90. სხვაობს გამოქვეყნებული ტექსტისაგან, შესაძლოა, იგი იყოს დამოუკიდებელი თარგმანი. ფრაგმენტის ყველა ნაწილის ამოკითხვა ვერ ხერხდება.

Sin.Geo.O.78. შერეული კრებული. 1031წ.,XI ს. 288 ფ.; ქაღალდი; კონვოლუტი, I ნაწილი (1r-30v) 17,5x13,5სმ, II ნაწილი (31r-188v); 18,5x11,5სმ.; ნუსხური; ღია ყავისფერი ამოუტევიფრავი ტყავის ყდა. პირველი ნაწილი მოიცავს ზიარების ლოცვებს, „ავგაროზის ეპისტოლეს“, წმ. გრიგოლის ლოცვებსა და სახარების საკითხავებს. ყველა ეს თხზულება ერთობლივად წარმოადგენს ზიარების ციკლისათვის განკუთვნილ კრებულს (ჩხიკვაძე 2007: 48-49,115-121). მეორეში შედის იოვანე ოქროპირის სინანულის ჰომილიები და ნიკოდიმოსის სახარების სახელწოდებით ცნობილი აპოკრიფი. მეორე ნაწილის მომგებელია იოვანე გოგოთელი, გადამწერი- საბა მჭლე. მინაწერებში მოიხსნიებიან აბუქაბ, ზოლავარი და შვილნი მათნი. წიგნი გოლგოთის მონასტრის საკუთრება იყო. ხელნაწერი შესწავლილია, ტექსტები გამოცემულია (Цагарели 1888: 237-238,n°89; ჯავახიშვილი 1947:125-131; ქურციკიძე 1985; ჩხიკვაძე 2007).

Sin.Geo.O.8. აპოთეგმები. XI ს. შუა წლები. 148ფ.; ეტრატი; 27x19 სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკლული; გადამწერი: გრიგოლ მღვდელი; უყდო. ხელნაწერი წამოადგენს ანაბნური პატერიკის თარგმანს. ცაგარლის მიხედვით, ხელნაწერში 164 ფურცელია (Цагарели 1888:229-230, n°76). XI ს-ის აპოთეგმათა ქართული თარგმანები შესწავლილი და გამოცემულია (ჯავახიშვილი 1947:21-22; დვალი 1966; 1974; 2014).

Sin.Geo.O. 80. ასკეტიკურ-აგიოგრაფიული კრებული. XI ს.200ფ.; ქაღალდი; 18,5x14სმ.; ნუსხური; ტყავგადაკრულ ხის ყდა. კრებულში შედის ეფთვიმე ათონელის თარგმნილი ისააკ განშორებულის 34 ჰომილია და აგიოგრაფიული თხრობები: წმ.ხარალამპეს წამება, წმ. დიმიტრის წამება და საკვირველებანი, დავით ტბელის თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის წმ. დიმიტრის შესხმა, კლემენტი რომის პაპის „პეტრესათვის“, კლემენტის წამება (Цагарели 1888:237,n°87; ჯავახიშვილი 1947: 132-137; კეკელიძე 1957: 33, n°28; 91; გაბიძაშვილი 2014: 27,45,46).

Sin.Geo.N.27. პროხორე. იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება. XI ს.53ფ.; ეტრატი; 14,5x10,5სმ.;

ნუსხური; შავი მელანი; ნაკლული; უყდო. იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრების ტექსტი გამოცემულია 1074 წლის ათონური ხელნაწერის მიხედვით (ათონის კრებული 1901: 117-175). თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ (კეკელიძე 1957: 107).

Sin.Geo.N.27. პრობორე. იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება. XI ს. 53ფ.; ეტრატი; 14,5x10,5; ნუსხური; შავი მელანი. დაზიანებული, დაშლილი, თავბოლონაკლული.

Sin.Geo.N.28. პოლიბიოსი. ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება. XI ს.30ფ.; ეტრატი; 14,5×12,3სმ.; ნუსხური; შავი მელანი; გამოიყოფა რამდენიმე ხელი. თხზულების ტექსტი გამოცემულია Sin.Geo.O.6 ხელნაწერის მიხედვით(იმნაიშვილი 1966:92-146).

Sin.Geo.N.42.იოანე ოქროპირი. მარგალიტი. XI-XII სს.10ფ.; ეტრატი;15×11,3სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: ჯოჯიკეული. შემორჩენილია ფრაგმენტულად. მკვლევართა ვარაუდით, ფრაგმენტი Sin.Geo.O. 51-ის ნაწილია. გადამწერის სახელი და კრებულის სათაური აღდგენილია ძველი კოლექციის დასახელებული ნუსხის მიხედვით (აღმოჩენები 2005: 279; მელიქიშვილი 2012(b): 387-394).

Sin.Geo.N.43. პოლიბიოსი. ეპიფანეს ცხოვრება. XI-XII სს.3ფ.; ეტრატი; 14,5×12სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; მუქი ყავისფერიმელანი, სათაურები სინგურით; ფრაგმენტები შეიცავს: პოლიბიოსის „ეპიფანეს ცხოვრებას“, „პოლიბიოსის ეპისტოლეს საბინეს მიმართ“, „საბინეს ეპისტოლეს პოლიბიოსის მიმართ“. ტექსტი გამოცემულია Sin. Geo.O.6-ის მიხედვით (იმნაიშვილი1966 : 92–146).

Sin.Geo.N.47. იოანე ოქროპირი. სწავლა წიგნის მკითხველთათვის. XI ს. 8ფ.; ეტრატი; 16,5×13,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ზემოდან დაკრული აქვს ბერძნულენოვანი ფურცელი. იკითხება ტექსტის ნაწილი. ტექსტი შეიცავს ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ სწავლას (აბულაძე 1955(a): 18,21–19,24).

Sin.Geo.N.60. ლეონტი ნეაპოლელი. იოანე მოწყალის ცხოვრება. XI-XII სს.118ფ.; ეტრატი; 11×9,8სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ქართულად ცნობილია თხზულების რამდენიმე თარგმანი (კეკელიძე 1957(a):94,128,182). ხელნაწერის ტექსტი მისდევს Sin. Geo.O.71-ს, რომელშიც ავტორად დასახელებულია „ლეონტი ეპისკოპოსი ნიკოპოლელი, რომელი არს კჳპრეს“ (Garitte 1956(a):221). ავტორის სახელი იმავე ფორმით დასახელებულია XI ს. Jer.Geo.3 ხელნაწერში (Blake1922-1923:364; Бенешевич 1912: 67), სხვაგან მას ეწოდება ლეონ ნიკონიელი (ხეც A199, XII-XIII სს.).(აღწერილობა 1976: 341).

Sin.Geo.O.51. ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული. XII ს. 92ფ., ეტრატი, 15,5x11,5სმ., ნუსხური, მელანი ყავისფერი, სათაურები სინგურით; უყდო. კრებული თავნაკლულია, შესულია იოვანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ჰომილიები, მათ შორის ფსალმუნისა და ძველი და ახალი აღთქმის ცალკეულ წიგნთა და მუხლთა თარგმანებანი (გაბიძაშვილი2009(b): 270, № 48). გადამწერი აღნიშნავს, რომ კრებულში შესულია „მარგალიტი“ და ზოგი სხვა ჰომილია. საფიქრებელია, რომ წიგნი გადაწერილია გაცილებით დიდი მოცულობის ნუსხიდან: „...მე გლახაკმან ჯოჯიკეულმან, სწრაფასა შინა მწერალი არა ვინ მახლვიდა და თუით თავისა ჴელითა დავჩხრიკე, ძალი არა მაქუნდა, სრულად ვერ დავსწერდი, მარგალიტი ოდენ დავწერე და სხუათა საკითხავთაგან ნაწყუედები დავწერე.. “ (90v-91r).“შდრ.: Sin.Geo.N.42 (Цагарели 1888: 236, n°85; Джавахов 1912:28; Марр 1940:66-74; მელიქიშვილი 2012(b): 387-394).

Sin.Geo.O.85. გამოცხადება. ანდრია კესარიელისა და დოროთე ღაზელის თარგმანებანი. XII ს. 182 ფ.; ქაღალდი; 15,7x9,7სმ.; ნუსხური; სათაურები მთავრულითა და სინგურით; გადამწერი: მოსე. შეიცავს გამოცხადების ტექსტს, ანდრია კესარიელის გამოცხადების თარგმანებასა და დოროთე ღაზელის ჰომილიების ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს: „...რომელნიცა ამას საკჳრველსა წიგნსა იკითხვიდეთ, ლოცვა-ყავთ, ღმერთმან დაგაჯეროს გლახაკისა ეფთჳმჱსთჳს,

ამის წიგნისა მთარგმნელისა და რომელნი გარდასწერდეთ, დასასრულსა ნუ დაივიწყებთ ჩემსა სახელსა დაწერად... ლოცვა-ყავთ გლახაკისა მოსწსთჯსცა..."(Цагарели 1888: 239, n°90; Джавахов 1912: 18,23; Марр 1940: 242-247; მელიქიშვილი 2012 (a): 210; ოთხმეზური 2016: 274-275). „გამოცხადების თარგმანების" ქართული რედაქციის ტექსტი გამოცემულია (იმნაიშვილი 1961: 1-205).

Sin.Geo.N.11p. კირილე სკვითოპოლელი. წმ. ეფთვიმის ცხოვრება. XIს.7ფ.; ქაღალდი; 22x14,5სმ.; ნუსხური; მელანი შავი; ფრაგმენტები შეიცავს ექვთიმეს ცხოვრების კიმენურ რედაქციას, რომელიც შესულია X ს. დათარიღებულ Sin.Geo.O.43 ნუსხაში. ძველი კოლექციის ხელნაწერი თავნაკლულია და მას ავსებს Sin.Geo.N.11p ხელნაწერის პირველი ფურცელზე შემონახული შესაბამისი ტექსტი.

Sin.Geo.N.12p. ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება XII ს.3 ფ.; ქაღალდი; 26,5x17,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ტექსტი მიჰყვება ხეც A-1103 (აღწერილობა 1954:80]) ექვთიმე ათონელის თარგმანს.

Sin.Geo.N.17p. იოვანე ოქროპირი. დაბადების თარგმანება. XII ს.15 ფ.;ქაღალდი; 32x25სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათარგმანებელი ტექსტი ზოგჯერ დაწერილია სინგურით. ფრაგმენტში შემორჩენილია თხზულების დასაწყისი ნაწილი დაბადების პირველი ოთხი თავის ფარგლებში. ტექსტი თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანია (კეკელიძე 1980:246). თარგმანების თეოფილე ხუცესმონაზვნისეული ტექსტი მომზადებულია გამოსაცემად (შდრ.:გაბიძაშვილი 2009(ხ): 263, № 47; ოთხმეზური 2016: 287;).

Sin.Geo.N.99. პატერიკული თხრობა. XII ს.1ფ.; ეტრატი; არაიდენტიფიცირებული ფრაგმენტი; ნუსხური; ყავისფერი მელანი. ტექსტის შინაარსი დაუდგენელია, სავარაუდოდ, ფრაგმენტი სინელ მამათა ცხოვრების ამსახველი პატერიკული ტექსტია. ფოტოასლი გამოქვეყნებულია (აღმოჩენები 2005: 620).

Sin.Geo.O.79. გრიგოლ ღვთისმეტყველი. კრებული. XII-XIII სს. 121ფ.; ქაღალდი; 18,3x13,3 სმ.; ნუსხური; ტყავგადაკრულ ხის ყდა; დაზიანებული. შედის გრიგოლ ღვთისმეტყველის 5 სიტყვის ეფრემ მცირისეული თარგმანი (ბრეგაძე 1988:143-144). გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001).

Sin.Geo.N.1p. იოანე სინელი. კლემაქსი. XII-XIIIსს.126ფ.; 15x18სმ.; ქაღალდი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; ნაკლული; გვხვდება ფურცლები, რომლეზეც მხოლოდ თითო-ოროლა სიტვა იკითხება; გადამწერი: ონოფრე; ტყავგადაკრული ხის ყდა. ხელნაწერი შეიცავს ეფთვიმე ათონელის თარგმნილი იანე კლემაქსის ტექსტს. ეს ვერსია გამოცემულია (იოანე სინელი: 1902). Sin.Geo O.35 ხელნაწერში გვხვდება ამ ტექსტის ძველი თარგმანი, მოკლე ვერსია (კეკელიძე:1957(a): 65; Garitte, 1956 (a):115).

Sin.Geo.N.3p. შერეული კრებულები. XII-XIII სს.70ფ.;ქაღალდი; 16,7x12,5 სმ.; ნაკლული; ნუსხური; შავიმელანი სათაურები სინგურით; შემორჩენილია ტყავგადაკრული ხის ყდის ქვედა ფრთა და ყუა. ხელნაწერი შეიცავს წმ. ეკატერინესადმი მიძღვნილ საგალობლებს და ათანასე მალემწერლის „წმ. ეკატერინეს წამების" კიმენურ რედაქციას. იგივე ტექსტი გვხვდებამ ძველი სინური კოლექციის Sin.Geo.O.6, Sin.Geo.O.71 და Sin.Geo.O.91-ში. ხელნაწერი ასევე შეიცავს იოანე ოქროპირის ჰომილიას „სათნოებისათვის", ტექსტი ბოლონაკლულია.

Sin.Geo.N.4p. მარინას წამება. XII-XIII სს.35+1ფ.; 14x12 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; საზედაო ასოები სინგურით; ქსოვილზე დაკრული ტყავის ყდა, რომლის საცავ ფურცლად გამოყენებულია ქაღალდი წმ. მარინესა და წმ. ბარბარეს გამოსახულებებით, იქვე გვხვდება მამაკაცის გამოსახულება განმარტებითი წარწერით „ბასილი". ხელნაწერი შეიცავს „წმ. მარინას წამებას", სათაურთან აღნიშნულია წმინდანის ხსენების დღე _ 17 ივლისი, თხზულების დასაწყისი ახლო დგას Sin. Geo.O.62 ხელნაწერთან (Garitte 1956(a): 203).

Sin.Geo.N.6p. ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII სს.29ფ., ქაღალდი [35x22სმ.]; ნუსხური; შავი მელანი; სამი ფურცლის გარდა ტექსტის გაბმით წაკითხვა შეუძლებელია; ტექსტების იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, პირობითად, ხელნაწერში შედის: ღვთისმშობლის სამოსელ-სარტყლის გამოჩინების, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, ამავე თემაზე იოვანე დამასკელის ავტოროობით ცნობილი ტექსტის, ჯვრისა და იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის საკითხავები.

Sin.Geo.N.7p. გრიგოლ ნოსელი. ეფრემ ასურის შესსმა. XII-XIII სს.3ფ.; 35×26სმ; ქაღალდი; დაშლილი; მეორე ფურცელი კბ რვეულის ბოლოა; ძლიერ დაზიანებული; ნუსხური; შავი მელანი. თხზულების ტექსტი შემოუნახავს XI ს ხელნაწერს, გიორგი ათონელის თარგმნილ გრიგოლ ნოსელის თხზულებების ავტოგრაფს Ath 49 (Blake 1933-1934, (:241; ნოსელი 2005:329-355; გაბიძაშვილი 2009(a): №366). ფრაგმენტი შესაბამისი ტექსტი გვხვდება PG-ში: vol.46,col.825. ხოლი დანარჩენ ორ ფურცელზე შემორჩენილი ტექსტის დადგენა ვერ მოხერხდა.

Sin.Geo.N.9p. გერმანე კოსტანტინოპოლელი. მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულნი. XII-XIII სს.1ფ.; ქაღალდი; 28x21სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; სარესტავრაციოდ გამოყენებულ ქაღალდზე იკითხება ნუსხურით: „კლარჯეთი“ და „მამაჲ“. სრული ტექსტი შემონახულია Sin. Geo.O.68-ში; ეფთვიმე ათონელის თარგმანი (კეკელიძე 1957(a):23). სინური ტექსტის ნაწილი გამოქვეყნებულია (Mapp 1940: 178-181). ხეც A-1103 და ხეც A-128 ხელნაწერებში (აღწერილობა 1954:80; 1976:124) ავტორად პანტელეიმონ დიაკონია დასახელებული (გაბიძაშვილი 2009 (a): № 789).

Sin.Geo.N.13p. ასკეტიკური თხზულება XII-XIII სს.2ფ.; ქაღალდი; 22x16სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით, რომელთა ნაწილი დაწერილია სინგურით. 1 ფურცლის თხრობაში ნახსენებია მამა იოვანე, ფ.2 შეიცავს ასკეტიკური შინაარსის შეგონებებს.

Sin.Geo.N.25p. აგიოგრაფიული კრებული. XII-XIII სს. 2ფ.; 35x23სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; ძლიერ დაზიანებული; მეორე ფურცლის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, რომელზეც ცალკეული სიტყვები განირჩევა. ფრაგმენტი შეიცავს „ევსტათის წამების“ ნაწყვეტს. წამების ბოლონაკლული ტექსტი მოიპოვება Sin.Geo.O. 25-ში (Garitte 1956(a):65). თხზულება გვხვდება აგრეთვე 1003 წ. დათარირებულ Ath.28-ში (Blake1933-1934:145). ფრაგმენტი ასევე შეიცავს „რიფსიმიანთა მარტვილობას“.

Sin.Geo.O.68. ასკეტიკური კრებული. XIII ს.283ფ.; ქაღალდი; 26x17სმ.; ნუსხური; თავ-ბოლონაკლულია; ორი გადამწერი. კრებულში შედის: გერმანე კონსტანტინე-პოლელის, იოვანე დამასკელის, ბასილი კესარიელის, იოვანე სინელის, ანასტასი სინელის ჰომილიები, იოვანე მოსხის „ლიმონარი“, მამათა სწავლანი და აღდგომის ძლისპირები. თარგმანები კონსტანტინეპოლური რედაქციისაა, მაგრამ „ლიმონარი“, რომელიც ამ წიგნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, განსხვავდება PG-ში გამოქცეყნებული ბერძნული რედაქციისგან. ტყავის ტვიფრულ ყდაზე მცირე ზომის 0,8X0,9 სმ. დამღაა, მთავრული გრაფემებით „გბლ“ (გაბრიელ). კრებულში შესული იოვანე მოსხის „ლიმონარის“ ტექსტი შესულია აკადემიურ გამოცემაში (აბულაძე 1960; კარანაძე 2002: 11, შენ. 57).

Sin.Geo.O.71. აგიოგრაფიული კრებული. XIII ს. 216 ფ.; ქაღალდი; 25x17სმ.; ნუსხური;მუქი ყავისფერიმელანი; სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა. შედის წმინდანთა: პანტელეიმონის, დიმიტრის, კოზმან და დამიანეს, ანტონი რავახის, აკეფსიმა, იოსებ და აითალას, ანდრიასა და ნატალიას, იოვანე მოწყალის, წმ. ეკატერინეს „ცხოვრებები“ და „მარტვილობები“,კირილე ალექსანდრიელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საკითხავი, პეტრე და პავლე მოციქულთა მოხსენიების ტექსტები. წიგნს ერთვის ზანდუკი.თვეთა თანამიმდევრობა არაა დაცული. ხელნაწერი შეწირულია სინაწმინდისთვის, გადაწერის ადგილი უცნობია: „მე, პეტრე გავგზავნე ესე წიგნი სინას ქართველთა ეკლესიასა ჴელითა იოვანე ხუცისაჲთა სალოცველად ბერისა ჩემისა გაბრიელისათჳს...“(215v). გადამწერია ბერი ათანასე: „ესე მე, ათანასე მალემწერალმან, მონანამან წმიდისა ეკატერინესმან, აღვწერე მოსაჴსენებელად მის წმიდისა ყოვლისა

მოსწრაფებითა"(215r). 170r-ზე მინაწერში მოიხსებიება ბასილი კალიპოსელი: „წმინდაო იოვანე, მეოხ ეყავ ბასილსა კალიპოსელსა წინაშე წმიდისა სამებისა, ამენ" (215r). ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაში ცნობილია მხოლოდ XI ს-ში მოღვაწე კალიპოსის წინამძღვარი ბასილი (მენაბდე 1980:159). თუკი დავუშვებთ, რომ მინაწერში მოხსენიებული ბასილი და კალიპოსის წინამძღვარი ერთი და იგივე პირია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრებული ანტიოქური ტრადიციის ხელნაწერიდან იღებს სათავეს.

Sin.Geo.O.91. აგიოგრაფიული კრებული. XIII ს- ის I მესამედი. 324ფ.; ქაღალდი; 32,4x25სმ.; ნუსხური; ყავისფერიმელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი იოვანე ანჩელის დისწული ოქროპირი; გადაწერის ადგილი: კაპპათას მონასტერი; ტყავგადაკრული ხის ყდა. წიგნი გადაწერილია რამდენიმე დედნიდან: „ოთხისა თუ ხუთისა დედისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხჳსა და სხჳსა მონასტრისაგან და ჟამსა თჳსსა ვერ ვიპოვნი დედაჲ..." შესულია სექტემბერ-დეკემრის კალენდარზე გაწყობილი 29 აგიოგრაფიული თხრობა, მოსახსენებელი წმინდანებისა; კრებულს ერთვის ზანდუკი (322v-323r). ჟ. გარიტი ხელნაწერს XIV ს-ით ათარიღებს. თარიღი დაზუსტებულია გადამწერის შესახებ ქართულ მწერლობაში არსებული ცნობების საფუძველზე (Garitte 1960: 263; მენაბდე 1980: 146).

Sin.Geo.N.23p. ასკეტიკური კრებული. XIII-XIV სს.9ფ.; 18x13სმ.; ქაღალდი; დაშლილი; დაზიანებული; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: იოანე. შინაარსის გარკვევა შეუძლებელია. აქვს მინაწერები ტექსტის ხელთ: „ქრისტე, შეიწყალე იოანე" 3v,4r. ტექსტი გაბმით არ მიჰყვება ერთმანეთს. გადამწერი: იოანე. ფოტოასლი გამოქვეყნებულია (აღმოჩენები 2005:645).

Sin.Geo.N.24p. იოანე ოქროპირი, სიტყვანი. XIV-XV სს.8ფ.; 15,5x10,5 სმ.;ქაღალდი ჭვირნიშნიანი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით. ხელნაწერი შეიცავს იოანე ოქროპირის ორი თხზულების ფრაგმენტებს. ესენია: „მარხვისათჳს" და „მარხვისათჳს და განწმედისათჳს სულისა და ძჯრუჭსენებლობისათჳს". ქართული თარგმანები გამოცემულია (აბულაძე 1955 (a): 26-44).

Sin.Geo.N.92. აღდგომელ ოქროპირის წერილი სინელ მამა ნიკოლოზისადმი. XV-XVI სს. 1ფ., ეტრატი; 20x14 სმ.; დაზიანებული; ნუსხური, შავი მელანი; v-ზე ნუსხურით ნაწერი ბერძნული ტექსტი; ხელმოწერის ნაცვლად დასმულია ჯვრები.

ლიტურგიკული კრებულები

Sin.Geo.N.10. იერუსალიმური ლექციონარი. IXს.9ფ.; ეტრატი; სხვადასხვა ზომა; მთავრული; შავი მელნი; შეიცავს იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიიდან გამოკრებილი სახარების საკითხავებს ბზობის, დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევისათვის (შდრ.: Tarchnischvili1959, 1960: №581, 644, 647, 686, 690, 694).

Sin.Geo.N.77. იერუსლიმური ლექციონარი. IX-X სს. 2ფ; 15x14სმ; ეტრატი; მთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტებს იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიიდან: ზატიკთა მეექვსე შაბათს და წესებული ბრმისგან კურნების დღესასწაულის საკითხავებსა და ალილუია-ფსალმუნს. ლექციონარის გამოცემაში ტექსტი არ არის გათვალისწინებული (შდრ.:Tarchnischvili 1959,1960).

Sin.Geo.O.53. ლიტურგიკული კრებული. IX-Xსს. 86ფ.; ეტრატი; 12,5x12სმ.; ნაკლული; მთავრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: ამბაკუმ თურმანეულელი, გადაწერის ადგილი: საბას ლავრა (35v). შემორჩენილია მხოლოდ ყდის ქვედა ფრთა. ხელნაწერი ასახავს იერუსალიმურ საღვთისმსახურო პრაქტიკას. კრებულმა შემოგვინახა კვირის სადა დღეების ჟამისწირვის განგება(Mapp 1940:76-83; Outtier 1981(a): 76-88; Outtier 1981 22-23; იადგარი 1980: 737-738, 909).

Sin. Geo.N.26. ლიტურგიკული კრებული. IX-X სს.; 213ფ+1 ფრაგმენტი ბოლოში; 12,5x 14სმ.; ეტრატი; ნაკლული; მთავრული; აქა-იქ გვხვდება ნუსხური; ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია VIII ს-ის ბერძნულად ნაწერი ეტრატი; შავი მელანი, სათაურები სინგურით; ჟამისწირვის ტექსტი ხელნაწერში სრული სახითაა შეტანილი, ხოლო ერის განტევებანი მოკლე შედგენილობისაა. კრებული ჩასმულია სინისთვის დამახასიათებელ ტყავგადაკრულ ტვიფრულ ხის ყდაში (კარანაძე 2007(b): 346-351; Karanadze 2009: 273-275; Kalligerou 2009: 158, 160).

Sin.Geo.N.31. ლიტურგიკული კრებული. IX-X სს.256ფ; ეტრატი; 13x11სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; უყდო. კრებული შეიცავს იაკობის ჟამისწირვასა და დღესასწაულთა ჟამისწირვების ფსალმუნებს, საკითხავებს სამოციქულოდან დასახარებიდან, პოეტურ დასდებლებს. 29r-ზე წმინდანთა მოსახსენებლებში შეტანილია სახელები: წ˜ჲ აბო, წ˜ჲ შუშანიკ.

Sin.Geo.N.58. ლიტურგიკული კრებული. IX-X სს.; 98ფ.; ეტრატი; 13,5x12; ნაკლული; ხელნაწერი 4 სხვადასხვა ნუსხის კონვოლუტია; მთავრული და ნუსხური; ყავისფერი და შავი მელანი, სათაურები სინგურით; ტყავგადაკრული ხის ყდა. კრებულში იაკობის ჟამისწირვის ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი, შესულია ზოგად დღესასწაულთა ჟამისწირვის საკითხავები სამოციქულოდან და სახარებებიდან, შეიცავს საეკლესიო კალენდარის მოკლე რედაქციას, კურთხევანის ნაწილში გვხვდება მიცვალებულთა დაკრძალვის წესი, განგება საბაწმიდურია (72r), ერთვის სახარებანი საცისკრონი.

Sin.Geo.O.37. იერუსალიმური ლექციონარი. 982წ. 294ფ.; ეტრატი; 25,9x19სმ.; მთავრული და ნუსხური; სათაურები, საკითხვთა და საგალობელთა სახელწოდებები, ხმა და დასაწყისები მთავრულით, სინგურით; ბოლოში ორი ფურცელი დაკარგულია. მომგებელი: კჳრიკე, სინის მთის დეკანოზი; გადამწერ-რედაქტორი და შემმოსველი: იოვანე-ზოსიმე; მათზე მოთავსებული იყო ანდერძი და წმ. ლუკას გამოსახულება. ყოველი ფურცლის თავზე წარწერილია შესაბამისი დღესასწაულის სახელწოდება; ხელნაწერს ერთვის ვრცელი განმარტებითი კომენტარები. ლექციონარის პირველი ნაწილი შეიცავს იერუსალიმური ლექციონარის საუფლო დღესასწაულთა განგებებს, ხოლო მეორე ნაწილი – დღესასწაულთა პოეტური საგალობლების სრულ ტექსტებს, რომლებიც ლექციონარის მხოლოდ ამ ნუსხამ შემოინახა. Sin.O.37 საფუძვლად დაედო მ. თარხნიშვილის იერუსალიმური ლექციონარის გამოცემას (Tarchnischvili 1959, 1960); ხელნაწერს აქვს ტიპური სინური ყდა. (Цагарели 1888: 209-210, № 30; ჯავახიშვილი 1947:83; КеКелидзе 1912: 6-11; ხევსურიანი 2016: 51; მელიქიშვილი: 2012 (a): 76; Kalligerou 2009: 166-167).

Sin.Geo.N.88. იერუსალიმური ლექციონარი. X ს.2ფ; ეტრატი; 33,5x28,5სმ; მეორე ფურცელი წარმოადგენს მცირე ფრაგმენტს; მთავრული; შავი მელანი; დღესასწაულთა სათაურები, საკითხავთა და საგალობელთა დასახელებები და საზედაო ასოები სინგურით; ფრაგმენტში წარმოდგენილია იერუსალიმური ლექციონარის ნაწყვეტი (შდრ.:Tarchnischvili 1959,1960: №416,418,512,514,515,520,522). ფრაგმენტი უჩვენებს განსხვავებებს.


Sin.Geo.N.11. იერუსალიმური ლექციონარი. Xს. 7ფ.+3 მცირე ფრაგმენტი; ეტრატი; [33X27სმ.]; მთავრული; შავი მელანი; საკითხავთა და საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით. ხელნაწერი შეიცავს ნაწყვეტებს იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიიდან (შდრ.:Tarchnischvili 1959,1960:№683,684,698-701, 732,735,738,739,757,758,1521-1527).

Sin.Geo.O.12. ლიტურგიკული კრებული. XIს.301ფ.; ეტრატი; 19,2x15,2სმ.; თავნაკლული; ნუსხური და მთავრული; ორი ხელი; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; ხის ყდა; ხელნაწერი იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის ლიტურგიკული კრებულია; შეიცავს: იაკობის ჟამისწირვას, წმ. განახლების საიდუმლოს, ჟამისწირვის კვერექსს, ერის განტევების ლოცვებს, კურთხევანს, საწელიწდო დღესასწაულთა ფსალმუნებსა და საკითხავებს, პასქალურ მასალასა და ქრონიკონს. კურთხევანი წინაათონური რედაქციისაა. ცაგარელის აღწერილობით ხელნაწერში

იყო 394 ფურცელი (Цагарели 1888:211 n°35.), ჯავახიშვილის მიხედვით – 301 (ჯავახისვილი 1947: 31). ბ. უტიეს ვარაუდთ კი ხელნაწერში იყო 304 ფურცელი (Outtier 1983:162-174). ამჟამად ხელნაწერის ბოლო ფურცელი მინგანას კოლექციაშია მოხვედრილი_Mingana.Geo.5 (Garitte 1960: 251-253; გარიტი 1973(a):170-183). იაკობის ჟამისწირვის ქართული რედაქცია სხვა ადრეული ნუსხების მიხედვით გამოცემულია (Кекелидзе 1908; 1912 (b); Tarchnišvili 1950 Frøyshov 2003).

Sin.Geo.O.34. ლიტურგიკული კრებული. X ს. შუა წწ., 210 ფ.; ეტრატი და ქაღალდი, 18x14,5სმ; ნაკლული; მთავრული და ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; კრებულის 7 გადამწერიდან 3 ცნობილია: იოვანე ხუცი, იოვანე-ზოსიმე და თომა. გადაწერის ადგილი: საბაწმინდა. ყდა ყავისფერი ტყავგადაკრული, ტვიფრული. მრავალფეროვანი შედგენილობის ამ კრებულს ლიტურგიკულ „ენციკლოპედიას" უწოდებენ(კეკელიძე 1957:243). კრებულის რედაქტორია იოვანე-ზოსიმე. წიგნში შესულიაა რსებული საბაწმინდური, იერუსალიმური და კონსტანტინეპოლური რედაქციების ლიტურგიკული წიგნები და კალენდარი, ასევე ქართველ წმინდანთა ხსენებები და ქართული დღესასწაულები, რომელთა წყაროდაც გამოყენებულია შატბერდული ხელნაწერები. კრებულში, ასევე, შესულია მორალურ-ასკეტიკური ხასიათის თხზულება „სწავლანი ნეტარისა ბარსანოფისნი და იოვანესნი", ცნობები ასტრონომია-ასტროლოგიიდან და სხვ. გამოიცა კალენდარი (ჯავახიშვილი 1947: 200-226; კეკელიძე 1957: 243-294.; Garitte 1958), ჟამნი (Frøyshov 2003). ხელნაწერს ერთვის საკმაოდ ბევრი კოლოფონი და განმარტებითი შინაარსი მინაწერი. ამ წიგნის ფრაგმენტები დაცულია რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ბერძნულ და სირიულ ფონდებსა (Греч.VI, 1-3; VII, 1-8, XLI, 1,3; Сир. H. C . 16/1, 4-29, 56, 57, 16/3, 1-6) და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში (Cod. Ms. V 1096 UB). ხელნაწერი დაწვრილებითაა შესწავლილი (მეტრეველი 1971: 1007-1008; აღწერილობა 1978: 94-131; უძველესი იადგარი 1980: 557, 703-705; Kalligerou: 2009: 155,159; ხევსურიანი 2016: 22-24).

Sin.Geo.O.54.ლიტურგიკული კრებული. Xს. 54ფ.; ეტრატი 16x14სმ.; ნაკლული; მთავრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; იერუსალიმური პრაქტიკის ლიტურგიკული დანიშნულების კრებული. ლიტურგიკულ მასალასთან ერთად, შეიცავს კვირიაკეთა სრულ განგებას (იადგარი 1980: 909-910). აღწერა და ლექციონართან პარალელები დაუძებნა ბ. უტიემ (Mapp 1940: 83-90, №54;Outtier 1981(a): 76-88;).



62. Sin.Geo.O.34. 2v

Sin. Geo.N.22. ლიტურგიკული კრებული. X ს. 79 ფ; 16x14სმ.; ეტრატი; ნაკლული; სამი ხელი: I და III ნუსხური, II მთავრული; შავი მელანი, სათაურები სინგურით; უყდო. იაკობის ჟამისწირვა მოკლე რედაქციისაა, კრებული განკუთვნილია იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის. ამავე დანიშნულებისაა ზოგად დღესასწაულთა ფსალმუნები და საკითხავები სამოციქულოდან დასახარებიდან (Sin. Geo.N.54, Sin. Geo.N.58, Sin. Geo.O.12) (შდრ. Tarchnisvili 1959; 1960 n°1437-1599, აღწერილობა 1987: 45-46)

Sin. Geo.N.35. ლიტურგიკული კრებული. X ს.8ფ.; ეტრატი; 19x16,8სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით. ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტს საუფლო და დიდ დღესასწაულთა ჟა-

მისწირვებისათვის განკუთვნილი კვერექსების კომპლექტიდან. შემორჩენილია სულ 14 კვერექსი. ტექსტობრივად ემთხვევა: Sin.Geo.N.26, Sin. Geo.N.53, Sin. Geo.O.54, Sin. Geo.O.12.

Sin.Geo.N.53. ლიტურგიკული კრებული. X ს. 227ფ; 11,5x10,5სმ.; ეტრატი; ნაკლული; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; უყდრო. გადამწერი იოანე (7r); ხელნაწერში შესული იაკობის ჟამისწირვა, წმ. საიდუმლოს განახლების წესი, საუფლო და დიდი დღესასწაულების უფლისადმი საველრებლები, ანუ კვერექსები და კურთხევანი ძირითადად მიჰქვება Sin.Geo.O.12-ში არსებულ ტექსტებს. იერუსალიმის ჟამისწირვის მოსახსენებლისთვის, რომელიც ასევე შედის კრებულის შემადგენლობაში, აღმწერლები არ მიუთითებენ პარალელურ ტექსტს. რაც შეეხება კურთხევანს, იგი წინარე ათონური რედაქციისაა (აღმოჩენები 2005:286).

Sin.Geo.N.59. ლიტურგიკული კრებული. XI-XIIსს. 12ფ.;ეტრატი; 10x8,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ფფ.3-4 პალიმფსესტია (ქვედა ტექსტი ქართული); ფრაგმენტში 1r–6v-ზე მოთავსებულია არაიდენტიფიცირებული არასრული ჰიმნოგრაფიული კანონი, 7r–12v-ზე შემორჩენილი ტექსტის რაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

Sin.Geo.N.62. ლიტურგიკული კრებული. XII ს. 12ფ; ეტრატი; 11,5; 9სმ.; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; ნუსხა შეიცავს ორ ჰიმნოგრაფიულ კანონსა და თუეთა მეტყველებას. მსგავსი ტიპის თვეთა მეტყველებანი მოგვიანო ხანის ჟამნებში არის შეტანილი.

Sin.Geo.O.83. საბაწმიდური ტიპიკონი. XII-XIIIსს.148ფ.; ქაღალდი; 19,2X13სმ.; ნაკლული; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; ხელნაწერი წარმოადგენს საბაწმინდის ტიპიკონის სვიმეონ საკვირვემოქმედის ლავრის რედაქციის ქართული თარგმანის კალენდარს, რომლის თარგმანი შემონახულია ამ ხელნაწერით. ხელნაწერი მისდევს XIII ს. დათარიღებულ შიომღვიმის ტიპიკონს H-1349, რომელიც ასევე შეიცავს საბაწმინდური ტიპიკონის ტექსტს (Кекелидзе 1908:313-347; 511-512; ჭანკიევი 1976: 127-131; აღწერილობა 1948: 303-306). სრული განგების ტექსტი შეიცავს მწუხრის, ღამისთევის, ცისკრისა და სამხრის მასალას (Цагарели 1888:207 n°21; Марр 1940:231-232).

Sin.Geo.O.76. ლიტურგიკული კრებული. XII-XIVსს. 138 ფ.+1 (დაკრულია ყდის ქვედა ფრთაზე); ქაღალდი; 21,6x14,3სმ., ნუსხური; 6 ნაწილიანი კონვოლუტი; სხვადასხვა დროსისა და შინაარსის ლიტურგიკულ კრებულთა ნაკრები. ხელნაწერი დაწვრილებითაა აღწერილი და შესწავლილი (Цагарели 1888: 210-211 n° 32; ჯავახიშვილი 1947: 122-123; აღწერილობა 1987, 130-150).

Sin.Geo.O.82. ლიტურგიკული კრებული. XIIIს., 182ფ.; 1-16ფფ. ეტრატი; ფფ.5-8 პალიმფსესტურია, 17-182ფფ. ქაღალდი; 16,5x10,5სმ.; კონვოლუტი; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურითა და მთავრულით; ორი ხელი: ანონიმი და გოდორაელი იოვანე დაყუდებული (161r). კვირის დღეთა განგებები შეიცავს ახალი რედაციის მასალას. საუფლო დღესასწაულთა მასალა მისდევს გიორგი ათონელის რედაქციის „თუენს" (Цагарели 1888: 226 n°68; Марр 1940: 219-231; აღწერილობა 1979:252-262).

Sin.Geo.O 88. ლიტურგიკული კრებული. XIII-XIVსს. 75ფ.; ქაღალდი; 16x12სმ.; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; ნაკლული; შეიცავს ჟამნს, პარაკლიტონს, მარხვანს. გამოიყოფა ოთხი ხელი; რესტავრირებულია არაბული ხელნაწერის ფურცლებით. ჟამნისა და პარაკლიტონის ტექსტები მიჰყვება გიორგი მთაწმინლის რედაქციას; პარაკლიტონის სინურმა ტესტმა შემოინახა ღმრთისმშობლის საგალობელთა ისეთი მასალა, რომელსაც პარალელი არ ეძებნება. მარხვანის ფრაგმენტი ზედმიწენითი სიზუსტით მიჰყვება საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერში Geo.5-ში დაცულ აღდგომის კანონის ეფრემ მცირისეულ თარგმანს (Марр 1940: 248-250; ხაჩიძე, 1983: 267-268; აღწერილობა 1987: 196-200).

Sin..Geo.N.1. სვინაქსარი.XI ს. 18 ფ.; ეტრატი; 29X18,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი, კალენდარული მითითებანი და განგების ელემენტები გამოყოფილია სინგურით; გადამწერი: იოვანე; ტექსტი წა-

რმოადგენს ფრაგმენტს გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსრიდან. შეიცავს სვინაქსარულ ცხოვრებებს 8-28 აგვისტოს ფარგლებში და სვინაქსარში ზოგიერთ თარიღზე დამატებით შესატან მასალას. ხელნაწერი ნაწილობრივ ავსებს დანაკლისს Sin.Geo.O.4 დაSin.Geo.O.61 ხელნაწერებს შორის და ცხადყოფს, რომ სამივე ნუსხა ერთი მთლიანი ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენდა. გადამწერის ვინაობა მითითებულიაSin.Geo.O.4-ის მიხედვით. ქართული სვინაქსრის შედგენილობა ნაკვლევია (Кекелидзе 1908: 483-506; აღწერილობა 1986(b): 87-92; დოლაქიძე 2017: 044). ხელნაწერი გათვალისწინებულია დიდი სვინაქსარის აკადემიურ გამოცემაში (დოლაქიძე 2017).

Sin.Geo.O.4. სვინაქსარი. XI ს. 207ფ.; ეტრატი; 29X18სმ.; ნაკლული; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; შიგადაშიგ ტექსტი გადარეცხილია; გადამწერი: იოვანე; მოგებელი: მოძღვარი თევდორე სამოთხელი.სვინაქსარი გიორგი ათონელის რედაქციისაა, მისდევს A-97 ხელნაწერს; გვხვდება ლიტურგიკული და ტექსტუალური ხასიათის როგორც თანადროული ასევე XV-XVI სს-ის ანდერძ-მონაწერები. (Цагарели 1888: 214-215 n° 43; ჯავახიშვილი 1947: 12; გაბიძაშვილი 1968:351; 2004: n°761; აღწერილობა 1979:131-161). ხელნაწერი გათვალისწინებულია დიდი სვინაქსარის აკადემიურ გამოცემაში (დოლაქიძე 2017).

Sin.Geo.O.61. სვინაქსარი. XI-XII სს.55ფ.; ეტრატი; 29,7x19,5სმ.; ნუსხური; ნაკლული; საზედაო ასოები და სათაურები მთავრულითა და სინგურით; დაზიანებული ყდა. შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის სვინაქსარის ბოლო ნაწილს (შდრ. ხეც H-2211, 357r-429r). ტექსტში შიგადაშიგ ჩაწერილია მთავრულით: „ქრისტე, შეიწყალე იოანე" (52r); „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე მოძღვარი" (50v); „ქრისტე, შეგჯნდენ" (92v) და სხვ. კრებული ნაკვლევია და გათვალისწინებულია დიდი სვინაქსრის აკადემიურ გამოცემაში (Цагарели 1888:207 n°20; Марр 1940:111-112; აღწერილობა 1979:161-162; n°61; დოლაქიძე 2017).

Sin..Geo.N.33. წმ. იაკობის ჟამისწირვა. IX-Xსს. 2ფ.; ეტრატი; 15,5x13სმ.; მთავრული; შავი მელანი; ლიტურგიკული მითითებანი სინგურით. ფურცლები წარმოადგენს ფრაგმენტს Sin.Geo.O.54 ხელნაწერის და შეიცავს დაკარგული ტექსტის დასაწყისს. ტექსტი მიჰყვება Sin.Geo.N.26 (აღმოჩენები 2005:275).

Sin..Geo.N.65. წმ. იაკობის ჟამისწირვა. IX-Xსს.76ფ.; ეტრატი; 12x10,5სმ.; უყდო; ნაკლული; მთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ხელნაწერის ტექსტი მსგავსებას იჩენს იაკობის ჟამისწირვის იმ რედაქციასთან, რომელიც შემონახულია Graz.Geo.2058/4 ხელნაწერში (Цагарели1888:210 n°31; იმნაიშვილი 2004:258-294). ტექსტი შეესაბამება გამოცემულ ჟამისწირვის დიდ ნაწილს (Tarchnišvili 1950)

Sin.Geo.N.54. წმ. იაკობის, წმ. ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვები. X ს.129ფ.; ეტრატი; 14,5×9,5სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები მთავრულით, სინგურით; გადამწერი: იოვანე (53r,83v,108v); ხელნაწერი შეიცავს იაკობის (1r–53r), ბასილისა (54r-84v) და იოანე ოქროპირის ჟამისწირვებს (85r–108v), ასევე ზოგადი დღესასწაულების ჟამისწირვათა ფსალმუნებსა და საკითხავებსსამოციქულოდან და სახარებიდან (109r–129v). 34v-სა და 35r-ზე იხსენიებიან წმ. აბო და წმ. ნინო. იაკობის ჟამისწირვა შეესაბამება გამოცემულ ტექსტს (Tarchnišvili 1950)48-63; Jacob 1964: 66-119). ბასილი დიდის ჟამისწირვა ცნობილია სამი განსხვავებული რედაქციით: Sin.O.Geo.89-ში, ხეც H-531 და ხეც S-4980 (ქაჯაია 1992: 260-317). ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი დაბეჭდილია Graz.Geo. 2058/5-სა და Sin.Geo.O.89 ხელნაწერის მიხედვით. Sin.Geo.N.54 ხელნაწერის დასაწყისი ემთხვევა მ.თარხნიშვილის გამოცემული ტექსტს. ხელნაწერში შეტანილი ჟამისწირვის საკითხავები განკუთვნილია იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკისათვის. (Цагарели1888: 209 n°29; Tarchnischvili 1959,1960 n°1437-1559; იმნაიშვილი 2004: 295-313).

Sin.Geo.N.63. წმ. იაკობის ჟამისწირვა. X ს.75 ფ.; ეტრატი; 13x9,5სმ.; ნაკლული; ნუსხური, შავი მელანი, სათაურები სინგურით; 66r–75v დაწერილია გვიანდელი ხელით; ხელნაწერის დასაწყისი

შეესაბამება მ.თარხნიშვილის გამოცემას: (Tarchnišvili 1950)). 65r-75v წარმოადგენს გამოკრებილს ვრცელი რედაქციის იერუსალიმური ლექციონარიდან(შდრ. Tarchnischvili 1959,1960: n°1152, 1153, 268, 270-274).

Sin.Geo.N.66. წმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. X ს.40ფ.; ეტრატი; 11x9სმ.; ტყავის ყდა[Kalligerou 2009: 172,175;დაზიანებული, ბოლო გვერდი დალაქავებულია და ცუდად იკითხება; მთავრულნარევი ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი გამოცემულია ორჯერ (Tarchnišvili 1950) ლათინური თარგმანით); გამოცემა ემყარება Graz.Geo.2058/5 ხელნაწერს, რომელიც სინური წარმოშობისაა (Цагарели 1888: 209 n°29; იმნაიშვილი 2004, 295-313); გერმანული თარგმანი: (Tarchnišvili1938:79-94; Jacob 1964:65-119) ლათინური თარგმანითურთ, გამოცემულია Sin. Geo.O. 89 ხელნაწერის მიხედვით.

Sin.Geo.N.70. წმ. იაკობის ჟამისწირვა. Xს.12ფ.;ეტრატი; 12,8x10სმ.; ნუსხური; შავიმელანი, სათაურებისინგურით; ფრაგმენტი (1r-8v) ახლო დგას იაკობის ჟამისწირვის იმ ტექსტთან, რომელიც Graz.Geo.2058/4 (Цагарели1888:210, n° 31; იმნაიშვილი 2004:258-294) გამოსცა თარხნიშვილმა (Tarchnišvili 1950) 9r-12v შეიცავს ნაწყვეტს იერუსალიმური ლექციონარიდან: მოციქულთა ზოგადი განგების ფსალმუნებსა და საკითხავებს (Tarchnischvili 1959,1960: №№1455, 1459, 1460, 1464).

Sin.Geo.N.79. წმ. იაკობის ჟამისწირვა. Xს. 6ფ.; ეტრატი; 11,5x9,8სმ.; შემორჩენილია ერთი რვეულის ნაწილი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; იმავე ტიპისაა, როგორიცაა მ. თარხნიშვილის გამოცემული ხელნაწერის ტექსტი, შდრ. Graz.Geo.2058/4 (Цагарели1888:210 n°31; იმნაიშვილი 2004:258-294; Tarchnišvili1950).

Sin.Geo.N.81. წმ. იაკობის ჟამისწირვა. Xს.10ფ.; ეტრატი;11x8,2სმ.; შავიმელანი; ნუსხური. ტექსტიმ. თარხნიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტს მიჰყვება, შდრ. Graz.Geo.2058/4 (Цагарели 1888: 210 n° 31; Tarchnišvili 1950; იმნაიშვილი 2004:258-294).

Sin..Geo.N 83. წმ. იაკობის ჟამისწირვა. X ს.2ფ.; ეტრატი; 16x14სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულით და სინგურით. ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.N. 22-ის დასაწყის ნაწილს, შეესაბამება მ.თარხნიშვილის გამოცემას _ Graz.Geo.2058/4 (Цагарели1888:210,№31; Tarchnišvili 1950; იმნაიშვილი 2004:258-294).

Sin..Geo.N 68. ჟამისწირვა. XIს.32ფ; ეტრატი;10x11სმ.; დაშლილი; ტექსტი ძალიან დაზიანებულია, ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: გიორგი (8r).

Sin.Geo.O.89. წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. იაკობ მოციქულის ჟამისწირვები. XII ს.93ფ.; ქაღალდი; 14,5x0,5სმ.; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით, ნაკლული; გადამწერი: სტეფანე დვალი (45v, 69v); გადაწერის ადგილი: გე[თ]სამანია (69v). ბასილი დიდის ჟამისწირვა ორი რედაქციითაა ცნობილი: ერთი დაცულია Sin. Geo.O. 89-ში, მეორე XIს. დათათარიღებულ ხეც H-531 ხელნაწერში (აღწერილობა 1951: 15). იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი განსხვავდება მ. თარხნიშვილის გამოცემული X-XIსს. დათარირებული GrazGeo.2058/5-ის ტექსტისაგან (იმნაიშვილი 2004: 295-313). ორივე ხელნაწერში ლოცვების ტექსტები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებაა ჟამისწირვის წესში. იაკობის ჟამისწირვის ქართული ტექსტი მიჰყვება მ. თარხნიშვილის გამოცემულ ტექსტს, რომელიც თარხნიშვილმა 985 წლით დათარიღებული გრაცში დაცული ხელნაწერის Graz.Geo. 2058/4 მიხედვით დაბეჭდა (Кекелидзе 1908:1; Mapp, 1940:250; Tarchnišvili 1950; Jacob 1964: 85; 1967;Garitte 1961(a): 387;იმნაიშვილი 2004: 258-294).

Sin.Geo.N.1ს. წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვა. XIIIს.გრაგნილი; ეტრატი;184x19სმ.; ოთხი კეფი; დახვეულია მრგვალ ჯოხზე; თავნაკლული; ნუსხური; სათაურები სინგურით; საზედაოასოები გაფორმებულია ფოთლოვანი ლამაზი ორნამენტით. მცირეოდენი სხვაობებით მიჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვის ტექსტს. გამოქვეყნებულია (ქაჯაია1992: 298-317). არშიებზე გვხვდება გვიანდელი მინაწერები.

Sin. Geo. N.4s. წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვა. XIII ს. გრაგნილი; ეტრატი; 81x17სმ.; ორი კეფი, ნაწერია ორივე მხარეს; ნაკლული; ნუსხური; შავი მელანი, აქა-იქ გამოყენებულია სინგური. ტექსტი შედგენილობით მიჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვის გამოცემას (ქაჯაია 1992: 308-312).

Sin..Geo.N.5s. წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვა. XIII ს. გრაგნილი; ეტრატი; 31,5x17სმ.; ერთი კეფი; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისი სინგურით და მთავრულით; გრაგნილში შემორჩენილი სიწმიდის შემოყვანების ლოცვის ტექსტი მიჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვის გამოცემას (ქაჯაია,1992:267-268). დანარჩენი ნაწილი განსხვავებულია გამოცემული ტექსტისაგან.

Sin. Geo.N.6s. ჟამისწირვა. XIII ს.გრაგნილი; 2 კეფი;ქაღალდი; 90×24სმ. და 59×24 სმ.; გადამწერი: არსენი ხობელისძე. გრაგნილის ტექსტი არ მიჰყვება ჟამისწირვების ცნობილ ტექსტებს. ზოგიერთი ადგილი ერთგვარ სიახლოვეს იჩენს ბასილი დიდის ჟამისწირვასთან. ფრაგმენტს ახლავს გადამწერის ანდერძი: „ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ჩემ ცოდვილისა არსენისთჳს; სინას ვინცა განაახლებდე, ასრე განაახლებდე, ვითა ამას შინა სწერია. არ-დებაჲ მესმა და არა დავიცონე ცოდვილმან არსენი ხობელისძემან“. იკითხება, ასევე, გრაგნილის გვიანდელი განმაახლებლის, ელისე ჩიდანის ძის (XIVს. 20- იანი წწ.), მინაწერები (კარანაძე 2002 : 33).

Sin..Geo.N.9s. წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვა. XIIIს. ეტრატი; 39x17სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები სინგურით. შემორჩენილია ლოცვა „შემდგომად სიწმიდის შემოყვანებისა“.Recto-ზე ტექსტი მიჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვის გამოცემულ ტექსტს (ქაჯაია 1992:306-308; 313-314).

Sin.Geo.N.10s. ჟამისწირვა. XIIIს. გრაგნილის სამი მცირეფრაგმენტი; ქაღალდი; 2 თითო სტრიქონია, 1 დაუწერელია; ნუსხური; შავიმელანი; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; შემორჩენილია გრაგნილის დასახვევი ჯოხი.

Sin.Geo.N.8s. წმ. იოანეო ქროპირის ჟამისწირვა. XVIს. გრაგნილი; ქაღალდი; 108x12სმ.; შემორჩენილია სამი კეფი; ნუსხური; შავი მელანი, გამოყენებულია სინგურიც; შემორჩენილია კათაკმეველთა განტევების, სიწმიდის შემოყვანების, მორწმუნეთა წირვის ტექსტები. ხელნაწერის ტექსტი მცირედ სხვაობს იოვანე ოქროპირის გამოცემული ტექსტისგან (Tarchnišvili 1950(a):64-83). ხელნაწერი აღწერილი აქვს ცაგარელსაც (Цагарели 1888: 209, №29).

Sin.Geo.N.23. ჟამნი. 986წ.54ფ.; ეტრატი; 15,5x12სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: იოვანე-მელი (54r); ადგილი: კონსტანტინოპოლი(54r). ხელნაწერი შეიცავს ღამის თორმეტი ჟამის ტექსტს, რომლებიც რედაქციულად განსხვავდება როგორც ჟამნის უძველესი ქართული ტექსტისაგან (Sin.Geo.O.34), ისე გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაგან (Jer.Geo. 127).

Sin.Geo.N.52. ჟამნი. XII-XIII სს. 98ფ.; ეტრატი; 10,5x10სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ფურცელთა დიდი ნაწილი პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართულია; ნუსხურით ნაწერი; უყდო; ნაკლული. შეიცავს: ჟამნის, ბიბლიურ გალობათა და 148-149,5 ფსალმუნთა ტექსტებს. ჟამნი რედაქციულად მიჰყვება გიორგი მთაწმიდლის ჟამნის ყველაზე ადრეულ ნუსხას Jer. Geo.127-ს, მაგრამ მისგან განსხვავებით არ შეიცავს I, III, VI, IX ჟამნთა „შედეგებს“.

Sin.Geo.N.80.ჟამნი. XIს. 9ფ.; ეტრატი; [10,2x7,5სმ.]; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები სინგურით; რეადაქციულად ახლო დგას გიორგი ათონელის თარგმნილ Jer.Geo.127 (Blake 1925-1926:136; კახაბრიშვილი 1973:122). ფსალმუნთა ტექსტები მითითებულია მხოლოდ დასაწყისებითა და ბოლო მუხლებით; ტექსტი შიგადაშიგ მიჰყვება ძველ რედაქციებს (შდრ. შანიძე 1960(b).

Sin.Geo.N.61. ჟამნი. XIIს. 38ფ.; ეტრატი; 12x9სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; 5,7,16–19, 35,36 ფფ. პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართულია, დაწერილი წვრილი ნუსხურით; სათაურები მთავრულით. ფრაგმენტი შეიცავს სავედრებელ ლოცვებსა და იოსებ გამომეტყველის ავტორობით ცნობილ ერთ ჰიმნოგრაფიულ კანონს. რედაქციულად მიჰყვება გიორგი მთაწმიდლის შედგენილ ნუსხას Jer. Geo.127-ს.

Sin.Geo.N.15p. ჟამნი. XIII-XIV სს.8ფ; ქაღალდ; 22x15სმ.; ნუსხური, შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ფრაგმენტები შეიცავს: სერობის ჟამის განგებას, დიდ სერობას და იოსებ გამომთქმელის შუაღამის განგების ნაწილს. რედაქციულად მიჰყვება გიორგი ათონელის რედაქციის Jer.Geo.127-ს. ამავე რედაქციისაა Sin.Geo.O.88, Sin.Geo.N.52, Sin.Geo.N.61, Sin.Geo.N.80 და Sin.Geo.N.29p.

Sin.Geo.N.29p. ჟამნი. XIIIს.9ფ.; ქაღალდი; 16x10სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაური და ზოგიერთი საზედაო ასო სინგურით. შეიცავს ცისკრის განგებას, პირველი ჟამისა და მისი შედეგის თავბოლონაკლულ ტექსტს. ფრაგმენტები მისდევს ჟამნის ყველაზე ადრეულ ნუსხას Jer.Geo.127. ამავე რედაქციის ხელნაწერებია: Sin.Geo.O.88,Sin. Geo.N.52, Sin. Geo.N.61, Sin. Geo.N.80, Sin. Geo.N.15p.

Sin.Geo.N.31p.„თვეთა მეტყველება“. XIII ს. 2ფ.; ქაღალდი; 16x12სმ.; ნუსხური; მელანი შავი; სათაური და საზედაო ასოები სინგურით; შეიცავს ფრაგმენტს კალენდრიდან 1–23 ოქტომბრისათვის. რედაქციულად მისდევს საბაწმიდური ტიპიკონის კალენდარს. ტექსტი გვხვდება Sin.Geo.O.83-ში (აღწერილობა 1987: 171-173,). „თვეთა მეტყველება“ XII-XIII სს. შემდეგ ჩვეულებრივ შეტანილია ჟამნის ქართულ ხელნაწერებში.

Sin.Geo.O.47. სახარებანი საცისკრონი წმიდათა კჯრიაკეთანი. 977წ.;91 ფ.; 14,2x12სმ.; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მთავრულითა და ნუსხურით; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; გადამწერი და შემმოსველი: იოვანე-ზოსიმე; ადგილი: სინაწმიდა; ხელნაწერი შეიცავს კვირა დღის ცისკრის საკითხავებს; შემკულია ჯვრებით; აქვს სინური ტიპური ყდა. ხელნაწერის ერთი ფურცელი, რომელიც მინგანაში (Mingana géorg. 6) ინახება, ავსებს Sin.Geo.O.47-ის ნაკლულ ადგილს 48-49 ფურცლებს შორის. ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტს (მარკოზ. XVI, 12-14) სახარების საკითხავიდან (Цагарели 1888: 217 n° 53; Марр 1940: 53-59; Garitte 1960: 253-255; გარიტი 1973: 170-183; კარანაძე 2002: 14-15, დამ. I, 6, 7; Kalligerou 2009: 170).

Sin.Geo.O 63. საკითხავები სახარებდან. X ს.,57ფ.; ეტრატი; 31,5x25სმ; მთავრული; სათაურები სინგურით; ტყავის ყვიფრული ყდა; გადამწერი: მიქაელი; ხელნაწერი შეიცავს შობის წინა დღიდან-ვნების კვირის დიდი ხუთშაბათის სახარების საკითხავებს. განიცდის როგორც ქრისტიანულ-აღმოსავლურ, ისე ბიზანტიური საღვთისმსახურო პრაქტიკის გავლენას. ტყავის ყდის ზედაპირზე ამოტვიფრულია ჯვარი. (Цагарели 1888: 204 n°13; Марр 1940:132-135; Garitte 1974: 70-85.Outtier 1978: 53-55).

Sin.Geo.N.71. სახარების საკითხავთა განწესება. X ს.8ფ; ეტრატი; პალიმფსესტი; ქვედა ტექსტი კოპტური; 13,4×9,8სმ.; წარმოადგენს ხელნაწერის მეორე რვეულს: ნუსხური; შავიმელანი; ზატიკთა დღეები, სახარების საკითხავთა მითითებები და დასაწყისები გამოყოფილია სინგურით, შემოვლებული შავი მელნით; ხელის მიხედვით, გადამწერია იოანე-ზოსიმე; ფრაგმენტი შეიცავს იერუსალიმური ქართული ლექციონარის მიხედვით შედგენილ საკითხავთა საძიებელს (Tarchnischvili 1959,1960: №765–897). დამატებით შეიცავს მითითებებს ცისკრის სახარებებზე.

Sin.Geo.O.10. საწელიწდო სამოციქულო. X ს.265 ფ.; ეტრატი; 22,5x15სმ.; ნუსხური; 218-ე ფურცლიდან ხელნაწერი პალიმფსესტია. ქვედა ტექსტი ნაწერია მთავრულით და ნუსხურით. ორი ხელი; საზედაო ასოები მთავრულით, სათაურები და საზედაო ასოები _ სინგურით. ასოები შიგა და შიგ გაფორმებულია. ხელნაწერი შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის საწელიწდო სამოციქულოს. კრებულს ერთვის არაერთი მინაწერი, მათ შორის არაბულიც (ჯავახიშვილი1947:23; გვარამია 1981:77; აღწერილობა 1987:8-33). ეპისტოლეთა ქართული ვერსიები გამოცემულია (აბულაძე 1950; ლორთქიფანიძე 1956; ძოწენიძე 1974).

Sin.Geo.N.14p. სახარების საკითხავები. XI-XII სს., 10ფ.; ქაღალდი; 19,5(20)×13სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით; ფრაგმენტი Sin. Geo.O.74 დასაწყისს უნდა წარმოადგენდეს. საკითხავები გაწყობილია ბიზანტიური პრაქტიკის მიხედვით; თარგმანი შესრულებულია გიორგი ათონელის მიერ.

Sin.Geo.O.74. საწელიწდო სახარება. XI-XII სს.194ფ.; ქაღალდი; 20X16სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები და სათაურები სინგურით. ხელნაწერი შეიცავს ბიზანტიური პრაქტიკის საწელიწდო სახარების საკითხავებს. ტექსტში ჩართულ ანდერძებში იხსენიებიან ეფთჯმე (122v) და გიორგი (70v) ათონელები. ნუსხას ერთვის არაბული კოლოფონები, რომელთა მიხედვითაც ბედუინთა ბატონობა მძიმე ტვირთად აწვა სინაზე მოღვაწე ქართველ ბერებს (გვარამია 1981: 81-82); ტექსტი შეისწავლა და გამოსცა ჟ. გარიტმა (Garitte 1978: 105-152, 367-448; Цагарели 1888: 205 n°15; ჯავახიშვილი 1947:118-119).

Sin.Geo.N.6. საწინასწარმეტყველო. XII-XIIIსს. 3 ფ; ეტრატი; 25×15; 23,3×14; 23×14 (ზომები სხვაობს); ნუსხური; შავი მელანი; საკითხავთა დასახელებები სინგურით; ფრაგმენტში შემორჩენილი ტექსტი კონსტანტინოპოლური საწინასწარმეტყველოს საფუძველზე თარგმნა გიორგი ათონელმა XIს. I ნახევარში.

Sin.Geo.N.8p. საწინასწარმეტყველო. XII-XIII სს. 40ფ; ქაღალდი; 26×19სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; ნაკლული. ტექსტი წარმოადგენს ბერძნული კონსტანტინოპოლური საწინასწარმეტყველოს გიორგი ათონელისეულ თარგმანს. ძეგლის სრული ტექსტი დაცულია Ivir.Geo.35-ში (XII-XIII სს.), რომლის შედგენილობაში რ.ბლეიკს აღნიშნული აქვს მხოლოდ საკითხავები სამოციქულოდან (Blake 1933-1934:225).


ჰიმნოგრაფიული კრებულები

Sin.Geo.O.1.იადგარი. X ს-ის I ნახევარი.384ფ.; ეტრატი; 31x24 სმ.; ნუსხური; სათაურები, დასაწყისები და ძლისპირთა ბერძნული მოდელების დასაწყისები ქართული ტრანსკრიპციით, მთავრულითა და სინგურით; ძლისპირები, გალობათა უმეტესი ნაწილი ნევმირებულია; ტექსტში გამოყენებულია მარგინალური ნიშნები. მომგებელი: ტიმოთე; გადამწერი: იოვანე. კრებულში შესულია ადრეული, ე.წ. პალესტინური რედაქციის საგალობლები. წარმოადგენს „ახალი (დიდი) იადგარის" ვრცელ რედაქციას (ხევსურიანი 2016:29,143-144). ტექსტი აღწერილი და გამოქვეყნებულია (Цагарели 1888:224 n°63; ჯავახიშვილი 1947:1-10; მეტრეველი 1971:0106; .ჭანკიევი 1973: 45-5; აღწერილობა 1978: 13-38).

Sin.Geo.O.14. იადგარი. X ს. 276 ფ.; ეტრატი; 20,5x16სმ.; ნუსხური, დასაწყისები მთავრულითა და სინგურით; გადამწერები: კრავაჲ, მოსე. ყდა ტყავგადაკრული ტვიფრული. ხელნაწერი „ახალიიადგარის" ვრცელ რედაქციას წარმოადგენს (ხევსურიანი 2016:29;ჯღამაია 2016:143-144). საგალობელთა ერთი ნაწილი ნევმირებულია. გადამწერი უხვად იყენებს მარგინალურ ნიშნებს. ტექსტი აღწერილი და გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 214 n°41; ჯავახიშვილი 1947: 33-34; აღწერილობა 1978: 39-53; ინგოროყვა 1965: 540-543; მეტრეველი 1971: 09-012).

Sin.Geo.O.18. იადგარი. X ს-ის I ნახევარი. 300 ფ.; კონვოლუტი; ეტრატი; 20,5x14,8სმ.; მთავრული; ნუსხური, გაირჩევა 10 ხელი. სათაურები და ტროპართა დასაწყისები მთავრულითა და სინგურით, უყდო, ნაკლული;მისდევს „იერუსალიმურ ლექციონარს" (Tarchnischvili 1959). რედაქციულად დგება ძველი რედაქციის იაგარებთან. არშიებზე და ტექსტში გვხვდება იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილი ტექსტოლოგიური და ლიტურგიკული შინაარსის შემცველი მინაწერები. კრებული აღწერილი და შესწავლილია, ტექსტი გამოქვეყნებულია (ჯავახიშვილი 1947: 40; ინგოროყვა 1965: 218, 563; ხევსურიანი 1978: 88; იადგარი 1980:557,699-701).

Sin.Geo.O.26. იადგარი. X ს. შუა წლები. 305 ფ.; ეტრატი; ნაწილობრივ პალიმფსეტი; 14,2x11,4სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; 5 ხელი, ერთ-ერთია იოვანე-ზოსიმესი; მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა. სამეცნიერო წრეებში კრებულს „მცირე იადგარს" უწოდებენ (მეტრეველი 1971: 0108). კრებული საბაწმინდური ნუსხაა. იადგარს კიდეებზე ერთვის იოვანე-ზოსიმეს როგორც ტექსტუალური და ლიტურგიკული შინაარსის მითითეთები და შენიშვნები. ხელნა-



63. Sin.Geo.O.18. 78v

წერი აერთიანებს როგორც ძველ, ასევე ახალი რედაქციის საგალობლებს. ნუსხის საფუძველზე შესაძლებელი გახდა „უძველესი იადგარის“ სრული ტექსტის აღდგენა და გამოქვეყნება). ხელნაწერში უხვად გვხვდება კრიპტოგრამები (შანიძე 1926: 237-243; ათანელიშვილი 1973: 61-63). იადგარი აღწერილი და შესწავლილია (ჯავახიშვილი 1947:48-50,№ 26; ინგოროყვა 1965: 558; მეტრეველი 1971: 014-016, 0108-0109; იადგარი 1980:6, 557, 711; ხევსურიანი 2016:25-29).

Sin.Geo.O.20.იადგარი. 978 წ. 132 ფ.; ეტრატი; 15,6x11,9 სმ.; თავნაკლული; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი: იოვანე; მომგებელი: კჳრიკე; ყდა ტიპური სინური. იადგარი შეიცავს საუფლო დღესასწაულების დასდებლებს, ძლისპირებსა და ღმრთისმშობლისებს, როგორც ძველი, ისე ახალი რედაქციის საგალობლებს. კრებული შესწავლილი და ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1888: 224, n°64; ჯავახიშვილი 1947:43,№20; ინგოროყვა 1965: 542, 558-561; ჭანკიევი 1973:46-48; მეტრეველი 1971: 016-019, 0109; აღწერილობა 1978(a):73-77; იადგარი 1980:557).

Sin.Geo.O.40. იადგარი. X ს. 254 ფ.; ეტრატი; 15,5 x12სმ.; მთავრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; ყდა დაზიანებული. გადამწერი: სჳმეონ მგალობელი; მომგებელი: თეოდორე პალავრელი; გადაწერის ადგილი: საბაწმინდის. მონასტერი. ნუსხა თავნაკლულია. რედაქციულად მიჰყვება ძველ იადგარებს. წიგნს ახლავს გადამწერისა და მომგებლების ანდერძები. გადამწერის ანდერძი: „ესე იადგარანი დაჩხრეკილანი თევდორე პალავრელმან დაყუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე, სჳმეონს მგალობელსა ...“ (253r). კრებული შესწავლილია (ჯავახიშვილი 1947: 107-109,№40; Цагарели 1888: 225 n°67; იადგარი 1980:701-702; ინგოროყვა 1965: 218, 561-563). ტექსტი გამოცემულია (იადგარი1980: 557).

Sin.Geo.O.41. იადგარი. X ს.183 ფ.; ეტრატი; 17x14სმ.; [X ს.]; მთავრული; სათაურები საზედაო ასოები სინგურით; უყდო; ნაკლული (Марр 1940: 27-31,№41; აღწერილობა 1978 (a) 153-156). იადგარი განეკუთვნება ძველ რედაქციას. „უძველესი იადგარის“ გამოცემაში ეს ხელნაწერი გათვალისწინებულია D ლიტერით (იადგარი 1980:557,703).

Sin.Geo.O.49. იადგარი. X ს. 120 ფ.; ეტრატი; 15,8 x13,5სმ., ნუსხური; ნაკლული; დაზიანებული; რამდენიმე გვერდი პალიმფსესტურია, ქვედა ტექსტი ბერძნულია; გადამწერი იოანე-ზოსიმე; უყდო; შეიცავს საწელიწდო იადგრის (ივნისი-დეკემბერი) სათვეო ნაწილს. რედაქციულად დგას საწელიწდო იადგრის პალესტინური ჯგუფის კრებულებთან, მაგრამ Sin.Geo.O.49 გამოკრებილი წიგნია (Марр 1940:59; აღწერილობა 1978 156-162).

Sin.Geo.O.59. იადგარი. X ს. 226ფ.; ეტრატი; ზომა 24,5x19სმ.; უყდო; დაზიანებული; ნაკლული; კალიგრაფიული ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით. ზოგიერთი საგალობელი იწყება ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი ბერძნული წარწერები; კრებული შესწავლილია (Цагарели 1888: 215 n°45; Марр 1940:99-107; აღწერილობა 1978: 162-187; ჯღამაია 2016: 143-144; 190-194, 200).

Sin.Geo.O.64. იადგარი. X ს. 207 ფ.; ეტრატი; 32x27,5სმ.; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგური; ნაკლული; გადამწერი: იოვანე; მომგებელი: კჳრიკე; ტექსტი შიგადაშიგ ნევმირებულია; ზოგი საგალობელი იწყება ქართული ტრანსკრიფციით ნაწერი ბერძნული წარწერებით; უყდო. მკვლევართა აზრით, Sin. Geo.O.64 და Sin.Geo.O.65 ერთი ხელნაწერი უნდა იყოს, რომელიც იოვანე-ზოსიმემ გადაწერა 970 წელს (ინგოროყვა 1965: 541-542). ც. ჭანკიევის აზრით, მინაწერში დასახელებული იოვანე არ არის იოვანე-ზოსიმე (ჭანკიევი 1973: 45-48). კრებული შესწავლილია (Mapp 1940:135; Цагарели 1888: 214 n°42; აღწერილობა 1978: 162-187; ჯღამაია 2016:143-144, 190, 200).

Sin.Geo.O.65.იადგარი. X ს. II ნახ.220 ფ.; ეტრატი; 32x26,5 სმ.; ნაკლული; უყდო; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; გადამწერი იოვანე. მომგებელი კჳრიკე. მკვლევართა აზრით, Sin. Geo.O.65 და Sin.Geo.O.64 ერთი ხელნაწერის ნაწილებია (ინგოროყვა 1965: 541-542). იადგარში შესული აღდგომის საგალობელთა ტექსტი ახალი რედაქციისაა (ჯღამაია 2016: 143-144); უსვადაა ტექსტუალური შინაარსის შემცველი შენიშვნები. წიგნი შემკულია წნული ორნამენტისაგან შემდგარი პატარა ზომის კვადრიფოლიუმის ტიპის ჯვრებით (Цагарели 1888: 215, n°44; Mapp 1940: 141-142; აღწერილობა 1978: 208-229)..

Sin..Geo.N.2.იადგარი X ს.(987 წ. შემდეგ) 21 ფ.; ეტრატი; 30,5x24,5სმ.; დაშლილი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საზედაო ასოები, ბერძნულ ძლისპირთა დასაწყისების ქართული ტრანსკრიპციები სინგურით. ფრაგმენტი Sin.Geo.O.65-ის ნაწილია. მომგებელი: კჳრიკე მიძნაძორელი; გადამწერი: იოვანე ხუცეს-მონაზონი; ადგილი: სინაწმიდა. ხელნაწერს ერთვის გადამწერისა (20r) და მომგებლის (20v) ვრცელი ანდერძები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან სინაწმინდაზე ქართველ მოწესეთა დამკვიდრება-მოღვაწეობის შესახებ. მომგებლის ანდერძში ვკითხულობთ: „...აღვაშენე მცირე ეკლესიაჲგარეგან კართა დიდისა ეკლესიისა დაკუალად აღვაშენე სახლები სადგურად არაბთათჳს და ...მოუგე წმიდასა მთასა წიგნები ჩემითა გულსმოდგინებითა...“. ანდერძში დასახელებული მომგებლის მიერ სინაწმინდისთვის დაფინანსებული 10 წიგნი, რომელთა ნაწილი ამჟამად იდენტიფიცირებულია აღმწერელთა მიერ და ანდერძები გამოქვეყნებულია (აღმოჩენები 2005:246-248).

Sin.Geo.N.5. იადგარი. X ს.42 ფ.; ეტრატი; 24,5x19 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა დასახელებები, ბერძნულ ძლისპირთა დასაწყისების ქართული ტრანსკრიპციები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით. ხელნაწერი წარმოადგენს Sin. Geo.O.59-ის ნაწილს – დასაწყისისა და დასასრულის ტექსტებს.

Sin.Geo.N.19. იადგარი. 980 წ. 61+1 ფ. სირიული ფრაგმენტი, სავარაუდოდ, ყდის საცავი ფურცელი; ეტრატი; 20,5x18სმ.; პალიმფსესტი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურშემოვლებული შავი მელნით; ქვედა ფენა ბერძნული, შიგადაშიგ სირიული და კოპტური; პირველ ფურცელზე იკითხება არაბული წარწერის კვალი; ბოლონაკლული; უყდო; იადგარის მოკლე რედაქცია; შემდგენელ-გადამწერი იოვანე-ზოსიმე: „...მომემადლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს, დავჩხრიკე წმიდაჲ ესე წიგნი იადგარი _ მსგებსი ახალი, რომელი ახლად გამოვიდა ჩუენდა ენად კჳპრით, ამას უნდოსა და შებღარჯულსა ეტრატსა ზედა სადედედ ჴელითა ჩემითა... სინაწმიდას და შევწირე მუნვე... ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, გიორგი, მიქაელ, კჳრიკე, იოვანე-ზოსიომე... ამენ “ (50r-v).

Sin. Geo.N.29. იადგარი. X ს. 8ფ.; ეტრატი; 15x11სმ.; ნუსხური, შავი მელნი; 7v და ფ.8 შედარებით წვრილი მთავრულით; სათაურები და საგალობელთა დასაწყისები სინგურით; ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.O.40-ის ნაწილს. შეიცავს ოქტოიხოსის პირველიხმის საგალობლებს. ტექსტი მოკლე რედაქციისაა (იადგარი 1980: 368-379).

Sin..Geo.N.34. იადგარი. X ს. 4ფ.; ეტრატი; 22(23)x15(17)სმ.; ნუსხური, 4v მთავრული; შავი მელანი; უცნობი ნუსხის ფრაგმენტი.

Sin..Geo.N.36. იადგარი. X ს. 8ფ.; ეტრატი;16,2(16,5)x14,5სმ.; მთავრული; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; ფურცელთა ზომების, ხელისა და სხვამონაცემთა მიხედვით მიეკუთვნება Sin. Geo. O.41 ხელნაწერს. ფრაგმენტი შეიცავს ზოგიერთ ისეთ საგალობელს, რომლებიც უძველესი იადგარის ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში არ გვხვდება (იადგარი 1980).

Sin.Geo.N.37. იადგარი. X ს.1ფ.; 20x15სმ.;ეტრატი; მთავრული; ყავისფერი მელანი; საგალობელთა მითითებები სინგურით; შეიცავს ხარების დღესასწაულის საგალობლების ნაწყვეტებს და მთლიანად ემთხვევა გამოცემის შესაბამის ტექსტებს (იადგარი 1980:689-691).

Sin..Geo.N38.იადგარი. Xს.6ფ.;20,2x14,5სმ.; ეტრატი; ნუსხური; შავიმელანი, სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; ოქტოიხოსის საგალობლები VII-VIII ხმების ფარგლებში. ფრაგმენტები ძირითადად მისდევს გამოცემულ ტექსტს (იადგარი 1980: 488-507).

Sin.Geo.N.39. იადგარი. XIს. 23ფ.; ეტრატი; 15,5x13,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; ფრაგმენტი შეიცავს სხვადასხვა ხსენების საგალობლებს იადგარის სათვეო ნაწილიდან. ფრაგმენტში დასახელებულია: წმ.ნინო (14 იანვ.), საგალობელი გამოქვეყნებულია Sin.Geo.O.59-ის მიხედვით (Mapp 1940: 103-106). საგალობელთა ნაწილი სრულად არ არის მოღწეული. თანხვდება Sin.Geo.O.59 და Sin.Geo.O.64 იადგრების შესაბამის ხსენებათა საგალობლებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ფრაგმენტის ნაკლული ტექსტების სრულად აღდგენა.

Sin.Geo.N.46. იადგარი. X ს.8ფ.; ეტრატი; 15x13სმ.; ნაკლული; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით. ფრაგმენტი შეიცავს წმ.მამა ანტონი რავახის ხსენებისა და ხარების დღესასწაულის საგალობლებს. საგალობლების ტექსტები თანხვდება Sin. Geo.O.59 და Sin.Geo.O.64 იადგრების შესაბამისი საგალობლების გვიანდელ ფენას.

Sin. Geo.N.56. იადგარი. X ს. 103ფ.; ეტრატი; 11,5x11,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; უყდო; დაშლილი. შეიცავს უძველესი იადგრის ერთ-ერთ ნაწილის-მარხვანის დასაწყისს (ხორცის აღების კვირიდან) ვნების ხუთშაბათამდე. იადგრის ეს ნაწილი ცალკე ნუსხად ჩანს გადაწერილი. მცირე განსხვავებებით ტექსტი მიჰყვება Sin.Geo.O. 18-ს.

Sin.Geo.N.73. იადგარი. X ს. 4ფ.:ეტრატი; ყველა ფურცელი სხვადასხვა ზომისაა: 17,5 x19სმ, 24,5x19სმ 10,5x11,5სმ., 8,5x3სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; საგალობლები ნევმირებულია. ფრაგმენტი შეიცავს III–VI ხმათა საშაბათო დასდებლების ნაწყვეტებს. ფ.3 ამ ხელნაწერს არ მიეკუთვნება. დაზიანების გამო არ ხერხდება ფ.4-ის იდენტიფიკაცია.

Sin.Geo.N.74. იადგარი. X ს.7ფ.; ეტრატი; 16x14სმ.; მთავრული; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით. დაზიანების გამო ტექსტის ამოკითხვა რთულია. ფრაგმენტი უძველსი იადგარის ნაწილია. შეიცავს ზოგიერთ ისეთ საგალობელს, რომლებიც „უძველესი იადგარის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემაში არ არის (შდრ.იადგარი 1980).

Sin..Geo.N87. იადგარი. X ს. II ნახ.8ფ.; ეტრატი; სხვადასხვაზომისა: 8×8სმ; 8,5×10,5სმ, 6,5×7სმ; წვრილინუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურითა და მთავრულით. გადამწერი: იოანე-ზოსიმე. იკითხება მხოლოდ 2r-3v. ტექსტი ემთხვევა Sin.Geo.O.59 და Sin. Geo.O.64 შესაბამის საგალობლებს, პირველ ფურცელზე სინგურით კალენდარული მითითება:

„მაისსა იე. ვარდობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ“.

Sin.Geo.N.95. იადგარი. X ს. დასასრული. 8ფ., ეტრატი, 31x26სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები, ბერძნულ ძლისპირთა ქართული ტრანსკრიპციები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; გადამწერი: იოვანე ხუცესმონაზონი; მომგებელი: კვირიკე მიძნაძოროელი; გადაწერის ადგილი: სინაწმიდა. ფრაგმენტი წარმოადგენს ნაწყვეტს Sin. Geo.O.64-დან. გადამწერისა და მომგებელის ვინაობა, აგრეთვე გადაწერის ადგილი და თარიღი მითითებულია Sin. Geo.N.2-ის ანდერძთა მიხედვით.

Sin.Geo.N96. იადგარი.X ს.1ფ.; 16,2×14,2სმ; ეტრატი; მთავრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. შეიცავს ოქტოიხოსის I-II ხმების საგალობლებს. მისდევს გამოცემულ ტექსტს (იადგარი 1980: 384), დამატებით შეიცავს „სიწმიდისაჲს“ უცნობ ტექსტს.

Sin. Geo.N.97. იადგარი. Xს. 8ფ.; ეტრატი; ყველა ფურცელი პალიმფსესტია, ქვედა ფენა ტექსტი ბერძნულია. ფურცელთა ზომები მერყეობს 10,5×10,5-დან 14×13სმ-ს შორის. ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და გალობათა სახელწოდებები სინგურით. ფრაგმენტი შეიცავს ქართული ირმოლოგიონის უძველეს ფენას. ფრაგმენტები Sin. Geo.O.49-ის ნაწყვეტია.

Sin. Geo.O.69. სტიქარონ-იადგარი.XII-XIII სს. 151 ფ.; 26,5x19სმ.; ქაღალდი; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; დამკვეთი: სოლომონი; გადამწერი: იოსები; გადაწერის ადგილი: იერუსალიმი; ხელნაწერი გადაწერილია სინის მთის გიორგი მთავარმოწამის მონასტრისათვის; წარმოდგენილია მხოლოდ სტიქარონები, რომელთა უმეტესობა იძებნება გიორგი მთაწმინდლის თვენში. იერუსალიმში გადაწერილი ნუსხა თავად გადამწერის მიერვე შევსებულია სინაზე, დამატებულია წმ. ირინეს ცისკრის კანონი. კრებულს ერთვის გადამწერის ანდერძი (150v) და საკმაოდ ბევრი მინაწერი. ა. ცაგარლის აღწერილობაში გამოქვეყნებულ ანდერძში მითითებულია სინის მთაზე კრებულის შევსების თარიღი 1282 (Цагарели 1888:208 n°26;Марр 1940:189-196).

Sin. Geo.O.21. პარაკლიტონი. X-XI სს. 352 ფ.; 13,5x10 სმ.; ეტრატი; ნაკლული; ნუსხური; საზედაო ასეობი და სათაურები მთავრულით; ორი გადამწერი: გიორგი და ანონიმი (57r); მომგებელი: იონა (231v). პარაკლიტონი შეიცავს: 8 ხმის საკვირაო (აღდგომის) და საშაბათო და კვირის სადა დღეგბის საგალობლებს. აღდგომის დასდებელთა ტექსტი ახალი რედაქციისაა. Sin.Geo.O.21-ის ტექსტი თანხვდება Sin.Geo.O.3-ის საგალობელთა ერთ ფენას გარკვეული განსხვავებით (ჯავახიშვილი 1947: 43-44, №21).

Sin.Geo.O.3.პარაკლიტონი. XI ს.278 ფ.; ეტრატი; 25,5x18,5სმ; ნაკლული; ნუსხური, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; უყდო. რესტავრირებულია არაბული ხელნაწერის ფრაგმენტით; გადამწერი: ბასილი(31v);მართალია, კრებული ხელნაწერში ორჯერ იხსენიება „ოქტოიხოსად“, მაგრამ ტრადიციის მიხედვით პარაკლიტონი ეწოდა (შდრ.: Jer.Geo 48, A 93, A 94). რედაქციულად მიჰყვება Jer. Geo. 48-ს. აღდგომის დასდებლები ახალი რედაქციისაა, „ძლისპირები“-მეორე რედაქციისა. მინაწერების სახით ერთვის ტექსტუალური შენიშვნები. კრებული შესწავლილია (ჯავახიშვილი 1947:12; ინგოროყვა 1965: 370, 486, 576; კეკელიძე 1980:594; ჯღამაია 1972, 57-66).

Sin.Geo.O.96. პარაკლიტონი. XIს. 303 ფ.; ქაღალდი; 32x22 სმ.; ბოლონაკლული; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; რესტავრირებულია ნუსხურით ნაწერი ხელნაწერის ფურცლით; ტყავის დაზიანებული ყდა; ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია X-XI სს. ეტრატის ხელნაწერის ფრაგმენტი; გაცხოველებულია გაბრიელ ვარძელის მიერ; გადამწერი იოვანე ბარალაამწმიდელი(166v); მესამედ შემკაზველი გაბრიელ ვარძელი(166v); გადაწერილია შავ მთაზე (166v); შეწირულია სინის მთისთვის. პარაკლიტონი გიორგი ათონელის რედაქციისაა. შეიცავს აღდგომის საგალობლებს და საკითხავებს; ერთვის არაბული მინაწერები. (Марр 1940: 273-276; კარანაძე 2002: 33-34).

Sin.Geo.O.13.პარაკლიტონი.1044 წ. 271ფ.;19,5x13სმ; ეტრატი; თავნაკლული; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით, ზოგიერთი ფურცელი გადანაცვლებულია. 5 გადამწერი: პეტრე, გაბრიელი და სამი ანონიმი. მომგებელი-პეტრე გადაწერის ადგილი გესმანია(270v), შეწირულია სინის მთისათვის(270v). ხელნაწერში შესული მასალა საერთოს პოულობს როგორც X ს-ის იადგარებთან, ასევე გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონთან და ახალ საწელიწდო იადგართან. რედაქციულად ერთიანდება Jer.Geo. 48-ის ჯგუფის პარაკლიტონებთან. (ჯავახიშვილი 1947:32; ინგოროყვა 1965: 370, 576).

Sin.Geo.N.14. პარაკლიტონი. 1044 წ. 16 ფ.; 19x13,5; ეტრატი; ნუსხური;ყავისფერი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები, რიტმული ნიშნები და საზედაო ასოები სინგურით; მომგებელი: პეტრე, გადაწერის ადგილი: გეთსიმანია.ფრაგმენტი შეიცავს პირველი ხმის სამშაბათ-შაბათისა და მეორე ხმის საკვირაო საგალობლებს. ხელის, ფურცელთა ზომის, შედგენილობისა და სხვა მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს Sin.Geo.O.13 ხელნაწერის ნაწყვეტს, ნაწილობრივ ავსებს მის დანაკლის დასაწყის ნაწილში.

Sin.Geo.O.17.პარაკლიტონი.1061წ. 309 ფ., 20,6x14,2 სმ.; ეტრატი, თავნაკლული; ნუსხური; დასაწყისები სინგურით;აქვს მოხატული საზედაო ასოები და გრაფიკულად შესრულებული თავსამკაული; გადაწერილია ჯვრის მონასტერში გიორგის მამობის დროს (307v); შეწირულია სინის მთის ქართველთა ეკლესიისათვის; გადამწერი: გაბრიელ საყუარელი (307v); ხის დაზიანებული ყდა; პარაკლიტონი შეიცავს აღდგომის დასდებლებს, 8 ხმაზე დალაგებულ ოთხსტროფიან გალობებს. ერთიანდება Jer. Geo. 48-ის რედაქციის პარაკლიტონთა ჯგუფში: Jer Geo. 48, Sin. Geo.O.3, Sin. Geo.O.13, Sin. Geo.O.17, Sin.O.Geo.O.21.

Sin.Geo.N.25.პარაკლიტონი. XI ს. 48ფ; 17X12სმ.; ეტრატი; თავბოლონაკლული; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით. ფრაგმენტი შეიცავს მეშვიდე-მერვე ხმათა საგალობლებს. მისდევს XI ს. პირველი ნახევრის რედაქციის პარაკლიტონებს: Sin.Geo.O.3, Sin.Geo.O.13,Sin. Geo.O.17, Sin.Geo.O.21; Sin.Geo.N. 25 შედარებით მოკლე შედგენილობისაა.

Sin..Geo.N 57. პარაკლიტონი. XI ს. 181ფ.; 12x8,5სმ.; ეტრატი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით;მომგებელი: დავითი.პარაკლიტონი წარმოადგენს გამონაკრებს. ამავე რედაქციას მიეკუთვნება Sin.Geo.O.3, Sin.Geo.O.13, Sin.Geo.O.17, Sin.Geo.O.21 ხელნაწერები. ნუსხა დაწერილი უნდა იყოს შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის ლავრაში, რაზედაც უნდა მიუთითებდეს წმ. სვიმეონის მოხსენიება ანდერძში: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა...წმიდისა სუმეონ საკურველთმოქმედისაჲთადა ყოველთა ნებისმყოფელთა მისთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი დავით, მოგებად ამათ წმიდათა საგალობელთა პარაკლიტონთა...(180r-v).

Sin..Geo.N 40. პარაკლიტონი. XI ს. 6 ფ. ეტრატი; 16,3x12,5; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები, საგალობელთა დასახელებები სინგურით. პარაკლიტონი XI ს- I ნახ. რედაქციისაა. შეიცავს ნაწყვეტებს VII და VIII ხმების საკვირაო საგალიბლებიდან. რედაქციულად დგას:Sin.Geo.O.3, Sin. Geo.O.13, Sin.Geo.O.17, Sin.Geo.O.21 და Sin.Geo.N.14, Sin.Geo N.25, Sin.Geo.N.76-თან.

Sin.Geo.N.76. პარაკლიტონი. XIს.13ფ.; ეტრატი; 16,5x12,3სმ.; ნუსხური; შავიმელანი და ყავისფერი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; განკვეთის ნიშნებად გამოყენებულია შავი და წითელი წერტილები. ფრაგმენტი შეიცავს პარაკლიტონის XI ს-ის I ნახ-ში შემუშავებული რედაქციის ტექსტს. იხ. აგრეთვე Sin.Geo.O.34 (147r,195v) და პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის ბერძნული ფონდის ხელნაწერი Греч.XI, 1r-v. აგრეთვე Sin.Geo.O.17, 301r–303r. პარაკლიტონის ამავე რედაქციას მიეკუთვნება Sin.Geo.O.3, Sin.Geo.O.13, Sin.Geo.O.17, Sin.Geo.O.21 დაSin. Geo.N.14, Sin.Geo. N.25, Sin.Geo. N.40.

Sin.Geo.N.30. პარაკლიტონი. XII ს.28ფ.; ეტრატი; 16x11,5სმ.; ნუსხური; შავიმელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; ფრაგმენტები შეიცავს პარაკლიტონის I ხმის კვირა დღის, სამშაბათ-ხუთშაბათის სტიქარონებსა და კანონებს. წარმოადგენს გამონაკრებს გიორგი ათონელის რედაქციის ვრცელი პარაკლიტონიდან.

Sin.Geo.O.67. პარაკლიტონი. XIII ს. 331ფ.; 32x24სმ.; ქაღალდი, ნუსხური. სათაურები და დასაწყისები სინგურით, თავფურცელზე გამოსახულია გოლგოთის ჯვარი; ტყავის დაზიანებული ყდა; გადამწერი: ბასილი; შემმოსველი: თევდორე; გადაწერის ადგილი: სინა; პარაკლიტონი გიორგი ათონელის რედაქციისაა. შეიცავს აღდგომის დასდებლებს. ტექსტს ბოლოში ერთვის აკროსტიქული იამბიკო. ხელნაწერის საცავ ფურცლად გამოყენებულია Sin.Geo.O.35 ხელნაწერის ბოლო ფურცელი – გადამწერის ანდერძი იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფი. კრებული ნაკვლევია (Цагарели 1888: 221 n°55; Mapp 1940: 162; დვალი 1978: 72-80; კუტიბაშვილი 1980:122-126; კარანაძე 2002: 18-19). ერთვის როგორც თანადროული, ასევე XV-XVI სს-ის ანდერძ-მინაწერები.

Sin.Geo.O.5. მარხვანი.1052 ჭ.414 ფ.; ეტრატი; 24,5x16სმ.; ნუსხური; დასაწყისები და სათაურები სინგურით; ორი გადამწერი: იოვანე და დიმიტრი, მომგებელი: გიორგი მორკნეველი, შემმოსველი: ნისთერეონი, გადაწერის ადგილი: საბაწმინდის ჯერაკუმია. ყდა ამოუტვიფრავი ყავისფერი ტყავისა. წარმოადგენს მარხვანის ყველაზე ადრეულ, ვრცელ რედაქციას, რომელსაც საფუძვლად უდევს კოსტანტინეპოლური საღვთისმსახურო წესი, მაგრამ კრებულის სტრუქტურაში შენარჩუნებულია დიდი იადგარისთვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენები, რომლებსაც არ იცნობს ბიზანტიური წარმომავლობის მარხვანები. კრებული ჩამოყალიბებულია პალესტინურ გარემოში. მარხვანში შეტანილია ეფთვიმე ათონელის თარგმნილი ერთი განგება (ხევსურიანი 2016:42-43,45).ხელნაწერი თარიღდება ანდერძის საფუძველზე:„...ამათ ყოველთა ოხითა და შეწევნითა მოძღურისა ჩემისა იოვანე გოლგოთელისაჲთა ღირს მყო სახიერმან მღდელი ცოდვილი იოვანეაღწერად წმიდისა ამას წიგნისა... დაიწერა ქორონიკონსა ობ ჯერაკუმიას. და შეიმოსა ჴელითა ნისთერეონისითა, ღმერთმან აკურთხენ სული მათი, ამენ“ (414r). მარხვანი აღწერილი და შესწავლილია (Цагарели 1888: 222 n°56; КеКелидзе 1908: 392; ჯავახიშვილი 1947: 14-16; ჯღამაია 1961: 33-57; ინგოროყვა 1965: 238, 369; აღწერილობა 1979: 8-27; მენაბდე 1980:38; ხაჩიძე 2000: 18-37).

Sin.Geo.O.75. მარხვანი. XI ს. 450 ფ. (346 ფ. ეტრატი+94 ფ. ქაღალდი); 19,5x14 სმ.; ქაღალდი; ნაკლული, დაზიანებული; ნუსხური, დასაწყისები და სათაურები სინგურით; უყდო; გადამწერები: მათე, თევდორე, მოძღვარი სამოთხელი. კრებული წარმოადგენს მარხვანის ყველაზე ადრეულ, ვრცელ რედაქციას. ხელნაწერმა ნაკლული სახით მოაღწია. იწყება ხორცის აღების კვირიაკის საგალობლებით და წყდება დიდი ხუთშაბათის ცისკრის კანონზე. კრებულს საფუძვლად უდევს ღვთისმსახურების კოსტანტინეპოლური ტრადიცია; ამავე დროს კრებულის სტრუქტურაში შენარჩუნებულია დიდი იადგარისთვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენები, რომლებსაც არ იცნობს ბიზანტიური წარმომავლობის მარხვანები. ამდენად, ცხადი ხდება, რომ Sin.Geo.O.5. ხელნაწერის მსგავსად Sin.Geo.O.75 ჩამოყალიბებულია პალესტინურ გარემოში (ხევსურიანი 2016:42-43).რედაქციულად მიჰყვება Sin.Geo.O.5.

Sin..Geo.O.70. მარხვანი. XII-XIII სს.255 ფ.; 27x20სმ; ქაღალდი; ნუსხური; გამოიყოფა 5 ხელი, დასაწყისები და სათაურები სინგურით; ტყავგადაკრულ ხის ყდა. ხელნაწერი Sin.Geo.O.5-ისაგან განსხვავებული რედაქციისაა. ერთვის არსენ იყალთოელის ანდეძი: „ვინაჲთგან წმიდათა მამათა... ეფთჳმის და გიორგის მთაწმიდელთა ორგზის ეთარგმნეს წმიდისა ანდრეა კრიტელის მწყემსმთავრის მიერ აღწერილნი ესე გალობანი...მე, უღირსმან... მონაზონმან არსენი ვიკადრე მესამედ თარგმნაჲ ამათი უცვალებელად... რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძულად აღეწერნეს,...ბრძანებითა...დავით, აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისაჲთა, რომელმან მე თარგმანებისა, ხოლო წმიდასა მწყემსთა მწყემსსა იოვანეს, ქართლისა კათალიოზსა, ჴმისა დადე-

ბისა ჴელყოფაჲ გჳბოძა, ვიანაჲთგან უცხონი იყვნეს ენისა ჩუენისაგან ძლისპირნი ამათნი..."(131). ხელნაწერი აღწერილი და შესწავლილია, ანდერძი გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 222 n°57; Марр 1903:42; 1907: 141; 1940:196-205; აღწერილობა 1979:44-45). არსენ იყალთოელის ამავე შინაარსის ანდერძი დასტურდება საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერში Geo.5, რომლის ანდერძი გამოქვეყნებულია (თაყაიშვილი 1933:42).

Sin.Geo.N.26p. მარხვანი. XIII-XIV სს.1ფ; 26x16,5 სმ.; ქაღალდი; ნუსხურით; შავი მელანი; სათაური და საზედაო ასოები სინგურით;recto შეიცავს უფლის მეორედ მოსვლის თემაზე ჰიმნოგრაფიულ კანონს. ტექსტის სიმცირისა და დაზიანების გამო ვერ ხერხდება მისი იდენტიფიცირებული, v-ზე იწყება ლაზარეს მწუხრი.

Sin.Geo.N.27p. ზატიკი. XII-XIIIსს. 7 ფ; ქაღალდი; 23x17სმ.; ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სათაურები და ტროპართა დასაწყისები სინგურით. ფრაგმენტი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდლის შედგენილი ზატიკის უცნობი ნუსხის ფრაგმენტს. ნაწყვეტების სახით შემონახულია: აღვსების (1r), აღდგომის შემდგომი ორშაბათისა (1r-v) და პარასკევის (2r-v), ახალკვირის (3r–5v), შუა ზატიკისა (6r-v) და მარტვილიის (7r-v) სტიქარონები, კანონები და წარდგომანი.

Sin.Geo.N.10p. ანდრია კრიტელი. დიდი კანონი. XII-XIIIსს. 7ფ.; ქაღალდი; 24x17 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები დამუხლების დასაწყისები სინგურით. კანონი, რომელსაც შეიცავს ხელნაწერი თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ და შედის მარხვანის გიორგი მთაწმინდლის შემდგომ რედაქციაში. სრულდება დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს.

Sin. Geo.O.72. ზატიკი. XIIIს.173ფ.; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი ათონელის რედაქციის ზატიკის შემოკლებულ ვარიანტს. იწყება აღდგომის ორშაბათიოთ, ბრწყინვალე შვიდეული შეიცავს სრულ კანონებს, ასევე სრულ კანონითაა წარმოდგენილი განგება კვირა დღეებისა. ძველი ფენა აჩვენებს თანხვედრას Sin.Geo.O.5 ხელნაწერთან, ხოლო გარკვეული ნაწილი კი მიჰყვება შემოქმედის გულანს (ხეც. Q 103) (ჯავახიშვილი 1947: 109-112).

Sin..Geo.N.24. თვენი. XI ს.6ფ.; ეტრატი;ნ 17x12სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი;საგალობელთა დასახელებები და დასაწყისები სინგურით; რიტმული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია როგორც შავი მელანი, ისე სინგური. შეიცავს წმ.საბა განწმედილის ხსენების (5დეკ.) საგალობლებს. ფრაგმენტები ამჟამად უცნობი ხელნაწერის ნაწილია. ტექსტობრივად მისდევს დუმბარტონ ოუქსში დაცული XI ს-ის I ნახ. რედაქციის თვენის Dumbarton Oaks MS2 შესამაბის საგალობლებს (20r-27v). ამავე რედაქციისაა Sin.Geo.N.41.

Sin.Geo.N.41. თვენი. XI ს. 15ფ.; ეტრატი, 19,5(20)x17სმ.; ნუსხური;შავი მელანი, სათაურები მთავრულითა და სინგურით; მეტრული პუნქტუაცია წითელი წერტილებით. შეიცავს კონსტანტინეპოლური კალენდრით 6, 21, 25, 27, 31 დეკემბრისა და 1-2 იანვრის დღესასწაულთა და ხსენებათა საგალობლების ფრაგმენტებს. რედაქციულად მისდევს Dumbarton Oaks MS2-ს. ქართული თვენის ეს რედაქცია ჩამოყალიბდა XI ს-ის I ნახ-ში X ს-ის იადგარის ბაზაზე ახალი შევსებით. თვენის ეს რედაქცია Dumbarton Oaks-ის ხელნაწერის საფუძველზე ნაკვლევია, გამოქვეყნებულია წმ. ბოასადმი მიძღვნილი საგალობელი (Blake 1960; Garitte 1964:29-64; კეკელიძე 1962: 5-36; ჯღამაია 1961: 33-57).

Sin. Geo.O.7/2. თვენი. XI-XII სს. 237 ფ.; ეტრატი; 25,5x19,5 სმ.; ნაკლული; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. ორივე ნუსხა შეიცავს სექტემბერ-დეკემბრის თვის მასალას. იანვრის თვის მხოლოდ ერთი ფურცელია შემონახული. არშიებზე მიწერილია ავტორთა სახელები. კრებულის მთარგმნელ-რედაქტორია გიორგი ათონელი. Sin.Geo.O.7/2-ის 129 v-ზე იოვანე დამასკელის ჰიმნებს ერთვის ქართულ თარგმანთან დაკავშირებული რედაქტორისეული განმარტება. ხელნაწერში ბერძნულ საგალობლებთან ერთად შესულია ქართული მასალაც; ქართველ

ჰიმნოგრაფ იოვანე მიჩხის საგალობელს ახლავს შემდეგი განმარტებითი მინაწერი: „ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა დიდსა დიდითა ვედრებითა აღუწერებიან მინჩხისადა..."(3r). „გალობანი" ნაკვლევი და გამოცემულია (Mapp 1903:13;ჯავახიშვილი 1947:145;ინგოროყვა 1965:130-136;კვირიკაშვილი 1969: 26-29,ჯღამაია 1972: 52-66); გადამწერს კრებულში ასევე შეაქვს ილარიონ ქართველის სახელზე შედგენილი ჰიმნებიც (დოლაქიძე 1971:159-185). კრებულში შესული იოვანე დამასკელის შობის ჰიმნის ქართული თარგმანი ნაკვლევია (კეკელიძე 1956:183-197;1980:172; აღწერილობა 1979:162-200).

Sin. Geo.O.9.თვენი. XI-XII სს. 72 ფ.; ეტრატი; 26x20 სმ.; აქვს კოპტური ფურცლობრივი პაგინაცია; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; თავფურცელზე გამოსახულია აყვავებული ჯვარი. ტექსტს ამკობს წნული ორნამენტისაგან შედგენილი თავსამკაული; შეიცავს მარტისა და აპრილის დასაწყისის მასალას, საგალობლების გასწვრივ გვხვდება ავტორთა სახელები. კრებულის მთარგმნელ-რედაქტორია გიორგი ათონელი. თვენი განეკუთვნება Sin.Geo.O 7/2 და Sin. Geo.O. 56 ჯგუფის ხელნაწერებს (ჯავახიშვილი 1947: 22-23).

Sin..Geo.O.56. თვენი. XI-XII სს. 86ფ.; ეტრატი; 25x20სმ.; ნაკლული; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ორი ხელი. II ხელითაა გადაწერილი Sin-7/2.შეიცავს 21 ივნისიდან-11 აგვისტომდე პერიოდის მასალას. ადგილ-ადგილ საგალობლის გასწვრივ არშიაზე მიწერილია ავტორების სახელები. კრებულის მთარგმნელ-რედაქტორია გიორგი ათონელი (Mapp 1940:90-92).

Sin.Geo.N.18. თვენი. XI-XII სს.154 ფ.; ეტრატი; აკინძულია სამ ნაწილად; 5x20სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; ორი გადამწერი; ხელნაწერის II ნაწილს აქვს ტყავგადაკრული ხის ყდა. ხელნაწერი შეიცავს იანვარ-თებერვლისა და მაის-ივნისის საგალობლებს თვენის იმ რედაქციიდან, რომელიც შეადგინა გიორგი მთაწმიდელმა ბერძნული თვენების საფუძველზე. Sin.Geo.N.18 თითქმის მთლიანად ავსებს ძველი სინური კოლექციის თვენის ერთ ჯგუფს: Sin.Geo.O.7/2, Sin.Geo.O.9, Sin.Geo.O.56. თვენის ეს რედაქცია ნაკვლევია (კეკელიძე 1980: 226-228).

Sin..Geo.O.92.თვენი. XIII-XIVსს. 390ფ.; ქაღალდი; ჩაკინძულია ორად გაკეცილი ეტრატის პალიმფსესტური ფურცლები (373v, 386r), 21,5x14,5სმ.; თავბოლონაკ-ლული; ნუსხური; აქვს ქართულ-ბერძნული რვეულებრივი პაგინაცია; ამავე ხელითაა გადაწერილი Sin.Geo.O.93, Sin. Geo.O.94, Sin.Geo.O.95. ხელნაწერი შეიცავს 21 ნოემბერ-14 აგვისტოს „უფალო ღაღადტყავსას" და „წარდგომანს". ახლოს დგას გიორგი ათონელის თვენთან, თუმცა ზოგიერთი ადგილი სხვაობს. პალიმფსესტური ფურცელის ქვედა ფენა დაწერილია X-ის მთავრულითა და წარმოადგენს სინური წიგნსაცავის კატალოგს (Mapp1940:264-268; Outtie1973: 38; აღწერილობა 1979:262-288).

Sin. Geo.O.93. გამოკრებილი თვენი. XIII-XIV სს. 412 ფ.; ქაღალდი; 21,5x14სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; ნაკლული; ყდიანი; ერთვის ყდაში ჩაკერებულიორად გაკეცილი ეტრატის ფურცელი,რომელიც შეიცავს საკითხავების ფრაგმენტებს პავლეს ეპისტოლედან ეფესელთა მიმართ და ფსალმუნიდან (ფრაგმენტიX ს. თარიღდება).საგალობელთა უმრავლესობა იძებნება გიორგი ათონელის რედაქტირებული თვენის ადრეულ ნუსხაში (Цагарели 1888: 215 n°48; Mapp 1940: 268-269; აღწერილობა 1979:288-298).

Sin..Geo.O.94. გამოკრებილი თვენი. XIII-XIV სს.212 ფ.; ქაღალდი; 22x14,5სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; ნაკლული; ყდიანი; ხელნაწერს აქვს რვეულებრივი სათვალავი არაბულად და ფურცლობრივი სათვალავი კოპტური ასოებით. შეიცავს 3 სექტემბრი-27 აგვისტოს საგალობლებს. თვენი გამოკრებილია. ტექსტებს აქვს მიწერილი საგალობელთა ავტორების სახელები. გალობათა უმრავლესობა იძებნება გიორგი ათონელისეული თვენის ადრეულ ნუსხებში. (Цагарели 1888: 208-209 n°27; Mapp 1940: 269-270; აღწერილობა 1979: 298-303).

Sin..Geo.O.95. გამოკრებილი თვენი. XIII-XIVსს. 69ფ.; ქაღალდი+2 ფ., ეტრატი; 22x13,5სმ.; ნუსხური. ბოლონაკლული; შეიცავს 1 სექტემბერი -26 ოქტომბრის ჰიმნოგრაფიულ კანონებს; რედაქციულად დგას გიორგი მთწმიდელის თვენთან, თუმცა სხვაობები მაინც შეინიშნება. Sin.Geo.O.95 ავსებს Sin.Geo.O. 93-ს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ორი ნუსხა ერთი ჰიმნოგრფიული კრებულის ნაწილებია. ხელნაწერის პირველი ორი ფურცელი წარმოადგენს დიდი ფორმატის ეტრატს, რომელიც შეიცავს X ს-ის ლექციონარის ფრაგმენტს, კერძოდ, 15 იანვარს არჩილ ქართველის ხსენება (Garitte 1958:132). ტექსტი გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 209 n° 28; Mapp 1940: 271; აღწერილობა 1979:303-305).

Sin.Geo.O.66 კურთხევანი. X ს., 133 ფ.; ეტრატი; 19x16სმ.; ნუსხური; სამი ხელი; ნაკლული; ხელნაწერი იოანე-ზოსიმეს რედაქტირებულია; 83v-ზე გამოსახული არიან პეტრე და პავლე; ხელნაწერი წინა ათონური პერიოდის კურთხევანია; კეკელიძის აზრით, კურთხევანი იერუსალიმურ-პალესტინური რედაქციისაა (კეკელიძე 1980: 584). ჟ. გარიტმა ნუსხის დასაწყის ფურცლებს მიაკვლია მინაგანას ქართულ კოლექციაში Mingana.Geo.1 (Цагарели 1888: 212-213 n° 37; Mapp 1940:152-162; Garitte 1960:249-251;გარიტი 1973: 170-182; კარანაძე 2002: 14, შენ. 75, დამ. I, №14).

Sin.Geo.N.49. კურთხევანი. XI-XIIსს. 16ფ.; ეტრატი; 13,5x10,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ფრაგმენტი რედაქციულად მისდევს Sin.Geo.O.73 (აღწერილობა1987: 96,100).

Sin.Geo.O.73. კურთხევანი. XII-XIII სს. 266ფ.; ქაღალდი; 16x10,5სმ; ნუსხური; სათაურები დასაზედაო ასოები სინგურით; აქვს რვეულებრივი პაგინაცია; ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია X ს-ის მთავრულით დაწერილი ნევმირებული იდგარის (Sin.Geo.O.1) ფრაგმენტი; რესტავრირებულია X-XVI სს-ის ქართული, არაბული და ბერძნული ხელნაწერების ფრაგმენტებით. ხელნაწერს ერთვის ლოცვები და ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები. ხელნაწერს უძღვის „ზანდუკი კურთხევათაჲ". განსხვავდება Sin.Geo.O.66-ისა და Sin.Geo.O.12 კურთხევანებისაგან. ნუსხას ერთვის XVI ს-ის მინაწერები: 94v, 173v, 263r, 266r [Цагарели 1888: 213 n°38; ჯავახიშვილი 1947: 112- 118).



64. Sin.Geo.O.66. 84r

Sin.Geo.N72. კურთხევანი. XIIIს. 14ფ; ეტრატი; 12,4x9,5 სმ; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულით. შეიცავს: ნაწყვეტს ჰიმნოგრაფიული კანონიდან, ნაწყვეტს კურთხევანიდან და მარკოზ მონაზვნის სავედრებელ ლოცვას ღმრთისმშობლისადმი.

Sin.Geo.N.2ა. საგალობლები. X-XIსს. ეტრატი; გრაგნილი; 184X16,5 სმ.; შედგება 4 კეფისაგან; ნუსხური, სხვადასხვა ხელი, recto – მოყავისფრო მელანი; verso – შავი მელანი; საგალობელთა სათაურები, ტროპართა დასაწყისი მთავრულით, სინგურით; ნევმები სინგურით. recto-ზე ქრისტეს შობის საგალობლები: კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონი, ორი სტიქარონი „აქებდითსა"ზედა, ცისკრის ლოცვები. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანო-

ნის ტექსტი ემთხვევა Sin.Geo.O.1, 35v-37vდა Sin.Geo.N.3s; იბაკოები დალაგებულია ხმათა თანმიმდევრობით. ზოგიერთი მათგანი დადასტურებულია იადგარის უძველეს რედაქციაში (იადგარი 1980:335-336). verso-ზე გადაწერილია ჯვრისა და აღდგომის საგალობლები, რომლებიც ასევე დასტურდება სხვა სინურ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში (Sin.Geo.O.1,155v-158v,354v-355v; Sin. Geo.O.64,169r-170v; Sin.Geo.O.65,220v).

Sin.Geo.N.3s. საგალობლები. X, XII-XIII სს.ეტრატი; 103x16(16,5)სმ.; 2 კეფი,გრაგნილის recto: კოზმა იერუსალიმელის ქრისტესშობის კანონი; ნუსხური; შავი მელანი;მისდევს ტექსტს, რომელიც სათარგმნია X ს. პირველ ნახევარში და შეტანილია იადგრის ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში (Sin.O.Geo.1,35v–37r) [Xს.]. verso-ს ხვადასხვა შინაარსისა და ლიტურგიკული დანიშნულების სტიქარონები, ნუსხური, ყავისფერი მელანი, ტექსტი არ იკითხება.

Sin.Geo.N.16. საგალობლები. XII ს.2 ფ; ეტრატი; 15,5X12სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. ფრაგმენტი პარაკლიტონის ან ჟამნის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. სრული სახით შესულია გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონის ავტოგრაფიულ ნუსხაში (Ath. 45, 248r) (Blake 1933-1934:238).

Sin.Geo.N.32p. საგალობელთა კრებული. XII-XIII სს.15ფ.; ქაღალდი;15x11სმ.;ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სასელწოდებები სინგურით; ხელნაწერის ტექსტი გიორგი მთაწმიდლის მარხვანიდან უნდა იყოს მიღებული. შეიცავს: იოანე დამასკელის აღვსების კანონს, ნაწყვეტს საკვირაო საციასკრო ანტიფონური გალობის რვახმიანი კომპლექტიდან, რომელიც თეოდორე სტუდიელს მიეწერება.

Sin.Geo.N7. საგალობელთა კრებული. XIIIს. 154ფ.; ეტრატი; 24x18,5სმ.; ხელნაწერის ფურცლები, გარდა რამდენიმესი, პალიმფსესტია; ორივე ფენა ნუსხურია; შავი მელანი; სათაურები სინგურით; საზედაო ასოები მთავრულით; უყდრო; მისდევს კონსტანტინოპოლურ კალენდარს. კრებული მოკლე რედაქციისაა. შეიცავს ნაწყვეტს პარაკლიტონდან. წარმოადგენს გამონაკრებს გიორგი ათონელის მიერ შედგენილი ვრცელი პარაკლიტონიდან.

Sin.Geo.N.21p. საგალობელი. XII-XIII სს. 3ფ.; ქაღალდი; 16,5x12,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სათაურები, ძლისპირისა და საგალობლის დასაწყისი ასოები მთავრულითა და სინგურით. ფრაგმენტებში შემორჩენილია ნაწყვეტები კანონის სამი გალობიდან: კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა. შეადარეთ ძლისპრებს n°140,143,147 (მეტრეველი 1971:95,96,98). არ ჩანს, თუ რომელი წმინდანისადმია მიძღვნილი საგალობელი.

Sin.Geo.N64. ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. Xს. 60 ფ; ეტრატი; 12,5x10 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ძლისპირ-ღმრთისმშობლისების დასაწყისი ასოები მთავრულით; საზედაო ასოები უმეტეს შემთხვევაში მხატვრულადაა გაფორმებული შავი მელნითა და სინგურით; ზოგიერთი ძლისპირი ნევმირებულია. წარმოდგენილია ძლისპირთა და ღმრთისმშობლისათა უძველესი ფენა. კრებული ცალკე წიგნად ჩანს გადაწერილი.

Sin.Geo.N69. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. Xს.51ფ.; ეტრატი; [15,5x12სმ.]; პალიმფსესტი; ქვედა ტექსტი ბერძნულია; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; [გადამწერი: იოვანე-ზოსიმე]. ხელნაწერი გადაწერილია ცალკე წიგნად. ძლისპირთა რიგი არ მისდევს ირმოლოგიონებისათვის დამახასიათებელ წესს (მეტრეველი1971:11). ძლისპირები წარმოდგენილია ცალკეულ კანონებად; მათი განმეორების შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ ტექსტის დასაწყისი.ხელნაწერში ძლისპირებთან ერთად შეტანილია შესატყვისი ღვთისმშობლისას ტექსტი. ზოგი ძლისპირი გამოცემულ ტექსტებში არ ჩანს(მეტრეველი 1971; კიკნაძე 1982).

Sin.Geo.N.78. ღმრთისმშობლის საგალობელი. XI-XIIსს. 4ფ; ეტრატი; 18,5x15სმ.; ნუსხური, შავი მელანი.

Sin.Geo.N28p. ღმრთისმშობლის საგალობელი. XIIს.1ფ; ქაღალდი; 27x14,5სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაური სინგურით. აქვს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი.

Sin.Geo. N.30p. ღმრთისმშობლის საგალობლები. XII-XIII სს. 4ფ., ქაღალდი; 16x11სმ.; ნუსხური, შავი მელანი; საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით. ფრაგმენტი შეიცავს ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი V და VI ხმების ორი კანონის არასრულ ტექსტებს. კანონები შეტანილია გიორგი ათონელის პარაკლიტონის ავტოგრაფულ ხელნაწერსა Ath.45(შდრ. Blake 1933-1934 :238) და ჟამნის გიორგი ათონელის რედაქციაში (Jer.127, 181r–186v) (შდრ.Blake 1925-1926: 136) .

Sin.Geo.N.44. ფსალმუნისა და ლოცვანის ფრაგმენტები. X-XI სს.4+1+1ფ; ეტრატი; 19x13,5; 17,2x13,5; ფურცლები სხვადასხვა ზომისაა და, სავარაუდოდ, ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებია. ნუსხური;შავი მელანი:გამოყენებულია სინგურიც; ფსალმუნის დასაწყისსა და დასასრულს გვხვდება ბიბლიური გალობები, რომელთა ტექსტი ძველი, წინარე ათონური რედაქციისაა. ფსალმუნის ტექსტი,სავარაუდოდ, გიორგი ათონელის რედაქციისაა.

Sin.Geo.N.45. იბაკონი. XIIს. 4ფ; ეტრატი, 17X12,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით. ფრაგმენტში შედის: კვირიაკეთა ღამისთევისათვის განკუთვნილი „ღვთისმშობლის იბაკოები“ და „იბაკონი სულისანი“.

Sin. Geo.N.7s. ზიარების ლოცვები. ფრაგმენტები. XIV ს. გრაგნილი; 1 კეფი; ქაღალდი; 30x18,5; ნუსხური; შავიმელანი; სათაურებისინგურით; გადამწერი: ელისე. ნაწერია კეფის ორივე მხარეს. გრაგნილში მოხსენიებული ელისე უნდა იყოს XIV-ის I მეოთხედში სინაზე მოღვაწე ელისე ჩიდანის ძე (კარანაძე 2002: 33), რომელიც გაბრიელ ვარძელთან ერთად მონაწილეობას იღებდა ხელნაწერების გადაწერასა და აღდგენა განახლებით პროცესებში (აღწერილობა 1979:131, შენ. 9; 1987:147, შენ.7; 169, შენ.4; ჯავახიშვილი 1947:20). გრაგნილი XIV-ის I მეოთხედით უნდა დათარიღდეს.

Sin.Geo.N.86. ლოცვანი. XII-XIII ს.10ფ.; ეტრატი; 8,3x6,3სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები მთავრულით და სინგურით.

Sin.Geo.N.91.ლოცვა. XI ს. 3ფ.; ეტრატი;17x13სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულით; მთარგმნელის ანდერძის დასაწყისი სინგურით, მთავრულით. მთარგმნელი: ეფთვიმე (3v). ლოცვის ტექსტი, ეროვნული არქივის №321 ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია, ავტორად მიჩნეულია ეფთვიმე ათონელი (კეკელიძე 1974:11). ფრაგმენტის ტექსტი ემთხვევა გამოცემის 16,26-17 გვერდებს. სხვა ქართულ ხელნაწერებში ავტორად დასახელებულია ბასილი კესარიელი. ავტოროობა საბოლოოდ დადგენილი არ არის (ქაჯაია1992:156).

Sin.Geo.O.77. ჰიმნოგრაფიული კრებული. XIII-XIV სს. 204ფ., ქაღალდი, ბოლოში ჩაკრულია ეტრატის პალიმფსესტური ფურცელი, მთავრული, ნუსხური; ხელნაწერი კონვოლუტია, სამი სხვადასხვა ნუსხის საფუძველზეა შედგენილი; ზომებიც სხვაობს: 16,4x11,8სმ.; 20,4x13,8სმ.; 19,2x13,3სმ.; II ნაწილს აქვს კოპტური ფურცლობრივი სათვალავი; რესტავრირებულია ქართული, ბერძნული და არაბული ხელნაწერების ნაკუწებით; შეიცავს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ ნუსხურითა და მხედრულით გადაწერილს სინის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნს, ბევრ ჩამატებასა თუ მინაწერს. წარმოადგენს პარაკლიტონის სხვადასხვა ტექსტის ნაკრებს. ტექსტები ძირითადად გიორგი ათონელის რედაქციისაა; ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში (Цагарели 1888: 217-221, №54; ჯავახიშვილი 1947:123-124, № 77; აღწერილობა 1987: 150-169).

Sin.Geo.O 90. კრებული. XIV ს. 89ფ., ქაღალდი; 9,5x7სმ., ნაკლული; დასაწყისები და სათაურები სინგურით. გამოიყოფა ხუთი ხელი, ერთ-ერთი გადამწერი: ბართლომე (67v-73r). შედის: ა. კალენდარული თანამიმდევრობით ხსენებები, მიჰყვება გიორგი ათონელის სვინაქსარის კალენდარს, ქართველ წმინდანთააგან მხოლოდ წმ. ნინოს ხსენებაა შეტანილი; ბ. კვიმატი დღეების

კალენდარ, გ. ავგაროზი, დ. კალენდარული წინასწარმეტყველება, ე. მოციქულთა წილთა ყრის ტექსტი და ცხრილი, ვ. ლოცვა სახლისათვის, ზ. ქრონიკონი, თ. აღდგომის მარხვისა და ზატიკის მასალა ლიტურგიკული შენიშვნებით (Цагарели 1888: 213,n 39; Марр 1940: 251-255).

Sin.Geo.N16p. საწელიწდო დღესასწაულების სტიქარონ-წარდგომათა კრებული. XII-XIII სს., 44ფ; 21,5x12,5 სმ; ქაღალდი; მთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით. სტიქარონ-წარდგომანი დალაგებულია კონსტანტინოპოლური კალენდრის მიხედვით. ხელნაწერი შეიცავს მასალას 1 სექტემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით.

Sin.Geo.N.93. უცნობი ხელნაწერის ანდერძები. X ს.1ფ.; ეტრატი; ფრაგმენტი; 10x7,5სმ.; ფურცლისrectoნაწერია ნუსხურითა და მთავრულით, verso-წვრილი მთავრულით;მელანი შავი; 2 ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა წმიდისა ხარიტონისა პალავრას“ იქვე: „ლოცვა-ყავთ. თევდორეს და მისთა მშობელთა შეუნდოს ღმერთმან, ამენ“.

Sin.Geo.N.5p.დაუდგენელი შინაარსის ფრაგმენტი.XI ს.1ფ.; ქაღალდი; 11,5x9 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ფრაგმენტი წარმოადგენდა ტყავის ცარიელი ყდის საცავ ფურცელს. ფოტოასლი გამოქვეყნებულია (აღმოჩენები 2005: 627).

Sin. Geo.N.33p. სხვადასხვა ფრაგმენტი. XII-XIV სს.4ფ; ქაღალდი;13x11სმ.; 15x12სმ, 25x16 სმ., 28x20სმ.; ნუსხური; საგალობელთა და ლოცვის არაიდენტიფიცირებული ტექსტები.


ვატიკანის ქალაქი-სახელმწიფო

ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკა დაარსდა XV ს-ში, პაპ ნიკოლოზ V (1447-1455) დროს. დღეისათვის ბიბლიოთეკა ითვლის 1,6 მლნ. ნაბეჭდ, 82000 ხელნაწერ, 150000 ფოტო ერთეულს, ინკუნაბულებს, 400 000 მონეტასა და მედალიონს. ქართული ხელნაწერი წიგნი ვატიკანის სამოციქულო ეკლესიის 2 ფონდშია განთავსებული: 1. Codices Vaticani, ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფონდია. მასში შესულია 2 ერთეული ქართული ხელნაწერისა, თუმცა ვატიკანის არქივში დაცული ჩანაწერების მიხედვით ივარაუდებოდა 3 ხელნაწერი წიგნის არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი არ იძებნება; 2. Borgia. Iberico, ანუ კარდინალ სტეფანო ბორჯიას ფონდში, რომელშიც დაცული 13 ქართულ ხელნაწერ წიგნზე ინფორმაცია ქართული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მიხეილ თარხნიშვილის „Bedi Kartisa"-ში პუბლიკაციით (Tarchnichvili 1962: 61-71). მოგვიანებით ქართველმა მეცნიერმა თ. შურღაიამ გამოაქვეყნა წერილი ვატიკანში დაცული ქართული ოთხთავისა და, ზოგადად, Codis Vaticani-ში მისი მოხვედრის საკითხებთან დაკავშირებით. სტატიაში მკვლევარი ვრცლად შეეხო ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებულ ვატიკანის საარქივო მასალას, ასემანისა (Assemanni 1719) და მაის (Mai 1831) აღწერილობებს (შდრ.: შურღაია 2006). ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე ვატიკანის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები ქართველ მეცნიერთათვის ყველაზე მიუწვდომელ ერთეულებს წარმოადგენდა. ამჟამად უკვე დაიწყო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ციფრული ვერსიების გამოქვეყნება. მაგრამ, სამწუხაროდ, ვატიკანის სამოციქოლო ბიბლიოთეკის დღეს არსებულ ციფრულ ფონდში, რომელიც მოიცავს 4500 ერთეულის დიგიტალურ ვერსიას, ჯერჯერობით იძებნება მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი[1]. წინამდებარე გამოცემაში ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-პელეოგრაფიული მონაცემები შედგენილია მ. თარხნიშვილის, თ. შურღაიას ზემოთ დასახელებული პუბლიკაციებისა და კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ცენტრში დაცული მ. თამარაშვილის საარქივო მასალის საფუძველზე. ცალკეულ შემთვევებში გათვალისწინებულია ცალკეულ ხელნაწერებთან დაკავშირებული კვლევის შედეგები. აქვე დავძენთ, რომ კატალოგში არ შეგვაქვსVat. Borg. 2, Vat. Borgia 3 და Vat. Borgia 5, რადგანაც ესაა ძველნაბეჭდი წიგნები და მათ შესახებ ინფორმაციის თავმოყრა სცილდება პროექტის მიზანებს.

Vat. Iberiko 1. ოთხთავი. XI ს. შუა წლები, 305 ფ.; ეტრატი; 22×16,5 სმ.; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, წითელი და ლურჯი მელნით. ოთხთავის ტექსტს უძღვის დეკორირებულ კამარებში მოქცეული აყვავებული ჯვრის გამოსახულება, ევსებიოსის წერილი და კანონები. არშიებზე არაერთი მინაწერია, მათ შორის მხედრულითაც. ხელნაწერი ვატიკანის ფონდში შევიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის პიეტრო დელა ვალეს კოლექციიდან (Ciampi1880). წიგნი მ. თარხნიშვილმა X ს-ით დაათარიღა (Tarchnichvili 1962: 61), მაგრამ კოდექსის ანდერძ-მინაწერებისა და მხატვრულ დეკორატიული სისტემა წიგნის გადაწერის დროისა და ადგილის დაზუსტებით განსაზღვრის საშუალებას ქმნის. ვატიკანური ხელნაწერის დეკორირებული კამარები და საზედაო ასოები აბსოლუტურ მსგავსებას ავლენს 1054 წელს შავ მთაზე, კალიპოსისი ლავრაში გადაწერილ ალავერდის ოთხთავთან (ხეც A 484) (კლდიაშვილი 2005: 165-167). ამავე დროს, ორივე წიგნის შექმნა უკავშირდება XI ს-ის 50-60-იან წლებში მოღვაწე დვალების მწიგნობარ-კალიგრაფთა ოჯახს. Vat.Iberiko 1-ის 279r -ზე გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „დაესრულა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი ჴელითა უღირსისა მიქელ დიაკონისაჲთა სულიერისა ძმისა, კეთილისა ბერისა სჴმეონისათჳს. ღმერთმან შეაწიენ წმიდანი მახარებელნი და ახმარენ ნებასა შინა ღმრთისასა წმიდაჲ ესე სახრებაჲ, ამენ..." სწორედ ეს მიქაელი და სჳმეონი არიან 1054 წელს კალიპოსის ლავრაში გადაწერილი ალა-

[1] ვატიკანის ბიბლოთეკის ციფრული კოლექციისათვის იხ.:http://www.mss.vatlib.it/guii/scan/link1.jsp?fond=Borg.ill.

ვედის ოთხთავის მომგებელ-გადამწერები (ხეც A 484). შესაბამისად, ვატიკანის ხელნაწერი გადაწერილია XI ს-ის შუა წლებში შავი მთაზე არსებულ კალიპოსის ლავრაში. ხელნაწერს ახლავს ნუსხურითა და მხედრულით შესრულებული არაერთი მინაწერი, რომლებშიც მოხსენიებული პარხლისა და პალატის მონასტერთა და ალექსაანდრე მეფის იდენტიფიკაცია კვლავ სამომავლო საკითხად რჩება ისევე, როგორც ვატიკანური ოთხთავის ტექსტის რედაქციული თავისებურებანი. მ თარხნიშვილის აზრით, ნუსხა წინარეათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს (Tarchnisvili 1962: 63-64). ხელნაწერი არაერთხელ მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში (თაყაიშვილი 1950: 177-187; უტიე 1992: 119; კლდიაშვილი 2005: 150; Shurgaia 2000: 164-167; 2011: 615-616; შურღაია 2006; ქავთარია 2011: 90-92).



65-66. ვატიკანის ბიბლიოთეკის ქართული სახარების აღწერილობა. ალექსანდრე ცაგარელის არქივი №8

Vat. Iberico 2. ფსალმუნი. XVII ს.178 ფ.; ქაღალდი; 14,5×9,5 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; 175v, 176r ასტროლოგიური ხასიათის მინაწერები. ფსალმუნი გვიანდელი რედაქციისა უნდა იყოს.

Vat. Borgia. 1. ვახუშტი ბატონიშვილი. „აღწერა საქართველოს სამეფოისა“. XVIII ს. 477ფ.; +5; ქაღალდი; 33×21 სმ.; მხედრული; ტყავის ტვიფრული ყდა. გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. დათარიღებულია ჭვირნიშნით; ქაღალდი სავა იაკოვლევის ფაბრიკის წარმოებისაა. საქართველოს სამეფოს აღწერის ძირითად ტექსტს მოსდევს 5 ფ., რომლებზეც სვეტებადაა ჩამოწერილი მეფეების, მთავრებისა და პაპების ქრონოლოგიური ნუსხა.

Vat. Borgia. 2. „განხმული ჯოჯოხეთი“. XVIII ს. ქაღალდი; მხედრული. კათოლიკე მისიონერთა თხზულებები.

Vat. Borgia. 4. მამათა სწავლანი. თამარაშვილის საარქივო ჩანაწერების მიხედვით, 95ფ., ეტრატი; 24.7x18.3 სმ. შედგენილობა: იოანე ოქროპირის, ეპიფანე კვიპრელის, გრიგოლ ნეოკესარიელის, კირილე ალექსანდრიელის, ეფრემ ასურის, სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიები, თეოდორე კვირელის „აღსარებაჲ მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ“ და წმ. პანტელეიმონის მარტვილობის 2 ფრაგმენტი. თარხნიშვილის თვალსაზრისით, კრებულში შესული თეოდორე კვირელის თხზულების ბერძნული დედანი არ არის ცნობილი. ქართულ ტრადიციაში თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ თარგმანილმა ამ თხზულებამ 3 ხელნაწერით მოაღწია (კეკელიძე

1957: 59). ვატიკანურ ნუსხას 59r-60v გვერდებზე ერთვის ქრონიკალური ცნობები, რომლებშიც თარხნიშვილი გარკვეულ ანაქრონიზმზე მიუთითებს. აღმწერლის შენიშვნით, ხელნაწერი შესწავლილი აქვს ვატიკანის ბიბლიოთეკის ვიცე-პრეზიდენტ არნ. ვან ლანშოტს.

Vat. Borg. 6. ოთხთავი. XVII-XVIII სს. 404 გვ., ფ.; 21,5×15 სმ.; ქაღალდი; მხედრული, შავი მელანი, შატყავგადაკრული ხის ყდა. ტექსტი თანამედროვე ტრადიციის შესაბამისად დაყოფილია თავებად და მუხლებად. სათაურები მთავრულით, თითოეულ სახარებას წინ უძღვის ავტორის შესსმა. ბოლო გვერზე ლათინური ლექსია. პროპაგანდის კოლექციაში შეტანილია 1841 წელს ა. გლაკოვის მიერ.

Vat. Borg. 7. კურთხევანი. XIII-XIV სს. 85 ფ.; 21×15 სმ.; ნუსხური; ნაკლული. ხელნაწერში შემონახულია წმ. პეტრეს ლიტურგია. ტექსტი გამოქვეყნებული აქვს მ. თარხნიშვილს (Tarchnischvili 1950 (a): 84-92). ხელნაწერის შესახებ სხვა კოდიკოლოგიური მონაცემები კატალოგში არაა გამოქვეყნებული.

Vat. Borg. 8. თეოდორე სტუდიელი. სწავლანი. თარიღი არაა მითითებული. 186 ფ.; ეტრატი; 19,5×15 სმ.; ნუსხური; ყდა წითელი. თავნაკლული; გადამწერი ელია (186a-186b), გადაწერილია ჯურის(?) წმ. გიორგის მონასტრისთვის. გარდა თეოდორე სტუდიელის 39 ჰომილიისა, აქვეა იოანე ოქროპირის 1 ჰომილია. მარხვის ციკლის თხზულებებია.

Vat. Borg. 9. ქადაგებათა კრებული. 1831 წ. ქაღალდი; 18×11 სმ.; მხედრული; გადამწერი ანტონ გლახაშვილი. შეიცავს ახალ ქართულზე შესრულებულ 14 ქადაგებას. სავარაუდოდ, კათოლიკური წიგნია. ხელნაწერი სოლომონ დოდაშვილის გრამატიკასა და რუსულ-ქართულ გრამატიკასთან ერთად ანტონ გლაკოვმა 1841 წელს გადასცა პროპაგანდას.

Vat. Borg. 10. თომას კემფელი. მიბაძვა ქრისტესი. XVIII-XIX სს., ქაღალდი, 16,9×10 სმ.; მხედრული. თარხნიშვილის შენიშვნით, 1734 წელს რომში ლათინურიდან თარგმნა გორელმა ტლუკაანთ პაპაშვილმა დავითმა. მისი ანდერძი ხელნაწერს ერთვის ბოლოში.

Vat. Borg. 11. „მიწყალეს“ განმარტება. XVIII ს. ქაღალდი, 17,5×10 სმ.; მხედრული. კათოლიკური წიგნი.

Vat. Borg. 12. „გული მარიამისა“. 1759 წ. ქაღალდი, 16,3×9,7 სმ.; მხედრული, ნათარგმნი ფრანგულიდან. კათოლიკური წიგნი.

Vat. Borg 13. „გული მარიამისა“. XVIII ს. ქაღალდი, 15,2x11 სმ.; მხედრული. იმავე ხელით, რომლითაც Vat. Borg. 12-ია გადაწერილი. კათოლიკური წიგნი.

Vat. Borg. 14. „ჯვარი მსუბუქი“. ქაღალდი, 11×8,5 სმ.; მხედრული.

Vat. Borg. 15. „გული შემუსვრილი“. XVIII ს. 129 ფ.; ქაღალდი, 10,6×8 სმ.; მხედრული, მთავრული და ნუსხური. ხელნაწერში 7 ფურცელი სინანულის ლოცვაა ჩამატებული. ყდის საცავ ფურცლებზე კერძო პირის ქრონიკალური ცნობებია.

პროპაგანდის არქივი

„დიონისე არეოპაგელისა ათინელ ეპისკოპოზისა ტიმოთეს მიმართ ეფესელთა ეპისკოპოზისა სიღმრთოთა სახელთათვის“.[1] 1836 წ. 284 გვ.; ქაღალდი, 35×22 სმ.; მხედრული, შავი მელანი, ზოგი გვერდი დაუწერელია. ქაღალდის ყდა. გადამწერი: ანტონ თუმანოვი. წიგნის დედნად გამოყენებულია 1757 წელს ნუსხურით გადაწერილი ხელნაწერი. შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანს; 3r-ზე იტალიური მინაწერია, რომლის თანახმადაც ხელნაწერი 1867წელს ა. გლაკოვმა გადასცა კონგრეგაციას. წიგნი გადაწერილია ქართველ კათოლიკეთათვის: „ დიდება შენდა, სამებაო წმიდაო, ღმერთო, რომელმან წაჰრმართე აღსრულებად წმიდისა ამის წიგნისა დიონისიოსისა ხელითა ჩემ უღირსისა მღუდლის ანტონ მოძღვრის თუმანოვის, კათოლიკე მრევლთ შემვლელის ქუთაისის ქალაქისა, სამოციქულო მისიონერის მიერ...“


[1] საფონდო ნომერი აღწერილობაში არაა მითითებული.

იტალიის რესპუბლიკა


ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტორიო ემანუელ III სახელობის ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკა განლაგებულია ნეაპოლის სამეფო სასახლეში. იგი დაარსდა XVIII ს-ის დასასრულს. ბიბლიოთეკა ფლობს 1 480 477-ზე მეტ ნაბეჭდ წიგნს, 18 415 ხელნაწერს, 4500 ინკუნაბულას, 1800 პაპირუსს, ბროშურებისა და პერიოდული გამოცემების მდიდარ კოლექციას. ბერნარდე ნეპოლელის ქართული ხელნაწერები მის ფონში შევიდა 1936 წელს.

იტალიაში ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ პირველი ცნობები საზოგადოებას მიეწოდა 1896 წელს, როდესაც ავსტრიელმა მეცნიერმა ჰ. შუხართმა ქალაქ ტორე-დელ-გრეკოს კაპუცინთა ეკლესიაში მიაკვლია მისიონერ კაპუცინელ მისიონერ ბერნარდე მარია ჩოფის, იმავე ბერნარდე ნეაპოლელის მიერ საქართველოში ყოფნის დროს (1670-1680 წწ-ში) თარგმნილ, შედგენილ და გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს (Schuchardt 1896; შუხართი 1896: 2-3). შემდგომი ცნობა ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შედგენილი ქართული წიგნების შესახებ 1902 წელს ამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა (თამარაშვილი 1902: 682-683). 1953 წელს მ. თარხნიშვილმა იტალიაში არსებული ქართული ხელნაწერებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ცნობა ნეაპოლში არსებული „ქართლის ცხოვრების" 40-გვერდიანი ფრაგმენტის შესახებ (თარხნიშვილი 1953: 25-26). იტალიაში დაცული ქართული ხელნაწერებისადმი ქართველ მეცნიერთა ინტერესი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ისტორიკოსმა ვ. სილოგავამ გამოაქვეყნა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XIV ს-ის ანონიმი ავტორის – „ჟამთააღმწერლის" 2-ფურცლიანი ფრაგმენტი H-1067. ფრაგმენტზე ე. თაყაიშვილის მიერ მიწერილი შენიშვნის თანახმად, ხელნაწერი ფურცლები ბერნარდე ნეაპოლელის მიერ თარგმნილი და ტორე-დელ-გრეკოს ეკლესიაში დაცული ქრონიკის ნაწილს წარმოადგენდა (სილოგავა 2009: 5-14). აღნიშნული ფრაგმენტების შემცველი 40-გვერდიანი ქრონიკისა და ტორე-დელ-გრეკოში დაცული ბერნარდე ნაეპოლელისეული სხვა ხელნაწერების მოძიებას, შესწავლა-კატალოგიზაციას შეუდგა იტალიაში მოღვაწე მკვლევარი გ. შურღაია. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენრში დაცული ალ. ცაგარლის არქივისა და იტალიში ამ საკითხთან დაკავშირებული საარქივო მასალის დაწვრილებითი შესწავლის გზით მკვლევარმა დაადგინა როგორც ბერნერდე ნეაპოლელისეული ხელნაწერების დღევანდელი ადგილსამყოფელი – ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკა, ასევე მათი რაობა და რაოდენობა (შურღაია 2016: 181-209). გაირკვა, რომ საქართველოსა და იტა-


MUNICIPIO
DI
TORRE DEL GRECO
SEGRETERIA
OGGETTO

67. ტორე-დელ-გრეკოს მუნიციპალიტეტის ცნობა ქართული ხელნაწერების შესახებ. მიხეილ თამარაშვიის არქივი №8



68. ტორე-დელ-გრეკოს მუნიციპალიტეტის ცნობა ქართული ხელნაწერების შესახებ. მიხეილ თამარაშვიის არქივი №8

ლიაში დაცულ საარქივო ჩანაწერებში დასახელებული „რესკანიანისა“ და „ბაამას“ ადგილსამყოფელის ზუსტი დასახელება ამჟამად შეუძლებელია (შურღაია 2019:200). მოგვაქვს ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „XX 122“ შიფრით დაცული ქართული ხელნაწერების გ. შურღაიას მიერ გამოქვეყნებული ნუსხა[1]:

1. 12 ზღაპარი და პოემის ნაწყვეტი. III+83+II ფ., ჩაწერილია ბერნარდე ნეაპოლელის მიერ.

2. იტალიურ-ქართული ლექსიკონი. V+169+[4]+II ფ., შედგენილი ბერნარდე ნეაპოლელის მიერ. ლექსიკონი შესწავლილია (Орловская 1972; 1986: 94-109; 1965: 177). ლექსიკონის მიკროფირები დაცულია საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლოთეკაში ფ. 1-1966/248,249.

3. XVII ს-ის ისტორიულ პირთა ბარათები. 200 ფ., გადამწერი ბერბარდე ნეაპოლელი;

4. „პავლენი“ და „სამოციქულო“; I+182+2 ფ., გადამწერი ბერნარდე ნეაპოლელი.

5. მთავრულისა და მხედრულის კალიფრფიული ნიმუშები. 2 ფ.

6. კარდინალი ბელარმინი. „დიდი კატეხიზმო“. I+237+[2] ფ., მთარგმნელი ბერნარდე ნეაპოლელი.

7. კატეხიზმო, ანუ „საგონებელი საქრისტიანო დღითი დღედ თუემდის“. 40 ფ. იტალიურიდან მთარგმნელი ბერნარდე ნეპოლელი.

8. ფრანცისკ სალესელი. „ფილოტეა“ ანუ „საღვთისმოსავო ცხოვრება“. 397+[6] ფ. იტალიურიდან მთარგმნელი ბერნარდე ნეაპოლელი.

9. ქართულ-იტალიური ლექსიკონი. (I+359+[1] ფ. შემდგენელი ბერნარდე ნეაპოლელი. ლექსიკონი შესწავლილია (Орловская 1972; 1986: 94-109; 1965: 177). ლექსიკონის მიკროფირები დაცულია საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლოთეკაში ფ. 1-1966/248,249.

10. ოთხთავი. II+278+II ფ. გადამწერი ბერნარდე ნეაპოლელი.

[1] გ. შურღაიას ნუსხის მიხედვით, ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკაში „XX 122“ შიფრით დაცულ მასალაში,გარდა ქართული ხელნაწერი წიგნებისა, შესულია კარდინალ ბელარმინის „მოკლე კატეხიზმოს“ ბერნანდე ნეაპოლელისეული ქართული თარგმანის 1681 წლის გამოცემა, სომხური „ლოცვანი“ და კერძო პირთა წერილები (შურღაია 2016: 201).

ისრაელის სახელმწიფო

იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ქართული კოლექცია

იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიაქროს ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში დღეისათვის დაცულია 161 ერთეული, რომელთაგან 1 სომხური (Jer.Geo. 147), ხოლო 2 (Jer.Geo.88, Jer.Geo.155) ძველნაბეჭდი წიგნია. კოლექციის შეკრება და მისი ისტორია სათავეს იღებს XI ს-ის პირველ ნახევარიდან, როდესაც მონასტრის შენების მოთავე გიორგი პროხორემ პარალელურად დაიწყო ზრუნვა ჯვრის მონასტრის წიგნსაცავით უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ქართული ხელნაწერი წიგნის იერუსალიმური კოლექციას, ფაქტობრივად, შეიძლება ვუწოდოთ ჯვრის მონასტრის კოლექცია. მაგალითისათვის მოვიხმობთ გიორგი-პროხორეს მიერ ჯვრის მონასტრის წიგნსაცავისთვის დაკვეთილ ერთ-ერთი პირველ წიგნს – ცნობილ კალიგრაფ იოვანე დვალის მიერ 1038 წელს საბაწმინდაში გადაიწერილ „იოვანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანებას“ (წიგნი ამჟამად ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში საფონდო ნომრით M 13). ჯვრის წიგნსაცავის შევსებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უშუალოდ იერუსალიმში მოქმედ მონასტრებში, ასევე სინის მთის, შავი მთისა და საქართველოს სამონასტრო სკრიპტორიუმებში მოღვაწე მწიგნობრები. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდში დაცული XII ს-ის მოხატული ოთხთავი (Geo.28) საქართველოშია გადაწერილი სპეციალურად ჯვრის მონასტრისთვის. საზღვარეთის ქართულ სამწიგნობრო-სამონასტრო ცენტრთაგან სწორედ ჯვრის მონასტრის წიგნთა კოლოფონებმა შემოგვინახეს ცნობები იმ ეპოქის იერუსალიმში მიმდინარე კულტურულ-პოლიტიკური პროცესებისა და სოციალურ ჯგუფთა სამწიგნობრო საქმიანობაში ჩართულობის შესახებ, რის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, თუნდაც, ქართულ ხელნაწერ წიგნებზე (ხეც H-1661, BnF[1]Geo. 28) არსებული ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელთა მინაწერები.

იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკისადმი სამეცნიერო ინტერესი გააძლიერა XIX-XX სს-ის მიჯნაზე იქ ჩასულ მეცნიერთა მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებულმა ინფორმაციამ. ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა პირველი აღწერილობა შეადგინა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, მაგრამ მისი ეს შრომა საკმაო ხნის განმავლობაში ვერ დაიბეჭდა ან თუ დაიბეჭდა, შემდგენლის ვინაობა სწორად არ იყო აღნიშნული (მენაზდე 1980: 14). სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ქართული ორიგინალური მწერლობისათვის მანამდე უცნობი მეტად მნშვნელოვანი თხზულების, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, აღმოჩენის ფაქტს. სამეცნიერო სივრცისათვის მეტად მნიშვნელოვანი და, ფაქტობრივად, მთელი კოლექციის შესახებ იმ დროისთვის ყველაზე სრული აღწერილობა შეადგინა ალექსანდრე ცაგარელმა (Цагарели 1886, 1888, 1889, 1894). ცაგარლისეულ აღწერილობას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს-ის დასასრულს იერუსალიმის ქართული კოლექციის დაცულობის ისტორიის კვლევისათვის. მკვლევარმა კატალოგში შეიტანა ინფორმაცია 138 ხელნაწერი წიგნის შესახებ. დღეისათვის მის მიერ ნანახი და გამოქვეყნებული ნუსხების გარკვეული ნაწილის იდენტიფიკაცია ძალზე რთულია, რადგანაც ცაგარლისეული კატალოგის ზოგი ერთეული აღარ იძებნება, რამდენიმე მათგანმა შეიცვალა ადგილსამყოფელიც. 1902 წელს იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკას, უკვე რომელშიც თავმოყრილი იყო როგორც ჯვრის, ასევე სხვა სავანეების (უფლის საფლავი, ხარიტონის ლავრა, დერტავი, დერთუფა) ქართული ხელნაწერები, სამეცნიერო მიზნებით ეწვია ნიკო მარი (Марр 1903(a): 42). დროის სიმცირის გამო, მეცნიერმა შეძლო საფუძვლიანად აღეწერა მხოლოდ 38 ხელნაწერი წიგნი, გადმოეწერა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოეტანა ნუსხების შესახებ სრული ინფორმაცია გადამწერთა და მომგებელთა ვრცელი ანდერძების თანხლებით[2]. ნ. მარმა საგანგებო ყურადღება

[1] საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა

[2] ნ. მარის აღწერილობა დაიბეჭდა მოგვიანებით (მარი 1955).

მიაქცია და ვრცელი გამოკვლევის თანხლებით გამოსცა იერუსალიმურ კოლექციაში დაცული 2 ადრეული ძეგლი: „იერუსალიმის წარტყვევნა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (Mapp 1909; 1911). მასვე ეკუთვნის ჯვრის მონასტრის აღაპთა პირველი გამოცემა, რომელშიც შესულია როგორც იერუსალიმური სვინაქრის Jer.Geo.24 _ Jer.Geo.25 ფურცლებზე არსებული აღაპები, ისე სხვა ხელნაწერებში დადასტურებული მოსახსენებლები (Mapp 1914). ამ გამოცემამ დიდად შეუწყო ხელი ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას და ერთგვარი ბიძგი მისცა აღაპების შემდგომ სამეცნიერო გამოცემას, რომელშიც, გარდა იერუსალიმში დაცული ხელნაწერებისა, გათვალისწინებულია ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული აღაპების კ. ფონ ტიშენდორფისეული ნუსხა _ Cod.Ms.V1095.UB, ფრ.III. (მეტრეველი 1962). მარის აღწერილობის ხუთი ხელნაწერი არ იძებნება ცაგარლის შრომაში, ხოლო ოთხი _ ბლეიკის კატალოგში, რომელიც მკვლევარმა იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოში მუშაობის შედეგად შეადგინა. კატალოგში შესულია 161 ერთეულის აღწერილობა, რომელთაგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთი სომხური წიგნია, ხოლო ორი – ქართული ძველნაბეჭდი (Blake 1922-1923, 1924, 1925-1926). ჩვენი პროექტის მიზნიდან გამომდინარე წინამდებარე პუბლიკაციაში ამ სამი ერთეულის შესახებ მონაცემი არ არის შესული. დღეისათვის რ. ბელიკის ზემოთ დასახელებული შრომა არის ყველაზე სრული კატალოგი, რომელშიც მოწოდებულია ხელნაწერ წიგნთა ყველა კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული მონაცემი, ანდერძ-მინაწერთა ფრაგმენტები.

იერუსალიმის ქართული ხელნაწერი წიგნების ლიტერატურული მნიშვნელობისა და კულტურათა დიალოგის ამსახველი პროცესების ანალიზისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება მათში შესული ტექსტების კვლევასა და პუბლიკაციას. ქართველ მეცნიერებს ამგვარი შესაძლებლობა გაუჩნდათ მხოლოდ მე-20 ს-ის 50-იანი წლებიდან, ანუ მას შემდგომ, რაც 1949-1950 წწ-ში იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კვლევის მიზნით მათი მიკროფირები გადაიღო ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ექსპედიციამ (Clark 1953), ხოლო 1955 წელს კონგრესის ბიბლიოთეკამ მიკროფირები გადმოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (შანიძე 1956; ლოლაშვილი 1956), რამაც ქართველ მეცნიერებს მისცათ საშუალება შესდგომოდნენ იერუსალიმური ხელნაწერების კვლევასა და ტექსტების პუბლიკაციას[1].

იერუსალიმური კოლექციის ტექსტებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძველი აღთქმის ქართული თარგმანების ხელნაწერთა (Jer.Geo 7, Jer.Geo.11 და Jer.Geo 113) კვლევას. ამ სახის სამეცნიერო სამუშაომ ბიბლიის ქართული რედაქციის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო სურათი გამოავლინა. გაირკვა, რომ ჯვრის მონასტერში XI-XIII სს-ში კვლავ შენარჩუნებული იყო ძველი აღთქმის წიგნთა ადრებიზანტიური თარგმანები, რომლებიც ბიბლიის ტექსტისა და ქრისტიანულ აღმოსავლეთში რედაქციათა გავრცელების ისტორიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს წარმოადგენენ. ძველი აღთქმის იერუსალიმის კოლექციაში დაცულ წიგნთაგან საგანგებო ყურადღება დაეთმო ფსალმუნის ტექსტსაც. სწორედ ამ კოლექციაშია წარმოდგენილი ფსალმუნის გიორგი ათონელისეული რედაქციის შემცველი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერები Jer.Geo 133 და Jer.Geo. 161, რომლებიც ფსალმუნის ქართული რედაქციის აკადემიური ტექსტის გამოცემას დაედო საფუძვლად (შანიძე 1960(ხ). კვლევის შემდგომმა მიმართულებამ მოიცავა ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერი წიგნები. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა ჰიმნოგრაფიული კრებულის – თვენის ქართული რედაქციის თავისებურებაზე. Jer.Geo.98, Jer.Geo.110 გათვალისწინებით გამოიცა თვენის ქართული რედაქციის ჩამოყალიბების, მისი შედგენილობისა და გიორგი ათონელის სამწიგნობრო

[1] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფოტომასალისა და მიკროფირების სიძველის გამო, არც ისე იოლია ზოგიერთი ხელნაწერის ფოტოასლიდან ტექსტის ამოკითხვა. გარდა ამისა, ხელნაწერი წიგნის სრულყოფილი კვლევისათვის აუცილებელია უშუალოდ მასთან მუშაობა, რადგანაც ფოტოასლი არ გვაძლევს წიგნის სრულყოფილი კოდიკოლოგიური კვლევის (კინძგა, დეკორი, საწერი მასალისა და საშუალებების ფაქტურა და სხვ.) საშუალებას.

მეთოდის საკითხებთან დაკავშირებული შრომები (ჯღამაია 2007). ცალკე კვლევის ობიექტად იქცა მაკარი მეგვიპტელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველი კრებულები (ნინუა 1982; ბრეგაძე 1988; მელიქიშვილი 2012(ხ): 348-359;). კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის მკვლევართა თანამშრომლობით გამოიცა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების კორპუსი (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017). იერუსალიმური ქართული კოლექციის საფუძველზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქრისტიანული მწერლობის მაკედონურ ხანაში მიმდინარე სამწიგნობრო რეფორმა და კონსტანტინოპოლური რედაქციების გავრცელება რთული და სანგრძლივი პროცესი იყო. ამავე კოლექციის არაერთ ხელნაწერში ერთი და იმავე კრებულში პარალელურად ვსვდებით ადრებიზანტიური და მაკედონური ხანის რედაქციებს.

წინამდებარე გამოცემაც ხელნაწერთა შესახებ ძირითადი კოდიკოლოგიური ინფორმაციისა და წიგნთა ნუმერაციის დროს ეყრდნობა რ. ბლეიკის კატალოგს (Blake 1922-1923; 1924, 1925-1926). გარდა ამისა, ინფორმაცია შევსებულია ცალკეულ ხელნაწერთა კვლევის შედეგები საფუძველზე, შესაბამისი ლიტერატურის მითითებით. თითოეული ერთეულისათვის დართულ ბიბლიოგრაფიაში რ. ბლეიკის კატალოგი დამოწმებულია მხოლოდ სხვა შრომათაგან განსხვავებული თვალსაზრისის არსებობის შემთვევაში. წინამდებარე გამოცემაში ხელნაწერები დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით.

ბიბლიური წიგნები

Jer.Geo.7 /Jer.Geo.11. ძველი აღთქმა. XI ს. II ნახევარი. 128+214 ფ.; ეტრატი; 37,8×29,5 სმ.; თავნაკლული; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების დასასრული მთავრულით. გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. კრებულებში შედის მხოლოდ მცირე და დიდ წინასწარმეტყველთა წიგნები. ორ წიგნად დაყოფილი ბიბლია ბერძნუ-



69. Jer.Geo.7 /Jer.Geo.11. 65v-66r

ლი ტრადიციის შესაბამისად იწყება მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებით. ტექსტები განეკუთვნება ადრებიზანტიურ რედაქციას, ძალზე ახლოს დგას ოშკის ბიბლიასთან (Ivir.Geo.1), მაგრამ არ მიჰყვება მას აბსოლუტური იდენტობით, რამაც წარმოშვა ვარაუდი, რომ იერუსალიმური ხელნაწერის დედანი არის არა ოშკის ბიბლია, არამედ რომელიღაც სხვა, შესაძლოა, გაცილებით არქაული ხელნაწერი (Цагарели 1888: 143). ხელნაწერი XII ს-შია ნასწორები. იერუსალიმურ ხელნაწერში დაცული ტექსტის რედაქციული თავისებურებამ კარგა ხანია მიიპყრობს მეცნიერთა ყურადღება. წიგნების კვლევის შედეგების გარდა, გამოქვეყნდა წინასწწარმეტყველთა ცალკეული წიგნები (Blake 1926: 322-379; 1961; დანელია 1964: 150-184; გოგუაძე 1971: 79-92; ქურციკიძე 1970: 273-305; 1973(a): 32-116, 229-238, 254-263, 270-305; 1973(b): 31-40; ცქიტიშვილი 1976; ჭელიძე 2005: 105-106; სქ.82; მელიქიშვილი 2012(b): 54-85). არც ერთ კრებულს არ შერჩა გადამწერის ვრცელი ანდერძი, მაგრამ მათში იკითხება როგორც გადაწერის თანადროული, ასევე გვიანდელი მინაწერები. რ. ბლეიკის თანახმად, კრებულის გადამწერია სჯმეონ მთაწმინდელი, თუმცა მისი მინაწერი ამჟამად ხელნაწერში აღარ იძებნება. Jer.Geo.11-ის გადამწერის ხელით შესრულებულ მინაწერებში მოხსენიებიან მონასტრის დამაარსებელი გიორგი-პროხორე და ჯვარის მამა მაკარი.

Jer.Geo.113. მეფეთა I-IV წიგნები. გამოკრებილი. XIII-XIV სს. ქაღალდი.; 208 ფ.; 23,2×15,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. ხელნაწერი თავბოლონაკლულია (Цагарели 1888: 153,№3).

Jer.Geo.49. ოთხთავი. XI ს. 279ფ.; ეტრატი; 27×20,1 სმ.; ნუსხური; გადამწერი: სჯმეონ მთაწმიდელი. ოთხთავს უძღვის ევსებიოსის კანონები. მათეს თავი იწყება მთ.7,3 მუხლით. ხელნაწერს აკლია შუაშიც. ლუკას თავის დასასრულს იკითხება გადამწერის მინაწერი: „ლოცვა ყავთ სჯმეონ მთაწმიდელისათჳს, წმიდანო მამანო“ (211r). იოანესს თავის დასარულს (279v) შემორჩენილია მხოლოდ გადამწერის ანდერძის ფრაგმენტი, რომელშიც დასახელებული არიან გადამწერის ოჯახისა და სულიერი ძმობის წევრები. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს, თავად წიგნის გადამწერი სჯმეონ მთაწმიდელი კი – ივირონის წინამძღვარი, გიორგი ათონელის თამნამედროვე, სავარაუდოდ, ჩორჩანელთა სახლიდან (Actes 1985: 46, 94; მეტრეველი 1998: 76 №113, 83, 114, 200, 203). მის ანდერძში მოხსენიებულ პირთა სახლები (მიქელი, ჩობინი, სულა, აბუსაკრი) გვხვდება სწორედ ჩორჩანელთა საგვარეულო მოსახსენებლებსა და კოლოფონებში (მეტრეველი 1998: 77 №37, 143, 213, 214). ალ. ცაგარლის თანახმად, ოთხთავი შეიცავდა 282 ფურცელს. ანდერძების ფრაგმენტები გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 154 № 7).

Jer.Geo. 153. ოთხთავი. XII ს. 145 ფ.; ეტრატი; 17,2×11,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; ზოგი მათგანი ფერადოვანია; ყოველი სახარების დასაწყისი შემკულია თავსამკაულებით; ყვითელი ტყავის ყდა. გადამწერი: იოვანე (46v), გადაწერის ადგილი: აღდგომის ეკლესია. ხელნაწერი იწყება მათე 26,3-დან. ლუკას სახარების დასარულს (101r) არსებული ვრცელი მოსახსენებელი გამოქვეყნებული არ არის. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებს (Цагарели 1888: 155 №12).

Jer.Geo. 103. ოთხთავი. XII-XIII სს. 199 ფ.; ეტრატი; 23,2×16,5 სმ.; თავბოლონაკლული; წიგნი შემკულია მინიატურებითა და დეკორირებული საზედაო ასოებით. გადამწერი: მაქსიმა ტაოელი. გადაწერის ადგილი უცნობია. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს. იწყება მათე 24,30 მუხლით; სახარებას დასასრულს ახლავს საკითხავთა ზანდუკი. მარკოზის, ლუკასა და იოვანეს თავებს წინ უძღვის მახარებელთა მინიატურები, იოვანე მახარებელი გამოსახულია პროხორესთან ერთად. 57r-ს არშიაზე არაიდენტიფიცირებული გრაფიკული გამოსახულებაა. რ. ბლეიკი ხელნაწერს XII-XIVსს-ით ათარიღებს, ალ. ცაგარელი XII-XIII სს-ით. ხელნაწერში რამდენიმე ადგილას მეორდება გადამწერის მინაწერი: „ამისა დამწერელსა მაქსიმა ტაოელსა შეუნდვნეს ღმერთმან“ (Цагарели 1888: 154 № 9).

Jer.Geo. 102. ოთხთავი. XII-XIV სს. 234 ფ.; ეტრატი; 25,6×20 სმ.; ნუსხური; შემკულია თავსამკაულებით, მახარებელთა მინიატურებით; ყდა ყვიფრული ყვისფერი ტყვისა. გადამწერი: იოანე ჯვარელი; გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს. იწყება ევსებიოსის წერილით კარპიანესადმი. სახარების დასაასრულს საკითხავთა ზანდუკია. გადამწერის ანდერძი იკითხება 234r-ზე. ცაგარლის მიხედვით, ხელნაწერი შეიცავდა 246 ფურცელს (Цагарели 1888: 254 № 8).

Jer.Geo.122. ოთხთავი. XIII-XIV სს. 471 ფ.; ეტრატი; 23,1×16,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; შემკულია ოთხი მახარებლის მინიატურით; ყდა ყვითელი ტყავისა. იწყება ევსებიოსის კარპიანესადმი წერილითა და კანონებით. ოთხთავის დასასრულს იკითხება საკითხავთა ზანდუკი. გადაწერის ადგილი და გადამწერი უცნობია; შემორჩენილია რამდენიმე გვიანდელი მოსახსენებელი. სავარაუდოდ, გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტია (Цагарели 1888: 155, №11).

Jer.Geo. 93. ოთხთავი. XIII-XV სს. 212 ფ.; ეტრატი; 25,7×19,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ტვიფრული ტყავის ყდა. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს. იწყება ევსებიოსის წერილით კარპიანესადმი; ოთხთავის დასასრულს საკითხავთა ზანდუკია. ხელნაწერს არ შემორჩენია ანდერძები (Цагарели 1888: 255 № 10).

Jer.Geo. 160. ოთხთავი. XVII ს. 340 ფ.; ქაღალდი; 13,2×8,4 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ხელნაწერი საპატრიარქო ბიბლიოთეკაში შესულია 1914 წ-ს წმ. აბრაჰამის მონასტრიდან. სახარებას ერთვის საკითხავთა ზანდუკი. აქვს რამდენიმე მოსახსენებელი.

Jer.Geo. 161. ფსალმუნი. XIII ს. 229 ფ.; ეტრატი; 20,2×17,3 სმ.; ნუსხური; მუხლთა დასაწყისები სინგურით. ხელნაწერი საპატრიარქო ბიბლიოთეკაში შესულია 1914 წ-ს წმ. აბრაჰამის მონასტრიდან. შეიცავს ფსალმუნისა და გალობების გიორგი ათონელისეულ რედაქციას. ბლეიკმა ხელნაწერს XIII-XVI სს-ით დაათარიღა (Blake 1925-1926: 153). ხელნაწერზე დართულ ანდერძში მოხსენიებული ქართლის კათალიკოს მიქაელის აღსაყდრების პერიოდისა და პალეოგრაფიული ნიშნების საუძველზე ფსალმუნი XIII ს-ით თარიღდება. ხელნაწერზე დართული მინაწერების საფუძველზე, რომლებშიც მოიხსენიებიან წიგნის მკაზმველი ნაომი, ბეენა ჩოლოყაშვილი და ჯვარის მამა ნიკოლოზი, დადგენილია წიგნის ჯვრის მონასტრისკენ გადანაცვლების ეტაპები. ტექსტი შესულია ფსალმუნის აკადემიურ გამოცემაში (შანიძე 1960(b).

Jer.Geo.133. ფსალმუნი. XIII-XIV სს. 213 ფ.; ქაღალდი; 21,2×17 სმ.; ნუსხური; სათაურები სინგურით; 1532 წ-ს ხელახლაა ყდაში ჩასმული ბეენა ჩოლოყაშვილის მიერ. შედის ფსალმუნი და გალობები. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა; გათვალისწინებულია ფსალმუნის აკადემიურ გამოცემაში (შანიძე 1960(b).

Jer.Geo. 136. ფსალმუნი. XIII-XIV სს. 195 ფ.; ქაღალდი, 20,8×16 სმ.; ნუსხური; შავი ტყავის ტვიფრული ყდა. ყდის საცავ ფურცელსა და 2r-ზე იკითხება რამდენი მეგვიანდელი მინაწერი, მათ შორის ელისე დმანელ ეპისკოპოსისა, რომელმაც ჯვრის მონასტერში ხელმეორედ აკინძა წიგნი. ტექსტი, სავარაუდოდ, გიორგი ათონელის რედაქციაა (Цагарели 1888: 153 № 6).

Jer.Geo. 129. საქმე მოციქულთა. ეპისტოლეები. XIV-XV სს. 321 ფ.; ეტრატი; 23,2×18,3 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ერთვის მომგებელ ბარნაბა თბილელის მიერ დართული საკითხავთა ზანდუკი, შედგენილი მის მიერვე მისივე ანდერძის თანხლებით (316v). ანდერძის თანახმად, წიგნი ნაყიდია 1588 წელს და შეწირულია ნიქოზის ეკლესიისთვის. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIII სს-ით ათარიღებს. ანდერძი გამოქვეყნებულია (Цагарели 1888: 155 № 14; Blake 1924-1925: 135).

Jer.Geo.115. საქმე მოციქულთა. ეპისტოლეები. 1755 წ., 486 გვ.; ქაღალდი, ნუსხური. კრებულში შესულია პავლეს ეპისტოლეები რომაელთა და ებრაელთა მიმართ, ასევე, კათოლიკე ეპისტოლეები და საკითხავთა საძიებელი. გადამწერი: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, გადაწერის ადგილი: თბილისი (Цагарели 1888: 157, № 20).


კრებულები

Jer.Geo.156. აგიოგრაფიული კრებული. 1040 წ. 203 ფ.; ეტრატი; 13,2×9,9 სმ.; ნუსხური; ძველი ყდა. გადამწერები: გიორგი და არსენი. კრებული თავნაკლულია; შედის „სვიმეონ მესვეტის ცხოვრების“, „წმ. მართას ლოცვის“, „წმ. სვიმეონ მეჯვარის ლოცვისა“ და „ეპისტოლის“, წმ. პროკოპისა და ათი კრეტელი მოწამის „მარტვილობებს“. კრებულის გადაიწერა შავ მთაზე 1040 წ. 1065 წლის ახლო ხანებში იგი შესწირეს ჯვრის მონასტერს (99r-101r, 205r-v). „მართას ცხოვრება“ შეისწავლა და გამოსცა ჟ. გარიტმა, რომლის თანახმად, თხრობა ითარგმნა შავი მთის ერთ-ერთ სკრიპტორიუმში (Garitte 1968: VIII-XI). კრებული შესწავლილია (მეტრეველი 2007: 283-286).

Jer.Geo.2. აგიოგრაფიული კრებული. XI ს. შუა წლები. 268 ფ.; ეტრატი; 39,8×27 სმ.; ნუსხური; 3 გადამწერი; შავი მელანი. გადაწერის ადგილი უცნობია. კრებულში შესულია 23 თხსულება. იწყება ღვთისმშობლის მიცვალების ციკლით, რომელშიც წარმოდგენილია იოვანე დამასკელის „გარდაცვალებისათვის წმ. ღმრთისმშობლისა“ ორი ჰომილია. მათ მოჰყვება სხვადასხვა თვეზე დადებული აგიოგრაფიული თხრობები, შემდეგი თანამიმდევრობითა და საკითხავთა რაოდენობით: სექტემბრის (5), ივლისის (1), თებერვლის (1), მაისის (1), აგვისტოს (1), დანარჩენ 11 ტექსტს არ აქვს მითითებული კალენდარული დღე. ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომლის 156r-229v გადაწერილია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. „ცხოვრება“ თავდაპირველი ცნობები გამოაქვეყნა ვ. ბენეშევიჩმა, ტექსტი შეისწავლა და გამოსცა ნ. მარმა (Марр 1911; Бенешевич 1912: 65-68). კრებულში 2-ჯერაა შეტანილი „ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრებისა და ღვაწლის“ ტექსტი: პირველად, 69r-ზე, მხოლოდ დასაწყისია გადამწერლისეული შენიშვნით: „ესე წმიდისა ათანასისა ცხორებაჲ მით არღარა დავწერეთ, რომელ დედაჲ მრუდი იყო და სხუაჲ მართალი არა გუქონდა;“ 115v-129v-ზე კი შეტანილია „ცხოვრების“ ვრცელი ტექსტი. ხელნაწერი აღწერილია. ალ. ცაგარლისეული ფურცელთა რაოდენობა (273 ფ.) არ ემთხვევა რ. ბლეიკისეულს (268 ფ.) (Цагарели 1888: 172 № 104; Марр 1911: XXXVIII-XL; Blake 1922-1923: 357).



70. Jer.Geo.2. 7v-8r



71. Jer.Geo.2. 258v 259r

Jer.Geo.3. აგიოგრაფიული კრებული. XI ს. შუა წლები. 220 ფ.; ეტრატი; 39,8×27 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით; ახლავს გვიანდელი მინაწერები, თანადროული ანდერძი დაკარგულია. კრებულში შესულია: საბინე ეპისკოპოსისა და კოზმან ბესტიტორის ეპისტოლეები, რვა აგიოგრაფიული თხზულება: ეპიფანე კვიპრელის (ფრაგმენტი), წმ. სილვესტრეს, ტიმოთე საკვირველმოქმედის, იოვანე მოწყალის, ბასილი ჰამელ ეპისკოპოსის, გრიგოლ აკრაკანტელის „ცხოვრებები", „წმ. ირინეს წამება". „გრიგოლ აკრაკენტელის ცხოვრების" მთარგმნელია X ს-ის მწიგნობარი დავით ტბელი (გაბიძაშვილი 2014: 74). კრებული და მასში შემავალი თხზულებები რედაქციულად არაა შესწავლილი. რ. ბლეიკის თვალსაზრისით, კრებული Jer.Geo.2-ის ნაწილია (Цагарели 1888: 172 №104; Blake 1922-1923: 362-365).

Jer.Geo.5. აგიოგრაფიული კრებული. ფრაგმენტი. XI ს. შუა წლები. 26 ფ.; ეტრატი; 39,8×27 სმ.; ნუსხური; 2 ფურცელი არ ეკუთვნის ამ ხელნაწერს. კრებული Jer.Geo.3-ისა და Jer.Geo.2-ის დასაწყისი ნაწილია. შეიცავს „სილიბისტრო ჰრომთა პაპის ცხოვრებას" (Цагарели 1888: 172 №104).

Jer.Geo.50. აგიოგრაფიული კრებული. XI ს. 258ფ.; ქაღალდი; 26,8×17,7 სმ.; ნუსხური; ახალი ყდა; გადამწერი: იოვანე; გადაწერის ადგილი: შეჰანის მონასტერი. აქვს რამდენიმე მინაწერი. აგიოგრაფიული კრებული შეიცავს 6 საკითხავს. კრებული თავნაკლულია. იწყება „მამათა სწავლანით", რომელსაც მოსდევს „ცხოვრებები" სვიმეონ მესვეტისა, სვიმეონ სალოსისა და იოვანე ოქროპირისა, მარტვილობები წმ. პროკოპისა და „ათთა ქრისტეს მოწამეთა, რომელნი კრიტეს აწამნეს". ხელნაწერში შესულია კიმენური აგიოგრაფიული თხზულებები, რომელთაგან „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ადრებიზანტიური თარგმანი, რომლის ბერძნულენოვანი დედანი ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი, გვხვდება კლარჯულ-პალესტინურ ხელნაწერებში ხეც H-2124 (968 წ.), Ivir.Geo.3 (979-980 წწ.) და Jer.Geo. 142 (XI ს.) (გვარამია 1986). „პროკოპის მარტვილობა" ეფთვიმე ათონელის თარგმანია, ხოლო „ათი კრეტელი მოწამის მარტვილობა" – დავით ტბელისა. გადამწერის ვინაობა და გადაწერის ადგილი ცნობილია ანდერძის მიხედვით: „... დაიწერა წმიდა უდაბნოსა შეჰანს, მამობასა გაბრიელ ტფილელისა, რომელმან აღაშენა უდაბნო შელანი(!)... ჴელითა ჩემ ფრიად

ცოდვილისა იოვანესითა (66v-67r)". ანდერძი სრული სახით გამოქვეყნებულია, ხელნაწერი შესწავლილია, რ. ბლეიკისეული დათარიღება გასწორებულია (მეტრეველი 2007: 234-257, 282-300).

Jer.Geo.142. „იოანე ოქროპირის ცხოვრება". XI ს. 240 ფ.; ეტრატი; 19,3×14,9 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ახალი ყდა. ანდერძ-მინაწერები დაკარგულია. თავ-ბოლონაკლულია. ხელნაწერში შესულია „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ადრეული, წინარე ათონური ქართული თარგმანი, რომლის ბერძნულენოვანი დედანი ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი. ხელნაწერი მცირედი ვარიანტული სხვაობებით მიჰყვება ამავე თარგმანის შემცველ კლარჯულ-პალესტინურ ხელნაწერებს ხეც H-2124 (968 წ.), Ivir.Geo.3 (979-980 წწ.) და Jer.Geo.50 (XI ს.). რ. ბლეიკი აღნუსხავს 139ფ-ს, ხელნაწერს XII ს-ით ათარიღებს, ალ. ცაგარელი – XII-XIIIსს-ით. (Blake 1925-1926: 142; Цагарели 1888: 172 № 103). წინამდებარე გამოცემაში თარიღი და ფურცელთა რაოდენობა გასწორებულია ხელნაწერისა და მასში შემავალი ტექსტის ფუნდამენტური კვლევის შედეგების საფუძველზე (გვარამია 1986: 022, 028, 173; გაბიძაშვილი 2014: 77).

Jer.Geo.149. აგიოგრაფიული კრებული. XI ს. 148 ფ.; ეტრატი; 13,5×7,7 სმ.; ნუსხური; მელანი შავი; საზოედაო ასოები სინგურით; მომგებელი: ლახტარა; გადამწერი: ანტონი; გადაწერის ადგილი: სავარაუდოდ, იერუსალიმი. წიგნი შეწირულია იერუსალიმის სამოელის მონასტრისთვის (147r-148v). კრებულში შედის კიმენური რედაქციის აგიოგრაფია: წმ. ეკატერინეს, წმ. მარინეს, წმ. ბარბარეს „წამებები", „წმ. ონოფრეს ცხოვრება" და მისი საგალობელი, „წმ. კვირიკესა და ივლიტას მარტვილობა". (Цагарели 1888: 174 N 107; გაბიძაშვილი 2014: 34, 37,38).

Jer.Geo.36. აგიოგრაფიული კრებული. XIII-XIV სს. 312 ფ.; ქაღალდი; 32,8×24,5 სმ.; ნუსხური, ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა. შედის „ცხოვრებები" და „მარტვილობები" როგორც მსოფლიო ეკლესიის, ასევე ქართველი წმინდანებისა: სილვესტრეს, დიონისე არეოპაგელისა, ევსტათისა, მარიამ მეგვიპტელისა, პროკოპისა, იოვანე ზედაზნელისა, შიოსი და ევაგრესი, მაკარი რომაელისა, ნიკოლოზისა, მელანიასი, კლემენტი რომის პაპისა, ონოფრე განშორებულისა, სვიმეონ მესვეტისა; ასევე, „სიბრძნე ბალავარისა"- მოკლე რედაქცია. 6v-ზე ნუსხურით იკითხება ხელნაწერის მკაზმველ იოსებ ხუნტუნისძის კოლოფონი. გვხვდება ასევე არაერთი გვიანდელი მინაწერი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია (მარი 1955: 42-44; კარანაძე 2002: 40). კრებულში შემავალი აგიოგრაფიული ძეგლების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია (გაბიძაშვილი 2014: 68, 114, 118, 125, 126, 183). „სიბრძნე ბალავარისა" გამოცემულია (აბულაძე 1937).

Jer. Geo.140. აგიოგრაფიული კრებული. XIII-XIV სს. 257ფ..; ქაღალდი; 5×13,3 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ყავისფერი ტყაგადაკრული ხის ყდა; გადამწერი: დავითაჲ (85r). კრებულში შედის ეფთვიმე ათონელის თარგმანები: 1 „ბალავარიანი" გაყოფილი ორ თხრობად: „სიბრძნე ბალაჰვარისა" (1r-85r) და „ცხორებაჲ და მოღუაწებაჲ ნეტარისა იოსადაფისა" (85v-170r); 2. „ცხორებაჲ ქსენოფორე სეფე წულისაჲ" (171r-185v); 3. „ცხორებაჲ ნეტარისა ალექსისაჲ კაცისა ღმრთისაჲ"(185v-195v), 4. „წმ. ონოფრეს ცხოვრება" (195v-205r) 5. „წმ მარინეს ცხოვრება" (105v-119v). ხელნაწერის მიხედვით, „ბალავარიანის" ვრცელი რედაქცია გამოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე (აბულაძე 1957; Lang 1957(c)) . აგიოგრაფიული ძეგლების რედაქციული თავისებურებებისა და გამოცემების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია (გაბიძაშვილი 2014: 38, 58, 63, 118).

Jer. Geo. 120. აგიოგრაფიული კრებული. XIV-XV სს. 239 ფ.; ქაღალდი; 24,1×18,1 სმ.; ნუსხური; ძველი ტვიფრული ყდა; დასაწყისი შევსებულია გვიანდელი ხელით. შემკაზმველი – ჯვრის მამა ეპიფანე (239r). კრებულში შესულია მეტაფრასული და კიმენური აგიოგრაფია: „სილიბისტროს ცხოვრება", „ევსტრატის წამება", „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება", სასწაული „ხალკჯპრას ქრისტეს ხატის მიერ", „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება და გარდაცვალება", „პროკოპის წამება",

„მაკარი ჰრომაელის ცხოვრებ“, „იოანე მოწყალის ცხოვრება“, „წმ. ნიკოლოზის ცხოვრება“, „წმ. მელანია ჰრომაელის ცხოვრება“, „ბასილის კესარიელის ცხოვრება“, რომელი აღწერა ამფილოქე ეპისკოპოსმა, „წმ. მამა ონოფრეს ცხოვრება“, „წმ. მარკოზ განშორებულის ცხოვრება“, „წმ. თეოდორეს წამება“, „წმ. პეტრესა და წმ. პავლეს მარტვილობა“, „წმ. კჳრიკესა და ივლიტას მარტვილობა“, „წმ. მოწამეთა კლიმისი და აღათანგელოზისი მარტვილობა“, „ცხოვრება ნეტარი კლემენტოსი“. თხზულებათა რედაქციებისა და გამოცემების შესახებ სრული ინფორმაცია გამოქვეყნებულია (გაბიძაშვილი 2004: №139, 187, 283, 335, 464-465, 470, 555, 664, 674, 676, 756, 735, 775, 802, 867, 887, 955, 977 ან 978; 2014: 34, 44-45, 47, 58-59, 68-69, 74, 76, 120;). ანდერძ-მინაწერების პერსონალია ნაკვლევია (Цагарели 1888: 174 № 108; მეტრეველი 1962: 37-38; ძიებანი 1966: 196-218; მენაბდე 1980: 118; კარანაძე 2002: 40-41, 44).

Jer.Geo.12. იოვანე ოქროპირი. „მათეს თავის თარგმანება“. XI ს-ის I ნახ. 472 ფ.; ეტრატი; 37×25,5 სმ.; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი: სტეფანე თბილელი; მომგებელი: ზაქარია; გადაწერის ადგილი: იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ეფთვიმე ათონელის თარგმანი. კრებულს 472r-ზე ახლავს იოვანე ათონელის ანდერძის ნაწილი ეფთვიმეს მიერ შესრულებულ თარგმანთა ჩამონათვალით. აქვე იკითხება გადამწერის ანდერძი: „...დაიწერა და განსრულდა ჴელითა უღირსისა და ჩემ ცოდვილისა სტეფანწსითა ტფილელისაჲთა წმიდასა ქალაქსა იერუსალჱმსა, მონასტერსა ქართველთასა ჯუარს.“ სტეფანესა და მომგებელ ზაქარიას მინაწერია 171v-ზეც. ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებულია (Цагарели 1889: 176-177; მარი 1955: 33) რ. ბლეიკის შენიშვნით, ფურცლის დანესტიანების გამო ანდერძი აღარ იკითხება (Blake 1922-1923: 377).

Jer.Geo.32. იოანე ოქროპირი. „იოანეს თავის თარგმანება“. XI ს. 151 ფ.; ეტრატი; 31,5×I23,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. გვიანდელი ყვითელი ტყავის ყდა. გადამწერი: დავით ტფილელი (151v). გადაწერის ადგილი: ხახული (151v). ეფთვიმე ათონელის თარგმანი. ტექსტის დასასრულს იკითხება იოვანე ათონელის ანდერძი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ; 149v-151r-ზე დასტურდება გადამწერის ანდერძი, მოიხსენიებიან წიგნის შექმნის ხელშემწყობი ხახულელი მამები. ალ. ცაგარელი ხელნაწერს X-XI სს. ათარიღებს, მასვე გამოქვეყნებული აქვს ანდერძი (Цагарели 1888: 178-179 N119). წიგნის ყდის ისტორია შესწავლილია (კარანაძე 2002: 37, 39). „თარგმანების“ ტექსტი გამოცემულია (განმარტება 1993; თარგმანება 2018).

Jer.Geo.35. იოანე ოქროპირი. „მათეს თავის თარგმანება“. XI ს. 392 ფ.; ეტრატი; 33,2×21,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა; ზედა ფრთის დაფა დაკარგულია. ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ტექსტს ერთვის გადამწერისა და იოვანე ქართველის ანდერძები, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ალ. ცაგარელს. ალ. ცაგარლისა და რ. ბლეიკის აღწერილობებით ფურცელთა რაოდენობა განსხვავებულია (Цагарели 1888: 175 N114). „მათეს თავის თარგმანება“ ათონური ხელნაწერების მიხედვით გამოცემულია (თარგმანება 1996, 1998; 2014).

Jer.Geo.9. სამოციქულოს თარგმანება. XI-XII სს. 195 ფ.; ეტრატი; 38,2×28,4 სმ.; ნუსხური; თავნაკლული; 2 ანონიმი გადამწერი. გადაწერის ადგილი უცნობია. შეიცავს სამოციქულოს ეფრემ მცირისეულ თარგმანებას, შეისწავლებს. ნ. მარი ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებს, ხოლო რ. ბლეიკი XI-XII სს-ით (Blake 1922-1923: 373-374; მარი 1955: 11-12). მინაწერებში მოიხსენიებიან დოსითე (5v), აღდგომელი შილა (34v) და 1635 წლის ახლო ხანებში ჯვარის მამა მაკარე (35v), რომელმაც განაჩინა ბაადურ და გარსევან ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთა აღაპები (მეტრეველი 1962: 87,94). ხელნაწერს, ასევე, ახლავს ბესარიონ ქიოტიშვილის 1815 წელს მხედრულით შესრულებული მინაწერი. ხელნაწერი იერუსალიმური წარმომავლობის უნდა იყოს. სამოციქულოს ეფრემ მცირისეული თარგმანების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, ტექსტი თავად რედაქტორის ორიგინალური კომპოზიციის თხზულებაა, რომელსაც საფუძვლად

უდევს ეპისტოლეთა განმარტების რამდენიმე ბერძნული ვერსია (კეკელიძე 1980: 256-257). ეფრემ მცირისეული კომენტარები, ანდერძები შესწავლილია, ტექსტი გამოცემულია (კოჭლამაზაშვილი 2000-2006-2010; 2011; თვალთვაძე 2009; ოთხმეზური 2016: 298-300).

Jer.Geo. 72. იოანე ოქროპირი. „იოანეს თავის თარგმანება“. XI-XII სს. 233 ფ.; ეტრატი; 26×18,6 სმ.; ნუსხური. ანდერძები არ აქვს. ხელნაწერი ნაკლულია. ეფთვიმე ათონელის თარგმანია. „თარგმანების“ ეფთვიმე ათონელისეული ტექსტი გამოცემულია (განმარტება 1993; თარგმანება 2014).

Jer.Geo.6. სამოციქულოს თარგმანება. XII ს. 96 ფ.; ეტრატი, 38,4×27,8 სმ.; ნუსხური, სათაურები სინგურით. ხელნაწერი ნაკლულია, არ შემორჩენია ანდერძ-მინაწერები. გადაწერის ადგილი უცნობია. შეიცავს სამოციქულოს ეფრემ მცირისეული თარგმანების ნაწილს _ ებრაელთა მიმართ ეპისტოლის კომენტარებს, რომლებსაც წინ უძღვის შესავალი. ტექსტი წყდება ებრ. 12,25 მუხლზე. თარგმანება ისევე, როგორც Jer.Geo.9., ეფრემ მცირის ორიგინალური კომპოზიციის თხუ-ლებათა რიცხვს უნდა განეკუთვნებოდეს (კეკელიძე 1980: 256-257). ეფრემ მცირისეული ტექსტი გამოცემულია (კოჭლამაზაშვილი 2000-2006-2010, 2011; თვალთვაძე 2009; ოთხმეზური 2016: 298-300) .

Jer.Geo.16. სამოციქულოს თარგმანება. XII ს. 280 ფ.; ქაღალდი; 33,1×22,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ორი გადამწერი. ყდის საცავ ფურცლებზე ბევრი გვიანდელი მინაწერია. წიგნის დასაწყისში გადაწერილია „განწესებაჲ თავთაჲ წმიდათა მოციქულთა საქმისაჲ“. მას მოსდევს მთარგმნელ-რედაქტორის, ეფრემ მცირის, ვრცელი განმა-რტებითი ანდერძი, რომელშიც იგი საუბრობს გიორგი ათონელის თარგმანის ღირსებაზე, ბერ-ძნული რედაქციის თავისებურებასა და იმ მიზეზებზე, რომელთაც განაპირობეს ქართულ რე-დაქციაზე მისი მუშაობა. ეფრემ მცირის ეს ანდერძი ნათლად გვიჩვენებს არა მხოლოდ XI ს-ის ქართული მთარგმნელობითი სკოლის დედნისადმი სიღრმისეულ ლინგვისტურ დამოკიდებუ-ლებას, არამედ ამავე პერიოდის ბერძნული რედაქციების ენობრივ-სტილისტურ მრავალფერო-ვნებასაც. ანდერძი სრული სახით გამოქვეყნებულია (მარი 1955: 55-61). გარდა ზემოთ მოხმობილი ანდერძისა, 279v-ზე არის მთარგმნელის ვინაობის დამადასტურებელი მინაწერი. თავფურცლის verso-ზე ხელნაწერში იკითხება წიგნის სპარსთაგან გამომსყიდველ ილარიონ მოძღვრის, ჯვრის ტრაპეზის მეორედ მაშენებელ სერაპიონ კუმურდოელის, ბეენა ჩოლოყაშვილის, შემოქმედელ ია-კობ დუმბაძის მინაწერები (ასევე, 210r, 279v, 280r). ეფრემ მცირისეული ტექსტი გამოცემულია (კოჭლამაზაშვილი 2000-2006-2010; 2011; თვალთვაძე 2009; ოთხმეზური 2016: 298-300) .

Jer.Geo.44. ეგზეგეტიკური კრებული. XII-XIII სს. 245 ფ.; ქაღალდი; 29,1×24,1 სმ.; ნუსხური; ყავის-ფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; ტყავის ახალი ყდა. საინტერესოა კრე-ბულის შედგენილობა: კრებული იწყება ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ ნაკლული ტექსტით, მას მოჰყვება გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“. რ. ბელიკის თვალსაზრისით, ტექსტი მიჰ-ყვება შატბერდის კრებულში (ხეც S-1141) შესულ ამავე თხზულების ქართულ თარგმანს; გრიგოლ ნოსელის თხზულების შემდგომ კრებულში მოდის იოვანე ოქროპირის „პროსომოლოსაჲ ექუსთა მათ დღეთათჳს სოფლის დაბადებისთა“, ბიბლიურ სახელთა განმარტება, იუდეის, სპარსეთის, ეგვიპტის მეფეთა ნუსხები, იპოლიტე რომაელის ჰომილია და ბიბლიური ქრონოლოგია. რ. ბლე-იკი პარალელს პოულობს ამ წიგნსა და 973-976 წწ-ში გადაწერილ „შატბერდის კრებულს“ შორის (Blake 1924: 208-210). ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის დასახელებული თზულებები შატ-ბერდის კრებულის მიხედვით გამოცემულია (აბულაძე 1964: 29-136, 139-230; კრებული 1979: 67-127).

Jer.geo.22. ეგზეგეტიკური კრებული. XII-XIII სს. 202 ფ.; ეტრატი; 35,4×24,5 სმ.; ნუსხური; გადამწე-რი და გადაწერის ადგილი უცნობია. კრებული შესულია მარკოზისა და ლუკას თავების „თარგმა-ნება“. მარკოზის სახარების „თარგმანების“ ქართული ტექსტი შესრულებულია გელათური სკო-


ლის მწიგნობართა წრეში. გადაწერის თანადროული ანდერძი დაკარგულია. კრებულს ერთვის არაერთი გვიანდელი მინაწერი. გამოცემულია მხოლოდ ლუკას სახარების „თარგმანების“ ქართული ვერსია (სარჯველაძე 2010) .

Jer.Geo.1. ფსალმუნთა თარგმანება. XIII ს. 278 ფ.; ქაღალდი: 38,×29,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; მეორეული აკინძვისას დარღვეული ფურცელთა თანამიმდევრობა. წიგნი შეიცავს ფსალმუნთა თარგმანების ეფრემ მცირისეულ რედაქციას; რომელიც თავს უყრის როგორც ათანასე და კირილე ალექსანდრიელების, ევსუქისა და ასტერის კომენტარებიდან გამოკრებილ განმარტებებს, ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელისა და სხვა ავტორთა თხზულებებიდან პასაჟებს. „თარგმანებას“, მისი კომპოზიციის გამო, მიაკუთვნებენ ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაკრებს (კეკელიძე 1980: 257). „თარგმანების“ შედგენის შესახებ სწორედ ამ სახის განმარტება ერთვის ტექსტს: „ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთაჲ ათანასესი და კჳრილესი და სხუათა შემდგომთა მათთა თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ, რომელ არიან ას ორმეოცდაათნი ფსალმუნნი ღმრთისანი, ხოლო ბერძულისაგან ქართულდ ითარგმნა ნეტარისა მამისა ეფრემის მიერ.“ (7v). ფსალმუნთა ტექსტის დასასრულს მოსდევს ქართული რედაქციის ისტორიასთან დაკავშირებული ეფრემ მცირისეული ცნობა (6v). ხელნაწერში იკითხება მომგებლის ანდერძი და XVIII ს-ის მინაწერი ბატონიშვილ დომენტი ყოფილ დამიანე კათალიკოსისა. „თარგმანების“ ეფრემ მცირისეული ტექსტი ნაკვლევია (შანიძე 1968: 79-122; დობორჯგინიძე 1996; 2007; ოთხმეზური 2016: 295-298).

Jer.Geo.10. იოვანე ოქროპირი. „მათეს თავის თარგმანება“. XIII-XIV სს. 252 ფ.; ქაღალდი; 38,5×28,4 სმ.; ნუსხური; სათაურები სინგურით; გვიანდელი ყდა. ტეხსტი ნაკლულია; გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ხელნაწერში წარმოდგენილია ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის მეორე ნაწილი. ხელნაწერს ერთვის რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. „თარგმანების“ ეფთვიმე ათონელისეული ტექსტი გამოცემულია (თარგმანება 1996, 1998; 2014).

Jer.Geo.34. იოანე ოქროპირი. „იოანეს თავის თარგმანება“. XIII-XIV სს. 331ფ.; ქაღალდი; 30,1×26,6 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი; ყვითელი ტყავის ახალი ყდა. გადამწერი ნიკოლოზი. ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გარდა თარგმანებისა, კრებულში შედის იოვანე ოქროპირის ჰომილიის ფრაგმენტი. ხელნაწერს აღმწერელები სხვადასხვაგვარად ათარიღებენ: რ. ბლეიკი XIII-XVI სს-ით, ალ. ცაგარელი - XIII-XIV სს-ით, ნ. მარი - XII ს-ით (Цагарели 1888: 180 N132; Blake 1924: 190; მარი 1955: 68). წიგნს ერთვის მხედრულით შესრულებული რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. კრებული შესწავლილი არ არის. „იოანეს თავის თარგმანების“ ქართული ვერსია გამოცემულია (განმარტება 1993; 2018).


Jer.Geo.14. ბასილის დიდი. თხზულებანი. 1055 წ. 462 ფ.; ეტრატი; 36,6×27,4 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით; ფერადოვანი თავსამკაულები. გადამწერი და მმოსველი: იოვანე დვალი. მომგებელი: ეფთვიმე, მეორედ მკაზმველი: გერმანე ეზდაველიძე. გადაწერილია ჯვრის მონასტრისათვის. კრებულში შესულია ეფთვიმე ათონელის თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის ბასილი დიდის შესხმა, ბასილი დიდის 21 ჰომილია, წმ. გიორგის შესხმა, ჯვრის ამაღლებისა და ღვთისმშობლის მიცვალების საკითხავები. კრებულს ერთვის თხზულებათა საძიებელი, ანუ ზანდუკი. 62r, 229v მინაწერებში მოიხსენიებიან ეფთვიმე ათონელი და გიორგი პროხორე, ხოლო გადამწერის ანდერძებში (489v, 490v, 496r) – გიორგი-პროხორე, სვიმეონ დიაკვანი, ეფთვიმე, იოვანე დვალი და მისი ძე მიქაელი. წიგნი დათარიღებულია გადამწერის მიერვე: „ქორონიკონი იყო სოე.“ (492r.) კრებულს ერთვის გვიანდელი მინაწერები. ხელნაწერი შესწავლილი და აღწერილია, ანდერძები და ტექსტები გამოცემულია (აღწერილობა 1986 (ხ): 92-99; ქურციკიძე 1983; კარანაძე 2002: 36-37; მეტრეველი 2007: 287-300).



72. Jer. Geo.96. 01v

Jer. Geo.96. იოანე სინელი. „კლემაქსი“. XI ს. 199 ფ.; ეტრატი; 24,2×19 სმ.; ნუსხური; გვხვდება გვიანდელი ანდერძ-მინაწერები. მუქი ყავისფერი ტვიფრული ტყავის ყდა, გვიანდელი. მკაზმველი: ბესარიონ ქიოტიშვილი. ალ. ცაგარელის დროს ხელნაწერი შეიცავდა 209 ფურცელს. „კლემაქსი“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანია. ტექტი ნაკლულია. ხელნაწერის 210 r-ზე გვხვდება ბესარიონ ქიოტიშვილის 1814 წლით დათარიღებული ვრცელი ანდერძი. ანდერძი სრულად გამოქვეყნებულია (კარანაძე 2002: 42, 44). კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი გამოცემულია (იოანე სინელი 1902: 208-482; გაბიძაშვილი 1916: 365-371).

Jer.Geo.73. მაკარი მეგვიპტელის თხზულებანი. XI-XII სს. 195 ფ; ეტრატი, 19,8×15,3 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; დამკვეთი: მამა გელასი. კრებულში შესულია: მაკარი მეგვიპტელის I და II ეპისტოლეები, ეფთვიმე ათონელის თარგმნილი „სწავლანის“ 26 თავი, ესაიას თხრობა, მაკარის გამოცხადება, გიორგი ათონელის თარგმნილი თეოდორე მთავარმოწამის სასწაულები. ხელნაწერი აღწერილი, შესწავლილი და ტექსტი გამოცემულია (ნინუა 1982; გაბიძაშვილი 2016: 369-371).



73. Jer. Geo.96. 92v-93r

Jer.Geo.8. ჰომილეტიკური კრებული. XII სს. 192 ფ.; ქაღალდი; 36,5×25 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი; გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ახლავს ნუსხურით შესრულებული მინაწერი ბასილისა და წიგნის მმოსველ საბასი, ასევე, გვიანდელი მინაწერები. რ. ბლეიკი ხელნაწერს XIII-XIV სს-ით ათარიღებს. კრებული შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის 10 თხზულებას – სიტყვებსა და ეპიტაფიებს. წიგნს არშიებზე ერთვის "შეისწავეები". მთარგმნელია ეფრემ მცირე. ხელნაწერში იკითხება გვანდელი მინაწერები. ტექსტები შესწავლი და გამოცემულია, სრული ბიბლიოგრაფია იხ. მელიქიშვილი 2010: 348-359. კრებულის სამეცნიერო აღწერილობა შედგენილია (ბრეგაძე 1988: 138-140). გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017).

Jer. Geo.51. პატერიკი. XII ს. 389 ფ.; ქაღალდი; 26×17,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით. შემკაზმველები: ეპიფანე, იოსებ ყოფილი იონა ხუნტუს ძე. პატერიკის ტექსტი დაყოფილია მონაკვეთებად სათვალავის მითითების გარეშე. XVI ს-ში წიგნი ხელახლა აუკინძავს იონა ხუნტუს ძეს ჯვრის მამა ეპიფანეს ფინანსური უზრუველყოფით (მეტრეველი 1962: 112, 266): „მე, სულითა საწყალობელმან და ყოვლდ ცოდვილმან მღდელთმთავარმან და წმიდათ ქალაქსა იერუსალემსა კეთილად მსახურთა და ღმრთივდაცულთა მეფეთაგან წარმოვლინებულმან აქა წმიდისა გოლგოთისა ... პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა მონასტრისა მამად და წინამძღვრად ჩინებულმან უღირსმან ეპიფანე შევჰკაზმე წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ..." (389r) (იხ. ასევე 389v). მინაწერებში (1r, 2r) მოიხსენიებიან ნიკოლოზ აბაშიძე, დომენტი ბატონიშვილი, დიაკონი ესაია. „მამათა სწავლანის" ქართული თარგმანების შესახებ იხ. გაბიძაშვილი 2016: 346-388.

Jer.geo.15. გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული. XII ს. 282 ფ.; ქაღალდი; 35,6×25,6 სმ.; ნუსხური. გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ერთვის არაერთი გვიანდელი მინაწერი. კრებულში შესულია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების ეფრემ მცირისეული თარგმანები აშიებზე დართული შეისწავეებით. ბასილის შესხმის ნიკიტა პაფლაგონელისეული ვერსია გიორგი ათონელის რედაქციისაა. ნაზიანზელის თხზულებების დასარულს კრებულში შეტანილია „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება". ხელნაწერი აღწერილია, ყველა ანდერძ-მინაწერი გამოქვეყნებულია (ბრეგაძე 1988: 133-138). ტექსტები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017). გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული თარგმანების შესახებ სრული ბიბლიოგრაფია იხ. მელიქიშვილი 2012: 348-359.

Jer.Geo.43. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიები. XII-XIII სს. 306 ფ.; ქაღალდი; 28,4×21,5 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; ახალი ტყავის ყდა. გადამწერი: ეფრემი, მომგებელი: გაბო. ხელნაწერი შეიცავს 21 ჰომილიას. მთარგმნელია ეფრემ მცირე. კრებულის დასაწყისშია ეფრემ მცირის ვრელი ანდერძი, რომელიც ეხება ეფთვიმე ათონელის ღვაწლს, ახალი თარგმანის შესრულების პრინციპებსა და საჭიროებას. ხელნაწერი აღწერილია და ანდერძები სრულადაა გამოქვეყნებული (მარი 1955: 74-78; ბრეგაძე 1988: 144-151; მელიქიშვილი 2012(ბ): 334-345). თხზულებები შესწავლილი და ტექსტები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017).

Jer.Geo.30. ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII სს. 257 ფ.; ქაღალდი; 32×23,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. კრებული შეიცავს მთელი ლიტურგიკული წლის საუფლო დღესასწაულებზე გაწყობილ ჰომილიებს. მასში გაერთიანებულია 22 საკითხავი. იწყება 8 სექტებრის ღვთისმშობლის შობის ანდრია კრიტელისეული საკითხავით; მას მოსდევს ჯვართამაღლების, მიგებების, ბზობის, დიდი ხუთშაბათის, ჯვარცმის, გარდამოხსნის, აღდგომის, ახალკვირიაკის, სატფურების, ამაღლების, სულთმოფენობის, მოწამეთა შესხმის, ფერისცვალე-

ბის, ღვთისმშობლის მიძინების, წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების და 12 მოციქულის შესხმის ჰომილიები. ავტორები: ანდრია კრიტელი, იოვანე ოქროპირი, გიორგი ნიკომიდიელი, ეფრემ ასური, გრიგოლ ღვთისმეტყველი, მეთოდი კონსტანტინეპოლელი, იოვანე დამასკელი. 225v-ზე გადაწერილია ზანდუკი. ხელნაწერს აქვს ჯვარისმამა ნიკიფორე ირბახისა და ქართველ პილიგრიმთა მინაწერები. ხელნაწერი შესწავლილია (მელიქიშვილი 2012(b): 294-295). გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2004; 2007; 2013; 2017).

Jer.Geo.23. ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII სს. 411 ფ.; ქაღალდი; 36×24,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; 179-ე ფურცლამდე გამოყენებულია წითელი მელანი; ნაკლული; შემორჩენილია ტყავის ყდის ზედა ფრთა. ანდერძ-მინაწერები დაკარგულია. შესულია 64 თხზულება: იოვანე დამასკელის, ანდრია კრიტელის, გიორგი ნიკომიდიელის, იოანე ოქროპირის, ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, სოფრონ იერუსალიმელის, ეფრემ ასურის, მეთოდი კონსტანტინეპოლელის, ამფილოქე იკონიელის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე სინელის, თეოდორე სტუდიელის ჰომილიები. კრებული კონსტანტინეპოლური რედაქციისაა. (მელიქიშვილი 2012(b): 294, 445, 452, 480, 482-483, 489).

Jer.Geo. 39. ჰომილეტიკური კრებული. XIII-XIV სს. 277 ფ.; ქაღალდი; 30,2×23 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. ახალი ტყავის ყდა. შესულია იოვანე ოქროპირის, ათანასე სინელის, ეფრემ ასურის, გრიგოლ ნოსელის, თეოდორე სტუდიელის, გრიგოლ საკვირველმოქმედის, ანდრია კრიტელის, იოვანე დამასკელის, გიორგი ნიკომიდიელის ჰომილიები საუფლო დღესასწაულებზე. კრებულის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია (მელიქიშვილი 2012(b): 480,489).

Jer.Geo.74. ჰომილეტიკური კრებული. XII-XVI სს. 321 ფ.; ქაღალდი, 26×20 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი. გადამწერები: მიქაელი და გიორგი. ხელნაწერი გადაწერილია კალიპოსური დედნიდან. კრებული შეიცავს ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილიებს. კრებული აღდგენილია მოგვიანებით, სხვა ხელით. ხელნაწერის ბოლო ფრაგმენტის იდენტიფიკაცია ფურცელთა დაზიანების გამო ვერ ხერხდება (Цагарели 1888: 180 №125).

Jer.Geo.4. მარგალიტი-ჰომილეტიკური კრებული. XIII-XIV სს. 107 ფ.; ქაღალდი; ნუსხური; მოშავო მელანი; სათაურები სინგურით; თავნაკლული. გადამწერი: საბა. კრებულში შესულია: ბასილი დიდის, იოვანე ოქროპირის, ანდრია კრიტელის, იოვანე დამასკელის, ევსუქი ხუცის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გიორგი ნიკომიდიელის, ეპიფანე კვიპრელის ჰომილიები. კრებულს ერთვის გადამწერის ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი დიდისა მონასტრისა ბერსა, მოძღუართ-მოძღუარსა ანტონი გოდობრელსა. ესე წიგნი მარგალიტი ... აქა მონასტერს გათავდა ჴელითა საბა მწერლისაჲთა. სადაცა იყოს ესე წიგნი, ლოცვასა მოიჴსენეთ ბერი მოძღუარი ანტონი და მეცა – მცირე საბა (90r-91r)“.

Jer.Geo.13. გრიგოლ ღვთისმეტყველი. თხზულებათა კრებული. XIII-XVI სს. 382 ფ.; ქაღალდი; 36,4×25,1 სმ.; ნუსხური; მელანი შავი; სათაურები სინგურით; ბოლონაკლული; 2 გადამწერი: გიორგი ქუტირელი და ანონიმი. კრებულში შედგება 2 ნაწილისაგან. პირველში შესულია გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის კომენტარები, მეორეში – სოფრონ იერუსალიმელის გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ბასილი მინიმუსისეული კომენტარები. ტექსტები ეფრემ მცირისეული თარგმანებია. ახლავს შეისწავეები, პირველი ნაწილს ერთვის ეფრემ მცირის ანდერძი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს XI ს-ის შავი მთის სალიტერატურო სკოლისა და იქ გაშლილი სამწიგნობრო საქმიანობის ინიციატორი და ხელშემწყობი პირების შესახებ. ანდერძი გამოქვეყნებულია (Blake 1926(2): 157-172; მარი 1955: 22-23; ბრეგაძე 1988: 159-167). ხელნაწერის პირველი ნაწილის გადამწერია გიორგი ქუტირელი.

კრებულის 277v-278r-ზე იკითხება ეფრემ მცირის აკროსტიხი, რომლის სტრიქონთა თანამიმდევრობა არეულია, სრული სახით კი იგი შემონახულია ხელ A - 292-ში. გამოქვეყნებულია (მარი 1955: 21; ბრეგაძე 1988: 180-181). კრებულს ერთვის რამდენიმე გვიანდელი მინაწერი. ხელნაწერი, ეფრემ მცირის ანდერძები და ბასილი მინიმუსის კომენტარები, შესწავლილი და გამოცემულია (თვალთვაძე 2004: 128; ოთხმეზური 1989: 18; 2005: 115-118; 2007: 244-257; 2009: 303-314; 2016: 301-302; რაფავა 2009; Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017).

Jer. Geo. 106. ეფრემ ასური. „ასკეტიკონი." XIII-XIV სს. 221 ფ.; ქაღალდი; 27×17,7 სმ.; ნუსხური, ყავისფერი მელანი; ყდა რუხი არაბული რბილი ქსოვილისა; გადამწერი: სტეფანე დიაკვანი. კრებულზე დართული ბერძნული მინაწერის თანახმად, ხელნაწერი ჯვრის წიგნსაცავში გადაიტანეს წმ. საბას მონასტრიდან 1888 წელს. კრებული შეიცავს „ეფრემ პირველის" სახელწოდებით ცნობილი ეფრემ ასურის „ასკეტიკონის" ეფრემ მცირისეული თარგმანს. „ეფრემ პირველის" 18 სწავლებიდან ხელნაწერში შესულია მხოლოდ 15. საფიქრებელია, რომ თავიდან წიგნი სრულად შეიცავდა „ ეფრემ პირველის" ყველა ჰომილიას. „ეფრემ პირველის" შედგენილობის საკითხი შესწავლილია (კეკელიძე 1957: 50; გაბიძაშვილი 2016: 359-361).

Jer.Geo. 27. იოანე სინელი. კლემაქსი. XVI-XVII სს. 348 ფ.; ქაღალდი; 38×23,6 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; გადამწერი და შემმოსველი: ნიკოლოზი. კრებულში შედის იოვანე სინელის ცხოვრება, რაითის მონასტრის წინამძღვრის წერილი იოვანე სინელისადმი, კლემაქსი. ტექსტის დასარულს 348r- ზე გადაწერილია „თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმის საყოფელთა ამის წიგნისა სიტყუათაჲ". დასასრულს იკითხება წიგნის ისტორიათან დაკავშირებული ანდერძ-მინაწერები. ანდერძებში გამოყენებული კოდიკოლოგიური ტერმინები შესწავლილია (კარანაძე 2002: 42). „კლემაქსი" ქართული თარგმანი შესახებ კრებსითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია (ბეზარაშვილი 1987: 129-154; გაბიძაშვილი 2016: 365-367).

Jer.Geo.151. დოგმატიკური კრებული. XI ს. 179 ფ.; ეტრატი; 18×13,3 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი; შავი. ყვითელი ტყავის ყდა. ორი ხელი. კრებული თავნაკლულია. მასში შედის: დამასკელის „წინმძღვრის" ბოლო 2 თავი, ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, (კეკელიძე 1980: 201; ჩიკვატია 2007), ათანასე ალექსანდრიელის „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ", გიორგი ათონელის თარგმანი (კეკელიძე 1957: 80); ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის მწვალებელთა წინააღმდეგ, კირილე ალექსანდრიელის „ღვთისმშობლისათჳს", მიქაელ სჴნკელის "მრწამსის" ექვთიმე ათონელისეული თარგმანი (ჯუღელი 2008: 38-329), „სოფლიონი შჯდნი კრებანი დიდნი" და „დანიელ მესვეტის ცხოვრების" ადრეული თარგმანი (გაბიძაშვილი 2014: 61). ალ. ცაგარელი კრებულს XI-XII სს-ით ათარიღებს და კირილე ალესანდრიელის „სწავლათა" ნაკრებად მიიჩნევს (Цагарели 1888: 179 N123). კრებულს ერთვის იოვანე ხახულელის, ჯვარისმამა გიორგისა და გვიანდელი მინაწერები.

Jer.Geo.139. აგიოგრაფიულ-ეგზეგეტიკური კრებული. XI-XII სს. 373 ფ.; ეტრატი; 20,5×15,4 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; კონვოლუტი; ახალი ყვითელი ფერი ტყავის ყდა. ხელნაწერში შედის: ორი აგიოგრაფიული თხრობა და ბასილი დიდის ფსალმუნთა თარგმანების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ხელნაწერი ნაკლულია და აგიოგრაფიულ თხრობები არ არის იდენტიფიცრებული (Цагарели 1888: 180 №124; ოთხმეზური 2016: 275).

Jer.Geo.148. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კრებული. XI-XII სს. 304 ფ.; ეტრატი; 18,2×13,3 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი. შედის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილეტიკური და ჰიმნოგრაფიული ტექსტები: 13 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების საგალობელი, ეფთვიმე ათონელის თარგმნილი მაქსიმე აღმსარებელის ღვთისმშობლის მოქალაქეობის, ბასილი დიდის „ითიკაში" შემავალი ღვთისმშობლის მიძინების, იოვანე მმარხველის ღვთისმშობლის ტაძრად

მიყვანების, იოვანე დამასკელის ღვთისმშობლის მიძინების I და II ჰომილიები (კეკელიძე 1957: 18, 63, 66, 96; მელიქიშვილი 2012(b): 316, 479, 484; გაბიძაშვილი 2009: 443). ბასილის დიდის „ითიკისა“ და მაქსიმე აღმსარებლის ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები გამოცემულია (ქურციკიძე 1983; Esbroeck van 1986).

Jer.Geo.152. პანეგირიკული კრებული. XI-XII სს. 265 ფ.; ეტრატი; 16,7×12 სმ.; ნუსხური; ტყავის გვიანდელი ყდა; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; XVI ს-ში გაცხოველებულია. შეიცავს ღვთისმშობლის, წმ. მარინეს, წმ. ბარბარას, წმ. ეპრაქსიასა და წმ. ეკატერინეს საგალობლებსა და კიმენური რედაქციის „წამებებს“ (გაბიძაშვილი 2014: 37-38). ალ. ცაგარელი კრებულს X-XI სს-ით ათარიღებს (Цагарели 1888: 174 N 106).

Jer.Geo.18. აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული. XIII-XIV სს. 245 ფ.; ქაღალდი; 33,9×24,8 სმ.; შავი მელანი; ნუსხური. გადამწერის ანდერძი დაკარგულია. შესულია ანდრია კრიტელის, გრიგოლ ნაზიანზელის, იოვანე ოქროპირის ჰომილიები. აგიოგრაფიული ნაწილი წარმოდგენილია წმ. მამაის, წმ. ბაბილა ანტიოქელის, წმ. ნიკიტას, წმ. ევსტათისა და თეოპისტის, წმ. არეთასა და მის თანამოწამეთა, წმ. კოზმან და დამიანეს, წმ. არტემის, წმ. პავლე თებელის, წმ. იოვანე გლახაკის, წმ. ქსენიას ცხოვრება-წამებები, იოვანეს აქტები. 73v-ზე გადაწერილია იამბიკო-აკროსტიქი, რომლის თავკიდურწერილობაში იკითხება „გიორგი“. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიები გამოცემულია (Sancti Gregorii 1998; 2000; 2001; 2004; 2007; 2013; 2017).

Jer.Geo.38. შერეული კრებული. XIII-XVI სს. 479 ფ.; ქაღალდი 31,2×21,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით, ყავისფერი ტყავის ყდა. გადამწერი: მიქაელი. შედის საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ 46 საკითხავი. ანდრია კრიტელის, იოვანე დამასკელის, იოვანე ოქროპირის, გიორგი ნიკომიდიელის, ეპიფანე კვიპრელის, ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, სოფრონ პალესტინელის, მეთოდი კონსტანტინეპოლელის, ამფილოქე იკონიელის, თეოდორე სტუდიელის, გრიგოლ საკვირველმოქმედის, გერმანე კონსტანტინოპოლელის ჰომილიები, ასევე, „იაკობ მოციქულის წამების“, პეტრე და პავლე მოციქულთა ხსენების აპოკრიფული ტექსტებს. 479v-ზე იკითხება ელისე ჩიდანისძისა და ვლასი ურბნელის მინაწერები. კრებულის შედგენილობის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია (მელიქიშვილი 2012(b): 293, 480, 482-483 ,489).

Jer.Geo.19. შერეული კრებული. XII-XIII სს. 170 ფ.; ქაღალდი; 38,2×23,7 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. გადამწერის ანდერძი დაკარგულია. შესულია იოანეს თავისკვეთის თხრობა, საქმე მოციქულთა და კათოლიკე ეპისტოლეები თარგმანებითურთ, „განყოფისათვის პავლეს ეპისტოლეთაჲ დღესასწაულთა წელიწადისათაჲ სჴნაქსრისა წესითა რჩეული“ (160r-166r), სახარების საცისკრო მსახურების საკითხავთა საძიებელი, ანუ ზანდუკი (166r-170r).

Jer.Geo.20. შერეული კრებული. XII-XIII სს. 331 ფ.; ქაღალდი; 34×23 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები წითლით. შემკულია საზედაო ასოებით. გადამწერი: იოსები. კრებული იწყება დანიელ რაითელის „თქუმულით“ კლემაქსის შესახებ, მისივე „იოანე სინელის ცხოვრება“, რაითის იღუმენის წერილი იოანე სინელისადმი და იოანე სინელის კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. შემდგომ მოდის: წმ-თა აბდამესის, ფილოთეოსის, ბალარამჰიოსისა და ხარლამის წამებები, წმ. ბასილი კესარიელის ღვთისმშობლის მიძინების საკითხავი. კრებულს აქვს არაერთი გვიანდელი მინაწერი, მათ შორის ერთ-ერთი ეკუთვნის წიგნის ხელახლა ამკინძველ ბეენა ჩოლოყაშვილს (Цагарели 1888: 181№137; მარი 1955: 37).

Jer.Geo.17. შერეული კრებული. XII-XVI სს. 363 ფ.; ქაღალდი; 38,6×22,8 სმ.; ნუსხური, შავი მელანი, სათაურები სინგურით. გადამწერის ანდერძი დაკარგულია. შესულია აგიოგრაფიული, აპოკრიფული და ჰომილეტიკური თხზულებები. იწყება გრიგოლ ღვთისმეტყველის შობის ჰომილიით, მოჰყვება: იოანე დამასკელის, სოფრონ იერუსალიმელის, კირილე იერუსალიმელის, იოვანე

ოქროპირის, ანდრია კრიტელის ჰომილიები; იოვანე დამასკელის მაცხოვრისა და ღვთისმშობლის შობის თხრობები, იოვანე მახარებლის ღვთისმშობლის მიძინების თხრობა, იოვანე ნათლისმცემლის შობის ტექსტი წარწერით „დაფარულთაგანი“, წმ. ეკატერინეს, ნიკოლოზ მირონლუკიელის, კოზმან და დამიანეს, პეტრე და პავლეს მოციქულთა, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ საკვირველმოქმედის, ბაგრატ ტავრომენიელის, ამბა სვიმეონ ამასიელის, წმ. მაკარის ცხოვრებები და მოსახსენებლები. კრებულის შედგენილობა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში თავმოყრილია სხვადასხვა პერიოდის თარგმანები: ადრებიზანტიური (მაგ. იოვანე მახარებლის ავტორობით ცნობილი ღვთისმშობლის მიძინების აპოკრიფი), ეფთვიმე ათონელისა (იოვანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის საკითხავი, „ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრება“) და ეფრემ მცირისა (გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიები შეისწავლებითა და კომენტარებით). კრებულის ტიპოლოგიური თავისებურებისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ იხ. მელიქიშვილი 2012(ხ): 289-290.

Jer.Geo.33. შერეული კრებული. XIII-XIV სს. 420 ფ.; ქაღალდი; 32×25,3 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; დასაწყისები სინგურით. ძველი ყავისფერი ტყავგა- დაკრული ტვიფრული ხის ყდა. გადამწერი: ბასილი მჩხრეკალი. კრებულში შესულია სექტემბერ – 5 დეკემბრის საგალობლები, „იერუსალიმის წარტყვევნა“, წმ. პროკოპის წამება, წმ. სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, ანდრია სალოსის ცხოვრება, კვირიკესა და ივლიტას წამების კიმენური ტექსტი. 197v, 324 r-v-ზე იკითხება გადამწერ ბასილისა და ეკატერინა შტროის ასულის ვრცელი მინაწერები. გამოქვეყნებულია (მარი 1955: 64-65). წიგნი გადაწერილია დერტავის დედათა მონასტრისთვის. ანდრია სალოსის ცხოვრების ბერძნული რედაქცია ცნობილი არ არის (გაბიძაშვილი 2014: 34, 43, 61,63). „იერუსალიმის წარტყვევნისა“ და „სვიმეონ მესვეტის ცხოვრების“ ტექსტები გამოცემულია (Mapp 1909; კეკელიძე 1918: 215-240; Garitte 1957: 1-77).

Jer.Geo. 37. შერეული კრებული. XIII-XVI სს. 273 ფ.; ქაღალდი; 32×25 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ყავისფერი ტყავის ამოუტვიფრავი ხის ყდა. შეიცავს სექტემბერ-ნოემბრის 25 ცხოვრება-მარტვილობას; მოციქულთა და მახარებელთა 6 მოსახსენებელსა და 2 ჰომილიას. მოსახსენებლებსა და ჰომილიებს. მასალას. ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია, აღაპ-მოსახსენებლები გამოცემულია (Mapp 1914). „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ტექსტი გამოცემულია (Кекелидзе 1915: 119-174).

Jer.Geo.21. შერეული კრებული. XIV-XV სს. 332 ფ.; ქაღალდი; 34,6×26,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები სინგურით. შესულია იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების მეორე ნაწილი, ეფთვიმე ათონელის თარგმანი; იოვანე ქართველის ანდერძი, ბივრიტიასა და ხალკუპრატიაში გამოვლენილი სასწაულების თხრობები, გერმანე კონსტანტინეპოლელის ხალკრუპრატიის ღვთისმშობლის ეკლესიის სატფურების საკითხავი. ხელნაწერს აქვს გვიანდელი მინაწერები, რომლებშიც მოიხსენიებიან მართა ყოფილი მაკრინა მონაზონი, სერაპიონ კუმურდოელი, ილარიონ ოპიზარი, ბეენა ჩოლოყაშვილი და სხვ. ხელნაწერი შეწირულია კაპპათას მონასტრისათვის.

Jer.Geo.62. შერეული კრებული. XVII ს. 174 ფ.; ქაღალდი; 27,4×18 სმ.; ნუსხური; არაერთი ხელი. სავარაუდოდ, წიგნი ფრაგმენტთა ნაკრებია. მასში შედის: ივლის-აგვისტოს სადღესასწაულო, იოვანე ოქროპირის შესხმები: „წმიდათა მოციქულთა პეტრე-პავლესი,“ „ათორმეტთა მოციქულთა“, „წმ. პროკოპის მარტვილობა“ (ეფთვიმე ათონელის თარგმანი), ბასილი კესარიელის „ღთისმშობლის მიძინების“ საკითხავი, იოვანე დამასკელის საკითხავი „ფერისცვალებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“(ეფრემ მცირის თარგმანი), გერმანე კონსტანტინეპოლელის „სასწაულთათჳს და საკჳრველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისათა“ (ეფთვიმე ათონელის თარგმანი).

Jer.Geo.108. შერეული კრებული. XIII-XIV სს. 127 ფ.; ქაღალდი; 24,8×14,9 სმ.; ნუსხური, ყავისფერი მელანი; ყავისფერი ამოუტვიფრავი ტყავის ყდა. ხელნაწერი შეიცავს ეფთვიმე ათონელის თარგმნილ მაქსიმე აღმსარებლის ღვთისმშობლის „ცხოვრებასა და მოქალაქეობას“ და, ასევე,

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰიმნებს. ხელნაწერის დასასრულს გადამწერის ანდერძი გაუფერულებულია. მაქსიმე აღმსარებლის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი შესწავლილი და გამოცემულია (Esbroeck van 1986).

Jer.Geo.58. არაიდენტიფიცირებული ფრაგმენტები. საქაღალდეში ქსოვილში გასვეული 60-მდე არაიდენტიფიცირებული ფრაგმენტია; შესრულებულია ქაღალდზე. მათი რაობა არა დადგენილი. კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოსაცავი არ ფლობს ამ ერთეულის მიკროფირს.

ლიტურგიკული ხელნაწერები

Jer. Geo.59. ლექციონარი. XII-XIII სს. 288 ფ.; ქაღალდი; 29, 5×22,2 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; ტყავის ყდა. გადამწერი: მახარებელი, დამკვეთი: არსენ ალავერდელი, გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. წიგნში შესულია მთელი წლის ძველი აღთქმისა და მარხვა-აღდგომის ახალი აღთქმის საკითხავები. ეს ლექციონარის გვიანდელი ხელნაწერია. ამ პერიოდისთვის ლიტურგიკული დანიშნულების ეს კრებული გასულია პრაქტიკიდან. როგორც ჩანს, ამ სივრცეში მოღვაწე ქართველი მოწესეები ინარჩუნებდნენ ადრეული იერუსალიმური პრაქტიკისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს.

Jer.Geo. 66. ლექციონარი. XIII-XIV სს. და XVI-XVII სს. კონვოლუტი. 240 ფ.; ქაღალდი; 25,4×17,7 სმ.; ნუსხური; ყავისფერი და შავი მელანი. ყდა გვიანდელი. რ. ბლეიკის თანახმად, ხელნაწერში გაირჩევა 2 ხელი. ლექციონარში შესულია ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები. კალენდარული წელი იწყება სექტემბრიდან. ხელნაწერი ხელმეორედ აუკინძავს და ყდაში ჩაუსვამს იოსებ ხუნტუსძეს (240v). ალ. ცაგარელი ხელნაწერის რაობას განსაზღვრავს როგორც საწინასწარმეტყველოს და ათარიღებს XIV-XVI სს-ით (Цагарели 1888: 153 N 2) .

Jer. Geo. 99. ლექციონარი. XIII-XIV სს. 233 ფ.; ქაღალდი; 24,8×19,2 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი



74. Jer.Geo.24. 2v-3r



75. Jer.Geo.25. 330v–331r

მელანი; ყავისფერი ტყავის ძველი ტვიფრული ყდა. ლექციონარი შეიცავს ძველი აღთქმის საკითხავებს. ლიტურგიკული კალენდარი იწყება 1 სექტემბრიდან. წიგნი ჯვრის მონასტრის საცავში შეტანილია საბაწმინდის მონასტრიდან. კრებული არ არის შესწავლილი. **Jer.Geo.118. ლექციონარი.** XIV-XV სს. 200 ფ.; ქაღალდი; 24,5×17,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი ძველი ტყავის ყდა. ხელნაწერი შეიცავს საკითხავებს წინასწარმეტყველთა, ხუთწიგნეულისა და მოციქულთა წიგნებიდან. გაწყობილია ლიტურგიკულ კალენდარზე 1 სექტემბრიდან აღდგომამდე. კრებული არ არის შესწავლილი.


Jer.Geo.24. სვინაქსარი. XI ს. 222 ფ.; ეტრატი; 33,4×23,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. აქვს საკმაოდ ბევრი სხვადასხვა ხელით შესრულებული XIII-XVII ს-ის ანდერძ-მინაწერი. გიორგი ათონელის რედაქციის ამ სვინაქსრის ბოლო ნაწილს შეიცავს Jer.Geo.25. დიდი სვინაქსარი შესწავლილია და კრიტიკული ტექსტი გამოცემულია (Кекелидзе 1908: 228-316,483-506; დოლაქიძე 2017). სვინაქსრის მინაწერები – ჯვრის მონასტრის აღაპები გამოცემულია (Марр 1914; მეტრეველი 1962).

Jer.Geo.25. სვინაქსარი. XI ს. 185 ფ.; ეტრატი, 33,4×23,8 სმ.; ნუსხური; ხელნაწერი ჩასმულია გვიანდელ ყდაში. ეს ხელნაწერი არის Jer.Geo.24-ის გაგრძელება. ტექსტი იწყება 30-ე რვეულიდან. სვინასარს ერთვის საუფლო დღესასწაულთა, მარხვის, წმინდანთა, ღვთისმშობლის, სახარების, რვა ხმის მცირე ფორმის საგალობლები – „გამოავლინენი“ (დოლაქიძე 2017: 019-020). დიდი სვინაქსარი შესწავლილი და კრიტიკული ტექსტი გამოცემულია (Кекелидзе 1908: 228-316, 483-506; დოლაქიძე 2017). სვინაქსრის მინაწერები – ჯვრის მონასტრის აღაპები გამოცემულია (Марр 1914; მეტრეველი 1962).

Jer.Geo. 77. სვინაქსარი. XI-XII სს. 270 ფ.; ქაღალდი; 28×18,9 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით. გადაწერის ადგილი: შავი მთა, ეზრას მონასტერი. გიორგი ათონელის რედაქციის ათონურ-სტუდიური დიდი სვინაქსარი. მასში შესულია როგორც სტუდიური, ასევე საბაწმინდურ-იერუსალიმური ჰიმნოგრაფიული მასალა. ტექსტს უძღვის სინგურითა და ასომთავრულით გადაწერილი გიორგი ათონელის ანდერძი (1r). დიდი სვინაქსარი Ier.Geo.24 და Jer.Geo. 25-ის მიხედვით შესწავლილი და გამოცემულია (დოლაქიძე 2017).



76. Jer.Geo.45. 2v-3r.



77-78. თამარ მეფის მოსახსენებელი მინაწერები

Jer.Geo. 80. სვინაქსარი. XII-XIII სს. 218 ფ.; ეტრატი, 25×17,1 სმ.; ნუსხური. სვინაქსარი გიორგი ათონელის რედაქციისაა. იწყება 15 სექტემბრის ფრაგმენტული საკითხავით, მთავრდება 22 აგვისტოთი. ხელნაწერს ერთვის არაერთი გვიანდელი მინაწერი. წიგნი საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo.45. სვინაქსარი. XIII ს. 227 ფ.; ეტრატი; 30×22 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ტყავის ყდა. კრებულში შესულია სექტენბერ-აგვისტოს საკითხავი მასალა. ერთვის ანდერძი მეფე თამარის მოხსენიებით: „ქ. ამასვე დღესა გარდაიცვალა აქაჲ ესე მეფოზაჲ ცხორებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოკსენებულმან თამარ დედოფალმან, რომლისა ჴსენებაჲ და კურთხევაჲ საუკუნომდა არს“(107v).

Jer.Geo.60. სვინაქარი. XVII ს. 398 ფ.; ქაღალდი; 30,0×20,2 სმ.; ნუსხური; სათაურები წითლით. გიორგი ათონელის რედაქციის მთელი წლის საკითხავები, ცისკრის IX ოდის შემდგომ საკითხავი ტროპარები ახლავს მხოლოდ საუფლო დღესასწაულთა მსახურებას ისევე, როგორც, სავარაუდოდ, Jer.Geo.25.

Jer. Geo.143. ჯამნი. XII-XIV სს. 168ფ.; ქაღალდი; 18,8×12,6 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. 168r-ზე ერთვის, სავარაუდოდ, დედნიდან გადმოყოლილი ანდერძი, რომელშიც იხსენიება XI საუკუნის

შუა წლების მწიგნობარი მიქაელ დვალი: „დაიწერა და განსრულდა წმიდაჲ ესე წიგნი იჱრსალიმს, მონასტერსა წმიდისა ჯუარის, წმიდისა მამისა ჩუენისა პრობორეს აღშენებულსა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა მიქაელ დვალისაჲთა...“. ხელნაწერი საგანგებოდ ნაკვლევი არ არის. ჟამნის ქართული რედაქციები შესწავლილი და გამოცემულია (კახაბრიშვილი 1973: 122-129; აღწერილობა 1978(a): 94-96; Frøyshov 2003; სევსურიანი 2016: 23).

Jer. Geo. 127. ჟამნი. XII-XV სს.193 ფ.; ქაღალდი, 21.5×13,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; ძველი ყავისფერი ტყავის ყდა. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIV სს. ათარიღებს (Цагарели 1888: 157 №24). კრებულს ერთვის ბეჭედი ჩოლოყაშვილის ანდერძი (IIr) (მეტრეველი 1962: 37,40; მენაბდე 1980: 112-113).


Jer.Geo.150. ჟამნი. XIII-XV სს. 135 ფ.; ეტრატი, 13,5×10,5 სმ.; ნუსხური; რუხი მელანი; ყვითელი ტყავის გვიანდელი ყდა; თავნაკლული. გადაწერის ადგილი: იერუსალიმი, გადამწერი: მახარებელი (151v). მინაწერები აქვს დასაწყისსა და ბოლოში, არშიებზე.

Jer.Geo.128. ჟამნი. XIV-XV სს. 345 ფ.; ქაღალდი; 22.5×19,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ძველი ტვიფრული ყდა.

Jer. Geo.145. ჟამნი. XVII ს. 404 ფ.; ქაღალდი; 20,4×14,2 სმ.; ნუსხურით; შავი მელანი; საზედაო ასოები გაფორმებულია სინგურითა და ოქროთი. ანდერძ-მინაწერები არ აქვს. ალ. ცაგარელი ხელნაწერს ლოცვანად ძოიხსენიებს და ათარიღებს XIII-XV სს. მისი თქმით, ხელნაწერს ამკობს ოქროთი გაფორმებული საზედაო ასოები (Цагарели 1888: 171 №.91).

Jer.Geo.154. ჟამნი. XVIII ს. 497 გვ.; ქაღალდი; 16,2×9,8 სმ.; მხედრული; ძველი შავი ტყავის ყდა. აქვს რამდენიმე ანდერძი თავსა და ბოლოში. ხელნაწერი არ არის ნაკვლევი.

Jer.Geo.76. საწელიწდო სამოციქულო. 1332 წ. 243 ფ.; ეტრატი; 25,8×19,2 სმ.; შავი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; გვიანდელი ტყავის ყდა. მომგებელი: იოვანე ვარძიელი; გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. გიორგი ათონელის რედაქციის ლიტურგიკული სამოციქულო გაწყობილია



79. Jer.Geo.76. 242v-243r.

მთელი წლის კალენდარზე, საკითხავები წარმოდგენილია შემდეგი რიგის მიხედვით: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, დიდმარხვისა და აღდგომის ციკლთა პავლენი ლიტურგიკული შენიშვნებით. ახლავს მომგებლის ვრცელი ანდერძი: „... ღირს ვიმენ მე, გლახაკი იოვანე ვარძიელი, აღდგომისა დეკანოზი, მოგებად წმიდასა ამას ყოველთა სულთა განმანათლებელსა და წინამძღვარსა პავლესა სალოცველად... დაიწერა წინაშე წმიდასა საფლავსა წელსა ლბ თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს. არცა ვისშესვლად უტევებდეს თვინიერ დიდისა ჭირისა და სასყიდლისა, არც ჩუენ მოსვლად უტევებდეს კვირილე მტბევრისა გამზრდელისა, მზრუნველისა და მიწისა ჩუენისა აქა სინა ყოფისა ჩუენისათვის“. ანდერძი შესწავლილი და გადაწერის თარიღი დაზუსტებულია (მეტრეველი 1962: 46-47; კარანაძე 2002: 32,37,41; კლდიაშვილი 2007: 50; კეკელია 2010: 696-707). ბოლო ფურცლებზე ხელნაწერს ერთვის არაერთი გვიანდელი მინაწერი.

Jer. Geo.94. სამოციქულო. XII ს. ეტრატი; 25,9×16,8 სმ.; ნუსხური. შეიცავს მარხვის ციკლის საკითხავებს. რ. ბლეიკის თვალსაზრისით, ხელნაწერი Jer.Geo.82-ის ნაწილია, თუმცა ამ ორი ხელნაწერის კოდიკოლოგიური მონაცემები (ეტრატის შეფერილობა და ხარისხი, ფურცლის ზომა) განსხვავდება. თუ ვივარაუდებთ იმას, რომ ფურცლის ზომებში სხვაობა ხელნაწერის ხელახლა აკინძვის დროს (Jer. Geo. 94-ის ყდა გვიანაა გაკეთებული) ფურცელთა შემოჭრამ განაპირობა, გაუგებარი დარჩება, რატომ სხვაობს ნაწერი ტექსტის ზომა ამ ორ ხელნაწერს შორის: რ. ბლეიკისავე კატალოგით Jer.Geo.94-ის ნაწერის ზომაა 18,2×12,9 სმ.; ხოლო Jer.Geo.82-ისა 15,5×11,8 სმ.; ამდენად, ეს ორი სხვადასხვა ერთეულია. კრებულები არაა საგანგებოდ ნაკვლევი.

Jer.Geo.109. სამოციქულო. XII-XIV სს. 243 ფ.; ქაღალდი; 23×15,2 სმ.; ნუსხური; გვიანდელი ყდა. ხელნაწერში შესულია სამოციქულოს მთელი წლის საკითხავები, გაწყობილი კონსტანტინეპოლურ კალენდარზე. ბოლო ფურცლები დაზიანებულია. რ. ბლეიკის ვარაუდით, იგი დგება №100 ხელნაწერთან, რომელიც შეიცავს XII-XIII სს. დათარირებული თებერვალ-მარტის თვენის მასალას. ალ. ცაგარელი ხელნაწერს ათარიღებს XIV-XVI სს-ით. (Цагарели 1888: 157 N18).

Jer. Geo. 116. სამოციქულო. XIII-XIV სს. 225 ფ.; ქაღალდი; 23,7×15,7 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ყავისფერი ძველი ტყავის ყდა. მოიცავს ლექციონარის მასალას. საკითხავები გიორგი ათონელის რედაქციისაა.

Jer.Geo.95. სამოციქულო. XVI ს. 371 ფ.; ქაღალდი; 24,5×16,7 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი. ხელნაწერი შეიცავს მთელი ლიტურგიკული წლის საქმე მოციქულთას საკითხავებსა და კურთხევანისთვის ტრადიციულად დამახასიათებელ ლოცვებს. ალ. ცაგარელი ხელნაწერს უწოდებს სამოციქულოს, ათარიღებს XV-XVI სს-ით. ხელნაწერს ახლავს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი (Цагарели 1888: 157 N 19).

Jer.Geo.28. საწელიწდო სახარება. XV-XVI სს. 193 ფ.; ქაღალდი; 30,7×19,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები სინგურით; მინაწერები არ აქვს. ხელნაწერში გადაწერილია მთელი წლის საუფლო დღესასწაულებზე გაწყობილი სახარების საკითხავები. შეიცავს მარხვის, აღდგომისა და შემდგომი ლიტურგიკული წლის საკითხავებს. საწელიწდო სახარება გიორგი ათონელის რედაქციისაა. ხელნაწერი ნაკლულია.

Jer.Geo.29. საწელიწდო სახარება. XV-XVI სს. 96 ფ.; ქაღალდი; 30,7×19,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები სინგურით; გვიანდელი ყდა. ხელნაწერი Jer.Geo.28-ის ნაწილია. საწელიწდო სახარება გიორგი ათონელის რედაქციისაა. სინგურით ერთვის გიორგი ათონელის ანდერძი: „ლოცვა-ყავთგლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე სახარებაჲ ვთარგმნე...“(96v).

Jer.Geo.134. ლიტურგიკული კრებული. XVII ს. 467 ფ.; ქაღალდი, 20,9×14,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები სინგურით; ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა. ხელნაწერი შიცავს: 1. ჟამნს (1r-164v); 2. ტრიოდიონს (165r -467v); არ აქვს მინაწერები.

ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები

Jer.Geo.48. პარაკლიტონი. XI ს. 249 ფ.; ეტრატი; 28,2×19,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ყავისფერ ტყავის ყდა. მომგებელი: გიორგი პროხორე. პარაკლიტონი გიორგი ათონელის რედაქციისაა (ხევსურიანი 2016: 93, შენ. 302). ხელნაწერი გადაიწერა გიორგი პროხორეს დაკვეთით. იგია ხელნაწერის მომგებელი (250v). წიგნის ყდის ისტორია შესწავლილია (კარანაძე 2002: 37).

Jer.Geo. 63. პარაკლიტონი. 1167 წ. 161 ფ.; ეტრატი; 28,2×19 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; 2 გადამწერი. დასაწყისის 4 ფურცლის ხელი ჰგავს სინურს. გადამწერის ვინაობა და გადაწერის ადგილი უცნობია. კრებულის კვლევის შედეგები არაა ცნობილი.

Jer. Geo. 123. პარაკლიტონი. XII-XIII სს. 265 ფ.; ქაღალდი; 22,8×16 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; ახალი ყდა. ცაგარლი ხელნაწერს ათარიღებს XIV-XVI სს-ით. (Цагарели 1888: 171 №91).

Jer.Geo.65. პარაკლიტონი. XIII-XV სს. 344 ფ.; ეტრატი; 27,1×18,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; გაფორმებული უხეშად შესრულებული დეკორით.

Jer.Geo.47. პარაკლიტონი. XVII ს. 178 ფ.; ქაღალდი, 29,9×20,1სმ.; ნუსხური, ყავისფერიმელანი. საზედაო ასოები სინგურით. ყავისფერი ტყავის ყდა. ხელნაწერი ბოლონაკლულია, ახლავს გვიანდელი მინაწერები.

Jer.Geo.119. ოქტოიხოსი. XIII-XIV სს. 324 ფ.; ქაღალდი; 23,8×16 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ყავისფერი ტყავის ყდა. 2 გადამწერი: ანონიმი და სიმეონი (324v). აკინძული 2-ჯერ: იაკობისა (XIII-XIV სს.) და საბა ყოფილი სოფრონის (XV-XVI სს.) მიერ. ქვედა ხის დაფაზე ყდის საცავ ფურცლად დაკრულია სომხურად ნაწერი ეტრატის ფურცელი (X-XI სს.) ხელნაწერს ერთვის თანადროული და გვიანდელი კოლოფონები. ხელნაწერი და ანდერძ-მინაწერები შესწავლილია (Цагарели 1888: 171, N93; მეტრეველი 1962: 36; კარანაძე 2002: 41-43, 44).

Jer. Geo.131. მარხვანი. XI-XII სს. 211 ფ.; ეტრატი; 20,2×16,2 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; გვიანდელი ყდა. საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo. 82. მარხვანი. XI-XII სს. 151ფ.; ეტრატი; 24,9×17,4 სმ.; ნუსხური; ნაკლული. რ. ბლეიკის შენიშვნით, მართალია, ხელნაწერს 1r-ზე მინაწერში ეწოდება მარხვანი, მაგრამ იგი უფრო დიდმარხვისა და აღდგომის ცილკლების სამოციქულო უნდა იყოს. კრებული საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo.130. მარხვანი. XI-XIII, XV-XVI სს. 295 ფ. (91 ფ. ეტრატი + 194 ფ. ქაღალდი) 22×17 სმ. 2 ტიპის ნუსხური; გვიანდელი შავი ტყავის ტვიფრული ყდა. ხელნაწერი კონვოლუტია. I ნაწილი მარხვანია, გადამწერია: გაბრიელ სვანი. II შეიცავს ძველი აღთქმის საკითხავებს. ნუსხა წამოღებული უნდა იყოს ათონის ივერთა მონასტრიდან. მარხვანის ეს ნაწილი გიორგი ათონელის რედაქციისაა. ლ. ხაჩიძის აზრით, Jer.Geo.130 ნუსხაში შესული ჰიმნოგრაფიული ნაწილი საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის (BnF) Geo.5-ში დაცული ავტოგრაფიული მარხვანიდან ან მისი უშუალო პირიდან უნდა იყოს შეტანილი ხელნაწერში, BnF Geo.5-ის მსგავსად სტიქარონებთან მინაჩხის ავტორობა აღნიშნულია ასომთავრული მანით (ხაჩიძე 1987: 116-118). ხელნაწერი შესწავლილია (Цагарели 1888: 169 №79; ხევსურიანი 2016: 71, სქ. 219).

Jer. Geo. 56. მარხვანი. XII-XIII სს. 256 ფ.; ქაღალდი; 25,5×20,1 სმ.; ნუსხური. მარხვანი სრულია, თუმცა ხელნაწერს არ შემორჩენია გადამწერის ანდერძ-მინაწერები. ყდის საცავი ფურცელზე არსებული კოლოფონიდან ირკვევა, რომ მარხვანი ხელმეორედ აუკინძავს და ყდაში ჩაუსვამს იაკობ სადკერველს. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XIV-XVI სს-ით ათარიღებს (Цагарели 1888: N 83 (?).

Jer. Geo. 105. მარხვანი. XII-XIV სს. 162 ფ.; ეტრატი; 25,8×18,8 სმ.; ნუსხური; ყდა ძველი ამოუტვიფრავი ტყავისა. კრებული გიორგი ათონელის რედაქციისაა.

Jer.Geo.61. მარხვანი. XIII-XV სს. 364 ფ.; ქაღალდი; 29,5×20 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. ხელნაწერს არ აქვს გადამწერის ანდერძ-მინაწერები. 365v არშიაზე შენიშვნაა, რომ წიგნი ხელახლა აკინძა და ყდაში ჩასვა საბაყოფილმა ბესარიონმა. ნუსხა არაა ნაკვლევი.

Jer.Geo.141. მარხვანი. XIII-XVსს. 80 ფ.; ეტრატი; 20,2×14,4 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გვიანდელი ყდა, დაზიანებული. ხელნაწერი Jer.Geo.144 ტრიოდიონის ნაწილია. მინაწერები არ აქვს. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIII სს. ათარიღებს (Цагарели 1888: 168 №76).

Jer. Geo.144. მარხვანი. XIII-XV სს. 66 ფ.; ეტრატი; 20,2×14,4 სმ.; ნუსხური. ხელნაწერი Jer. Geo.141-ის ნაწილია.

Jer. Geo.101. მარხვანი. ფრაგმენტი. XIII-XV სს. 25 ფ.; ეტრატი; 24×17,6 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი. ყდა თანამედროვე.

Jer.Geo.46. მარხვანი. XIII-XVI სს. 100 ფ.; ეტრატი; 28×19,2 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; უყდო. წიგნის რაობა განსაზღვრული რ. ბლეიკის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ მარხვანის შემდგომ ხელნაწერში შესულია თვენის ნაწილი, თუმცა არ ასახელებს, რომელი თვის მასალა. კრებულის რაობა და რედაქციული თავისებურება შეუსწავლელია.

Jer.Geo. 85. მარხვანი. XIV-XV სს. 308 ფ.; ქაღალდი, 23,5×17 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. ხელნაწერი დაზიანებულია. საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo.112. მარხვანი. XV ს. 234 ფ.; ეტრატი; 22,5×16 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ახალი ყდა. ტექსტი სრულია. დასაწყისში გვხვდება ორი კოლოფონი. ა. ცაგარლის კატალოგის მიხედვით ხელნაწერი შიცავს 235 ფურცელს და დათარიღებულია XII- XIII სს-ით (Цагарели 1888: 167, N69).

Jer.Geo.79. მარხვანი. XVII ს. 259 ფ.; ქაღალდი; 24,8×16,7სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. მარხვანი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს. კრებული საგანგებოდ ნაკვლევი არაა.


Jer. Geo.126. მარხვანი. XVII ს. 526 ფ.; ქაღალდი; 21,2×14 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები და დასაწყისები სინგურით; გვიანდელი ყდა. მარხვანი შედგეა სათვეო ნაწილისა და ბიბლიური საკითხებისაგან. ხელნაწერი მცირე გულანის ტიპისაა.

Jer.Geo.67. ზატიკი. XII ს. 259 ფ.; ქაღალდი; 26,2×8,7 სმ.; ნუსხური; ნაკლული. გადამწერი: ნიკოლოზ კატარაწისძე. წიგნი გიორგი ათონელის შემდეგდროინდელი რედაქციის ზატიკია (ხევსურიანი 2016: 72). ანდერძებში წიგნს ეწოდება მარხვანი (259r-v). კრებული შეწირულია კაპათას მონასტრისთვის. ალ. ცაგარელი აქვეყნებს ხელნაწერზე არსებულ ვლასი ურბნელისა და ბარნაბა თბილელის 1570 წლით დათარიღებულ ანდერძსაც, რომელიც ამჟამად დაკარგულია (Цагарели 1888: 168).

Jer.Geo.146. ზატიკი. XII ს.168 ფ.; ქაღალდი; 19,6×15,3 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით.

Jer.Geo.83. ზატიკი. XII-XIII სს. 281 ფ.; ეტრატი; 26,2×19,6 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ზოგან სათაურები ნაწერია წითლით; ტყავის ყდა. რ. ბლეიკის განმარტებით, კრებული აპრილ-მაისის თვენია, ხოლო ალ. ცაგარელი მას ზატიკს უწოდებს (Цагарели 1888: 167 N67). თავნაკლულია; მასალა იწყება აპრილიდან, წმ. გიორგის ხსენების დღიდან, და მთავრდება ამაღლების დღესასწაულზე საკითხავი კანონებით. კრებული საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer. Geo 55. ზატიკი. XIII-XIV სს. 182 ფ.; ეტრატი, 27,6×19,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები წითლით. ხელნაწერის ხელმეორედ მკაზმველი იაკობ სადკერველი. გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. თავბოლონაკლული ნუსხა შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის ზატიკს, რომელიც მცირედი სხვაობებით მიჰყვება ამავე რედაქციის ათონურ ხელნაწერს Ivir. Geo.63 (ხევსურიანი 2910: 107). წიგნს არ შემორჩა გადაწერის თანადროული ანდერძ-მინაწერები, 173 v-ზე იკითხება რამდენიმე გვიანდელი მინაწერი.



80. Jer.Geo.111. 154v. თევდა (თევდორე) დიღმელის ანდერძი

Jer.Geo.111.ზატიკი. XIII-XIV სს. 154 ფ.; ქაღალდი; 20,5×13 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; გვიანდელი ყდა. კრებული გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა. ნუსხაში სადა დღეები შევსებულია სხვადასხვა დანიშნულების ჰიმნოგრაფიული ტექსტებით. მათი დიდი ნაწილი დასტურდება გიორგი მთაწმინდლის პარაკლიტონებში. 154 v-ზე გვხვდება XIV ს-ის მინაწერი: „მე, ცოდვილმან, სრულიად სულძაღლმან, საპყარმან ბერმან, მოძღვარმან თევდორე, დავდევ ზატიკნი ესე წმიდა აღდგომას, რაჲთა აღდგომას შინა მყოფნი ძმანი ჩემთვის და მშობელთა ჩემთათვის შენდობასა იტყოდენ. და თურადმე ქართველნი აღარ იყვნენ, მერმე მეტ ოქს დაიდვას და სადაცა საჭმარ იყვნენ. და ვინცა იწრუსალიმით სხუაგან წაიღოს, ამამცა ქრისტეს საფლავისა მადლითა კრულია და მოციქულთა კანონსამცა ქუშე არის, და ვინცა იქმარებდეთ და ჩემთვის შენდობაჲ სთქვათ, თქვენცა შეგინდვენ ღმერთმან ამინ". (კეკელია 2010/2011: 241). ხელნაწერის რედაქციული თავისებურებანი შესწავლილია (მენაბდე 1980: 144; ხევსურიანი 2016: 107, 109).

Jer.Geo. 87. ზატიკი. XVI-XVII სს. 186 ფ.; ქაღალდი; 27,1×18 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით. ხელნაწერს ყდის საცავ ფურცლებზე ახლავს მხედრულით შესრულებული მინაწერები, რომლლებშიც მოიხსენიებიან თეოდოსე, ბეენა ჩოლოყაშვილი – ირუბაქიძე.

Jer.Geo.31. დასდებელნი აღდგომისანი. XIII-XIV სს. 170 ფ.; ქაღალდი; 29,8×22,1 სმ.; ნუსხური; მელანი ყავისფერი. ხელნაწერი საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo.41. დასდებელნი აღდგომისანი. XIII-XV სს. 237 ფ.; ქაღალდი; 29×22,6 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ახალი ყდა. ხელნაწერი შეიცავს რამდენიმე საკითხავს სახარებიდან და აღდგომის დასდებლებს. კრებული რედაქციულად შესწავლილი არ არის.

Jer.Geo.86. დასდებელნი აღდგომისანი. XIII ს. 171 ფ.; ქაღალდი, 24,2×15 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; გადაწერის ადგილი: ჯვრის მონასტერი. ხელნაწერი საგანგებოდ ნაკვლევი არ არის.

Jer.Geo. 75. თვენი. 1066 წ. 123 ფ.; ეტრატი; 25,1×16,4 სმ.; ნუსხური. გადამწერი: გრიგოლ ხუცესი; გადაწერის ადგილი: ეზრას მონასტერი შავ მთაზე. შეიცავს ოქტომბრის თვის საგალობლებს. ხელნაწერი თარიღდება ანდერძის საფუძველზე: „დიდებაჲ და მიზეზსა ყოველთა კეთილთასა... რომლისა შეწევნითა სრულ იქმნა ესე თთუე ქორონიკონსა სპვ, მონასტერსა სანატრელისა მამისა ეზრაჲსსა ჴელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისაჲთა..." (123r).

Jer.Geo. 42. თვენი. XI ს. 291 ფ.; ეტრატი; 28,7×19,1 სმ.; ნუსხური; გვიანდელი ყდა. გადამწერები: გიორგი და ესაია. შესულია 2 თებერვლიდან 17 აგვისტომდე მასალა. არის პალესტინურ წრეში ჩამოყალიბებული თვენის I რედაქცია, რომელიც წარმოადგენს იაგარიდან გიორგი ათონელის

თვენისკენ გარდამავალი საფეხურის კრებულს (კეკელიძე 1962: 5-55; ჯღამაია 1961: 35; 2016: 149). 2 გადამწერი: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი და ესაია“ (252v, 272v), ქრისტე შეიწყალე მჩხეკალი გიორგი“ (294v). (მეტრეველი 2007: 236-237).

Jer.Geo. 71. თვენი. XI-XII სს. 216 ფ.; 27,2×17,5 სმ.; ეტრატი; ნუსხური; შავი მელანი; ნაკლული; თვენის I რედაქცია. შედგენილია იერუსალიმური და კონსტანტინეპოლური ტრადიციების შეზავების გზით, ჩამოყალიბებულია იერუსალიმელ მოღვაწეთა წრეში (ჯღამაია 2016: 197). შეიცავს წმინდანების ხსენებებს 1 სექტემბრიდან 4 მარტამდე.

Jer.Geo. 90. თვენი. XI-XII სს.5 2 ფ.; ეტრატი; 25,4×20,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. შეიცავს 22 აპრილი-12 მაისის ჰიმნოგრაფიულ კანონებს.

Jer.Geo.98. თვენი. XI-XII სს. 216 ფ.; ეტრატი; 22,5×15,5 სმ.; ნუსხური; გვიანდელი ყდა. ხელნაწერი შეიცავს ივნისის თვის ჰიმნოგრაფიულ კანონებს, გიორგი ათონელის ანდერძსა (174r-175r) და ზანდუკს. თვენი იერუსალიმის უფლის საფლავის მონასტრის საკუთრება იყო. ხელნაწერი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის კვლევისათვის საინტერესო ერთეულია. მასზე დართულ გიორგი ათონელისეულ ანდერძში გვხვდება ქართული ჰიმნოგრაფიის მნიშვნელოვანი ტერმინი „მეხური“. ხელნაწერი და ჰიმნოგრაფიული ტერმინები შესწავლილია (გვახარია 1970; მეტრეველი 1971: 050; 2012: 30-51; ჯღამაია 1962: 2007: 26, 27, 29; 2016: 211). ალ. ცაგარლის კატალოგის მიხედვით, ხელნაწერი მოიცავს 217 ფურცელს და დათარიღებულია XII-XIII სს-ით. (Цагарели 1888: 165, N 41).

Jer. Geo.124.. თვენი. XI-XII სს. 333 ფ.; ეტრატი, 23,3×15,2 სმ.; ნუსხური, შავი მელანი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. გვიანდელი ყდა. შეიცავს სექტემბრ-ნოემბრის მასალას. გიორგი ათონელის რედაქცია. თავნაკლულია. ერთვის როგორც გიორგი ათონელის ანდერძი (354v), ასევე ლავრენტი ბერის 1806 წლის მინაწერი. ცაგარელი ხელნაწერს სვინაქსარს უწოდებს (Цагарели 1888: 157-158, №25). ხელნაწერი შესწავლილი და ტექსტი გამოცემულია. გამოცემის მიხედვით თვენი შედგება 345 ფურცლისგან (ჯღამაია 2007).

Jer. Geo. 104. თვენი. XI, XVI სს. 231 ფ.; კონვოლუტი: 172 ფ.; -ეტრატი, 59 ფ.; – ქაღალდი, 23,5×16,3 სმ.; ნუსხური, მუქი ყავისფერი და შავი მელანი. შეკაზმულია ორგზის, პირველი ყდის ოსტატია მახარებელი, მეორესი – ანთიმოზ ხანთუბისძე. შესულია მაისის თვის ჰიმნოგრაფიული კანონები. ხელნაწერის რაობისა და შედგენილობის საკითხებზე ბლეიკისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ა. ცაგარელს. იგიხელნაწერს მიაკუთვნებს პატრისტიკულ კრებულს. ფურცელთა რაოდენობისთვის მიუთითებს 238 ფურცელს, ხელნაწერს ათარიღებს XI, XIII-XIV სს-ით (Цагарели 1888: 182-183, N139).

Jer.Geo. 68. თვენი. XII-XIII სს. 283 ფ.; ქაღალდი; 24,0×19,8სმ.; ნუსხური; გადაწერილია კაპპათას მონასტერში კვირიკე მოძღვრისა და მისი მოწაფე მარკოზის მიერ. შეიცავს სექტემბერ-ოქტომბრის თვეთა მასალას (მენაბდე 1980: 146).

Jer.Geo.100. თვენი. XII-XIII სს. 221 ფ.; ეტრატი, 24×18,5 სმ.; ნუსხური; ყდა მუქი ტყავგადაკრული ხისა, ამოუტვიფრავი. თვენი გიორგი ათონელის რედაქციისაა (ჯღამაია 2016: 201). შეიცავს თებერვალ-მარტის მასალას. ალ.ცაგარლი ხელნაწერს XI-XII სს-ის სვინაქსარს უწოდებს (Цагарели 1888: 158, N26). მის დროს იგი შეიცავდა 229 ფ-ს. ხელნაწერში შესულია ეფთვიმე ათონელის თარგმნილი ცალკეული კანონები (ჯღამაია 2007: 24).

Jer. Geo. 110. თვენი. XII-XIII სს. 117 ფ.; ეტრატი, 22,9×16,8 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი. ხელნაწერი ბოლონაკლულია. თვენი შეიცავს 1-21 სექტემბრის მასალას, რომელსაც წინ უძღვის ზანდუკი. ალ. ცაგარლის კატალოგის მიხედვით, ხელნაწერი შეიცავდა 122 ფურცელს და დათარიღებულია XII-XIV საუკუნეებით. თვენის ტექსტს უძღვის გიორგი მთაწმინდლის ვრცელი ანდერძი, რომელშიც ზუსტადაა განსაზღვრული სექტემბრის თვის ექვთიმე ათონელის, მეხელე-

თა და თავად გიორგი ათონელის თარგმნილი მასალა; ანდერძს ერთვის ზანდუკი. ტერმინი „მეხელი“ პირველად სწორედ გიორგი მთაწმინდლის ანდერძებში (Jer.110, Jer. 98) გვხვდება. ხელნაწერი და გიორგი ათონელის თვენი შესწავლილი, ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1888: 165 №42; ჯღამაია 2007; 2016: 205-207).

Jer.Geo.97. თვენი. XII-XIV სს.178 ფ.; ქაღალდი; 23,8×16,4 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; გვიანდელი ყდა. ხელნაწერი შეიცავს აპრილის თვენის მასალას, იოანე ოქროპირის აღდომის ცისკრის საკითხავს: „რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარულნი და მორწმუნენი...“ ალ. ცაგარელი თვენს XIII-XV სს. ათარიღებს. (Цагарели 1888: 165 N117).

Jer. Geo.54. თვენი. XII-XV სს. 351 ფ.; ქაღალდი; 26,6×8,3 სმ.; ნუსხური; მელანი მოშავო ყავისფერი; სათაურები სინგურით. კრებული შეიცავს ოქტომბერის თვენს, თებერვალ-აგვისტოს საუფლო დღესასწაულებსა და წმინდანთადმი მიძღვნილ მასალას.

Jer.Geo.137. თვენი. XII-XIV სს. 104 ფ.; ეტრატი; 20,2×15,9 სმ.; ნუსხური; შავი ტყავის ტვიფრული ძველი ყდა.ხელნაწერი შეიცავს 25 სექტემბრისა და 25 მარტის მასალას. ნუსხა დეფექტურია თავსა და ბოლოში, არ აქვს ანდერძ-მინაწერები (Цагарели 1888: 167, №.43).

Jer.Geo.40. თვენი. XIII ს. 277 ფ.; ქაღალდი; 25×14,4 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით, ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. თვენი შეიცავს 1-24 სექტემბრის საკითხავ მასალს. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XIV-XVI სს. ათარიღებს, ნ. მარი – XII საუკუნით (Цагарели 1888: 167 № 66; მარი 1955: 71).

Jer.Geo. 78. თვენი. XIII ს. 218 ფ.; 24,7×19,6 სმ.; აღმოსავლური ქაღალდი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები წითლით. თვენი შეიცავს დეკემბრის ჰიმნოგრაფიულ კანონებს, 3-27 დეკემბრის მასალა სრულადაა დაცული, დანარჩენი ნაწილები დაზიანებულია.

Jer.Geo. 89. თვენი. ფრაგმენტი. XIII-XIV სს.1 5 ფ.; ეტრატი; 26×19,2 სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები სინგურით. შეიცავს 1-5 ივნისის თვის საკითხავებს.

Jer.Geo. 91. თვენი. XIII-XIV სს. 50 ფ.; ქაღალდი; 26,0×17,5 სმ.; ნუსხური; მელანი შავი. ტვიფრული ტყავის ყდა. შეიცავს სექტემბერ-იანვრის ჰიმნოგრაფიულ კანონებს. იწყება 15 სექტემბრიდან. ალ. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIV სს-ით ათარიღებს (Цагарели 1888: 166 N59).

Jer.Geo.107. თვენი. 1300 წ. 397 ფ.; ქაღალდი; 25×14,4 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ადრეული შავი ტყავის ყდა. გადამწერი: ანტონი ეზდაველისძე. ხელნაწერს კიდეებსა და ბოლოში ერთვის მინაწერები. შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის ივლის-აგვისტოს თვენის ჰიმნოგრაფიულ მასალას. ხელნაწერს ალ. ცაგარელი XIII-XIV ათარიღებს. რ. ბლეიკისეული დათარიღება ეყრდნობა გადამწერის ანდერძის ჩვენებას: „ორი ესე თუჳ ივლისი და აგჳსტოსი სრულ იქმნა ჴელითა ეზტველისძისა ანტონისითა...დაიწერა და განსრულდა თუჳ დასაბამითგან წელთა ბერძულად ხვჳ და ქართულად ხმ, ქორონიკონსა ფკ.“ წიგნი 2-ჯერაა აკინძული: 1300 წ-ს ანტონ ეზტელისძის, ხოლო XV-XVI სს-ში გიორგი სამხარაძის მიერ (397v). რ. ბლეიკის მიერ ამოკითხული გადამწერის გვარი ეზტველისძის სწორი ფორმა უნდა იყოს ეზდაველიძე. ამ გვარის გადამწერია ქართულ ხელნაწერ ტრადიციაშიც კარგად ცნობილი ანტონი ეზდაველისძე. ხელნაწერი და ანდერძ-მინაწერები შესწავლილია (Цагарели 1888: 167 N63; ხაჩიძე 1987; კარანაძე 2002: 22, 39,44; კეკელია 2010/2011: 239-243).

Jer.Geo. 70. ჰიმნოგრაფიული კრებული. XIII-XIV სს. 138 ფ.; ქაღალდი; 23×16,8 სმ. და 25,6×17,2 სმ.; ნუსხური; სხვადასვა ტონალობის ყავისფერი მელანი; გვიანდელი ყდა; კონვოლუტი. ხელნაწერი აერთიანებს ზატიკსა და ოქტომბერ-ნოემბრის თვენს. ალ. ცაგარელი მთელ კრებულს თვენს უწოდებს (Цагарели 1888: 166 № 70).

Jer.Geo.53. თვენი. XIVს. 300 ფ.; ქაღალდი; 24,8×16,2 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები წითლით. ხელნაწერში შესულია ნოემბერ-თებერვლის მასალა.

Jer.Geo.135. თვენი. XIV სს. 244 ფ.; ეტრატი; 19,8×14,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა. გადამწერი: თევდა (244v); გადაწერის ადგილი: იერუსალიმი, წმინდა აღდგომის მონასტერი. ნუსხა შეიცავს აპრილის თვის ჰიმნოგრაფიულ კანონებს. შევსებულია XVI ს-ში. ნუსხას ბლეიკი XIII-XIV სს-ით ათარიღებს (Blake 1925-1926: 135). იერუსალიმური კოლექციის არაერთ ხელნაწერზე არსებული გადამწერ თევდას ანდერძ-მინაწერების შესწავლამ დაადგინა, რომ ეს პირი XIV ს-ის მოღვაწეა (კეკელია 2010: 696-707; 2010/2011: 239-243).

Jer.Geo.26. თვენი. XIV-XV სს. 330 ფ.; ქაღალდი; 30,5×20 სმ.; ნუსხური; გვიანდელი ყდა. შესულია მთელი წლის საუფლო დღესასწაულთა საგალობლები. ერთვის წიგნის კინძვასა და ყდის ისტორიასთან დაკავშირებული მინაწერები, რომლებშიც მოიხსენიებიან XIV-XVI სს-თა ცნობილი პირები. წიგნის ყდის ისტორია ანდერძ-მიაწერებითურთ შესწავლილია (კარანაძე 2002: 22, 33, 39).

Jer.Geo.52. თვენი. XIV-XV სს. 135 ფ.; ქაღალდი; 27,2×18,6 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით. ნაკლული. თვენი იწყება 6 დეკემბრის საკითხავით და მთავრდება 24 დეკემბრით. კრებული გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს.

Jer.Geo.117. თვენი. XIV-XVI სს. 159 ფ.; ქაღალდი; 24,4×15 სმ.; ნუსხური; ძველი ყავისფერი ტყავის ყდა. გადამწერი უცნობია. თვენი შეიცავს დეკემბრის თვის საგალობლებს. აკინძული 2-ჯერ: გადაწერისთანავე მღვდელ-მონაზონ მანასესა და მოგვიანებით ბეენა ჩოლოყაშვილის მიერ. გვიადელ მინაწერში მოიხსენიებულია მეფეთ მეფე გიორგი, სავარაუდოდ, გიორგი II, კახთა მეფე (1511-1513წწ.). ხელნაწერი და ანდერძ-მინაწერე ნაკვლევია (Цагарели 1888: 166 № 50; მეტრეველი 1962: 37,40; მენაბდე 1980: 113; ლექსიკონი 1991: 247; კარანაძე 2002: 38, 44).

Jer. Geo. 132. თვენი. XV ს. 343 ფ.; ქაღალდი; 23,4×14,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით, ძველი ტყავის ამოუტვიფრავი ყდა. გადამწერი: მამა მიქაელი; ადგილი: ტკებნარის მონასტერი (343r). ხელნაწერში შესულია გამორჩეული წმინდანებისა და დიდი დღესასწაულების მთელი წლის თვენის მასალა.

Jer. Geo.92. თვენი. XV-XVI სს. 178 ფ.; ქაღალდი, 24,5×15,5სმ.; ნუსხური, შავი მელანი, დასაწყისები წითლით. შეიცავს ოქტომბრის თვის ჰიმნოგრაფიულ კანონებს. რ. ბლეიკის თვალსაზრისით, ეს ნუსხა და Jer. Geo. 97 ერთი ხელითაა გადაწერილი.

Jer.Geo. 81. თვენი. XV-XVI სს. 302 ფ.; კონვოლუტი, ქაღალდი, I ნაწ.: 24,5×16,5სმ.; II ნაწ.: 23×15,8 სმ.; ყავისფერი მელანი, შეიცავ ივლისის თვის მასალასა და მარხვანის ფრაგმენტს.

Jer.Geo. 64. თვენი. XV-XVII სს. 185 ფ.; ქაღალდი, 26,8×13,8 სმ.; ნუსხური; მელანი შავი; სათაურები წითლით. გადამწერი: თადეოზი (185v). გადაწერის ადგილი უცნობია. შესულია ნოემბრის თვის მასალა.

Jer.Geo.125. თვენი. XVII ს. 300 ფ.; ქაღალდი; 21×15,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. შესულია სექტემბრის თვის ჰიმნოგრაფიული კანონები. ალ. ცაგარლის აღწერილობით, კრებული თარიღდება 1502 წ-ით, გადამწერია იოაკიმე, გადაწერის ადგილი-გოლგოთა, თუმცა რ. ბლეიკი ამ ცნობებს არადასტურებს (Цагарели 1888: 166 №52: Blake 1925-1926: 133-134).

Jer.Geo. 69. საგალობელთა კრებული. XIII-XIV სს. 128 ფ.; ქაღალდი; 27,1×20 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები შავითა და წითლით. კრებულში შესულია ლიტურგიკული ფსალმუნი, რომელიც იწყება 51-ე ფსალმუნიდან გალობებითურთ. ამ ნაწილს მოსდევს ღვთისმშობლისადმი ვედრება და საგალობლები, იონასა და ამბაკუმის გალობები, რომლებიც სხვა ხელნაწერიდან უნდა იყოს გადმოტანილი.

Jer.Geo. 84. საგალობელთა კრებული. XIV-XVI სს. 180 ფ.; ეტრატი; 24,2×19,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. კრებული ნაკლულია. შეიცავს ღვთისმშობლისა და წმინდანთა შესხმის კანონებს. საგანგებოდ ნაღვლევი არ არის.

Jer. Geo.57. ლოცვათა და საგალობელთა კრებული. XV-XVI სს. 200 ფ.; ქაღალდი; 24 ×16,5სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დაშლილი ხელნაწერი მოთავსებულია მეწამულ ტილოს ქისაში. რ. ბლეიკის ვარაუდით, ფურცლები სხვადასხვა ხელნაწერის ნაწილები უნდა იყოს. ხელნაწერს არ შემორჩენია გადაწერის თანადროული ანდერძ-მინაწერები.

Jer.Geo.114. კონდაკი. XV-XVI სს. 125 ფ.; ქაღალდი; 23,2×14,8 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; ახალი ყდა. გადამწერი უცნობია; მკაზმველი: ბეენა ჩოლოყაშვილი. კონდაკი მოიცავს მთელი წლის მასალას. ალ. ცაგარელ ხელნაწერს ათარიღებს XIII-XIV სს-ით (Цагарели 1888: 172 №100). ხელნაწერის შესახებ სამეცნიერო თვალსაზრისები გამოქვეყნებულია (მენაბდე 1980: 113; კარანაძე 2002: 38, 44).

Jer. Geo.121. კურთხევანი. XV-XVI სს. 223 ფ.; ეტრატი; ნუსხური; 22×16,7 სმ.; ყავისფერი მელანი. ახალი ყდა, გადამწერი დეკანოზ-მონაზონი.

Jer.Geo.138. ირმოსი. XVII ს. 211 ფ.; ქაღალდი; 21,5×16 სმ.; კონვოლუტი-195 ფურცლის შემდეგ სხვა წიგნის ფრაგმენტებია. ნუსხური; შავი მელანი. შეიცავს ღვთისმშობლის შესხმებს (1r-194v), ფრაგმენტებს ლიტურგიკული ხელნაწერიდან და ფსალმუნიდან (195r-211v). ალ. ცაგარელი ხელნაწერს XIV-XVI სს-ით ათარიღებს. ნუსხას ერთვის რამდენიმე მინაწერი (Цагарели 1888: 171 № 97(?)).

Jer.Geo.157. არაიდენტიფიცირებული ფრაგმენტები. სხვა კოდიკოლოგიური მონაცემები უცნობია.

Jer.Geo.158. არაიდენტიფიცირებული ტექსტები. ფრაგმენტები

Jer.Geo. 159. ფრაგმენტები. XV-XVI სს. 3 ყდის ფრაგმენტი + 8 ეტრატის ფ.; ამათგან ხუთი ორმაგი პალიმფსესტური ფურცლის ზედა ფენა მაისის თვენია, 22,7x17,8 სმ.; ნუსხური; ქვედა ფენა, სავარაუდოდ, ოთხთავია, IX ს., მთავრული. 3 ფ.; სხვადასხვაენოვანი (არაბული, სომხური, ძვ.ინგლისური) რამდენიმე სიტყვაა.

პოლონეთის რესპუბლიკა

ჩარტორიისკების მუზეუმი, პრაკოვი

პოლონეთში ქართული ხელნაწერი წიგნის 11 ერთეული ინახება ქ. კარაკოვის ჩარტორიისკების მუზეუმში. მუზეუმი დაარსდა 1796 წელს. ოფიციალურად იგი გაიხსნა 1801 წელს ქ. პულავაში. შემდგომ კოლექციის ნაწილი, რომელიც გადაურჩა დარბევასა და განადგურებას, გადაიტანეს პარიზში. 1970 წელს კოლექცია დაუბრუნდა პოლონეთს, ქ. კრაკოვს. მუზეუმი ფლობს ხელოვნების ნიმუშთა მეტად მნიშვნელოვან კოლექციას, ხოლო მის ბიბლიოთეკაში დაცულია 70000 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. ქართული ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია 11 ერთეულის ოდენობით. როდის და რა გზით შევიდა ეს ხელნაწერები კოლექციაში, არაა ცნობილი. ხელნაწერები არაა ნაკვლევი, არსებობს მხოლოდ მათ შესახებ ზოგადი ინფორმაცია. პირველი მწირი ცნობები ხელნაწერთა შესახებ საზოგადოებას მიაწოდა ალ. ცაგარლმა (Цагарели 1894: 284). არსებობს პოლონურენოვანი აღწერილობაც (Braun1958: 52-60). 2009 წელს გამოქვეყნდა ქართველი მკვლევრის დ. ყოლბაიას მიერ შედგენილი მცირე კატალოგი (ყოლბაია 2009:15-22). სამწუხაროდ, არ არსებობს სხვა, გაცილებით მრავლისთქმელი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაცია. ამიტომაც წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს.

Sygn. 1918. „წიგნი საგალობელთა, რომელინიც წარიკითხებიან მეზვერისა და ფარისევლის კვირიდან სრულიად დიდ-მარხვისა, ვიდრე პასექამდე“. XVII-XVIIIსს. 358 ფ.; ქაღალდი; 20×28,2 სმ.; ნუსხური; მელანი შავი. ხელნაწერი აკინძულია, აქვს მაგარი ყდა; თავბოლონაკლულია.

Sygn. 1919. სადღესასწაულო. XIს. 203 ფ.; ეტრატი; 20,8×24,8 სმ.; ნუსხური; მელანი შავი. ხელნაწერი აკინძულია, აქვს მაგარი ყდა. დაზიანებულია.

Sygn. 1920. სახარების საკითხავები. XVII-XVIIIსს. 247 ფ.; ქაღალდი; 16,3×22,1 სმ.; ნუსხური; მელანი შავი; ტყავის ყდა.

Sygn. 1921. სადღესასწაულო. XII-XIII სს. 60 ფ.; ქაღალდი; 18×19,1 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. ხელნაწერი აკინძულია, აქვს მაგარი ყდა. თავბოლონაკლულია. ფფ.16-17 დამატებული ჩანს მოგვიანებით. 49r მარჯვენა გვერდზე ერთვის გიორგი მთაწმინდელის კოლოფონი.

Sygn. 1922. ჟამნი. XVI-XVIII სს.124 ფ.; ქაღალდი, 14,2×20 სმ.; ნუსხური; შავი მელანი. აქვს ტყავის ყდა. თავბოლონაკლული.

Sygn. 1923. დავითნი. XVI-XVIIIსს. 95 ფ.; ქაღალდი, 14×20სმ.; ნუსხური; შავი მელანი; აქვს მაგარი ყდა; თავბოლონაკლული. 19v-ზე არის მინაწერი: „ესტატეს ჭირიმე, რა კაის წიგნსა სწერ“.

Sygn. 1924. ჰიმნოგრაფიული კრებული (?). XIII-XIV სს. 30ფ.; ქაღალდი; 12,5×16,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; თავბოლონაკლული; დაზიანებული. აქვს მაგარი ყდა.

Sygn. 1925. ლოცვანი. XVI-XVIII სს. 200ფ.; ქაღალდი; 10,5×15,5 სმ.; შავი მელანი; ტყავის ყდა. თავბოლონაკლულია.

Sygn. 1926. დავითნი. XVI-XVIII სს. 98ფ.; ქაღალდი; 11×14,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ტყავის ყდა. თავბოლონაკლულია.

Sygn. 1927. დავითნი. XVII-XVIII სს. 321ფ.; ქაღალდი; 10,6×15,6 სმ.; შავი მელანი; ტყავის ყდა; თავნაკლული.

Sygn. 1928. დავითნი. XVI-XVIII სს.112ფ.; ქაღალდი; 9,2×13,6 სმ.; ნუსხური; მელანი შავი. ხელნაწერი აკინძულია. აქვს ტყავის ყდა. თავნაკლული. დაზიანებული.

ჩარტორიისკების მუზეუმში დაცული ამ ხელნაწერების გარდა, დ. ყოლბაიას მცირე კატალოგში შესულია ცნობები მის მიერ 2006 წელს მოპოვებული ხელნაწერის, სავარაუდოდ, ჟამნის ფრაგმენტის შესახებაც: ჟამნი(?). XVIII-XIX სს. 4ფ. ქაღალდი; 22x31 სმ.; მხედრული; მუქი (?) მელანი. ხელნაწერი შემკულია. ფრაგმენტი ინახება აღმწერლის პირად არქივში (ყოლბაია 2009:22-23).

რუსეთის ფედერაცია

სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (მოსკოვი)

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი დაარსდა 1872 წელს. ესაა დიდი სამუზეუმო გაერთიანება, რომელშიც შედის ვასილი ნეტარის ტაძარი, 1812 წლის სამამულო ომის მუზეუმი და რომანოვების პალატები. სახელწიფო ისტორიული მუზეუმი უმდიდრესი კოლექციის ნაწილს 1883 წლიდან შეადგენს ხელნაწერ და პირველნაბეჭდ წიგნთა ფონდები, რომლებშიც თავმოყრილია წერილობით სიძველეთა 31 000 ერთეული: ჩვ. წ. I ათასწლეულის ბერძნული პაპირუსები, XI-XV სს-ის არყის ხის ქერქზე ნაწერი იშვიათი რუსული სიგელები, ბერძნული და სლავური ხელნაწერები. დიდ ყურადღებას იმსახურებს უძველესი მოხატული ხელნაწერები: IX ს-ის ხლუდოვის ფსალმუნი და XI ს-ის სტუდიელთა მონასტრის სვინაქსარია, 1073 წლის სვიატისლავის კრებული, მსტისლავის სლავური გამოკრებილი ოთხთავი და სხვ. მუზეუმში დაცულია ქართული ხელნაწერი წიგნის 2 ერთეული, რომელთა შესახებ ინფორმაციას ვაქვეყნებთ ამ ხელნაწერების შესახებ არსებული პუბლიკაციების საფუძველზე (Peeters 1932: 358-371; მეტრეველი 1996: 5-34; Добрынина 2003:259-307; Стерлигова 2003: 308-320; კლდიაშვილი 2005: 143-158).

Щук. 760 (საინვენ. N 19195). ოთხთავი. 1070 წ. 373 ფ.; ეტრატი; 19,8×14,8 სმ.; ნუსხური; კომბინირებული ყდა, კერძოდ, XIX ს-ის ყავისფერ ტყავგადაკრულ ფრთებზე დაკრულია გადაწერის თანადროული რელიეფური მოჭედილობა: ზედა ფრთაზე ჯვარცმა, ქვედა ფრთაზე ვედრების სცენა. გადამწერი: თევდორე, გადაწერის ადგილი: რომანას მონასტრის სოხასტერი. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისაა. დასასრულ ერთვის საკითხავთა კალენდარული საძიებელი. წიგნი განეკუთვნება ე.წ. „საზეიმო“ ხელნაწერთა რიცხვს, საგანგებოდაა გადაწერილი და შემკული. მინიატიურები განაწილებულია კლასიკური ხანის ოთხთავებისთვის დამახასიათებელი წესის მიხედვით: აყვავებული ჯვარი, ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი, სახარების კანონთა 12 კამარა, თითოეული სახარების წინ მახარებელთა გამოსახულება. ტექსტი გაფორმებულია დეკორირებული საზედაო ასოებით. ხელნაწერი განკუთვნილია კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I-ის ძმის, აბაზისათვის. ოთხთავს ერთვის გადამწერის ვრცელი ანდერძი და გვიანდელი მინაწერები. წიგნის გადაწერის თარიღის, ადგილისა და ოთხთავის მფლობელის ვინაობის შესახებ ცნობებს გვაწვდის გადამწერის ანდერძი: „...მე სულითა საწყალობელმან თეოდორე მთავარანგელოზელმან დავწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სრული ყოვლითავე ფერითა... ესე დავწერე და მოვაკსენე ბრწყინვალესა მეფესა აბაზს უმბრწამესსაჲ შვილსა სულკურთხეულისა გაგიკ მეფისა... დავწერე და განვასრულე სანახებსა კოსტანტინეპოლოლისსა, სოკასტერსა რომანისსა, საკელსა წმიდისა ღმრთისმშობელისსა, რომელსა მეგეთონა ეწოდების, მეფობასა ბერძენთა ზედა დეოგენესისასა, და აფხაზთა და ქართველთა ზედა – ბაგრატ სევასტოსის და გიორგი კურაპალატისა, ძისა მისისსა. და კახთა და რანთა ზედა – ხსართანან კურაპალატისა და ძმათა მისთა...“ ხელნაწერი XVI ს-ში სამხრეთ საქართველოში ჩანს დაცული. ოთხთავი აღწერილია, ანდერძ-მინაწერები შესწავლილია, გადამწერის ანდერძი გამოქვეყნებულია (კლდიაშვილი 2005: 145-147). წიგნის მხატვრულ-დეკორატიული სისტემა განხილულია ბიზანტიური წიგნის ხელოვნების კონტექსტში (Добрынина 2003: 259-307; Стерлигова 2003: 308-320).

Син. Греч. 75 (საინვენ. N 80272). „განძის“ანდერძი. 981 წ. 1 ფ.; ეტრატი, 25×16 სმ.; ნუსხური; გადამწერი: სტეფანე, გადაწერის ადგილი: კარინის ქვეყანა. ფურცელი წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სინოდალურ ბერძნულ კოლექციაში დაცული 1060 წელს გადაწერილი ბერძნული ხელნაწერის – იოანე ოქროპირის მათეს თავის განმარტების საცავ ფურცელს, რომელსაც მიაკვლია რ. ბლეიკმა. ანდერძი წარმოადგენს დღეისათვის დაკარგული „განძის“


ხელნაწერის ანდერძს. კრებულის რაობა უცნობია. ანდერძში დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის „განძის“ გადამწერის (მიქაელის), მომგებლის (იოანე-თორნიკეს), ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის წევრებისა (იოვანე ვარაზვაჩეს, მიქაელის, ჩორდვანელი ექუსოვიტის, ბაგრატ პატრიკის, ჩორდვანელის) და მმოსველის (სტეფანეს) შესახებ: „...მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან, შრომაჲ ვყავ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების განძი... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ქუეყანასა კარინისასა დასაბამითგანთა ხფ, ქრონიკონსა სა, ჴელითა გლახაკისა მიქაელ მწერალისაჲთა და შეიმოსა ჴელითა ჩემ გლახაკისა სტეფანესითა, ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ დაგაჯერის ღმერთმან. და მევე იოვანე სჳნგელოზმან მიუძღუანე წმიდაჲ ესე წიგნი მოძღუართა მართლმადიდებლობისაჲ მთასა წმიდასა ათონს, რომელსა შინა ცხომდებიან კაცნი ჭორცითა მსგავსად უჴორცოთა, და რამეთუ მეცა მას შინა მოვიღე სახჳ მონაზონებისაჲ“. ანდერძის ტექსტი, დათარიღების, გადაწერის ადგილისა და ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ისტორიის საკითხები შესწავლილი და გამოცემულია (Peeters 1932: 359-371; მეტრეველი 1996: 24-43).

რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი)

რუსეთს ნაციონალური ბიბლიოთეკა მსოფლიოს მასშტაბით უმსხვილესი სიძველეთსაცავია. მდებარეობს სანკტ-პეტერბურგში. ბიბლიოთეკამ სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა: 1917 წლამდე ეწოდებოდა საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა; 1917-დან 1925 წლამდე – რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკა; 1932 წლიდან 1992 წლებში მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკა; 1992 წლიდან – რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში დაცულ სხვადასხვაენოვან ხელნაწერებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერების კოლექციაა, რომლის თანამედროვე სტანდარტებით შესრულებული აღწერილობა დღემდე არ არის გაკეთებული, ამიტომაც წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკის ანგარიშებსა და (Отчет 1859: 84-86; Отчет 1880: 64-65; Отчет 1882: 23-31; Отчет 1888: 48-51; Отчет 1900 – add. Mapp 1900: 7-15) სამეცნიერო პუბიკაციებში (Цагарели 1894: 188-238; Абрамович 1920: 21; მეფარიშვილი 1958: 158-162; ჭანკიევი 1962: 163-223; ხევსურიანი 1980: 50-63; შარაშიძე 1986: 122-127; Vasilyeva 1996: 19-35; 2007: 24-54; Васильева 2005: 217-238; 2017: 447-464; Абрамишвили www.; Шмерлинг 1940: 58-59, XVIII-XIX; Амиранашвили 1966: 34-35; აღწერილობა 1978(a): 131-143; Esbroeck 1981: 63-75; Евсеева 1998; Саминскмй 2012: 200-211; Пуцко 2015: 180-189), გამოცემის შედგენისას, ასევე, გამოყენებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოტანილი საჯარო ინფორმაცია[1]. დღეისათვის ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული მონაცემებით, დაცულია 283 ქართული ხელნაწერი წიგნი და 150 ერთეული დოკუმენტი. ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერების შესვლა და ქართული ფონდის ჩამოყალიბება ძირითადად ხელნაწერების შეძენის გზით ხდებოდა. რუსეთის ეროვნული ბიბლიოთკის ქართული ფონდი რამდენიმე ეტაპად ჩამოყალიბდა.

დორნის ე.წ. ძველი კოლექცია – ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკაში არსებული პირველი ფონდი, რომლის თავმოყრაც 1805 წლიდან დაიწყო. ფონდი შეივსო შემდეგი კოლექციებით: 1805 წელს ბიბლიოფილ პეტრე დუბროვსკის კოლექცია – პორტფელი, რომელშიც მოთავსებული იყო ბაგრატიონების სამეფო ოჯახის წევრთა 60 წერილი; 1817 წელს – სამთო ინჟინერ პეტრე ფლო-

[1] http://expositions.nlr.ru/ex_manus/georgia/history.php სამომავლოდ აღნიშნული საკითხზე ოლგა ვასილევას ავტორობით იგეგმება წიგნის გამოცემა: О. В. Васильева, Грузинские рукописи в Российской национальной библиотеке: собрание царевича Иоанна Багратиони, М. П. Сабинина, М. П. Грена и другие.



81. Груз. Н.С.10. 1r.


როვის კოლექცია – 3 ქართული ხელნაწერი; 1833 წელს – თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკიდან 1 ხელნაწერი; 1836 წელს – გრაფ სუხტელენის კოლექციიდან 1 ხელნაწერი; 1848 წელს – მეცნიერებათა აკადემიიდან გადაცემული თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილი 7 ხელნაწერი. 1852 წელს პეტერბურგში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა საიმპერატორო ბიბლიოთეკაში იმ დროს დაცული აღმოსავლური ხელნაწერების კატალოგი, რომელიც შეადგინა და ხელნაწერები დარგობრივად დაალაგა გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა ბორის დორნმა. კატალოგის მიხედვით, ბიბლიოთეკის ქართული ფონდი 15 ხელნაწერს ითვლიდა (Catalogue 1852: 573-578). ხელნაწერების აღმწერლის გვარის მიხედვით ფონდს დორნის კოლექცია – **собр. Дорна** ეწოდა. **ახალი ქართული სერია -Груз. Н.С .** სერიას საფუძველი ჩაუყარა ბიჭვინთის ოთხთავის ბიბლიოთეკაში შესვლის ფაქტმა[1]. 1856 წელს ხელოვნების ისტორიკოსმა ვლადიმერ სტასოვმა (1824-1906) პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, გრაფ მოდესტ კორფუს (1800-1876), შეატყობინა ბიჭვინთის ეკლესიაში არსებული ძველი ხელნაწერის შესახებ. კავკასიის მეფისნაცვლის დახმარებით ხელნაწერმა ადგილი დაიდო ბიბლიოთეკის ფონდებში. წიგნი აღწერა ცნობილმა ქართველოლოგმა დავით ჩუბინაშვილმა (Отчет 1859:84-86). 1875 და 1879 წლებში ბიბლიოთეკის ახალი ქართული სერია გამდიდრდა ისტორიკოს მიხეილ საბინინის (საბინაშვილი) ნაჩუქარი სამი ქართული ხელნაწერითა და სახარების სამი ფრაგმენტით (Отчет 1880: 64-65)[2]. მათგან Груз. Н.С. 8-9 IX-X სს. დათარიღებული, გიორგი კუეტაისძის მიერ გადაწერილი ქსნის ოთხთავის ნაწილია (ჭანკიევი 1962:163-223)[3]. 1883 წელს ეპისკოპოს პორფირე უსპენსკის კოლექციასთან ერთად ბიბლიოთეკაში შევიდა ოთხი ქართული ხელნაწერი, მათ შორის IX-X სს. დათარიღებული პაპირუსის ფსალმუნის ორი ფურცელი, რომლის საფონდო ნომერია Груз. Н.С.10[4]. დღეს ხელნაწერის ნაწილი დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში შიფრით Sin.O.Geo.98, თუმცა ძნელად იძებნება ფურცელთა დაზიანების გამო. პაპირუსის ფსალმუნის, სავარაუდოდ, ცუდი მდგომარეობის გამო მისი გადაღება იერუსალიმსა და სინაზე მომუშავე აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციამაც ვერ მოახერხა. ექსპედიციის ანგარიშში Sin.O.Geo.98. არ ფიგურირებს (Checklist 1952(a): 19-21). ხელნაწერზე გარკვეული ინფორმაცია 2015 წელს აღმოსავლური ხელნაწერების შედარებითი დახასიათების საკითხებზე გა-

[1] ხელნაწერის ძველი ნომერი იყო Груз. Н.С. 1. 1922 წლის 29 აგვისტოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ოთხთავი რუსეთში არსებულ სხვა ხელნაწერებთან ერთად დაუბრუნდა საქართველოს. ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შიფრით H-2120.

[2] ამ სამი ფრაგმენტიდან ერთი XIV ს. დათარიღებული ძველი ნომრით Груз. Н.С. 7 დღეს დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შიფრით H-2122.

[3] ხელნაწერის მეორე ნაწილი დაიცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შიფრით A-509.

[4] აღნიშნული პაპირუსის ტექსტის გამოცემა იხ. (შანიძე 1935:109).




82. Собр. ц. Иоанна 249

მოცემულ ნაშრომშია (Bausi 2015: 175-176). ფსალმუნის ფრაგმენტის შესახებ ბოლოს ნაშრომი 2017 წელს გამოაქვეყნა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ (შანიძე 2017: 191-216).

Груз. НС 14. ოთხთავი. XV-XVI სს. მიჯნა. გადამწერები ზოსიმე ვალელი და ტიმოთე. ბიბლიოთეკაში შევიდა 1885 წ. იმპერატორ ალექსანდრე III-ის ნაჩუქრობის სახით.

Груз. НС 17. მინიატიურები. 2ფ.; ეტრატი. ბიბლიოთეკას 1886 წელს გადასცა კოლექციონერმა ალექსანდრ ზვენიგოროდსკიმ (Василева 2017: 447-452). ესაა ლარგვისის ოთხთავის (ხეც A-26) ნაწილი. მინიატიურები არაერთხელ მოექცა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში (Шмерлинг 1940: 58-59, XVIII-XIX; Пуцко 2015: 180-189; Василева 2017: 449-452).



83. Собр. ц. Иоанна 313

1885-1889 წლებში ბიბლიოთეკამ კიდევ 5 ქართული ხელნაწრი შეიძინა.

იოანე ბატონიშვილის კოლექცია- Собр. ц. Иоанна. ქართული ხელნაწერების ყველაზე მსხვილი ჯგუფი ბიბლიოთეკამ 1880 წელს იოანე გრიგორის ძე ბაგრატიონის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ძის, იოანე ბაგრატიონის, შვილიშვილისაგან შეიძინა. კოლექცია მოიცავს ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნებსა და სხვადასხვა სახის ისტორიულ დოკუმენტს. 1894 წელს ალექსანდრე ცაგარელმა გამოაქვეყნა იოანე ბატონიშვილის კოლექციის სრული კატალოგი (Цагарели 1894: 188-238). იოანე ბატონიშვილის კოლექცია სხვადასხვა დარგისა და შინაარსის ხელნაწერებს მოიცავს, დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: **Собр. ц. Иоанна 15** – „როსტომიანი“, Собр. ц. Иоанна 29- მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, **Собр. ц. Иоанна 30** – „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“, **собр. ц. Иоанна 8** – „ქართლის ცხოვრება“, **Собр. ц. Иоанна 112** – „ვისრამიანი“, **Собр. ц. Иоанна 253** – სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი; **Собр. ц. Иоанна 249** – ქართული გრამატიკა, **Собр. ц. Иоанна 261** – იოანე სინელი, კლემაქსი, **Собр. ц. Иоанна 282** – კათოლიკური კრებული „სამოთხის ყვავილი“, **Собр. ц. Иоанна 313** – მათემატიკის სახელმძღვანელო.

იოანე ბაგრატიონის კოლექციაში ოთხთავის 4 ნუსხა ინახება, რომელთაგან ერთ-ერთი X ს-ის მიწურულს ტაო-კლარჯეთში გადაწერილი და შემკული ტბეთის სახარებაა. მასზე საგანგებოდ შევაჩერებთ ყურადღებას.

Собр. ц. Иоанна212. სახარება. 995 წ. 332 ფ.; ეტრატი; მთავრული. გადამწერი: დავით ოშკელი, გადაწერის ადგილი: ტბეთის მონასტერი. სამეცნიერო წრეებში წიგნი ცნობილია ტბეთის პირველი ოთხთავის სახელწოდებით. ხელნაწერი 995 წლით თარიღდება მასზე დართული ანდერძის საფუძველზე. ოთხთავი ილუსტრირებულია, ადრებიზანტიურიდან კონსტანტინეპოლური რედაქციისკენ გარდამავალი თარგმანია. ოთხთავს ერთვის იერუსალიმურ კალენდარზე გაწყობილი სახარების თავთა საძიებელი. ტბეთის სახარებისათვის დართულ საკითხვთა საძიებელი კალენდარული მასალა – წმინდანთა ხსენებები X-XI საუკუნეების ლიტურგიკის კვლევის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს (ჩიტუნაშვილი 2013: 64-65). ხელნაწერის მხატვრულ-დეკორატიული სისტემა შესწავლილია (Саминский 2012: 200-211).




84. Собр. ц. Иоанна 212

გრენის კოლექცია – Собр.Гренна. 1892 წელს საჯარო ბიბლიოთეკამ თბილისის სახალხო სკოლების ინსპექტორის, კიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტ ალექსეი გრენის ქართული ხელნაწერებისაგან შემდგარი კოლექცია შეიძინა (Абрамишвили: www; Васильева 2005: 219). გრენის კოლექცია 17 ქართულ ხელნაწერს ითვლიდა.

საბინინის კოლექცია – Собр.Сабинина. 1896 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა მიხეილ საბინინის კუთვნილი 26 ხელნაწერი (Отчет 1900 – add. Марр 1900: 7-15). აღნიშნულ კოლექციაში ბაგრატიონების კუთვნილი ერთეულებიც იყო[1]. კოლექცია აღწერა და კატალოგი გამოაქვეყნა ნიკო მარმა (Марр 1900(a). მარის კატალოგის თანახმად, საბინინის კოლექციაში თავმოყრილია XVIII-XIX სს-ის მხედრულით გადაწერილი 26 ერთეული ხელნაწერი ერთეული, რომლებშიც, გარდა სამწერლობი ძეგლებისა, შედის ისტორიული შინაარსის ტექსტი და დოკუმენტი. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: მართლმადიდებლური მრწამსის აღსარება (165 ფ.), ანტონ კათალიკოსის მზამეტყველება (236 ფ.), ანდრია სალოსის ცხოვრება (149 ფ.), „ავგაროზი“ (1 ფ.), თეიმურაზ II-ის ლექსთა 2 კრებული, რომლებშიც, გარდა თეიმურაზის ორიგინალური ლექსებისა, შედის „იოსებ-ზილიხანიანი“, „შამი-ფარვანიანი“(140 ფ. და 136 ფ.) „ვეფხისტყაოსანი“ (136 ფ.), კარაბადინი (119 ფ.). ისტორიული შინაარსის ზოგიერთი თხზულება თარგმნილია რუსულიდან, მაგალითად, 1 კრებულად გაერთიანებული სომსური ეკლესიის აღმსარებლობისა და ლიტურგიის ქართული თარგმანებს (78 ფ.), ნაპოლეონის ლაშქრობა და მისი განდევნა (156 ფ.).

ცალკე უნდა აღინიშნოს 1858 წელს ბიბლიოთეკაში შესული ხელნაწერების ჯგუფის – ბერძნული და აღმოსავლური ხელნაწერების უძვირფასესი კოლექცია; მათ შორის არის პალიმფსესტები, რომლებიც კონსტანტინე ფონ ტიშენდორფმა ახლო აღმოსავლეთში თავისი პირველი (1840-1844 წწ.) და მეორე (1853 წ.) მოგზაურობების დროს ჩამოიტანა. მათ შორის იყო ორმაგი – ბერძნულ-სირიულ-ქართული (რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერი Греч. 8.) პალიმფსესტი და სირიულ-ქართული პალიმფსესტის 59 ფურცელი (რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერი Сир. НС 16). ბერძნულ-სირიულ-ქართული პალიმფსესტის ქვედა ბერძნული ტექსტი ტრიოდიონია (VII-VIII სს.), სირიული ტექსტი დაზიანების გამო იდენტიფიცირებული არ არის (არაუგვიანეს IX ს.), ხოლო ქართული ტექსტი აგიოგრაფიულია, გადამწერი იოვანე- ზოსიმე, X ს. 1 ფ.



85. Сир. НС 16. f 103

სირიულ-ქართული პალიმფსესტის ქვედა სირიული ბიბლიური ტექსტი VIII საუკუნით, ზედა ქართული ლიტურგიკული კრებული კი X საუკუნით თარიღდება, გადამწერი იოვანე ზოსიმე. Сир. НС 16 პალიმფსესტი სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერის Sin.O.Geo. 34 ნაწილს წარმოადგენს. ამ ხელნაწერის ფრაგმენტი ასევე დაცულია ლა-

[1] მაგალითად Собр.Сабинина 83/1 რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ თეიმურაზ ბაგრატიონისათვის (1782–1846) გაცემული დიპლომია.

იფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შიფრით – Cod. Ms. V 1096 UB Lpzg. ერთეულები დაწვრილებითაა შესწავლილი და აღწერილი (აღწერილობა 1978(a):131-143; ხევსურიანი 1980: 50-63)[1].

ბიბლიოთეკის სხვადასხვაენოვან ფონდში – Разноязычная О. І. №58 დაცული ერთეული ქართულ-ბერძნული ხელნაწერია. XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერი (146 ფ.) მდიდრულად ილუსტრირებულია (Евсеева 1998; ქართ-ბერძ. 2012: ქართ-ბერძ. ფოტოტ. 2012).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი)

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები დაარსდა პეტერბურგში 1818-1930 წწ-ში არსებულ სააზიო მუზეუმის ბაზაზე. დღეს ინსტიტუტი არის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება აღმოსავლეთის, აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისა და წერილობითი ძეგლების კომპლექსურად შესწავლის საქმეში. სხვა აღმოსავლურ ხელნაწერებთან ერთად ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე აქ არის დაცული XI-XIX სს-ის 295 ქართული ხელნაწერი წიგნი. პირველი ქართული ხელნაწერი სააზიო მუზეუმს 1818 წელს გადასცა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ. ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნებით მუზეუმის ფონდების ინტენსიური შევსება უკავშირდება ფრანგ კავკასიოლოგ მარი ბროსეს პეტერბურგში მოღვაწეობასა და მის ურთიერთობებს ქართველ ბატონიშვილებთან. ამ საქმეში მას მხარში ამოუდგნენ რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები: დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, ზაქარია ფალავანდიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი. ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცულია თეიმურაზ ბატონიშვილის, პეტრე ქებაძის, პლატონ იოსელიანის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ანდრეი შოგრენის, გიორგი ავალიშვილის კერძო კოლექციები. კოლექციის პირველი მოკლე კატალოგები შედგინეს დ. ჩუბინაშვილმა და ნ. მარმა (Марр 1920: 91-99). საერო ხელნაწერების სრული სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი აღწერილობა ეკუთვნის რ. ორბელს (Орбели 1956: 3-182), ხოლო სასულიერო ხელნაწერებისა – თ. ცერაძესა და ლ. ხოფერიას (ცერაძე 2016: 3-831). წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა რ. ორბელისა და ცერაძე-ხოფერიას ვრცელ აღწერილობებს. აღსანიშნავია, რომ ორბელის მიერ შედგენილი აღწერილობის II ტ. არ დაბეჭდილა. მისი რამდენიმე ეგზემპლარი მანქანაზე ნაბეჭდი და ხელნაწერი სახით დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ორბელისეული აღწერილობის ორი ხელნაბეჭდი ვერსია, საფონდო შიფრებით ორბელი N178 და N187. ხელნაწერების შიფრის მითითებისას, არსებული ბეჭდური კატალოგების მსგავსად, გამოყენებულია ყველა შიფრი, ადრეულიც და მოქმედიც.

თეიმურაზ ბატონიშვილი

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1843), საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ვაჟი, დაიბადა თბილისში. განათლება მიიღო თელავის სემინარიაში ცნობილი დავით რექტორის ხელმძღვანელობით. 1810 წლის მიწურულს გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც ეწეოდა ფართო მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას. 1830 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მის მეცნიერულ

[1] ხელნაწერთა დაკავშირებით ასევე იხ: Esbroeck 1981: 63-75.

თანამშრომლობას მარი ბროსესთან. თეიმურაზ ბატონიშვილმა მ. ფ. ბროსესთან ერთად შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა. 1837 თეიმურაზ ბატონიშვილი პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. ამავე დროიდან იგი ჩარიცხეს კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოების წევრად. გარდაიცვალა 1846 წელს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში ძმის, დავითის, გვერდით.

სასულიერო ხელნაწერები

A1(A3). ოთხთავი. XIII-XIVსს. 197 ფ.; ეტრატი; 7x8 სმ.; ნუსხური; სათაურები ნუსხურითა და ზოგან მთავრულით; ყავისფერი მელანი; სათაურები წითლით; საზედაო ასოები წითლითა და ძირითადი ტექსტის მელნით; ვერცხლის ფირფიტებით შეჭედილი ტყავგადაკრული ყდა; გაფორმებულია მათე და იოანე მახარებლების მინიატიურებით; იწყება ევსებიოსის წერილით, ყოველ თავს უძღვის საკითხვების ნუსხა; ზანდუკში წარმოდგენილია აღვსებიდან დიდ შაბათამდე საცისკრო და მთელი წლის უძრავ საეკლესიო კალენდარზე გაწყობილი საკითხავები. სახარებას ერთვის გიორგი ათონელის ანდერძი. ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისაა (იმნაიშვილი 1979:259-628; მელიქიშვილი 2012 (a):165-181).

E45 (E117;G111a,b). ოთხთავი. XIII–XIV, XIV-XV სს. 330 ფ.; ეტრატი; 16,5x22,1 სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; მუქი ყავისფერი და მოშავო მელანი; საზედაო ასოები; სათაურები სინგურით; ტვიფრული შავი ტყავის ყდა; კონვოლუტი; I ნაწილი ოთხთავია; ყოველ სახარებას უძღვის ზანდუკი; შემკულია მახარებელთა მინიატიურებით; გადამწერი: გიორგი ხოცისა შვილი; გადაწერის ადგილი: ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი; მმოსველი: გიორგი ჯინჭარაძე; თარიღდება XIII–XIV სს-ით (ინგოროყვა1954: 351). II ნაწილი წარმოადგენს „საწელიწდო სახარებების განგებას“ წარდგომიდან დიდ შაბათამდე, მთელი ლიტურგიკული წლის უძრავი დღესასწაულებისა და ეკლესიის სათბურებისა. გადამწერები: ორი ანონიმი. პალეოგრაფიული ნიშნებით თარიღდება XIV-XV სს-ით. ამ ორი სხვადასხვა წიგნის გაერთიანების დრო და ადგილი უცნობია. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა. ხელნაწერის პირველ ნაწილს ერთვის არაერთი მინაწერი (მენაბდე 1962: 401-405; შათირიშვილი 2010: 401-407).

H33 (H2). ოთხთავი. XIV-XV სს. 155 ფ.; ქაღალდი; 19,6x29 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურითა და ტექსტის მელნით. ტექსტს აქვს ბოლოსამკაულები და პრიმიტიული ორნამენტები. ტყავგადაკრული ხის ყდა; ყოველ სახარებას უძღვის თავების ზანდუკი; ტექსტს ერთვის ვნების კვირის საცისკრო საკითხავები და აღდგომის კვირის განგება; ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა; აქვს სხვადასხვა დროსა და ეპოქაში შესრულებული მინაწერები.

B1 (B4; G11 6d). ფსალმუნი. XIII-XIV, XV-XVIII სს. 202 ფ.; ეტრატი; 11,5x12,5 სმ; ხის ყდა მუქი ტვიფრული ტყავით; ნუსხური; საზედაო ასოები ზოგან მთავრულით; ოთხი ხელი; შავი მელანი; საზედაო ასოები სინგურით, ოქრომელნითა და ცისფრით; ხელნაწერი შემკულია თავსამკაულითა და დეკორირებული ასოებით; შედგება გიორგი ათონელის რედაქციის ფსალმუნისა (შანიძე (b)1960: 414-423; ჭელიძე 2006: 243-248) და ბიბლიური გალობებისგან. გალობების ტექსტები გამოქვეყნებულია (1960(b): 411-445; ჭელიძე 2006: 241-261). ამას გარდა, ხელნაწერი მოიცავს ზედწარწერილთა ეფრემ მცირისეულ თარგმანებებს (შანიძე 1971(a):82; მელიქიშვილი 2012: 146-159).

K4 (K12;G117). სამოციქულო. XIII ს. 277 ფ.; ეტრატი; 19,5x28 სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი; სათაურები და ზოგიერთი საზედაო ასო წითელი მელნით; ყავის-

ფერი ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; კრებული შეიცავს მოციქულთა საქმის, კათოლიკე ეპისტოლეების, პავლეს ეპისტოლის ეფრემ მცირისეულ რედაქციას; ეპისტოლეებს უძღვის ევთალეს სტიქომეტრიის ნაწილები: „უწყებანი“ და „თავნი“ (დანელია 1977: 78; კეკელიძე 1980:415; მელიქიშვილი 2012(a): 187-190). ხელნაწერის ნაწილობრივი აღწერილობა, ზოგიერთი ანდერძ-მინაწერი, ასევე კომენტარები გამოქვეყნებულია „პავლეს ეპისტოლეთა“ აკადემიურ გამოცემაში (ძოწენიძე 1974: 3-37). მოკლე ცნობები ხელნაწერზე მოყვანილი აქვს ი. აბულაძეს (აბულაძე 1950: 031).

H22 (H6 G39). ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამებები. XII-XIII სს. 99 ფ.; ქაღალდი; 23,5x33,5 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; მუყაოს წითელკოლენკორგადაკრული ოქროტვიფრული ყდა; კრებული შეიცავს: იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, წმ. ნინოს, ილარიონ ქართველის „ცხოვრებებსა“ და დავით და კონსტანტინეს მარტვილობას. ტექსტები მეტაფრასული რედაქციისაა.

M42 (M57; G 38a). აგიოგრაფიული კრებული. XIII-XIV სს.151 ფ.; ქაღალდი; 24,2 33,6 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები წითლით; კონვოლუტი; შეიცავს სექტემბერ-თებერვლის კალენდარზე გაწყობილ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების 15 საკითხავს (კეკელიძე 1957: 66-67;120;132;136;139;160;170;175;178; 179;182;201;210; გაბიძაშვილი 2004: 128; 136; 138; 139; 191; 215; 231; 239; 277;284; 313; 340; 368; 372).

C12 (C16;G56). აგიოგრაფიული კრებული. 187 ფ.; ქაღალდი; 10,5x16 სმ.; მხედრული; საზედაო ასოები მთავრულით, ზოგჯერ-მხედრულით; შავი მელანი; სათაური მთავრულით ან მხედრულით, წითლით; კონვოლუტი; სამი გადამწერი; შეიცავს 15 საკითხავს.

E38 (E101;G160). „იოანე მოწყალის ცხოვრება“. XIX ს. 40 ფ.; ქაღალდი; 10x16,5 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; სავარაუდო გადამწერი: თეიმურაზ ბატონიშვილი. არსებობს ტექსტის რვა სხვადასხვა რედაქცია; აღნიშნული თხრობა სხვაობს ყველასგან; თარგმნილია ბერძნულიდან 1813 წელს არქიმანდრიტ დანიელის მიერ (კეკელიძე 1957: 93-94; ახობაძე 2003: 28-37; გაბიძაშვილი 2004: 236-237; ცერაძე 2009: 540-581).

P6 (P5; G40). აგიოგრაფიული კრებული. XIX ს. 20 ფ.; ქაღალდი; 27,2x41 სმ.; შავი მელანი; სათაურები; საზედაო ასოები და ანდერძები წითლით. წითელკოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა ცისფერი ყუით; ხელნაწერი ორი ერთად აკინძული ნაწილისაგან შედგება; სავარაუდო გადამწერია თეიმურაზ ბატონიშვილი. კრებულში შესულია: 1.„მოქცევა მირიან მეფისა“- ქართლის მოქცევის ეს ტექსტი შედგენილია ლეონტი მროველის ქართლის მოქცევის“, „მეფეთა ცხოვრებისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ ცალკეული მონაკვეთების კომპილაციით; 2. „ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“, რომელიც არ მიჰყვება ამავე თხზულების ცნობილ ორ რედაქციას. ტექსტებს ერთვის თეიმურაზ ბატონიშვილის ორი სავედრებელი მინაწერი (ყაუხჩიშვილი 1942: 72-130; კეკელიძე 1945: 269-280; ჯავახიშვილი 1945: 103-111; ძეგლები1968: 218-225; 1989: 236-237; კეკელიძე 1980: 239-241;158; 533-534).

M49 (M33). აგიოგრაფიული კრებული. XIX ს. 1840 წ. 200 ფ.; ქაღალდი; 20,5x32 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; ტექსტი რამდენიმე ხელნაწერიდან გადაუწერიათ; ერთ-ერთია ხეც S-3637. შეიცავს „წამებებისა“ და „ცხოვრებების“ ტექსტებს, ასევე შესხმასა და სვეტიცხოვლის საკითხავს, რომელიც 1 ოქტომბერს იკითხება; ხელნაწერში შესულია ლარგვისის აქიმანდრიტ პაფნოტის „წამების“განსხვავებული და ახალმიკვლეული რედაქცია, ერთვის პ. იოსელიანის შენიშვნები.

M52 (M44). კათალიკოსი ანტონ I. მარტირიკა. 1840 წ. 232 ფ.; ქაღალდი; 20,5x33 სმ.; მხედრული; ადგილ-ადგილ მთავრული; შავქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; გადამწერები: სვიმონ ტაბიძე

და გიორგი მაისურაძე. „მარტირიკა" შეიცავს 20 ტექსტს, რომელთაგან 17 ქართველ წმინდანთა მარტვილობაა, 3 – სომეხი წმინდანებისა. თითოეულ ტექსტს აქვს წამძღვარებული შესაბამისი წმინდანის იამბიკო. „მარტირიკას" უძღვის გაიოზ არქედიაკვნისა და მეფის მოძღვარ იოანეს ძმისწულის 22-ტაეპიანი გალექსილი წინასიტყვაობა. ხელნაწერს ბოლო ორ საკითხავად აქვს წარმოდგენილი უსათაურო ტექსტები: სავარაუდოდ, „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციისა და ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას" ფრაგმენტები; ძეგლისწერის ორიგინალი ინახება პეტერბურგში, მარი ბროსეს კოლექციაში (H47). ხელნაწერს ერთვის მარი ბროსესა და საბინინის მინაწერები; მარტირიკა და ცალკეული თხზულებები გამოცემულია (ჩუბინაშვილი 1846: 301-344, საბინინი 1882: 303-312, 351-362, 531-554, 542-579, 584, 621-629. ქავთარია (a) 1977: 3-243; ქავთარია (b) 1977: 5-289; ძეგლები 1980: 9-419, Орбели 1970: 27-28).

M21 (M56, G38). აგიოგრაფიული კრებული. 1842 წ. 418 ფ.; ქაღალდი; 21x33 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; მწვანე ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (415r). კრებული შეიცავს 39 თხზულებას: ქართველ და არაქართველ წმინდანთა „ცხორებების", „წამებების", შესხმათა და „სწავლათა" ტექსტებს. ხელნაწერის ანდერძის თანახმად, კრებულის დედანია ხეც H-2077. M21-ში, დედნისგან განსხვავებით, შეტანილია მხოლოდ შიოსა და აბოს საგალობელი, რომლებიც წინ უძღვის მისი „წამების" ტექსტს. კრებულში შესული თხზულებების უმეტესობა გამოკვლეულია, ტექსტები-გამოცემული (საბინინი 1882: 193-208; კეკელიძე: 1950: 19-50; აბულაძე 1955: IX-XVIII,XXV-XXVI; ძეგლები 1968: 284-300; ძეგლები 1971:83-107; კეკელიძე 1980: 157-163, 534-536; თარხნიშვილი 1994: 52-53; გოილაძე 2002:3-150; გაბიძაშვილი 2004: 62-67; მერკვილაძე, 2006: 75-76).

E208 (E109). იესო ქრისტეს განჩინება. XVIII ს. 2 ფ.; ქაღალდი; 23,5x37,5 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები წითლით; ხელნაწერის სათაური აღდგენილია ხეც A-1093: 4-ის მიხედვით. ტექსტი დასტურდება ასევე ამავე კოლექციის C23-ში.

P12 (P13ჯ). ავგაროზი. XVI-XVII სს. ეტრატი; გრაგნილი; სხვადასხვა სიგრძის 5 კეფი, დახვეულია ხის ჯოხზე; 241,5 სმ.; ნუსხური; ნაწერია ორივე მხარე ყავისფერი და შავი მელნით; II კეფის r-ზე მიხატულია წვერებიანი მამაკაცის ფიგურა; შეიცავს საკითხავებს სახარებიდან, „ავგაროზის ეპისტოლეს", სამკურნალო ლოცვას. ამგვარი შედგენილობის ხელნაწერებს გვიანდელ ტრადიციაში ეწოდებოდა ავგაროზები. (ჩხიკვაძე 2007: 146-151).

A3 (A2). ავგაროზი. XVII-XVIII სს. 128 ფ.; ჩამუქებული ეტრატი; 8x7,5 სმ.; ნუსხური; ტყავგადაკრული ხის ყდა; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; გადამწერი: ისაკ თოთომე; შეიცავს საკითხავებს სახარებიდან, „ავგაროზის ეპისტოლეს", ასევე სხვადასხვა სამკურნალო ლოცვას (ჩხიკვაძე 2007: 146-151).

P11 (P13д). ავგაროზი. XVIII ს. გრაგნილი; 8 კეფი; ქაღალდი; სიგრძე: 365 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; მფლობელი: იოსებ ხმალაძე. შეიცავს საკითხავს სახარებიდან, სხვადასხვა ლოცვას და „ავგაროზის ეპიტოლეს" (ჩხიკვაძე 2007: 147-151).

P14. ავგაროზი. XIX ს. გრაგნილი; 9 კეფი; ქაღალდი; 393 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; გაფორმებულია 9 გრავიურით, რომლებსაც ახლავს განმარტებითი წარწერები; თავბოლონაკლული; გრაგნილი შეიცავს სხვადასხვა ლოცვას, მასში არ დასტურდება „ავგაროზის ეპისტოლის" ტექსტი; სახელწოდება „ავგაროზი" უკავშირდება ფუნქციას. იგი დამცავი ტექსტი, ანუ თილისმაა (ჩხიკვაძე 2007:147-151).

E41 (E94). იოანე სინელი. სათნოებათა კიბე. XI; XVIII-XIX სს. 301 ფ.; ქაღალდი – 24 ფ.; 14,7x21,5 სმ.; ეტრატი – 274 ფ.; 14,7x21,7 სმ.; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები წითლით, მთავრულით

ან ნუსხურით; შემორჩენილია ყდის ზედა და ქვედა ფრთების ორი ხის ნაჭერი. შედგება ორი ნაწილისაგან: ხელნაწერში არის 30-საფეხურიანი სათნოებათა კიბის გამოსახულება. ხელნაწერის II ნაწილის ანდერძებში მოიხსენებიან გიორგი და იოვანე აზნაური. ტექსტი წარმოადგენს ეფვთვიმე ათონელის თარგმანს, რომელიც გამოქვეყნებულია (კალენდარი 1986: 212-463; ბეზარაშვილი 1989: 129-154).

P3 გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. კრებული. 1040 წ. 428 ფ.; ეტრატი; 38,3x25,5 სმ.; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები მთავრულით; ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა; გადამწერები და მომგებლები: დეკანოზები გაბრიელი და იოვანე ივანეწმიდელ-საფარელი, რომლებსაც ხელნაწერი შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის. 1820 წელს ხელნაწერი ჯვრის მონასტრიდან წამოუღია გიორგი ავალიშვილს. კრებული შეიცავს 33 საკითხავს. ხელნაწერი აღწერილია ალ. ცაგარლის, მ. ბროსეს, ე. მეტრეველის მიერ (Цагарели 1894: 43; აღწერილობა 1988: 75. შენიშვ.3). კრებულის შესახებ იხ. (ზვიადაძე 2011; მელიქიშვილი 2012 (b): 333).

C2 (C9; G147). გაბრიელ მცირე. სუფევა. 1798 წ.; 134 ფ.; ქაღალდი; 10x16 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები წითლით. ყავისფერი ტყავგადაკრული სქელი მუყაოს ყდა; ორი გადამწერი; კრებული შეიცავს 4 საკითხავს; ზანდუკი მოჰყვება ტექსტს (კეკელიძე 1957: 20; კეკელიძე 1980: 398-403; ქაჯაია 1992: 146-147; მელიქიშვილი 2012(b): 514-523).

C30 (C18).გაბრიელ მცირე. სულის გვირგვინი. 1800 წ. 183 ფ.; ქაღალდი; 10, 5x16,8 სმ.; ყავისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით. გადამწერი: ხუცი სჯმონი. „გვირგვინი" შეიცავს 5 თავს, ყოველ თავში 20 თხრობაა. ისინი ძირითადად შეკრებილია ძველ ქართულ ტრადიციაში არსებული მეუდაბნოეთა თხრობებისგან. ამ 5 თავს მოჰყვება „ბეჭედი" და დასასრულს ერთვის ზანდუკი. „გვირგვინი" გამოცემულია.

C18 (C29; G145). სამასეული. XVIII ს-ის ბოლო. 69 ფ.; ქაღალდი; 10,5x16,8 სმ.; ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით; ხელნაწერს აქვს პრიმიტიული თავსამკაული; კრებული შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, მაქსიმე აღმსარებლის სწავლებებს; თითო ავტორის 100 სწავლებას; ექვთიმე ათონელის თარგმანი. (კეკელიძე 1957: 32;18,70; მელიქიშვილი 2012(b): 515-521; 524-525).

E37 (101; G160). კრებული. XVIII-XIX სს. 14 ფ.; ქაღალდი; 17x21 სმ.; 16x20 სმ.; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; მუქი ყავისფერი მელანი.; კრებულში შედის: „ელისაბედ ღირსი საკვირველმოქმედის წამება", მაკარი მეგვიპტელის „სწავლათაგან" გამოკრებილი ფრაგმენტები, მოკლე ცნობები IX-XII საუკუნეებში მოღვაწე 23 მთარგმნელის შესახებ. ფსევდომაკარი მეგვიპტელის თხზულებათა ქართული ვერსია გამოცემულია (კეკელიძე 1957: 95; კეკელიძე 1980: 204, 545; ნინუა 1982: 05-192).

M38 (M50; G142). ფსევდოარეოპაგელი. თხზულებები. XIX ს. 188 ფ.; ქაღალდი; 20,5x33 სმ.; მხედრული; ყავისფერი და შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; ყავისფერi ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; ხელნაწერი შეიცავს არეოპაგიტულ კორპუსის ეფრემ მცირისეულ თარგმანს; წამძღვარებული აქვს ეფრემ მცირის „წინაბჭე"; ფსევდოდიონოსეს ყველა თხზულებას უძღვის ზანდუკი და იამბიკო; თხზულებებს ახლავს კომენტარები და „შეისწავენი". თხზულებას „საღმრთოთა სახელთათვის" მოსდევს ეფრემ მცირის ანდერძი. ხელნაწერი შესწავლილია და გათვალისწინებულია თხზულების გამოცემაში (ბერაძე: 1943; ყაუხჩიშვილი 1946; კეკელიძე 1955: 232-233; კეკელიძე, 1957: 39-40; ენუქაშვილი 1961: 016-017; ბრეგაძე 1971:444; ლოლაშვილი 1973: 22-41;კეკელიძე 1980:260; ბეზარაშვილი 1995: 327-338).

C4 (G174,a; C12). პროკლე დიადოხოსი. კავშირნი ღვთისმეტყუ℗ლებითნი. 1757 წ. 375 ფ.; 16x10,2 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ნუსხური; ტვიფრულტყავგადაკრულიხის ყდა; გადამწერი: თბილისის სიონის მგალობელი ისაკი; ხელნაწერი ეკუთვნოდა დავით და თე-

იმურაზ ბაგრატიონებს. ნუსხის ტექსტი სხვაობს შალვა ნუცუბიძისა და სვიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემისაგან (იოანე პეტრიწის შრომები 1937-1939). ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset 1837 (b): 157).

E85 (E156b). ბაგრატ ბაგრატიონი. მოთხრობა ახლანდელთა ღირსთა. 1824 წ. 8 ფ.; ქაღალდი; 18x28 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები, საზედაო ასოები და არაბული ციფრები წითლით; ავტოგრაფი. შედის: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების, დავით გარეჯის უდაბნოს 11 წინამძღვრის, კახეთში მოღვაწე 3 მღვდლის, იმერეთში მოღვაწე 8 მღვდლისა და ბერის ნუსხები.

M41(M55; G157). დოგმატიკონი. 1825 წ. 376 ფ.; ქაღალდი; 33,4 x21,9 სმ.; მხედრული; შავი მელანი; საზედაო ასოები და სათაურები ასომთავრულით; მუყაოს წითელტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა; მთარგმნელი: არსენ იყალთოელი; გადამწერი: ფილადელფოს ბერი; დამკვეთი: დავით გარეჯას მრავალმთის მონასტრის წინამძღვარი ილარიონ ვაჩნაძე. შეიცავს 18 დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებას, რომლებიც ეძღვნება არიანობის, მონოფიზიტობის, ნესტორიანობას, ასევე მაჰმადიანური და იუდეური რელიგიების ირგვლივ არსებულ პოლემიკას. კრებული სხვაობს „დოგმატიკონის“ სხვა ხელნაწერებისგან. პეტერბურგული ნუსხა გამოყენებული არ არის„დოგმატიკონის“ არც ერთ გამოცემაში.

E24 (E25; G125). ეფთვიმე ათონელი. წინამძღვარი. XIX ს.105 ფ.; ქაღალდი; 16,5x20,3 სმ.; შავი მელანი; სათაურები, ცალკეული სიტყვები წითლით; მუყაოს ყდა; ნაკლული. ტექსტს ახლავს მარგინალური ნიშნები; შედგება 22 თავისაგან (თხზულება გამოცემულია (ჩიკვატია 2007).

M13 (M45; G157). იოანე ოქროპირი. იოანეს სახარების თარგმანება (განმარტება). 1038 წ. XIII-XIV სს. 489 ფ.; ეტრატი; 25x33,3 სმ.; ნუსხური; ყავისფერი და შავი მელანი; საზედაო ასოები ძირითადად ასომთავრულით და წითლით; შემკულია ორნამენტირებული საზედაო ასოებით, ფრინველის მსგავსი ორნამენტით. ხელნაწერი შევსებულია XIII-XIV სს-ში, გამოყენებულია პალიმფსესტური ფურცლები. გადამწერები: I ნაწილის მიქაელ ჩიხუარელი, II ნაწილის-ნიკოლოზ მწერალი და დანიელი. მთარგმნელი: ეფთვიმე ათონელი; დამკვეთი: გიორგი-პროხორე; I ნაწილის გადაწერის ადგილი: პალესტინა, საბა განწმენდილის ლავრა. გადაიწერა ჯვრის მონასტრისათვის. პალიმფსესტური ფურცლები შესწავლილია (ესბროკი 1978: 81-87); ხელნაწერი არაერთგზის არის აღწერილი (Цагарели 1888: 186-188). ხელნაწერი გათვალისწინებულია გამოცემებში (განმარტება 1993; თარგმანება 2018).

H18 (H17; G197). ეფრემ მცირე. ფსალმუნთა თარგმანება (განმარტება). XI-XII სს. 392 ფ.; 22,8x33,8 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი; საზედაო ასოები წითლით; ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენს ადგილ-ადგილ ორნამენტირებული საზედაო ასოები. ხელნაწერი XVI ს-ში განაახლა ბეენა ჩოლოყაშვილმა, XVII ს-ში - ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა. გადაწერის ადგილი: ჟალიის მონასტერი; თარგმანების ტექსტისა და მისი შედგენილობის შესახებ (შანიძე 1968: 77-100; შანიძე 1971(a):71; შანიძე 1979: 209-213). ხელნაწერის შესახებ (Цагарели 1888: 188-191).

C3 (C4;G181). კანონიკური კრებული. 1764 წ. ფ. 76; 10x15 სმ., ქაღალდი; მხედრული; საზედაო ასოები მთავრულით; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითლით; მუყაოს ყდა; გადამწერი: დავით დიაკვანი. შემდგენელი: მაკრინე მონაზონი. კრებულში შეტანილია საკითხავები „მცირე სჯულისკანონიდან“. ტექსტი გამოცემულია (გიუნაშვილი 1972: 3-14).

C1 (G103,a; C38). სჯულისკანონი. 1350 წ. (?), XIX ს-ის 30-იანი წლები. 283 ფ.; ეტრატის 179 ფ.; 16.6x11.8 სმ.; ქაღალდის 104 ფ.; 16.9x12.3 სმ.; ორივე ნაწილში შავი მელანი; ნუსხური; მხედრული; მუყაოს ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა. ყუაზე წარწერილია ხელნაწერის რაობა. გადამწერები: უცნობი და თეიმურაზ ბატონიშვილი. კრებული შეიცავს საკითხავებს: 1. „მცი-

რე რჯულისკანონი"; 2. „იოანე მმარხველი. კანონნი შეცჯდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კონსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდებოდა"; 3. „იოანნე მმარხველი. კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოვლელ პატრიარქისა"; 4. „ვასილი დიდი. კანონნი დღითი დღეთა ცოდვათანი, ვითარცა წმიდამან ვასილი განაწესნა"; 5. „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელ აღწერეს წმიდათა მამათა, კონსტანტინეპოვლეს შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყვანისცემისათჳს"... ამ საკითხავებს წინასიტყვაობად წამძღვარებული აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოკლედ გადმოცემული გიორგი ათონელისეული ეფთვიმე ათონელის ცხოვრება. ხელნაწერი გამოკვლეულია (Brosset 1837(b):741; Павлов 1875:29-42). მანუსკრიპტს იხსენიებენ ბარონი როზენკამფი, ხახანოვი (Розенкампф 1839:509; Хаханов, 1897:67). როზენკამფის ნაშრომის ხელნაწერი რუსულ ენაზე დაცულია აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. E1 (G 104; E 112). ხელნაწერი გათვალისწინებულია „მცირე სჯულისკანონის" ტექსტის გამოცემაში (გიუნაშვილი 1972:13-14).

E108(E134k). მარხვათა შესახებ. 1838 წ. 16 ფ.; ქაღალდი; 20,5x16,2 სმ.; მხედრული; საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე.

K12 (k17). სვინაქსარი. XI–XII სს. 180 ფ.; 20,5x29 სმ.; ეტრატი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები, საზედაო ასოები მთავრულით და სინგურით, რომლებიც დაფერილია ოქროთი. შემკული პრიმიტიული ბოლოსამკაულებითა და ორნამენტით; ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა. გიორგი ათონელის რედაქციისა (Кекелидзе 1908: 484-506; დოლაქიძე 2017: 04-046)

C25 (C20). ლიტურგიკული კრებული. XIII-XIV სს. 317 ფ.; 12x15 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულითა და წითლით; ხის ყდა ტვიფრული, ყავისფერტყავგადაკრული. ხელნაწერში მოთავსებულია წითელი მელნით შესრულებული პასქალური ტაბულები.

C27 (C5). იოანე ოქროპირი. ჟამისწირვა. XV- XVI სს. 61 ფ.; 10,5x15,5 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები ნუსხურითა და მთავრულით, წითლით; შავი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. გადამწერი: ლავრენტი; დამკვეთი: აბრაჰამი (Tarchnishvili 1950).

M11 (M3; G121). ახალი აღთქმის საკითხავები. 1571 წ. 308 ფ.; 19,5x28,2 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები; საზედაო ასოები წითლით. წითელტყავგადაკრული ხის ოქროტვიფრული ყდა. გიორგი ათონელის რედაქცია.

A5 (A6). ჟამნი. XVI-XVII; XVIII სს. 143 ფ.; 7,5x10,5 სმ.; ქაღალდი; ნუსხური: მუქი ყავისფერი და შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა. ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს, შედგება 2 ნაწილისაგან. მეორე ნაწილის გადამწერი: ბასილი.

A2 (A1). ღვთისმშობლის დაუჯდომელი. XVII- XVIII სს. 114 ფ.; 5x6.5 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით: ყავისფერი ტყავის ყდა.

A4 (A5). ჟამნი. XVII-XVIII სს. 197 ფ.; ქაღალდი; 7x10 სმ.; ქაღალდი: ნუსხური: მუქი ყავისფერი და შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით და წითლით: ყავისფერი ტყავის ყდა. ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს, შედგება ორი ნაწილისაგან.

B6 (H135). ახალი აღთქმის საკითხავების საბიებელი. XVIIს. 4 ფ.; ქაღალდი: 6.5x9.5 სმ.; ნუსხური: შავი მელანი; გადამწერი: სვიმონი.

C43 (H1310). კურთხევა სარეკელისა. XVIII-XIX სს. 1ფ.; 16,5x21 სმ.; მხედრული: საზედაო ასოები მთავრულით; ყავისფერი მელანი.

E122 (E134ი). ვედრება ღვთისმშობლისადმი. XVIII-XIX სს. 7 ფ.: 9x15.9 სმ.: ქაღალდი: მხედრული: შავი მელანი.

C22 (C47; G161). აღსარება სომხური ეკლესიისა და სომხური ლიტურგიის წესი. XIX ს. 111 ფ.; 18.5x12 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; საზედაო ასოები წითლით; წითელი ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა. მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე.

E96 (E156a). „კურთხევანის" წინასიტყვაობა. XVIII-XIX სს.4 ფ.; 17,5x22,5 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ტექსტი წარმოადგენს 1713 წელს ვახტანგVI-ის სტამბაში დაბეჭდილი „კურთხევანის" ნაწილებს, რომლის ტექსტიც მოამზადა ეპისკოპოსმა კჯპრიანე სამთავნელმა.

E55 (E36). მაჰმადიანობის უარყოფა 82-ე ფსალმუნის მიხედვით. 1842 წ. 42 ფ.; ქაღალდი; 14,6x20,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე, გადაწერის ადგილი: პეტერბურგი.

B3 (B1). კრებული. XVII ს. 11 ფ.; ქაღალდი; 7,5x11 სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; შავი და ყავისფერი მელანი; სათაურები წითელი, ყვითელი, ცისფერი მელნით; ორი ხელი; ტექსტი შემკულია თავსამკაულითა და ორნამენტირებული საზედაო ასოთი. კრებული შეიცავს სხვადასხვა ხასიათის 15 საკითხავს ან ფრაგმენტს.

C24 (C13). კრებული. XVII ს. 103 ფ.; ეტრატი; 10x12,5 სმ.; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; ორი ხელი; ერთ-ერთი გადამწერი: იოანე ცოფაიშვილი. ზოგიერთი ფურცელი პალიმფსესტურია. კრებული შეიცავს აპოკრიფული, აგიოგრაფიული, ასტონომიულ-ასტროლოგიური, კანონიკური ხასიათის 18 თხზულებას.

C9 (C10; G152). კრებული. XVIII-XIX სს. 96 ფ.; ქაღალდი; 10,5x16 სმ.; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი; ორი ნაწილი; I ნაწილში სათაურები წითლით; ორი ხელი; კრებული შეიცავს ფილოსოფიური, ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული, ჰომილეტიკური, ასტროლოგიური, ხასიათის თხზულებებსა და ნაწყვეტებს. ხელნაწერი შეიცავს იოანე სინელის „კლემაქსის" იამბურ ქართულ ვერსიას. ხელნაწერში დაცული ტექსტი გამოყენებულია (ბეზარაშვილი 1989:142-150). კრებულში შეტანილია ფილოსოფიურ ტერმინთა მცირე ლექსიკონი, რომლის შემდგენლიც, სავარაუდოდ, უნდა იყოს თეიმურაზ ბაგრატიონი (Орбели 1956: 296-398).

E27 (E64; G80). კრებული. XVIII-XIX სს. 218 ფ.; სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ქაღალდი; მხედრული; შავი და ყავისფერი მელანი; ზოგ ტექსტში საზედაო ასოები წითლით; ხელნაწერში თავმოყრილია 12 ნაწილად გაერთიანებული 44 სხვადასხვა ტექსტის ფრაგმენტი და შეკრულია ერთ წიგნად. ბაცი ყავისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა.

E6 (E56; G139). სახარების საკითხავთა და ლოცვათა კრებული. 1823 წ. 98 ფ.; ქაღალდი; 11,5x13,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები წითლით, საზედაო ასოები ტექსტის მელნითა და წითლით. წითელტყავგადაკრული ოქროტვიფრული მუყაოს ყდა. გადამწერი: ოსე გაბაშვილი; გადაწერის ადგილი: ბელგოროდი. წიგნი შეიცავს საკითხავებს ოთხივე სახარებიდან, ლოცვათა ტექსტებს, კვირის დღეების საკითხავებს, ქადაგებებს.

C33 (C25). იონა ხელაშვილი. წიგნი ქორწინებისა და სხვა თხზულებები. XIX ს. 67 ფ.; ქაღალდი; 10,5x16 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მოწითალო, ტექსტის მელნითა და წითლით. წითელტყავგადაკრული ოქროტვიფრული მუყაოს ყდა. დამკვეთი: ლუარსაბ ბატონიშვილი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერი შეიცავს იონა ხელაშვილის თხზულებას „წიგნი ქორწინებისა", იონა ხელაშვილის 45 თხზულების ნუსხას, მის შესხმებს სხვადასხვა პირის მიმართ.

H35 (H10; G38a). იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება. აღაპები. 1878 წ. 62 ფ.; ქაღალდი; 21,8x34,8 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; გადამწერი: დიმიტრი ბაქრაძე; გადაწერის ადგილი: თბილისი; დამკვეთი: რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ხეც A-558-დან.

E9 (E154; G40a). კრებული. XIX ს. 104 ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომის ფურცლები; მხედრული;

შავი მელანი; ყავისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა. ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს; შედგება ექვსი ნაწილისაგან, რომლებშიც თავმოყრილია სასულიერო და საერო ხასიათის სხვადასხვა თხზულება.

E16 (E113; G150b). იოანე ოქროპირის „მარგალიტი“ და სხვა თხზულებები. XI ს.330 ფ.; 20,5x14 სმ.; ეტრატი; ყავისფერი მელანი; სათაურები; საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით. ზოგიერთი საზედაო ასო სტილიზებულია. ახალი გაკეთებული წითელი ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა თეიმურაზ ბაგრატიონის ხარჯით. გადამწერი: დანიელი. რედაქტორი: იოსებ შავი. გადაწერის ადგილი: პალესტინის სამოელის მონასტერი. ხელნაწერი გ. ავალიშვილს აჩუქა პეტრას მიტროპოლიტმა მისაილმა 1820 წ.-ს. (Цагарели 1888: 192).

C26 (C151). თეოდორე სტუდიელი. სწავლანი სულიერნი. XII-XIII სს.; XVII-XVIII სს. 135 ფ.; 14x19 სმ.; ეტრატი; ქაღალდი; ნუსხური; სათაური და საზედაო ასოები მთავრულით; შავი და ყავისფერი მელანი. ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა.

M32 (M32; G154a). ბასილი დიდი. ითიკა. 1771 წ. 396 ფ.; ქაღალდი; 21,2x31,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები ნაწერია წითლით, ოქრომელნით, მთავრულით. ადგილ-ადგილ საზედაო ასოები სტილიზებულია. ტექსტს ადგილ-ადგილ უზის მარგინალური ნიშნები. გადამწერი: ზაქარია, სიონის დეკანოზის შვილი, ანუ შემდგომში ამბროსი ნეკრესელი (იხ. ბერიძე 1964: 101).

C14 (C21; G156a). იოანე ოქროპირი. ოქროს წყარო. 1796 წ. 177 ფ.; 11,2x16,5 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით, ოქრომელნით, მთავრულით. ადგილ-ადგილ ტექსტი შესრულებულია სტილიზებული საზედაო ასოებით; შავი ტყავგადაკრული ხის ყდა. გადამწერი: გაბრიელ მცირე; გადაწერის ადგილი: დავით გარეჯა, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.

C13 (C17; G144). იოანე ოქროპირი. კლიტე. 1799 წ. 143 ფ.; 11x18 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით, მთავრულით. ყავისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა.

E35 (E9; G160). ქადაგება პირველსა კვირიკესა წმიდათა მარხვათასა. XVIII-XIX სს. 24 ფ.; 11,5x17,7 სმ.; ქაღალდი; მხედრული; ყავისფერი მელანი; სათაურები საზედაო ასოები მთავრულით.

E36 (E101; G160). სიტყუა დაფლვასა ზედა უნეტარესისა და უწმიდესისა კონსტანტინუპოლის პატრიარხის გრიგორისსა. XIX ს. 29 ფ.; 12,5x20 სმ.; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი: თხზულება არის გრიგოლ V-ის, კონსტანტინეპოლელი პარტიარქის, დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვის თარგმანი. იგი XIX ს.-ის 20-იან წლებში თურქებმა ჩამოაცილეს სასულიერო ტახტს და მოკლეს. ამ ტექსტის შესახებ იხ. (შარაძე 1974: 100; ცერაძე 2009: 127-131).

E170 (E61). გაბრიელ მცირე. მანანა. 1825 წ. 144 ფ.; 18x25 სმ.; ქაღალდი; მხედრული: მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები და ცალკეული თავების დასაწყისები წითლით; ყავისფერტყავგადაკრული ყდა ოქროს ტვიფრით. გადამწერი: იოსებ ჯაფარიძე; შემდგენელი: გაბრიელ მცირე: ტექსტი გამოქვეყნებულია (ქავთარია: 1965:79-90).

C15(G173,Ь;C22).კრებული. XVIII ს. 1760 წ. 118 ფ.; ქაღალდი I-16x10,6: II-16,2x11; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; სათაური თხზული ასომთავრულით; ტექსტი ნუსხური. მეორე ნაწილი მხედრული. I ტექსტის მთარგმნელი: ზურაბ შანშოვანი; თარგმანის დამკვეთი: ვახტანგ VI; II ტექსტის მთარგნელები: ზურაბ შანშოვანი და ვახუშტი ბატონიშვილი. ხის ტყავგადაკრული ყდა. ორი გადამწერი: არქიმანდრიტი კირილე და ზაქარია. ხელნაწერი შეიცავს 2 საკითხავს: 1. პორფირი, შესავალი 2. დავით უძლეველი. დასაწყისი და შესავალი წიგნისა. რომელსაც ბერძნულად ეწოდება „პერიარმენია“, ხოლო ქართულად „განმარტებისათვის“.ორივე ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset 1837(b): 157).

საერო ხელნაწერები

ისტორია-გეოგრაფია

M24 (G 1; M13). ქართლის ცხოვრება. XVIII ს.-ის I მეოთხედი. 346 ფ.; ქაღალდი; 31,7x21სმ.; შავი ტყავის ყდა; ტექსტი და საზედაო ასოები ნუსხურით; შავი მელანი; საზედაო ასოები და თარიღები სინგურით. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ნუსხა მოიცავს პერიოდს 1318 წლამდე. კრებულში შედის: ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითისძის, მატიანე ქართლისაჲს, დავითის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის ტექსტები. ტექსტს უძღვის ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა, რომელსაც, სავარაუდოდ, ეკუთვნოდა წიგნი. ხელნაწერი ცნობილია „თეიმურაზისეული ნუსხის“ სახელით. ტექსტი ნაკლევი და გამოქვეყნებულია (Brosset 1849(a):15-447; ჟორდანია 2011; Хаханов 1897: 134; Марр 1920: 15-447; მელიქსეთ-ბეგი 1934: XVI; ყაუხჩიშვილი 1942:XXIV; გრიგოლია 1954: 155-168, 227).

H56 (H 53). ქართლის ცხოვრება. ფრაგმენტი. XVIII ს-ის I მეოთხედი. 1 ფ.; ქაღალდი; 31x19 სმ.; შავი მელანი; საზედაო ასო წითლით. შესაძლებელია, იყოს M 24-ის ფრაგმენტი ან გადაწერილია იმავე გადამწერის მიერ.

M18 (C1,c; M41). ქართლის ცხოვრება. 1839 წ. 347 ფ.; ქაღალდი; 32,2x20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა; გადამწერები: სვიმონ ტაბიძე და გიორგი მაისურაძე; დამკვეთი: მარი ბროსე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერი წარმოადგენს მეტ-ნაკლებად სრული სამი ნუსხის კომპილაციას. მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან 1764 წ.-მდე. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ბროსეს ნუსხის“ სახელწოდებით. ქართული და თარგმნილი ტექსტი გათვალისწინებულია „ქართლის ცხოვრების“ მარი ბროსესეულ გამოცემაში (იხ. Brosset 1849(a,b): 15-688; Brosset 1854: 259-306).ხელნაწერი აღწერილი და გამოკვლეულია (კ. გრიგოლია 1954: 190-194).

H23 (C6;H8). ფარსადან გორგიჯანიძე. [„ქართლის ცხოვრება“]. 1841-1843 წწ. 280 ფ.; ქაღალდი; 34,5x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები წითლით; მუყაოს ოქროტვიფრული ყდა. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; დამკვეთი: თეიმურაზ ბატონიშვილი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. მცირე ნაწილი თეიმურაზის ავტოგრაფია. მოიცავს პერიოდს IV ს.-დან 1703 წ.-მდე. ხელნაწერის ტექსტი თარგმნილია სომხურად. ტექსტი გამოკვლეულია (კაკაბაძე 1926: 1-108; მელიქსეთ-ბეგი 1936: 89-106; ბარამიძე 1943: 102-106).

H41 (H34). ფარსადან გორგიჯანიძე. [„ქართლის ცხოვრება“]. 1843 წ. 265 ფ.; 35.3 x 21.2; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; გარეკანად გამოყენებულია ფურცელი ფრანგული წიგნიდან ან რვეულიდან; გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; დამკვეთი: მარი ბროსე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერი გამოცემული და თარგმნილია (Brosset 1854: 517-569; 1856: 514-575; 509-514; 576).

E62 (E63). „მცირე ქართლის ცხოვრება“. 1843 წ. 265 ფ.; ქაღალდი; 22x18 სმ.; შავი მელანი; ქაღალდის ყდა; გადამწერი: სიმონ ტაბიძე. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; დამკვეთი: მარი ბროსე. ყდას აქვს ფანქრით შესრულებულიშენიშვნები ჩუბინოვის მიერ. ნუსხა შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ქრონოლოგიური საძიებელი; 2. სეხნია ჩხეიძის ქრონიკა (Brosset 1854: 307-342) 3. პაპუნა ორბელიანის ქრონიკა (Brosset 1854: 343-474). ხელნაწერი შესწავლილია მარი ბროსეს მიერ და გამოქვეყნებულია (Brosset 1858: 1-6; 7-202). ნუსხა სრულ ტექსტს შეიცავს, მომდინარეობს 1773 წელს გადაწერილი ხეც H-2304-ისგან (აღწერილობა1951: 208-211). ტექსტი საქართველოში გადააწერინა და პეტერბურგში წაიღო გულდენტშტეტმა. პეტერბურგში ტექსტის მოხვედრამ ხელი შეუწყო მისი ასლების გამრავლება-გავრცელებას.

E30 (G7,b; E72). ისტორიული კრებული. 1838წ. 191 ფ.; 21x17.8 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; ყდის შიდა მხარეს აქვს მფლობელის მინაწერები. გადამწე-

რი: თეიმურაზ ბატონიშვილი.კრებული შედგება ორი ნაწილისაგან: „მცირე ქართლის ცხოვრება“, რომელიც, თავის მხრივ, სამ ნაწილადაა წარმოდგენილი, ესენია: 1. ქრონოლოგიური საძიებელი; 2. სეხნია ჩხეიძის ქრონიკა (Brosset 1854: 307-342); 3. პაპუნა ორბელიანის ქრონიკა (Brosset 1854: 343-474) და ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლის მეორისა“. ტექსტის დედანი უცნობია, თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ირაკლი II-ის შესახებ ცნობები არის ასევე დავით და თეიმურაზ ბაგრატიონების თხზულებებში. ხელნაწერი გამოყენებულია (მიქიაშვილი 1989: 14-25).

E66 (E 81). მეფობა ირაკლი მეორისა. 1838 წ. 38 ფ.; ქაღალდი; 22x17.8 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ფრანგული რვეულის ყდა; გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერს აქვს რამდენიმე მინაწერი, მარი ბროსეს ხელით შესრულებული. ფაქრით ადგილები მონიშნულია დავით ჩუბინოვის მიერ. ხელნაწერი შესწავლილი და გამოცემულია (Brosset 1854: 475-500; 1857: 203-227; მიქიაშვილი 1989: 23-24).

E 22 (C12;E44). ანტონ I ბაგრატიონი. შემოკლებული ქართლის ცხოვრება. 1835 წ.1 იანვარი. 46 ფ.; ქაღალდი; 20 x 12.5 სმ.; შავი მელანი; ტექსტის შესავალი ნაწილი, სათაურები, საზედაო ასოები წითლით. მუყაოს ყდა რუსული განმარტებითი წარწერით. ხელნაწერს ერთვის თეიმურაზის შესრულებული რამდენიმე მინაწერი. ხელნაწერი შეტანილია კატალოგში (Brosset 1837(b): 162).

E61 (E60). ანტონ I ბაგრატიონი. შემოკლებული ქართლის ცხოვრება. 1838 წ. 22 ფ.; ქაღალდი; 21x17 სმ.; შავი მელანი; ტექსტის 1-ლი ნაწილი, სათაურები, საზედაო ასოები წითლით. მხედრული; ორი ხელი: უცნობი გადამწერი, მარი ბროსე, რომელსაც დაუმთავრებია გადაწერა წლის 1 იანვარს. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერს ახლავს მარი ბროსეს მიერ ქართულად შესრულებული რამდენიმე შენიშვნა (Brosset 1887: 230).

M10 (C2,c; M 58). კრებული. 1826 წ. 279 ფ.; ქაღალდი; 33x22 სმ.; მხედრული; პირველი თხზულების სათაური და საზედაო ასოები ასომთავრულით; შავი მელანი; სათაურები წითლით; წითელი ტყავის ოქროტვიფრული ყდა. გადამწერი: ოსე გაბაშვილი; დამკვეთი: იმერეთის დედოფალი ანა; გადაწერის ადგილი: ბელგოროდი. შემკულია ჩვილედი ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის გამოსახულებებით (18r, 19v). კრებულში შედის: „გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა,“ ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია და ისტორია“. თხზულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის ქვეყნების გეოგრაფიის შესასწავლად. ვახუშტი ბაგრატიონის შრომა შესწავლილია და გამოცემულია მრავალგზის (Brosset 1838: 279-302; 328-336; 1854: 15; Brosset 1887: 125,127).

E70 (E89). ვახუშტი ბაგრატიონი. ისტორია საქართველოსა. 1842-1843 წწ. 541 ფ.; ქაღალდი; 22x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; დამკვეთი: მ. ბროსე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. მასში არ არის შეტანილი პირველი თავი და მეორე თავის დასაწყისი „აღწერაი სამეფოსა საქართველოსი.“ ტექსტს აქვს შენიშვნები მარი ბროსესი და დავით ჩუბინაშვილისა ხელნაწერის გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით. ყდაზე არის მ. ბროსეს ჩანაწერები: 1. სათაური ფრანგულად;2. ვახუშტის ნაშრომის ერთი ეგზემპლარის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა ლუარსაბ ბაგრატიონს; 3. ბიბლიოგრაფია ირანის რევოლუციის საკითხის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისში.ხელნაწერი გათვალისწინებულია მარი ბროსეს გამოცემაში (Brosset 1849(a): 1-14; 1854: 1-258;Brosset 1887: 252-253).

E59 (E 60). [ვახუშტი ბაგრატიონი. ისტორია საქართველოსა]. 1838 წ. 127 ფ.; ქაღალდი; 21x17 სმ.; შავი მელანი; მხედრული. ქაღალდის გარეკანი; შემდგენელი და გადამწერი: დ. ჩუბინოვი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; ხელნაწერი წარმოადგენს ერთგვარ კონსპექტს, რომელიც შეუდგენია დავით ჩუბინოვს ავტოგრაფის საფუძველზე. შეცვლილია ტექსტის ჩვეულებრივი წყობა: ისტორიული და გეოგრაფიული ნაწილები დალაგებულია ცალ-ცალკე. ტექსტს არ აქვს შესავალი და „ზნეობანი საქართველოსი“ (Brosset 1887: 544).

M14 (M1). ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. XIX საუკუნის I ნახევარი. 227 ფ.; 29 x 20 სმ.; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; სატიტულო ფურცელი და სათაურები წითლით, ასომთავრულით. აქვს წარწერილი სათაური. ტექსტს არ ერთვის შესავალი. ხელნაწერში შეტანილია გვიანდელი ხანის ჩანაწერები სხვადასხვა ხელნაწერით, მაგ., ასეთია: კალენიკე პატრიარქის სიგელის ტექსტი, ბერძნულიდან თარგმნილი XIX ს.-ში და სხვ. ცნობები. მიწერილი აქვს დავით აღმაშენებლის ეპიტაფიის ტექსტი პლატონ იოსელიანის მიერ.

H10 (G2,b; H58). ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. 1838 წ. 422 ფ., ქაღალდი, 35.5x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა; ყუაზე ბროსესეული წარწერა: „Histoire de Georgie par Wakhoucht. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე. ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან: 1. გეოგრაფიული აღწერილობა; 2. ისტორიული აღწერა იწყება ტექსტით „საქართველოს ზნეობანი“; „აღწერა სამეფოისა საქართველოისი“ თავნაკლულია; მეორე თავის ტექსტში ჩართულია დავით აღმაშენებლის ეპიტაფია, ლექსად თქმული რესკრიპტი; გალობა (იამბიკო) თამარ მეფისა; ლექსი, რომელიც ხოტბას ასხმას ხახულის ღვთისმშობლის გამოსახულებას, მითითებით, რომ ეს შოთა რუსთაველის შეთხზულია; ასევე მოყვანილია ანტონ I-ის ლექსის ოთხი სტროფი. ტექსტს ახლავს პლატონ იოსელიანის კრიტიკული შენიშვნები (Brosset 1887: 170).

H28 (G25; H20). სხვადასხვა. XIX ს. სხვადასხვა ზომის ფურცლები; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული. ხელნაწერის დიდი ნაწილი არის ავტოგრაფი თეიმურაზ ბატონიშვილის კოლექციიდან, ზოგიერთი ტექსტის გადამწერი უცნობია. შეიცავს საქართველოს ისტორიის მოკლე აღწერას, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შედგენილს, ასევე ქრონოლოგიის საკითხებზე ინფორმაციას, ლექსებს. ყველა ეს ნაწილი შედის კრებულში, რომელშიც გაერთიანებულია 46 განსხვავებული ფორმატის ფრაგმენტი.

E67 (E85). დავით და ბაგრატ ბაგრატიონები. მოთხრობა ახალი. 1842 წ. 212 ფ.; 22x18 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; დამკვეთი: მარი ბროსე. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. „მოთხრობა ახალის“ შექმნის მიზანი იყო ვახუშტის შრომის ისტორიული ნაწილის გაგრძელება. ტექსტი გადმოსცემს საქართველოს ისტორიულ მოვლენებს 1744-1840 წწ.-ში, გვაცნობს კავკასიაში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ფაქტებსაც. ხელნაწერის არშიებზე მიწერილია მფლობელის ხელით, გარეკანზე კი გვხვდება ბიბლიოგრაფიული მონაცემები და ისტორიული ხასიათის ჩანაწერები და შენიშვნები (Brosset 1887: 268; ჯანაშვილი 1905; ლომოური 1941: 3-200).

M17 (G1,a; M28). დავით და ბაგრატ ბაგრატიონები. მოთხრობა ახალი. 1842 წ. 162 ფ.; 31.2x20 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი, დამკვეთი: სააზიო საზოგადოების მუზეუმი. ხელნაწერი E67-ის ტექსტს მიჰყვება, მაგრამ, მისგან განსხვავებით, შეიცავს ინფორმაციას ასტრონომიულ მოვლენებსა და ხანძრებზე. მოცემული ტექსტი გადაწერილია ბაგრატ ბატონიშვილის ავტოგრაფიდან. მეცნიერებათა აკადემიის მუყაოს ყდა, ყუაზე აწერა: “Nazaroff. Histoire moderne de la Georgie“.

M16 (G1,b; M18). დავით და ბაგრატ ბაგრატიონები. მოთხრობა ახალი. 1842 წ. 133 ფ.; 31x20 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; მეცნიერებათა აკადემიის ტყავის ოქროტვიფრული ყდა; ნუსხა შეიცავს „ახალი თხრობის“ ორ ტექსტს, რომელთაგან პირველი, 1744-1812 წლების ისტორიის შემცველი, ეკუთვნის დავით ბატონიშვილს და მეორე, 1753-1824 წწ.-ის მოვლენების ამსახველი, მის ძმას, ბაგრატს. ამ ნაწილშივეა მოცემული პრიმიტიულად ილუსტრირებული კომეტები. რამდე-

ნიმე ფურცელი ეთმობა ასტრონომიულ მოვლენებს, 1840 წლის მიწისძვრას სომხეთში (Brosset 1854:501-516).

H52 (H53). ბაგრატ ბაგრატიონი. აღწერა იმერეთისა (ფრაგმენტი). XIX ს-ის I მეოთხედი. 4ფ.; 34,3x22 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; საზედაო ასოები, სათაურები და დასაწყისები წითლით; ავტოგრაფი. ნაწყვეტი ასახავს 1819-1820 წწ.-ის მოვლენებს, კერძოდ, იმერეთის აჯანყებას რუსული ძალადობის წინააღმდეგ (Brosset 1832: 168-190; Brosset 1887: 40, 50).

E82 (E 156). თეიმურაზ ბაგრატიონი. კრებული. 1838 წ. 24 ფურცელი; 22.3x18 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი. შედგება რამდენიმე თხზულებისაგან: ა) „თბილისისათჳს“, რომელშიც წარმოდგენილია: 1. თბილისის მოკლე ისტორია და დედაქალაქსა და მის შემოგარენში არსებული ქართული ტოპონიმების განმარტება; 2. „შემეცნება ზემო ქართლისა ქუეყანათა, რომელ არს სამცხე-საათაბაგო: ესე სრულიად პროვინცია ახალციხისა“... მოცემულია მოკლე ისტორია ამ მხარისა და მისი გეოგრაფიული სახელების განმარტება; 3. ივერია სახელის-დებისათჳს სრულიად ყოვლისა ზემოჲსა და ქუემოჲსა საქართველოჲსა, ესე იგი არს სრულიად ყოვლისა გეორგიისა-ადგილობრივ სახელთა განმარტებანი. პირველი 3 საკითხავი ერთი ზომის ქაღალდზეა შესრულებული. დანართი, რომელიც წარმოადგენს თეიმურაზის წერილს მარი ბროსესადმი, 2 ფურცელია, განსხვავებული ზომისა: 8.3x12 (Brosset 1851(b): 96-99).

E91 (E156). თეიმურაზ ბატონიშვილი. დარიალა. განმარტება შემეცნებისათჳს დარიალას-ჯარისა. XIX ს. 8 ფ.; ქაღალდი; 23x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი. მოცემულია ადგილის მოკლე ისტორია და ტოპონიმის განმარტება (Brosset 1851: 96-99).

C50 (H 13). [თეიმურაზ ბაგრატიონი]. ნაწყვეტი. XIX ს.-ის 30-იანი წლები. 2 ფ.; 20x12.6 სმ.; ქაღალდი; შავიმელანი; მხედრული; ნუსხა ავტოგრაფულია; ნაწყვეტში მოთხრობილია 1615 წ-ს თეიმურაზ I-ისაგან ვაჟის, ალექსანდრეს, გაგზავნა შაჰ-აბას I-ის კარზე.

C44 (H13). უსათაურო ფრაგმენტი. XIX ს.-ის I ნახევარი. 1 ფ.; 21x17 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; ნაწყვეტში წარმოდგენილია კახეთის მეფის სულთმობრძავი თეიმურაზ II-ისთვის ჩატარებული რელიგიური წეს-ჩვეულების ამბავი.

E78 (E156). [კრებული]. XIX ს-ის დასაწყისი. 10 ფ.; ქაღალდი; 22x17 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი.

P9 (G14; P13,a). დავით თუმანიშვილი. საქართველოს მეფეთა და მმართველთა გენეალოგიური ცხრილი. ქართა (Карта). 1838წ. 8 ერთმანეთზე შეწებებული ფურცელი 1 ფურცლად, 203x65.5; გაფორმებული ნაწილი შესრულებული გიორგი მაისურაძის მიერ, გადამწერი: ჩუბინოვი. სქემები გაფერადებულია აკვარელით (Brosset 1887: 121).

E106 (E134). ფრაგმენტები ვახტანგ VI-ისა. 1728-1733 წწ. 24ფ.; ქაღალდი; 22x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ნახაზები წითლით; ქაღალდის გარეკანი. ფრაგმენტები შეიცავს ჩანაწერებს ქრონოლოგიურ, ასტრონომიული და ასტროლოგიური გამოთვლების შესახებ, ცხრილებს, ნახაზებს, ნახატებს.

H 51 (H53). ქრონიკონი. 1824 წ. 6 ფ.; ქაღალდი; 34x21 სმ.; შავი მელანი; სათაურები, საზედაო ასოები, ციფრობრივი შესატყვისების ნაწილი წითლით; ციფრები ასომთავრულით, ტექსტი -მხედრულით. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი.

M22 (G42; M7). ქრონოგრაფი. 1738 წ. 495 ფ.; 31x20 სმ.; ქაღალდი; მხედრული; სათაურები და 494v-495r კალიგრაფიული მხედრულით; შავი მელანი; სათაურები წითლით; ხის ყდა ტვიფრული ტყავით; გადამწერები: ონისიმე და ეფრემ გარსევანიშვილები; მთარგმნელები: ბაგრატ სოლოღაშვილი (ბერძნულიდან), არჩილ II და მოწვეული პირები (რუსულიდან); გადაწერის ადგილი: მოსკოვი. ხელნაწერი მოხსენიებულია გამოცემებში (Brosset 1887: 117; Хаханов 1901: 348-349).

E88 (E156). კრებული. XVIII-XIX სს.: 16 ფ.; 20.5x16 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; შედგება: 1.განყოფა მიფოლოღიისა; 2.განყოფა ევროპის მიფოლოგიის სასლიისა; მთარგმნელი: დიმიტრი ბაგრატიონი.

C11 (G13; C14). დავით ბაგრატიონი. ისტორია-ნარკვევი. 1795 წ. 59 ფ.; ქაღალდი; 16.3x10.6 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საქართველოს მმართველთა სახელები წითლით. ხის ყდა ტვიფრული ტყავით. ტექსტი მოხსენიებულია (Brosset 1837(b): 164). თხზულება გამოცემულია (იხ. ბაგრატიონი: 1800).

C29 (C15). დავით ბაგრატიონი. ისტორია-ნარკვევი. 1799 წ. 74 ფ.; ქაღალდი; 16.4x11 სმ.; მხედრული; ნუსხური; სათაურები ასომთავრულით; შავი მელანი; სატიტულო გვერდი და საზედაო ასოები წითლით; ხის ყდა ტვიფრული ტყავით; გადამწერი: დიაკონი სვიმეონი; გადაწერის ადგილი: თელავი; დამკვეთი: ბაგრატ ბაგრატიონი (Brosset 1849(b): 223, შენ. 3; Brosset 1887: 230, 269).

C37 (C44). ისტორია-ნარკვევი. XIX ს-ის 40-იანი წლები. 83 ფ.; 19x11,5 სმ.; შავი მელანი; მხედრული; ქაღალდის გარეკანი (Brosset 1887: 269).

P10 (P13). ტბეთის სულთა მატიანე. XII-XIII; XIII-XVII სს. გრაგნილი; 18 კეფი; ეტრატი სხვადასხვა ზომის; ნუსხური; ზოგიერთი საზედაო ასომთავრული. კეფების თანამიმდევრობა არეულია. ტექსტი ასეულობით მოხსენიებას შეიცავს. მასში უხვადაა გამოყენებული მაჭახლის ხეობის ტოპონიმები. ტბეთის სულთა მატიანე ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს (Бакрадзе 1878: 195-197; ინგოროყვა 1954:96; სიხარულიძე 1961: 123-131; სილოგავა 1986:253-254;. Какабадзе 1967: 351-352). ხელნაწერი გამოცემულია: (იხ.ენუქიძე: 1977: 3-171).

P13 (P133). სვანური საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლები (სულთა მატიანეები). XIII; XIII-XVII სს. 12 ფ.; ეტრატი; სხვადასხვა ზომა; სხვადასხვა ხელი.

E86 (E156c). იონა ხელაშვილი. ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსენებელი. 1812 წ. 4 ფ.; 22,5x35,1 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი. სიმონ ტაბიძისა და გადამწერის, იონა ხელაშვილის, ავტოგრაფები. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ტექსტი განხილულია ვ. დუნდუას ნაშრომში: (დონდუა 1965: 211-229; მეგრელაძე 1971: 267-278; ბერძნიშვილი1983: 261-264;).

H19 (G221; H1). ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა. XIX ს-ის 10-იანი წლები. 157 ფ.; ქაღალდი; 34,5x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ტყავის ყდა; რუსულიდან მთარგმნელი: ავთანდილ თუმანიშვილი. მთარგმნელის ავტოგრაფული ნუსხა, მოხსენიებულია (Brosset 1837(b): 166).

M28 (G45; M23). კჯნტოს კურციოს. საქმეთათჳს ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა. XVIII ს. 99 ფ.; 31x20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ასომთავრულით. ოქროტვიფრული მუყაოს ყდა.

M50 (M34). კჯნტოს კურციოს. საქმეთათჳს ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა. XVIII-XIX სს. 191 ფ.; ქაღალდი; 32x21 სმ.; მხედრული; ხუთი ხელი; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ტყავის ყდა.

P1 (G19; P3). ასლან ათაბეგოვი. ორბელიანთა ისტორია. 1826 წ. 84 ფ.; ქაღალდი; 37,2x23 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა; გადამწერი: ასლან ათაბეგოვი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; თხზულების დამკვეთი: იმერეთის დედოფალი, დავით II-ის ქვრივი, ანა ორბელიანი. ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset 1833: 560; Brosset 1887: 154-155), გამოკვლეულია (მელიქსეთ-ბეგი 1962: 33-84).

M15 (G43,b; M9). მირზა მეჰთი. ნადირ-შაჰის ისტორია. 1841 წ. 172 ფ.; ქაღალდი; 31x19 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ოქროტვიფრული ტყავის ყდა; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; დამკვეთი: სააზიო საზოგადოება; სპარსულიდან მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი. ხელნაწერი შესრულებულია 1802 წლის ნუსხიდან, რომელიც ეკუთვნოდა ბაგრატ ბაგრატიონს (Brosset 1837:166; Mapp 1900(a): 7).

M31 (G49; M31). პიკოლი. გამოკრებული მოთხრობა სპარსეთისა (სპარსეთის მოკლე ისტორია). XIX ს-ის I ნახევარი. 46 ფ.; ქაღალდი; 32x20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; მუყაოს ყდა.

H37 (H9). ბაგრატ ბაგრატიონი. სპარსეთის ახალი ისტორია. 1826-1834 წწ. 144 ფ.; ქაღალდი; 34.5x 21 სმ.; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; მუყაოს ყდა. თხზულებას ახლავს დოკუმენტები, რომელთაგან ზოგი ნაბეჭდია რუსულად და ქართულად, ზოგი ხელნაწერია ქართულად. რუსულიდან ქართულად მთარგმნელი: ი. ბაზლიძე. ტექსტი შეიცავს ასევე უსათაურო ნაწილს, რომელშიც მოთხრობილია 1828-29 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომის ამბავი; შევსებულია დოკუმენტებით.

H27 (G41; H19). [კრებული]. XIX სს. სხვადასხვა ზომის ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ზოგან სიტყვები, საზედაო ასოები, პირობითი აღნიშვნები წითლით; შესულია არაერთი ტექსტი: ვახუშტი ბაგრატიონის „კინკლოსი საუკუნო“; თეიმურაზ ბატონიშვილის „წელთა რიცხვი“; მიქელ ჩამჩიანის უსათაურო ტექსტი; კარლოს V-ის მოკლე ისტორია; ეფთვიმე ათონელის ანდერძი და ბიოგრაფიული ცნობები; „სჯულისკანონის“ წინასიტყვაობა და სარჩევი; გიორგი ათონელის მიერ შედგენილი ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხა და გიორგი მცირის მიერ შედგენილი გიორგი ათონელის თარგმანთა ნუსხა; თეიმურაზ ბაგრატიონისეული ნუსხა დავით ბაგრატიონის დაწერილი 13 და სხვა 14 წიგნისა; დავით მესხიშვილის „ძუწლთა ქართუწლთა მთარგმნელთათვის“; „წმიდათა მამათა და მეცნიერთათვის“; „რიცხუნი წიგნთა სხუათა და სხუათა“ და ა.შ.

M6 (G50; M19). ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში. 1824 წ. 79 ფ.; ქაღალდი; 32 x20 სმ.; შავი მელანი; სათაურები წითლით; მხედრული; მუყაოს ყდა; მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე; დამკვეთი: ბაგრატ ბაგრატიონი. ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset 1838: 560).

E78 (E 156). კრებული. XIX ს.-ის დასაწყისი. 10 ფ.; 22 x 17სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; შედგება ორი თხზულების ფრაგმენტებისაგან: 1. ქართველთ მეფობა, რომელშიც ჩამოთვლილია 95 სახელი, ფარნავაზიდან იესემდე (†1727); 2. [ქორონიკონი]- მოიცავს საქართველოსა და ირანს შორის 1692-1801 წწ.-ში მომხდარ ფაქტებს. ორივე თხზულების წყაროა ვახუშტი ბაგრატიონი.

B2 (C55; B5). [გარემოს მოკლე აღწერა, გეოგრაფია]. XVIII-XIX სს. 82 ფ.; 13x8 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მთარგმნელი რუსულიდან: გაბრიელ გელოვანი. წიგნი შედგება შესავლისა და 4 ნაწილისაგან, რომლებშიც აღწერილია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნები.

P4 (G2,b; P8). [კრებული]. XVIII-XIX სს. 22 ფ.; სხვადასხვა ზომის ფურცლები; მხედრული; აკვარელით გაფერადებული; მეცნიერებათა აკადემიის მუყაოს ყდა. წიგნი შეიცავს ვახტანგ VI-ის შედგენილ ქართველ მეფეთა გენეალოგიურ ცხრილსა და ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული ატლასის ასლს, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში გადმოუღია მაია ჩიქოვანს. დამკვეთი: იმერეთის დედოფალი ანა. ხელნაწერი აღწერილი და გამოყენებულია (მათურელი 1950-1951); ხელნაწერი მოხსენიებული. რუკები გამოცემულია (იხ.: Brosset 1842; Орбели 1954:23).

P15 (G2,c(bis); P13,b). კრებული. XVIIIს.-XIX სს-ის 20-30-იანი წლები. 8 +1 ფფ.; სხვადასხვა ზომის ქაღალდი; მხედრული; ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს; შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთია ვახუშტი ბატონიშვილის რუკები (8ფ.), აკვარელის საღებავით გაფერადებული, ავტოგრაფი. ხელნაწერი მოხსენიებულია: (მათურელი 1950-1951: 112-123); მეორე-საქართველოსა და მისი მოსაზღვრე მხარეების ჰიდროგრაფიული რუკა (1 ფ.); ქაღალდი; აკვარელით გაფერადებული. მხაზველი: პეტრე კალმაკოვი; რუსულიდან მთარგმნელი: გრიგოლ ბაგრატიონი, გიორგი XII-ის შვილიშვილი.

E100 (E134). ვახუშტი ბატონიშვილი. რუკა. XVIII ს. 1 ფ.; 20x16.5 სმ.; ქაღალდი; აკვარელით გაფერადებული.

E69 (E88). კრებული. XVIII-XIX სს. 110 ფ.; ქაღალდი; 21x16 სმ.; ნუსხური და მხედრული; შავი მელანი; საზედაო ასოები; დასაწყისები, თარიღები წითლით. ხელნაწერი კონვოლუტია; გაერთიანებულია: სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“(ორბელიანი 1940: IV-XXIII) და „წესი სამღვდელმთავრო ლიტურგიისა“. ხელნაწერი აღწერილია და გამოკვლეულია (რუხაძე 1951: 345).

E13 (E82). ტიმოთე გაბაშვილი. მოხილვა წმინდათა ადგილთა. 1787 წ. 90 ფ.; 21x16 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები წითლით, ყდა ტვიფრულტყავგადაკრული; ახლავს 7 მინიატიურა. გადამწერი: დავით მესხიშვილი, გადაწერის ადგილი: თელავი. ხელნაწერი გამოცემულია (იოსელიანი:1852), იხსენიება (Brosset 1887: 121,235; Хаханов 1901: 303); გამოყენებულია (მეტრეველი 1956: 03-076).

E63 (E87). ტიმოთე გაბაშვილი. მოხილვა წმინდათა ადგილთა. 1838 წ. 101 ფ.; 22x17 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი. ტექსტი წარმოადგენს E13 (E82)-ის ასლს. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (Brosset 1887: 121; გაბაშვილი 1956: 03-076).

E31 (G20,a; E75). [ტიმოთე გაბაშვილი, თხზულებები]. XVIII ს. 188 ფ.; 20,5x17 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები წითლით. ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (Хаханов 1901: 303).

E56 (E50). კრებული.1841 წ. 95 ფ.; 21x17 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი. ხელნაწერი შეიცავს თხზულებებს: 1-2. იონა გედევანიშვილის „მიმოსვლა“; „ლოცვამან ანნა“; 3. წერილი ანტონი II-ის გარდაცვალების გამო; 4.„როდოს სლვა“; 5. იონა გედევანიშვილის ნეკროლოგი; 6.„აკვითის („Aqua vitae“)... ნუსხა“... 7-8. ალ. ჭავჭავაძის ლექსები. იონა გედევანიშვილის „მიმოსვლა“ გამოცემულია (გედევანიშვილი 1852; ასევე იხ. ჭაბაშვილი 1980: 63-72). გედევანიშვილთა შთამომავლობის შესახებ (იხ. კაკაბაძე 1914).

E34 (G46; E95). გვიდო დე კოლონა. [მატიანე ტროადის ბრძოლისა]. 1791 წ. 184 ფ.; ქაღალდი; 21,x15,5სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები წითლით; ყდა ხის ტვიფრული ტყავგადაკრული; გადამწერი: სვიმონ კერცაკიძე; თარგმანი სლავურიდან.

სამეცნიერო კრებულები

K6 (G187;K1). არითმეტიკა (რუსულ-ქართული). XIX ს. 143 ფ.; ქაღალდი; 23,85x19 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა; ნაწერია რუსულად და ქართულად. ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს. ხელნაწერში ორი ტექსტია ცხრილებში მოთავსებული, რომელთაგან ერთი ქართულია, მეორე - რუსული.

E121 (E134). ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა. XVIII ს. 2 ფ.; 15,7x7,5 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი. ხელნაწერი მოხსენიებულია (ენუქიძე 1981: 5,6; Чагунава 1984: 8).

E46 (E38). დაუთ ხანი. იადიგარ დაუდი. 1785 წ. 88 ფ.; ქაღალდი; 20x16,5 სმ.; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; საზედაო ასოები; სათაურები; ცალკეული ადგილები წითლით. მხედრული; შავი მელანი; ფ. 68-ზე დახატულია ჩალმიანი მამაკაცის ფიგურა. ტექსტი გამოსცა ლადო კოტეტიშვილმა. გამომცემელმა დაადგინა კრებულის 7 რედაქცია, მაგრამ აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის კუთვნილი წიგნის ტექსტი არც ერთ რედაქციას არ მიჰყვება, თუმცა ახლოს დგას E ხელნაწერთან. ტექსტის შესახებ (საკაშვილი 1956:83; კოტეტიშვილი 1985: XVI).

K13 (K23). ქანანელი. უსწორო კარაბადინი. XIX ს-ს პირველი მეოთხედი. 498ფ.; ქაღალდი;

29,8x20,2 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და ცალკეული სიტყვები წითლით. ხის ყდა ტვიფრული ტყავგადაკრული; ამ ხელნაწერს პეტერბურგში მიაკვლია ლ. კოტეტიშვილმა. მან იგი გამოიყენა Q-26-ის შესავსებად. ამ ხელნაწერების საფუძველზე გამოსცა „უსწორო კარაბადინის“ ტექსტი (კუხიანიძე 1997: 16-33).

E25 (G193,6; E54). სამედიცინო კრებული. XVIII-XIX სს. 58 ფ.; ქაღალდი; 21x15,8 სმ.; შავი მელანი; მხედრული; ტყავის ყდა; გაფორმებულია აკვარელით შესრულებული ზოდიაქოს ნიშნებით, რომლებიც დაწებებულია ხელნაწერის ფურცლებზე. ხელნაწერი შეიცავს ძირითადად რეცეპტებს, რომლებსაც ახლავს დაავადებათა მითითებები. ზოგჯერ აღწერილია შინაგან ორგანოთა, ნერვული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური დაავადებების სიმპტომები. შემდეგ მოცემულია ასტროლოგიური ტექსტი, ზოდიაქოთა ნიშნები, ასევე ლოცვები, როგორც ბოროტი ძალისაგან დამცავი. ხელნაწერი არის საოჯახო დანიშნულებისა.

E104 (E134). რეცეპტები. XIX ს. 2 ფ.; ქაღალდი; 34x21,5 სმ.; უყდო; შავი მელანი; მხედრული. ტექსტი შეიცავს 16 რეცეპტს და სხვადასხვა დაავადების 6 ლოცვას.

E105 (E134). „ვნება პირველს ასოზედ გამოთქმული“. XIX ს. 32 ფ.; ქაღალდი; 20x15 სმ.; მხედრული; ხელნაწერი არის ერთი ნახატი, მჯდომარე კაცი სამკაპით ხელში. ქაღალდის გარეკანზე წერია ბროსეს ხელით ქართულად და ფრანგულად. სამკურნალო წიგნი ანბანზეა გაწყობილი, შეიცავს 148 თავს; შეტანილია მრავალი დაავადება. კრებული შედგენილია ქართული, ფრანგული და რუსული წყაროების საფუძველზე.

C45 (H13, G27). „აღწერა ცხოველობის მაისის არსების ბალზამისა“.1817-1821,1822 წწ. 28 ფ.; ქაღალდი; 17x10,5 სმ.; მხედრული. თხზულება ეხება „მაისის ბალზამის“ სამკურნალო თვისებებს. თხზულება დიდად პოპულარული იყო XIX საუკუნის პეტერბურგში.

E118 (E134) დარიგება თვის შენახვისა და ხმარებისა ასაჭრელის ყვავილის ჩარქისა. 1ფ.; ქაღალდი; 25x20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; თარგმნილია რუსულიდან.

M37 (G194; M48). კრებული. 1791 წ.; 1816 წ. ;131 ფ. 25x16 სმ.; 32,5x20 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; სათაურები, საწყისი ასოები, აბზაცები წითლით; მხედრული; ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს. შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი შეიცავს ფრაჯ და თოროს სამკურნალოს ცხენისა და პირუტყვთა, ხოლო მეორე -- ბაგრატ ბაგრატიონის ცხენის სამკურნალოს. ორივე ნაწილი ჩაკინძულია ერთად მუყაოს ყდაში. I ნაწილის მთარგმნელები არიან: იოანე ოსესძე, ტერ-პეტროსი და ტერ-ფილიპე ყაითმაზოვი; დამკვეთი: გიორგი ბატონიშვილი. II ნაწილი თარგმნილია ბაგრატ ბატონიშვილის მიერ. ხელნაწერი შესწავლილია (იხ.: ჯვარშეიშვილი 1968: 71-74).

C16 (G196; C23). ქორის კარაბადინი. XVIII-XIX სს. 27 ფ.; ქაღალდი; 17x10 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები წითლით; ტყავგადაკრული ხის ყდა; დასაწყისში ერთი ფურცელი ამოჭრილია. ტექსტში მოცემულია მონადირე ფრინველის, ქორის, წვრთნის, მოვლის, მკურნალობის წესები. კარაბადინში 32 თავია; აკლია წინასიტყვაობა, რომლისგანაც რამდენიმე სტრიქონია გადარჩენილი. იგი ქართული ხალხური მედიცინის ნიმუშია და მოღწეულია მხოლოდ ამ ნუსხით. გადაწერილია სამ ნაწილად; არის დიდი ფორმატის სამედიცინო კრებული. აღწერილია მკურნალობის გზები და მოყვანილია წამალთა დამზადების საშუალებები. ხელნაწერი შესწავლილია (იხ.: ჯვარშეიშვილი 1968: 74).

ფილოსოფია

C7 (G175; C6). კრებული. XVIII ს.-ის II ნახევარი. 293 ფ.; ქაღალდი; 15x10 სმ.; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ნუსხური; სათაური თხზული ასომთავრულით. ხის ტვიფრული ტყავგადაკ-

რული ყდა. შედგება სამი თხზულებისაგან: 1. სჯმეონ ჯუღაელი, წიგნი დიალიღტიკისა; 2. დავით უძლეველი, „წიგნნი მყოფთათჳს, რომლისა შორის მკჳდრ არიან კითხუა-მიგებანი სადიალიკტიკოსა ზედა სწავლასა“ (264r-280v); 3. მელიტოს ბერძენთა ფილოსოფოსისა და ათენელი ერმანიტელის ფილოსოფიური კითხვა-მიგება. ხელნაწერის მეორე და მესამე საკითხავებს იხსენიებს ამ კრებულის მიხედვით ბროსე (Brosset 1837(b): 156).

C19 (G177; C30). ანტონი I ბაგრატიონი. კატიღორიათა არისტოტელითად შეყვანიხლება. XVIII ს. 120 ფ.; 16.8x10.3 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შესავალი და სათაურები ასომთავრულით. ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. გადამწერი: გაბრიელი. ადგილ-ადგილ და ყდის შიდა მხარეს ხელნაწერს აქვს თეიმურაზ ბაგრატიონის მინაწერები, რომელთა ნაწილი ეხება თხზულების ტექსტს. ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset1837(b): 157).

C21 (G178; C43). [ანტონი I ბაგრატიონი. „პინაქს-სიტყუაობა ჩუენ მიერთა შეყუანილებათა კატიღორიათა, სიმეტნეთა“ (ფრაგმენტი)]. XIX სს-ის 10-იანი წლები. 39 ფ.; ქაღალდი; 17,5x10,5 სმ.; შავი მელანი; მხედრული; ორი ხელი.

C31 (C19). მიხიტარ სეზასტიელი. სარიტორო ხელოვნებისათჳს (ესე იგი სამჯევ-მეთქჳოჲსა). XVIII ს. 178 ფ.; ქაღალდი; 16.5x11.4 სმ.; შავი მელანი; სათაურები წითლით; მხედრული; ხის ყდაზე ზემოდან ქაღალდია დაწებებული; ზედა ფრთა არ აქვს. მთარგმნელი: ანტონ I კათალიკოსი. ნუსხა შეიცავს თარგმანის სრულ ტექსტს, აკლია წინასიტყვაობა და დასათაურება.

C 17 (G176; C26). დავით ბაგრატიონი. შემოკლებული კატიგორია. 1791 წ. 31 ფ.;16.6x10.5 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; მუყაოს ყდა. გადამწერი: დეკანოზი სოლომონი; გადაწერის ადგილი: თბილისი; მიძღვნილია ფარნაოზ ბატონიშვილისადმი. ხელნაწერში მოხსენიებულია (Brosset 1837 (b): 157).

K7 (G183;K10). ბაასი კლარკისა და ლეიბნიცისა. 1844 წ. 231 ფ.; 26.8x20.5 სმ.; შავი მელანი; ქართულად ნაწერი მხედრულით; ფრანგულად ნაწერი XIX ს-ის ხელით; ყდა მუყაოსი. ფრანგულიდან მთარგმნელი: ილია ბაგრატიონი. მთარგმნელის ავტოგრაფი. გადაწერის ადგილი: მოსკოვი. ხელნაწერში წარმოდგენილია ორი ფილოსოფოსის, ინგლისელი კლარკისა და გერმანელი ლეიბნიცის, მიმოწერა. ნუსხა ორენოვანია, ფრანგული და ქართული.

H20 (G74; H4). ვოლტერი. შობისათჳს. XIX ს.-ის 10-იანი წლები. 9 ფ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; მუყაოს ყდა; კონვოლუტი; უკავია ფფ. 67-75. ავტოგრაფი. მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი; ხელნაწერს უძღვნის დავით მესხიშვილს.

M35 (И218; M38). ანსილიონი. ესტეტიკებრი განსჯანი, ანუ მეტაფისიკებრი გვარი უმაღლესისა რიტორებისა. 1815 წ. 281 ფ.; ქაღალდი; 31x19 სმ.; შავი მელანი; მხედრული; ფურცლის კიდეები მოოქრული; მუყაოს ყდა. მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი; ავტოგრაფი; შავი პირი. დავით ბაგრატიონმა ტექსტი ქართულად თარგმნა საგანმანათლებლო მიზნით-ქართველები გასცნობოდნენ კულტურის თეორიას. მთარგმნელის კონცეფციაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს თხზულების დასასრულს დართული ჩანაწერი, რომელშიც გადმოცემულია საინტერესო საისტორიო-სალიტერატურო შენიშვნები ქართულ თარგმანთა შესახებ. ხელნაწერი მოხსენიებულია (Brosset 1837(b): 156).

M26 (G165; M17). [თეოფილაქტე რუსანოვი]. პაექრობა არქიერისა თეოფილაკტესი, რომელიცა აწ ჩვენში მიტროპოლიტათ არს და ფილარეტ არქიმანდრიტ ყოფილისა და აწ ტვერისა არქიერისა. 1818 წ. 48 ფ.; 31,3x19 სმ.; ქაღალდი; ქართული ტექსტი ნაწერია მხედრულით; რუსული – XIX ს-ის კალიგრაფიული ხელით. რუსულიდან მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი; გადამწერი: სოლომონ რაზმაძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; ტყავის ოქროტვიფრული ყდა, ყუა წარწერით: „ანსილონის განმარტების შესახებ“. თეიმურაზის კოლექცია. ხელნაწერს აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერები. თხზულების ორიგინალი მოთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში,

ტექსტი პოლემიკური ხასიათისაა და ესება ანსილიონის თხზულების შესახებ პოლემიკას რუსეთის სასულიერო პირებს – თეოფილაქტესა და ფილარეტს -შორის.

ლექსიკოგრაფია

M2 (в 95,Ь; M5). სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. XVIII ს-ის I ნახევარი. 279 ფ.; ქაღალდი; 30x20 სმ.; ნუსხური; მსედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; ხის ყდა ტვიფრულტყავგადაკრული, ტყავის შესაკრავებით. 216 r-ზე ასტრონომიული სქემა. ოქროთი გაფერადებული; ტექსტს დასაწყისში აქვს ფერადებითა და ოქროთი შესრულებული თავსამკაული. ორნამენტირებული და გაფერადებული შესატყვისი ასოები უძღვის შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს. გადამწერი: არქიდიაკონი არონი. გადაწერის ადგილი: თბილისი. ხელნაწერი წარმოადგენს შერეული რედაქციის ტექსტს.

E139 (E 99). ფრაგმენტები. [ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა]. XIX ს-ის 30-იანი წწ. 3 ფ.; ქაღალდი; 18x11 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E84 (E 156). ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. დამატება.1832 წ. 8 ფ.; ქაღალდი; 21.3x15.3 სმ.; მხედრული; შავი მელანი; საზედაო ასოები და ანდერძ-ნამაგი წითლით; გადამწერი: თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც ეს ნაწილი გაუგზავნია მარი ბროსესთვის პარიზში. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ნუსხა შესრულებულია მაკრინე ჩოლოყაშვილის ხელნაწერიდან. ერთვის თეიმურაზ ბაგრატიონის კომენტრები (Brosset 1851(b): 74; კეკელიძე 1953: 153-177).

E83 (E156). თეიმურაზ ბატონიშვილი. [კრებული]. XIX ს-ის 30-იანი წწ. 21 ფ.; ქაღალდი; 21.8x17 სმ.; მხედრული; შავი მელანი. ახლავს თეიმურაზ ბატონიშვილის კომენტარები.

E43 (E69). რუსულ-ბერძნულ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი. XVIII სს. 188 ფ.; ქაღალდი; 20.5x16 სმ.; ქართული ტექსტი მხედრულით; შავი მელანი; ხის ტყავგადაკრული ყდა; ლექსიკონის დამკვეთი: ვახუშტი ბატონიშვილი. (Brosset 1837(b): 174; Хаханов 1901: 290).

E33 (C 53; E 80). ცნობა ისტორიული და ღეოღრაფიული, ზღაპარ-სიტყუაობა. შეკრება რაოდენთამე ძუელთა ღმერთებთა. ელლინთაგან ღმერთად აღსარებულთა. XVIII ს.-ის მიწურული. 40 ფფ.; ქაღალდი; 21.8x17 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; მთარგმანელი, შემდგენელი და პირველი მფლობელი: დავით ბაგრატიონი. ტექსტი წარმოადგენს მითოლოგიურ განმარტებით ლექსიკონს. შეიცავს შესავალს, მითოლოგიის ზოგად მიმოხილვას და ქართული ანბანის რიგზე გაწყობილ 256 განმარტებას.

H63 (H13). კიპრიანე დამსკი. სახალისო ლექსიკონი ბუნებათა და თვისებათა ცხოველთასა შეკრებული სხვათა და სხვათა წერილთაგან ძველთა და ახალთა მოგზაურთასა (ფრაგმენტი). XIX 2 ფ.; ქაღალდი; 32.8x20 სმ.; 34x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე. მთარგმნელის ავტოგრაფი.

P8 (P7). იოანე ბაგრატიონი. ლექსიკონი რუსულისა და ქართულისა. 1807 წ. 24 ფ.; ქაღალდი; 42x33 სმ.; ქართულად ნაწერი: მხედრული; შავი მელანი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი, ავტოგრაფი.

H313 (G96; H40). იოანე ბაგრატიონი. მდელოთა, ნერგთა, მჴეცთა, მფრინველთა, და ქუეწარმავალთა და აგრეთვე სხუათა მეტალთა და ბუზთა. ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, ლათინური, სომხური. XIX ს.-ის I მეოთხედი. 24 ფ.; ქაღალდი; 33.6x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ტექსტის დასაწყისში შავითა და წითლით შესრულებული თავსამკაული; დასაწყისები წითლით. ტექსტი ტერმინოლოგიური ლექსიკონია, შეიცავს 1175 ერთეულს, დალაგებულია ქართული ანბანის რიგზე (Цагарели 1894: LXIV-LXV).

H312 (G96; H40). ბოტანიკურ ტერმინთა მრავალენოვანი ლექსიკონი. XIX ს-ის 10-იანი წლები.10 ფ.: ქაღალდი; 34x21.5 სმ.; მხედრული; შავი მელანი. რუსული ტექსტი ნაწერია ენის ცუდად მცოდნე პირის მიერ. შეიცავს 338 სპარსულ, არაბულ, თურქულ, ბერძნულ და ქართულ ტერმინებს.

H31 (G96; H40). ლექსიკონი, ხოლო ევროპელნი უწოდებენ ლექსიკონ ენისა მებრ მათისა, და ქართულად ეწოდების სიტყვის კონი. (ფრაგმენტი). XIX ს-ის I მეოთხედი. 34 ფ.; ქაღალდი; 36x22 სმ.; არაბული და ქართული (მხედრული); შავი მელანი. შეიცავს არაბულ, ებრაულ, სპარსულ, ინდურ, სომხურ, თურქულ და ქართულ ტერმინებს, რომლებიც გამოიყენებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში. ასევე წარმოდგენილია ბოტანიკური, ზოოლოგიური, ორნიტოლოგიური, გეოგრაფიული, მათემატიკური, ასტრონომიული, ქიმიური, მინერალოგიური, სამედიცინო, ფილოსოფიური, იურისპრუდენციისა და ლიტერატურის თეორიის ტერმინოლოგია, რომელთა წყაროს წარმოადგენდა ბიბლიური, საღვთისმეტყველო წიგნები, ქართული პოეზიის ნიმუშები.

H38 (H 16). თეიმურაზ ბაგრატიონი. ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე. XIX ს-ის I ნახევარი. 16 ფ.; ქაღალდი; 36x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ხელნაწერს ერთვის თეიმურაზის წერილი მარი ბროსესადმი. დამკვეთი: მარი ბროსე. ხელნაწერი შეიცავს 174 ტერმინს (Brosset 1887: 149).

E1042 (E 134). თეიმურაზ ბაგრატიონი. რუსულ და ბერძნულ სიტყვათა განმარტებანი (შავი პირი). XIX ს-ის I მეოთხედი. 2 ფ.; ქაღალდი; 22.5x18.5 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E155 (E 99). [თეიმურაზ ბაგრატიონი, სალექსიკონო მასალა]. ფრაგმენტი. XIX ს.-ის I ნახევარი. 1 ფ.; ქაღალდი; 26x20.5 სმ.; შავი მელანი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი.

E10 (E 57). პლატონ იოსელიანი. რუსულ-ქართული ლექსიკონი. XIX ს-ის 30-იანის I ნახევარი. 151ფ.; ქაღალდი; 21.3x17 სმ.; ქართული ტექსტი მხედრულით; შავი მელანი; მუყაოს ყდა; ავტოგრაფი. შეიცავს 5232 ერთეულს; დალაგებულია რუსული ანბანის მიხედვით.

H44 (H 55). [ნიკოლოზ] ჩუბინოვი.ქართული ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანის მიერ შეთხზული და მცირედ განმართული სისტემისაებრ მისისა, გარნა კუალად მოქენე უმეტეს განმართჯსა და უმჯობეს შესრულებისა. 1834-1837 წწ. 16 ფ.; ქაღალდი; 35.3x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ავტოგრაფი.

გრამატიკა

E8 (G88,b; E128).ანტონი I. [ღრამმატიკა I]. XIXს.-ის I მეოთხედი. 250 ფ.; ქაღალდი; 22.5x19 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით, წითლით. ყდა მუყაოსი, ოქროტვიფრული. ტექსტი შედგება სამი ნაწილისაგან, ესენია: ,,სიმეტნე", რომელიც ანტონ I-მა ოდნავ გვიან დაწერა; მორფოლოგია და სინტაქსი. ხელნაწერი შესწავლილია (Цагарели 1873: 20-26).

E39 (G91; E133). კრებული. XIX ს.-ის დასაწყისი. 80 ფ.; ქაღალდი; 22.2x17 სმ.; მხედრული; შავი და წითელი მელანი; მუყაოს ყდა. შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია: 1.[რუსული გრამატიკა], რუსულ ენაზე. 2. ანტონი I, სიმეტნე. ხელნაწერი გამოყენებულია ალ. ცაგარლის გამოკვლევაში (Цагарели 1873: 26-30,107; შენ.12).

M44 (M16). ანტონი I ბაგრატიონი. გრამატიკა II. 1788 წ. 126ფ.; 31.1x21.2 სმ.; ქაღალდი; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; შავი მელანი; ხის ყდა ტვიფრული, ტყავგადაკრული; ფორზაცად ჩაკრულია ქართულ ენაზე ნაბეჭდი ბიბლიის ფურცლები. გადამწერი: იოსები; გადაწერის ადგილი: თბილისი. ნუსხა 3 ნაწილისაგან შედგება, შეიცავს სრულ ტექტს.

K9 (G88,a; K13). ანტონი I ბაგრტიონი, გრამატიკა II. XVII ს. 156 ფ.; ქაღალდი; 27.5x19 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით; ტყავის ყდა, ყუაზე წარწერით: „ღრამმატიკა“; გადამწერი: გამალიიოლი; დამკვეთი: გიორგი ბატონიშვილი; გადაწერის ადგილი: თბილისი. ნუსხა შესწავლილია (Цагарели 1873: 30-35).

M54 (M47). ანტონი I ბაგრტიონი. გრამატიკა II. XIX ს-ის 10-იანი წლები. 141 ფ.; ქაღალდი; 33x20 სმ.; მხედრული; სატიტულო გვერდი და სათაურები ასომთავრულით; შავი მელანი; ტყავის ყდა; ოქროტვიფრული. ყუაზე აწერია „გრამატიკა“. ხელნაწერი 1832 წელს გაიგზავნა ხელნაწერი პარიზში მარი ბროსესთან. იგი წარმოადგენს **K9 (G88,a; K13) ასლს.** ეს ხელნაწერი იყო ერთადერთი წყარო ანტონის გრამატიკის შესასწავლად ევროპელ მეცნიერთათვის (Brosset1833 (b): 385-414; 1834(b): 369-465);

E26 (G93; E62). დავით ბაგრატიონი. საფუძველი სიბრძნისა. XIX ს-ის 30-იანი წლები. 91ფ.; ქაღალდი; 21x17 სმ.; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; შავი მელანი; მუყაოს ოქროტვიფრული ყდა; დამკვეთი: თეიმურაზი. ტექსტი დაწერილია კითხვა-მიგების სტილში. ხელნაწერი მოხსენიებულია (Цагарели 1873: 36-38; Хаханов 1901: 337,შენიშვნ.1).

E44 (E127). იოანე ბაგრატიონი. ღრამმატიკა. XIX ს-ის 30-იანი წლები. 57 ფ.; ქაღალდი; 22.8x18 სმ.; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; შავი მელანი; ტექსტის დასაწყისი გაფორმებულია შავი და წითელი მელნით შესრულებული თავსამკაულით. მუყაოს ყდა, თხზულება წარმოადგენს მშობლიური ენის სახელმძღვანელოს (Цагарели 1873: 43).

სამართლის ძეგლები

E64 (E74). ვახტანგVI. დასტურლამალი. 1841 წ.119 ფ., 22x18 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; ქაღალდის გარეკანი. გადამწერი: გიორგი მაისურაძე; დამკვეთი: მარი ბროსე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. წიგნი წარმოადგენს ბაგრატ ბაგრატიონის ხელნაწერის ასლს. აქვს ბროსეს მინაწერები და სიმონ ტაბიძის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ეს ცალი მიიღო მან ბროსესაგან გადასაწერად 1869 წლის 22 იანვარს. ხელნაწერი იხსენიება (Brosset 1887: 166).

H 36 (H51). სამართლის წიგნები. XIX ს.-ის I მესამედი (1828-1829 წწ). 285 ფ.; 34x20.5 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ხის ტვიფრულტყავგადაკრული ყდა; მხედრული; ნუსხა დევს მუყაოს ბუდეში. ყუაზე წარწერა. გადამწერი: ნიკოლოზ. ხელნაწერი მსგავსია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „სამართლის წიგნისა“, რომელიც 1825 წელსაა გადაწერილი ბაღინოვის მიერ (მიქიაშვილი 1990: 23) ორივე ხელნაწერი უნდა მომდინარეობდეს საერთო წყაროდან. სამართლის წიგნები შეიცავს: 1. მოსეს კანონებს, ნასესხებს მეორე რჯულიდან-52 მუხლი; 2. ბერძნული კანონებს: იმპერატორ ლეონ VI ბრძენის (886-911) და კონსტანტინე VIII პორფიროგენეტისა (911-959) – 420 მუხლი; 3.მხითარ გოშის († 1213 წ.) – 431 მუხლს; 4.ქართველ კათალიკოსთა კანონებს, 1605 წელს შედგენილს იმერეთში სასულიერო კრებაზე, 23 მუხლს; 5. გიორგი V (1318 -1346) ძეგლისდებას, 46 მუხლს; 6. აღბუღას სამართალს (1444-1451), 176 მუხლს; 7. ვახტანგ VI-ის სამართალს, 270 მუხლს. მოსეს კანონების გარდა, ყველა კანონს წინ უძღვის შესავალი. კოდექსს ერთვის წინასიტყვაობა გივი თუმანიშვილისა, 1709 წ.; მუხლების თემატური საძიებელი სოლომონ მაღალაძის, 1719 წ.; ასევე ოსე ბარათაშვილის 1750 წელს შედგენილი ანბანური საძიებელი თეიმურაზ II-ის ბრძანებით.

M 23 (G99; M8). სამართლის წიგნები. 1819 წ. 301 ფ.; 30.2x18.5 სმ.; ქაღალდი მოოქრული კიდეებით; შავი მელანი; მხედრული; სამი ხელი; გადამწერები: ალექსანდრე ნეველის მღვდელმონაზონი ტარასი, იოანე ხმალაძე, თეიმურაზ ბატონიშვილი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. მუყაოს

ოქროტვიფრული ყდა. ყუაზე წარწერილია: „ქართული კანონი“. ნუსხას აქვს კოდექსის ყველა ნაწილი, წინასიტყვაობა და მუხლების თემატური საძიებელი. ვახტანგის კოდექსთა რედაქცია ემთხვევა H36(H51)-ს რედაქციას.

E42 (G 100; E 77). ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XVIII ს. 86 ფ.; ქაღალდი; 21x15.2 სმ.; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები წითელი ასოებით; შემკულია წითელი და შავი მელნით შესრულებული ხუთი თავსამკაულით; ხის ყდა ტვიფრული ტყავგადაკრული სამი შესაკრავით. გადამწერი: მდივანი გრიგოლი.

M3 (G106; M51). სამართლის წიგნი (თარგმანი). 1762 წ. 222 ფ.; ქაღალდი; 32,6x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები წითლით. გადამწერი: ნ. მაღალაძე. მთარგმნელი რუსულიდან: იოსები, ასევე ცნობილი ლევ პეტროვიჩის სახელით (Brosset 1837:175; Хаханов 1900: 357).

H14 (G109;H67). პეტრე I-ის რეგლამენტი. 1803 წ. 34 ფ.; 38x23 სმ.; ქაღალდი; მხედრული, შავი მელანი. მთარგმნელი: ვასილ ჭილაძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. ავტოგრაფული ნუსხა. ხელნაწერს ახლავს სარჩევი და რუსულ-ქართული ტერმინთა ლექსიკონი.

M51(M40). ეკატერინე II-ის სამართლის წიგნი. XIX ს. 148 ფ.; 33.5x21.5 სმ.; ქაღალდი; ქართული: მხედრული; რუსული: კალიგრაფიული ხელი; შავი მელანი. მთარგმნელი: გაიოზ ნაცვლიშვილი. ტექსტი შესულია ხელნაწერში რუსულად და ქართული თარგმანით. რედაქციული შესწორებანი შეტანილია ფანქრით.

M27 (G110; M21). [ბაჰა უდ-დინ მუჰამად ამმილი]. მუსლიმურ კანონთა წიგნი. 1691 წ. 347 ფ.; ქაღალდი; 32x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები წითლით. ტყავის აღმოსავლური ოქროტვიფრული ყდა. მთარგმნელი: ფარსადან გორგიჯანიძე. მთარგმნელის ავტოგრაფი; გადაწერის ადგილი: ისპაჰანი. მოხსენიებულია (Brosset 1837(b): 175; 1854: 513-514).

H26 (G105; H18). მონტესკიე. გულისხმისყოფისათვის რჯულისა. 1813-1815 წწ. 599 ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომის ფურცლები; მხედრული; შავი მელანი. მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი; დამკვეთი: თეიმურაზ ბაგრატიონი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (Brosset 1837(b): 176).

მხატვრული ლიტერატურა (პროზა)

C28 (C7). სულხან-საბა ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუისა. 1840 წ. 205 ფ.; 16x10 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერები: სვიმონ ტაბიძე და გიორგი მაისურაძე. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. არსებობს ტექსტის არაერთი გამოცემა.

P2 (C68;P15). ქილილა და დამანა. 1724-1737 წწ. (XVIII ს.-ის I ნახევარი). 333 ფ.; 40x26,5 სმ.; ქაღალდი მოოქრული კიდეებით; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები წითლით; მხედრული; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, რომელზეც შერჩენილია მეტალის სამი შესაკრავის კვალი; შეიცავს ფერადებითა და ოქრომელნით შესრულებულ 804 მინიატიურას, მათ შორის მთარგმნელის, ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბას, გამოსახულებებს. ხელნაწერში წარმოდგენილია თხზულების ქართული თარგმანის მესამე, ანუ სულხან-საბა ორბელიანის რედაქცია, ასევე სრული ტექსტი, რომელსაც უძღვის: 1. ვახტანგისეული შესავალი სტროფები; 2. წინასიტყვაობა; 3. ანდერძი; ტექსტს ამთავრებს ვახტანგ VI-ის დასკვნითი სტროფები და მისი ჩანაწერის ასლი სულხან-საბა ორბელიანის ტექსტის თარგმნაში მონაწილეობის შესახებ. ს.ს. ორბელიანის სახელი მითითებულია ხელნაწერის ბოლოს.ხელნაწერი გამოცემულია, გამოცემაში გამოყენებულია ვახტანგ VI-ის დასაწყისი და დასკვნითი სტროფები, ვახტანგ მეფის წინასიტყვაობა (ვახტანგ მეექვსე 1947: 51-55).

C36 (C42). სუმაროკოვი. „სინაბი და ტრუვორი“ (პიესა). XVIII ს. 65 ფ.; 18,5x11,6 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი. სუმაროკოვის პოეტური ტექსტის საფუძველზე შესრულებულია პროზაული თარგმანი (კეკელიძე 1981: 695, 696, 699).

M30 (?67, M26). აბუ ტაჰირ მუჰამად ტარსუსი. ყარამან-ნამე (ყარამანიანი). XVII-XIX სს-ის მიჯნა. 262 ფ.; ქაღალდი; 32x20 სმ.; შავი მელანი; სათაურები წითლით; ორი ხელი; ოქროტვიფრული ყდა; სპარსულიდან მთარგმნელი: დავით ორბელიანი.

M29 (C70a, M25). ფენელონი. „თელემაქის მიმოსვლა“. მხედრული; ტყავის ტვიფრული ყდა; რუსულიდან მთარგმნელი: სარიდან ჩოლოყაშვილი. სხვა კოდიკოლოგიური მონაცემი ორბელთან არ დასტურდება.

E3 (C66; E45). [ჩარდავრიშიანი]. XVIII ს. 86 ფ.; 20,5x16 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; სათაურები წითლით; ტვიფრული ყდა.

H30 (G63; H28). სეილანიანი. 436ფ.; 33x21 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; 4 ხელი. თხზულება სპარსულიდან მთარგმნელი: იოანე ბაგრატიონი (კეკელიძე: 1981: 360-361).

H20 (G74,H4). ვოლტერი. აღაფოკლ (ვოლტერის ტრაგედია). XIX ს. 33ფ.; სხვადასხვა ზომის ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; თეიმურაზის ავტოგრაფი (რუხაძე 1949: 267-272;532-540).

E103 (E134). [ორი მოთხრობა სასიყვარულო თავგადასავალთა შესახებ]. XIX ს. 16 ფ.; ქაღალდი; 22x17 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; თარგმანი რუსულიდან. ხელნაწერს ახლავს რუსული ტექსტი ქართულის პარალელურად.

E58 (4 53). ბახტიარ-ნამეჰ. ათვეზირიანი. 1840 წ. 65 ფ.; 21x17 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: სვიმეონ ტაბიძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. მეორე თარგმანი; მთარგმნელი: ა. სულხანიშვილი, ტექსტი შეიცავს 33 თავს. ხელნაწერი მოხსენიებულია (რუხაძე 1939: 218-222).

H34 (H3). ზღაპარი ათას ერთი ღამისა. XIX ს. 214 ფ.; ქაღალდი, 34x20,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები წითლით; მუყაოს ყდა. რუსულიდან ქართულად მთარგმნელი: გიორგი საძეგურელი.

E71 (E 92). ვისრამიანი. 1842 წ. 311 ფ.; 22 x 18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; ორი გადამწერი: 1. იოსებ ნაზაროვი (გარდაცვალების გამო ვერ შეძლო სამუშაოს დასრულება); 2. სვიმონ ტაბიძე. ხელნაწერში ცალკე დევს 6 ფურცელი, ფრანგული თარგმანის შემცველი, რომელიც შეუსრულებია მარი ბროსეს. ტექსტს ახლავს თხზულების თავების დასათაურება, მარი ბროსეს შედგენილი და გადაწერილი, რომელიც გამოცემულია. აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ტექსტს.

H20 (C? H4). ვოლტერი. ტაქტიკა. XIX ს. 5 ფ.; ქაღალდი; 24,5x20,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი. ფრანგულიდან მთარგმნელი: ალ. ჭავჭავაძე. თხზულება კონვოლუტის ნაწილია. საერთო პაგინაციით მოთავსებულია 67-71 ფფ.-ზე.

M45 (M 60). ფირდოუსი. შაჰნამე (მეფეთა წიგნი). 601 ფ.; ქაღალდი; 34x20 სმ.; ძირითადად მხედრული; ზოგიერთი ფურცელი ნუსხურით; შავი მელანი; სათაურები და საწყისი სიტყვები წითლით. ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავბოლონაკლული, აკლია შუაშიც. რესტავრირებული უნდა იყოს XIX ს.-ში. ხელნაწერი შეიცავს „უთრუთიან-საამიანს“, „ზაქიანის“ პოეტურ ვერსიას. „როსტომიანის“ ტექსტის პეტერბურგული ნუსხა უნდა ჩაითვალოს ყველაზე ადრეულად მოღწეულ ნუსხათა შორის (აბულაძე 1916: 23-35; 1934: 56).

M53 (M46). ხუსეინ კაიზ ქაშიფი. ქილილა და დამანა. 381 ფ.; 33x22, 5 სმ.; ქაღალდი; მხედრული; ქაღალდი; შავი მელანი; დასაწყისები წითლით; ორი ხელი. ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა. მთარგმნელი: ვახტანგ VI.

E126 (E140). ქალვაჟიანი (ფრაგმენტი). XIX ს. 4 ფ.; ქაღალდი; 23,5x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი. ტექსტი დიდი ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს.

პოეზია (ეპოსი, ლირიკა)

E 156 (K 99). თეიმურაზ ბაგრატიონი. გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხტა. XIX ს. 1 ფ.; ქაღალდი; 20x12,2 სმ.; უყდო; დევს ქაღალდის ფურცელში; შავი მელანი; მხედრული შეიცავს XVIIIს.-ის ძალიან პოპულარული სალექსო ფორმის, მუსტაზადის, ანალიზს. ამავე ნომრით არის წარმოდგენილი კიდევ ერთი ნაშრომი: თეიმურაზ ბაგრატიონი. შავთელის განმარტება. XIX ს.-ის I მეოთხედი. 3 ფ.; ქაღალდი; 33,5x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაური ასომთავრულით. ხელნაწერი შეიცავს ფილოლოგიურ კომენტარებს იოანე შავთელის სახოტბო თხზულება „აბდულმესიანზე“.

A11 (H13). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი. 1843 წ. 1 ფ.; 18x11,5 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი. თეიმურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფი. სავარაუდოდ, გადაუწერია ტექსტის სალექსო საკითხების შესასწავლად.

H40 (22). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. XVIII ს. 50 ფ.; 35x22 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი. ჩასმული ყდაში; ვახტანგისეული რედაქცია (რუსთაველი 2013: 296).

E74 (105). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. 1811 წ. 150 ფ.; 22x18 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; გადამწერი: იოანე იალღუზის ძე. ვახტანგისეული რედაქცია (რუსთაველი 2013: 299).

M48 (M27). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. 1823 წ. 209 ფ.; ქაღალდი; 30,5x20 სმ.; შავი მელანი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; გადამწერი: ასლან საფაროვი; დამკვეთი: იმერეთის დედოფალი ანა. შემდეგი მფლობელი: კონსტანტინე ბატონიშვილი. შერეული კომპილაციური რედაქცია (რუსთაველი 2013: 301).

M47 (24). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. 1839 წ. 46 ფ.; ქაღალდი; 32x20 სმ.; შავი მელანი; ფრაგმენტი (ნაწერია 2-41 ფფ.); ჩასმული ყდაში. ვახტანგისეული რედაქცია. აღწერა მარი ბროსემ (რუსთაველი 2013: 309).

E75 (106). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. XIX ს. 227 ფ.; ქაღალდი; 21,5x17,5 სმ.; შავი მელანი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა. ვახტანგისეული რედაქცია (რუსთაველი 2013:337).

K1 (G76. K6). შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. XIX ს. 10 ფ.; ქაღალდი; 25,2x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი. სათაურები და დასაწყისები წითლით.

C41 (H13). თეიმურაზ I. „გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება“. XVIII-XIX სს. 8 ფ.; ქაღალდი; 21x17,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი (თეიმურაზ პირველი 1886:45-56; 1939: 99-112).

K17 (K14). ფეშანგი ფაშვიბერტყაძე. „შაჰნავაზიანი“. XVII ს. 169 ფ.; ქაღალდი; 29x23 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საწყისი ასოები წითლით; ტექსტი მოჩარჩოებულია; ქაღალდის გარეკანი; ნუსხას აქვს შაჰნავაზ მეფის, ვახტანგ V-ის, ოჯახის წევრების მინაწერები. ფეშანგი ფაშვიბერტყაძე ამ თხზულებით არის ნოვატორი, რადგან ქართულ სინამდვილეში შემოიტანა და დაამკვიდრა საისტორიო პოემა. ამ ნუსხის საფუძველზე მომზადდა „შაჰნავაზიანის“ გამოცემა (ლეონიძე 1935: VII, XI).

M43 (C62; M59). რუსუდანიანი. 1839 წ. 396 ფ.; ქაღალდი; 34x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები წითლით. მუყაოს ყდა; ყუა ოქროტვიფრული; აწერია: „რუსუდანიანი“. გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი; დამკვეთი: თეიმურაზ ბატონიშვილი. ტექსტის ცალკეული ლექსიკური ერთეული შეუსწორებია დამკვეთს; მასვე შეუდგენია და დაურთავს სა-

რჩევი ხელნაწერის ბოლოს. ხელნაწერი გათვალისწინებულია ნიკო მარის გამოკვლევაში (Марр 1900(c): 221-259).

E77 (E137). „რუსუდანიანი“ (ფრაგმენტი). 1841 წ. 66 ფ.; ქაღალდი; 22x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; გაირჩევა ორი ხელი. გადამწერები: სვიმონ ტაბიძე, გიორგი მაისურაძე. ქაღალდის გარეკანი; ფრაგმენტი შეიცავს „რუსუდანიანის“ მეორე კარს: „აქა ამბავი ხათელთა ჴელმწიფისა ტომერანისა და ძისა მისისა ჯიმშედისა“. ტექსტს აქვს დ. ჩუბინოვის ფანქრით გაკეთებული შენიშვნები მისი გამოსაცემად მომზადების დროს. წაკითხვები სხვაობს M 43-ისაგან.

H42 (H35). არჩილ II. თეიმურაზიანი. ანბანთქება. 1838 წ. 110 ფ.; ქაღალდი; 36x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: გიორგი მაისურაძე. ხელნაწერის გარეკანზე ბროსეს ხელით წარწერილია ტექსტის რაობა, გადამწერის ვინაობა, გადაწერის თარიღი და მ. ბროსეს ხელმოწერა თსზული მხედრული.

E102 (E134). [გიორგი აბაშიძე. ოდა მეფე ვახტანგ VI-ს]. XIX ს. 2 ფ.; 34,9x23,2 სმ.; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შავი მელანი. ხელნაწერი გამოაქვეყნა ი. ჭყონიამ (ჭყონია 1947: 6).

E99(E134a). ვახუშტი ბაგრატიონი. ძველი და ახალი აღთქმა ლექსად. XVIIIს. 16ფ.; 11x15,7 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი და ყავისფერი მელანი. ავტოგრაფი. პოემა ნაწერია 16-მარცვლიანი შაირით და შეიცავს 257 სტროფს. (ცერაძე 2015: 166-173).

E80 (E156c). დიმიტრი ბაგრატიონი. ქეთევან დედოფლის წამება. XIX ს. 13 ფ.; 18x22 სმ.; ქაღალდი; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი. პოემა დაწერილია 16-მარცვლიანი შაირით და შეიცავს 94 სტროფს. ტექსტი გამოცემულია (ნაკაშიძე 1978: 79-92).

E101 (E134c). სიმონ კოპაძე. პოემა. XIX ს. 2 ფ.; 23x36,5 სმ.; ქაღალდი; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი. ეძღვნება არჩილ მეფეს. შედგება 34 სტროფისაგან; დაწერილია შაირით.

E63 (E73). იონა ხელაშვილი. კრებული. 1837 წ. 89 ფ.; ქაღალდი; 16,5x21 სმ.; ქაღალდგადაკრული სქელი მუყაოს ყდა; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით. გადამწერები: სიმონ ტაბიძე და იონა ხელაშვილი. შედგება სამი ნაწილისაგან, ესენია: იონა ხელაშვილის თხზულებათა გალექსილი ჩამონათვალი და იონას შესხმა, წინასიტყვაობა და ცხრა თავი, ასევე სხვადასხვა პირის მიერ იონა ხელაშვილისადმი მიძღვნილ ლექსები.

E87 (E156). მამუკა ბარათაშვილი. ქება მეფის ბაქარისა. XVIII ს.-ის I ნახევარი. 11 ფ.; 16,4x21 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; სათაური და სტროფების დასაწყისი წითლით. ნუსხა შეიცავს ოდების სრული ტექსტის პირველ რედაქციას. გამოცემულია ფოტოტიპურად ხელნაწერის ორი ფურცელი (აბულაძე 1949: 284-287; 1973:326-329).

E65 (E79). ანტონი I ბაგრატიონი. წყობილსიტყვაობა. 1840 წ. 140 ფ.; ქაღალდი; 21,5x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი.

M34 (?23;M36). დავით გურამიშვილი. დავითიანი. XIX ს.-ის დასაწყისი. 145 ფ.; ქაღალდი; 32,6x21 სმ.; შავი მელანი; სათაურები და სტროფების დასაწყისები წითლით. ტექსტში ორი ილუსტრაციაა;მუყაოს ოქროტვიფრული ყდა.

H43 (H37). დავით გურამიშვილი. დავითიანი. 1839 წ. 115 ფ.; ქაღალდი; 35,3x22 სმ.; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადამწერი: იოსებ ნაზაროვი; გადაწერის ადგილი პეტერბურგი.

E72 (E98). დავით მესხიშვილი. ათი სიტყვა ლევან ბატონიშვილისადმი. XVIII-XIX სს-ის მიჯნა. 17 ფ.; 20x16 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით.

H62 (H54a). ბესარიონ გაბაშვილი. სოლომონ მეფის ბრძოლა აფხაზებთან. XVIII-XIX სს. 35.3x23 სმ.; 8 ფ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული.

E11 (C24; E100). [ბესარიონ გაბაშვილი. სოლომონ მეფის ბრძოლა აფხაზებთან]. XVIII-XIX სს. 2 ფ.; 22x18 სმ.; ქაღალდი, შავი მელანი, მხედრული.

E223 (E136). ისააკ მცირე. კატის და თაგვის ომი (პოემა). XIX ს.-ის I ნახევარი. 11ფ.; ქაღალდი; 21.5x17.5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; გადამწერი: ნიკოლოზ ჩუბინოვი.

E134 (E99). სხვადასხვა პირის მიერ დავით ბატონიშვილის შესხმა. XIX ს. 2 ფ.; 34x10,3 სმ.; ქაღალდი: მხედრული; შავი მელანი.

E942(156). ლექსები (მესტვირული). XIX ს. 2ფ.; ქაღალდი; 22,5x17 სმ.; შავი მელანი. ხელნაწერი გამოცემულია. **E942 (156). გიორგი პაიჭაძე. იოანე ბატონიშვილის (გიორგი XII-ის ძე) ქებანი.** XIX ს. 1 ფ.; 32x18 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი. ავტოგრაფი.

E117 (E134). გოდერძი ფირალიშვილი. გიორგი მიქელაძე. ლექსები. XIX ს. 1 ფ.; ქაღალდი; 35x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი. r-ზე გადაწერილია ქართველ მთიელთა მიერ ერეკლე II-ის დატირების ლექსი.

E59 (E58). დიმიტრი ბაგრატიონი. [დიმიტრიანი]. XIX ს. 24 ფ.; ქაღალდი; 21x17,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ორი ხელი; ტყავგადაკრული მუყოს ყდა. კრებულის დასასრულს დიმიტრი ბაგრატიონის მიერ გალექსილი შესაქმეა (ნაკაშიძე 1978: 93-98).

E125 (E140). დიმიტრი ბაგრატიონი. ანდაზები. 2 ფ.; ქაღალდი; 34,3x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E14 (G82, E71) დიმიტრი ბაგრატიონი, [დიმიტრიანი]. XIX ს. 42 ფ.; ქაღალდი; 21x17 სმ.; შავი მელანი; მხედრული (ნაკაშიძე1978: 29-138).

E80 (E156). დიმიტრი ბაგრატიონი. ქეთევან დედოფლის წამება. XIX ს. 13 ფ.; ქაღალდი; 13,3x15 სმ.; მხედრული; შავი მელანი (ნაკაშიძე 1978:79-92; კეკელიძე 1981: 496).

E109 (E134). ქეთევან ბაგრატიონი. ლექსი. უსათაურო. XIX ს. 2 ფ.; ქაღალდი; 36x11,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი (ასათიანი 1936: 275-276).

M9 (G84; M39). ივანე მურატოვი. ლექსები. XIX ს. 25 ფ.; ქაღალდი; 32,8x24 სმ.; მხედრული; შავი მელანი (რუხაძე 1954: 261).

E 39 (G.191; E 138). E138 (E99). E161 (E99). E162 (E99). E163 (E99). E164 (E99). E 166 (E99). E167 (E99); E168 (E99). თეიმურაზ ბაგრატიონი. ლექსები. XIX ს. თითო ფურცელი; სხვადასხვა ზომის ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი.

E79 (E156). გრიგოლ ბაგრატიონი. ქართველ მეფეთა თავგადასავალი (გალექსილი) (ფრაგმენტი). XIX ს. 8 ფ.; 35,5x22 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი (რუხაძე 1939: 109).

H49/1-2 (H53). პეტრე ლარაძე. იოანე გრიგოლისძე ბაგრატიონისადმი მიძღვნილი შესხმა. XIX ს. 2ფ.; სხვადასხვა ზომის ფურცლები.

M36 (G64;M42). პეტრე ლარაძე. დილარიანი. XIX ს. სხვა მონაცემები აღწერილობაში არ ჩანს.

E135(E99). გიორგი თუმანიშვილი. [ლექსები]. XIX ს. 2 ფ.; ქაღალდი; 36x23 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E136(E99). [ლექსები]. XIX ს. 1ფ.; ქაღალდი; 32,5x19,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები -წითლით.

E113 (E134). რეირაკი. მწუხარება ძმის სიკვდილის გამო. XIX ს. 8 ფ.; ქაღალდი; 10,5x8,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი. რუსულიდან ქართულად მთარგმნელი: იოანე ბაზლიძე; მთარგმნელის ავტოგრაფი.

E81 (E156). იოანე გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა, ანუ ცხოვრება მეფე სოლომონისა. XIX ს. 24 ფ.; ქაღალდი; 21,6x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E93(E156). იოანე გეგეჭკორი. ნაპოლეონი. XIX ს-ის 30-იანი წლები. 2 ფ.; ქაღალდი; 21,6x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E137 (E99). იოანე გეგეჭკორი. ლექსი. XIX ს. 1 ფ.; ქაღალდი; 12x19 სმ.; მხედრული, ფანქარი.

E104 (E134). ლექსები. XIX ს. 1 ფ.; ქაღალდი; 12,5x19 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E110 (E134). გიორგი ავალოვი. ლექსები. XIX ს. 2 ფ.; ქაღალდი; 36x23 სმ.; მხედრული; შავი მელანი,; ავტოგრაფი. ამ ლექსებიდან გამოცემულია ერთი: „ხმა ცოდვილის ლოცვა ღმრთისადმი“.

E51(E17). დავით მაჩაბელი. ჰელმწიფეო. XIX ს. 6 ფ.; ქაღალდი; 20,5x14,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი.

E50(E15). დავით მაჩაბელი. „მთიული“. 1842 წ. 52 ფ.; ქაღალდი; 20,5x14 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ქაღალდის გარეკანი; გადაწერის ადგილი: თბილისი; ავტოგრაფი. ხელნაწერი გამოყენებულია (იხ. ჩიქოვანი, 1946: 150).

E92(1) (E156). სვიმონ ტაბიძე. ბებუთოვისადმი მიძღვნილი აკროსტიხი. 1853 წ. 1 ფ.; ქაღალდი; 33x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (რუხაძე 1939:222. შენ.1).

E92(2) (E156). E92(3) (E156). E92(4) (E156). სვიმონ ტაბიძე. [შესხმანი მარი ბროსესადმი]. 1853-1854-1862 წწ. 3 ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომის; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (რუხაძე 1939:222. შენ.1).

E92 (E156). სვიმონ ტაბიძე. [უსათაურო]. 1862 წ. 2 ფ.; ქაღალდი; 21x17 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ავტოგრაფი. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (რუხაძე 1939:222. შენ.1).

H4 (H53). [კრებული]. XIX ს. 6 ფ.; ქაღალდი; 32,5x20,5 სმ.; მხედრული; შავი მელანი; კრებული შეიცავს ორ თხზულებას: 1. თეიმურაზ II, „ანბანთქება“; 2. ბესარიონ გაბაშვილი, ლექსი.

E115 (E134). ლექსები. XIX ს. 1ფ.; ქაღალდი; 30,3x17,3 სმ.; მხედრული; შავი მელანი. შეიცავს ალ. ჭავჭავაძის ორ ლექსს: „თეჯნისი“ და „ბაიათი“.

E151 (E99). ფრაგმენტები. XIX ს. 2 ფ.; ქაღალდი; 35x11 სმ.; შავი მელანი; მხედრული. I ფ.-ზე წარმოდგენილია ტექსტი და ქართული ტრანსკრიპცია. ჩანაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის შესრულებული უნდა იყოს ირანში ყოფნისას, 1803-1810 წწ.-ში; II ფ-ზე კი წარმოდგენილია ფულადი ანგარიში რუბლებსა და კაპიკებში.

E116 (E134). XVIIIს.-ის სასულიერო ლექსები. XIX ს. 1 ფ.; ქაღალდი; 34x10 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

E114(E134) ლექსები. XIX ს. 4 ფ.; ქაღალდი; 15,5x10 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

M3 (C83; M). ვახტანგ VI. ბატონის ნაბრძანევი. XVIIIს.-ის I ნახევარი. 195 ფ.; ქაღალდი; 30x20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები; სტროფების დასაწყისები; ცალკეული ასოები-წითლით; ტვიფრული ტყავის ხის ყდა; გადამწერი: მელქისედეკ კავკასიძე; მფლობელი: პეტრე ქებაძე.

შერეული კრებულები

M8 (69; M30). შერეული კრებული. XIX ს. 153 ფ.; ქაღალდი; 32x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ზოგიერთი თხზულების დასაწყისები წითლით; ოთხი ხელი; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა ყუაზე წარწერით: „ქართული ლექსები“. გადამწერები: სარიდან ალექსიშვილი, დანარჩენი სამი – უცნობი. ხელნაწერი შეიცავს 9 თხზულებას: 1.„რუსუდანიანი“; 2. სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე-სიცრუისა“ (79 იგავი); 3. 22 დღის ასტროლოგიური პროგნოზი მზის, მთვარისა და იუპიტერის განლაგების მიხედვით; 4. თეიმურაზ I, „იოსებ-ზილიხანიანი“, 5. დიმიტრი ორბელიანის თქმული საუფლო დღესასწაულების შესახებ; 6-7 ბესარიონ გაბაშვილი, „მუხამბაზი“; „რუხის ბრძოლა“, 8. ანონიმი, „ლექსი; 9. გამოცანები. რ. ორბელის აღწერილობის (ხელნაბეჭდი) მიხედ-

ვით. ხელნაწერის სახელწოდებად გამოყენებულია პირველი თხზულების სათაური. ხელნაწერის მე-2 საკითხავზე (იხ. Цагарели 1878: 23).

M4 (71b; M12). შერეული კრებული. 1799 წ. 147 ფ.; ქაღალდი; 31,3x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი ხის ტვიფრულტყავგადაკრული ყდა. შეიცავს თხზულებებს: 1. მათე კომაროვი, მილორდიანი (თარგმანი გლახო კოტეტისა); 2.ანბანთქება; 3. მარმონტელი, „ველიაზარი"(თარგმანი გაიოზ ნაცვლიშვილისა); 4. მარკ ავრელი, რომის კეისრის ცხოვრება (მთარგმნელი გაიოზი). თხზულებები თარგმნილია რუსულიდან (რუხაძე 1949: 88. შენ 1).

E40 (C61; E40). შერეული კრებული. XVIII-XIX სს. 271 ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომის ფურცლები; მხედრული; შავი მელანი. ზოგიერთი ადგილის დასაწყისები წითლით. ხუთი-ექვსი ხელი. ხელნაწერი შეიცავს საკითხავებს: 1. „მირიანი"; 2 „ქალვაჟიანი"; 3. მოსე ხონელი „ამირანდარეჯანიანი".

K2 (G76; K18). შერეული კრებული. 1783 წ. 101 ფ.; ქაღალდი; 29x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები, სტროფების პირველი სიტყვები, ანდერძები წითლით; ხის ყდა; ტვიფრულტყავგადაკრული. კრებული შეიცავს ორ თხზულებას: 1. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, „ომანიანი"; 2. თეიმურაზ II, „სარკე თქმულთა".

E76 (E131). შერეული კრებული. 1853 წ. 102 ფ.; ქაღალდი; 22,5x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი. დასაწყისები და სათაურები წითლით. ქაღალდის გარეკანი. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. კრებული შეიცავს ორ თხზულებას: 1. „თიმსარიანი"; 2-3. დავით მესხიშვილის ლექსები.

C32 (C4). დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილი. კრებული. 70 ფ.; ქაღალდი; 16,5x22 სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა. გადაწერის ადგილი: გორი. კრებული შეიცავს ლექსებს, ასევე პოემებსა და დრამატულ ნაწარმოებებს, ლექსად თქმულს. ავტორის შესახებ (იხ.1980:635; ბერძნიშვილი 1983:102; 26; მიქიაშვილი 1990: 26,შენ,49).

H4 (H53). [კრებული]. 1830 წ. XIX ს. 8ფ.; ქაღალდი; 23x18 სმ.; მხედრული; შავი მელანი; ორი ხელი. შეიცავს ორი ტექსტის ფრაგმენტს: 1. ალექსიანი; 2. ქალვაჟიანი.

სამხედრო საქმე

E29 (C108; E68). სამხედრო განაწესი. XIX ს. 283 ფ.; ქაღალდი; სხვადასხვა ზომის; მხედრული; შავი მელანი. მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; კრებულში წარმოდგენილია ქართულად სხვადასხვა დროს თარგმნილი პეტრე I-ისა და პავლე I-ის სამხედრო განაწესები. მთარგმნელები: გაიოზ არქიმანდრიტი და გოდერძი ფირალოვი.

E97 (E156). ირაკლი II. მორიგი ლაშქრის განაჩენი და მორიგეების სია. 1848 წ. 16 ფ.; ქაღალდი; 22,3x16 სმ.; მხედრული; შავი მელანი. გადამწერი: სვიმონ ტაბიძე. გადაწერის ადგილი: პეტერბურგი.

E98 (E156). ირაკლი II. მორიგი ლაშქრის განაჩენი და მორიგეების სია. XVIII ს. 1 ფ.; ქაღალდი; 8x16 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

K8 (210,6;K11). მოკლე არტილერიის წიგნი უნტეროფიცერთ სწავლისათჳს. XVIII-XIX სს-ის მიჯნა. 59 ფ.; ქაღალდი; 28x21 სმ.; მხედრული; შავი მელანი. მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. თარგმანი რუსულიდან; მთარგმნელი: დავით ბაგრატიონი.

E169 (E99). [უსათაურო, ბალისტიკური საკითხების განხილვა]. XVIII-XIX სს. 2 ფ.; ქაღალდი; 16,3x10,2 სმ.; მხედრული; შავი მელანი.

დამწერლობის ნიმუშები

H55 (H 53). [დამწერლობის ნიმუშები]. XVIII-XIX სს-ის მიჯნა. 9 ფრაგმენტი, რომელთაგან 8 ქაღალდზეა შესრულებული, ერთი, № 3 ფრაგმენტი, ნაწერია ბამბის ქსოვილზე. სხვადასხვა ზომის; შავი და წითელი მელანი; ასომთავრული და მხედრული.

E 158 (E 99). სირიანი. ესე იგი ასურული ანაბანა. XIX ს-ის I მეოთხედი. 1 ფ.; 6.8x8.2 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული.

H46 (H 65). დავით მესხიშვილი. [რიცხუნი წიგნთა სხუათა და სხუათა]. XIX საუკუნის 10-იანი წლები. 8 ფ.; 35.8x22 სმ., ქაღალდი, უყდო, შავი მელანი, მხედრული, ავტოგრაფი. საკითხავები დანომრილია ბრისეს სქელით, გარკვეული შეცდომებით, არშიებზე მისივე შენიშვნებია მოყვანილი (Brosset 1887: 67,264,505).

კატალოგები

C38 (C49). თეიმურაზ ბაგრატიონი. **წიგნნი საღმრთონი და საერონი ქართულისა ენისანი, რომელნიცა იპოებიან მათის უგანათლებულესობის მეფის ძის თეიმურაზის, სრულიად საქართველოს მეფის გიორგი მეთცამეტისა ძისა თეიმურაზისა წიგნთა საცავთა შინა, თჳთოეულად აღრიცხვაი მათი.** 1835წ. 55 ფ., 18.3x15.8 სმ., ქაღალდი მოოქრული კიდეებით; შავი მელანი; მხედრული; მუყაოს ყდა ოქროტვიფრული, ყდაზე ფრანგული წარწერით: "Registre des differentes livres enlangue georgien qui se trouvent dans la bibliotheque de Son Altesse de czarevitch Theimouraz prince de Georgie"; დევს მუყაოს ოქროტვიფრულ ფუტლარში; ავტოგრაფი; გადაწერილია პეტერგოფში. იხ. (Brosset 1887:117; 505). ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1894: 149-186; XVI-XVIII; (იორდანიშვილი 1948: 1-45).

E 49 (E 138). ილარიონი. ათონის ივერთა მონასტრის კატალოგი. XIX ს-ის II მესამედი. 6 ფ., 36x23 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; ნუსხაში წარმოდგენილია ორიგინალური და ქართულად თარგმნილი 295 თხზულების დასახელება, დალაგებული თემატურად. იხ. (Brosset 1838: 336-351; 1851: 196;1878:421;1887: 232).

E48 (E138). ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა ნუსხა. 1840 წ. 4 ფ.; 28x23 სმ.; ქაღალდი; მხედრული; შავი მელანი; გადამწერი: პეტრე ქებაძე; გადაწერის ადგილი: მოსკოვი. ნუსხა შეიცავს 252 თხზულების დასახელებას და სხვაობს 49 (E 138)-გან.

H 93 (G 209). უგანათებულეს თავად იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის ქართული ბიბლიოთეკის კატალოგი (ქართულ-რუსულად). XIX ს.-ის 70-იან წლები.14 ფ.; 35.8x22 სმ.; ქაღალდი; შავი მელანი; მხედრული; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი. მოცემული ნუსხა გამოუცემელია.



86. H-842. 13r ივირონის მონასტერი

საბერძნეთი

ათონის ივირონის მონასტრის კოლექცია

საბერძნეთში ქათული ხელნაწერი წიგნის უმთავრესი კოლექცია დაცულია ათონის მთის ივერთა (ივირონი), იმავე პორტაიტის ღვთისმშობლის მონასტრის წიგნსაცავში[1]. კოლექცია აერთიანებს X-XVII სს-ის 86 ხელნაწერ წიგნს, რომელთა შედგენა-გადაწერა დაკავშირებულია 980-983 წწ-ში ათონის მთაზე შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრის, ივირონის, დაარსებასთან.

XVIII ს-დან დაწყებული ივირონის ისტორიის კვლევას, რომელსაც საფუძვლად დაედო მონასტრის საცავში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მონაცემები, არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაცია მიეძღვნა (Цагарели 1886: XV; Peeters 1923; გაბაშვილი 1956; ძეგლები 1967; კეკელიძე 1980: 98-102; მენაბდე 1980: 185-247; მეტრეველი 1996; 1998; Actes 1985; 1990; 1994). როგორც მთლიანი კოლექციის, ასევე ცალკეული ხელნაწერის მნიშვნელობის შეფასებისათვის განსაკუთრებულ ღირებულება შეიძინა ქართულ ხელნაწერთა სამეცნიერო აღწერილობებმა, რომელთა დღემდე ყველაზე სრული, 86-ვე ხელნაწერის შესახებ დაწვრილებითი კოდიკოლოგიური მონაცემების შემცველი ვერსია XX ს-ის 20-იან წლებშია შედგენილი რ. ბლეიკის მიერ (Mapp 1900; Blake 1931-1932; 1933-34; აღწერილობა 1986(b). წინამდებარე გამოცემა ივირონის ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური მონაცემები სწორედ ბლეიკისეულ კატალოგს ეყრდნობა. ამავე დროს გარკვეული სახის ინფორმაცია შეტანილია იმ სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე, რომლებიც კოლექციის ამა თუ იმ ხელნაწერ წიგნს ეძღვნება.

ივირონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის უმთავრესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში გაერთიანებული ხელნაწერი წიგნები ასახავენ ბიზანტიური სამწიგნობრო ტრადიციის მაკედონური (876-1056 წწ) და კომნენოსთა (1081-1185 წწ) პერიოდებისთვის დამახასიათებელ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალი რედაქციის შინაარსობრივად მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ტენდენციის წიგნების შექმნისა და კოდექსის მხატვრულ-დეკორატიული თუ მარგინალური სისტემების ჩამოყალიბება-დანერგვასთან. ქრისტიანული მწერლობისა და ხელნაწერი ტრადიციის ეს უმნიშვნელოვანესი რეფორმა ივირონმა მემკვიდრეობით ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმებისგან მიიღო. პირველი ნაბიჯები, რომლებიც გამოვლინდა შედგენილობით

[1] ბოლო დროს გავრცელებული სამეცნიერო ინფორმაციის თანახმად, საბერძნეთში, სიმონოპეტრასა და წმ. პანტელეიმონის მონასტრებში, დაცულია რამდენიმე ქართული ლიტურგიკული ხელნაწერი წიგნი. სიმონოპეტრაში დაცული 4 ერთეული, სავარაუდოდ, XI-XII სს-ით თარიღდება, პანტელეიმონის მონასტრის ერთეულთა ზუსტი რაოდენობა ინფორმაციაში არაა მითითებული, თუმც კი აღნიშნულია, რომ ხელნაწერები გვიანდელია. ზუსტი კოდიკოლოგიური მონაცემები ამჟამად უცნობია. ხელნაწერებს იკვლევს კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევარი ე. დოლაშვილი (დოლაშვილი 2018:35-36).

მრავალფეროვანი, საგანმანათლებლო ტენდენციების კრებულების შექმნაში, დათარიღების და დეკორირების სისტემების ჩამოყალიბებაში, გადაიდგა ოშკის, შატბერდის, ტბეთისა და ტაო-კლარჯეთის სხვა სამწიგნობრო ცენტრებში. ტაო-კლარჯეთშივე ათონზე ქართველთა დიდი ლავრის ამოქმედებამდე დაიწყო მზადება ივირონის სამონასტრო წიგნსაცავის შექმნისთვის. 977-980 წლებში ოშკის სკრიპტორიუმში ჩორჩანელთა დიდი ფეოდალური სახლის მესვეურების, ოშკის მონასტრის კტიტორების, იოვანე-ვარაზვაჩესა და იოვანე-თორნიკეს[1], დაკვეთით გადაიწერა სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი (Ivir.Geo.1; Ivir.Geo.3; Ivir.Geo.9)[2] ათონის მთის ქართველთა ლავრისთვის. ამ საგანგებოდ გადაწერილი სამი წიგნის გარდა, ივირონის წიგნსაცავს ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო ცენტრებიდან სხვა კრებულებიც (Ivir.Geo.8; Ivir.Geo.11; Ivir.Geo.83) შეემატა. ივირონის კოლექციის პირველი ეტაპის ეს წიგნები ადრებიზანტიური, ანუ იერუსალიმური, რედაქციის ტექსტებს შეიცავენ. მეორე ეტაპი მაკედონური ხანის რეფორმასთან ქართული ხელნაწერი წიგნის დაასლოვებისა უკვე ათონის მთაზე მოღვაწე იოვანე ქართველის ინიციატივითა და მისი ძის, ეფთვიმე ათონელის (955-1028), სამწიგნობრო მოღვაწეობის შედეგად დაიწყო კვლავ ივირონის დაარსებამდე 975 წელს, ხოლო 1005 წლიდან, ივირონში წინამძღვრად ეფთვიმეს დადგინების შემდგომ, ამ დიდ ლავრაში გაგრძელდა (ძეგლები 1967: 38-100). ეფთვიმე ათონელი შეუდგა ბიბლიური წიგნების, ასევე ეგზეგეტიკური, დოგმატიკური, პოლემიკური, ჰომილეტიკური, აგიოგრაფიული კანონების როგორც ადრე თარგმნილი თხზულებების რედაქტირებას, ასევე ქართული ხელნაწერი ტრადიციისათვის მანამდე უცნობი ბერძნულენოვანი ძეგლების თარგმნას. მის მიერ ნათარგმნ თხზულებათა ნუსხა ცნობილია იოვანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების შემცველი წიგნის Ivir.Geo.10 ანდერძიდან (Blake 1931-32: 339-341), რომელიც „თარგმანების" ერთი დიდი ხელნაწერის ნაწილია Ivir.Geo.13-სა და Ivir.Geo.4 ერთად. ეფთვიმე ათონელმა, გარდა უშუალოდ მთარგმნელობითი-სარედაქციო საქმიანობისა, შეკრიბა მწიგნობართა მთელი ჯგუფი - იოვანე გრძელისძე, არსენი ნინოწმინდელი, იოვანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვანი (კეკელიძე 1980: 186.სქ.2; მეტრეველი 1996: 107-130). კოლექციაში ამ ეტაპის ამსახველი არაერთი წიგნი ინახება, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ქართული სასულიერო მწერლობის კონსტანტინეპოლურ ტრადიციასთან სრული დაახლოების პროცესი ვერც ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობის პროცესში დასრულდა. კოლექციაში გვხვდება კრებულები, რომლებშიც ერთადაა თავმოყრილი როგორც ეფთვიმესეული, ისე ადრეული იერუსალიმური თარგმანები. მაკედონური ხანის სალიტერატურო რეფორმის დასრულება გიორგი ათონელისა (1009-1065 წწ.) და ეფრემ მცირის (1027-1103 წწ.) დამსახურებაა. მათს სახელებს უკავშირდება კონსტანტინეპოლური რედაქციის თხზულებების, ლიტურგიკული კალენდრისა და კრებულების შედგენა, ხელნაწერთა არშიებზე ე.წ. „შეისწავეების", ანუ სამეცნიერო კომენტირების დართვა (კეკელიძე 1980: 213-234, 250-269). ივირონისა და, ზოგადად, ქართული ხელნაწერი წიგნის შემოქმედთა საქმიანობისთვის დამახასიათებელი ზემოთ განხილული რეფორმატორული განწყობილებები, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ბიბლიურ კოდექსებს, როგორც სარიტუალო-საღვთისმსახურო დანიშნულების წიგნებს, რადგანაც შუა საუკუნეების ჩვენი სამწერლობო ტრადიციის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ღირსეული და დასაბუთებული პასუხი გაეცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობისა და მართლმორწმუნეობის საკითხებზე ბერძნებთან გაშლილი პოლემიკისთვის, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით ივირონში დაიწყო და შავ მთაზეც გაგრძელდა (ძეგლები 1967: 106-207). X-ს-ის დასასრულსა და მთელი XI ს-ის განმავლობაში ქართველ მწიგნობრებს დიდი ძალისხმევა

[1] ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის იხ.: Peeters 1923:359-360; კეკელიძე 1945:218-236; მენაბდე 1980: 192-194; Actes 1983:27-33; მეტრეველი 1996:5-106.

[2] იოვანე-თორნიკეს დაკვეთით „კარინის ქვეყანაში" გადაწერილი მეოთხე წიგნი _ „ბანბი" დაკარგულია. შემორჩენილია მხოლოდ მისი ანდერძი, რომელიც დაცულია მოსკოვში, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

დასჭირდათ ამ მიზნის აღსასრულებლად. საჭირო იყო როგორც ძველი ტექსტების რევიზია-რედაქტირება, ასევე ახალი თარგმანების შესრულება, საეკლესიო კალენდრის შევსება-შესწორება და, რაც მთავარია, შექმნა იმ სახის კრებულებისა, რომლებიც უპასუხებდნენ კონსტანტინეპოლის საეკლესიო-სამონასტრო პრაქტიკის მოთხოვნებსა და უზრუნველყოფდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი სტატუსის ბიზანტიურ სივრცეში დამკვიდრების მიზანს. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 977 წელს ოშკის ტაძარში ძველი აღთქმის სრული კრებულის გადაწერა და ივირონის კოლექციაში გადატანა (ჩხიკვაძე 2010(b) :411-420). ტექსტებმა, მათი არქაული რედაქციული თავისებურებების გამო, მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრეს. კოლექცია არ გამოირჩევა ოთხთავთა სიმრავლით, მაგრამ მასში ვხვდებით როგორც ტაოკლარჯული სამწიგნობრო ცენტრებიდან გადმოტანილ ადრებიზანტიურ, ასევე კონსტანტინეპოლური ეპოქის რედაქციის ოთხთავებს. ბიბლიურ წიგნებში დაცულმა არქაულმა რედაქციებმა მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო (Blake 1928; 1933; 1950; შანიძე 1945; Briere 1957). გაცილებით დიდი, მოცულობითი ნაწილი ამ კოლექციისა მოდის აგიოგრაფიულ, ჰომილეტიკურ, ასკეტიკურსა და ლიტურგიკულ კრებულებზე. ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა სწორედ ტაოკლარჯული წარმომავლობის ხელნაწერების რედაქციული თავისებურებანი. რაც შეეხება ჰიმნოგრაფიულ კრებულებს, ისინი სწორედ გიორგი ათონელის სამწერლობო-რეფორმატორული საქმინობის შედეგს წარმოგვიდგენენ. წინამდებარე გამოცემაში ივირონის კოლექციის ხელნაწერების კოდიკოლოგიური მონაცემები მოწოდებულია არსებული კატალოგების (Blake 1931-1932; 1933-1934 აღწერილობა 1986 (b) საფუძველზე, ინფორმაცია შევსებულია სამეცნიერო პუბლიკაციების გათვალისწინებით რომლებიც მოხმობილია თითოეული ერთეულისათვის დართულ ბიბლიოგრაფიაში. რ. ბელიკის სახელმძღვანელოდ აღებული კატალოგი დამოწმებულია მხოლოდ სხვა პუბლიკაციებისაგან განსხვავებული თვალსაზრისის არსებობის შემთხვევაში. ხელნაწერები დალაგებულია დარგობრივ-ქრონოლოგიურად პრინციპით.

ბიბლიური წიგნები

Ivir. Geo. 83. ოპიზის ოთხთავი. 913 წ. 260 ფ.; ეტრატი; 13,9x12,4 სმ; მთავრული; მელანი ყავისფერი; შავი ტყავის ყდა ტვიფრული, ჯვარცმისა და ღმრთისმშობლის გამოსახულებებით. გადამწერი: გრიგოლი; მომგებელი: ბასილი; გადაწერის ადგილი: ოპიზა. ოპიზის ოთხთავი 1898 წელს აღმოაჩინა და აღწერა ნიკო მარმა (Mapp 1899:10). წიგნის თარიღი და გადაწერის ადგილი მითითებულია გადამწერის ანდერძში: „...დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლისმცემელისასა უპიზას, დედისაგან უცთომელისა სიტყჳთ და ზანდუკით გამოწმედილისა. და ქრონიკონი იყო რლგ“. ტექსტი დამუხლულია და ხელნაწერის ქვედა არშიაზე გატანილია ამონიოსის სექციების აღმნიშვნელი საზედაო ასოები. ტექსტი მიჰყვება ქართული ოთხთავის ჯრუჭ-პარხლის რედაქციას, რომელსაც აკ. შანიძე პროტოვულგატას უწოდებს (შანიძე 1945: 08). ქართული ოთხთავის ადრებიზანტიური თარგმანების შესწავლის საფუძველზე ოპიზის ოთხთავის წყაროდ ხანმეტური პერიოდის თარგმანები ივარაუდება (ქაჯაია 1984: 327; მელიქიშვილი 2012(a): 166). ოპიზის ოთხთავის ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული (Blake 1928: 439-574; 1933; 1950; Briere 1957).

Ivir. Geo.1. ბიბლია. 978 წ. 454 ფ.; ეტრატი; 44,5x32,3 სმ., ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები და სათაურები ზოგჯერ სინგურით; ხეზე გადაკრული შავი ტყავის ყდა; 3 გადამწერი: სტეფანე, გიორგი გელასისძე და მიქაელი; მომგებელი: იოვანე თორნიკ-ყოფილი; შემმოსველი: სტეფანე; გადაწერის ადგილი: ოშკის ლავრა. ძველი აღთქმის პირველი სრული კრებული. აკინძულია ორ წიგნად. ხელნაწერი ნაკლულია. გადაწერილია ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის

ფინანსური უზრუნველყოფით და ივირონის მონასტრის დაარსებისთანავე გადატანილია ამ ლავრის წიგნსაცავში, რასაც ადასტურებს წიგნის სხვადასხვა გვერდზე დართული მინაწერები, გადამწერთა და მომგებლის ანდერძები (წ.2:421-422r, 423r, 421v). წიგნს ერთვის გვიანდელი მინაწერები, მათ შორის პეტრე მოსეს ძე თაბლიანისძისა, რომელმაც XIX ს-ში პლატონ იოსელიანის მიერ ივირონიდან დროებით ჩამოტანილი ამ ბიბლიის ასლი გადაწერა. არსებობს ოშკის ბიბლიის ორი ასლი, რომლებიც დაცულია კ.კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (ხეც S-422, A-471). პირველ ტომში შესულია შემდეგი წიგნები: დაბადება, გამოსლვათა, ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთი, იობი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდება ერემიასი, ლოცვა, გოდებანი, ეზეკიელი, დანიელი, ეზრა ზოროზაბელი, სიტყუანი ნაუმისნი, ეზრა სუთიელი, ესთერ მარდოქე, ივდითი და ტობი. მეორე ტომში შედის: მეფეთა I-IV წიგნები, სოლომონის იგავები, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე სოლომონისა, ისუ ზირაქი, მცირე წინაწარმეტყუელის წიგნები. დაკარგულია რიცხვთა, II სჯულისა და ისო ნავეს წიგნები. მასში საერთოდ არც ივარაუდებოდა ფსალმუნისა და ისო ზირაქის წიგნთა არსებობა. რედაქციული თვალსაზრისით ბიბლიაში შესული ტექსტები განეკუთვნება ადრებიზანტიური ეპოქის თარგმანების არაერთგვაროვან რედაქციებს. ამასთანავე ბიბლიის წიგნთა შორის გამოვლენილია მეტად მნიშვნელოვანი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული არაერთგვაროვნება, რაც გულისხმობს, რომ ბიბლიის გადამწერები სარგებლობდნენ სხვადასხვა დროსა და სივრცეში გადაწერილი დედნებით. არ იძებნება არც ძველი აღთქმის წიგნთა შესატყვისი ბერძნული რედაქციები (მელიქიშვილი 2012(a): 79-84,94-118). წიგნი თარიღდება ანდერძის საფუძველზე: „ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქრონიკონი იყო რჟ¯ϑ“. ანდერძები სრულადაა გამოქვეყნებული (წიგნნი 1989: 563-571). ტექსტობრივი თავისებურებებისა და რედაქციული არქაულობის გამო ბიბლიამ არაერთხელ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. კვლევის შედეგების პარალელურად გამოცემულია როგორც მასში შემავალი ცალკეული წიგნები, ასევე მთელი კრებულიც (Mapp 1913: 389-398; კეკელიძე 1920; 1972: 172-239; Blake 1929(a): 33-105; 1929(b): 57-105; შანიძე 1947; 1948; ცქიტიშვილი 1976: 190-223; წიგნნი 1989; 1990; 1991; ბიბლია 2017). ხელნაწერი აღწერილია რამდენჯერმე (Цагарели 1886: 69-75,№1. Blake 1931-1932:301-304; წიგნნი 1989: 559-580).

Ivir.Geo.62. ოთხთავი. XI ს. 297 ფ.; ეტრატი; 20,4x15,5 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები და სათაურები სინგურით; მოხატული; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული; გადამწერი: იოანე დიაკონი (240r). ხელნაწერი იწყება კამარებში მოქცეული ევსებიოსის წერილითა და დეკორირებული კანონებით. ტექსტი ნასწორებია. არშიებზე გატანილი და მარგინალური ნიმნით გამოყოფილია სწორებები (74v, 116r, 169r და სხვ.). რ. ბლეიკის აზრით, ტექსტმა გაიარა ჯერ ეფთვიმეს, ხოლო შემდეგ გიორგი ათონელის ხელში. სწორებების ინიციატორი გიორგი ათონელია (Цагарели 1886: 75 №4; Blake 1933-1934: 251).

Ivir.Geo.82. ფსალმუნი. XI ს. 91 ფ.; ეტრატი; 15x20 სმ.; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; უყდო; ხელნაწერი ნაკლულია. ალ. ცაგარელს აღწუსხული აქვს 103 ფ., ბლეიკს - 130 ფ.; ფსალმუნი გიორგი ათონელის რედაქციის ერთ-ერთი უადრესი ნუსხა უნდა იყოს. შემორჩენილია ფს.31,15-44,3;67,3-90,12. ტექსტში ძველი ტრადიციის მსგავსად აღნიშნულია დიაფსალმები, რაც გიორგი ათონელის რედაქციის გვიანდელ ნუსხებში არ ჩანს. ფსალმუნის ყოველი მუხლი ახალი სტრიქონით იწყება, რაც უახლოვდება გიორგი ათონელის ეპოქის ბერძნულ ფსალმუნს. მართალია, ტექსტი, ძველი ტრადიციის მსგავსად, დაყოფილია 20 კანონად, მაგრამ ფსალმუნთა განაწილება კანონებში განსხვავდება ძველი ტრადიციისგან. კრებული შესწავლილია (Цагарели 1886: 75№2; შანიძე 1989: 111-116).

Ivir.Geo.15. ოთხთავი. XII-XIII სს. 239 ფ.; ქაღალდი; 33,4x24,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ნაკლუ-

ლი; მარკოზისა და ლუკას სახარებების სათაურები შემკულია თავსამკაულებით (67r, 109r); გადამწერი: იოსები (182r). ოთხთავის რედაქციულ თავისებურებასთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაცია არაა ცნობილი. რ. ბლეიკის თვალსაზრისით, ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისა უნდა იყოს (Цагарели1886: 76 №10; Blake 1931-1932: 360-361).

Ivir.Geo.67. ოთხთავი. XIIს. 90 ფ.; ეტრატი; 28x18 სმ.; თავბოლონაკლული; ნუსხური; შავი მელანი; სტილიზებული საზედაო ასოები და სათაურები სინგურით; 19v, 69r არშიებზე მიწერილია თავებისა და მუხლების მაჩვენებელი მთავრულითა და ნუსხურით. იწყება მარკოზის სახარების 7,26 მუხლით. ლუკასა და იოვანეს თავების წინა ფურცელი დაუწერელია. 63v-ზე იოვანე მახარებლის გამოსახულებაა. ბლეიკის დროს ხელნაწერი დაშლილი და შავ საქაღალდეში იყო ჩადებული (Blake 1933-34:254). ოთხთავი გიორგი ათონელის რედაქციისაა (Цагарели 1886: 76№8).

Ivir.Geo.53.ოთხთავი. XIII-XIVს. 163 ფ. (რ. ბლეიკის მიხედვით, 149 ფ.); ეტრატი; 22,5x16,5 სმ; ნუსხური; შავი მელანი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; გიორგი ათონელის რედაქცია. (Цагарели 1886: 76№7).

Ivir. Geo. 75. ოთხთავი. XV ს. 78+4ფ.; ეტრატი; 23,1x18,3 სმ; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, დეკორირებული; ხელნაწერი ნაკლულია; წარმოდგენილია მხოლოდ ლუკას თავის სახარება, წინ უძღვის საძიებელი; ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა. ხელნაწერში ჩართულია 2 ფრაგმენტი: თვენისა (XIII ს.) და არაიდენტიფიცირებული ჰომილიისა (XI ს.) (Цагарели1886: 76 №6).

ადრებიზანტიური რედაქციის კრებულები

Ivir.Geo. 42 . სამოციქულო. პეტრესა და პავლეს წამება. 963-969 წლები. 237 ფ.; ეტრატი; 22,3x17,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; აბზაცის დასაწყისები და სათაურები მთავრულით, სინგურით; მომგებელი: მიქაელი; გადაწერის ადგილი: წმ.კოზმა და დამიანეს მონასტერი ოლიმპოს მთაზე. კრებულში შესულია: პავლეს ეპისტოლეები, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, სამოციქულოს დასასრულს კი – „წამებაჲ წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი“. კრებულის რედაქციულ თავისებურებას განსაზღვრავს სამოციქულოს წიგნთა თანამიმდევრობა, რომელიც მხოლოდ წინარეათონური პერიოდის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება (მელიქიშვილი 2012(a): 185). საყურადღებოა, რომ კრებულის დასასრულ შეტანილი პეტრესა და პავლეს აპოკრიფული „წამების“ეს ქართული თარგმანიც გვხვდება მხოლოდ პალესტინური რედაქციების შემცველ კრებულებში Ivir.Geo.8, ხეც A-95 და ოქსფორდის უნივერსიტეტის ნუსხაში MS.Georg.b.I, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ XI ს-ის 50-60-იან წლებშია გადაწერილი, შეიცავს ადრებიზანტიური რედაქციის კიმენურ აგიოგრაფიას. ხელნაწერს ერთვის გადამწერ მიქაელის ანდერძები, ერთ-ერთი ნაწერია ლექსად (კეკელიძე 1980:608); სწორედ ამ ანდერძში მოხსენიებული ისტორიული პირების – ნიკიფორე ფოკასა (963-966 წწ.) და პოლიევქტი პატრიარქის (953-970 წწ.) ზეობის წლების საფუძველზე შესაძლებელი ხდება წიგნის გადაწერის თარიღად განისაზღვროს 963-966 წლები. ის ფაქტი, რომ ადრეული რედაქციების შემცველი ქართული ხელნაწერი ოლიმპის მთაზეა გადაწერილი, გვაფიქრებინებს, რომ X ს-ის 60-იანი წლებისთვის მაკედონური ხანის ბერძნულ სამწერლობო ტრადიციაშიც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ძველი რედაქციების კონსტანტინეპოლურით ჩანაცვლების პროცესი. „საქმე მოციქულთას“ ადრეული რედაქციები გამოცემულია (Цагарели 1886: 76-77 №11; აბულაძე 1950: 033-222).

Ivir.Geo.9. ასკეტიკური-ჰომილეტიკური კრებული „სამოთხე“. 977 წ. 377 ფ.; ეტრატი; 37,7x28 სმ.; ასომთავრული; შავი მელანი; სათაური და საზედაო ასოები სინგურით; ხეზე გადაკრული ტი-

ლოს ყდა; გადამწერი: სტეფანე დეკანოზი; მომგებლები: იოანე-თორნიკე და იოვანე ვარაზვაჩე; მომგებლის ანდერძის დამწერი: დავითი; გადაწერის ადგილი: ოშკი. კრებული აერთიანებს ასკეტიკურ-ჰომილეტიკური ჟანრის 38 თხზულებას, 1 აპოკრიფსა და იოვანე მოსხის „ლიმონარს“. ჰომილეტიკურ ნაწილში შესულია იოვანე ოქროპირის 16, ბასილი დიდის 2, მარკოზ მონაზვნის 1, მარტვირი მონაზვნის 1, საჰაკ მონაზვნის 1 და ეფრემ ასურის 16 ასკეტიკური ჰომილია. არც ერთ ამ ტექსტს არ ეძებნება უშუალო ბერძნულენოვანი დედანი. კრებულში შესული იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის ადრექრისტიანული აპოკრიფი მხოლოდ ქართული თარგმანითაა შემორჩენილი (CANT 1992: n°77; ჩხიკვაძე 1997: 60-66; Tchkhikvadze 1997: 179-191). რაც შეეხება იოვანე მოსხის „ლიმონარს“, ამ კრებულში შესული ტექსტი შეიცავს დამატებას „მიმსგავსებული სამოთხისა“, რომელიც თხრობათა განსხვავებული თანამიმდევრობითაა შესული PG-ში გამოქვეყნებულ ბერძნულ რედაქციაში. კრებულის შედგენილობისა და მისი ტექსტების რედაქციულობის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ოშკის „სამოთხის“ დედნად გამოყენებულია საბაწმინდური ტრადიციის კრებული (ჩხიკვაძე 2002: 172-182). გადაწერის ინიციატორები და დამფინანსებლები ისევე, როგორც გადამწერები, არიან ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრები (375r-377v). ანდერძი შედგენილია 979-980 წწ.-ში და ეძღვნება დავით კურაპალატისთვის ბიზანტიის საიმპერატორი კარის მიერ მაგისტროსის ტიტულის მინიჭებას. ხელნაწერში იკითხება არაერთი მინაწერი. ანდერძ-მინაწერები სრული სახით გამოქვეყნებულია (აღწერილობა 1986(b):45-49). კრებულში შემავალმა თხზულებებმა არაერთხელ მიიპყრეს მკვლევართა ყურადღება. არსებობს ტექსტებისა და ანდერძების რამდენიმე გამოცემა (Цагарели 1886 89-91№°69; Марр 1900(c): 5-72; კეკელიძე 1947: 261-315; აბულაძე 1955; 1960; Garitte 1956(b): 243-311; მეტრეველი 1996: 7-16).

Ivir.Geo.3. გიორგი ალექსანდრიელი. „ცხოვრება იოვანე ოქროპირისა“. კოზმან მეჭურჭლე. „აღმოყვანებისათჳს ნაწილთა იოვანე ოქროპირისათა“. 979-980 წწ. 141 ფ.; ეტრატი; 36x24,7 სმ.; ნუსხური, ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა. გადამწერი: იოვანე ჩირაქ; დამკვეთნი: იოვანე-თორნიკე და იოვანე ვარაზვაჩე; გადაწერის ადგილი: ოშკის ლავრა. იოვანე ოქროპირისადმი მიძღვნილ კრებულში შესული „ცხოვრების“ ტექსტი მიჰყვება ადრებიზანტიურ ბერძნულ ვერსიას, რომლისგანაც მკვეთრად განსხვავდება PG-ში გამოცემული კონსტანტინეპოლური ტრადიციის ბერძნული ტექსტი. თარგმანში გამოვლენილი არაბიზმები და ზოგიერთი ტექსტობრივ-ლინგვისტური თავისებურება ხაზგასმით მიუთითებს ამ რედაქციის პალესტინურ წარმომავლობაზე (გვარამია 1986: 011-048). ხელნაწერის გადაწერის ადგილი მითითებულია ანდერძში: „....დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს, საყოფელსა ... წინამძღურობა[ს]ა წმიდისა მამისა საბაჲსსა, ღმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ ჴელითა ჩემ გლახაკისა, საწყალობელისა იოვანეჩირაქისითა...“ ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებულია (Цагарели1886:83 №52; აღწერილობა 1986(b): 29-30; გვარამია 1986: 024-026).

Ivir.Geo.8. კრებული-მრავალთავი. X ს. I+379 ფ.; ეტრატი; 34,1x28,7 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; მოწითალო ნარინჯისფერი ყდა ორნამენტების გარეშე. 1898 წელს ხელნაწერი შეუკაზმავს მაკარის; მომგებელი: არსენი მამათმთავარი; კრებული დიდი მოცულობისაა. მასში გაერთიანებულია კომენური რედაქციის 61 მარტვილობა. მისი შედგენილობის, რედაქციულობისა და კალენდარული სისტემის საფუძველზე მ.ვან ესბროკი მას მრავალთავთა რიცხვს მიაკუთვნებს (Esbroeck 1975: 11-14). კრებულის რედაქციული განსხვავებულობის პირველი საინტერესო ნიშანია მისი კალენდარული სისტემა, კერძოდ, წმინდანთა ხსენებისათვის მითითებული კალენდარული დღე ყოველთვის არ შეესაბამება არც იოვანე-ზოსიმესეული კალენდრისა და არც IX-X სს-ის ბერძნული სვინაქსრების ჩვენებებს. Ivir.Geo.8-ში საკმაო მოცულობითაა შესული VII-VIII სს-ში სომხურიდან თარგმნილი მარტვილობები: დედოფალ

სანდუხტისა, წმ. ოსკისა და მის მოყვასთა, ნერსე სომხითის ეპისკოპოსისა, საჰაკ პართელისა, ვარდანისა და სხვა ნახარართა, შუშანიკის მარტვილობის მოკლე რედაქცია, ლონგინოსისა, გეორგი იმავე გორდი ზორავარისა, საჰაკ სპარსელისა - სულ 12 ტექსტი. ამ მარტვილობათა ნაწილს ან საერთოდ არ ეძებნება სხვაენოვანი დედანი, ან ცნობილი სომხური რედაქცია საგრძნობლად სხვაობს მათგან (Марр 1906: 285-341; Кипшидзе 1914: 54-104; Peeters 1911: 393-427; 1921: 277-313; აბულაძე 1944: 8-21, 62-94, 114-160; კეკელიძე 1955: 137-218; გაფრინდაშვილი 2013: 25-33; გაბიძაშვილი 2014: 105-109; მემკვიდრეობა 2018: 56-56). სომხურიდან თარგმნილი ტექსტების ასეთი რაოდენობით არსებობა ადასტურებს არაერთგზის გამოთქმულ თვალსაზრისს ტაო-კლარჯეთის რეგიონში ქალკედონიტ სომეხთა ქართველებთან თანაცხოვრების შესახებ (Peeters 1911: 393-427; აბულაძე 1944: 133-147), ამიტომაც კრებულის ტაოკლარჯული წარმომავლობა ეჭვს არ ბადებს. წინამდებარე კრებული კარგად ასახავს ივირონის კოლექციის ჩამოყალიბებაში ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ეფთვიმე ათონელისა და ივირონის სხვა მწიგნობართა მთარგმნელობითი საქმიანობა მიმართული იყო მხოლოდ ბერძნული რედაქციების თარგმნისკენ[9], ათონელი მწიგნობრები არ უარყოფდნენ მათი წინარე პერიოდის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. არსენი მამათმთავარი, ანუ ნინოწმინდელი, უნდა იყოს არა გადამწერი, არამედ მომგებელი წიგნისა, ხოლო გადამწერი ანდერძებში მოხსენიებულ გიორგისა და მეორე არსენის შორისაა საძიებელი. კრებულს ერთვის გვიანდელი მინაწერებიც (Цагарели 1886: 84-85 №57).

Ivir.Geo.11. ათონის მრავალთავი. X ს. 394 ფ.; ეტრატი; 31,5x24,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები მთავრულითა და სინგურით; შავი ტყავის ყდა. ხელნაწერი ნაკლულია. შედგება გრიგოლ ნოსელის, ანთიპატროს ბოსტრელის, პროკლე კონსტანტინეპოლელი, გრიგოლ ნაზიანზელის, იოვანე ოქროპირის, ეპიფანე კვიპრელის, ივლიანე ტაბიელის, ევსუქი იერუსალიმელის, ტიმოთე იერუსალიმელის, იოვანე კონსტანტინეპოლელის, ევსტათი ანტიოქელის, ტიტე ეპისკოპოსის, ათანასე ალექსანდრიელის, მელეტი ანტიოქელის, იოვანე ბოლნელის, ევსები ალექსანდრიელის, ეფრემ ასურის, ბარსაბა იერუსალიმელის, ბასილი დიდის, იპოლიტე რომაელის ჰომილიებისგან. მრავალთავში შესულია შემდეგი აპოკრიფები: იოვანე ნათლისმცემლის შობისა, ღვთისმშობლის შობისა, იგივე იაკობის პირველსახარება, ჯვრის გამოჩინებისა, იოვანე ღვთისმეტყველის მეორედ გამოცხადებისა, იოვანე ნათლისმცემლის თავისკვეთისა, ფილიპე მოციქულის წამებისა. ათონურმა მრავალთავმა შემოინახა ადრექრისტიანული ძეგლების მეტად საინტერესო თარგმანები. ეს საკმაოდ მოცულობითი კრებული მოიცავს საუფლო დღესასწაულთა და მარხვის ციკლის 94 საკითხავს. მრავალთავი აღწერილი და შესწავლილია (Цагарели 1886: 93 №80; Esbroeck van 1975; მეტრეველი 1999). ცალკეული თხზულებები გამოცემულია (Марр 1926: 629-742; აბულაძე 1944: 241-316, 1982: 32-316; მოძღვრება 2002; Verhelst 2015).

Ivir.Geo.25. აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული. X ს. 233 ფ.; ეტრატი; 27,2x21,6 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ტყავგადაკრული ყავისფერი ყდა. წიგნი აერთიანებს ადრებიზანტიურ თარგმანებს. კრებულში შესულია: არკადი კვიპრელის სვიმეონ მესვეტე უმცროსის კიმენური „ცხოვრება“ (კეკელიძე 1918: 215-240; გაბიძაშვილი 2014: 61), დიონისე არეოპაგელის ავტორობით ცნობილი პეტრესა და პავლეს აპოკრიფული მარტვილობა (Peeters 1912: 5-10; 1921: 277-314; კეკელიძე 1980: 450), იოვანე ოქროპირის, კირილე ალექსანდრიელის, ეფრემ ასურის ჰომილიები. ტექსტების უმეტესობა პარალელს პოულობს X ს-ის ტაოკლარჯულ კრებულებში. კრებული აღწერილია (Цагарели 1886: 85 №59).

Ivir.Geo.12. პატერიკი. X-XI სს. 235 ფ.; ეტრატი; 33,2x25 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები და სათაურები მთავრულით. ორი გადამწერი: სჯმეონი და ანონიმი. ამ ანბანური პატერიკის ტექსტი გამოცემულია (დვალი1974).

Ivir.Geo.28. აგიოგრაფიული კრებული. 1003 წ. 272 ფ.; ეტრატი; 29,5x19,3 სმ.; ნუსხური; ანდერძი დაწერილია მთავრულით. ტყავგადაკრული ტვიფრულ ხის ყდა. გადამწერი და შემმოსველი: აკლა მტბევარი. ხელნაწერი გადაწერილია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე შაორში, შესაბამისად, ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულიატაოკლარჯული მოღვაწე იოვანე მტბევარი. წიგნში შესულია 13 კიმენური საკითხავი: სტეფანე პირველმოწამის, იგნატი ანტიოქელის, 40 სებასტიელის, კოზმან და დამიანეს, ევსტათის, წმ. ეკატერინეს, ბარბარეს, ირინეს, მარინას, პანტელეიმონის, ქრისტეფორეს მარტვილობების, წმ. მოწამე თევდორეს ცხოვრება და საკვირველებანი, ლუდიის წმ. გიორგის ეკლესიის სატფურების აპოკრიფული საკითხავი, წმ. დიმიტრის წამება და სასწაულები, პეტრესა და პავლეს ხსენება. ხელნაწერს ერთვის ისტორიული მნიშვნელობის არაერთი ანდერძ-მინაწერი (Цагарели 1886: 83 №53; მემკვიდრეობა 2018: 97).

Ivir.Geo.85. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X-XI სს. 167 ფ.; ეტრატი; 14,5x11 სმ; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, გალობათა სახელწოდებები და ძლისპირთა დასაწყისი ასოები მთავრულით; სავარაუდო გადამწერები: იოვანე და გიორგი. ძლისპირები ნევმირებულია. ირმოლოგიონი განეკუთვნება II რედაქციის ტექსტს. ძლისპირთა კრებულების რედაქციები შესწავლილი და გამოცემულია (ინგოროყვა 1965: 79-92; მეტრეველი 1971: 03-276). ხელნაწერი დაწვრილებითაა აღწერილი (Цагарели 1886: 81 №47; აღწერილობა 1986(ბ): 123-132).

ეფთვიმე ათონელის თარგმანთა შემცველი კრებულები (იოვანე გრძელიძე, არსენი ნინოწმიდელი)

Ivir.Geo.32. ბასილი დიდის ჰომილიები. 977 წ. 314 ფ.; ეტრატი; 29x21,4 სმ; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; სინგურით. შავტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მომგებელი: იოვანე ქართველი; გადამწერი: საბა; გადაწერის ადგილი: ათონი, იოანე მახარებლის ეკლესია. კრებულში გაერთიანებულია ეფთვიმე ათონელის თარგმნილი „ბასილი დიდის ცხოვრება“, მისივე 24 ჰომილია; მისივე წმ. გიორგის შესხმა; გრიგოლ ღვთისმეტყველის მაკაბელთა შესხმა, რომელიც ჩართულია ბასილი დიდის ჰომილიებში და უძღვის წმ. გიორგის შესხმის ბასილი დიდისეულ ტექსტს. კრებულში გაერთიანებული თარგმანები შესრულებულია ივირონის დაარსებამდე. ხელნაწერს ახლავს იოვანე ქართველის, ეფთვიმე ათონელისა და გადამწერის ანდერძები. მომგებლის ანდერძში მოიხსენიებიან ივირონის დამაარსებელები: „... ლოცვასა მოგჳსენენით მე, იოვანე, და სულიერად და ჴორციელად ძმაჲ ჩემი იოვანე, თორნიკ-ყოფილი და შვილი ჩემი ეფთიმე, რომელმან თარგმნა ესე, და სულიერნი ძმანი ჩემნი არსენი, თეოდორე დაგიორგი ... დაიწერა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოვანემახარებელისასა, ინდიკტიონსა ე, დასაბამითგანთა წელთა [ხჯპ]..(313ვ).“ ხელნაწერი შესწავლილი და აღწერილია, ტექსტები და ანდერძ-მინაწერები სრულადაა გამოქვეყნებული (Цагарели 1886: 82, n°49; ქურციკიძე 1983; აღწერილობა 1986 (ბ): 92-99; ქაჯაია 1992: 21-43, 338).

I vir.Geo. 5. იოანე სინელი. კლემაქსი. X ს. 318 ფ.; ეტრატი; 37,4x24 სმ.; ნუსხური; ორი გადამწერი: საბა და სვიმეონი. ყავისფერი ტყავის ყდა; ხელნაწერი ნაკლულია; ტექსტზე დართული ანდერძის თანახმად, კრებული გადაწერილია ეფთვიმე ათონელისეული დედნიდან, რომელიც 983 წელს იოვანე ქართველისა და ეფთვიმეს დავალებით გადაუწერია ათონზე იოანე სჳნკელს. მკვლევართა ვარაუდით, კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი ბერძნული რედაქციიდან გამოკრების პრინციპითაა შესრულებული და ტექსტი მთარგმნელის მიერაა შემოკლებული (გაბიბაშვილი 2009:366). კრებულის შედგენილობაა: დანიელ რაითელის წინასიტყვაობა და ზანდუკი,

იოანე სინელის „ცხოვრება“, დაწერილი რაითელი მონაზვნის დანიელის მიერ, იოანე სინელისა და იოანე რაითელის ეპისტოლეები და სათნოებათა კიბე, ანუ კლემაქსი; ერთვის იოვანე სჯნკელის (2v-3v, 316v), კრებულის გადამწერ საბასა (316v) და გვიანდელ პირთა ანდერძ-მინაწერები (Цагарели 1886: 88-89 №68).

Ivir.Geo. 68. გრიგოლ ღვთისმეტყველის შობის საკითხავი მაქსიმე აღმსარებლის კომენტარითურთ. X ს. 156 ფ.; ეტრატი; 22x15 სმ; ნუსხური; ყავისფერი მელანი; მედალიონებით შემკული ტყავგადაკრული ხის ყდა; ორი გადამწერი; თავბოლონაკლული; ხელნაწერში შესულია ეფთვიმე ათონელის თარგმანები: გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა წმიდისაგან ქალწულისა“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში Or.38-ით არის ცნობილი. ამ სიტყვას მოსდევს ე.წ. საედრებელი, რომელიც ღვთისმეტყველის 45-ე სიტყვის (Or. 45) დასასრულს წარმოადგენს. ეს ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ე.წ. პარაფრაზირებულ თარგმანს, დასტურდება მხოლოდ ამ ხელნაწერში (მელიქიშვილი 2012(b): 331-332). კრებულს დაასრულებს მაქსიმე აღმსარებლის „თარგმანებაჲ ძნიად საყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობასა საკითხავისათა.“ კრებული ნასწორებია. არსებობს ვარაუდი, რომ კორექტივები ტექსტში თავად ეფთვიმე ათონელს აქვს შეტანილი. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება თავნაკლულია, ამიტომაც რ. ბლეიკთან ის არაა იდენტიფიცირებული და კრებულის რაობა განსაზღვრულია, როგორც მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველი წიგნი (Blake 1933-1934: 254-255). კრებულს ერთვის ეფთვიმე ათონელის მოსახსენებელი მინაწერები: „ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფოჳმესთჳს“ (39v). ასევე დასტურდება გვიანდელი, XIX ს-ის, მინაწერები. ხელნაწერი აღწერილი და შესწავლილია, ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1886: 92-93 №75; ბრეგაძე 1988: 62; Sancti Gregorii 2001; Otkhmezuri 2009: 73-85: ოთხმეზური 1999: 236-252; 2016:277-278).

Ivir.Geo.13 .იოანე ოქროპირი. მათეს თავის თარგმანება. I წიგნი.1008 წ.; 261ფ.; ეტრატი; 37x29,8 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; სათაურებში გამოყენებულია სინგური; შავი ტყავის ტვიფრული ყდა; გადამწერი: იოვანე გრძელისძე; მომგებლები: მამა მიქაელი და ბაკურ პატრიკი; შემმოსველები: სერაპიონი და თეოდორე (XIV ს.); გადაწერის ადგილი: ივირონი. Ivir.Geo 13-ის გაგრძელებაა Ivir. Geo. 4. წიგნი შეიცავს თარგმანების 1-18 თავებს, რომლებსაც უძღვის თეოლოგიური „წინათქმა“, რომლიც სრული სახით წარმოდგენილია III დამამთავრებელ წიგნში. თარგმანების ტექსტში ყოველ თავს ერთვის სწავლა ეთიკურ-ზნეობრივ საკითხზე. ზანდუკი, ანუ საძიებელი, სულ შეიცავს 90 სწავლას (2v-4v). ხელნაწერი აღწერილი და ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1886: 91-92 №70; თარგმანება 1996).

Ivir.Geo.4. იოანე ოქროპირი. მათეს თავის თარგმანება. II წიგნი. 1008 წ. 263 ფ..; ეტრატი; 36,8x29 სმ.; ნუსხური; მელანი: მუქი რუხი; სათაურები სინგურით; შავი ტყავის ყდა; ტვიფრული; გადამწერები: იოვანე გრძელისძე, ოქროპირი, არსენ ნინოწმიდელი; მომგებელი: იოვანე გრძელისძე; შემმოსველები: სერაპიონიდა თეოდორე. გადაწერის ადგილი: ივირონი. Ivir.Geo.4 არის ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნული რედაქციიდან შესრულებული თარგმანი. ხელნაწერი იოვანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების სამწიგნეულის II წიგნია. მისი ნაწილებია Ivir.Geo.13 და Ivir. Geo.4. ხელნაწერში შესულია განმარტების 19-45 თავები, რომლებსაც მოსდევს „სწავლანი“, გადაწერილია ეფთვიმე ათონელის 1002 წლის ავტოგრაფული ნუსხიდან. კრებულის გადამწერები წარმოადგენენ ეფთვიმე ათონელის მიერ შემოკრებილ მწიგნობართა გუნდის წევრებს (მეტრეველი 1996:107-134). ხელნაწერს ახლავს იოვანე და ეფთვიმე ათონელების ღვაწლის აღმნიშვნელი რამდენიმე მინაწერი (22r, 108r, 144r, 175v და სხვ.), გადამწერთა ანდერძ-მინაწერები (22r, 108v-109r და სხვ.) და გვიანდელი მინაწერები. წიგნი დათარიღდება ანდერძითვე: „...დაიწერა მეორე ესე წიგნი ჴელითა ჩუენ ცოდვილთაჲთავე: არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა. განმანათლებელისა მამისა ეფთჳმეს ნამუშაკევთა ესე საშოალი წიგნი არს, ვინცა [ი]კითხვიდეთ და ირგე[ბ]დეთ,

ლოცვა-ყავთ წმიდათა მამათა ჩუენთათჳს იოვანესა და ეფთჳმესა... და ჩუენ უცბად მწერალთა და სერაპიონ მმოსელისათჳს ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, და რომელი დაგჳკლია, შენდობა ყავთ ღმრთისათჳს. ხოლო დაიწერა მთაწმიდას ათონას მონასტერსა. წმიდათა მამათა იოვანეს და ეფთჳმესა საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. ქრონიკონი იყო სკპ" (263r). ხელნაწერი აღწერილია, ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1886: 86 №66; თარგმანება 1996; 2014).

Ivir.Geo.10. იოანე ოქროპირი. მათეს თავის თარგმანება. III წიგნი. 1008 წ. 338 ფ.; ეტრატი; 36x28,7სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები წითლით; შავი ტყავის ტვიფრულ ყდა. მთარგმნელი: ეფთჳმე ათონელი; გადამწერები: იოანე, ოქროპირი და არსენი ნინოწმიდელი; გადაწერის ადგილი: ივირონი. ხელნაწერი შეიცავს 46-90 თავებს, რომლებსაც მოსდევს „სწავლანი". როგორც ტექსტოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, ეთვიმესეული თარგმანი სხვაობს PG 57 გამოქვეყნებული ბერძნული რედაქციისგან (რაფავა 2012:86-95), რაც რამდენიმე ბერძნული რედაქციის არსებობაზე მიუთითებს. 90-ე თავის მომდევნოდ გადაწერილი თეოლოგიური ტრაქტატი, მკვლევართა ნაწილის თვალსაზრისით, „თარგმანების" ბერძნული რედაქციიდან მომდინარეობს (მეტრეველი 1996: 114-115,120), ნაწილი მას ეფთვიმეს ორიგინალურ თხზულებად აღიარებს (რაფავა 2012:86-95), ხოლო ნაწილი - იოვანე ქართველის ორიგინალურ ტექსტად (თარგმანება 1996:I,8). ტრაქტატს მოჰყვება იოვანე ქართველის ანდერძი, რომელშიც დასახელებულია ეფთვიმეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულებები. ეს ანდერძი, ფაქტობრივად, წარმოაჩენს სამონასტრო სკრიპტორიუმის გეგმას X-XI სს-თა მიჯნაზე. ხელნაწერში ანდერძი ნაკლულია. იოვანე ქართველის ანდერძის სრული ტექსტი გამოქვეყნებულია (თარგმანება 1996:10-19). ხელნაწერი აღწერილი და ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1886: 86-88 №67; თარგმანება 1998; 2014).

Ivir.Geo.33. ბასილი დიდი. ფსალმუნთა თარგმანება. 1014 წ. 160 ფ.; ეტრატი; 24,5x16,4 სმ.; ნუსხური; მოშავო ყავისფერი მელანი; სათაურები მთავრულით; სინგურით; ყდა გვიანდელი; გადამწერი: აღაპი; კრებულში შედის ბასილი დიდის ფსალმუნთა განმარტების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ხელნაწერი თარიღდება გადამწერის ანდერძში მითითებული ქრონიკონით: „დაიწერა თავითგან ვიდრე ბოლოდმდე ჴელითა გლახაკისა აღაპისითა. ქრონიკონსა სლდ. ლოცვა ყავთ". ხელნაწერი 1903 წელს აუკინძავს მაკარის. ბასილი დიდის ქართული თარგმანები და ხელნაწერი შესწავლილია (ქურციკიძე 1983; ქაჯაია 1992; მელიქიშვილი 2000: 6-23).

Ivir.Geo.77. აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული. 1029 წ. 146 ფ.; ეტრატი; 20,9x15,4 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ყდა გვიანდელი, მუყაოსი, აკინძულია არათანამიმდევრულად. 3 გადამწერი: ნიკოლაოსი, იოვანე გრძელისძე და იოვანე; კრებულში შედის ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი აგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ტექსტები. აგიოგრაფიული საკითხავებია: წმ. ნიკოლაოსის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ჰრომთა პაპის „ცხოვრებები", ჰომილეტიკურია: „გრიგოლ ნოსელის ბასილი დიდის შესხმა", „ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ღვთისმეტყველის მიმართ", „ბასილი დიდის ჰომილია", „კლემენტოს ჰრომთა პაპის ჰომილია იაკობის მიმართ". აგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ტექსტები წარმოდგენილია შერევით. პირველი თხრობა ნიკოლაოსის „ცხოვრებისა" ძალზე დაზიანებულია. კრებული დათარიღებულია გადამწერ ნიკოლაოსის ანდერძის ჩვენების მიხედვით: „...დაესრულა ცხორებაჲ და შესხმაჲ და სასწაულნი წმიდისა საკჳრველთმოქმედისა მამისა ჩუენისა ნიკოლაოსისი ჴელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ნიკოლაოსისითა, ქრონიკონსა სმთ... (249+780=1029) რ. ბლეიკი ხელნაწერს 1049 წ-ით ათარიღებს (Blake 1933-1934: 259). საფიქრებელია, რომ კრებულში გაერთიანებულია ძველი და ახალი თარგმანები, ვინაიდან მასში შემავალი 8 თხზულებიდან მხოლოდ ორის –გრიგოლ ნოსელის „ბასილი დიდი შესხმისა" და „გრიგოლ ჰრომთა პაპის „ცხოვრებისთვისაა" მითითებული, რომ თარგმანი ეფთვიმე ათონელს

ეკუთვნის: „ესე განწესებაჲ მოღუაწეთაჲ და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ მე, გლახაკმან ეფთჳმე, ვთარგმნე. აწ ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვაჲ-ყავთ ჩემთჳს და თქუენცა ღმერთმან მიგმადლენ აღსრულებაჲ მოქალაქობისა მისისა, ამენ“ (99v). მსგავსი შინაარსის მინაწერი ახლავს გრიგოლ ნოსელის „შესხმას“. კრებულის პირველი თხრობის – „ნიკოლაოს საკვირველმოქმედის „ცხოვრების“ შესახებ კი გადამწერის ანდერძში (19v-20r) ნათქვამია: „ესე სასწაულნი წმიდისა ნიკოლაოსისნი ბერსა, კურთხეულსა საბას ქერჭამულსა, ქართული წიგნი [...] ბერძულისად შეეწამა [...] სასწაულისაჲ [...]“. კრებულში გვხვდება როგორც მისი გადაწერის, ასევე გვიანდელი პერიოდის რამდენიმე მინაწერი (Цагарели1886: 85 №58).

Ivir.Geo.21. აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული. 1030 წ. 330 ფ.; ეტრატი; 26,5x21 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; წითელი ქსოვილის ყდა; გადამწერი: ისაკ ულუმბოელი; დამკვეთი: გრიგოლ ათონელი; გადაწერის ადგილი: ბითვინიის ოლიმპი, ქვაბი, საყოფელი ქართველთა; წმ. ღმრთისმშობლის ეკლესია. შედის მაკარი მეგვიპტელის „ეპისტოლეები“, მაკარი მეგვიპტელის „გამოცხადება“, „აკეფსიმა, იოსებ და აითალას მარტვილობა“, „ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრება“. კრებულში წარმოდგენილი თხზულებები ეფთვიმე ათონელის თარგმანებია. მაკარი მეგვიპტელის თხზულებები აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით შესწავლილი და გამოცემულია (ნინუა 1982). ანდერძების ტექსტები გამოქვეყნებულია (აღწერილობა 1986(b): 80-86). ხელნაწერი დათარიღებულია გადამწერის მიერვე: „ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, ჴელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისითა მანკანელისაჲთა, მეფობასა ჰრომანოსისა, ოდეს სარკინოზეთს წარვიდა წარმოტყუენვად, ღმერთმან განუმარჯუენ! ქრონიკონი იყო სნ, ამენ! იყავნ!..“ (237v). (Цагарели1886: 83-84 №54).

Ivir.Geo.84. აგიოგრაფიული კრებული. 1042-1044 წწ. 131 ფ.; ეტრატი; 15,2x11,8 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ორი გადამწერი: გიორგი დაყუდებული და ანონიმი; გადაწერის ადგილი: სვიმეონწმინდასთან არსებული ქვაბი. კრებული შედგება ანტიოქიის წმინდანებისადმი - სვიმეონ საკვირველმოქმედის დედა მართასა და წმ. ბარლაამისადმი – მიძღვნილი თხრობებისა და წმ. ბარლაამისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონისგან. ერთვის მთარგმნელის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო ერნო, გლახაკისა დავითისთჳს, რომელმან ესე თარგმანა ქართულსა ენასა ბერძულისაგან. უცბად წერისათჳს შენდობა ყავთ, მაგრა, რაჲ დედასა მიპოვნია, იგი დამიწერია და შეგჳწამებია კარგად“ (124r). კ.კეკელიძის თვალსაზრისით, მთარგმნელი არის დავით ტბელი (კეკელიძე 1957: 221). კრებულს ერთვის ასევე გიორგი დაყუდებულის ვრცელი ანდერძი, რომლის თანახმადაც ნუსხა გადაწერილია ივირონის მონასტრისთვის მისი წიგნსაცავის შევსების მიზნით, გიორგი ათონელის დეკანოზობის დროს: „მე, ცოდვილმან და გლახაკმან ბერმან გიორგი ხუცესმან, რომელი ვჯედ მახლობელად მონასტერსა წმიდისა სჴმეონ საკჯველთმოქმედისასა, აღვწერე წმიდაჲ ესე და სულთა საცხორებელი წიგნი და შევწირე მთაწმიდას...“ მაშასადამე, კრებული ანტიოქიაში გავრცელებული რედაქციების თარგმანებისგან შედგება. საინტერესოა, რომ, ნ. მარის თანახმად, ცნობილია ბარლაამ სიროკავკასიელის „ცხოვრების“ მხოლოდ არაბული რედაქცია. შესწავლილი და გამოქვეყნებულია: „წმ. მართას ცხოვრება“ (Garitte 1968), „ბარლაამის ცხოვრება“ და საგალობელი (Mapp 1901: 109-144; ინგოროყვა 1965: 371-372); ამავე რედაქციის „ბარლამიის ცხოვრების“ ტექსტი Ivir.Geo 63-ისა და ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერის Add. 11281 მიხედვით (იმნაიშვილი 1975: 198-211). ბოლო წლებში კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ცენტრის ფონდებში გამოვლინდა „ბარლაამის ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქცია (კიკნაძე 2014(a);(b):54-60). ხელნაწერი აღწერილია (Цагарели 1886: 84 №55).

Ivir.Geo.19. სამოციქულო. XI ს. ქაღალდი; 201 ფ.; 32x24სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; თავბოლონაკლული. გადამწერი: ელია; დამკვეთი: ქავთარ ნიკოლოისძე; ხელნაწერის ზუსტი თარიღი არა ცნობილი; არაა დადგენილი არც გადაწერის ზუსტი ადგილი და ივირონში მისი მოხვედრის გზა. ბლეიკი ხელნაწერს XIII-XVI სს. ათარიღებს (Blake 1933-1934: 117-118), მაგრამ ეპისტოლეთა რედაქციული თავისებურებებისა და კრებულის არქიტექტონიკის მიხედვით, იგი XI ს-ით უნდა დათარიღდეს. პავლეს ეპიტოლეების მიმდევრობა არ შეესაბამება ტრადიციულ რიგს, კერძოდ, ებრაელთა მიმართ ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს მოსდევს; პავლეს ეპისტოლეთა შემდგომ კრებულში შეტანილია „საქმე მოციქულთა“, „7 კათოლიკე ეპისტოლე“ და „პავლეინის“ განწესება“, ანუ საკითხავთა კალენდარული საძიებელი. სამოციქულოს ტექსტებს მოსდევს იოვანე ოქროპირის სინანულის ლოცვა და თეოდორიტე კვირელის „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ“, თეოფილე ხუცესმონაზვნისეული თარგმანი (კეკელიძე 1980: 246) და არაიდენტიფიცირებული ლოცვის ტექსტი. აღსანიშნავია, რომ პავლეს ეპისტოლეები ადრებიზანტიური თარგმანია, რომელიც არაერთგზისაა გამოცემული (აბულაძე 1950; ლორთქიფანიძე 1956; ძოწენიძე 1974; კოჭლამაზაშვილი 2001; 2011). აღნიშნული ხელნაწერი წიგნი წარმოადგენს ადრებიზანტიურიდან კონსტანტინეპოლური ტრადიციისკენ გარდამავალი ხანის კრებულს. აღწერილია (Цагарели1886: 77 №13).

Ivir.Geo.17. აგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული. XI ს. 348 ფ.; ეტრატი; 32x26 სმ.; მოყავისფრო მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; შავი ტყავის ყდა; გადამწერი: ბასილი; გადაწერილია, სავარაუდოდ, ივირონში. მოცულობითი კრებულის პირველ ნაწილში წარმოდგენილია კიმენური და მეტაფრასული აგიოგრაფია: „ბაგრატ ტავრომანიელის ცხოვრება“; „ევტათის, თეოპისტას, აღაპისა და თეოპისტის ცხოვრება და წამება“; „თეკლას წამება“; „დიმიტრის წამება“ და სასწაულები; „ევსტრატის, ავქსენტის, ევგენის, ორესტისი და მარდარის წამება“.; „თქუმული კლემენტო ჰრომთა პაპისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდასა პეტრეს“, „კლემენტოს ჰრომთა პაპისა და პეტრე მოციქულის წამება“; მეორე ნაწილში- „გამოკრებილი სიტყვანი მამათანი“. თხზულებები თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ. მეორე ნაწილში შესული აპოთეგმები წარმოდგენილია როგორც ადრებიზანტიური, ასევე ეფთვიმე ათონელის თარგმანებით (Outtier 1980: 7-17). ხელნაწერი აღწერილია რამდენჯერმე (Цагарели 1886: 82-83 №50; Марр 1900(ხ): 3-15; აღწერილობა 1986(ხ): 57-63) „ბაგრატ ტავრომანიელის ცხორებისა“ და „თეკლას წამების“ ტექსტები გამოცემულია (Хаханов 1904; აბულაძე 1975: 25-90). კრებულს ახლავს გვიანდელი მინაწერები.

Ivir.Geo.40. ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული. XI სს. 1+329ფ.; ეტრატი; 23,4x17,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; მუქი წითელი ტყავის ყდა; ორი გადამწერი. მომგებელი: საბა ქერჭამული. ხელნაწერი გვიან ყდაში ჩასვა ვენედიქტე ქიოტიშვილმა. კრებული შეიცავს მამა დოსითეს კიმენურ ცხოვრებას (კეკელიძე 1957: 124), დოროთე მონაზვნის, იოვანე ოქროპირის, ბასილი დიდის ჰომილიებს, საბა განწმენდილის, მაკარი მეგვიპტელის, ონოფრე განშორებულის „ცხოვრებებს“. კრებულში შესულია ეფთვიმე ათონელის თარგმანები. ხელნაწერი შავ მთაზე უნდა იყოს გადაწერილი, რისი ვარაუდის საშუალებასაც გვაძლევს მომგებლის მიერ ხელნაწერის მეოხად სვიმონ საკვირველმოქმედის ხსენება: „მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა მამისა ჩუენისა სუიმიონ საკუირველთმოქმედისაჲთა და წმიდისა მთავარმოწამისა...“ შავ მთაზე კი ქართველი მოწესეები ინტენსიურად XI ს-დან დამკვიდრდნენ. ხელნაწერს ერთვის გვიანდელი მინაწერები (პლატონ იოსელიანისა, ბენედიქტე ქიოტიშვილისა) (Цагарели 1886: 84 №56).

Ivir. Geo. № 41. ასკეტიკურ-აგიოგრაფიული კრებული; XI ს. 216+02 ფ.; ეტრატი; 25,4x17,9 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი: ფარსმან ჩორჩანელი; შემკაზმველი: მიქაელი; XIX ს-ში წიგნი ხელახლა აუკინძავს ვენედიქტე ქიოტიშვილს. კრებულში

შესულა ამბა დროთოეს „სწავლანი“, დოსითეს „ცხოვრება“, კატიანოსისა და ნისთერეონის „ცხოვრება და განგება“, იოვანე ოქროპირი „მარგალიტი“. კრებულში შესულია ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები (კეკელიძე 1957: 40-41,71 №8; მელიქიშვილი 2015: 9,17), იოვანე ოქროპირისავე „სიყუარულისათჳს და მოწყალებისა, თარგმანებისაგან იოვანწს სახარებისა“. ხელნაწერში გადამწერის არაერთი მინაწერია: „ქრისტე, ადიდენ ჩორჩანელი ფარსმან“ (88r). წიგნს ერთვის გვიანდელი მონაწერებიც (Цагарели 1886: 93 №77).

Ivir.Geo.79. აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული. XI ს. 131+02 ფ.; ეტრატი; 16,5x12,8 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; საზედაო ასოები სინგურით; თავბოლონაკლული; გამოიყოფა 7 განსხვავებული ხელი; შესაძლებელია მხოლოდ I ნაწილის ზუსტი თარიღის განსაზღვრა: 1042-1044 წწ. ბლეიკის აზრით, ხელნაწერი ეფთვიმე ათონელის ავტოგრაფია, გადაწერილი 990 წელს. როგორც ჩანს, მკვლევარს ამ ვარაუდის საფუძველი შეუქმნა ეფთვიმე ათონელის ანდერძმა, რომელიც გადამწერს დაურთავს კრებულისთვის ეფთვიმე ათონელის თეოდორე საბაწმინდელისადმი გაგზავნილ პასუხთან ერთად. კრებულში შესულია 10 თხზულება: „წმ. ფებრონიას წამება“ (ნაკლულია), ათანასე ალექსანდრიელის „წმ. ანტონის ცხოვრება“ (ტექსტი ნაკლულია), ანდრია კრიტელის „ჯვრის ამაღლების საკითხავი“, რომელიც ამ ხელნაწერში ისევე, როგორც Ivir.Geo.20-ში, მიეწერება ბასილი დიდს; ბასილი კესარიელის „ღვთისმშობლის მიცვალებისათვის“, ბერძნული რედაქცია ავტორად ასახელებს ანდრია კრიტელს (ქურციკიძე 1983: 011); „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ გამოცემული და შესწავლილია (ლოლაშვილი 1982: 79-80; კილანავა 1983: 154-166); „სწავლაჲ ზოსიმესი“, ეფრემ ასურის სწავლა „იოვანეს მიმართ მონაზონისა“, „სწავლაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ზოსიმესი“ და მიქაელ სჳნკელი იერუსალიმელის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“. ამ თხზულების სხვა რედაქცია გამოქვეყნებულია როგორც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ნაწილი (კეკელიძე 1918: 87-90); სვიმეონ ლოღოტეთის „წმ. გიორგის წამება და შესხმა“, ბასილი დიდის „წმ. გიორგის წამება და შესხმა“. თხრობებს მოსდევს ეფთვიმე ათონელის პასუხი თეოდორე საბაწმინდელისადმი. ეს ტექსტი ცნობილია ორი რედაქციით, ერთგან ეფთვიმეს ადრესატია თეოდორე საბაწმინდელი, ხოლო მეორეგან – გიორგი ჭყონდიდელი. ორივე ტექსტი გამოქვეყნებულია (კეკელიძე 1980: 431-434) და კრებულის დასასრულს „სიტყუაჲ მცირე წმიდისა მამისა ეფთჳმესთჳს და საბაჲსთჳს“. ეს თხზულება არის კირილე სკვითეპოლელის „საბას ცხოვრების“ ადრეული რედაქციის ფრაგმენტი. „ცხოვრების“ ადრეული რედაქცია გამოქვეყნებულია (კეკელიძე 1946: 117-219; იმნაიშვილი 1975:56-125). წიგნი ორი ნაწილის გაერთიანებითაა შედგენილი. ხელნაწერის შესწავლით დადგინდა, რომ კრებულის პირველი ნაწილი გადაწერილია გიორგი ათონელის ივირონის დეკანოზობის დროს (1042-1044 წწ.) ეფთვიმეს ავტოგრაფიდან (აღწერილობა 1986(b): 120). კრებულია ანდერძები და ეფთვიმეს პასუხი თეოდორე საბაწმინდელისადმი გამოქვეყნებულია (Цагарели 1886: 92 №72; აღწერილობა 1986(b): 118,121-123)

Ivir.Geo.16. იოანე ოქროპირი. იოანეს თავის თარგმანება. XI ს. 60-იანი წლები. 391 ფ.; ეტრატი; 33,2x23 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; შავი ტყავის ყდა. გადამწერი: მიქაელი; „თარგმანება“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანია. ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმში (389v). დაზეჯითებით ვერ ვიტყვით, სად შეიქმნა Ivir.Geo.16. ბლეიკის თვალსაზრისით, კრებული გადაწერილია ათონური სტილის ნუსხურით (Blake 1933-1934: 361). ხელნაწერში რამდენჯერმეა მოხსენიებული მროველი ეპისკოპოსი ლეონტი, რაც საშუალებას იძლევა, კრებულის გადაწერის თარიღი განისაზღვროს XI ს-ის 60-იანი წლებით. ლეონტი მროველის მინაწერებს თავდაპირველად ყურადღება მიაპყრო ნ. მარმა (Марр 1900(b): 84). ხელნაწერი აღწერილია, ტექსტი გამოცემულია (Цагарели 1886: 85 №65; განმარტება 1993).

გიორგი ათონელი და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანთა შემცველი კრებულები

Ivir.Geo.20. მეტაფრასული კრებული. 1081 წ. 189 ფ.; ეტრატი; 27x21 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; სათაურები და საკითხავების რიგითი ნომერი წითლით; შავი ტყავის ყდა. გადამწერი: თეოფილე ხუცესმონაზონი; შემმოსველი: მღვდელი საბა; მკაზმავი: ხუცესი ხრისტოდულე; გადაწერის ადგილი: კონსტანტინეპოლი; ტრიანდაფილვის მონასტერი. კრებულში შედის: 1-30 სექტემბერს საკითხავი მეტაფრასული აგიოგრაფია; 30 სექტემბრის მეტაფრასულ ტექსტს მოსდევს 8 სექტემბრისთვის განსაზღვრული იოვანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის 2 ჰომილია გადამწერისეული შენიშვნით, რომ მან ეს თხზულება გადმოიწერა არა დედნად არჩეული კრებულიდან, არამედ სხვა ხელნაწერიდან (63v); 14 სექტემბერს ბასილი დიდის ავტოროობით შეტანილია ანდრია კრიტელის ჯვრის ამაღლების საკითხავი. ავტორთა ამგვარი აღრევა ჩვეულებრივი მოვლენაა ადრებიზანტიური რედაქციების შემცველ ხელნაწერებში. თარგმანი რომ არ ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს, როგორც ეს მითითებულია აღწერილობაში (აღწერილობა 1986(ხ): 71,შენ.1), ამას მოწმობს თავად თეოფილე ხუცესმონაზვნის 186v-ზე არსებული მინაწერი: „ხოლო ამას წიგნსა შინა ქართულთაგან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლადვე არაჲ წერილ არს, თჳნიერ ჯუარისა საკითხავისა, სხუაჲ ყოველი ახალი არს.“ მინაწერიდან ნათელი ხდება, რომ XI ს-ის I ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული კონსტანტინეპოლური რედაქციების დამკვიდრების პროცესი. კრებულის დასასრულს იკითხება გადამწერისა და მთარგნელის ვრცელი აკროსტიხული ლექსი და ანდერძი, რომელიც ასახავს XI ს-ის ქართული მთარგმნელობითი სკოლის ტენდენციებს: „...ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილესთჳს, რეცა თარგმნისა, რამეთუ მე არარაჲსათჳს სხჳსა, არამედ ლოცვათათჳს თქუენთა წმიდათა თავს-მიც შრომაჲ ამისი. ხოლო ვევედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რაჲთა უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აჲა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად ... რამეთუ მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია...არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია...ესრეთვე კუალად ვევედრები წინამძღუართა და დეკანოზთა ...ესე წესი იპყარნ მანცა, რომელი უპყრიეს ეკლესიათა საბერძნეთისათა. ითარგმნა უკუე წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერისა ტრიანდაფილვის დედისა ღმრთისასა...უღირსისა მიერ თეოფილეს რეცა ხუცესმონოზონისა და ამათვე ჴელთა მიერ დაინუსხა დასაბამითგანთა ... (186v-188v). საყურადღებოა ყველა ანდერძი გამოქვეყნებულია (Цагарели1886:79-80 №29; აღწერილობა 1986(ხ): 63-79).

Ivir.Geo.29. იოანე ოქროპირი. დაბადების თარგმანება. XI ს. 342 ფ. (ბლეიკის მიხედვით, 348 ფ.); ქაღალდი; 27x172 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; მეორედ მკინძველი: საბა. მთარგმნელი და გადამწერი თეოფილე ხუცესმონაზონი: „ღმერთმან შეიწყალენ ცოდვილი თეოფილჱ ამისი თარგმან-მნუსხველი ოდესმე გლახ რჱცა პროტოსჯნგჱლოსი. უფალო ღმერთო, წყალობა აურაცხჱლო, ცოდვანი შემინდვენ და სული ჭირვეული შეიწყალე თუ რა სხ...ი...ვე სამ...ოებ ...ლს“ (288r). საკითხავების დასასრულს იკითხება მთარგმნელისა და გადამწერის არაერთი ანდერძ-მინაწერი (Цагарели 1886: 93 №81; ოთხმეზური 2016: 287).

Ivir.geo.36. მეტაფრასული კრებული. XI ს.-ის II ნახევარი. 205 ფ.; 26,8x16,2 სმ.; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; ყდა შავი ტვიფრული ტყავისა; გადამწერი უცნობია. ნოემბრის მეტაფრასულ კრებულში შესულია თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანები. ხელნაწერი თავნაკლულია, იწყება 6 ნოემბრით. იგი აგრძელებს Ivir.Geo. 37-ის მასალას, მაგრამ ეს ორი წიგნი

არ წარმოადგენს ერთი ხელნაწერის ნაწილებს, რაზეც, უპირველესად, მოგვანიშნებს ამ ორი კრებულის საწერი მასალის სხვაობა. კრებულების სხვა სახის განსხვავებების შესახებ წარმოდგენილია ნოემბრის თვის მეტაფრასული კრებულის გამოცემაში (ახობაძე 2017: 10-12);

Ivir.Geo.37. მეტაფრასული კრებული. XI ს.-ის II ნახევარი. 22 ფ.; ეტრატი; მოყავისფრო მელანი; სათაურები სინგურით. რ. ბლეიკი ხელნაწერს ათარიღებს დაახლოებით 1080 წ-ით. კრებულში შედის 1-5 ნოემბრის საკითხავები, უძღვის „ზანდუკი“, რომელიც აერთიანებს Ath. 37 და Ath. 36 ნუსხებში წარმოდგენილ თხზულებებს (ორი კრებულის მიმართებაზე იხ. Ivir.Geo 36). საკითხავები მოიცავს 1-5 ნოემბრის მასალას. მთარგმნელი და გადამწერია თეოფილე ხუცესმონაზონი. ნოემბრის მეტაფრასი გამოცემულია (ახობაძე 2017).

Ivir.Geo.7. აგიოგრაფიული კრებული. XII ს. 04+338 ფ.; ქაღალდი; 36x22,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ჰყავს ორი გადამწერი: სიმეონ ხერკელი და ანონიმი. კრებული აერთიანებს დეკემბერ-აგვისტოს 34 საკითხავს – აგიოგრაფიულ, ჰომილეტიკურ ტექსტებს, იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დაფუძნების აპოკრიფს. კრებულში შემავალი თხზულებების მთარგმნელები არიან ეფთვიმე და გიორგი ათონელები, თეოფილე ხუცესმონაზონი. აგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ნაწილში წარმოდგენილი არიან ავტორები: იოვანე დამასკელი, ამფილოქე იკონიელი, ეპიფანე კვიპრელი, ლეონტი ნიკოპოლელი, ანდრია კრიტელი, იოვანე ოქროპირი, გიორგი ნიკომიდიელი და მათი თხზულებები. აგიოგრაფიული ტექსტების უმეტესი ნაწილი კიმენური რედაქციისაა. ზოგადად, ქართული ხელნაწერი წიგნის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ კრებულში შესული იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი აპოკრიფის ბერძნული და სხვაენოვანი რედაქციები არ იძებნება, თხზულებამ მხოლოდ ქართული ადრებიზანტიური (Ivir.Geo.9, ხეც A-249) და გიორგი ათონელისეული თარგმანებით მოაღწია (ჩხიკვაძე 1997:60-66, Tchkhikvadze 1997:179-191). ტექსტები გაწყობილია კალენდარზე, იწყება შობის საკითხავით, მოსდევს თებერვალ-აგვისტოს მასალა. ყველაზე სრულად წარმოდგენილია თებერვლის თვე, დანარჩენი თვეები - გამოკრებით. იწყება შობის საკითხავებით. ხელნაწერს აღმწერლები XIII, XIII-IV სს-ით ათარიღებდნენ (Blake 1931-1932:305-308; Цагарели 1986:85 №61). თუმცა, ათონის მთის სააღაპე წიგნის მიხედვით, კრებულის გადამწერი სიმეონ ხერკელი – „...ხერკელი მომიხსენეთ ამის დამწერელი (228r)“ – XII ს.-ის მოწესეა (მეტრეველი 1998: 135,193,300).

Ivir.Geo.2. მეტაფრასული კრებული. XII-XIII სს 253 ფ.; ქაღალდი; 36,5x26,5 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; მოშავო ტყავის ყდა; ნაკლული; გადამწერი უცნობია. კრებულში შესულია დეკემბრის თვის 21 საკითხავი, იწყება 4 დეკემბრით. გაერთიანებულია ეფთვიმე ათონელის, ეფრემ მცირის, თეოფილე ხუცესმონაზვნის, დავით ტბელის, არსენი იყალთოელისა და იოვანე პეტრწის თარგმანები. ზოგ თხზულებას მიწერილი აქვს მთარგმნელის სახელი. კრებული აღწერილი და შესწავლილია (Цагарели1886: 85 №63; აღწერილობა 1986(ხ): 16-28).

Ivir.Geo.14. გრიგოლი ნოსელი. თხზულებანი. XVI ს. 373 ფ.; ქაღალდი; 31x22,8 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; თავბოლონაკლული. გადამწერი უცნობია. კრებულში შედის გრიგოლ ნოსელის „სიტყვანი“, „ეპისტოლეები“, „შესხმანი“ , ბასილი დიდის „ექვსთა დღეთათჳს“, რომელიც მოსდევს ბასილი დიდის გრიგოლ ნოსელისეულ შესხმას, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათჳს კაცისა“ და ბასილი დიდის დასახელებული თხზულების გრიგოლ ნოსელისეული განმარტება „ პეტრეს მიმართ ძმისა თჳსისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“. თხზულებებს წინ უძღვის ზანდუკი. კრებული უნდა წარმოადგენდეს გრიგოლ ნოსელის გიორგი ათონელისეული თარგმანების შემცველი ნუსხიდან Ivir.Geo.49 გამოკრებილ წიგნს. კრებული შესწავლილია, მასში შემავალი ეგზეგეტიკური თხზულებები გამოცემულია (Цагарели 1886: 94 №84; ჭელიძე 1989: 192-243; კოჭლამაზიშვილი 2009; ნოსელი 2009; რუხაძე 2010; ოთხმეზური 2016: 283-284).

გიორგი ათონელის რედაქციის ლიტურგიკული/ჰიმნოგრაფიული კრებულები

Ivir.Geo.60. საწელიწდო სახარება. 1043 წ. 163 ფ.; ეტრატი; 20,5x14,8 სმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; აქვს შავტყავგადაკრული ტივფრული ყდა ჯვარცმისა და ღვთისმშობლის გამოსახულებებით. გადამწერები და შემმოსველები: მიქაელი და გიორგი. გადაწერის ადგილი: ივირონი. საწელიწდო სახარება კონსტანტინეპოლური რედაქციისაა, შედგენილია „წესისაებრ სოფიაწმიდისა და ასტუდიისა და ყოველთა ეკლესიათაებრ საბერძნეთისათა“. წიგნების შედგენა-გამრავლებას ქართული საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების ნორმატიული ორგანიზაციის მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ამის დასტურს წარმოადგენს, თუნდაც ხარტულარის , ანუ, ფაქტობრივად, სამონასტრო დოკუმენტაციისა და წიგნსაცავის მცველის მონასტრის წინამძღვრად დადგინების ფაქტიც. ხელნაწერი გადაწერილია 1043 წელს: „ხოლო დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი და შეიმოსა ჴელითა ძმათა სულიერთა მიქაელ და გიორგისითა. ქრისტემან სასყიდელი მიაგენ შრომისა მათისაჲ, ამენ ქორონიკონი იყო სიგ.“ წიგნს ერთვის არაერთი გვიანდელი მინაწერი (Цагарели 1886: 75 №5).

Ivir. Geo. 76. სტიქარონების კრებული. XI ს. 40-იანი წლები. 20 ფ.; ეტრატი; 21,5x16,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; მარტი-ივლისი გამოკრებილi სტიქარონების ნაკრები. გიორგი ათონელის ავტოგრაფული ნუსხა მისივე რედაქციისა. იწყება 9 მარტის საგალობლებით და თავდება 2 ივლისის არასრული მასალით. რ. ბელიკის მიხედვით, ეს კრებული ნაწილია გიორგი ათონელის მიერ შედგენილი და 1040 წელს გადაწერილი სვინაქსრისა Ivir.Geo 30 (Цагарели1886: 81 №36).

Ivir.Geo.30. დიდი სვინაქსარი. XI ს. 1071 წ. 428 ფ.; ეტრატი; 25,3x18,9 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, წითლით. გვიანდელი ყდა. 2 გადამწერი: უცნობი და ევსტრატი დეკანოზი. მომგებელი: გიორგი ოლთისარი; გადაწერის ადგილი: ივირონი. გიორგი ათონელის რედაქციის სვინაქსარი, რომელშიც წარმოადგენილია როგორც სტუდიური, ასევე საბაწმინდურ-იერუსალიმური ჰიმნოგრაფიული მასალა. სვინაქსარი შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობით განსხვავდება XI ს-ის სხვა სვინაქსარებისგან. ტექსტს ახლავს გიორგი ათონელისა და ევსტათი დეკანოზის ანდერძები, ასევე გვიანდელი მინაწერები. ნუსხა შესწავლილია, ტექსტი და ანდერძები გამოცემულია (დოლაქიძე 2017; აღწერილობა 1986: 87-92) (Цагарели1886: 79 №28).

Ivir.Geo.54. თვენი. 1076 წ. 287 ფ.; ეტრატი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. გიორგი ათონელის რედაქციის ოქტომბერ-ნოემბრის თვენი. ორი გადამწერი: ოქტომბრის თვისა – ზოსიმე და ნოემბრის თვისა – ანონიმი. გადაწერის ადგილი: ივირონი. თვენი იწყება 6 ოქტომბრიდან. ოქტომბრის თვის შემდგომ დართულია გიორგი ათონელის, გრიგოლ ხახულელისა და გადამწერ ზოსიმეს ანდერძები (ჯღამაია 1986: 83; 1998: 477). ანდერძები, გადამწერის ანდერძის გამოკლებით, მეორდება ნოემბრის თვის მასალასთან. ათონური თვენი სხვაობს გიორგი ათონელის რედაქციის იერუსალიმური Jer. Geo.124-გან. Ivir. Geo. 54-ში შესულია კანონი, რომელსაც ეწოდება მეხურნი. ტერმინი შესწავლილია (ჯანაშვილი 1891:42; Марр 1912:53;1916: 45; ჟორდანია 1956: 55; გვახარია 1970: 45; კეკელიძე 1980: 604-606; ჯღამაია 1962 : 70, მეტრეველი 1971: 050, 2007: 30-51).

Ivir.Geo.24. პარაკლიტონი. 1077 წ. 234 ფ.; ეტრატი; 30x21 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები მთავრულით, წითლით. მაგარი ტყავის ყდა; გადამწერი: კვირიკე დიაკვანი; შემმოსველი: სვიმონ თავშიშველი. გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონის გადაწერის შესახებ ცნობები დაცულია ანდერძში: „...დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი, სამკაული წმიდისა ეკლესიისა ახალი და ყოვლითურთ უნაკლულოჲ, თარგმნილი ღმრთივ-სანატრელისა წმიდისა მამისა გიორგისი

მთასა წმიდასა ათონას, ლავრასა შინა დიდებულსა ქართველთასა, ჴელითა ყოვლად უღირსისა და ცოდვილისა კჳრიკე დიაკონისაჲთა; დასაბამითგანსა წელთა ხქპგ., ქრონიკონსა სჟზ-სა... ლავრასა ამას ჩუენსა ზედა წინამძღურობასა გიორგი ოლთისარისასა. ხოლო ისყიდა წმიდაჲ ესე წიგნი საფასოჲთა და განძითა აბაზ ბაკურიანისძისაჲთა. ღმერთმან ბევრ-წილად მიაგებენ სულსა მისსა, ამინ" (217r).

Ivir.Geo.55. თვენი. 1080-1085 წწ. 219 ფ.; (ბლეიკით 216 ფ.); ეტრატი; 20,8x16,6 სმ; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით; ტექსტის სათაური და დასაწყისი დეკორირებულია. ყდა შავი ტყავისა. გადამწერი: ანონიმი, გადაწერის ადგილი: ივირონი. ხელნაწერი თარიღდება ანდერძში დასახელებული ივირონის წინამძღვარ ნიკოლა პროტოსვიტერის ზეობის წლებით (1080-1085). კრებულში შესულია გიორგი ათონელის რედაქციის თებერვლის თვენი, რომელიც ასახავს ამ რედაქციის ფორმირების ეტაპებს. ანდერძის თანახმად, ნუსხა სხვა კრებულებში გადაწერილი თარგმანებით შევსებულია გიორგი ათონელის თხოვნით (ჯღამაია 1986: 83-100). ხელნაწერი აღწერილია, ანდერძი გამოქვეყნებულია (Цагарели 1886: 80 №30; ჯღამაია 2017: 11-12).

Ivir.Geo.39. ჰომილეტიკური კრებული. XI ს. 132 ფ. (ბლეიკით 126 ფ.); ეტრატი; 24,5x18,5 სმ.; ნუსხური; რუხი ფერის მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; შავი ტყავის ტვიფრული ყდა; გამოიყოფა სამი ხელი: ორი ანონიმისა, მესამე - გიორგი ათონელისა. კრებული თავნაკლულია. იგი აერთიანებს ეფთვიმე და გიორგი ათონელების თარგმნილ თხზულებებს. იწყება ტიმოთე საკვირველმოქმედის კიმენური „ცხოვრების" ფრაგმენტით. აღნიშნული თხზულება შესწავლილი და გამოცემულია (კეკელიძე 1940:9-151). „ცხოვრებას" მოჰყვება გიორგი ათონელის თარგმნილი ეპიფანე კვიპრელის „საღმრთოთა ჴორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა დაფლვისათჳს და იოსებისათჳს არიმათიელისა და ნიკოდიმოსისათჳს". თხზულება გვხვდება „ათონის მრავალთავის" სახელწოდებით ცნობილ Ivir.Geo 11-ში, თუმცა, ამ კრებულში განსხვავებული დასათაურებით შესული კვიპრელის საკითხავი ადრებიზანტიურ თარგმანს წარმოადგენს. Ivir. Geo.39-ის მომდევნო საკითხავები ეფთვიმე ათონელისეული თარგმანებია თხზულებებისა: პავლეს ეპისტოლეთა კირილე ალექსანდრიელისეული თარგმანება (კეკელიძე 1972: 178-239; 1980: 199; ჯოჭლამაზაშვილი 2003) და გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა" (ზვიადაძე 2011). ხელნაწერი აღწერილია (Цагарели 1886: 81 №39).

Ivir.Geo.43. პარაკლიტონი. XI ს.185 ფ.; ეტრატი; 23,5x18 სმ; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები მთავრულად და წითელი მელნით. გიორგი ათონელის პარაკლიტონის პირველი რედაქცია. შეიცავს ორ ფრაგმენტს, რომლებიც პარალელს პოულობენ გიორგი ათონელის რედაქციის თვენსა და დიდ სვინაქსარში. ხელნაწერში დასტურდება ორიოდე მინაწერი მამა გრიგოლის მოხსენიებით. პარაკლიტონს არ შემორჩა გადამწერის ანდერძი (Цагарели 1886: 77 №15).

Ivir.Geo.44. პარაკლიტონი. XI ს. დასაწყისი. 185 ფ.; ქაღალდი; 25,8x18,5 სმ.; ნუსხური; მოშავო-ყავისფერი მელანი, საზედაო ასოები მთავრულით, ღია წითლით. პარაკლიტონის პირველი რედაქცია.

Ivir.Geo.45. პარაკლიტონი. XI ს. 310 ფ.; ეტრატი; 29x22 სმ.; ნუსხური; აბზაცების სათაურები მთავრულით. ხელნაწერი ნაკლულია. წარმოადგენს გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონის ავტოგრაფულ ნუსხას; გადაწერილია: შავ მთავზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში. კრებულს ერთვის გიორგი ათონელის ვრცელი ანდერძი, რომელშიც განმარტებულია პარაკლიტონის შედგენის პრინციპები. მოგვყავს ფრაგმენტი: „დაესრულა ახალთარგმნილი ესე პარაკლიტონი თარგმნითა და ნუსხვით ჴელითა ჩემ გლახაკისა გიორგისითა ხუცესმონაზონისაჲთა მთასა საკჯრველსა, ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა სჯმეონ საკჯრველთმოქმედისასა, ქრონიკონსა [ ] დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას სამეოცდა [ ]." ანდერძში არაა მითითებული ქრონიკონის წლები (Цагарели1886: 77 №17).

Ivir.Geo.49. კრებული. XI ს. 207 ფ.; ეტრატი; 24,5x118,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით და სინგურით; თავბოლონაკლული. რ. ბლეიკის აზრით, ხელნაწერში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფი უნდა იყოს (Blake 1933-34: 241). კრებული შეიცავს გრიგოლ ნოსელის 9 ჰომილეტიკურ და 6 არაჰომილეტიკურ თხზულებას (ნოსელი 2003; 2004; კოჭლამაზაშვილი 2006: 3-27; 2009(a); ბუკია 2004: 5-29). იწყება იგი 3 არაჰომილეტიკური სიტყვით, რომელთაც მოჰყვება მისივე 9 ჰომილია, შემდგომ მოსდევს ნეკტარი კონსტანტინეპოლელის, ათანასე ალექსანდრიელის, ოანიკე მონაზვნის, თალასი მონაზვნის თხზულებები, გრიგოლ ღვთისმეტყველის „ბასილი დიდის ეპიტაფია“ და ბასილი დიდის „ექვსთა დღეთათვის“, გრიგოლ ნოსელის სამი არაჰომილეტიკური სიტყვა (ჭელიძე 1989: 194-412) და ბასილი დიდის სახელით შეტანილი ბასილი ანკვირიელის „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა ჭეშმარიტისა უხრწნელებისა“ ფრაგმენტი. ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია (შათირიშვილი 2016). კრებული გიორგი ათონელის რედაქციისაა (მელიქიშვილი 2012(b): 364-365).

Ivir.Geo.52. თვენი. XI ს.; 288 ფ.; ეტრატი; 21,8x16,2 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, ბოლონაკლული. გიორგი ათონელის რედაქციის ნოემბერ-დეკემბრის თვენი. ბლეიკის თვალსაზრისით, კრებული გიორგი ათონელის ავტოგრაფული ნუსხაა. ამავე ხელითაა ნაწერი 1040 წლის Ivir.Geo.76. (Цагарели 1886: 81 №39; Blake 1933-1934: 244).

Ivir. Geo. 58. სტიქარონთა კრებული. XI ს. 194 ფ.; ეტრატი; 20x15,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი. კრებული მოიცავს 23 სექტემბრიდან 24 მაისის ჩათვლით სტიქარონებს. ამ კრებულის დასაწყისია Ivir.Geo.73, რომელშიც წარმოდგენილია 1-22 სექტემბრის სტიქარონები. მასალი თანამიმდევრობის გამო ვურთავთ საერთო კომენტარს. იხ. Ivir.Geo.73 (ბლეიკის აღწერილობაში Ivir.Geo 58 ფიქსირებულია 57 ნომრით. შდრ.: Blake 1933-1934: 248-249).

Ivir.Geo.59. მარხვანი. XI ს. 212 ფ.; ეტრატი; 21,2x17 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; აბზაცების სათაურები და დასაწყისები სინგურით. ნაკლული. თავში 2 რეული გვიანდელი ნუსხურითაა ნაწერი, ზოგიერთი ფურცელი პალიმფსესტია, რომლის ქვემო ფენა ნუსხურია. გადამწერი: ბასილი, II გადამწერი უცნობია. მარხვანი გიორგი ათონელის რედაქციისაა.

Ivir.Geo.65. თვენი. XI ს. 325 ფ.; ეტრატი; 21,9x16,9 სმ; ნუსხური; შავი მელანი; დღესასწაულის სახელწოდებები, ტექსტის დასაწყისები, ძლისპირთა და ღმრთისმშობლისას დასაწყისები მთავრულით და სინგურით; სინგურითვე განკვეთის ნიშნები. იანვარ-თებერვლის გიორგი ათონელის რედაქციის თვენი. ნაკლული; გამოიყოფა ორი ხელი. კრებულს წინ უძღვის ზანდუკი. ხელნაწერში გვხვდება გიორგი ათონელის განმარტებითი შენიშვნები. თვენი ავლენს თანხვედრას X ს.-ის იადგარებთან (ჯღამაია 1961: 33-57; 2007: 18;), ასევე დასტურდება იოვანე მინჩხის საგალობლები (ხევსურიანი 2008:242). იანვრის თვენი გამოქვეყნებულია (თუენი 2004: 3-547). კრებულს ახლავს გიორგი ათონელის ვრცელი ანდერძი, რომელშიც საუბარია თითოეული თვის თვენის შედგენა-შევსების პრონციპებზე, იმ დედნებზე, რომლებიც ათონელ მოღვაწეს ხელთ ჰქონია. ანდერძი გამოქვეყნებულია (Blake 1933-1934: 256; ჯღამაია 2007: 464-465). გიორგი ათონელი საკუთარი თვენის წყაროდ მიუთითებს ანტიოქიურ, ანუ შავი მთის ბერძნულ ხელნაწერებს: „ერთი დედაჲ პეტრე წმიდისაჲ მყვა ანტიოქიით და ერთი სჳმეონწმიდით, ორნივე ბერძულნი, სახელოჲანნი და წმიდანი“ (169r) (Цагарели1886: 80 №65).

Ivir.Geo.69. თვენი. XI ს. 190 ფ.; ეტრატი; 20x15,2 სმ.; ნუსხური; მორუხო ყავისფერი მელანი; სათაურები და დასაწყისები სინგურით. წარმოადგენს გიორგი ათონელის ავტოგრაფულ ნუსხას, რომელშიც შესულია მისივე რედაქციის ნოემბრის თვის საგალობლები. კრებული ძლიერაა დაზიანებული, ბევრი ფურცელი არ იკითხება. ტექსტს ერთვის კომენტარები ამა თუ იმ საგალობელთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ათონელ მოღვაწეს კრებულში შეუტანია ან გამორჩენილი და ან თვენის შედგენისას მისთვის უცნობი საგალობლები: „ესე რომელ გინა და-

გურჩომოდეს. გინა ვერ გუეპოვნა, ესე რა სრულ იქმს უფალი, ამენ“ (130v). ნოემბრის თვენსა და საგალობლებს მოსდევს სხვა ხელით გადაწერილი ცისკრად საგალობელი საველრებელი ტროპარები, ანუ „გამოავლინენი“. კრებულს ერთვის გიორგი ათონელის ანდერძი, რომელიც გამოქვეყნებულია (Цагарели 1886: 80 №32; Blake 1933-1934: 256; ჯღამაია 2017: 466).

Ivir.Geo.70. თვენი. XI ს. 198 ფ.; ეტრატი; 30x48,5 სმ; ნუსხური; ყავისფერი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; გამოიყოფა ორი ხელი. პირველი ხელი გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის და კრებულის ეს ნაწილი ავტოგრაფულია. კრებულში შეტანილია მარტი-აპრილის საგალობლები. საინტერესოა, რომ Ivir.Geo 69-ის მსგავსად, გამორჩენილი მასალა გიორგი ათონელს შეაქვს შემდგომ შესაბამისი კომენტარის დართვით, მაგალითად, მარტის თვის დასასრულს გვხვდება 1-ლ მარტს საკითხავი ტექსტი შემდგომი კომენტარით: „თუესა მარტსაა, წმიდისა ევდოკიაჲსი. ესე დამრჩომოდეს (99v). გიორგი ათონელისავე ხელით სწორებები შეტანილია მეორე გადამწერის ტექსტში (Цагарели1886: 81 №37).

Ivir.Geo.73/58. სტიქარონთა კრებული. XI ს. 199 ფ.; 20,2x15 სმ.; ეტრატი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და დასაწყისები სინგურით; მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა. გადაწერის ადგილი: ივირონი. ხელნაწერში Ivir.Geo. 58-თან ერთად შესულია გიორგი ათონელის რედაქციის სტიქარონები 1 სექტემბრიდან 24 მაისის ჩათვლით. გიორგი ათონელის ავტოგრაფია. წიგნი ნაკლულია. საინტერესოა გიორგი ათონელის ანდერძი, რომელშიც საუბარია სტიქარონთა კრებულის შედგენის პრონციპებზე: „ ... ხოლო აქა სტიქარონნი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი: სეკდენბერი, ოკდონბერი, ნოენბერი, დეკენბერი, იანვარი, ფებერვალი, მარტი სუბუქადრე, აპრილი სუბუქადვე და ეგრეთვე მაისი და ეგრეთვე ივნისი და ეგრეთვე ივლისი და ეგრეთვე აგვსტოსი. და კუალად მარტისავე იწყებს და უვრცელესადრე სრულ-ჰყოფს ამათ ექუსთა თუეთა: მარტსა, აპრილსა, მაჲსსა, ივნისსა, ივლისსა და აგვსტოსსა და ესრეთ სრულ იქმნების წიგნი...“(3r). ანდერძი გამოქვეყნებული (ლოლაშვილი 1982: 9; ჯღამაია 2007: 468).

Ivir. Geo.74. თვენი. XIს. 8 ფ.; ეტრატი; 8x15,5 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მაისის თვენის ფრაგმენტია. პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს-ის ხელნაწერია, მიახლოებულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ ნუსხასთან. საინტერესოა, რომ თვენში შეტანილია იერემია წინასწარმეტყველის ძველი და გიორგი ათონელისეული თარგმანები. ბლეიკის მიხედვით, ხელნაწერი XII-XIII სს-ითაა დათარიღებული (Blake 1933-1934: 257).

Ivir.Geo.78. სამოციქულო. XI ს. 231 ფ.; ეტრატი; 17,5x13,6 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და მუხლების დასაწყისები მთავრულით, წითელი მელნით; დაზიანებული ყდა. გადამწერი: ნიკოლა. სამოციქულო გიორგი ათონელის რედაქციისაა. მასში შესულია: „პირველი სიტყუაჲ საქმისათჳს მოციქულთაჲსა და უწყებაჲ განწესებისათჳს თავთაჲსა“; „.სიტყუაჲ ბ. წიგნისა ამისთჳს, რომელ არს საქმე მოციქულთაჲ“; „.გ. „მიმოსლვაჲ პავლესი“; დ. „განწესებაჲ თავთა წმიდათა მოციქულთა საქმისაჲ“; ე.„სამოციქულოთა ამათ ეპისტოლეთა თავ-თავოანად განყოფაჲ რიცხუიდამ“; კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეთა თავების დასახელება; 7 პატარა კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს ეპისტოლეები. ევთალეს სტიქომეტრიას ახლავს გიორგი ათონელის განმარტებითი მინაწერი: „ხოლო ამიერითგან აღვწერო სამოციქულოთა ამათ ეპისტოლეთა თავ-თავოანად განყოფაჲ რიცხუიდამ, რაჲთა რომელიცა ვითარ სიტყუაჲ უნდეს აღმოკითხვად, უშრომელად პოოს რიცხჳთა თჳთოეულსა ეპისტოლესა შინა. ხოლო არს რიცხუსაცა ამას შინა თავთაჲსა კერძო განყოფილებაჲ თჳნიერ რიცხუთაჲსა, რომელსა ზედა ნიშნად გამოსახულ არს მასკულავი, რაჲთა საცნაურ იქმნას განყოფილებაჲ სიტყჳსა და ძალთაჲ...“(85v-86r). ტექსტის დასასრულს აკრისტიქული ლექსია, რომელიც გამოქვეყნებულია (აბულაძე 1950: 24-25). ხელნაწერის დასა-

რულს ტექსტის ხელით შესრულებული ანდერძის გვაწვდის ცნობას სამოციქულოს ქართული თარგმანის ისტორიიდან: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ღმერთშემოსილისა მამისა გიორგისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე და ქრისტეანობისა წინამძღუარი წიგნი განაახლა და თარგმნა.“ რ. ბლეიკის თვალსაზრისით, ნუსხას გიორგი ათონელის ავტოგრაფია (Blake 1933-1934: 261), თუმცა ეპისტოლეთა გამომცემლები კრებულის გადამწერად მოიხსენიებენ ანდერძსა და არაერთ მინაწერში დასახელებულ ნიკოლას (ძოწენიძე 1974:016-017): „ჩემთჳს, გლახაკისა ნიკოლაისა, ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ ფრიადითა წადიერებითა მოვიგე საუნჯე ესე ყოვლისა კეთილისაჲ, რაჲთა იჴსნას ღმერთმან სული ჩუენი სატანჯველთაგან საუკუნეთა და იქმნას სასყიდელი სიყუარულისა მის, ამინ...“ (231r). ამ ათონური ხელნაწერის ტექსტი გათვალისწინებულია ჰავლენის კრიტიკულ გამოცემაში (ძოწენიძე 1974). ხელნაწერი აღწერილია (Цагарели 1886: 77 №12).

Ivir.Geo.34 .ზატიკი. XI-XII სს. 235ფ.; ეტრატი; 25x20,5 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო შავი მელანი. გადამწერი: გრიგოლი; მკაზმველი: სუიმონი; გადაწერის ადგილი: ივირონი. გიორგი ათონელის რედაქციის კრებული; ავტოგრაფული ნუსხის ზუსტი ასლი (ხევსურიანი 2008: 234). ხელნაწერი ძირითადად მიჰყვება გიორგი ათონელის რედაქციის ნუსხას Ivir.Geo.63, თუმცა მისგან განსხვავებით Ivir.Geo.34-ში არ არის შეტანილი იოანე დამასკელის სააღდგომო კანონის გიორგი ათონელისეული თარგმანი. იგი ჩაანაცვლა ეფრემ მცირისეულმა თარგმანმა. ხელნაწერს ერთვის გვიანდელი მინაწერები. გადამწერის ანდერძი: „ესე ზატიკნი წმიდისა მამისა გორგი მთაწმიდელისა თარგმნილისაგან დაიწერნეს... ვითა დედასა შინა მიჰოვნია, არაჲ შემიცულია...ამისთჳს მეცა, უღირსი და ცოდვილი ესე ბერი გაბრიელი ვითხოვ თქუენგან ლოცვასა...დაიწერნეს წმიდანი ესე ზატიკნი მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა წინამძღურობასა მამისა ნიკოლოზი საბრძანებითა მისითა დიდისა ეკლესიისათჳს...“ (235r-v).

Ivir.Geo.51. თვენი. XI-XII სს. 121 ფ.; ეტრატი; 22,5x19,5 სმ.; ნუსხური; დასაწყისები და საზედაო ასოები მთავრულით. გიორგი ათონელის რედაქციის იანვრის თვენი. ნაკლული. იწყება 15 იანვრის საგალობელთა ნაწილით და წყდება 29 იანვარს წმ. ეგნატეს კანონის „ადიდებდითსაზე“. ეს კრებული აბსოლუტური იდენტურობით არ მიჰყვება გიორგი ათონელის რედაქციის თვენს Ivir. Geo. 65 (Цагарели1886: 78, №21; ჯღამაია 2007: 15,17).

Ivir.Geo.56. თვენი. XI-XII სს. 185 ფ.; ეტრატი; 21x15,5 სმ.; ნუსხური; დღესასწაულის სახელწოდებები და ტექსტის დასაწყისები, ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანის დასაწყისები მთავრულითა და სინგურით. წითელი ხის ყდა. შემკაზმველი: მაკარი ქართველი. გიორგი ათონელის მაის-ივნისის თვენი. ნაკლული. მთავრდება ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი საგალობლით. კრებულს 184v-ზე ერთვის გიორგი ათონელის ანდერძი, რომელშიც საუბარია მაის-ივნისის თვენის წყაროებზე: „დიდებაჲ და მადლი ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, ამენ. რომლისა შეწევნითა სრულ იქმნა ესეცა თუე ივნისი კეთილად და ბრწყინვალედ და ვრცელად ორთა დედათაგან პეტრეწმიდისა და სჳმეონწმიდისათა, საჩინოთა და სახელოანთა.“ ანდერძი გამოცემულია (ჯღამაია 2007: 466).

Ivir.Geo.61. თვენი. XI-XII სს. 145 ფ.; ეტრატი; 202x51 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; ყავისფერი ტვიფრული ყდა. ხელნაწერი ნაკლულია. შემორჩენილია მხოლოდ 39-ე რვეულის ბოლო ფურცელი და 40-57 რვეულები. შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის აგვისტოს თვენს. იწყება 11 აგვისტოს მასალით. ძირითადად, იდენტურია გიორგი ათონელის რედაქციის იერუსალიმური ნუსხისა Jer. Geo.107, მაგრამ, როგორც ეს დამახასათებელია გიორგი ათონელის რედაქციის კრებულებისთვის, მისი ზოგიერთი განგება არ დასტურდება იერუსალიმურ ნუსხაში. ამავე კრებულში შეტანილია იოვანე მინჩხის საგალობელი (ხაჩიძე 1987: 53-54). XVII-XVIII ს-ში წიგნი შეაკაზმვინა მღვდელმონაზონმა იაკობმა (Цагарели1886: 80 №33).

Ivir.Geo.63. ზატიკი. XI-XII სს. 264 ფ.; ეტრატი; 20,7x15,2 სმ.; ნუსხური; მოშავო მელანი; სათაურები და ტექსტის დასაწყისი ასომთავრულით და სინგურით; ტვიფრული ღია ყავისფერი ყდა. მომგებელი: ბერი კლიმი; შემმოსველი: ბერი თევდორე. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში წარმოდგენილია აღსებიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკის ჩათვლით საგალობელი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების რეპერტუარი (კანონები, სტიქარონები, წარდგომანი...), მეორეში – ამავე თანმიმდევრობით მხოლოდ სტიქარონების ნაკრები (ხევსურიანი 2016: 88-109); ხელნაწერი აღწერილია (Цагарели 1886: 78 №20).

Ivir.Geo.80. საწელიწადო სამოციქულო. XI-XII სს. 59 ფ.; ეტრატი; 16,9x12,1 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, უყდო; ნაკლული. ხელნაწერი შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციის საწელიწდო სამოციქულოს. კრებული ნაკლულია (Цагарели1886: 77 №14).

Ivir.Geo.38. მარხვანი. XII ს. 360 ფ.; ქაღალდი; 30,5x23 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები სინგურით. შავი ტყავის ტვიფრული ყდა. გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანი. ბლეიკი ხელნაწერს XVI-XVII სს-ით ათარიღებს (Blake 1933-1934,228). მაგრამ წიგნის პირველ გვერდზე მინაწერია გიორგი ციხისჯვარელისა, რომლის სულის მოსახსენებელიც ათონის მთის აღაპებში განწესებულია XII ს-ის 50-იან წლებში (მეტრეველი 1998: 254-255), რაც ცვლის ბლეიკისეულ დათარიღებას ((Цагарели1886: 79 №25).

Ivir. Geo. № 48. თვენი. XII ს. 192 ფ.; ეტრატი; 23,5x18,5 სმ.; ნუსხური; დღესასწაულის სახელწოდებები, ტექსტის დასაწყისები, ძლისპირთა და ღვთისმშობლისას დასაწყისები მთავრულით და სინგურით; სინგურითვე განკვეთილობის ნიშნები; ნაკლულია. ორი გადამწერი. შემკაზმავი: დიაკვანი ნიოფიტე ლასურისძე. გიორგი ათონელის რედაქციის მაისის თვის თვენი. ეს რედაქცია შესწავლილია (ჯღამაია 2016: 198-204).

Ivir.Geo. 57. თვენი. XII ს. 92 ფ.; ეტრატი; 20,4x16 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და გალობის დასაწყისები სინგურით. (ბლეიკის აღწერილობაში Ivir.Geo. 57 ფიქსირებული 58 ნომრით. შდრ. Blake 1933-1934: 249). გიორგი ათონელის რედაქციის ივნის-იანვრის გამოკრებილი თვენი. ტექსტს ერთვის შენიშვნები საკითხავი ტექსტების მოძიებასთან დაკავშირებით:"სხუაჲ საგალობელი ყოველი ნოენბერსაჲ ჰპოო", თუმცა კრებულში არაა შეტანილი ნოემბრის თვის მასალა. როგორც ჩანს, ცალ-ცალკე წიგნებად გადაწერილი თვენები ერთი დიდი ლიტურგიკული წიგნის ნაწილები, ანუ გაგრძელება იყო. გადამწერმა კარგად იცოდა, რომ ყველა თვის კრებული უნდა ჰქონოდა ხელთ. ხელნაწერს ბოლოს იანვრის მასალას ერთვის 27 ივლისისა და 31 აგვისტოს ხსენებები და გალობები. ეს არაა პირველი შემთხვევა გიორგი ათონელის თვენებს შორის, რაც სწორედ რომ ამ ლიტურგიკული წიგნის შევსების პროცესზე უნდა მიგვანიშნებდეს (Цагарели1886: 81 №35).

Ivir.Geo.64. თვენი. XII ს. 40 ფ.; ეტრატი; 19,5x14 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო შავი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. შემორჩენილია ხუთი რვეული. გამოიყოფა სამი ხელი. წიგნში შესულია გიორგი ათონელის რედაქციის ივლისის თვენი. კრებული მცირედ სხვაობს გიორგი ათონელის რედაქციის იერუსალიმური ნუსხისგან Jer.Geo.107.

Ivir.Geo. 66. სტიქარონების კრებული. XII ს. 212 ფ.; ქაღალდი; 18x13 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო შავი მელანი; დღესასწაულის სახელწოდებები და ტექსტის დასაწყისები სინგურით; სინგურითვეა შესრულებული ძლისპირთა და ღმრთისმშობლისას დასაწყისებიც. წიგნი წარმოადგენს გიორგი ათონელის რედაქციის მთელი წლის სტიქარონების ნაკრებს. ჰყავს ორი გადამწერი, რაც საფუძველს აძლევს რ. ბლეიკს, წიგნი ორი ნაწილისგან შემდგარ კონვოლუტად ჩათვალოს, თუმცა ტექსტებს შორის შინაარსობრივი ბმა ნათელს ხდის, რომ Ivir.Geo.66 ერთიანი ნუსხაა. წიგნი ძლიერაა დაზიანებული, ტექსტის დიდი ნაწილი არ იკითხება. შემონახულია მხოლოდ ოქტომბერ-მა-

ისის სტიქარონები. რ. ბლეიკი ხელნაწერს XVI-XVII სს-ით ათარიღებს, თუმცა პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური ნიშნების საფუძველზე წიგნი XII ს-ს ვერ გასცდება (Цагарели1886: 8 №44).

Ivir.Geo.35. საწელიწადო სამოციქულო და საწინასწარმეტყველო. XII-XIII სს. 263 ფ.; ეტრატი+ქაღალდი; 24,8x17,8 სმ.; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით. ლიტურგიკული კრებული გიორგი ათონელის რედაქციისაა. რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს, 24-34 რვეულები გადაწერილია ქაღალდზე. ბლეიკი აღნიშნავს, რომ ამ ორი ნაწილის გადამწერთა ხელი და მელნის ფერი მცირედ, მაგრამ მაინც სხვაობს ერთმანეთისგან. აღმწერელი ქაღალდზე გადაწერილ ნაწილს ათარიღებს XVI ს-ით (Blake 1933-34: 226). გადამწერის ძლიერ დაზიანებული ანდერძი ერთვის ეტრატზე გადაწერილ ნაწილს (161v-162r). ანდერძში გადამწერის სახელი არ იკითხება. (Цагарели 1886: 76 №9).

Ivir.Geo.46. თვენი. XII-XIII სს. 150 ფ.; ეტრატი; 23,2x16,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; აბზაცების დასაწყისები სინგურით; ნაკლული. რ. ბლეიკის განსაზღვრებით, კრებული შემოკლებული თვენია, რომელიც მოიცავს 25 ოქტომბერ-29 აგვისტოს მასალას. თვენის შესწავლის შედეგები არაა ცნობილი.

Ivir.Geo.47. ლიტურგიკული კრებული. XII-XIII სს. 150 ფ.; ეტრატი; 25,2x16,5 სმ; ნუსხური; შავი მელანი; ფურცლების უმეტესი ნაწილი პალიმფსესტურია. შავი ტყავის ტვიფრული ყდა. კრებულის ზუსტი შედგენილობისა და რედაქციული თავისებურების კვლევის შედეგები არ არის ცნობილი.

Ivir.Geo.71. სტიქარონების კრებული. XII-XIII სს. 171 ფ.; ეტრატი; 20,5x16,5 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები მთავრულით და სინგურით; სექტემბერ-დეკემბრის სტიქარონების კრებული გიორგი ათონელის რედაქციისაა. თავნაკლულია; იწყება 16 სექტემბრის არასრული საგლობლებით. სათაურით „ძუელნი სტიქარონნი“ გამოყოფილია უძველესი იადგარიდან მომდინარე ფენა (Цагарели1886: 80 №34).

Ivir. Geo. 72. გიორგი მცირე. „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისა“. XIII-XIV სს. 04+74 ფ.; ქაღალდი; 21,5x16,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები წითლით. ხელნაწერი იწყება „ცხოვრების“ ერთგვარი რიტორიკული შესავლით – გიორგი შეყენებულის მიმართ ეპისტოლით. ტექსტი ნაკლული და დაზიანებულია. „ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტი გამოცემულია (ძეგლები 1967: 101-207), გამოქვეყნებულია რუსული (Сабинин 1872: 161-272) და ლათინური (Peeters 1917-1919: 74-79) თარგმანები. ხელნაწერს ერთვის გვიანდელი მინაწერები (Цагарели1886: 85 №64).

Ivir.Geo.86. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. XIV-XV სს. 185 ფ.; ეტრატი; 13,7x9,9 სმ; ნაწილისა 11x7,8 სმ; ნუსხური; რუხი ყავისფერი მელანი; დასაწყისი ასოები და ხმების ნუმერაცია მთავრულით; ტყიფრული ხის ყდა. ხელნაწერი დაწვრილებითაა აღწერილი (აღწერილობა 1986(ხ):132-139). ძლისპირთა კრებულების რედაქციები შესწავლილია (Цагарели 1886:81 №45; ინგოროყვა 1965:79-92; მეტრეველი 1971).

Ivir.Geo.26. პარაკლიტონი. XV-XVI სს. 502 ფ.; ეტრატი; 24,2x19 სმ; ნუსხური; შავი მელანი; მომგებელი: გრიგოლ დრელის ძე. გიორგი ათონელის რედაქციის კრებულია. დამკვეთი: გრიგოლ დრელიძე: „...მე, ბერმან ცოდვილმან გრიგოლ დრელისძემან, საქართველოჲთ მოსრულმან წმიდასა ათანას, დავაწერინე ესე რვა ჴმანი ჩემითა ...ქონებითა და მოჭირვებითა ...ჩემსა პორტისს დეკანოზობასა შევწირე ყოვლად წმიდა“ ...(1r). გადაწერის ადგილი: ივირონი. (Цагарели1886: 78 №19).

Ivir.Geo.31.თვენი. XV-XVI სს. 307 ფ.; ქაღალდი; 25,2x19,3 სმ.; ყავისფერი მელანი; სათაურები და დასაწყისები სინგურით; ნაკლული; შავი ტყავის ტვიფრული ყდა. გიორგი ათონელის რედაქციის დეკემბერ-იანვრის თვენი, რომელშიც დასტურდება ამ ლიტურგიკულ წიგნში მოგვიანო ხანაში შეტანილი გარკვეული სტრუქტურული სხვაობები. თვენს გადამწერისვე ხელით დართული აქვს 28 დეკემბრის წმ. თეოდორე საბაწმიდელ ხუცისადმი მიძღვნილი საგალობელი (Цагарели 1886: 81 №43).

Ivir.Geo.50. ოქტოიხოსი. XV-XVI სს. 140 ფ.; ეტრატი; 23,7x29 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები წითლით. ხელნაწერი გადაწერილია Ivir.Geo 26-ის მეორე გადამწერის მიერ და წარმოადგენს მის ნაწილს.

Ivir.Geo. 22. თვენი. XVI-XVIIსს. 250ფ.; ქაღალდი; 29,8x 20,8სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. გადამწერის ანდერძი არ ახლავს. გიორგი ათონელის რედაქციის თვენი შეიცავს ოქტომბრის თვის სრულ მასალას; ნაწერია Ivir.Geo.27-ის ხელით (Цагарели1886: 81 №44).

Ivir.Geo.27. თვენი. XVI-XVII სს. 283 ფ.; ქაღალდი; 30x20სმ.; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; შავი ყდა. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის 1 – 26 ნოემბრის თვენი. ყოველი დღის განგება კანონის წინ შეიცავს გიორგი ათონელის რედაქციისთვის დამახასიათებელ წარდგომანს (Цагарели 1886: 81 №41).

Ivir.Geo.81.ჟამნი სახარება-სამოციქულოს საკითხავებითურთ. XVII ს. 202 ფ.; ქაღალდი; 16x13,4 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები მთავრულითა და სინგურით, შავი ყდა. გადამწერი: იოსები. კრებულს ახლავს გადამწერის ანდერძი და XVIII ს.-ის ორიოდე მინაწერი (Цагарели 1886: 77 №16).

ელინოფილური თარგმანები
(ეფრემ მცირე)

Ivir.Geo.6.ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII სს. 170 ფ.; ქაღალდი; 37x25,5 სმ.; ნუსხური; ხეზე გადაკრული შავი ხის ყდა; შავი მელანი; სათაურებს უძღვის თავსამკაული სწორკუთხოვანი ჩარჩო ყვავილოვან-ფოთლოვანი სტილიზებური ორნამენტით. შემკაზმველი: ჭუჭაშვილი მიქელ. ხელნაწერი ნაკლულია. საკითხავების რიგითი ნომრის საფუძველზე ჩანს, რომ პირველი 16 თხზულება დაკარგულია. კრებულში შესული ელინოფილური თარგმანი შესრულებულია ეფრემ მცირის (Blake 1931-1932: 313) ან მისი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლის მიერ (აღწერილობა 1986(b):34). ტექსტებს ახლავს სასვენი და მარგინალური ნიშნები, „შეისწავეები“. კრებულში შედის იოანე ოქროპირის 17 ჰომილია, რომელთა იდენტიფიკაცია, ტექსტის დაზიანების გამო, შეუძლებელია (Blake 1931-1932: 25). დღეს შემორჩენილი კრებულის მესამე ჰომილიას დასათაურების გარეშე, როგორც მისი ერთი ადგილის განმარტება, მისდევს გრამატიკული ხასიათის ტრაქტატი ბერძნულ ართრონთა შესახებ (შანიძე 1971(a): 114; 1979:56). ტრაქტატის სათაური აღდგენილია სხვა ქართულ ხელნაწერთა მიხედვით (აღწერილობა 1986(b): 31). თანადროული ანდერძები დაკარგულია, ერთვის გვიანდელი მინაწერები (Цагарели 1886: 94 №85).

Ivir.Geo.18. სამოციქულოს თარგმანება. ეფრემ მცირისეული თარგმანი. XV-XVI სს. 128 ფ; ქაღალდი; 34x23,5 სმ., ნუსხური; შავი მელანი; ქვესათაურები და საზედაო ასოები მთავრულით და სინგურით; თავსა და ბოლოში ჩაწყობილია ორი სხვახელნაწერის ფრაგმენტები: I. 5 ფ, 33x23 სმ. ქაღალდი; შავი მელანი; ნაწერია ნუსხურით; ფრაგმენტი წარმოადგენს გრიგოლ ნოსელის „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ (კოჭლამაზაშვილი 2001: 335-336); II. 6 ფ.; ქაღალდი, 25,5x17,5 სმ.; ნუსხური. ფრაგმენტზე დაცულია პარაკლიტონის ტექსტი Ivir.Geo.26-დან. ხელნაწერი თავნაკლულია. მასში შესულია იოანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან გამოკრებილი სამოციქულოს კატენური განმარტება, ქართულად თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ; ეფთვიმე ათონელის თარგმანი კირილე ალექსანდრიელის „სხჳსა ვისმე ეპისკოპოსისაჲ მიმართ“. ტექსტებს ერთვის ეფრემ მცირის კომენტარები, ანუ „შეისწავეები“ და ვრცელი ანდერძი სამოციქულოს თარგმანთან დაკავშირებით. ხელნაწერი შესწავლილია, ანდერძი გამოქვეყნებულია (Цагарели 1886:

93 №82; დანელია 1974: 27-42; თვალთვაძე 1995: 345-361; 1988: 213-221; 2009: 210-211; კოჭლამაზაშვილი 2003: 3-302). ტექსტები გამოცემულია (ჭელიძე 1989: 192-243; კოჭლამაზიშვილი 2003; 2000-2006-2010).

Ivir.Geo.23. ეფრემ ასურის სწავლანი. [XVI-XVII სს]. 174 ფ.; ქაღალდი; 31x19,5 სმ.; შავი მელანი; ხის ტყავგადაკრული ყდა. კრებული შეიცავს ეფრემ ასურის ჰომილიათა ეფრემ მცირისეულ თარგმანებს, რომლებიც ქართველ მთარგმნელს გაერთიანებული აქვს „ასკეტიკონის" სახელწოდებით 2 წიგნად დაყოფილ კრებულში. ამ ხელნაწერის 16 ჰომილია არის „ასკეტიკონის" პირველი წიგნის - „ეფრემ პირველის" ნაწილი. კრებული დაზიანებულია, არ შემოუნახავს ანდერძ-მინაწერები (Цагарели1886: 94 №83).

საფრანგეთის რესპუბლიკა

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა

საფრანგეთში ქართული ხელნაწერი წიგნი ინახება პარიზში, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა ევროპის უძველესი წიგნსაცავია, რომლის დაარსებასაც საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების განმავლობაში საფრანგეთის სამეფო კარის მიერ შეკრებილ წიგნთა კოლექცია. საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ბიბლიოთეკა იყო ნაციონალიზებული, მან შეიძინა არა მხოლოდ ევროპულ, არამედ აღმოსავლურ წერილობით სიძველეთა უმდიდრესი კოლექციები. სხვადასხვა დროს მას ეწოდებოდა სამეფო, საიმპერატორო და ნაციონალური.

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერი წიგნის პირველი ეგზემპლარი XVIII ს-ის 40-იან წლებში მოხვდა, კერძოდ, 1739 წელს სამეფო ბიბლიოთეკის საცავებში უკვე არსებობდა სვინაქსრის (Geo.4) ქართული ნუსხა, რომელიც იმდროინდელ აღმწერელს სომხურ ხელნაწერთა რიცხვისთვის მიუმატებია, ნომრით 25. იმავე XVIII ს-ში 4 ერთეული შეემატა საიმპერატორო ბიბლიოთეკის საცავს, ხოლო 1866 წლისთვის ბიბლიოთეკის ფონდებში უკვე დაცული იყო 16 ქართული ხელნაწერი წიგნი. მისიონერების, პოლიტიკური მოღვაწეებისა თუ კერძო პირების მეშვეობით ეს ფონდი თანდათანობით ივსებოდა. დღეს ეს კოლექცია 32 ერთეულს ითვლის, რომელთაგან ორი 1865 და 1897 წწ-ში ხელნაწერთა ინვენტარიზაციის დროს ვიქტორ ლანგლუასა და ლეონ ფეერის მიერ შედგენილი ფრანგულენოვანი ხელნაწერი კატალოგია. ქართული ხელნაწერების დათარიღებისა და რაობის დადგენაში ბიბლიოთეკას დიდი დახმარება გაუწია ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. კოლექციის ცალკეულ ერთეულებს დღესაც ერთვის ბროსესეული განმარტებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელნაწერთა ჩამონათვალის პუბლიკაციაზე (Brosset 1830: 113-128; 1833; 1834; 1837). XIX ს-ის დასარულ კოლექციის მოკლე აღწერილობა გამოსცა ალ. ხახანაშვილმა (ხახანაშვილი 1898: 1-20).

მ. ბროსესეული განმარტებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელნაწერთა ჩამონათვალის პუბლიკაციაზე (Brosset 1830:113-128; 1833; 1834; 1837). XIXს-ის დასარულ კოლექციის მოკლე აღწერილობა გამოსცა ალ. ხახანაშვილმა (ხახანაშვილი 1898:1-20).

მარი ფელისიტე ბროსე (1802–1880)

ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი, ფლობდა ბერძნულ, არაბულ, ჩინურ, ქართულსა და სომხურ ენებს. 1825 წლიდან მ. ფ. ბროსე იყო ფრანგ ორიენტალისტთა მიერ დაფუძნებული საზიო საზოგადოების წევრი. მეცნიერთა ამ გაერთიანებამ საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთში აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დაარსებას. საზოგადოების სათავეში იდგნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ანტუან-ისააკ სილვესტრ დე სასი, ეუგენ ბურნუ, ჟან-ფრანსუა შამპილიონი და სხვები. 1822 წლიდან საზოგადოება გამოსცემდა პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს „Journal asiaqique“, რომელიც ამჟამად გამოდის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ სამეცნიერო ინტერესის საფუძველზე მ.ფ. ბროსემ საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიური კვლევას საფრანგეთსა და, ზოგადად, ევროპაში. ბროსეს ქართველოლოგიურ საქმიანობას ხელს უწყობდა თეიმურაზ ბატონიშვილთან (ბაგრატიონთან) მისი კონტაქტები, რომლებიც გაღრმავდა 1839-წლიდან, მას შემდგომ, რაც ფრანგი მეცნიერი აირჩიეს რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრად ქართული და სომხური ფილოლოგიის განხრით. მ.ფ. ბროსეს ეკუთვის

ქართული გრამატიკის, „ვეფხისტყაოსნის“, „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ისტორიულ თხზულებათა ფრანგულენოვანი თარგმანების პუბლიკაცია. მისი პირადი არქივის ნაწილი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც).
1908 წელს გამოვიდა პირველი მოკლე ბეჭდური ფრანგულენოვანი კატალოგი (Makler 1908). მისი შემდგენელი, ფრანგი არმენოლოგი ფრედერიკ მაკლერი, ეყრდნობოდა კოლექციის ხელნაწერ კატალოგებს, ბროსესეულ ცნობებსა და ალ. ხახანაშვილისეული აღწერილობის მონაცემებს. პირველი ქართულ ენაზე შედგენილი სამეცნიერო აღწერილობა, რომელშიც განხილულია ხელნაწერთა ზუსტი რაობა, თარიღი და სხვა რიგის ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები, ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ეს შრომა 1933 წელს გამოსცა პარიზში (თაყაიშვილი 1933, მეორე გამოცემა ამ შრომისა იხ. შარაძე 1991:236-294).

ექვთიმე თაყაიშვილი (1863–1953)

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, ქართული წერილობითი სიძველეების შემგროვებელი და მკვლევარი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1907-1921). 1902-1920 წლებში მისი თაოსნობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები ისტორიულ სამხრეთ საქართველოსა და რაჭა-ლეჩხუმში, გამოიცა ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები. ე თაყაიშვილი იყო სამეცნიერო სერიების „ძველისაქართველო“ და„საქართველოსსიძველენი“ დამფუძნებელი. 1921-1945 წლებში საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს აირჩიეს პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოებისა (1922წ.) და საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად (1925); 1937-1939 წწ-ში იყო მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ თავმჯდომარე. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში – იგი იყო საფრანგეთშიგატანილისაქართველოსსაგანძურისმცველი ამ სიძველეების საქართველოში უკლებლივ დაბრუნებამდე. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, 1945 წელს, მას მიანიჭეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის წოდება; 1946 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ამავე წელს ე. თაყაიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“. მისი სამეცნიერო შრომები დღემდე არ კარგავენ აქტუალობას (თაყაიშვილი: 1891; Такаишвили: 1902; 1906; თაყაიშვილი: 1906; 1909; 1937; 1938; 1947;1963; დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია იხ. ბიობიბლიოგრაფია 2010).
დიდი წვლილი საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ხანმეტი ლექციონარისა და სომხური ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლად გამოყენებული ფრაგმენტის (Geo.31) გამოვლენასა და შესწავლაში მიუძღვის ფრანგ ქართველოლოგ ბერნარ უტიეს.

ბერნარ უტიე (დაბ. 1941წ.)

ფრანგი ქართველოლოგი და ორიენტალისტი, კავკასიოლოგი, აღმოსავლეთ ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი. შესწავლილი და გამოცემული აქვს ქრისტიანული მწერლობის არერთი

ძველი ქართული თარგმანის ტექსტი. იკვლევს შუა საუკუნეების ქართულ-ბერძნულ, ქართულ-არაბულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-სირიულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. მის მიერვეა მიკვლეული და დადგენილი საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხანმეტი ლექციონარისა და X ს-ის ფრაგმენტის, სომხეთში, ირანსა და ლიბანში არსებული ქართული ფრაგმენტების რაობა; წლების განმავლობაში იკვლევს ივირონის, სინის მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერ კოლექციებს. მინიჭებული აქვს საპატიო დოქტორის ტიტული, სხვადასხვა დროს იყო ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისას" სამეცნიერო საბჭოს წევრი, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) კვლევათა ხელმძღვანელი, მონოთეიზმის კვლევის ლაბორატორიის წევრი. 1994-2006 წწ. ჟენევის უნივერსიტეტში უძღვებოდა სომხური ენისა და ლიტერატურის კურსს, ხოლო 2004 წლიდან პარიზის კათოლიკურ უნივერსიტეტში – ქართული ენის კურსს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონსა" და მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით იკვლევდა ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების ტექსტებს, მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტთან (მატენადარანთან) თანამშრომლობით კი – სომხურ ხელნაწერებში ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებულ ქართულ ფრაგმენტებს. ქართული წერილობითი კულტურის შესწავლაში შეტანილი წვლილისათვის არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის ცალკეული ხელნაწერები იკვლიეს მიხეილ თარხნიშვილმა, ელენე მეტრეველმა, ლილი ხევსურიანმა, ლელა ხაჩიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობისა და დასახელებულ მეცნიერთა შრომების გათვალისწინებით 2009 წელს კ.კეკელიძეს სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ნესტან ჩხიკვაძემ, შეადგინა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფრანგულენოვანი კატალოგი, რომლის მოძიებაც შესაძლებელია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: **archivesetmanuscrits.bef.fr/cdc.html.** ამ სამუშაოს შედეგად კოლექციის შესახებ ცნობები გამოქვეყნებულია (ჩხიკვაძე 2009; 2010 (a):106-116). საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის არც თუ მრავალრიცხოვან ქართულ კოლექციაში გაერთიანებული როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის ადრებიზანტიური და მაკედონური პერიოდების რედაქციათა თარგმანები, ასევე XVI-XVIII სს-თა ხელნაწერი წიგნები, რომელთა შესწავლა საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირს თვალი გაადევნოს ხელნაწერი წიგნის სოციალიზაციისა და საგანმანათლებლო ტენდენციების განვითარების საინტერესო სურათს. წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა ექვთიმე თაყაიშვილისა და საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული კატალოგის მონაცემებს, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში შევსებულია ხელნაწერთა მეცნიერული კვლევის შედეგების საფუძველზე.

Geo.1. სასულიერო თხზულებათა კრებული (კათოლიკური). XIXს. დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ მიკროფილმი. წიგნის შესახებ მონაცემები მოგვაქვს ე. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით (თაყაიშვილი 1933:14-23). მცირე ფორმატის; 171ფ.; ქაღალდი, სხვადასხვა ხარისხისა; შემკობილია სხვადასხვა გამოსახულებით, რომელთაც ერთვის ლათინური წარწერები. წიგნის ერთ-ერთი გადამწერი და მომხატველია ვინმე ალექსი, რომელიც რამდენიმე ადგილას მოიხსენიებს საკუთარ თავს: „ღმერთო შეიწყალე ამა ჴელთის და იბაკოაის დამხატავიცა და დამწერიცა მონა ღვთისა ცოდვილი ალექსი, ქორონიკონსა უიგ (1725წ.)" (90v). ხელნაწერი გადაწერილია მხედრულითა და ნუსხურით. წიგნი ქართველ კათოლიკეთა საოჯახო ბიბლიოთეკის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს როგორც მისი შედგენილობა, ასევე მოხატულობაც. კრებული შედის: ღვთისმშობლისა და სხვა გალობები, ნუსხა ჭრელი, კვინკლოსები, ასტრონომიული ნიშ-

ნები განმარტებით, სვლა მთვარისა, 7 მომაკვდინებელი ცოდვა, კათოლიკეთა ლოცვა ქალაქ რომისთვის, სულხან-საბა ორბელიანის საქრისტიანო მოძღვრება, ხირომანტია და 10 კრიპტოგრამა, რომლებიც გახსნილი და შესწავლილი ე. თაყაიშვილის მიერ (თაყაიშვილი 1933:9-14). ხელნაწერი, გარდა ე. თაყაიშვილისა, აღწერილი აქვთ მ. ბროსეს და ა. ხახანაშვილს (Brosset 1834: 143-164; ხახანაშვილი 1898:3).


Geo.2. კატეხიზმო. XVIII ს. 124ფ.; ჭვირნიშნიანი ქაღალდი; 16,5×11,5სმ.; მხედრული; სათურები მთავრულით; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები წითლით; ყდა ყტავგადაკრული მუყაოსი, ტვიფრული. წიგნი დაწერილლია კითხვა-მიგების სახით, გამოყოფილია სამი ნაწილი: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. ბოლოს ერთვის მღვდელმთავრის ლიტურგიის განმარტება.

Geo.3. ლექციონარი. X-XI სს. მიუხნა. 387ფ.; ეტრატი; 36×25 სმ.; ნუსხური; მოყავისფრო შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; XVI ს-ის ტვიფრული ტყავის ყდა. გადამწერი: მონაზონა (237v, 301r). გადაწერის ადგილი უცნობია. ხელნაწერი ნაკლულია. ლექციონარში წარმოდგენილია კალენდარი, ბიბლიური საკითხავები, V-VIII სს-ების იერუსალიმური პრაქტიკის ევქარისტული ლიტურგია. წიგნს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრებიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკისა კვლევის საქმეში. საყურადღებოა, რომ ლექციონარში შეტანილია ქართველ წმინდანთა – წმ. ნინოს, წმ. არჩილის (8 იანვარი), წმ. რაჟდენის (26 ივნისი), წმ. აბიბოს ეპისკოპისის (6 ივლისი), წმ. შუშანიკის (17 ოქტომბერი), ევსტათი მცხეთელის (20 დეკემბერი) და სხვ., ასევე, სომეს წმინდანთა – წმ. გრიგოლ პართელის (21 დეკემბერს), რიფსიმესა და გაიანეს (22 დეკემბერს) ხსენებები (300v-302r). წიგნის გადაწერის ადგილი უცნობია, მაგრამ მისი მოცულობა, რედაქციულობა და კალენდარში ქართველ და სომეხ წმინდანთა ხსენების ჩამატება გვავარაუდებინებს, რომ ხელნაწერი ტაო-კლარჯეთის სივრციდან უნდა მოდიოდეს, ვინაიდან სწორედ X-XI სს-თა მიჯნის ამ სამწიგნობრო გარემოსათვისაა დამახასიათებელი ზემოთ დასახელებული ტენდენციები. გადამწერის ვინაობას ვიგებთ წიგნის 301r-v-ზე არსებული ანდერძიდან და მინაწერებიდან: „ადიდე ნათელი ჩემი მამაჲ სტეფანე დღეგრძელობით, მწერალი მონაზონი ლოცვასა მომიხსენეთ ღმრთისათჳს“ (237v). მინაწერსა და ანდერძში მოსხენიებული სტეფანე, გადამწერის სულიერი მოძღვარი, ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით, უნდა იყოს X ს-ის ბოლო მეოთხედის მოღვაწე სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი (თაყაიშვილი 1933:28). ხელნაწერის ისტორიისათვის მეტად საყურადღებოა მასზე არსებული გვიანდელი მინაწერები. 16r-ზე XVI ს-ის მინაწერის თანახმად, კრებული 480 ფურცლისგან შედგებოდა, მოგვიანო ცნობით კი – 392 ფ. თავში დართული იტალიური მინაწერი გვამცნობს, რომ ხელნაწერი საქართველოდან ევროპაში 1731 წელს გაუტანია კაპუცინ მისიონერთა წინამძღვარს. ლექციონარის ეს უძველესი რედაქცია სამგზისაა გამოცემული (Goussen 1923; Tarchhischvili 1959-1960; დანელია 1987; 1997).



87. Geo.3. 1v.

Geo 4. სვინაქსარი თბილისის მონასტრისა. XIII-XIV სს. 87ფ.; ეტრატი; 27×23 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები და დღეთა აღნიშვნა



88. Geo 4. 19r



89. Geo.5. 229v

სინგურით; ყდა XIX ს. მაროკენის ტვიფრული, ევროპული. სვინაქსარი გიორგი ათონელის რედაქციისაა. მასში შესულია 16 ოქტომბრიდან თებერვლის თვის ჩათვლით საკითხავები, რომელთაგან ერთ-ერთი, კერძოდ, „დავით და კონსტანტინეს ცხოვრება“ გამოქვეყნებული აქვს მ. ბროსეს (Brosset 1830: 113-128; 1837(a): 268-283). სვინაქსრის გადაწერის ზუსტი ადგილი უცნობია. მინაწერებიდან ვიგებთ მხოლოდ, რომ წიგნი XIV-XV სს-ში დიასამიძეთა საგვარეულო თისლის მონასტრის საკუთრება ყოფილა (კლდიაშვილი 1986: 12-13). წიგნი თავდაპირველად შეუკაზმავს ვინმე დემეტრეს (59v). ხელნაწერს უხვად ახლავს მინაწერები, აღაპ-მოსახსენებლები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სამხრეთ საქართველოს ისტორიის კვლევისათვის. თავდაპირველად ეს მინაწერები გამოაქვეყნა მ. ბროსემ (Brosset 1830:113-128). სვინაქსრის აღაპ-მოსახსენებლები ისტორიული რეალიების გათვალისწინებით შესწავლილი და გამოცემულია (კლდიაშვილი 1986).


Geo.5. მარხვანი. XI,XII,XIII სს. კონვოლუტი. შედგება 3 ნაწილისგან. თავ-ბოლო ნაკლული. 292 ფ.; ეტრატი, 27,5×13 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები სინგურით. ფფ. 222, 226-227, 238, 249-292 პალიმფსესტურია; ქვედა ფენა ნაწერია ნუსხურითა და მთავრულით. ხის ტყავგადაკრული, ყვიფრული ყდა. III ნაწილის გადამწერი: ოქროპირი. ხელნაწერის სამივე ნაწილი შეიცავს სხვადასხვა დროს გადაწერილ მარხვანს: I. 2r-216v – გიორგი ათონელის რედაქციის, სავარაუდოდ, მისივე ხელმძღვანელობით XI ს-ში გადაწერილი დიდმარხვის საგალობლები და ანდრია კრიტელის კანონი, გადაწერილი ათონური ტიპის ნუსხურით; 154v-ზე იკითხება გიორგი ათონელისეული ანდერძი, რომელიც სრულად გამოქვეყნებულია (თაყაიშვილი 1933: 267-268). ტექსტი შესწავლილია (ხაჩიძე 1983:264-287; 1987; ხევსურიანი 2001:75-83); II. 217r-222r _ არსენ იყალთოელის თარგმნილი დიდმარხვის საგალობელთა ტექსტია. დართულია პირველი ნაწილის შევსების მიზნით; III. 223r-292v-ზე განსხვავებული ნუსხურითა და სხვა ხარისხის ეტრატზე განთავსებულია დიდ-

მარხვის საგალობელთა და ანდრია კრიტელის კანონის არსენ იყალთოელისეული თარგმანი, გადაწერილი XIII ს-ში, ერთვის არსენ იყალთოელის ანდერძი (248v). გადამწერი: ოქროპირი (248v). ამ ნაწილში 273 r-ზე მოყვანილია ეფრემ მცირის თარგმნილი საგალობელი; სათაურში ვკითხულობთ: „ ახლად თარგმნილი უსაკუთრესითა სიტყჳთა ეფრემის მიერ, ბრძანებითა ბერისა ანტონი ტბელისაჲთა.“ გამოქვეყნებულია არსენ იყალთოელის ანდერძი (თაყაიშვილი 1933:271—272), ასევე, იოანე მინჩხის რამდენიმე საგალობლის ფრანგული თარგმანი (Outtier 1981: 236 n.8; 1997:28-30; 2003: 127-132).


Geo. 6. თვენი. XII-XIII სს. 138ფ.; ეტრატი; 16,5×12 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და ხმათა მითითება სინგურით. თავბოლონაკლული; მუყაოს ყდა. შესულია 3-25 მარტის ჰიმნოგრაფიული კანონები.

Geo. 7. თვენი. XII-XIII სს. 61ფ.; ეტრატი; 24×19 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და ხმათა მითითება სინგურით, ხელნაწერი ადრევე რესტავრირებულია ქაღალდით, ნაკლულია. შესულია 7-31 ივლისის ჰიმნოგრაფიული კანონები. როგორც ჩანს, თვენი სხვა ხელნაწერის ნაწილია, რადგანაც იწყება XXIV რვეულით. მინაწერი მხედრულით 58v-ზე ვინმე იოვანეს მოხსენიებით.

Geo. 8. თვენი. XIII ს. 102ფ.; მოყვითალო ეტრატი; 24×17,5 სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და ხმათა აღნიშვნა სინგურით, მუყაოს ყდა. შესულია ივლისის თვის ჰიმნოგრაფიული კანონები. იწყება 1 ივლისს კოზმან და დამიანესადმი მიძღვნილი კანონით; 20 ივლისს დადებულია ბარლამ სიროკავკასიელისადმი მიძღვნილი ჰიმნები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წმინდანის მოხსენიება ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ჩნდება 19 ივლისს გიორგი ათონელის რედაქციის თვენებში. 20 ივლისს კი, ჩვენი ხელნაწერის მსგავსად, ბარლაამ სიროკავკასიელის ხსენება დადებულია გიორგი ათონელის რედაქციასთან ახლო მდგომ, მაგრამ მაინც განსხვავებულ XIII-XIV სს-თა თვენებში Sin. Geo.O.92, Jer.Geo.107, Jer.Geo. 111. სწორედ ამის საფუძველზე წინამდებარე გამოცემაში ხელნა-



90. Geo.5. ყდის ზედა ფრთა



91. Geo.9. 65r

წერის ე.თაყაიშვილისეული პირობითი დათარიღება (XII ს.) შეცვლილია XIII ს-ით. ხელნაწერი უკავშირდება ისტორიული სამხრეთ საქართველოს რეგიონს, ვინაიდან 96r-ზე მინაწერში მოიხსენიება დიასამიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი: „ქ. ადიდე, ღმერთო, ბატონი კ¯ოზი დიასამისძე იოვანე.“

Geo.9. იოანე ოქროპირი. „მათეს თავის თარგმანება“. XIს. 178 ფ.; ეტრატი; 30×21,5სმ.; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სახარების რამდენიმე მუხლი სინგურით. თავ-ბოლონაკლული. ეფთვიმე ათონელის თარგმანი. ხელნაწერს ერთვის ლეოტი მროველ ეპისკოპოსის რამდენიმე ნუსხურით შესრულებული მინაწერი (11v, 34r, 65r, 115v) ისევე, როგორც Ivir.Geo. 28-ს. ეს კი გვაფიქრებინებს პარიზული და ათონური ნუსხების საერთო წარმომავლობას. 121v-ზე მხედრულით შესრულეული მინაწერი მოიხსენიებს ონოფრე თბილელ ყოფილს, ერისთავის ძეს. „იოვანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების“ ეფთვიმე ათონელისეული ტაქსტი გამოცემულია (თარგმანება 1996,1998; 2014).

Geo.10. „ვეფხისტყაოსანი“. 1702 წ. 304ფ.; ქაღალდი, ჭვირნიშნიანი; 30×20 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და სტროფთა დასაწყისები წითლით; მუყაოს შავტყავგადაკრული ყდა. გადამწერი: ყაზანთ ბეჟოას ქალი (249v). ტექსტი უწიგნური ქართულითაა ნაწერი. გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ხელნაწერში შესულია გადამწერის ლექსი (257v-258v), სამთვარიო (251r-256v), ქართულ ანბანი (296v), რამდენიმე დაავადების სამკურნალო რეცეპტი (297r-v); თათრული ლექსი ქართული ასოებით 298r-301v. (რუსთაველი 2013).

Geo.11. „ვეფხისტყაოსანი“. XIX ს. 172ფ.; ქაღალდი, ნაწილობრივ თეთრი, ნაწილობრივ ლურჯი; ჭვირნიშნიანი; 35,5×21 სმ.; კალიგრაფიული მხედრული; შავი მელანი; სათაურები და სტროფთა დასაწყისები წითლით; ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა. ხელნაწერის გვერდები არეულია. ტექსტი უნდა იკითხებოდეს შემდეგი თანამიმდებრობით: 77v,81v, 81r, 80r, 79v, 79r, 78v, 78r. წიგნი კონვოლუტია: ნაწილობრივ 1712 წელს ნაბეჭდი ტექსტია, ნაწილობრივ – XIX ს-ში შევსებული ხელნაწერი. იწყება 1712 წლის გამოცემასთან დაკავშირებული ცნობით. პოემის შემდგომ ლექსია: „ აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა...(139v)“; ტექსტს 139v-172r-ზე ახლავს ვახტანგ VI-ის კომენტარები: “თარგმანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“ თქუმული ბატონიშვილის გამგებლის, პატრონის ვახტანგისა“. 172 r-ზე შემავსებლის მინაწერია: „სრულ იქმნა წიგნი ესე ყოვლის ზნებაებით სავსე, რომელ ივერიელთა შინა იპოვებიან. დემეტრე“(რუსთაველი 2013).

Geo.12.„ვეფხისტყაოსანი“. 1811 წ. 120 ფ.; 10 დაუწერელია; ქაღალდი; 24×19 სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; ყდა ლურჯი მუყაოსი. გადამწერი: იოანე იალღუზის ძე (120v). ტექსტი იწყება სათაურით: „ამა ამბავის პირუწლი ამო და სასმენელად შუწნიერი სწავლისათჳს მოშაირეთა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანს (!)ვეფხისტყაოსნად უწოდებენ.“ (2r) ხელნაწერს ერთვის ფრანგუულენოვანი მინაწერი რაობასა და წიგნის ბიბლიოთეკაში შესვლასთან დაკავშირებით (1r).

Geo.13.„ომანიანი“. 1782 წ. 91ფ.; ქაღალდი; 19×16 სმ.; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ყავისფერი ყვიფრული ყდა. 2r-ზე მინიატურაა სპარსული მხატვრობის სტილისა; გადამწერი: დავით რექტორი (91r-v). ტექსტი იწყება სათაურით: „ამბავი პირველი ტარიელის შვილის, სარიდანის ძის, ომაინ ჰაბულისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მიებმის ამბავსა ვეფხისტყაოსნისა“(2r). 1r-ზე მინაწერი მხედრულით: „წიგნი ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს.“ ერთვის გადამწერის მხედრულით მინაწერი.

Geo.14. „მირიანი“. 1770 წ. 32ფ.; სქელი, ჭვირნიშნიანი ქაღალდი; 21,4×16 სმ.; მხედრული; შავი მელანი. სათაურები წითლით; მუყაოს ყდა. იწყება. ანონიმი ავტორის ლექსით. 2r-32r _ „ „ქ. ამბავი პირველი, თავი და დასაწყისი ჩინეთის ჴელმწიფისა. ამა წიგნსა ეწოდების „მირიანი“. 32r-ზე გადამწერის მინაწერი: „ქ. აღიწერა მირისა და ნომიავთარის წიგნი სამსა დღესა და ამისთვის ვერ-

არაი ჭელი იქმნა. თებერვალსა იზ. ქორონიკონს უნზ" ".ხელნაწერის შესახებ ცნობები გამოქვეყნებულია (Brosset1834: 240-241; 1837(a): VIII, №13).

Geo.15. „ბარამიანი". 1769წ. 01+83ფ.; ქაღალდი; 22×16სმ.; მხედრული; სათაურები წითლით; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა. წიგნი შეიცავს 1726 წელს ონანა მდივნის მიერ ასტრახანში გალექსილი „ბარამიანის" 1769 წლის ასლს. ტექსტი შესწორებულია დავით რექტორის მიერ: „ქ. ეს „ბარამიანი" მე, ალექსის ძემ, დავითმან გავმართ. ქ¯კს უოვ. თიბათვის თ." კრებული იწყება საბა ყაფლანიშვილის (ორბელიანის), არჩილ მეფის, ვახტანგ მეექვსის, ანახანუმისა და სხვათა ლექსებით, მოსდევს ანჩინური ანბანური სამალავის ახსნა-განმარტება (Такаишвили 1902: 532-540,541-562).

Geo.16. „ალზირა, ანუ ამერიკელნი". XIX ს. 35ფ.; ლურჯი ჭვირნიშნიანი ქაღალდი; 32x20,5სმ.; მხედრული; შავი მელანი; მუყაოს ყდა. ხელნაწერში გადაწერილია ვოლტერის თზხულების ქართული თარგმანი, შესრულებული ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ. წიგნს საცავ ფურცელზე მხედრულით შესრულებული მინაწერი: „ წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლანგლუას."

Geo.17. სულხან-საბა ორბელიანი. „სიტყვის კონა". 1812წ. 322 ფ.; თეთრი და ლურჯი ჭვირნიშნიანი ქაღალდი; 20,5×16,5 სმ.; შავი მელანი. მხედრული, საზედაო ასოები ნუსხურით, სათაურები და საზედაო ასოები წითლით, შავტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა. გადამწერი: იოვანე იალღუზისძე (322r). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სრული ვერსია. წიგნის შედგენილობა: „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათათვის" (1r-4r), საქცევნი ხუთთა ხმოვანთა ასოთანი და სწავლა ასოთა და თავბოლოთანი" (4v-5v), „ანდერძი ამის მუშაკისა" (6r-8r)-ესაა სულხან-საბას ანდერძი, რომელშიც განმარტებულია ლექსიკონის შედგენის მიზნები; აქვეა ექფონეტიკურ და ლექსიკონის პირობით ნიშანთა განმარტება (7v-9r), „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი" (10r-316r), „მოხელენი, რომელ არიან ქართულნი" (316v-318v), მნათობთა განლაგების რუკა (32v), სულხან-საბას ლექსი (320r), კვიმატ დღეთა ნუსხა (323r). ციციშვილთა საგვარეულოს მოსახსენებლები 322v, 323v და ყდის საცავ ფურცელზე (Brosset 1834).

Geo.18. დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი). ღრამატიკა. XVIII ს. 81ფ.+5 დაუწერელი, ლურჯი და თეთრი ქაღალდი; 19,5×15,5სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; ევროპული, წითელი ყდა. გადამწერი უცნობია. ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი XII-ის ძის, დავით ბატონიშვილის, მიერ შედგენილ გრამატიკის სახელმძღვანელოს. 3r-v-ზე გრამატიკას უძღვის დავით ბატონიშვილის მიძღვნა ერეკლე II-დმი: „მის უმაღლესობას, სრულიად ზემოისა საქართველოსა მეფესა, მეორესა ირაკლის, ყოვლად უმაღლესსა და უმოწყალესსა ჯელმწიფესსა..." წიგნის დასაწყისში თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით შესრულებული მინაწერია: „ ღრამატიკა ესე, ვინაითგან არს ქართულსა ენასა შინა ურჩეულესი, ამისთჳს უძღვნი დიდებულსა პარიჟის ყოვლად ბრძენსა მეაზიელესა საზოგადოებას, რათა წევრნი მისნი ქართულისა ენისა მეცნიერნი, სარგენლობდენ ამით. უუპატიცვემულესად, სრულიად ზემოჲსა საქართველოჲსა და სხვათა მეფის, გიორგი მეათცამეტის, ძე თეიურაზი." თეთრ დაუწერელ ქაღალდ უზის დამღა, თაყაიშვილი ათარიღებს 1888 წლით. წიგნი აკინძული უნდა იყოს თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით რუსეთში. ხელნაწერი ნასწორებია დავით ბატონიშვილის მიერ. მისივე ხელით 81v რუსული სიტყვებია ქართული ასოებით. აქვეა ამავე მინაწერის ფრანგული თარგმანი, შესრულებული მ. ბროსეს მიერ და მისივე კომენტარი ფრანგულ ენაზე, რომ წიგნი ეკუთვნის პარიზის საარიო საზოგადოებას, რომლისთვისაც გადაიწერა სპეციალურად.

Geo.19. ქართული ღრამატიკა. XIX ს. I ნახევარი. 23ფ.; ლურჯი ქაღალდი; 22×16,5 სმ.; შავი მელანი; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით; მუყაოს ყდა.

Geo.20. ქართული ღრამატიკა. XIX ს. 52ფ.; ლურჯი ქაღალდი, 22,5×17 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მხედრულითა და ნუსხურით; ყდა მუყაოსი. სასწავლო წიგნი.

52r-ზე ახლავს მინაწერი: „ საყუარელო შვილო ჩემო, შენ აწ იცი ბუნებითისა ენისა შენისა ასონი. შენ უწყი ჩათვლად ლექსთა. აწ ჯერ არს შენდა სწავლად მტკიცედ ჰკითხულობად (!) და ახწერად (!). იხმე მისდამო ყოველი ზრუვა შენი, რათმცა დასასრულ იყო შენ კეთილი ქრისტიანე კეთილი მოქალაქე და ჰსცხო წესო შენი საქმითა.“ 52v-ზე რუსულ-ქართული გაურკვეველი ნაწერია. ერთგან იკითხება: „ესე ღრამატიკა ალექსანდრე...“

Geo.21. ანტონ კათალიკოსი. ლოღიკა. XIX ს. 04ფ+79გვ.; ლურჯი და თეთრი ქაღალდი; 22,5×17 სმ.; ლურჯი ქაღალდის ჰვირნიშანი თარიღდება 1807 წლით, რუსული წარმოებისაა. მხედრული, ყავისფერი მელანი; სათაურები ნუსხურით. წიგნი შედგება 7 თავისგან; უძღვის წინასიტყვაობა, ერთვის შენიშვნა, რომ ეს პირველი ნაწილია ანტონის ლოგიკისა.

Geo.22. თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი). „შემოკლებული მოთხრობა გამოკრებილი უწინარეს მდგომისა ამის საუკუნისა აღმწერელთაგან საქართველოისა ისტორიათა“. 1832წ. 182გვ.; ქაღალდი რუსული ჰვირნიშნით; 19,5×11,5სმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი; საზედაო ასოები და რვეულებრივი აღისხვა წითლით. წითელი ევროპული ყდა, ოქროსფრად მოვარაყებული. ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფია. გადაწერილია სანქტ-პეტერბურგში სპეციალურად სააზიო საზოგადოებისთვის, რასაც ადასტურებს თავად შემდგენლის განმარტებითი ტექსტი: „ფრანციელთა ერთა დიდებულისა ქალაქს პარიჟს ყოვლად ბრძნისა მეაზიელისა მიმართ საზოგადოებისა მიიძღვანების შრომილი ესე... აღიწერა ქალაქსა შინა სანკტ-პეტერბურღს“. (2-ნგვ.). „ქართლის ცხოვრების“ ეს შემოკლებული ვარიანტი შედგენილია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ.


Geo.23. ქართული ქრონიკა. XIX ს. 96ფ+5 დაუწერელი; ჰვირნიშნიანი ქაღალდი; 22×16 სმ.; მხედრული; ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა. ქრონიკა იწყება 1373 წლიდან და მთავრდება 1708 წლით. შემდგენელი და გადამწერი უცნობია. ტექსტი ფრანგულ ენაზე თარგმნილი და გამოცემულია (Brosset 1830).

Geo.24. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1823 წ. 282ფ.; ქაღალდი; 34×21 სმ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები წითლით. მუყაოს შავტყავგადაკრული ყდა, ტვიფრული; გადამწერი ნიკოლოზ მოსეს ძე ბაღინოვი (282r). ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI სამართლის წიგნის სრულ ვერსიას. 1825 წელს თბილისში იგი შეუძენია საფრანგეთის კონსულ ჟ.ფ. გამბას, რისი დამადასტურებელი მინაწერიც ახლავს ხელნაწერს ყდის საცავ ფურცელზე. ამავე ხელნაწერის მ.ფ. ბროსეს მიერ 1828-1829 წლებში გადაწერილი პირი ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში - ხელ S-3682. მ. ბროსეეული ნუსხა აღწერილი გამოცემული აქვს ე. თაყიშვილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის აღწერილობაში (Такаишвили 1906 :614-671).

Geo.25.სოლომონ I-ის წერილი პაპ პი (პიუს) VI-დმი. 1779 წ. 3ფ+1 კონვერტი; ჰვირნიშნიანი ქაღალდი; სხვადასხვა ზომისა: Iფ. 27×19,5 სმ., II-IIIფფ. 22,5×18,2 სმ.; მხედრული; შავი მელანი. ფ.1 იტალიური თარგმანი; ფ.3 სოლომონ I-ის ბეჭედი. წერილი სოლომონ I-ის ავტოგრაფია. დაწერილია 1778 წელს, ახლავს იტალიური თარგმანი. წერილი წარმოადგენს თხოვნას პაპისადმი, ურჯულოთაგან შევიწროვებულ ქვეყანას გამოუგზავნოს 2 ექიმი და წამლები. ერთეულს არ უზის პაპის სამდივნოს ბეჭედი. როგორც ჩანს, იგი თავიდანვე შესულია საფრანგეთის საიმპერატორო, ამჟამად ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდში როგორც აღმოსავლური წერის ნიმუში. ტექსტი გამოცემულია მ. ბროსესა (Brosset 1833) და ე. თაყაიშვილის მიერ (თაყაიშვილი 1933: 56-57).

Geo.26. სამდივნო წიგნი. XVIII ს. 70ფ.; ქაღალდი; 30×22 სმ.; მხედრული; 2 ხელი: 1r-44r და 45r-69r. ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა, ხის დაფების გარეშე. გადამწერი უცნობია. ხელნაწერში შესულია: 1638-1730 წწ. შორის დათარიღებული 111 წერილის ასლი; წერილები ეკუთვნით: ვახტანგ VI-ს, მისი ოჯახის წევრებს, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს როსტომ მეფისადმი, მარიამ დედო-

ფალს, ხონთქარ მურად IV-სა სეფე შაჰისადმი და სხვ.; 70r-v-ზე ქართული ფულის სათვალავია წარმოდგენილი; ე. თაყაიშვილის შენიშვნით, აქ წარმოდგენილი ფულის ანგარიში ეთანხმება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნისა და ევროპელ მოგზაურთა, ტურნეფორისა და გვილდენშტეტის, ცნობებს (თაყაიშვილი 1933:58-60). აღნიშნული პრობლება განხილული აქვს ივ. ჯავახიშვილს ნუმიზმატიკა-მეტროლოგიაში (ჯავახიშვილი 1999: 562-568). 01ფ-ზე ხელნაწერს უძღვის მ. ბროსეს წინასიტყვაობა (ფრანგულ ენაზე), რომელიც განკუთვნილია საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ყრილობისადმი. წინასიტყვაობაში ავტორი აცნობებს აკადემიას ხელნაწერის რაობასა და მნიშვნელობას.



92. Geo.28. 6r

Geo.27. იოვანე ქართველოვი (ქართველიშვილი). ქართული ღრამატიკა. XIX ს. 67ფ.; ლურჯი ქაღალდი, სხვადასხვა ზომისა: 20×15 ან 21×12 სმ.; ამჟამად დაკრულია თეთრ ფურცლებზე; მხედრული; სათაურები მთავრულით; ყდა მუყაოსი. წიგნის სრული სათაურია: „ქართული ღრამატიკა შეთხზული ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღურის, პროტოპოპის იოანე ქართუელოვისგან სახმარად მასვე სასწავლებელსა, 1809 წელსა, თფილისს.“ 3r-ზე ავტორის წინათქმაა, რომელშიც განმარტებულია გრამატიკის შედგენის პრინციპები და მიზნები. გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის მიერ (თაყაიშვილი 1933:60-61). ტექსტის ნაწილი რუსულია, წიგნში შედის რუსულ-ქართული სასაუბროები, მრგვლოვანი, ნუსხური ანბანი, პარადიგმები. ეს უნდა იყოს საგაკვეთილო ჩანაწერები.

Geo.28. ოთხთავი. XII ს. 5+247ფ.; ეტრატი; 24×18 სმ.; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; ზოგი საზედაო შემოხაზულია ოქრომელნით. 8 მინიატურა: კამარები (2r-3v), მახარებელთა გამოსახულებები: მათე (6v), მარკოზ (71v) ლუკა (110v), იოვანე (179v); მახარებელთა გამოსახულებები შესრულებულია verso-ზე, recto დაუწერელია; ყდა მე-19-მე-20სს. არშიები ჩამოჭრილია აკინძვის დროს. მომგებლები: ბასილი და დიმიტრი; გადამწერი: მალდავითის ძე(224v); ყდის განმაახლებელი ურბნელი ეპისკოპოსი ვლასე (247v), მონაზონი ანდრია. ოთხთავი გადაწერილია საქართველოში და შეწირულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის, 6r-v-ზე მომგებელთა ანდერძია მხედრულით შესრულებული, რომლის პირველი ნაწილი ამოფხეკილია. ხელის მიხედვით ე. თაყაიშვილი ხელნაწერს ათარიღებს XIII ს-ით. ხელნაწერის 246v-ზე დართული შეჰანელ მოღვაწეთა მოსახსენებლის საფუძველზე ე. მეტრეველი ხელნაწერს XII ს.-ს მიაკუთვნებს (მეტრეველი 2007: 277-281). ოთხთავს ერთვის ტამპლიერთა ორდენის წევრთა მოსახსენებლები. ოთხთავის ტექსტი არაა ნაკვლევი.

Geo.30. ხანმეტი ლექციონარი. იადგარი. ფრაგმენტები. VII, X სს. 5ფ.; ეტრატი, 2 სხვადასხვა ფრაგმენტი: I. 1r-v, 16×14,5 სმ.; მსხვილი მთავრული; ყავისფერი მელანი; II. 2r-5r, 15,4×13,5 სმ.; სირიულ-ქართული პალიმფსესტი; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და ხმათა მითითე-

ბები სინგურით; გადამწერი იოვანე-ზოსიმე. ორივე ფრაგმენტი აკინძულია ერთად. ჩასმულია ბუყაოს ყდაში. ხელნაწერის პირველი ფურცელი წარმოადგენს ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტს, რომლის ძირითადი ნაწილი დაცულია ავსტრიაში Graz. Geo. 2058/1. ლექციონარის პარიზულ ფრაგმენტებზე გადაწერილია ახალი აღთქმის აღდგომის კვირის საკითხავები. პარიზული ფრაგმენტის იდენტიფიკაცია ეკუთვნის ფრანგ ქართველოლოგ ბერნარ უტიეს, რომელმაც 1970 წელს დაადგინა მისი რაობა (Outtier 1972:399-402; უტიე 1973: 173-175). ხანმეტი ლექციონარის ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია (შანიძე 1944). მეორე ფრაგმენტი, სირიულ-ქართული პალიმფსესტი, როგორც ჩანს, დიდი ფურცლის ნაწილია. წარმოადგენს იოვანე-ზოსიმეს გადაწერილი იადგარის ნაწილს, კერძოდ, ივნისი 12-ის მასალას-წმ. ბარნაბა მოციქულის დღესასწაულის საკითხავს. ტექსტი იდენტიფიცირებულია ლ. ხევსურიანის მიერ (ხევსურიანი 1978:88-122; აღწერილობა 1987:177 №55. შენ.), ხოლო პალიმფსესტის ქვედა ფენის სირიული ტექსტი – ბ. უტიეს მიერ (Outtier 1984: 73-79).

Geo.31.ლიტურგიკული კრებული. ფრაგმენტი. X ს. 1ფ.; ეტრატი, მოყვითალო, რვეულის გაშლილი ფურცელი, 16×22 სმ.; შემოჭრილია, თავდაპირველი ზომა: 17,5×22 სმ.; მელანი ყავისფერი, მთავრული მსხვილი, მითითებულია რვეულებრივი სათვალავი იგ (13). ფრაგმენტი სომხური ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლად იყო გამოყენებული. გამოვლენილია ბ. უტიეს მიერ. ტექსტი, სავარაუდოდ, ლიტურგიკული შინაარსისაა, პალეოგრაფიული ნიშნებით შესაძლოა დათარიღდეს Xს-ით. მცირე მოცულობის ფრაგმენტია, რომლის იდენტიფიცირება ჯერჯერობით ვერ ხერხდება (ჩხიკვაძე 2009; 2010 (a):411-420).

გარდა ქართული კოლექციისა, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდებში, როგორც გაირკვა, დაცულია ქართული ხელნაწერი წიგნის კიდევ 4 ფურცელი, რომლებიც გამოქვეყნებულია ციფრულ ბიბლიოთეკაში Gallica. ქართული ფურცლები 1724 წლით დათარიღებული, ოსმალურით გადაწერილი სირიული ოთხთავის Arabe 53 საცავ ფურცლებადაა გამოყენებული. (**ob.https://gallica.bnf.fr/accueil/en/content/accueil-en?mode=desktop**).

Arabe 53. ლექციონარი. IX-X ს. 4 ფ. ეტრატი; მთავრული; ამჟამად ფურცლის ზომა შეესაბამება სირიული ოთხთავის ფურცლის ზომას:15,5x9,5 სმ. ჩაკინძულია თავსა (ფფ.1v-3r) და ბოლოში, თავად სირიული ოთხთავის დასასრულიდან 7 ცარიელი ფურცლის შემდგომ, ფფ. 228v, 230r[1]; ბოლო 2 ფრაგმენტი არ არის შეტანილი ხელნაწერზე აღნიშნულ პაგინაციაში. ფორზაცად გამოყენებული ეტრატის ქართული ფურცლები დაკრულია ქაღალდზე, ამიტომაც იკითხება მხოლოდ 1 გვერდი - recto ან verso. ფრაგმენტები ჩაკერებულია გვერდების შენაცვლებით, ანუ recto versos-ს ნაცვლად და პირუკუ. X ს-ის მთავრულით 2 სვეტად გადაწერილი დიდი მოცულობის ეტრატი მოჭრილია სირიული ხელნაწერის ფურცლის ზომაზე, თითო ფრაგმენტი შეიცავს ქართული ხელნაწერის თითო სვეტს[2]. ოთხივე ფრაგმენტი ნაწერია ერთი ხელით, იკითხება 21-22 სტრიქონი. **I ფრაგმენტი.** 1v რეალურად წარმოადგენს ქართული ფურცლის rb სვეტს; 21 სტრ. ზედა მარცხენა კიდე დაზიანებულია, არმიაზე სირიული და ლათინური ანბანით შესრულებული მინაწერებია, ლათინური ტექტი გადასულია. ფურცელზე გადაწერილია პავლეს ეპისტოლეები _ **ეფესელთა მიმართ 3,14- 20**: „მოვიდრეკ მუჯლთა/ [ჩემთა] მამისა მიმართ - იგი შემმლებელ არს უფროჲს ყოვლისა ყოფად უმეტესად“. **II ფრაგმენტი:** 3r, რეალურად ქართული ხელნაწერის va სვეტი; 21 სტრ.; ზედა მარცხენა კუთხე დაზიანებულია; მელანი ალაგ-ალაგ გაუფერულებულია; **დაბადება 45, 1-6**: „რაჟამს გამოეცხადებოდა/...ძმათა თჳსთა - რამეთუ ესე მეორეღა წელი არს სიყმ[ი]/ ლი“. ტექსტი მიჰყვება ქართული ბიბლიის ოშკურ რედაქციას. **III ფრაგმენტი:** 228v; ქართული ხელნაწერის rb სვეტი; 22 სტრ. 1-ლი არ იკითხება, წაჭრილია; **დაბადება 45,9-13:** „[იწრ]აფეთ და აღვედით მამისა ჩემ/ისა -

[1] სირიული ოთხთავის ფურცლობრივი სათვალავი აღნუსხულია verso-ზე, ზედა კუთხეში.

[2] ციფრული ასლი ob.https://gallica.bnf.fr/ark:/12148/btv1b11000394j/f234.image.r=georgiens%20manuscrits

დიდებაჲ ჩემი ეგჳპტეს შინა/ რაოდენცა იხილეთ და ადრ...ალთ.“ **IV ფრაგმენტი: 230r**; ქართული ხელნაწერის **va**, 22 სტრ., 1-ლი არ იკითხება, წაჭრილია. ზედა მარცხენა კუთხე დაზიანებული, დალაქავებული; **დანიელი 7,22-27: „**იგი დღეთაჲ და საშჯელი წმიდათა/ მაღლისათა - ვიდრე ჟამადმდჱ ერთად და ჟამთა და/ კლ....მამისა საშჯელი.“

ქართული ფრაგმენტების დათარიღებისას, გარდა ტექსტის რედაქციული თავისებურებებისა და კრებულის რაობისა, გათვალისწინებულია პალეოგრაფიული თავისებურებებიც, რომლებიც შეესაბამება IX-X სს-ის ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიას. ყურადღებაა, რომ სირიული ოთხთავის ეს ხელნაწერი შეძენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, მდ.ტიგროსის სანაპიროზე, ამიდში (დღევანდელი დიარბაქირი). თუკი ვივარაუდებთ, რომ ქართული ფრაგმენტებიც სირიული ხელნაწერის თურქეთიდან გამოტანის დროსვე იყო მასში ჩაკერებული ან მასთან ერთად შეძენილი, მაშინ მათი რედაქციული და პალიოგრაფიული თავისებურებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ტაოკლარჯული წარმომავლობის ქართული ხელნაწერის ფურცლებთან.

სომხეთის რესპუბლიკა

მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტი (მატენადარანი)

სომხეთში, ერევანში, მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტში (მატენადარანში) დაცული ქართული ხელნაწერების კოლექცია შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

- საკუთრივ ქართული ხელნაწერები;
- სომხური ხელნაწერების ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ქართული ხელნაწერი ფურცლები;
- ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები.

ზემოთ დასახელებული კოლექციებიდან არც ერთის კატალოგი შედგენილი არ არის. ამდენად, სომხეთში დაცული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების შესახებ ინფორმაციისათვის ვეყრდნობით საკითხის ირგვლივ არსებულ ცალკეულ პუბლიკაციებს (Mapp 1913: 389-398; მაჭავარიანი 1961: 141-154; ჭანკიევი 1975: 5-14; შარაშიძე 1986 (b): 114-121; ცინდელიანი 1989: 38-50), კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთ ეროვნულ ცენტრში დაცულ ფოტოპირებს, საარქივო მასალას (ი. აბულაძის, ქ. შარაშიძისა და ცენტრის სამეცნიერო არქივებს), ტიტუსის საძიებო სისტემაში განთავსებულ ინფორმაციას[1], აგრეთე სომხური ხელნაწერების სომხურენოვან აღწერილობებს, რომლებშიც რიგ შემთხვევებში მოცემულია ინფორმაცია სომხურ ხელნაწერებში დაცული ქართულენოვანი საცავი ფურცლების შესახებ[2]. უკანასკნელ წლებში დაიბეჭდა საცავი ფურცლების კვლევის საინტერესო შედეგები ტექსტების თანხლებითურთ (Gippert 2009: 584-603). დაუზუსტებელი ინფორმაციით, მატენადარანში დაცულია 35-მდე ქართული ხელნაწერი წიგნი, ყდის საცავად გამოყენებული 186 ფურცელი და ცალკე არსებული 40 ფრაგმენტის 111 ფურცელი. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე:

1. უცხოურ ხელნაწერთა ფონდი №161: სახარება. XIII ს. ძირითადი ტექსტი 275 ფ.; + 2 მინაწერებიანი ფორზაცი. ტყავგადაკრული, მოჭედილი ტვიფრული ხის ყდა. ხელნაწერი წლების განმავლობაში ეჩმიაძინში, საეკლესიო მუზეუმში, ინახებოდა. მის შესახებ პირველადი, მოკლე საკატალოგე ინფორმაცია 1960 წელს ჟურნალ „ეჩმიაძინის“სექტემბრის თვის ნომერში დაიბეჭდა (Էջմիածին 1960: 61-62). ხელნაწერს მრავლად ახლავს მემორიალური და მოსახსენიებელი წარწერები. 274r გვერდზე არსებული მინაწერით ირკვევა, რომ ხელნაწერი ტაოკლარჯული უნდა იყოს: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იშხნელი მთავარეფისკოპოზ მაკ[ა]რი, შეუნდვენ ღმერთმან...“ ხელნაწერი მოხატულია. სახელოვნებათმცოდნეო ლიტარეტურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ეჩმიაძინის ოთხთავი მოხარულობის თვალსაზრისით ვანის (ხეც A-1335) ოთხთავს იმეორებს (მაჭავარიანი 1961: 141-154). ხელნაწერი ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც ვანის ოთხთავიდან მომდინარეობს (ჭანკიევი 1975: 5-14).

2. მატენადარანის №13 (2922). მდივნობის სასწავლო წიგნი. ხელნაწერი იშვიათი არქიტექტონიკისაა, წარმოადგენს არა მდივნის ყოველგვარი დოკუმენტების მექანიკურად გაერთიანებულ არქივს, არამედ სანიმუშო საბუთების ნაკრებს. საინტერსოა პედაგოგიკური თვალსაზრისითაც, ყველა დოკუმენტს ავთენტურობის ბეჭედი უზის. ერთვის დავით გურამიშვილის ლექსი (შარაშიძე 1986: 119).

3. მატენადარანის №14. ჟამნი. XVIII ს. I ნახევარი. ახლავს საინტერესო მინაწერები, მათ შორის XVIII ს. II ნახევრის აფხაზეთის საკათალიკოსოში არსებული საეპისკოპოსო კათედრების ნუსხა:

[1] http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de

[2] სომხური ხელნაწერის აღწერილობები იხ: http://www.matenadaran.am/?id=82&lng=4

ქ: ქათალიკოზი
ქ: ქუთათელი
ქ: გენათელი
ქ: მთავარეპისკოპოზი
ქ: ჩაისელი
ქ: ჭერნჭისელი (წალენჯიხელი?)
ქ: ცაგერელი
ქ: ნიკორწმიდელი
ქ: ჭყონდელი
ქ: ხოფელი
ქ: ჯუმათელი
ქ: შემოქმედელი
ქ: ხინოწმიდელი
ქ: დრანდელი
ქ: მოქველი
ქ: ბედიელი

სომხური ხელნაწერების საცავ ფურცლებად გამოყენებული ქართული ფრაგმენტები

№21 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, საგალობლები. X ს. ნუსხური.
№145 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ფსალმუნი, XVI ს. ნუსხური.
№169 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ბიბლია, XII ს. ნუსხური.
№222 – თავში ორი შუაზე გაკეცილი ფურცელი, ტოვებს ოთხი ფურცლის შთაბეჭდილებას, თვენი. XIII-XIV სს. ნუსხური.
№223 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ბიბლია (II ნეშტთა). XIII ს. ნუსხური.
№225 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, თვენი. XII ს. ნუსხური.
№235 – თავში ორი ფურცელი, იოანეს სახარება, XII ს. ნუსხური.
№245 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, საგალობელი, XIII ს. ნუსხური.
№303 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XI ს. ოთხთავი.
№333 – ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. თვენი (ივლისი).
№592 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ნუსხური. XI ს. მამათა სწავლანი.
№719 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XII ს. ბიბლია (II მეფეთა, I ნეშტთა).
№744 – თავში ეტრატის ერთ ფურცელი, ასომთავრული. X ს. ჰაგიოგრაფია (აბიბოს წამება).
№799 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ასომთავრული. X ს. ოთხთავი.
№834 – თავში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XI ს. სვინაქსარი.
№891 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XII ს. ბიბლია (ნეშტთა).
№961 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XI ს. ოთხთავი.
№966 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. ლექციონარი.
№1024 – თითო ფურცელი თავსა და ბოლოში, ნუსხური. XII ს. ბიბლია (ნეშტთა).
№1071 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, X ს. პალიმფსესტი. ბიბლია (გამოსლვათა).
№1137 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XIV-XV სს. თვენი.
№1189 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. თვენი.
№1253 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XI ს. იადგარი (აქვს სანოტო ნიშანი).
№1262 – ფურცელთა რაოდენობა უცნობია, ნუსხური, XII-XIII სს. ბიბლია (II მეფეთა).
№1304 – ეტრატის ორად გაკეცილი ერთი ფურცელი, ნუსხური. XIV ს. თვენი.
№1318 – ბოლოში ერთი ფურცელი, ნუსხური. XIII ს. ბიბლია.
№1319 – ბოლოში ყდაზე მიწებებული, დიდი ფორმატის ფურცელი; მასალა უცნობია; ნუსხური. XIII ს. ბიბლია (IV მეფეთა).

№1320 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. ბიბლია (ნეემია).
№1334 – ფურცელთა რაოდენობა უცნობია; ქაღალდი, მხედრული. XVIII-XIX სს. იგავები.
№1335 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ასომთავრული. X ს. ლექციონარი.
№1427 – თავსა და ბოლოში ორი ფურცელი, ნუსხური. XI-XII სს. პავლენი.
№1428 – თავსა და ბოლოში ორ-ორი ფურცელი, მაგრამ სხვადასხვა ტექსტია, ნუსხური. თავში XIII ს. თვენი. ბოლოში XI ს. პავლენი.
№1554 – თავსა და ბოლოში ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XII ს. ბიბლია (ნეშტთა).
№1561 – თავში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XIV-XV სს. ლოცვანი.
№1615 – ბოლოში ეტრატის ფურცელი, ასომთავრული. X ს. პეტრეს წამება (?).
№1625 – ბოლოში ეტრატის ერთ ფურცელი, ასომთავრული. X ს. ლექციონარი.
№1659 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. ახალი ტიპის ლექციონარი.
№1694 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. ბიბლია (II ნეშტთა).
№1712 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, დაზიანებული, ნუსხური. XV ს. ფსალმუნი.
№1715 – ბოლოში ერთ ფურცელი, ნუსხური. XIII ს. ლიტურგიკული კრებული.
№1912 – ბოლოში ქაღალდის ორი ფურცელი, ნუსხური. XIV-XV სს. თვენი.
№1981 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XII ს. თვენი.
№2076 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. თვენი.
№2116 – თავში ეტრატის ორი, ბოლოში კი ერთი ფურცელი. მეორე მოხეულია, ნუსხური. XV-XVI სს. ავგაროზი.
№2178 – ეტრატის ერთი ფურცელი, ასომთავრული. X ს. ლექციონარი.
№2276 – ბოლოში პერგამენტის ორი ფურცელი, ნუსხური. XI ს. ლექციონარი.
№2277 – თავში ორი ფურცელი, ნუსხური. XIV ს. თვენი.
№2380 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. თვენი.
№2400 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, მხედრული. XVI-XVII სს. რაობა გაურკვეველია.
№2401 – თავში და ბოლოში ორი ფურცელი, ნუსხური. XIII ს. ახალი ტიპის ლექციონარი.
№2515 – ბოლოში ერთ ფურცელი, ნუსხური. XIII ს. ლექციონარი.
№2607 – თავში პერგამენტის ერთ ფურცელი, ნუსხური. X-XI სს. ლექციონარი.
№2660 – თავსა და ბოლოში თითო პერგამენტის ფურცელი, ასომთავრული. IX-X სს. კრებული ან ჟამნი (გავს შატბერდის კრებულის ხელს).
№2806 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, დაზიანებული, მხედრული. შესაძლებელია იყოს ისტორიული დოკუმენტი.
№2846 – თავში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XIII ს. სვინაქსარი (იხ. №5623).
№2901 თავსა და ბოლოში ქაღალდის ორ-ორი ფურცელი, მხედრული. XVIII ს. რაობა გაურკვეველია.
№3001 – თავსა და ბოლოში ორად გაკეცილი ეტრატის ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. ბიბლია (II მეფეთა. უნდა იყოს №6653 ნაწილი).
№3050 – თავში ერთ ფურცელი, ნუსხური. XIV- XV სს. თვენი.
№3207 – ფურცელთა რაოდენობა უცნობია, ახლავს მხედრული მინაწერები, XVIII ს.
№3285 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი სხვადასხვა ხელნაწერიდან, XV ს. ნუსხური. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან.
№3330 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. X ს. მრავალთავი.
№3602 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ნუსხური. XIII ს. საკითხავები.

№3716 – ეტრატის ერთი ფურცელი, ასომთავრული. X ს. სახარება.
№3758 – ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XIII ს. სწავლანი.
№4640 – თავში ორი ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. საკითხავები.
№4642 – ბოლოში ეტრატის ერთ ფურცელი, ნუსხური. XI ს. ბოლო. თვენი.
№5623 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, ნუსხური. XI ს. სვინაქსარი (რიფსიმიანთა წამების ნაწილი).
№5633 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ასომთავრული. X ს. ოთხთავი.
№5906 – თავსა და ბოლოში ორი ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. თვენი.
№6186 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XI ს. სვინაქსარი.
№6414 – ბოლოში ეტრატის ერთ ფურცელი, ნუსხური. XI ს. სვინაქსარი.
№6474 – ბოლოში ეტრატის ერთი ფურცელი, ნუსხური. XVI ს. ლიტურგიკული კრებული, შესაძლოა კურთხევანი.
№6504 – თავში ქაღალდის ორი ფურცელი, ნუსხური. XVI ს. თვენი (?).
№6560 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, ასომთავრული. IX-X სს. ოთხთავი.
№6653 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XII-XIII ს. ბიბლია (III მეფეთა).
№6705 – თავსა და ბოლოში ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XIII-XIV სს. თვენი.
№6775 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, XI ს. იადგარი ან თვენი (გავს ათონურ ხელს).
№6792 – ბოლოში ერთ ფურცელი, ნუსხური. XI-XII სს. სვინაქსარი.
№6996 – თავში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XI ს. ოთხთავი.
№7088 – ეტრატის ერთი ფურცელი, ნუსხური. X-XI სს. ლექციონარი (№2276 ტიპის).
№7125 – თავსა და ბოლოში თითო ფურცელი, ნუსხური. XIII. ბიბლია (ტობი).
№7634 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ასომთავრული. X ს. ოთხთავი.
№7641 – თავში ქაღალდის ერთი ფურცელი, მხედრული. გვიანდელი კალიგრაფია. რაობა გაურკვეველი.
№7721 – თავსა და ბოლოში ორ-ორი ფურცელი, ნუსხური. XII ს. საკითხავები.
№ 7956 – ქაღალდის ერთი ფურცელი, მხედრული. XVI-XVII სს. საერო შინაარსის. ნაწერია სომხური ასოებით ქართული ტექსტი.
№8112 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ასომთავრული. X ს. ლექციონარი.
№8452 – თავში პერგამენტის ერთ ფურცელი, მხედრული. XV ს. სასულიერო შინაარსის ტექსტი.
№8624 – თავში ორი და ბოლოში ერთი ფურცელი, ნუსხური. XI-XII ს. წმ. ჯვრის შესახებ (მრავალთავიდან ?)
№8679 – თავსა და ბოლოში ეტრატის თითო ფურცელი, ასომთავრული. IX-X სს. ოთხთავი.
№8940 – თავში ეტრატის ერთი ფურცელი, თვენი.
№9311 – თავში ორი ფურცელი, ნუსხური. XIV ს. კურთხევანი.
№10257 – თავსა და ბოლოში ეტრატის ორ-ორი ფურცელი, ასომთავრული. X-XI სს. ღვთისმშობლისანი.
№10350 – თავში ეტრატის ორი ფურცელი, ნუსხური. XII-XIII სს. ბიბლია (მეფეთ ან ნეშტთა წიგნი, 1320-ის ნაწილი უნდა იყოს).

გარდა ზემოხსენებული ხელნაწერებისა, საარქივო მასალაში მითითებულია შემდეგი შიფრები, რომელთა შესახებაც დაზუსტებული მონაცემები არ გვაქვს: №5134 – საკითხავი; №1725 – ტობი, №1544; №1973.

ფრაგმენტები

ქართული ხელნაწერების ცალკე სახით არსებული ფრაგმენტების შესახებ ინფორმაცია მოგვაქვს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის არქივში (სამეცნიერო ნაწილი) დაცული საარქივო მასალის მიხედვით. ქართულ ფრაგმენტებს მინიჭებული აქვთ ზრდადი ნუმერაცია:

1. ოთხთავი, 4 ფ.; ეტრატი; ნუსხური. X ს.
2. ოთხთავი, 1 ფ.; ეტრატი; ასომთავრული. XI ს.
3. სვინაქსარი, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XI ს.
4. წყაროების რასათის წიგნი, 16 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. 1861 წ.
5. სვინაქსარი, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XI ს.
6. ბიბლია, 12 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XII ს.
7. ლექციონარი, 2 ფ.; ეტრატი; ასომთავრული. X ს.
8. ბიბლია, 3 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XIII ს.
9. ოთხთავი, 1 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVI ს.
10. სვინაქსარი, 10 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XI ს.
11. სვინაქსარი, 5 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XI ს.
12. ისტორიული დოკუმენტი, 1 ფ.; ეტრატი; მხედრული. XIII ს.
13. ისტორიული დოკუმენტი, 1 ფ.; ქაღალდი; მხედრული. XVII ს.
14. სვინაქსარი, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XII ს.
15. სვინაქსარი, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XVI ს.
16. ფსალმუნი, 1 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XIV ს.
17. ფსალმუნი, 4 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVI ს.
18. საფლავის ქვის წარწერა, ასლი. 1 ფ.; ქაღალდი; მხედრული, XIX ს.
19. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XII ს.
20. ძილისპირნი, 2 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVI-XVII სს.
21. თვენი, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XIს.
22. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 1 ფ.; ეტრატი, ნუსხური. XV-XVI სს.
23. ეტრატის 1 ფურცელი ნუსხურად ნაწერი (დაზიანებული).
24. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XVI ს.
25. ნუსხურად ნაწერი 1 ფურცლის ნაწყვეტი, ეტრატი; XIII-XIV სს.
26. საკითხავთა წიგნი სამოციქულოდან, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XII ს.
27. კურთხევანი, 11 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVIს.
28. მარხვანი, 1 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVს.
29. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XIIს.
30. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 1 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XV-XVIIსს.
31. ნაწყვეტი ლიტურგიკული კრებულიდან, 4 ფ.; ქაღალდი; ნუსხური. XVIს.
32. ევსები პამფილიელი, ცხოვრება და მოქალაქეობა სილიბისტროსი, რომთა პაპისა, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XI ს.
33. იგავები, 2 ფ.; ქაღალდი; მხედრული. XVIII ს.
34. იოანე ოქროპირი მოწამეთათვის, მრავალთავი, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. X ს
35. ნაწყვეტი ლიტურგიკული ხასიათის კრებულიდან, 2 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XVI ს.

36. ლოცვანი, 1 ფ.; ქაღალდი; მხედრული. XV ს.
37. ზანდუკი (საძიებელი) წმინდათა ცხოვრებიდან, 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური. XV ს.
38. ნუსხურად ნაწერი ერთი ფურცელი,1 ფ.; ეტრატი; XIII ს.
39. ნიკოლოზ ორბელიანი, შვიდთა ცოდვათათვის, 1 ფ.; ქაღალდი; მხედრული. XVIII ს.
40. მამათა სწავლანი, 3 ფ.; ეტრატი; მთავრული. X ს.

შოენის კოლექცია

შოენის (Schøyen) კოლექცია განლაგებულია ლონდონსა და ოსლოში. იგი ფლობს 13 000 ხელნაწერ წიგნს. მათ შორისაა ისეთი ნიშვნელობის ხელნაწერები, როგორებიცაა მკვდარი ზღვის გრაგნილები, კაიროს გენიზას ებრაული ხელნაწერები, ოქსირინკუსისა და ნაგ ჰამადის პაპირუსები და სხვ. კოლექცია ჩამოყალიბდა 1920 წელს ნორვეგიელი ბიზნესმენის, მოგზაურისა და ისტორიკოსის მარტინ შოიენის მიერ (1890-1962). კოლექციის მნიშვნელობასა და უნიკალურობას ხაზს უსვამს არა რაოდენობა მისი ექსპონატებისა, არამედ მრავალფეროვნება. ყველაზე ადრეული ფრაგმენტები 5300 წლის წინანდელია. კოლექცია 120 სხვადასხვა ენაზეა შექმნილი. კოლექციაში დაცულია 4 ქართული ფრაგმენტი. ყველა მათგანი შესულია ევროპიდან, კერძო კოლექციებიდან.

MS. 1600. ათანასე ალექსანდრიელი. ჯვრის პოვნის საკითხავი. X ს. 2 ფ.; ეტრატი; 23×20 სმ., გადაწერილია ფსევდო ათანასეს ჯვრის საკითხავი. ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში ეს ჰომილია ფრაგმენტის სახით გვხვდება მხოლოდ კლარჯულ მრავალთავში (ხეც A 144, 208r). კოლექციის ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაციის თანახმად, შოიენის ეს ხელნაწერი უკავშირდება ლაიფციგის უნივერსიტეტის God. Ms. V 1096. UB ერთეულს, რომელიც 3 სხვადასხვა ქართული ფრაგმენტისგან შედგება (შდრ. God. Ms. V 1096. UB). მთავრულით. ლაიფციგის ხელნაწერი ფურცლების დღეისათვის მღებული რაობისა და ზომების მიხედვით, კავშირი შოიენისა და ლაიფციგის ფურცლებს შორის ნაკლებ სავარაუდოა. ვფიქრობთ, მხოლოდ ორივე ფრაგმენტში სრულყოფილი ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური შესწავლა გასცემს პასუხს წამოჭრილ კითხვას. დასაწყისი recto: „მყოფელი ორსახედ ვითარცა თქუათ ანუთუ მიუღებიეს აქავე სასყიდელი მათი ნაცვალად საქმისა მათისა მსგავსად თქუმულისა მის რომელი ითქუა...“

MS 037. იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფი. 1 ფ.; ეტრატი; ნუსხური, პალიმფსესტი, ქვედა ფენა – პალესტინური არამეული, VI ს. ზომა თავდაპირველი: 31×23 სმ.; ქართულისა: 19×12 სმ.; ქართული თარიღდება 979 წლით. შესულია კერძო კოლექციიდან; ქვედა ფენა შესწავლილია (Desreumeaux 1997).

MS 1599. არაიდენტიფიცირებული ჰომილია. ფრაგმენტი. XI ს. 1ფ.; ეტრატი; პალიმფსესტი, ქვედა ფენა მთავრული. შესულია სოტბის აუქციონიდან 2012 წელს. დასაწყისი (იწყება შუა გვერდიდან): „ჩემთაგანი უდებებითა განვკურნო იგი სინანულთა რამეთუ უგრძნულად მოხუედით და განუმზადებელსა მომეწიფენით“.

MS 035. ლექციონარი. X ს. 5 ფ.; ეტრატი; ნუსხური, 2 ფ.; პალიმფსესტია. ქართული ტექსტი: 20×15 სმ.; ხელნაწერის ზედა ქართული ფენა იოვანე-ზოსიმე ავტოგრაფია. მე-3 ფრაგმენტი დაკრულია ყდის ქვედა ფრთაზე. ყდა დაზიანებულია, შემორჩენილია სქელი ხის დაფები: ზოსიმეს ტექსტი, 1v: „თქუა ბერმან...მუუსისაი ეგ...მერმე თქუა რაი საჴმარ [არს] კაცისა სხჯსა სულისა აღშ֍ნებაჲ. და თჯსისა დარღუევად. მერმე თქუა, რაი საჴმარ არს კაცისა უკუეთუ მივიდის ჴელივნებისა სწავლად და არა ისწაოს...“ ქვედა ფენაზე პალესტინური არამეულია, სხვადასხვა ფრაგმენტია. თარიღდება VI ს-ით (Desreumeaux 1997).

დანართი

წინამდებარე მონაკვეთში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ წიგნებსა თუ ფრაგმენტებზე, რომლებიც სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ სამონასტრო ბიბლიოთეკაშია დაცული ცალკეული ერთეულის ან ყდის საცავი ფურცლის სახით. ამ ხელნაწერებისა დიდი ნაწილი არ არის შესწავლილი.

ბულგარეთი

ბულგარეთში, სოფიის წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართული ხელნაწერი წიგნი ერთადერთი ერთეულის არსებობა უკავშირდება 1083 წელს ქართველი სარდლის, გრიგოლ ბაკურიანის ძის, მიერ დაარსებულ პეტრიწონის, იმავე ბაჩკოვის, მონასტერს. წიგნი წარმოადგენს ამ მონასტრის წესდებას, რომელიც XI ს-ში შედგა ქართულ და ბერძნულ ენებზე. ამჟამად ეს ადრეული დედანი დაკარგულია. სოფიის წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ტიპიკონი კი წარმოადგენს გვიან, XIX ს-ის II ნახევარში, პეტრიწონის ტიპიკონის დედნიდან XIII ს-ში შესრულებული და საბერძნეთში, კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული ასლიდან გადმოწერილ წიგნს.

პეტრიწონის ტიპიკონი. XIX ს. 65 ფ.+13 (დაუწერელი), ქაღალდი, 21×16,5 სმ.; ნუსხური, მელანი შავი, საზედაო ასოები მთავრულით. ხელნაწერი შეიცავს მნიშვნელოვან მინაწერებსა და ცნობებს როგორც ბიზანტიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, ასევე პეტრიწონის მონასტრის დამაარსებლებისა და სამონასტრო საკუთრების შესახებ. ტიპიკონს ერთვის მთავრულით შესრულებული ვრცელი მინაწერი ბაჩკოვოს მონასტრის ღვთისმშობლის ხატის მოჭედვის შესახებ. წარწერაში იხსენიებიან მომგებლები ათანასი და ოქროპირი, ასევე კონსტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონები. მინაწერის ასლი ინახებოდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q ფონდში, ამჟამად გადატანილია ფოტოებისა და მიკროფირების კოლექციაში (აღწერილობა 1958: 345). ტიპიკონის ქართული ტექსტი და პეტრიწონის მონასტრის ისტორის შესწავლილი და სრული ბიბლიოგრაფიის დართვით გამოცემულია (Tarchnisvili 1954; შანიძე 1971: 21-27; მენაბდე 1980: 253-276).

ესტონეთის რესპუბლიკა

ესტონეთის ლიტერატურის მუზეუმი. ტარტუ

იოანე ბოლნელის ქადაგებანი (ფრაგმენტი), X ს. ეტრატი; 1ფ.; მთავრული, 2 სვეტად. სავარაუდოდ, ტაოკლარჯული წარმომავლობის ხელნაწერი წიგნის XXII რვეულის დასაწყისია. სხვა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონაცემები არ არის დაზუსტებული.

ირანის ისლამური რესპუბლიკა

ყოველთა მაცხოვრის სომხური მონასტერი, ახალი ჯულფა, ისპაჰანი

ისპაჰანში მდებარე სომხური ეკლესიის ბიბლიოთეკაში, რომელშიც დაცულია 700 მეტი სომხური წიგნი, ბ. უტიემ მიაკვლია, შეისწავლა და სამეცნიერო საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია XIII-XVII სს-ის 9 სომხური ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ქართული ფრაგმენტების შესახებ. ეს ქართული ფურცლები მომდინარეობს სხვადასხვა დროს გადაწერილი 5 ქართული ხელნაწერი წიგნიდან, რომელთა ამჟამინდელი ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მონაცემები ქვეყნდება ბ. უტიეს პუბლიკაციის საფუძველზე (Outtier 2013: 7-23).

თვენი. XIV-XV სს. 2 ორმაგი ფ.; ეტრატი, 24/24,2×16/16,1 სმ.; ნუსხური, მელანი შავი. გამოყენებულია მონასტრის სომხური ხელნაწერის (№ 202)- 1301 წელს კილიკიაში გადაწერილი პავლეს ეპისტოლეთა წიგნის ყდის საცავ ფურცლებად. ამავე ქართული ხელნაწერის ჰიმნოგრაფიულ კანონთა შემცველი 2 ორმაგი ფურცელი გამოყენებულია მონასტრის სხვა სომხური ხელნაწერის – 1625-1627 წწ-ში ახალ ჯულფაში გადაწერილი ოთხთავის (№96) ყდის საცავ ფურცლებად, ხოლო 1 ორმაგი ფურცლის მხოლოდ ნახევარი შემორჩენილია მესამე სომხური ხელნაწერის (№ 511) – 1634 წელს ისპაჰანის ჩრდილოეთით, ყაზვინში, გადაწერილი ლექციონარის ყდის საცავ ფურცლებად. სამივე ფრაგმენტი არის გიორგი ათონელის რედაქციის თვენის მოკლე რედაქციის სხვადასხვა ნაწილი: I -18-19 სექტემბრისა და 3-4 ოქტომბრის, II – 5-8 ოქტომბრისა და III -26-27 სექტემბრის ჰიმნოგრაფიული მასალას.

თვენი. XIIIს. 2 ორმაგი ფ.; 18×12,5 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი. გამოყენებულია XIII ს-ის სომხური სამოციქულოს (№99) ყდის საცავ ფურცლებად. ქართულ ფრაგმენტზე გადაწერილია 11-12 ოქტომბრის ჰიმნოგრაფიული მასალა. საყურადღებოა, რომ ტექსტი შეიცავს თვენის როგორც სინური, ასევე გიორგი ათონელის რედაქციებს (Outtier 2013: 11-12).

თვენი. XIV-XV სს. 1 ორმაგი ფ.; ეტრატი შევსებული ქაღალდით, 18×13 სმ.; ნუსხური, მელანი შავი. გამოყენებულია 1611 წელს ჰიზანში (თურქეთი) გადაწერილი სომხური ჰიმნოგრაფიული კრებულის (№ 528) ყდის საცავ ფურცლებად. ქართული ტექსტი წარმოადგენს გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონის ფრაგმენტს.

კურთხევანი. XIV-XV სს. 1 ფ.; ორად გაკეცილი, ეტრატი; 17×13 სმ.; ნუსხური, მელანი შავი. გამოყენებულია 1313 წ.-ს სომხეთში, აკნერში, გადაწერილი სომხური ოთხთავის (№ 517) ყდის საცავ ფურცლად.

მცირე წინასწარმეტყველთა ფრაგმენტები. XIV-XV სს. 2 ორმაგი ფ.; ქაღალდი, 20,5×19,5 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი. გამოყენებულია 1584 წ-ს ქეღიში (Keghi; ამჟ. ჩრდ. აღმ. თურქეთი) გადაწერილი ოთხთავის (№478) საცავ ფურცლებად. ქართული ტექსტი შეიცავს მცირე წინასწარმეტყველთა, იონასა და მიქიას, ფრაგმენტებს. ბ. უტიეს აზრი, ისინი წარმოადგენენ არის არა ლექციონარის, არამედ ოშკის ბიბლიის იდენტური ძველი აღთქმის ხელნაწერის ნაწილებს.

განძთა ქვაბი. XIII-XIV სს.1 ფ.+მომდებარე ფ-ს ნაწილი. ქაღალდი; 19,3×12 სმ., ფრაგმენტი გამოყენებულია XVII ს-ში სპარსეთში გადაწერილი სომხური თეოლოგიურ-გრამატიკული კრებულის (№ 214) ყდის საცავ ფურცლებად. ქართული ტექსტი წარმოადგენს „განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის ყველაზე ადრეული ხელნაწერის ფრაგმენტს.

იოანე სინელი. სათნოებათა კიბე. XI-XII სს.1 ფ.; ეტრატი, 18×13,3 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი. გამოყენებულია 1491 წ.-ს გადაწერილი სომხური ოთხთავის (№ 388) საცავ ფურცლებად. ქართული ტექსტი წარმოადგენს ეფთვიმე ათონელის თარგმნილი „სათნოებათა კიბის“ ფრაგმენტს. იგი იმავე ხელნაწერიდანაა ამოღებული, რომლიდანაც მატენადარანის სომხური № 592 ხელნაწერის საცავ ფურცლად გამოყენებული ქართული ფრაგმენტი (Outtier 2015: 12).

ლიტურგიკა. გრაგნილი. დაცული მუზეუმის ვიტრინაში, რის გამოც ვერ მოხერხდა მისი შესწავლა (Outtier 2013: 8).

ისრაელის სახელმწიფო
უფლის საფლავის საგანძური

ოქროს ოთხთავი. XV-XVI სს. 414 ფ.; ეტრატი, ნუსხური, შემკულია ოქროზე შესრულებული 48 მინიატურით ორი მომხატველის მიერ. მოგებელი: ბაგრატი, გადამწერი: დიმიტრი. XVII-XVIII

სს-ში ქართველ დიდებულ გიორგი აბაშიძის მიერ შეწირულია უფლის საფლავის ეკლესიისთვის. ხელნაწერი, სავარაუდოდ, საქართველოშია შექმნილი. ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა. ხელნაწერს მიაკვლია წმ. მიწის სიძველეთა შესწავლის მიზნით თ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით იერუსალიმში მომუშავე ექსპედიციამ (ცერაძე 2013).

საბაწმინდის მონასტერი

მონასტერში XX ს-ის დასასრულს ხელოვნებათმცოდნე ზ. სხირტლაძემ საბაწმინდაზე ყოფნის დროს გამოავლინა და შეისწავლა მონასტერში დაცული ერთი ქართული ლოცვანი და ბერძნული ძველნაბეჭდი წიგნების ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ორი თითოფურცლიანი ფრაგმენტი. მკვლევარმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები ტექსტებითურთ (Skhirtladze 2003: 217-227).

ლოცვანი. XIX ს. 3 ფ.; ქაღალდი, 15×19 სმ.; მხედრული. ლოცვანის დასასრულს XIX ს-ში წმ. მიწაზე მოღვაწე ქართველი ბერის, დანიელ მაღრაძის, მხედრულით შესრულებული მინაწერი. ბოლო გვერდი ნაწერია რუსულად.

„ელევთერიოსის ცხოვრება“. XI ს. 1 ფ.; ეტრატი, ფრაგმენტი გამოყენებულია ყდის საცავ ფურცლად. ზედა ფრთა: 20,5×14 სმ.; ყუა: 3×14 სმ.; ნუსხური, მელანი ყავისფერი. დავით ტბელის თარგმანი.

„გრიგოლ რომთა პაპის ცხოვრება“. XII ს. 1 ფ.; ეტრატი, ფრაგმენტი გამოყენებულია ყდის საცავ ფურცლად. ზედა ფრთა: 8,5×15 სმ.; ქვედა ფრთა: 12×15 სმ.; ნუსხური, მელანი შავი. ძლიერ დაზიანებული. სვინაქსარული ტექსტი.

იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს წიგნთსაცავი. იერუსალიმი

ძველ იერუსალიმში, ქალაქის სომხურ კვარტალში მდებარე წმ. იაკობის მონასტრის მდიდარ ბიბლიოთეკის სომხურ ხელნაწერებში საცავი ფურცლების სახით დაცულია ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები. აღნიშნული ინფორმაცია გმოქვეყნებულია იერუსალიმში გამოცემულ სომხურ ხელნაწერთა 11 ტომიანი კატალოგის (Մայր Ցուցակ Ձեռագրաց Սրբոց Յակոբեանց) III (1968), IV (1969), V (1971,) VI (1972), VII (1974), VIII (1977)და IX (1979) ტომებში.

ვინაიდან კატალოგში მითითებული არ არის ქართული საცავი ფურცლების რაობა, მოგვაქვს ხელნაწერების ტექნიკური მონაცემები:

Ms. 711. კრებული. 1619 წ. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის ორმაგი ფურცელი.

Ms. 1353. კრებული. უთარიღო. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის ორმაგი ფურცელი.

Ms. 1458. კრებული. უთარიღო. ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის ორი ფურცელი.

Ms. 1614. საგალობელთა კრებული. 1481 წ. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის თითო ფურცელი.

Ms. 1653. საგალობელთა კრებული. 1668 წ. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის ორმაგი ფურცელი.

Ms. 1725. ფსალმუნი. XVII (?) ს. თავსა და ბოლოში ძალიან მსხვილი ქართულით ნაწერი ეტრატის თითო ფურცელი.

Ms. 2312. პავლეს ეპისტოლეები. 1304 წ. თავში ორი, ბოლოში კი ქართულად ნაწერი ეტრატის ერთი ფურცელი.

Ms. 2331. რელიგიური შინაარსის კრებული. XIII ს. თავში ქართულად ნაწერი ეტრატის ერთი ფურცელი.

Ms. 2412. ჟამნი. 1671 წ. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის თითო ფურცელი.

Ms. 2470. საგალობელთა კრებული. 1479 წ. თავსა და ბოლოში ქართულად ნაწერი ეტრატის ორი ფურცელი.
Ms. 3135. სახარება. XIV ს. თავში ქართულად ნაწერი ეტრატის ერთი ფურცელი.

ლიბანის რესპუბლიკა
ბზომარის სომხური კათოლიკური ეკლესია

ლექციონარი. ფრაგმენტები. X ს. 2 ფ.; დაყოფილი 6 ფრაგმენტად, გამოყენებულია სომხური წიგნების ყდის საცავ ფურცლებად. მთავრული. თავდაპირველი ფურცლის ზომა: 48×36 სმ.; ლექციონარის ფრაგმენტები შეიცავს მარხვის ცილკის საკითხავებს. ფრაგმენტებს მიაკვლია, შეისწავლა და გამოაქვეყნა ბ. უტიემ (Outtier 1975: 110-118). მკვლევარმა დაადგინა ბზომარისა და მატენადარანის სომხური 48 და 1335 ხელნაწერების საცავ ფურცლებად გამოყენებული ქართული ფრაგმენტებისა საერთო ქართული ხელნაწერიდან მომდინარეობის საკითხი (Outtier 2015: 13)
ღვთისმშობლის საგალობელი. XV ს. 2ფ.; ფრაგმენტები გამოყენებული ყოფილა სომხური ხელნაწერის საცავ ფურცლებად. მიაკვლია ბ. უტიემ.

ნიდერლანდების სამეფო
ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ბიბლიოთეკა, ამსტერდამი

Cod. Or.10873. ლიტურგიკული კრებული. XVII ს. ნუსხური. 218 ფ.; სხვა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონაცემი არაა დაზუსტებული. დათარიღებულია პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

რუსეთის ფედერაცია
დაღესტნის რესპუბლიკა. მახაჩკალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

სადღესასწაულო. XVI-XVII სს. 54 ფ.; ქაღალდი, ნუსხური, ძლიერ დაზიანებული, შიგადაშიგ არ იკითხება; ქართული ხელნაწერის ფრგმენტები აღმოჩნდა არაბული ხელნაწერის ყდაში.

რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლური ფონდი

ქართულ-არაბული პალიმფსესტი. სახარება. არაუგვიანეს VIII ს-ა. 83 ფ.; ეტრატი, 16,5×10 სმ.; მთავრული; ქართული ქვედა ფენა თარიღდება პალეოგრაფიული და ლინგვისტური თავისებურებების საფუძველზე. ზედა ფენა: არაბული სუფიური ტრაქტატი, გვიანი შუასაუკუნეები (გვანცელაძე 2016: 63-75).

მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, იმვიათ გამოცემათა და ხელნაწერთა განყოფილება. მოსკოვი

